შოთა ძიძიგური

რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში

(კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების საფუძველზე)

თბილისი
„მეცნიერება“
1989

81.2 Гр_4
ძ 631

ნაშრომში შესწავლილია კავშირები ქართულ ენაში სალიტერატურო ენის საფეხურების მიხედვით (ძველი ქართული, საშუალო ქართული, ახალი ქართული) და ყველა თანამედროვე დიალექტის მონაცემთა გათვალისწინებით. მოცემულია სრული აღწერა საკავშირო ერთეულებისა მრავალფეროვანი კონტექსტების ფონზე.

წიგნში, ამასთანავე განხილულია რთული წინადადების სინტაქსის ზოგიერთი საკვანძო საკითხი და გარკვეულია კავშირების მნიშვნელობა ჰიპოტაქსური კონსტრუქციების აღმოცენების კვლევაძიებისათვის.

წიგნი განკუთვნილია ფილოლოგებისათვის.

რეცენზენტები: აკად ს. ჯიქია, პროფ. ალ. ღლონტი

ძ 4602020200 121—89
M 607(06)-89

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989

ISBN 5-520-00371-8

შესავალი

ისტორიული სინტაქსის საკითხები ენათმეცნიერებაში არ არის სათანადოდ დამუშავებული. განსაკუთრებით ეს ითქმის რთული წინადადების სინტაქსის მიმართ. არც ერთი ენის მასალაზე არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი, მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი წინადადებისა, როგორიცაა კავშირი[1]. მკვლევარნი კმაყოფილდებოდნენ ზოგადი მსჯელობით ამ საკითხის გარშემო, მცირე ადგილს უთმობდნენ კავშირების სემანტიკურ და მორფოლოგიურ ანალიზს მეცნიერულ თუ სასკოლო გრამატიკებში და არკი ცდილან დამოუკიდებელი შესწავლის საგნად გაეხადათ კავშირის პრობლემატიკა.

თეორიულ ენათმეცნიერებაში კავშირის კატეგორიის ჩვენებებს უმთავრესად ითვალისწინებდნენ რთული წინადადების კონსტრუქციების კვლევა-ძიების დროს. მართალია, ტრადიციული მეცნიერება მკვეთრად აყენებდა ჰიპოტაქსის პრობლემას, მაგრამ ამ დარგის სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებდნენ არსებითად ჰიპოტაქსური კონსტრუქციის წარმოქმნის თავდაპირველ საფეხურებზე, — დაქვემდებარების მერმინდელ განვითარებას კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

ამასთანავე, რამდენადმე სქემატურია და პირობითი რთული წინადადების დაყოფა ქვეწყობისა და თანწყობის კონსტრუქციებად, ამ ცნებათა შინაარსი არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული, არ არის მკაფიოდ გამიჯნული ჰიპოტაქს-პარატაქსის საზღვრები. ტრადიციულმა მეცნიერებამ გვიანდერძა რთული წინადადების ნაწილების — მთავარი და დამოკიდებული წინადადებების — კლასიფიკაცია, აგებული ლოგიკურ-სემანტიკურ თვალსაზრისზე, ხოლო რთული წინადადების გრამატიკული სტრუქტურის კვლევა-ძიებას, მისი კონსტ-

[1] ცნება „კავშირისა“ აქ და ქვემოთ, მთელი ნაშრომის ფარგლებში, ჩვენ მიერ გაგებულია ზოგადი მნიშვნელობით: იგულისხმება როგორც საკუთრივ კავშირები. ისე საკავშირებელი სიტყვები, resp. მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები.

რუქციული ელემენტების გამოვლენას მკვლევრები დიდი გულისყურით არ ეკიდებოდნენ.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ამა თუ იმ ენის სინტაქსური კონსტრუქციების აღმოცენება არაიშვიათად ახსნილია უმთავრესად „გარეშე ფაქტორების“ მოქმედებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ მხრივ კლასიკურ ენებს. ბერძნულ და ლათინურ ენათა გავლენითაა ახსნილი არა ერთი და ორი კონსტრუქცია იმ ენებისა, რომლებიც ისტორიულად დაკავშირებული იყვნენ მათთან თარგმანის საშუალებით, პირველ რიგში — ბიბლიის ტექსტის გადმოღების საფუძველზე.

უკანასკნელი ხანის ძიებები, მაგალითად, მთის იბერიულ-კავკასიური ენებიდან, თვალნათლივ ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქციები არ არის მთლად უცხო უმწერლობო ენებისათვის, ანდა იმ ენებისათვის, რომლებსაც მწიგნობრობა შეექმნათ არცთუ დიდი ხნის წინათ — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. მეორე მხრივ, ამგვარი კონსტრუქციები დიალექტთა შინაგანი განვითარების შედეგიცაა. ჩვენ ქვემოთ ნაჩვენები გვაქვს, რომ ქართულ ცოცხალ მეტყველებაში გვხვდება ქვეწყობა კავშირების დიფერენცირებული სისტემით. მეთოდოლოგიურად სწორი არ იქნებოდა, თუ ამ გარემოებას მთლიანად და სავსებით სალიტერატურო ენის ზემოქმედებას მივაწერდით.

უდავოა, ზოგიერთ ცალკეულ შემთხვევაში ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ საკუთარ ენობრივ ნიადაგზე აღმოცენებული ამა თუ იმ კონსტრუქციის სტაბილიზაციისათვის შეეძლო ხელი შეეწყო თარგმანს, მაგრამ კონსტრუქციული გავლენის ის მასშტაბი, რომელიც დამკვიდრდა ტრადიციულ მეცნიერებაში, გარკვეულ შეზღუდვას მოითხოვს.

ქართული რთული წინადადების აგებულების, მისი კონსტრუქციული ელემენტების შესწავლის საჭიროებამ შინაგანი აუცილებლობით მოითხოვა, უწინარეს ყოვლისა, კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების (ე. წ. მიმართებითი ნაცვალსახელისა და მიმართებითი ზმნიზედის) ბუნების გარკვევა. ეს არჩევანი მით უფრო გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კავშირები (ამ ცნების ფართო გაგებით) რთული წინადადების გრამატიკული დახასიათების ა'თვის უმთავრეს საყრდენს წარმოადგენს. ჩვენც სწორედ რთული წინადადების ფორმალური ნიშნეულობის გამოვლენას ვესწრაფვოდით და გვინდოდა ეს თვალსაზრისი მოგვე-

მარჯვებინა ქვეწყობის სახეობათა დადგენისას. რაკი ჩვენ გვეწადა უმთავრესად ჰიპოტაქსის აგების პროცესებს დავკვირვებოდით, ბუნებრივია, ჩვენი ყურადღება კავშირის კატეგორიამ მიიპყრო. ამ გარემოებამ დაბადა კავშირების მონოგრაფიულად დამუშავების აუცილებლობა.

ჩვენ წინაშე იმთავითვე გარკვეული სიძნელეები წარმოიშვა.

როგორც ითქვა, დღემდის არავის უცდია, რომელიმე ენის მასალაზე მონოგრაფიულად, ისტორიულ ასპექტში შეესწავლა ეს საკითხი. ამიტომ ჯერ უნდა მოხაზულიყო კავშირის პრობლემატიკის საზღვრები და გამოკვეთილიყო მასალისადმი მიდგომის თეორიული წანამძღვრები.

თავიდანვე განისაზღვრა ენობრივი მასალის ასეთი მასშტაბი: ქართული სალიტერატურო ენის ყველა საფეხური (მოყოლებული V—VI საუკუნეებიდან დღემდის) და თანამედროვე ცოცხალი მეტყველება, ე. ი. ყველა ძირითადი დიალექტური ერთეული.

ცნობილია, რომ ენის ზოგადი სტრუქტურა მოიცავს სხვადასხვა სტილს, მათ ნიშანდობლივ თავისებურებებს. ჩვენ გავყევით სალიტერატურო ენის განვითარების მაგისტრალურ ხაზს, ოღონდ შიგადაშიგ უყურადღებოდ არ დავტოვეთ სტილებრივი დიფერენციაციის შედეგად წარმოშობილი თავისებურებებიც, რამდენადაც ამას მოითხოვდა ცალკეული საკითხების გარკვევის აუცილებლობა, — მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდურად და გზადაგზა, — ჩვენი მთავარი მიზანი მაინც ლიტერატურული ენის განვითარების ძირითადი ტენდენციების ჩვენება იყო.

საილუსტრაციო მასალის ძიების დროს ჩვენ არ მოვერიდეთ, ფართოდ დაგვემუშავებინა ენობრივი ძეგლები. მათგან ამოვიდა უამრავი მასალა, რომელზედაც დაფუძნებულია სათანადო დასკვნები. ჩვენ გაგვიჭირდა ამ დიდძალი ფაქტობრივი მასალის შეკუმშვა და გაცხრილვა, — წიგნში წარმოდგენილი საილუსტრაციო ნიმუშებიც შესაძლოა ალაგ-ალაგ სიჭარბის შთაბეჭდილებას ბადებდეს, მაგრამ ეს დასანანი არ არის, რადგან საჭირო იყო გვეჩვენებინა ამა თუ იმ სახის წინადადების სემანტიკური ნიუანსირება და, ამასთანავე, სათანადო კავშირების შემცველ წინადადებათა ხვედრითი წონაც ძეგლებში გავრცელებულობის თვალსაზრისით.

კავშირების პრობლემატიკა იმთავითვე ასე წარმოგვიდგა: 1. ფუნქციური ანალიზი: სალიტერატურო ენის ძეგლებისა და დიალექტების მიხედვით გამოვლინება ამა თუ იმ ტიპოლოგიის კავშირის სემანტიკისა (აქ იგულისხმება მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირების დანიშნულების გამოკვლევა); 2. კავშირთა სემან-

ტიკურ-ფუნქციური თანამიმართება: იმის გამოკვლევა, თუ რატო? აქვს ერთსა და იმავე კავშირს სხვადასხვა სემანტიკა; 3. კორელაციის სისტემა: რა მეტყველების ნაწილი შეეფარდება კავშირს მთავარ წინადადებაში; 4. კავშირისა და შემასმენლის თანამიმართება: რა კანონზომიერება არსებობს ენაში კავშირისა და ზმნა-შემასმენლის შეხამების თვალსაზრისით; 5. კავშირთა და კორელატთა მორფოლოგიური ანალიზი (იგულისხმება კავშირთა ეტიმოლიზების საკითხები); 6. რას გვეუბნება კავშირთა სემანტიკურ-მორფოლოგიური ანალიზი ქვეწყობის (ჰიპოტაქსის) გენეზისის კვლევა-ძიებისას.

შრომაში გამომჟღავნებულია თითოეული კავშირის ფუნქცია სალიტერატურო ენის საფეხურების მიხედვით და წარმოდგენილია ვრცელი კონტექსტები, საიდანაც ჩანს თითოეული მათგანის გავრცელების არე და ხვედრითი წონა წერილობითს ძეგლებში. ნაჩვენებია, თუ რომელი კავშირი გაჩრა ენის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, რომელი გაჩნდა და, ამრიგად, მოხაზულია მათი წარმოქმნის ქრონოლოგიური საზღვრები.

ამავე გეგმითა და მიდგომით შესწავლილია კავშირები დიალექტებში. გამოყენებულია დაბეჭდილი დიალექტოგრაფიული ტექსტები და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საკუთრივ ჩვენ მიერ შეკრებილი მასალა. აქ ჩვენ გამოვიყენეთ სალიტერატურო ენასთან შეპირისპირების ასეთი ხერხი: რა არის საერთო დიალექტებსა და სალიტერატურო ენას შორის, რა არის განმასხვავებელი, რა არის დამახასიათებელი მხოლოდ დიალექტებისათვის; გამოვლენილია ამა თუ იმ კილოს სპეციფიკური ნიშნებიც.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში კავშირთა მაკორელაციებელი ელემენტების შესახებ არ არსებობს მწყობრი და ჩამოყალიბებული შეხედულებანი. ჩვენ შევეცადეთ, მონოგრაფიული წესით შეგვესწავლა კორელატები და, რამდენადაც შეგვეძლო, სისტემის სახით დაგველაგებინა ამ თემაში შემავალი ცალკეული საკითხები.

ცალკე თავი ეძღვნება ნაშრომში კავშირისა და შემასმენლის თანამიმართების საკითხებს. მოხერხდა ზოგიერთი კანონზომიერების მიკვლევა; გამომუშავებულია ფორმულები, საიდანაც ჩანს: ამა თუ იმ მასალის კავშირს ზმნა-შემასმენელი რომელ მწკრივში, რომელ კილოში — ინდიკატივში თუ კონიუნქტივში — შეეხამება.

კავშირთა და კორელატთა მორფოლოგიურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ქართულ ენაში ზოგი კავშირი ნაცვალსახელურ-ზმნიზედური წარმოშობისაა, ზოგი თავის სათავეებს ნაწილაკებში პოულობს და ზოგსაც ზმნური საწყისები აქვს.

კავშირთა ფუნქციური ანალიზის დროს ნათელი გახდა, რომ ერთ-

სა და იმავე კავშირს სხვადასხვა სემანტიკა აქვს, სხვადასხვა ტიპოლოგიის კავშირია, წინადადების სხვადასხვა კონსტრუქციაში მონაწილეობს. ჩვენ დავალაგეთ კავშირები ამ თვალსაზრისით და გაირკვა, თითოეულ კავშირს რა და რა მნიშვნელობა აქვს. ამის შემდეგ გასარკვევი იყო, თუ რა საფუძველზეა აღმოცენებული ეს სემანტიკურ-ფუნქციური თანამიმართება საკავშირებელი ერთეულებისა.

მიღებულია დასკვნა, რომ პოლისემანტიზმის ძირითადი ფაქტორთაგანია ერთი ყალიბის კავშირისაგან მეორე ყალიბის კავშირის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა. ეს შინაგანი განვითარება ლოგიკურ საფუძველზეა აგებული და გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. კონკრეტული კავშირები დასდებია საფუძვლად აბსტრაქტულ-ლოგიკურ კავშირებს.

პოლისემანტურ კავშირთა ცალკე კატეგორიად გამოიყო ისეთი ერთეულები, რომელთა უნივერსალიზმი არ აიხსნება ერთი ყალიბის კავშირთაგან მეორე ტიპოლოგიის კავშირთა მიღებით (განვითარების შედეგად). ასეთი კავშირი დაქვემდებარების საზოგადო ფაქტის გამომხატველია და გვევლინება სრულიად განსხვავებულ ლოგიკურ მიმართებათა გამომსახველად. აქ გაერთიანებულია: სუბიექტი, ობიექტი, მიზანი, პირობა, ადგილი, დრო, მიზეზი, შედეგი, გამორიცხულობა, რელაცია.

კავშირების შესწავლამ გამოიწვია რთული წინადადების გენეტური საკითხების დასმა.

მეცნიერებაში მიღებულია დებულება ჰიპოტაქსის მეორეულობის შესახებ. ჯერ კიდევ ადელუნგმა გამოთქვა აზრი თანწყობიდან ქვეწყობის გამომუშავების თაობაზე. ადელუნგისათვის ამოსავალი იყო ზოგადი დებულება, რომ „ბუნება ყოველთვის მიიმართება მარტივიდან რთულისაკენ“. ენის განვითარების ადრეულ საფეხურებზე მხოლოდ მარტივი წინადადებები იყვნენ ერთმანეთთან შეპირისპირებულნი, შემდეგ და შემდეგ გამომუშავდა რთული სინტაქსური მიმართებანი, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ჰიპოტაქსის რთული სისტემის ჩამოყალიბებაში.

ჩვენს შრომაში მიღებულია დასკვნა, რომ ქართულ ენაში ქვეწყობის კონსტრუქცია მომდინარეობს თანწყობის კონსტრუქციიდან. სხვა არა იყოს რა, ეს კარგად ჩანს კავშირთა ეტიმოლოგიებიდანაც: ქართული კავშირები ზმნიზედურ-ნაცვალსახელური წარმოშობისაა და ეს იმას მოწმობს, რომ ეგ სიტყვები თავდაპირველად—პარატაქსის პერიოდში — ცალკეულ წინადადებათა ნაწილებს წარმოადგენდნენ, წინადადებებისა, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურ ურთიერთო-

ბაში იმყოფებოდნენ და სინტაქსური დაკავშირება განხორციელებული იყო რიტმო-მელოდიკის საფუძველზე.

კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების ყოველმხრივმა შესწავლამ საშუალება მოგვცა დავკვირვებოდით რთული წინადადების კონსტრუქციულ ფორმებს და რამდენამე ხელი შეგვეწყო ჰიპოტაქსის ფორმალური ნიშნების დადგენისათვის. ამ გზით შეიძლება თავი დავაღწიოთ ტრადიციულ ლოგიცისტურ გაგებას და მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ წინადადების რთული აღნაგობის გრამატიკული დახასიათება. სახელდობრ, შრომაში გამახვილებულია ყურადღება ისეთ კონსტრუქციულ ფორმებზე, როგორიცაა: სიტყვათა რიგი, ინტონაცია, სინტაქსური დაკავშირების მორფოლოგიური გამოხატულება (ზმნა-შემასმენლის კილო და დრო) და სხვ. აღსანიშნავია, რომ კავშირისა და წინადადების სხვა ფორმალური ელემენტების ანალიზმა მეტი გარკვეულობა შეიტანა რთული წინადადების ზოგიერთი სახეობის გაგებაში (იგულისხმება ე. წ. დათმობითი წინადადების სტრუქტურულ შინასხვაობათა გათვალისწინება და სხვ.). კავშირების შესწავლამ გამოიწვია, აგრეთვე, პირდაპირი მეტყველებისა და ირიბი მეტყველების კონსტრუქციული თავისებურებების გამორკვევა, ე. წ. „მასდარული წინადადების“ განსაზღვრა, ასინდეტურ წინადადებებზე ყურადღების გამახვილება და სხვ.

თქმა არ უნდა, რომ ეს საკვანძო საკითხები აქ მთელი სიღრმითა და ამომწურავი სისრულით არ არის გამოკვლეული, — ისინი ნაშრომში აღძრულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას გვიკარნახებდა ჩვენი პირდაპირი თემის — კავშირის კატეგორიის შესწავლის ინტერესები. სხვანაირად რომ ვთქვათ, კავშირების ბუნების გარკვევამ შინაგანი აუცილებლობით მოითხოვა რთული წინადადების ზოგიერთი კონსტრუქციული ელემენტის კვლევა-ძიება. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენ არ შეგვეძლო თავიდან ავგვცდინა ტრადიციული კლასიფიკაცია, დამოკიდებულ წინადადებათა მიღებული სქემები, რამდენადაც წინამდებარე ნაშრომის პირდაპირი მიზანი არ არის რთული წინადადების სინტაქსის საფუძვლების გამოკვლევა.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ერთი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის პრობლემის გამო.

ქართველოლოგიურ მეცნიერებაში სავსებით კატეგორიულად გამოთქმულია ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ ქართული მწიგნობრობა წარმოიშვა არა V—VI საუკუნეებში, არამედ მისი ფესვები უფრო შორეულ წარსულში უნდა ვიეძაროთ. მართალია, რეალური ისტორია ქართული მწერლობისა — ჩვენამდე მოღწეული წერილო-

ბითი ძეგლების მიხედვით — ამ ეპოქიდან იწყება, მაგრამ, სავარაუდოა, უძველესი წინაქრისტიანული მწიგნობრული დოკუმენტები სხვადასხვა ფაქტორის წყალობით დაიკარგა და გაუჩინარდა.

რას ეყრდნობა ეს შეხედულება?

უმთავრესად ორ, კარდინალური მნიშვნელობის, გარემოებას: ჯერ ერთი, V—VI საუკუნეთა ქართული დამწერლობა (ანბანი) ისე ჩამოკვეთილია და ჩამოყალიბებული, რომ შეუძლებელია ის ერთბაშად ამ სახით მიგვეღო; მას გრძელი გზა უნდა გაევლო (აკად. ი. ჯავახიშვილი). ამ აზრს ახალ საბუთიანობას ჰმატებს არმაზში აღმოჩენილი ორენოვანი წარწერის გამოკვლევის შედეგები (აკად. გ. წერეთელი), ხოლო ამ ბოლო ხანებში პალესტინის უძველესი ქართული წარწერების შესწავლამ (აკად. გ. წერეთელი) კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა ქართული ანბანის არსებობა V საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრინდელ ეპოქაში (აღსანიშნავია, რომ ამაზე მიუთითებს წარწერების ორთოგრაფიული და ენობრივი ნორმებიც, რომლებიც ტექსტში უკვე დადგენილი და ჩამოყალიბებული ჩანს).

ამრიგად, არსებობს პალეოგრაფიული კრიტერიუმი.

მეორე მხრივ, მიუთითებენ, რომ ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული მხატვრული ქმნილება იმდენად სრულყოფილია, რომ შეუძლებელია მას არ უსწრებდეს მდიდარი ლიტერატურული ტრადიცია. არსებითად ეს არის სტილური ნიშნების, მხატვრული ენის აგებულების საფუძველზე აღმოცენებული შეხედულება.

იმ შედეგებს, რომლებიც მიღებულია ჩვენს ნაშრომში, გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ზემოხსენებული პრობლემისათვის.

სახელდობრ, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება:

ენათმეცნიერებაში დაქვემდებარებული წინადადების კონსტრუქცია დიდი ხანია მიჩნეულია ენის განვითარების მაღალი საფეხურების შესაბამის სინტაქსურ კონსტრუქციად. იგი მანიშნებელია ლოგიკური აზროვნების განვითარების მაღალი დონისა. ჰიპოტაქსის, ანუ რთული დაქვემდებარებული წინადადების აღნაგობა ნიშანდობლივია განვითარებული სალიტერატურო ენისათვის. პარატაქსი უფრო ხალხურ მეტყველებას, დიალექტებს ახასიათებს, ჰიპოტაქსი კი უფრო სამწერლობო ენის კუთვნილებაა, — ჰიპოტაქსი — კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების რთული სახეობებით. მართალია, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, რთული დამოკიდებული წინადადება, ემბრიონის სახით ე. წ. „პრიმიტიული ენებისთვისაც“ არ წარმოადგენს იშვიათობას, მაგრამ ამ კონსტრუქციის ჩამოყა-

ლიბება და სინტაქსურ ნორმად ქცევა განვითარებულ სამწერლობო ენაში ხდება, როგორც განვითარებული აზროვნების კუთვნილება. ლიტერატურაში მკაფიოდაა გამოთქმული მოსაზრება, რომ ჰიპოტაქსი ნიშანდობლივია და განსაკუთრებით მტკიცე და მიუცილებელი სამეცნიერო და, ზოგადად, საქმიანი, თუ შეიძლება ითქვას, „მსჯელობითი ლიტერატურისათვის“. რთული წინადადების ჰიპოტაქსური ფორმა სრულყოფილად წარმოგვიდგენს სინთეზურ მსჯელობას; ჰიპოტაქსში აღბეჭდილია რთული სინთეზი. პარატაქსული ფორმა კი უფრო შესატყვისად ანალიზურ მსჯელობას გადმოგვცემს: პირველი უფრო წინადადებათა აბსტრაქტული ურთიერთობის გამომხატველია, მეორე — წინადადებათა კონკრეტული ურთიერთობისა. სწორედ მწერლობამ შეუწყო ხელი თანწყობის კონსტრუქციიდან რთული ქვეწყობილი წინადადების გამოყოფას და მტკიცე ნორმად ჩამოყალიბებას. ასეთია საგნის სპეციალისტების აზრთა მსვლელობა.

თუ ეს დებულება სწორია, — და მე ვფიქრობ, ეს თვალსაზრისი გარკვეული შეზღუდვით უთუოდ გასაზიარებელია, — მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ უცილობელი დებულების საფუძველზე სათანადო პოზიტიური დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ქართული სალიტერატურო ენის მიმართაც. სახელდობრ: ჩვენი ნაშრომის აღწერითი ნაწილის მთავარი პათოსია იმის ნათელყოფა, რომ სალიტერატურო ქართულის უძველეს საფეხურზე (იგულისხმება V—VI და მომდევნო საუკუნეების ენა) სავსებით ჩამოყალიბებულ-ჩამონაკვთულია წინადადების რთული დაქვემდებარების სისტემა კავშირთა მრავალნაირი სახეობებით, და რომ ეს რთული კონსტრუქცია გაფორმებულია წინადადების ყველაზე მკაფიო გრამატიკული საშუალებებით — კავშირებით (საკუთრივ კავშირებით, მიმართებითი ნაცვალსახელებითა და მიმართებითი ზმნიზედებით, კერძოდ, განსაზღვრებითი წინადადებით, რომელიც ყველაზე ტიპობრივი „მწიგნობრული“ კონსტრუქციაა). სხვანაირად რომ ვთქვათ, უძველესი პერიოდის სალიტერატურო ქართულში ჰიპოტაქსი სინტაქსური ნორმაა. ეს ფაქტია. აქედან დასკვნა: V—VI საუკუნეების სალიტერატურო ქართული, მდიდარი რთული წინადადებების კონსტრუქციებითა და კავშირების მრავალფეროვანი სისტემით, არ შეიძლებოდა „ციდან ჩამოვარდნილიყო“, იგი შედეგია სამწერლობო ენის ხანგრძლივი ტრადიციისა.

ამრიგად, როდესაც ვმსჯელობთ ქართული მწერლობის ხნოვანებაზე, შეუძლებელია არ მოვიმარჯვოთ ეს გრამატიკული კრიტერიუმი, რომელიც გვერდში ამოუდგება ზემოხსენებულ პალეოგრაფიულ

და სტილისტიკურ კონცეფციებს, დამადასტურებელს სალიტერატურო ქართულის ღრმა ისტორიული ფესვებისა...

სალიტერატურო ენის სტრუქტურული ნიშნების შემდგომი ჩაღრმავებული ანალიზი, ვფიქრობთ, კიდევ უფრო განამტკიცებს წამოყენებულ დებულებას და მიღებული შედეგები საპატიო ადგილს დაიჭერენ ქართული მწიგნობრობის დასაბამის კვლევაში. ჯერჯერობით კი ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებზე დაკვირვება და კავშირების დიფერენცირებული სისტემის მონაცემები სრული ეჭვმოუტანლობით ადასტურებენ მეცნიერებაში წამოყენებულ ვარაუდს ქართული ლიტერატურული ტრადიციების შორეული წარსულის თაობაზე.

კავშირების შესწავლა ჩვენ დავიწყეთ 1938 წლიდან. რამდენიმე ძირითადი დებულება, წამოყენებული წინამდებარე ნაშრომში, წინათ გამოგვითქვამს მოხსენებებში. ესენია: 1. „კავშირები ძველ ქართულში“ (1939 წ. მოხსენდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის—ენიმკის — ქართველურ ენათა განყოფილებას), 2. „კავშირები საშუალო ქართულში“ (1940 წ. იქვე), 3. „შემასმენელი მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში“ (1942 წ. იქვე), 4. პირობითი და დამატებითი დამოკიდებული წინადადებების ჩამოყალიბების საკითხისათვის ძველსა და საშუალო ქართულში“ (1942 წ. მოხსენდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების VI სამეცნიერო სესიას), 5. „დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის რთულ წინადადებაში“ (1944 წ. მოხსენდა ენის ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებას), 6. „მასდარული კონსტრუქცია ქართულში“ (1942 წ. მოხსენდა ქართვ. ენათა განყოფილებას, 1944 წ. — პროფ. იოს. ყიფშიძისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას).

ჩვენი გამოკვლევა დასრულდა 1949 წელს. შემდგომ მან უმნიშვნელო ხასიათის ცვლილებები განიცადა. ნაწილ შრომისა დაიბეჭდა 1959 წელს („ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის. კავშირები და საკავშირებელი სიტყვები“).

ამ ხნის განმავლობაში გამოქვეყნებული ორიოდე სპეციალური ნაშრომი, რომლებიც აქ აღძრულ ზოგიერთ საკითხს ნაწილობრივ ეხებიან, გავითვალისწინეთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეიძლებოდა მათი გამოყენება ადრე შესრულებული გამოკვლევის სტრუქტურის დაურღვეველად.

როგორც ითქვა, წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდაა, საზოგადოდ, კავშირის კატეგორიის პრობლემურ-მონოგრაფიული დამუშავებისა. აქედან გასაგებია, რომ ავტორის ძიებები მასალობრივი (resp. ქართული ენის) მონაცემების ანალიზით არ იფარგლება, — მისი ინტერესი საკითხის პრინციპულ-მეთოდოლოგიურ სფეროშიც ძევს. ეს გარემოება გარკვეულ სიძნელეებს აჩენდა და, თუ ნაშრომს ჩრდილოვანი მხარეები აქვს, ეს ალბათ ამითაც აიხსნება.

თავი პირველი

კავშირის საკითხი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში

ქართულ გრამატიკებში კავშირის — როგორც მეტყველების ნაწილის — საკითხი განხილულია მორფოლოგიის ნაწილში, ხოლო სინტაქსის ნაწილში იგი გაანალიზებულია რთულ წინადადებასთან დაკავშირებით.

კავშირების დალაგება, კლასიფიკაცია, ტერმინოლოგია და გაგებაც სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვანაირია.

საქმის ვითარების ზოგადი დახასიათება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. ცნება კავშირისა არაა მკაცრად გამიჯნული ნაწილაკის ცნებისაგან. ამით აიხსნება, რომ ზოგი ნაწილაკი თითქმის ყველა ავტორთან მიჩნეულია კავშირად.

2. არ არის დადგენილი ერთიანი ტერმინოლოგია; თვალში გვეცემა კავშირების ტიპების სახელწოდებათა სიჭრელე.

3. კავშირთა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია არ არის დაფუძნებული გარკვეულ თვალსაზრისზე, — ამ მხრივ არ ხერხდება გარკვეული კანონზომიერების დადგენა.

4. საილუსტრაციო მასალა არაა ყველგან მოცემული. ამავე დროს, დამოწმებული მაგალითების ანალიზი გვეუბნება, რომ ზოგჯერ ადგილი აქვს აღრევას: ერთი ტიპოლოგიის კავშირთან მოცემული წინადადებები კონსტრუქციულად არ განსხვავდებიან იმავე მასალის სხვა ფუნქციის კავშირთან დამოწმებული წინადადებებისაგან.

5. უგულებელყოფილია კორელაციის სისტემა.

6. არ არის ცდა კავშირთა მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური ანალიზის მოცემისა.

ცალ-ცალკე ქართული გრამატიკების დეტალურ მიმოხილვას აქ არ წარმოვადგენთ. გავეცნოთ ძირითადი მნიშვნელობის გრამატი-

კის სახელმძღვანელოებს ზოგადად და რამდენადმე სქემატურად ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით.

მაჯოს ლათინურად დაწერილი ქართული ენის გრამატიკა (პირვ. გამოც. 1643 წ., მეორე გამოც. 1670 წ.) იცნობს ორიოდე კავშირს. მაპირისპირებელ კავშირებად დასახელებულია **ამა, ამაგრამ** (sic), მიზეზობით კავშირებად — **ამისთუი, იაისთუი** (sic), მაჯგუფებელ კავშირებად **და, კი** — **და** (sic), მაცალკევებელ კავშირებად — **ან, თუ, არს** და სხვ.

ზურაბ შანშოვანის გრამატიკაში („მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელსა, გამოცემული ალ. ცაგარელისაგან", 1881) ბოლო თავი მიეძღვნება კავშირებს: „შემკურელისათჳს" (გვ. 72). საინტერესოა ტერმინი **შემკურელი** კავშირის გამოსახატავად. ავტორი განმარტავს „შემკურელს", რომ იგი უბრუნველი სიტყვაა და ან „შეჰკრავს ან განჰყოფს აღწერილსა შესახებადავითა..." გამოყოფილია 12 სახეობა კავშირისა: საკონთშემწვნელო (მაგალ., და, ხოლო...), განმაშორებელი (ე. ი. მაცალკევებელი: ანუ, ან...), საწინააღმდეგო (ე. ი. მაპირისპირებელი: მაგრამ, არამედ...), სასხვაო (აწ, ახლა...), სამიზეზო (ამისთჳს რამეთუ...), სამიზეზმიმღებლო („რომელნი წარსულს მიზეზ'ა მიღებით სამიზეზოს დართულ ჰყოფენ": ამიერითგან, ამისთჳს...), საჯეროვნო („რომელნი წარსულნი დაჯერებით დაიდგინებიან **უცბრად**": აწ უკუც, ყე, მაშა, ქუც, აბა...), საუღონოო („რომელნი უნებლიედ გამოირჩევიან მეორესა": ხომ, მაინც, მაშ), საწინასარჩეო („რომელნი ყოფილი ყოფადისაგან და სარჩეველ ჰყოფენ": ვიდრე), საგანსაყოფლო (თუ, რეცა თუ...), საუსრულო („რომელნი შ̃დ სიტყვათა თავისთა სხუასა რაჲსმე სიტყვასა სთხოვენ": პირველად, თუ, უკუცთუ), უსახმარო, უჯეროო („რომელნი არა ჯეროვნად შევლენ სიტყვათა შორის": უკუცთუ, მცა, გინა...).

ანტონის გრამატიკაში („ქართული ღრამმატიკა", 1885) ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი კავშირებს („თჳს კავშირთა", თავი იზ). კავშირები, ანტონის მიხედვით, იყოფიან: საერთ-წმახნოდ (**და, ხოლო, მერმე, გინა...**, რომლებიც წინადადებებს „სწმახნიან ერთად და თანმოკიდულ-ჰყოფენ ურთიერთარს"), საგანწტიალოდ (**გინა, ანუ, უკეთუ...**, რომლებიც წინადადებებს „განწუალჯთ აკავშირებენ ურთიერთარს"), გარ-მიმღეობითად (**არამედ, გარნა, თჳნიერ, მაგრა, მარტოდ...** იხმარებიან ისეთ წინადადებებში, რომლებიც წინამავალ წინადადებებთან „გარ-მიმღეობითად არიან მონაბამ"), დაწყებითად

(აწ, ხოლო აწ... რომლებითაც იწყება წინადადება და ამით იმიჯნება წინამავალი წინადადებისაგან), საესრულოდ (დაღათუ, უკეთუმცა, ხოლო, დაღათუ... ესენი, რომელსაცა ჰაზრსა სიტყჳსასა არიან მოკიდებულ, ითხოვენ სხუასაცა ჰაზრსა სიტყჳსასა". იგულისხმება დათმობითი წინადადება), წინა ალრჩევითად (ვიდრე, ვირე, უკეთუმცა... იგულისხმება დროის გარემოებითი დამოკიდ. წინადადება), მიზეზობითად (რამეთუ, იმისთჳს, ვიდრემდის, მით რომელ...), უკეთუობითად (თუ, მერმეღა, უკეთუ არა...), განმარტებითად (ესე იგი, რეცა, რომლითა მაგალითითა...), ზედ მოღებითად (სადამე, მაშა, აწ, ანუ არა... „მდევარსა მას სიტყუასა წინა-მსრბოლისაგან სიტყჳსა დანიშნულ-ჰყოფენ ურთიერთარს"), ვეტნობითად (უკუმ, ვიდრემდე, ხოლო, რაღა... იხმარებიან მომდევნო წინადადებების „ადჳლ დაწყებისათჳს") საიჯოდ (ნუ უკუმ, ნუ თუ...). ავტორი ხაზს უსვამს ზმნიზედებისა და კავშირების ერთობლიობას: მაგალ., აწ ზმნიზედაა და ამავე დროს გამოყენებული კავშირად: კჳალად აღსავლობითი ზმნიზედაა, მაგრამ ამასთანავე შეწმახტნითი კავშირია; ვინა ადგილობითი ზმნიზედაა, ამასთანავე მიზეზობითი კავშირია და ა. შ. შენიშნულია ისიც, რომ ერთი და იგივე კავშირი სხვადასხვა ფუნქციის მატარებელია, სხვადასხვა კონსტრუქციაში მონაწილეობს, მაგალ., გინა, ანუ წმახტნითი კავშირებია და ამავე დროს განწუალებითნი კავშირებიცაა.

სოლომონ დოდაშვილის გრამატიკაში („შემოკლებული ქართული ღრამმატიკა", ტფილისი, 1830) ერთ-ერთი თავი („თავი მეშჳდე — კავშირისათჳს", გვ. 54) მიეძღვნება კავშირთა კლასიფიკაციას. მნიშვნელობის მიხედვით კავშირების 9 სახეობაა გამოყოფილი: შეერთებითნი (და, ხოლო, ეგრეთუ, ესრეთუ, არათუოდენ, არამედ, ცა...), განყოფითნი (ანუ, გინა, ანუთუ, გინათუ...), უკეთუობითნი (უკეთუ, თუსადამე, ოდეს, მაშინ...), წინაალმდგომდადებითნი (გარნა, არამედ, ხოლო, სხვებრ...), ნებართჳთნი (თუმცა-ღა, უკეთუმცა, დაღათუ, დაღათუმცა, მართლად...), მიზეზობითნი (ვინაჲთგან, ამისთჳს, ვითარმედ, მით, რამეთუ, რომელ...), კიდურმდგომოობითნი (მაშასადამე, მაშა ამისებრ...), განმარტებითნი (ესე იგი, ესე იგი არს, რომელ არს...), მეტობითნი (უკუმ, ხოლო, ვიდრემე...), კავშირებს ავტორი უბრუნდება გრამატიკის იმ ნაწილში, სადაც განიხილავს სინტაქსურ საკითხებს; აქ დასახელებულია სხვა ერთეულებიც.

მარი ბროსეს წიგნში (Eléments de la langue Géongienne. პარიზი, 1837) მოცემულია კავშირთა შემდეგი კლასიფიკაცია: მაჯგუფებელი — და..., მაცალკევებელი—ანუ, გინა, თუ..., მიმართები-

თი — **არამედ, გარნა...,** დასკვნითი — **აბა, აწ....** მიზეზობითი — **ამით, ვითარმედ, ვინაჲდგან, რათა, რომელ...,** დაეჭვებითი **თუ-სადმე, ნუ-უკუჱ, ხოლო...** და სხვ.

პლატონ იოსელიანის გრამატიკაში („პირუჱლ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა", 1851 წ.) კავშირები განხილულია ცალკე თავად (თავი მეშჳდე „კავშირისთჳს"). კავშირის საზოგადო განმარტების შემდეგ იოსელიანი ჩამოთვლის საკავშირებელ სიტყვებს შინაგანი კლასიფიკაციის გარეშე. ავტორი დასძენს, რომ „კავშირადვე შეირაცხებიან მარცტალნი: ვე, ვ, კი, მე..." ზოგიერთი კავშირის ფუნქციური დახასიათება მოცემულია მერვე თავში.

დიმიტრი ყიფიანის „ახალ ქართულ გრამმატიკაში" (1882) კავშირები დაყოფილია მარტივ და რთულ კავშირებად. არც განმარტებისა და არც დასახელებული კავშირების მიხედვით არ არის ნათელი, რა საფუძველზეა დაყრდნობილი ეს კლასიფიკაცია.

დ. ჩუბინაშვილი თავის ქართულ გრამატიკაში (1887 წ.) იძლევა კავშირთა შემდეგს კლასიფიკაციას: შემაერთებელნი (და, ვე, ცა, რომ...), განმყოფელნი (ან, ანუ, არც, გინა...), თუობითნი (თუ, ოდესმე, თუმცა...), წინააღმდეგობითნი (გარნა, არამედ, მაგრამ, თჳნიერ, თორემ, ვიდრე...), შეკითხვითნი (აბა, უკვე, მაშასადამე...), მიზეზობითნი (ამით, ამად, ამიტომ რომ, ვინათგან, რომელ...), განცხადებითნი (ესე იგი, ვითამც, სახელდობრივ...) და განზრახვითნი (ვინა, ნუ უკვე, თუმცა).

1887 წ. გამოცემულ „ქართული გრამმატიკის ტერმინოლოგიაში" (სილოვ. ხუნდაძის წინასიტყვაობით) მოცემულია შემდეგი ნომენკლატურა კავშირებისა: 1. შეერთებითნი (соединительные), განყოფითნი (разделительные). მიზეზობითნი (причинные), პირობითნი (условные), შედარებითნი (сравнительные), წინააღმდეგობითნი (противительные), დათმობითნი (уступительные), მიმდევრობითნი (последовательные), განმარტებითნი (изъяснительные), დასკვნითნი (заключительные).

„ქართული სწორმეტყველება" პ. კვიცარიძისა (1888) გვაწვდის შემდეგს კლასიფიკაციას: გადაბმითნი (და), პირობითნი (თუ, როცა, ვინაითგან, რათგან, ოდეს...), შედარებითნი (როგორც, ვითარცა), მიდევნებითნი (ზოგჯერ... ზოგჯერ, ხან... ხან), განმარტებითნი (ამისთვის, ამიტომ, ამად), გარემზომობითნი (მაგრამ, კი, არამედ, ხოლო, თორემ...). არა ჩანს, რატომ მიიჩნევს ავტორი პირობითად კავშირებს — როცა, რათგან... ამათთვის კონტექსტები არაა მოტანილი. განმარტებით კავშირებად (ამისთვის, ამიტომ, ამად), როგორც ჩანს, ავტორს კორელატი სიტყვები მიუჩნევია. ეს აშკარაა იქვე მოცემული

კონტექსტიდანაც. გარემზომობითს ავტორი განმარტავს ასე: „გამოხატავენ ორის აზრის პირის პირობას“ (იხ. §§ 213, 214, 215, 216, 217, 218).

თედო ჟორდანია თავის „ქართულ გრამმატიკაში“ (1889) კავშირებს ცალკე არ განიხილავს და საერთოდაც არა აქვს მსჯელობა მათ გარშემო. ეს კია, რომ დამოკიდებული წინადადების სახეობათა დადგენისას (§ 20) საილუსტრაციო მასალაში დაყოფით აქვს დაბეჭდილი ზოგიერთი კავშირი (სადაცა, მით რომე, ვირე...). **რა, რომელიც** მიმართებითს ნაცვალსახელებზე ლაპარაკია IV თავში, რომელიც მიეძღვნება ნაცვალსახელებს. ავტორი შენიშნავს, რომ **რომელიც** ნაცვალსახელისაგან მომდინარეობს შემოკლებული **რომ—რო.**

არ. ჭუთათელაძეს ცალკე თავში — „კავშირი“ მოცემული აქვს სხვადასხვა ტიპის წინადადების მაგალითები და ხაზგასმულად წარმოგვიდგენს მათში კავშირებს (ესენია: და, თუ, რომ, ან.. ან, სანამ, რადგან, როცა რომ და სხვ.). ცალკეა მითითებული (უკონტექსტოდ) კავშირებზე: თუმცა, ვითომც, ვინაითგან, მაგრამ... კავშირადვეა მიჩნეული ნაწილაკები: ვე, ცა და სხვ. (იხ. სხვადასხვა გამოცემა „პირველ-დაწყებითი ქართული გრამმატიკისა“).

სილ. ხუნდაძის ქართული გრამატიკის ჯერ კიდევ პირველ გამოცემაში კავშირები განხილულია დამოკიდებული წინადადების სახეობებთან ერთად. ავტორის კლასიფიკაციით, გვაქვს დამატებითი, განსაზღვრებითი, ადგილის გარემოებითი, დროის გარემოებითი, მიზეზის გარემოებითი, მიზნის გარემოებითი, ვითარების გარემოებითი კავშირები.

მოსე ჯანაშვილთან („ქართული გრამატიკა“, 1906) შეერთებით კავშირად დასახელებულია **და** და ამასთანავე ნაწილაკები **ვე, ცა, ღა.** პირობით კავშირად მოცემულია **თუ** და ამასთანავე **როცა, ოღონდ, ოდეს, რადგან.** მოყვანილია მაგალითები, სადაც, როგორც ჩანს, ავტორი ჯერს პირობითობის გაგებას. **„როცა** მოხვალ, გულღიად დაგხვდებით“: **ოღონდ** კარგა ისწავლე, სახარჯო განუწყვეტლად მოგივა“; **„ოდეს** ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად“; **„რადგან** საქმეს შეუდექ, ბოლოც გაატანე“. შედარებითი კავშირებია **ვითარცა — ეგრეცა, როგორც — ისე, ვიდრე.** ხანდაზმით კავშირებად მიჩნეულია **ხან... ხან, ზოგჯერ... ზოგჯერ.** განმარტებით კავშირებად ავტორი ასახელებს სიტყვებს: **მისთვის... რომ, მაგრამ, თუნდ, თორემ, არც.... არც, თუ...** და ბოლოს, კითხვითი კავშირებია „განკვირვებითი ნაწილაკები“: **კი, ხომ; განა, ხომ.**

ი. ნიკოლაიშვილის ჯერ კიდევ 1912 წ. გამოცემულ „ქართულ მოკლე გრამატიკაში“ ფართოდაა წარმოდგენილი კავშირები დამო-

კიდებული წინადადების გარჩევის დროს. აღსანიშნავია, რომ ავტორი ხაზს უსვამს კორელატ-სიტყვების არსებობას. მაგალ., განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების კავშირებად დასახელებულია **რომელიც, რომ, როგორიც, ვინც, რამდენიც** და იქვე მითითებულია, რომ ამ სიტყვებს მთავარ წინადადებაში ეპირისპირება სიტყვები: **ის, იგი, ასეთი, ისეთი, იმდენი.**

ნ. მარის „ძველი ქართული ენის გრამატიკაში" (Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925) მოცემულია ზოგიერთი კავშირის ეტიმოლოგია. ისინი გათვალისწინებულია წინამდებარე ნაშრომში სათანადო ადგილას.

ა. შანიძის როგორც მეცნიერულ, ისე სასკოლო გრამატიკაში მოცემულია პირველი მეცნიერული კლასიფიკაცია ქართული ენის კავშირებისა (ახალი ქართული ენის მიხედვით). ა. შანიძისეული ტერმინოლოგია და ფუნქციური განაწილება კავშირებისა ამ ჩვენს ნაშრომში მიღებულია საფუძვლად.

სპეციალურ ნაშრომთაგან, სადაც განხილულია ჩვენი ენის კავშირები, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კარპ. დონდუას გამოკვლევა — „მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში" (ენიმკის მოამბე, V—VI, 1940), რომელშიც ახალი თვალსაზრისით შესწავლილია სინტაქსური ასიმილაციის საკითხები. ამ ნაშრომს, რომელიც აგებულია ძველი ქართული ენის მასალაზე, მნიშვნელობა აქვს ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

კავშირები განხილული იყო აგრეთვე კარპ. დონდუას მოხსენებაში — „დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში", რომელიც გამოქვეყნებულია თეზისების სახით („საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XV სამეცნიერო სესია 1944 წლის 28—29 თებერვალს და 1 მარტს", 1944 (შესულია მის „რჩეულ ნაშრომებში", I, 1967).

კარპ. დონდუას ნაშრომებში მოცემულია პირველი დასაბუთებული და სერიოზული ცდა ქართული რთული წინადადების გენეტური საკითხების გამოკვლევისა კავშირთა ბუნებისა და თვისების გათვალისწინებით.

დამოკიდებული წინადადების ზოგიერთი წევრ-კავშირი, კერძოდ — მათი მიმართება ზოგიერთ ნაწილაკთან, გაანალიზებულია ვ. თოფურიას გამოკვლევაში: „ძი ნაწილაკი ქართულში" (ენიმკის მოამბე, XIV, 1944, მოხსენებული იყო სტალინის სახელობის თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის ღია

სხდომაზე 1942 წ.). ნაშრომში მოცემულია თუ კავშირის ეტიმოლოგიაც.

კავშირები ჰიპოტაქსის პრობლემასთან დაკავშირებით განხილულია გ. როგავას ნაშრომში „ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში“ („ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, VIII, 1948), რომელიც ადრე (1943 წ.) ავტორის მიერ მოხსენებული იყო ენის ინსტიტუტში.

რამდენიმე კავშირის მნიშვნელობა ძველ ქართულში (ბერძნულ და სომხურ ენებთან შეპირისპირებით) დახასიათებულია თ. უაუხჩიშვილის შრომაში: „ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში“ („იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 1, 1946).

მიმართებითს ნაცვალსახელთან („რომელი“) დაკავშირებული საკითხები განხილულია სიმონ უაუხჩიშვილის სპეციალურ გამოკვლევაში: „ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები. 4. რომელი“ (ა. შანიძისადმი მიძღვნილი „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, XXX, 1947). ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ ნაწილაკდართული რომელ იხმარება როგორც მიმართებითი, ისე ჩვენებითი მნიშვნელობით.

გამოქვეყნებულია ფ. ერთელიშვილის „რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში. I“ (1962).

აღსანიშნავია აგრეთვე ვუკ. ბერიძის ნაშრომი „და კავშირისათვის ვეფხისტყაოსანში“.

კავშირებს ეხება ა. კიზირია თავის ნაშრომებში, სადაც განხილულია წინადადების საკითხები (იბ.-კავკ. ენათმ. IV, V, VI, VIII და სხვ.).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კავშირების სახეობანი დახასიათებულია ლ. კვაჭაძის „ქართული ენის სინტაქსში“ (1966).

თავი მეორე

მაერთებელი კავშირები

მაერთებელი კავშირი მონაწილეობს შერწყმულ და თანწყობილ წინადადებათა კონსტრუქციებში, — ამიტომ შეიძლებოდა მისთვის შერწყმა-თანწყობის კავშირიც გვეწოდებინა.

ამ ტიპოლოგიის კავშირები ოთხ ჯგუფს ქმნიან. ერთი სახეობა კავშირებისა აჯგუფებს სიტყვებს ან წინადადებებს, მეორე — აცალკევებს, მესამე — უპირისპირებს და მეოთხე იგივეობის გამომხატველია. ამის შესაბამისად გვაქვს: მაჯგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირისპირებელი და მაიგივებელი კავშირები.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

1. მაჯგუფებელი კავშირები

მაჯგუფებელი კავშირებია:

და	**ნუ(ცა)... ნუცა**
თუ	**ნურც... ნურც**
არც(ა)... არც(ა)	**არა... არამედ**
აღარც... აღარც	**როგორც... ისე**
ვერც(ა)... ვერც(ა)	

მაჯგუფებელი კავშირი და აკავშირებს როგორც წინადადების ცალკეულ სიტყვებს, ისე მთელ წინადადებებს.

პირველ შემთხვევაში იგი შერწყმული წინადადების კავშირად გვევლინება, მეორე შემთხვევაში და თანწყობილი წინადადების კონსტრუქციისთვისაა დამახასიათებელი.

დავიწყოთ შერწყმული წინადადებით.

შერწყმულ წინადადებაში და კავშირი აერთებს ერთგვაროვან წევრებს.

განვიხილოთ ისეთი კონსტრუქცია, როდესაც ერთ ქვემდებარესთან მოცემულია რამდენიმე შემასმენელი:

და გარე მოგადგენ შენ და შეგკრიბონ შენ ყოველით კერძო... (ლუკა 19, 43); მოვიდა იესუ და მოიღო პური იგი და მიხცა მათ... (ხანმ.: იოვ. 21, 13); და ეკიცხევდენ მას და სტანჯვიდენ მას და ჰნერწყუვიდენ მას და მოკლან იგი... (მარკოზ 10, 34); მოვიდა და მოიწია ჟამი იგი შეწყნარებისა ჩუენისაჲ (ბოლნ. 6,22); ბრძანე და მოვედ ჩუენთანა... (კოლ. 59, 143); და მივიდა იგი კაცისა მის კელმწიფისა და ულოცა მას და განკურნა იგი და ამცნო მას და ჰრქუა... (ასურ. 19, 21); და მათ დღეთა-შინა მოიწივნეს კაცნი ვინ-მე ბოროტნი და დაემკჳდრნეს იერუსალჱმსა-შინა (წარტყუენ. ე, 11); ხოლო მღდელმან ამან მიიღო ნამჭერი ერთი კრავისაჲ მის და შეჭამა და ნაშტი იგი განუყო ყოველსა ერსა თითოჲ ნაჭერი (რავახ. 84, 17); მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაჲ (შუშან. 4, 1, 29); ხოლო წმიდამან მან შერისხნა ეშმაკთა მათ და განდევნნა მათ-გან და შეახო თუალთა მის დედაკაცისათა და ყო იგი მხედველ... (ქიმ. 328, 27); ყოველთა თანა მორწმუნეთა ყოვლადვე გილოცვიდა და გაჯსენებდა და დიდად ხოლო გაქებდა (ხანძთ. ჲდ, ჲბ, 36).

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, ძველ ქართულში და პირველი შემასმენლის შემდეგ იმდენჯერ მეორდება, რამდენი ზმნა-შემასმენელიც მოსდევს მას.

გავეცნოთ საშუალო ქართულის ფაქტებს:

ზღუასა შიგან ჰზი უნაო და შიგან თუალსა პატიოსანსა ეძებ და აღარაოდენ მოელი მშუიდობით გამოსლვასა (ვისრ.); დალოცეს და მეფედ დასვეს (რუსთ. 46, 2); უკუდგეს და თაყვანი-სცეს მეფემან და მისთა სპათა (რუსთ. 46. 1); შემოგვხედნეს და გვიცნეს და გაგულოვნდეს... (ამირან. 94, 15); მელი ამ რჩევაზედ დაემტკიცა და მის მძორისაგან ხელი აიღო და... სიმყრალე ესუნა (ქილილ. 139); მაშინვე თავი დანაშაულზედ დადვა და შენდობის თხოვნა დაიწყო და ხელფერხთა შეკრულობა პატივით გაუხსნა და პირობა დაუდვა (ქილილ. 100); აკიდა მრავალი საჭურჭლე და იგი ტყვენი შეკრულნი თანა წაატანა და გაუგზავნა პაპასა (პროზ. შაჰნ. 424); ...ჩხერს ვიყავ და ვიყავ და ისევ დვალეთს წამოველ და იქიდამ ოსეთს ფაიქომში გარდმოველ და ერთს წელიწადს იქ ვიდექ (არჩ.); იტირეს ბევრი მეფის წინ და ღვარეს ცრემლი ცხელია (გურამ. 312,2).

როგორც ჩანს, საშუალო ქართულშიც მიღებულია რამდენიმე შემასმენელთან და კავშირის განმეორება.

ახალი სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელია და კავშირის გამოყენება უკანასკნელი შემასმენლის წინ:

ვერავის ანდობდა თავის გულის დარდს, ვერავის უბედავდა და ვერავის გადაუშლიდა ფიქრებს.

და კავშირი აერთებს აგრეთვე რამდენიმე ერთნაირ დამატებას: და იხილა მუნ მგოსნები და ერი კრებული და შფოთი (მათე 9,23); ხოლო კელმწიფეთა მათ მოილოცნეს მიძნაძოროჲ, წყაროჲს-თავი და ბარეთელთაჲ და ადგილნი მათნი (ხანძთ. ლგ, კწ, 7); და მოიპოვოს სიმდაბლჱ და სიყუარული და გლახაკთა მოწყალებაჲ და უცხოთა შეწყნარებაჲ (ასურ. 12,37); და თანა წარიყვანნა ცოლი და შვილნი და მონა-მჴეველნი მისნი (შუშან. 40, XVI, 2);... დღე ყოელ მიბოძის... საჭურჭლე და საქონელი... (პროზ. შაჰნ. 419); გირჩევ, დაეკსენ მაგდენსა ცრემლსა და ოფლში ცურვასა (გურამ. 309,4).

ჩვენ დავიმოწმეთ მაგალითები, საიდანაც გამოირკვა, რომ და აჯგუფებს შერწყმული წინადადების ერთნაირ წევრებს — შემასმენელს, დამატებას. ასევე აჯგუფებს იგი ერთგვაროვან ქვეშდებარეებს, განსაზღვრებებს, უბრალო დამატებებს, გარემოებითს სიტყვებს.

და გამოყენებულია აგრეთვე თანწყობილი წინადადებების კავშირად.

გავეცნოთ მაგალითებს:

მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან მან და ანგელოზნი მოვიდეს და ჰმსახურებდეს მას (მათე 4,11); დღეს მზეჲ იგი სიმართლისაჲ ირდანისა მდინარესა ჯორცითა გამოუჩნდების და ნათელი ღმრთეებისაჲ წყალთა მით შინა გაბრწყინდების და უბრალოჲ იგი კელითა წინამორბედი შიშით გუაჩუენებს ყოველთა მეუფესა... (ჭ.-ეტრ. 22, V); ...დაჰკსენით ტაძარი ესე და მე აღვაშჱნო იგი მესამესა დღესა (არიმათ. 8,4); და არს ჭალაკი იგი უდიდეს ყოველთა ჭალაკთა და მკჳდრ იყო მუნ ერი აურაცხელი... (კიმ. 131,16); მარჯუენაჲ დამბადებლისაჲ და წმიდათა ოხაჲ მარადის გფარავს და მცველი იგი დაუძინებელი ყოვლადვე მცველ არს შენდა და ნათელი დაუღამებელი უძღჳს მეფობასა შენსა და არა საკმარ არს მისსა ბრწყინვალებად სანთლისაჲ... (ხანძთ. კწ, კდ 28); მზე არის ნადიმი ჩემი და მწდე ჩემი მთუარე და მით ვარ მხიარულიო (ვისრ. 143, 31); ომი გარდაქდა დიდი და ვერა რომელმან აჯობა (ამირან.

113,10); სისწრაფე გვიჯობს და ჩვენგან ომისაგან მეტი არ ეგების (პროზ. შაჰნ. 420); შენ ხომ ჩემი ტომი და ნათესავი არა ხარ და შენთან რაჲ საალერსო მაქვსო? (ქილილ. 235); ერთი აზრი-ღა უმაგრებდა გულს და ეს აზრი იყო ძმად ნაფიცის წინაშე მოვალეობა (ყაზბ. 68);... ზიზღით და წყევლით ახსენებს იმის სახელს და ეს ფიქრები ლახვარსავით დაუვლიდა გულში (ყაზბ. 50); ...ერთხელაც იქნება ჩამივარდებიან ხელში და მაშინ ნახე იმათი სეირიო (ვაჟა 213); სამზარეულო მზარეულებს ეჭირათ ხელში და ისინიც ხაბაზების კვალობაზე მიდიოდნენ (აკაკი 410).

და კავშირი აერთებს ისეთ წინადადებებსაც, რომლებიც მაცალკევებელი კავშირით არიან ერთმანეთთან შეერთებული: **ან (ანუ), არც, ხან...** კავშირებთან შეხამებით.

იგულისხმება ამ ტიპის ნიმუშები:

A

რაღა გითხრა მაშინდელი უკუყრა და ა ნ უ შუება (შაჰნაეაზ. 115,1); ამის მეტი სხვა რა არის წლის ბრუნვა და ა ნ უ თარი (არჩ.)... ან ფიცისათვის მეღალატნა და ა ნ კაცი მომეკლა (ილია 316,28);... რომ ერთხელვე გაემაგრებინათ სუფრის ფეხები და ა ნ ბიჭები დაეყენებინათ... (აკაკი 395); ან რა მოაქვთ ნეტა ამდენი და ა ნ რა აქვთ წასაღები (აკაკი 445); ...მომკვდარიყო და ა ნ ის მოეკლა (ვაჟა 85); რაზე, რისთვის ვცემთ და ვლანძღავთ ა ნ ყორანს და ა ნ მგელსა (ვაჟა 100)

B

ა რ ც მასვეს და ა რ ც მაჭამეს (გურამ. 180,1): ეს პაღური ა რ ც მეპაღურეებს და ა რ ც საპაღურეს არა სწყენიათ (აკაკი 397); ამას ა რ ც არას ჩვენ ვნაღვლობდით და ა რ ც უფროსები გვეკითხებოდნენ (აკაკი 422); ...ა ღ ა რ ც ექიმი დამჭირვებია და ა ღ ა რ ც წამალი (აკაკი, 421); არავითარ ზარალს არ აძლევს ა რ ც ვაცით და ა რ ც საქონლით (ვაჟა 70);... ა რ ც წინაპართ და ა რ ც ახლებს არავის უნახავს და ა რ ც გაუგონია... (ვაჟა 85); ხ ა ნ მე გავუცინებდი და ხ ა ნ ი ლ ი ა; ხ ა ნ მამა მელანდებოდა და ხ ა ნ ჩემი ძმა; ხ ა ნ შენ და ხ ა ნ მე.

და კავშირით შეერთებულ თანწყობილ წინადადებათაგან უნდა გამოვყოთ ისეთი კონსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს დაპირის-

პირებულ წინადადებას. ფუნქციურად და ამგვარ ვითარებაში ხოლო-ს ეტოლება, მისი შინაარსის გამომხატველია:

რავდენნი მუშაკნი მამისა ჩემისანი განძღებიან პურითა და დაუშთების ნეშტი მისგან და მე ყ~ლად შიმშილითა წარვწყმდები (ბოლნ. 36,3); ხოლო აწ შენ ხოლო მარტოდ გხედავთ და სხუასა არავის (ანტიოქ. 116,9); ჩემმან მან გულმან სიტყუაჲ შვა და დ~თისაგან კაცი (იპოლ. იზ. 218); ხოლო მან უხეთქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა და მან ვერღარა იკადრა სიტყუად (შუაშან. 26, VIII, 13); მე ცეცხლსა ვაძლიერებ და შენ წყალსა ასხამ (ვისრ. 218,22); მე მაისი ვარ და შენ გაზაფხული (ვისრ. 213,12); თქვენ წაბრძანდით და მე ამას საცთურისა მუქაფას შევზღავო (ქილილ. 185); ...ჯაშუში გაუგზავნა თურის ლაშქარს სანახაჲად და თვითონ მოისვენა (პროზ. შაჰნ. 422); ის იმაზე იჯდა და მე წითელს ცხენზე (რუსუდ. 922,10); მე შვილი ვარ და ეგ მამა (გურამ. 326,3); (დაიწყო) პოვოსკამ ქვებზედ ხტომა და მე ლაყლაყი ხან აქეთ და ხან იქითა (ილია 248,22); მამა გენერალი იყო და დედა — თარხნიშვილის ქალი (აკაკი 476); ერთი შავარდნისაა მთელს დედამიწის ზურგზე და მეორე — შურთხისა (ვაჟა 128).

საშუალო ქართულის მოგვიანო პერიოდიდანვე და კავშირს — დაპირისპირების ფუნქციით — უჩნდება კომპონენტი კი ნაწილაკი, რომელიც ენაში მაპირისპირებელ კავშირად მკვიდრდება:

ვინ ბაასობდეს, ღვინოს სმენ და მე კი მამაწყურესა (არჩ.); შეჰმა ველარ მოასწრო და შენ კი სათამაშოდ დაბრძანდები (აკაკი 439); მძინარის ყველას ეშინოდა და ფხიზელს-კი არავინ ერიდებოდა (აკაკი 401); სირცხვილით ვერ გადმოვაგდე და შენ კი ლოცვა გააჭიანურეო (აკაკი 396); სხვისი რა მოგახსენო და მე კი ასე ვიყავი (აკაკი 440); თვალი გადაავლოს შორეულ გზას და მერე კი საუკუნოდ ჩაინთქას (აკაკი 384); ...იმერული კილოთი უკიდებ და მე კი წმინდა ქართული ვიცოდი (აკაკი 453); დიაცი ტირის და ვაჟკაცი კი სისხლს იღებს (ყაზბ. 44); შუაღამე გასული იყო და მე-კი პიროფლიანი შეშაზე ცულს ვასკარტუნებდი (ვაჟა 15); არცა ხელი აქვს, არც ფეხი და პერანგს კი იცვამს (გამოცანა).

და კავშირის -ც(ა) ნაწილაკთან მიმართების გასათვალისწინებლად უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, სადაც და შეხამებულია -ც(ა) ნაწილაკთან, ეს უკანასკნელი დაესმის წინადადების იმ წევრებს, რომელთაც აჯგუფებს და კავშირი:

ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თ ა ვ ი ც ა მოს-

თხაროთ და მოყვარეცა (სიბრ.-სიცრ. 48,3); იმას ხალხიცა და ცხოვრებაც ბიუროკრატიულად, ბატონკაცურად ესმოდა (აკაკი 479); სულ სხვა თვალით მიყურებდენ ამხანაგებიცა და უფროსებიც (აკაკი 436); ყველა შიშის ქარმა აიტანა, მასწავლებელიცა და მოსწავლეებიც (აკაკი 431); იმ დღიდან გვიმალავდენ ლარსაც და საჩეჩელსაც (აკაკი 388); ...ისიც ტყის შვილია და მეც (ვაჟა 44); დაავიწყდათ თავისი თავიც და მასპინძელიც (ვაჟა 54).

ზმნის ტავტოლოგიური განმეორება და კავშირის საშუალებით მნიშვნელობის გამაძლიერებელია:

შეეშლებოდა თუ არა ბავშვს კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა (აკაკი 497); ის კი ჟღურტულებს და ჟღურტულებს (ვაჟა 3); გალობს და გალობს (ვაჟა 43).

ცალკე უნდა გამოვყოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც და კავშირი აერთებს სინონიმებს, სინონიმური წყვილის მაჯგუფებელი კავშირია.

ლიტერატურის თეორიაში გარკვეული ადგილი ეთმობა სინონიმიკის პლეონასტურ მოვლენებს. სინონიმების პარალელურად ხმარება გაგებულია, როგორც აზრის გამაძლიერებელი საშუალება, მაქსიმალური ლიტერატურული ეფექტის ერთ-ერთი მეთოდი პოეტურ ენაში. ვგულისხმობთ ისეთი ტიპის წყვილებს, როგორიცაა, მაგალ.: „მშვენიერი და ლამაზი“, „სადა და მარტივი“, „ძლიერად და ღონივრად“ და მისთანანი. ეს არის თავისებური რიტორიკული ფიგურა, ანუ შეუცნობელი ტავტოლოგია, რომელიც ფეხმოდგმულია ჩვეულებრივს სიტყვახმარებაშიც. მაგრამ ასეთ პარალელურ სინონიმურ რიგებში არის განსაკუთრებული სექტორი სინონიმებისა, როგორიცაა, მაგალ.: „ხვეწნა და მუდარა“, „ფიცი და ზენაარი“ და მისთ. ესენიც სინონიმური წყვილებია. ამ ტიპის ფორმებიც ერთ სიბრტყეზეა მოქცეული პირველი რიგის ფაქტებთან და ახსნილია, როგორც აზრის გაძლერების მიზნით გამოწვეული სინონიმური განმეორებანი, სინონიმური ტავტოლგია.

არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე მოვაქციოთ, ერთი მხრით, „კოხტა და მშვენიერი“ და, მეორე მხრით, „ფიცი და ზენაარი“. თუ პირველი შემთხვევისათვის სწორია ტრადიციული კვალიფიკაცია, მეორე რიგის სინონიმური წყვილები ამ ნიადაგზე არ აიხსნებიან.

ვცადოთ ამ მოვლენის ახსნა.

ეგ საკითხი უკავშირდება სიტყვათსესხების პრობლემატიკას.

ცნობილია, რომ სიტყვის სესხება არ განისაზღვრება მარტოოდენ საჭიროებით, ცნების სესხების შედეგად, შესაძლოა საგანი. resp. ცნება ნაცნობი იყოს, სათანადო სიტყვიერი გამოსახულებაც არსებობდეს, მაგრამ ენა მაინც სესხულობდეს უცხოურ სიტყვას.

ჩვენთვის აქ საინტერესოა ის შემთხვევები, როდესაც ენა სესხულობს სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ სათანადო ეკვივალენტი მას მოეპოვება. ამ გზით ვღებულობთ სინონიმებს: ერთია საკუთარი ლექსიკური ფონდისა და მეორე — ნასესხები. მაგალ., შემოვიდა არაბული „ხანჯალი" („ხანჯარი"), მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა ქართული „სატევარი". როგორია ამ პირობებში უცხოური სიტყვის გავრცელების გზები ახალ ენობრივ ნიადაგში?

ქართულ ლექსიკაზე დაკვირვებამ იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ როდესაც უცხოური ენიდან შემოდის სიტყვა და მას ადგილობრივ ხვდება იმავე მნიშვნელობის სიტყვა, ერთხანს ისინი ერთად იხმარებიან, პარალელურად და გამოხატავენ ერთ ცნებას. ენაში ამ ბუნებრივად გამომუშავებული ფორმულის მიზანია გაავრცელოს ეს უცხოური ტერმინი, ერთგვარად განმმარტებლის ფუნქცია იკისროს ადგილობრივმა ეკვივალენტმა უცხოური სიტყვის მიმართ, „შემოიყვანოს" იგი ახალ ენობრივ სინამდვილეში. და როდესაც უცხოური სიტყვა მოქალაქეობრიობას მოიპოვებს „მიმღებ ენაში", შემდეგ ჩამოსცილდება მას ეს „გზირი"-სიტყვა, უცხოური სიტყვა უკვე შეთვისებულია. სინონიმების წყვილად ხმარების სხვადასხვა გრამატიკული საშუალება არსებობს: უმთავრესად მათ შორის ჩაისმის და კავშირი, ან კომპოზიტურად იხმარებიან. ანდა ერთმანეთის გვერდით არსებობენ ტავტოლოგიურად.

სინონიმური წყვილი ჩვენ გვესმის, როგორც უცხოური სიტყვის დანერგვისათვის შემუშავებული ფორმულა. ამ მოვლენისათვის შესაფერისად მიგვაჩნია შემოვიღოთ სახელი: „სინონიმური პარალელიზმი".

ამრიგად, შეუძლებელია თანაბარი შეფასება მივცეთ, ერთი მხრით, წყვილს „მშვენიერი და ლამაზი" და, მეორე მხრით, წყვილს „ფიცი და ზენაარი". თუ პირველი რიგის ფაქტები მართლაც „აზრის გამაძლიერებელი ფორმებია", სამაგიეროდ მეორე რიგის ფაქტებს „რაციონალური საწყისი" აქვთ, უცნობი სიტყვის ნაცნობად ქცევის საშუალებაა. შეიძლება გამოინახოს ამ ორი რიგის მოვლენათა გამიჯვნის გრამატიკული საშუალება: პირველ შემთხვევაში ადიექტიური ფორმები ქმნიან წყვილებს, ხოლო მეორე შემთხვევაში — სუბსტანტიური ფორმები.

საკითხის ისტორიისათვის აღსანიშნავია ნ. მარის ძიება ამ

მიმართულებით. „ეეფხისტყაოსნიდან“ რამდენიმე მაგალითის ჩვენებით მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ქართულ-უცხოური ლექსიკური მასალის პარალელებზე, მაგრამ ამ მოვლენას იგი ერთ სიბრტყეზე ათავსებს სტილისტიკური ხასიათის განმეორებებთან: ეს არისო, — ამბობს მარი, — შეუცნობელი ტავტოლოგია ანუ შეუცნობელი რიტორიკული ფიგურა (იხ. მისი „Витязь в барсовой шкуре“ Шоты из Рустава, 1917, გვ. 485).

ჩვენ აქ გვაინტერესებს მხოლოდ ისეთი სინონიმური პარალელიზმი, რომელიც გაერთიანებულია და კავშირით (სხვა სახეებს დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა ჩვენს წერილში: „ცნება სინონიმური პარალელიზმისა“: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 11, № 7, 1941 წ. აგრეთვე იხ. „სიტყვის სესხება“: მნათობი, 7, 1947 წ.).

გავეცნოთ ფაქტობრივ მასალას.

(ბერძნ.) მარტჯრთა და მოწამეთა (ხანძთ.); ყრმისა და ჰაბუკისა (სპარს.) (ხანძთ.); (ბერძნ.) კერეონთა და სანთელთა (იპოლ.); მწირი და მსხემი (ბერძნ.) (აბდულმესია 5, ლზ, 54); (ბერძნ.) ასქეტოდ და მიუნაჭუსად (პეტრიწი, 1, 75, 10); (ბერძნ.) დრასტირიოთა და მოქმედთა (პეტრიწი, 11,177,9); ქენება და მუდარა (არაბ.) (ვისრ. 252.24); (სპარ.) ნიშატსა და სიხარულსა (ვისრ. 241,20): სიხარულითა და ნიშატითა (ვისრ. 191, 11); ფიცი და ზენაარი (სპარს.) (ვისრ. 233,33); სიყმე და ჰაბუკობა (ვისრ. 240, 18); (არაბ.) მუტრიბთა და მომღერალთა (რუსთ. 1077,3); მომღერალნი და მუტრიბნი (რუსთ. 368,2); (არაბ.) თათბირი და გამორჩევა (რუსთ. 546,1); მუტრიბთა და მომღერალთა (არჩ.: 191,3).

ამავე რიგისაა დღემდის შემორჩენილი სინონიმური წყვილები: ხვეწნა და მუდარა (არაბ.), ბედი და იღბალი (არაბ.), დრო და ჟამი (სპ.-სომხ.). დრო და ბორჯი (სპარს.) დიალექტურად.

სინონიმური პარალელიზმის ცნება გულისხმობს ისეთ რიგებსაც, რომელთა შემადგენლობის წევრები ა) მხოლოდ უცხოურია ან ბ) მხოლოდ საკუთარი სალექსიკონო ფონდის კუთვნილებაა.

რა გამართლება აქვს ერთი სიტყვის ახსნას მეორით, როცა ორივე საკუთარია ანდა ორივე უცხოური? როცა ორივე სიტყვა უცხოურია. ერთ-ერთი ადრეა შეთვისებული და მას უკვე აქვს უნარი შემდეგ შემოსული უცხოური სიტყვა-სინონიმი განმარტოს.

მაგალითები:

ალამი და დროშა (ვისრ. 270); დერდი და მერაყი (დიალექტ.).

თუ ორივე წევრი წყვილში საკუთარია, ისინი სხვადასხვა დიალექტური წრის წარმონაქმნია და, მაშასადამე, საჭირო ხდება ერთერთის განმარტება, როდესაც ეს სინონიმები ერთ ენობრივ მოედანზე მოიყრიან თავს.

მაგალითები:

შიშველი და ტიტველი, სვე და ბედი (|| სვე-ბედი), სიძვა და მრუშება, ნაცარი და ტუტა (|| ნაცარ-ტუტა).

ამავე რიგისაა საბუთების ენისათვის დამახასიათებელი სინონიმური პარალელების ეს ფორმები:

კნინი და მცირე, მცირე და კნინი (საეკლ. საბ. 20,6; 32,12; 69,26; 76,22; 79,7; 81,14; 82,17; 84,5; 93,28; 97,12).

კნინ-მცირე სიტყვების სინონიმობა კარგად ჩანს ოთხთავის რედაქციული ვარიანტების მასალიდანაც:

მათე 15,10 C:

ხოლო ეკრძალენით, ნუ შეურაცხყოფთ ერთსა კ ნ ი ნ ა კ თ ა ამათგანსა.

შდრ. E

ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შერაცხ-ჰყოთ ერთი მ ც ი რ ე თ ა ამათგანი.

სინონიმური წყვილის სახითაა მოცემული აგრეთვე პეტრიწის ენაში:

ამცრო და აკნინა (1, 9, 25).

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ და მაერთებელი კავშირია ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში (გულდაგულ, ცხენდაცხენ, მხარდამხარ...) და რთულ რაოდენობით რიცხვით სახელებში (ოცდაერთი, ოცდაორი და ა. შ.).

მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციით თუ საშუალო ქართულის მოგვიანო პერიოდში ისახება და ახალ სალიტერატურო ქართულში მტკიცდება, მოვიყვანოთ ზოგიერთი საამისო მაგალითი:

მისსა ეგზომ შუენებასა გაენათლა შინ თუ გარე (შაჰნავაზ. 82.2); ათიოდეს კაცი დარჩა, ხაბაზი თუ მზარეული (გურამ. 329,2); იოვანე ოქროპირი ასაფლავია და უცხოდაც შემკულია მისი საფლავი, თუ კანკელი, თუ სამწირველო (საბა, მოგზ. 19); ...მოგუირთმევია, რაცა სამკუიდრო მამისოული ბატონის წყალობა თუ ნასყიდი და ნაშოვნი ჰქონდა ყველა (საეკლ. საბ. 108,16); ...გიბოძეთ თქვენის მამულის სითარხნე მთასა თუ ბარს (დოკუმენტ. ბერძენ. 241,28); — თქვენ, აქაუ-

რები, ესე იგი ქართველები, თუ სომხები, სამეცნიერო ლაპარაკს ჩვეულნი არა ხართ (ილია 252,3); ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, ეთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება (აკაკი 383); საჭმელი თუ სასმელი მე მომიკითხე (ვაჟა 200); დაფრინავდა ტყეში, მარჯვნივ თუ მარცხნივ, აღმა თუ დაღმა (ვაჟა 94); ყველა, დიდი თუ პატარა გარბოდა მზაღვეს სანახავად (ყაზბ. 31).

უკუთქმითს წინადადებაში მაჯგუფებელ კავშირად გამოყენებულია არც(ა)... არც(ა):

ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, არცა ძემან... (მათე 24,36): ხოლო არა დაჰფარვიდა იგი არცა დღისი მზისა გან, არცა ღამჱ სიცივისა გან (ასურ. 5,7); ...არა-ვის შეიწყნარებდეს: არცა მამაკაცსა, არცა დედაკაცსა, არცა ჰაბუკსა, არცა ბერსა, არცა ყრმასა, არცა ჩჩჳლსა, არცა მღდელსა, არცა მონაზონსა, არცა ქალწულსა, არცა ქურივსა (წარტყუენ. ივ, 15); ხოლო მან არცა სწავლანი მისნი მიითუალნა, არცა შინებათა მისთა-გან შეძრწუნდა (ანტიოქ. 72,29); და სენაკსა მას შინა ცეცხლი არა ოდეს აღგზებულ იყო, არცა კანდელი აღნთებულ იყო და არცა სხუათა ძმათასა (ხანძთ. ნგ, ნ, 1); ანუ ვინ არა სტიროდის მას, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახჳლი, არცა პყრობილებაჲ ქრისტჱსთჳს (შუშან. 4,1,18); ...გიჩუენო შენ, რამეთუ არცა გული განუწყიეს და არცა განრისხნეს, არცა თუალ-გიყოფდეს, არცა ზარი განჰკვდეს, არცა ჰხედვიდეს, არცა ეშინოდის, არცა იბრძოდის, არცა დაინთქას, არცა-ღა ვითარცა ღმერთი განრისხნეს (კიმ. 135,1); ...არცა აკატ ჰრქუა მას, არცა მწუანჱ, არცა ზმურ (თუალთაჲ 28,7).

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში არაიშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც არცა-ს წინა პოზიციაზე მდგომი კომპონენტი უნაწილაკოდაა წარმოდგენილი (არა... არცა).

აი ზოგიერთი მაგალითი:

და რაოდენთა არა შეგიწყნარნენ თქუენ და არცა ისმინონ თქუენი (მარკოზ 6,11): ... არა ბრკიალებითა ჴრმლისაჲთა, არცა ღუაწლით რას აშენებდეს... (იპოლიტე კჱ, 41); და მონასტერთა მათ შინა არა არს სათხელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საჭნავი... (ხანძთ. კდ, კბ. 23); ...არა იყო სმენაჲ, არცა სიტყუაჲ (შუშან. 41, XVI, 27); არა ვიხილო გემოჲ ლეღჳსაჲ ამის და არცა შევიდეს პირსა ჩემსა (ასურ. 12,6); არა იყოს სმენაჲ, არცა ჴმაჲ და არცა ცხენსა მისსა თანა ძალი მოძრავობისაჲ (ანტიოქ.

73, 17); ... არა იყო ყოვლად კუალი მგზავრობისაჲ და არცა გზაჲ (ზარზმ. 161,24).

დავიმოწმოთ საშუალო ქართულის მაგალითები:

არცა ნადიმთა თანა ღუინისა სუმითა გავიხარებ და არცა კეკლუცთა თანა დავჯდები მათსა სიახლესა (ვისრ. 57,7); არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული (რუსთ. 522,2); მოაბადთა ნათქვამი არაოს წაკლების, არცა საუბრითა მოიღაფლვის, არცა სიფრთხილე მარგებს და არცა საწუთროს დამბადებლის შეცილება კაცთაგან იქნების (პროზ. შაჰნ. 381); ამის მეტი არც წყალი, არც სასმელი, არც საჭმელი ამის პირში არა ჩასულა რა (საბა, მოგზ. 11); სიბერემდე არცა ჭამა, არცაღა შეიმოსა (სიბრ. სიცრ. 9,16); არც ცოცხალი ვარ, არც მკვდარი (არჩ. 453,4); არც ფარანგოზს მოუსმინა, არცა ძმასა ფირანისა (შაჰნ. 3094,1); არც მამკალ, არც დამარჩინე, მატარე ზერე-ქვერეო (გურამ. 302,4); არავინ იყოს ამისი მოდავე, არცა ბატონი, არცა ყმა, არცა სახლისკაცი (დოკუმენტ. ბერძენ. 198,5).

არც... არც (აღარც... აღარც) ჩვეულებრივი მაჯგუფებელი კავშირია უკუთქმითს წინადადებაში:

არც ბატონია ვისიმე, არც ყმა (ვაჟა 123): ... აღარსად ჩემი ნაცარა, აღარც ქოჩორა. აღარც მამლაყინწა (ვაჟა 105); ეს ლოთი მასწავლებელი ყურადღებასაც არ აქცევდა თავის საგნებს, არც ალგებრას, არც გეომეტრიას, არც ტრიგონომეტრიას და არც ფიზიკას (აკაკი 441).

საბუთების ენისათვის დამახასიათებელია უკუთქმითს წინადადებაში უარყოფითი ნაწილაკის არა-ს გამოყენება კავშირის როლში -ც(ა) ნაწილაკის დაურთველად.

მაგალითები:

არაფერი სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოებოდეს რა უდაბნოს სამსახურის მეტი, — არა სამსახური, არა გაგზავნა და მუჯირობა, არა ზურის მუშაობა (ბერძენ. 1,8); ჩემგან არა გეთხოვებოდეს არა პური, არა ღვინო, არა მუშაობა, არ ულუფა, არა საჯინიბო, არა სახორსალალო, არა საბალახე... (ბერძენ. 2,12; იხ. აგრეთვე: 81,15; 120,10; 5,11); გამოსაღები არა გეთხოვებოდეს; არა ჯურუმი, არა ყალანი, არა ულაყი. არა ჩასაყარი ტიკი, არა ტომარა, არა გოჭი... (საეკლ საბ. 7,11).

შდრ. გურამიშვილთან:

სხვა იმან ყმა არ ინდომა, არ მემკვიდრე, არ ეული (329)

არც(ა)...არც(ა)-ს პირველი კომპონენტი უნაწილაკოდ შეიძლება მოგვეველინოს საშუალო ქართულშიც.

მაგალითები:

არ დაარჩენს ცალიერსა **არ** ყმასა და **არცა** ქალსა (რუსთ. 55,4): მან მდევართა მიწევნამდის **არ** უჭვრიტნა, **არცა** ნახნა (რუსთ. 95,2); ...**არ** ჩავიცუამ ტანისამოსსა, **არცა** დავჯდები ტახტსა ზედა (ვისრ. 46,19); **არ** ვიცნობ, **არცა** მასმია... (შაჰნ. 3198,3); იტყოდენ: მოარულს ცის თვალთა მისი მსგავსი მზეცა **არ** უნახავსო, **არცა** თურქთა ხელთა მისთანა რამ ჩავარდნილიყო (ქილილ. 199).

მაჯგუფებელ კავშირად ქართულ სალიტერატურო ენაში (უკუთქმითის წინადადებაში) გამოყენებულია აგრეთვე **ვერც(ა)...ვერც(ა)**.

მაგალითები:

უკმო და უსიტყუელ იქმნა და **ვერცა** მიახლებად მათდა უძლო, **ვერცა** კითხვად (ანტიოქ. 93,14); ვერ ნახეს შენი მნახავი **ვერცა** ყმა, **ვერცა** ბერია (რუსთ. 289,3); **ვერცა** ვირო მიჰხუდა მისსა ნებასა და **ვერცა** აწ მოაბად (ვისრ. 51,15); ვერა ვნახეთ რა: **ვერცა** ვეშაპი და **ვერცა** სხვა რამე სულიერი (ამირან. II, 129,9); ვერც თვალი უკეკლუცესს ნახევდა და **ვერც** ყური უამესსა ისმენდა (სიბრძ.-სიცრ. 5, 18); **ვერცა** ცრემლთ ვაფრქვევ, **ვერც** ვუბნობ თვისსა სიყვარულს, თვის ტანჯვათ (გრ. ორბელ. ლექს. 11); ...თავი ვერ დაუღწევია **ვერც** ზამთარში, **ვერც** ზაფხულში (ვაჟა 39).

ძველ სალიტერატურო ენაში ვადასტურებთ უკუთქმითი წინადადების მაჯგუფებელ კავშირს **ნუცა... ნუცა, ნუ... ნუცა:**

...არარაჲ მიიღონ გზასა ზედა, ვარნა კუერთხი ხოლო: **ნუცა** ვაშკარანი, **ნუცა** პური, **ნუცა** სარტყელსა რვალი (მარკოზ 6,8: DE შდრ. C: ... **ნუ** გუდაჲ, **ნუ** პური, **ნუცა** სარტყელსა შინა პილენძი); ნუ მოიგებთ ოქროსა, **ნუცა** ვეცხლსა, **ნუცა** პილენძსა სარტყელთა თქუენთა, **ნუცა** გუდაჲ გზასა, **ნუცა** ორი კუართი, **ნუცა** ჴამლნი, **ნუცა** არგანი (მათე 10,9-10); ნუ იკითხავ ურგებთა თჳს გამოძიებათა, **ნუცა** იურვი არა საურავთა თჳს... (ასურ. 8,40); შვილო, **ნუ** განიწირავ თავსა შენსა, **ნუცა** სიჭაბუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტეანედ და **ნუცა** ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორები (აბო 70,18); ...შეუნიერად ვიდოდეთ, **ნუ** სიმღერითა და მთრვალობითა, **ნუცა** საწოლითა ბილწებისაჲთა... (ბოლნ. 7,2).

დამახასიათებელია საშუალო ქართულისთვისაც.

მაგალითები:

კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკვეხ ვითა მთრვალი (რუსთ: 1046,1); ნუცა მას დაადნობ და ნუცა შენსა ტანსა უზამ მიწყით გაუხარებლობასა (ვისრ. 70, 23); ნუცა დღე მოისვენებ და ნუცა ღამე (პროზ. შაჰნ. 404).

დაირთავს -მცა ნაწილაკსაც:

ნუმც შენ, ნუ რამინ, ნურც ვისი კეთილს სამ შევესწრობითა (არჩ. 582,2); ნუმცა შენ ხარ და ნუმცა შენი კელმწიფე და მისი გვირგვინოსნობა (პროზ. შაჰნ. 434); ღმერთმან უშენოდ ნუმცა საწუთრო (ყოს) და ნუმცა ტახტი გვირგვინოსნობა (პროზ. შაჰნ. 441).

ახალ სალიტერატურო ქართულში გაბატონებულია **ნურც... ნურც:**

ნურც თქვენ თავს გაგვამეტებინებთ და ნურც ჩვენ ამოგვწყვეტთ ცუდუბრალოდა (აკაკი 413); ღმერთო, ნურც ჩემ ნათლიას — გიჟ-მათიას მიიყვან, ნურც მამასახლისს (ვაჟა 109) და მისთ.

ნურც... ნურც გვხვდება ადრეც, გურამიშვილის ენაში:

ნურც თქვენ სწუხთ, ნურც მე მაწუხებთ, გული მაქვს სავსე ჭირითა (გურამ. 319,4).

მაჯგუფებელი კავშირია, აგრეთვე, **არა... არამედ.** ორ ერთნაირ წევრთაგან (შერწყმულ წინადადებაში) პირველს ეხამება **არა** და იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შემასმენლის თვალსაზრისით გამოხატული მოქმედება მარტოოდენ მას არ ეხება, ხოლო **არამედ**-თან დაკავშირებული ოდენობა იზიარებს პირველის ვითარებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოხატულია ის შინაარსი, რომელიც ჩაქსოვილია სიტყვაში „აგრეთვე“. **არა**-სთან ხშირად შეხამებულია **ხოლო** და ისიც აძლიერებს სათანადო სემანტიკას. შეიძლება ამ კონსტრუქციაში შეგვხვდეს, აგრეთვე, თუ ნაწილაკი. მეორე მხრივ, შესაძლოა -ცა ნაწილაკი დაერთოს ერთ-ერთ წევრს, სახელდობრ, იმ წევრს, რომელიც მოქცეულია **არამედ**-თან:

...**არა**-ხოლო-თუ თ უ ა ლ ი თ ა და ბ ა გ ი თ ა, **არამედ** გ უ ლ ი თ ა ც ა წმიდითა (ხანმ. მრავალთავი 3,6); არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, **არამედ** ჩ უ ე ნ ც ა... (აბო 62,31); და არა თუ ხოლო ჩ ე მ დ ა მარტოჲსა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტჳლობაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ, არამედ ყოველთაჲ ჯერ-არს თ ქ უ ე ნ დ ა ც ა დაკჳრვებად ჩემ თანა (აბო 57,27); მე **არა** ხოლო

ტანჯვად განმზადებული ვარ ქრისტჱსთჳს, **არამედ** სიკუდიდცა (აბო 69,7) და მან არა ხოლო თავი თჳსი ოდენ აცხოვნა, **არამედ** სხუანიცა მრავალნი... (წარტყუენ. კე, 20); ჰმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოს წინამორბედი შენი **არა** ხოლო თუ განმზადებად გზათა შენთა, **არამედ** დამარხვად ცა სამართალთა შენთა აუწყებდა... (ჭ.-ეტრ. 227, V, 8); იქმნას სიხარული დიდი **არა** ხოლო თუ დიდსა ამას ქალაქსა, **არამედ** ყოველსავე სოფელსა (კიმ. 83, 22); და **არა** ღმრთისა ხოლო სიყუარულითა ოდენ ეტყინებოდა, **არამედ** მოყუსისაჲთა ცა (ანტიოქ. 66,29); რამეთუ ამის სახისათჳს მსგავსად სულნელებისა მოპოვნებითა **არა** ხოლო თუ მას ქუეყანამან, **არამედ** ზეცად ცა აღწევნულ... (იპოლიტე ნთ, 42); და ამის მიერ **არა** ხოლო თუ მონასტერნი მისნი განმტკიცნებოდეს, **არამედ** სიბრძნისა მისისა მდინარეთა განირწყოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი (ხანძთ. ლთ, ლგ, 20).

საშუალო და ახალ სალიტერატურო ქართულში ეს კავშირი ფართოდ იხმარება, ოღონდ თანდათან არა-სთან მტკიცდება **თუ** და, ამრიგად, გვაქვს: **არათუ... არამედ.**

...არსა სულტანი **არა თუ** შინა სამაროვნებად, **არამედ** გარე არა მედგარე თვით და ხალიფას გამკიცხოვნებად (თამარიანი IV, 8,9); **არათუ** სახისმეტყველებრ, **არამედ** ჰეშმარიტად ჯორცნი მისი არს (შარავანდ. 122,3); ეს **არათუ** პირჯვარის სახელის ღირსია, არამედ მეტანიის წოდების ღირსიც ყოფილაო (კალმას. 67,9); **არათუ** მაჩვენა, **არამედ** საჩუქრადაც მომართვა; **არათუ** მინახავს, **არამედ** მიჭამია კიდევაც.

ახალ ქართულში ჩვეულებრივია, აგრეთვე, **არამცთუ... არამედ:** ჩვენ **არამცთუ** არას ვაშაევებდით, **არამედ** თავაზიანად და მეგობრულად ვექცეოდით (გოგებაშვილი).

მაჯგუფებელი კავშირის მნიშვნელობა მიუღია კავშირს **როგორც... ისე** ახალ ქართულში:

როგორც ვაგონებში, **ისე** სადგურში საშინელი ხმაური იყო (რაჟდენ გვეტაძე); საიდუმლოების ფარდა ახადეს **როგორც** გვირაბს, **ისე** ხმიანობას (ლეო ქიაჩელი); გავიდა რამდენიმე მოუთმენელი წუთი, მოუთმენელი, **როგორც** ფანცქალასათვის, **ისე** ფათარაკისათვის (ევდოშვილი); ივანე ჯერ გაჩუმებული იჯდა და... თვალებით სინჯავდა **როგორც** ბეგს, **ისე** თავის ამხანაგს დათას (ნინოშვილი).

ასევე იკაფავს გზას **კიდეც... კიდეც, თან...თან:**

კიდეც ვლხინობდი, **კიდეც** ვმღეროდი (ილია); **კიდეც** ჭრის, **კიდეც** კერავს (ანდაზა); **კიდეც** მეტყემალებოდა, **კიდეც** ვჭამე ტყემალიო (ანდაზა): **თან** გვეშინოდა ბიცოლა ელისაბედის, **თან** გვიყვარდა ღრმა სიყვარულით (დ. კლდიაშვ.); **თან** პირს აცმაცუნებდა, **თან** მტრედებს ეტანებოდა დასაჭერად (დ. კლდიაშვ.).

2. მაცალკევებელი კავშირები

მაცალკევებელი კავშირებია:

ანუ	
ანუთუ	**თუნდ(აც)**
ანუ... ანუ, ანუ... ან, ან... ანუ	**გინდ(აც)**
ან... ან	**გინა(თუ)**
ან... ანდა	**თუ**
ანდა	**ხან... ხან**

ანუ ფართოდ გავრცელებულია ძველ ქართულში. ნიმუშები:

რაჲ ვჭამოთ **ანუ** რაჲ ვსუათ **ანუ** რაჲ შევიმოსოთ... (ხანმ.: მათე 6,31); ...ოდეს გიხილეთ შენ მშიერი... **ანუ** უძლურებასა **ანუ** საპყრობილესა... (მათე 25,44;; ჯერ-არსა შაბათსა შინა კეთილისა საქმჱ **ანუ** ბოროტისაჲ... **ანუ** წარწყმედაჲ (მარკოზ 3,4); ვითარ ანუ რაბამ იყო **ანუ** ვინაჲ მოიწია აქა (აბო, 63, 17); ... ვერღარა ვიხილეთ ცაჲ **ანუ** მზისა შარავანდედი (ზარზმ. 159,32); უკუეთუ არა მოხჳდე შინა, ჩორდ წარგცე შენ **ანუ** კარად კარაულითა (შუშან. 36.XIII,2): და მცირესა მიზეზსა ანუ სამოსელსა **ანუ** სხუასა რასმე კეთილსა შეიბრალო... (სახისმეტყ. 6, გ.42); სადა არს ნესტჳ **ანუ** კმაჲ **ანუ** ოხრაჲ მისი... (ქიმ. 134,31); და სადა არს, **ანუ** ოდეს ვიხილო... (ანტიოქ. 64,17);

ანუ კავშირს ძველ ქართულში ზოგჯერ **თუ** ეხამება:

მეუფეთა ქუეყანისათა რომელთა გამოიღიან ხარკი **ანუ თუ** ზუერი... (მათე 17,25); ...რაჲ არს პატივი მისი **ანუ თუ** საყოფელი მისი (ქიმ. 178,9); ...მივიდის, პოვის ტბური თიკოვანი **ანუ თუ**... უყსა და ბზესა ზედა ინგორის და ზჱ ეკუნწვის (სახისმეტყ. 23, იზ, 5); ვინაჲ არს ადგილსა იმას სიკმოჲ კუამლისა, **ანუ თუ** ვის რად უკმს ცეცხლი? (ზარზმ. 154, 22, აგრეთვე: 169,9).

ფართოდაა გავრცელებული **ანუ** მაცალკევებელი კავშირი აგრეთ-

ვე საშუალო ქართულში (როგორც შერწყმულ, ისე თანწყობილ წინადადებაში):

ვერვინ გიხილა, ნახვად გიხილა **ანუ** გიჰვრეტდეს გარეტებულად (თამარიანი XII,16); რა გჭირს **ანუ** რად შემოსილხარ შავითაო (ამირან. 10,16); რა მზე **ანუ** მთუარე დავინახო... (ვისრ. 210,24); ყმაო, რა გინდა, **ანუ** მენუკვი მე რასა? (რუსთ. 235,1); ჰე, მეფეო, რად ემდურვი **ანუ** ღმერთსა **ანუ** ბედსა (რუსთ. 113,2); შევშინდი: არ დამერჩოს-მეთქი **ანუ** არ მამიკვდეს-მეთქი (რუსუდ. 762,3); შენ მისი ჩემ ზედა რაი იმედი მოგაქვს, **ანუ** მისის მოყვრობისას რას მეტყვიო? (ქილილ. 214); ამა სამთა ქალთაგან უფროს-უმცროსნი რომელნი არიან **ანუ** რომელსა რომელი მიხვდეს? (პროზ. შაჰნ. 399); მთუარეა პირგავსებული **ანუ** მზე ჩამოსულია (შაჰნავაზ. 212,3); რადა კნავთ **ანუ** რად სთესავთ თქვენ ჩემსა სათამბაქოსა, **ანუ** ბაჟს, დავღას რად იღებთ სადუქნეს, საქულბაქოსა (გურამ. 293,3); რას აბრალებთ **ანუ** რას შეაწუხებთ? (სიბრ.-სიცრ. 43,11).

არაიშვიათია საშუალო ქართულში გაორმაგებული კავშირი **ანუ... ანუ** უმთავრესად და კავშირიან კონსტრუქციაში:

ანუ გმსახურო და **ანუ** კვლა მოვიკლა თავი ჩემი (ამირან. 59,7); ანუ მოვჰკვდები მათთანავე და **ანუ** ვიკსნნე იგინიცა (ამირან. 26,11); დღეს სიკვდილი არის **ანუ** შენი და **ანუ** ჩემიო (ამირან. 41,21); ესე ადგილი **ანუ** ეშმაკთა სამყოფია და **ანუ** ქაჯთა სადგურიაო (ქილილ. 271); **ანუ** ეს არ გამეპაროს და **ანუ** ამისი ანბავი არავინ მიუტანოსო (რუსუდ. 917,9); **ანუ** საფენი **ანუ** ფარდაგი ყოველივე სტავრა იყო (სიბრძ. სიცრ. 5,6); **ანუ** ვინღა მისცემდა ვერცხლსა **ანუ** ვისღა მიჰყიდდა? (სიბრ.-სიცრ. 9,4); **ანუ** კაცთა კვლა **ანუ** მრავლის საქონლის დიდება **ანუ** სხვათაგან ქვეყნისა ნაღება-მეფენი ამ საქმისაგან ვერა მორჩებიან (ომაინ.); **ანუ** დედუფალმან და **ანუ** ჩემმან შემდგომმან მიტროპოლიტმან და **ანუ** ეპისკოპოსმან **ანუ** კანდელაკმან... (საეკლ. საბ. III,17).

ანუ... ანუ ფეხმოკიდებულია უმთავრესად აღორძინების ხანის ენაში.

ახალი სალიტერატურო ენისათვის მაცალკევებელი კავშირის სახეობა **ანუ** არაა დამახასიათებელი. იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს განსაკუთრებით მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ენაში. დავიმოწმოთ, მაგალითად, გრ. ორბელიანის ენა:

ამ ანგარიშით შენ უნდა **ანუ** ტარანტასი და **ანუ** დორმეზი

გამომიგზავნო აქა (წერილ. 30); სატრფოვ! გშორდები და სიტყვა ვერ მიპოვნია სათქმელად, **ანუ** შენთ ცრემლთა საშრობლად **ანუ** ჩემ სანუგეშებლად (ლექსები 11); ვაი მას მტერსა, ვის **ანუ** კლდენი **ანუ** ტყეთ სიღრმე ვერ დაჰფარვიდნენ (ლექსები 23); ოხ, ვით ძნელ არს მეგობრისთვის მეგობარსა რომ მარხვიდეს, **ანუ** სჴვრეტდეს საშიშ ალაგს, შემწეობას ვერ აძლევდეს (ლექსები 95).

საშუალო ქართულში თანდათანობით გზას იკაფავს **ანუ**-ს გამარტივებული სახეობა **ან**. იგი იხმარება როგორც **ანუ**-სთან ერთად (გაორმაგებულად), ისე ცალკე, ე. ი. გვხვდება **ანუ...ან, ან...ანუ**.

ანუ...ან:

ანუ მზე იყო ქვეყანად, **ან** მთვარე პირ-გავსებული (რუსთ. 538,2); **ანუ** დავხოც იმ ყველასა, **ან** სიკვდილი ჩემი დღესა (რუსთ. 1038,3); წავალ, ვძებნი, **ანუ** ვპოვებ, **ან** სიკვდილი მოვიადრო (რუსთ. 859,3); ტყვე მჭმენ, **ანუ** მააზატე, **ან** მაცოცხლე, **ანუ** მომკალ (რუსთ. 251,3); **ანუ** ვის ესმის, **ან** უვის ეს მის (თამარიანი X,4).

ან:

ვინ სჩნდეს სამყაროს, ალვა აყაროს, **ან** თამარ სჩნდების გამთავრებულად (თამარიანი XII, 10); გაუკვირდა: ვით მკადრაო, **ან** სიტყვანი ვით გაბედნა? (რუსთ. 61,2); რა უმძიმდა, არ ვიცოდი, **ან** ტიროდა ვისთვის კიდე (რუსთ. 109,3); იგი მუხთლობით გვაღორებს, **ან** მეტად შემშინებია (შაჰნ. 3016,4); მომკლევდეს, **ან** დამარჩენდეს (არჩ. 583,4); ბოზო, დამეხსენ, **ან** მომკალ (არჩ. 583,4); თუალად და ტანად ტარიელს, **ან** როსტომს დაედაროსა (შაჰნავაზ. 211,3).

ახალ სალიტერატურო ქართულში **ანუ** მაცალკევებელ კავშირად არ გვევლინება, ეს მოვალეობა დაკისრებული აქვს მის შეკვეცილ სახეობას **ან**-ს, **ან** და **ან...ან** პარალელური ფორმებია:

მერმე ვინმე ქალს, **ან** გამდელს ვაჩუქებდი ხოლმე საუმარულედ (აკაკი 425)...დაუყარაულებს სხვებს — ქორს **ან** შავარდენს (ვაჟა, 84); ...ვერ გაეგო, თუ რასა ჰგრძნობდა და რა უნდოდა, **ან** ამ მდგომარეობაში რად ჩავარდნილიყო (ყაზბ. 52); — **ან** მე აღარ ვიქნები, **ან** ის მოწაფე გააგდეთო (აკაკი 440); **ან** ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგგლიჯოს, **ან** გველმა არ დაგკბინოსო... (აკაკი 397); შენ იქნება, **ან** ავადა ხარ, **ან** მოხუცი (ვაჟა 51).

ან...ან შესაძლოა შეეხამოს და კავშირს, ე. ი. მოგვეელინოს და კავშირიან კონსტრუქციაშიც:

ან მოვკლავთ და **ან** მოვკვდებით (არჩ. 216,4); ... მოგვწერე, **ან** სომეხი და **ან** თათარი ვინ გაბოვიდნენ და ვინ არა (დოკუმენტ. თაყაიშვ. 59,16); **ან** მეც იმათთან მოვკვდები დ ა **ან** დავიხსნი როგორმე (ყაზბ. 21); ...ვაპირებდი **ან** დამბაჩისათვის მეთხოვნა მოეღო მოწყალება დ ა **ან** დახისათვის (ვაჟი 12).

თანამედროვე ქართულში **ან**-ის კომპონენტია **ანდა**, რომელიც შიღებულია და **ან**-ის გაძლიერების შედეგად. ჩვეულებრივია ისეთი მაგალითები, როგორიცაა:

ან ქორმა დააწიოკა **ანდა** ძერამ; **ან** ჩემთან ჩამოდით, **ანდა** თეატრში წავიდეთ; შემოხვდებოდა კაკოს **ან** დათვი **ანდა** მგელი; **ან** მეც იმათთან მოვკვდები **ანდა** დავიხსნი როგორმე; იქნება **ან** კუნელი სადმე მოჰკენკოს **ანდა** ფშატი.

ანდა ცალკეც იხმარება. ზემოთ დამოწმებული მაგალითები შეიძლება ასე გადავაკეთოთ:

ქორმა დააწიოკა **ანდა** ძერამ; შემოხვდებოდა დათვი **ანდა** მგელი; იქნება კუნელი სადმე მოჰკენკოს **ანდა** ფშატი, და ა. შ.

მაცალკევებელ კავშირად ახალ ქართულში **ან**-ის ფუნქციით გამოყენებულია აგრეთვე **თუნდ(აც)**, რომლის მაგალითებს საშუალო ქართულიც გვაწვდის. მაგალ., „ვეფხისტყაოსანში“ **თუნდა** არაიშვიათად გვხვდება:

ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის ჰკრა, **თუნდა** ხრმალი (1046,4); ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, **თუნდა** ბედი (1184,3); ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, **თუნდა** ხვადია (39,4); ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, **თუნდა** ასი (164,1); წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, **თუნდა** შორად (130,4).

ახალი სალიტერატურო ენის საილუსტრაციოდ დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი ვაჟას ენიდან:

რა დამავიწყებს ბუერას, მოცხარს და **თუნდ** ჩემს მოქიშპე ჩადუნას (43); რატომ არა ვარ შველი, ან ირემი, **თუნდ** ბეჩავი კურდღელი (50); მელია სულ ერთია: შავი, რუხი, **თუნდ** წითელი (208).

მაცალკევებელი კავშირი **გინდ(ა)** შეიძლება შეგვხვდეს სამუალო ქართულის მოგვიანო პერიოდში, მაგალ.:

ყველა დაუხარჯე, მევსჭამე, **გინდა** ცეცხლს შემიკეთო (არჩ.); **გინდა** ამავ შენს საბატონოზე გიზამ ქორწილსაო და **გინდა** შენთა მშობელთა მიყონ ქორწილიო (რუსუდ. 910,6); თუ

შეაფიცოს, **გინდა** კაცი შეარჩინონ პაპუნასა და **გინდა** თეთრი მისცენ და კაცი საერთოდ იყოს... (დოკუმენტ. ბერძნ. 627,36); **გინდა** საზღაური გამოართვი, **გინდა** იუმევ (დოკუმენტ. ბერძნ. 98,6).

უფრო მეტი გავრცელება აქვს ახალ სალიტერატურო ენაში: **გინდა** ერთს უთხარ „შენი ჩირიმე“ **გინდა** მეორეს (ილია 255,21); **გინდა** დაიჯერე, **გინდა** არა (ილია 287,29); **გინდა** გველივით გამსრისე, **გინდა** დამიხსენ წაწყმედისაგან (ილია 302,28); ... არ დაზოგავდა **გინდ** შორებელი ყოფილიყო და **გინდ** ახლობელი (აკაკი 401); თუ კი მოვახერხებდი, **გინდ** დიდი ყოფილიყოს და **გინდ** პატარა, ჩავკიდებდი ხოლმე ხელს (აკაკი 466); ვინც გვერდით ამომიღებდა, **გინდა** მტერი იყოს, **გინდ** მოყვარე, ჩემიანად მიმაჩნია (აკაკი 467).

შდრ. აგრეთვე გამოცანა:

გინდ შეწვი და **გინდ** მოხარშე,
გინდ კერიდგან დასძარიო,
გინდ გასცერი, **გინდ** განმტკიცე,
ის დარჩება, რაც არიო.

ძალიან იშვიათად შეიძლება **გინდა**-ს დაერთოს -ც(ა) ნაწილაკი:

არასდროს თურმე საქართველოში
არა ყოფილა სტუმრად ლენინი!
გინდაც ერთი დღით, **გინდაც** შემთხვევით,
უცბად, გზაგავლით ჩამოფრენილი.

(გ. ლეონიძე, „ლენინი საქართველოში“).

არის ტენდენცია ენაში, სათანადო შინაარსის გამოხატვა დაეკისროს ამავე ზმნის პირველი პირის ფორმას: **მინდა... მინდა**, შდრ., მაგალ., „...**მინდა** ვცემ, **მინდა** არა“ (ილია 353,43). მრავლობითში: **გვინდა... გვინდა**: „**გვინდა** დავთესავთ, **გვინდა** მოვმკით“. ეს უფრო სასაუბრო ენისთვისაა დამახასიათებელი.

მაცალკევებელი კავშირი **გინა** იხმარება ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში. ფუნქციურად იგი ეტოლება **ანუ, ან** მაცალკევებელ კავშირს.

დავიმოწმოთ მაგალითები.

ვერ ძალ-გიც ერთისა თმისა განსპეტაკებად **გინა** დაშავებად (მათე 5,36): არავინ არს, რომელმან დაუტეოს სახლი **გინა** ძმანი, **გინა** დანი... (მარკოზ 10,29); და ესე იყო ყრმა, ჭაბუკ, ვითარ ათრვამეტის წლის **გინა** უკნინეს — აჩვდმეტის წლის

(აბო 63,23); ... დილეულით გან ვიდრე სამხრადმდე **გინა**. უმეტ**ს** დაყვის ღამ**ს** და დილეულ წარვიდის გზა-სა თჳსსა (ასურ. 7,17);... მსგავსად ძალისა თქუენისა შურე-ბოდით და იქმოდით კეთილსა **გინა** ლოცვით **გინა** მი**ნ**აგებითა. **გინა** მარხვითა... (წარტყუენ,ჲ,6); ... და რომელიმე შჯულსა. წლისაჲ, **გინა** უფრო **გინა** უმცრო (კოლ. 60,166); სადა მივიდე **გინა** სადა დავადგრე (არიმათ. 29,1); ... ეპისკოპოსთა. და წესი-სა წინამძღუართა მამათა განსაგებელისა შჯულის მოძღურე-ბასა იკადრებდა **გინა** ახალსახიობასა მოიღებდა (ხანძთ. მზ. მბ, 98; ...ესუა მას ასული ათორმეტისა წლისაჲ **გინა** უფრო-ჲს... (კიმ. 310,24).

გინა კავშირს ვადასტურებთ საშუალო ქართულის სალიტერა-ტურო ძეგლებშიც:

და ორ წლამდის, **გინა** უმეტეს, იყო განსაცდელისა. უცხოჲსა თმენასა შინა (შარავანდ. 84,32); ჭუიშა, **გინა** მარგალიტი სწო-რიაო ბრძენთა წინა (შაჰნავაზ. 229,4); ... მათში ესოდენი გან-ყოფილება არის, ვითარ ნათელსა და ბნელსა, **გინა** მაღლად მყოფთა ფასკუნჯთა და მიწათა შინა თხუნველთა (ქილილ.. 131); თუ შორიდამ გაგონე, პირყვითელო, **გინა** ხავსო? (არჩ. 195,2); იგი მერანთა ანუ თოხარიკთა ცხენთა ჯდეს, **გინა** ეტლითა ვიდოდეს (სიბრ.-სიცრ. 30,24); ერთი დრო გრძლად არ შერჩების, კარგი სთქვა, **გინა** ავია (გურამ. 331); მონა ნასყიდსა ჰქუან, **გინა** ნამზითს (ვახტ. ტთ, ჟგ).

ახალ ქართულში **გინა** არ იხმარება. თითო-ოროლა მაგალითი შეიძლება შეგვხვდეს ზოგიერთ მწერალთან, უმთავრესად არქაის-ტებთან. ძველ სალიტერატურო ქართულში **გინა** კავშირს შეიძლება შეეხამოს **თუ** და, ამრიგად, **გინათუ** გვევლინება მაცალკევებელ კავშირად:

უკუეთუ კორციელისა მეფისა **გინა თუ** ერთისა მთავრისა მი-მართ გუნებავნ ქუეყანისა ამის საწუთროჲსა სარგებელი (ხანმ. მრავალ. 1,4); ... ვაჩუენოთ **გინა თუ** წერილთაჲ **გინა თუ** ლოც-ვაჲ **გინა თუ** ზიარებაჲ (იქვე 4,1); და უკეთუ ღუაწლი **გინა თუ** გუემაჲ შეგემთხჳოს, მაღლობით შეიწყნარეთ (რავახ. 95,15);.. რომელმან ვენაკმან მოსცის ტევანი თჳნიერ დანერგვისა ად-გილსა თჳსსა **გინა თუ** რომელმან ყანამან გამოიღის მარცუალი თჳნიერ დათესვისა (კიმ. 179,22); და ყოველსა მას სლვასა თჳსსა ესრეთ შეუწუხებელად ავლინებდეს მას **გინა თუ** სი-ტყუათაგან წმიდისათა ლმობიერ იქმნეს **გინა თუ** ლოცვითა მისითა ზეგარდამოჲდთა წამისყოფითა მოდრკეს მოწყალებად...

(ანტიოქ. 104,5); პირველი სახმ, რაჟამს ვალნ იგი გინა თუ ზუაობნ, სული ეცის მონადირეთაჲ (სახისმეტყ. 2, ბ 11); და უკუეთუ ვიეთ-მე ძმათა სწადოდის ყოფაჲ ხანძთელთა შატბერდს გინა თუ შატბერდელთა ხანძთას, ნუვისმცა კელეწიფების არა შეწუნარებაჲ მათი გინა თუ შფოთით განზრახვისა მათისა დაშლაჲ... (ხანძთ. ობ 64).

როგორც ზემოთ აღინიშნა, გინა-გინათუ პარალელურია ანუ, ან კავშირებისა, ისინი პარალელურად იხმარებიან არათუ ერთსა და იმავე ძეგლში, არამედ ფაკულტატური სიტყვებია ერთი წინადადების ფარგლებშიც; ამავე ჩვენებას გვაძლევს აგრეთვე ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქციის შედარებაც.

გინა—გინათუ || ანუ (ან)—ანუთუ:

და მიერითგან არღარავინ იკადრებდა გარემოჭას-მყოფთა მათ დაბათა და სოფელთა შინა მოპარვად რასმე გინა ვნებად მოყუსისა ანუ წესსა უჯეროსა შედგომად (ანტიოქ. 120,35); ხოლო იგი უთხრობდა, თუ ვითარ აღიზარდა ანუ ვითარ განისწავლა გინა თუ ვითარ იერუსალიმს წარვიდა ანუ თუ კუალად ვითარ მოიქცა (ანტიოქ. 65,32); რამეთუ ძმანი იგი ივსებდეს მის-გან ყოველსა საკმრისსა მათისა გინა საქმედ პურისა გინა წუენისა ანუ თუ საკმარად ხუროთა... (ქიმ. 258,36); კლდეთა ზედა დასთესოს გინა შობითგან ყრუსა სამხიარულო და კარგი ამბავი უჩურჩულოს გინა მდინარესა ზედა ლექსები დასწერო ანუ ხმელისა ქარისაგან წვიმა მოინდომო (ქილილ. 140); ვინცაჲ მშლელად გამოჩნდეს ანუ სხუათა ადგილით პარტრიაქნი... გინა მღდელთ მთავარნი (საეკლ. საბ, II, 13); აწე ვინცა და რამაც ადამის მონათესავემან კაცმან ანუ მეფემან ანუ დედოფალმან ანუ დიდმან გინა მცირემან... (ქართლ-კახეთის საბუთ. 1166 წლ., გვ. 6); აუარებელი წყაროები გამოდის ზედიზედ შეკათა შინა გინა სასახლეებში ან საყდრებში ან ბაზრებში (საბა, მოგზ. 24).

შევადაროთ ერთმანეთს ზოგიერთი ადგილი ოთხთავის რედაქციებიდან:

DE: მათე 16,14:

ხოლო მათ ჰრქუეს: რომელთამე იოვანე ნათლის-მცემელი, რომელთამე ელია და სხუათა იერემია გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

შდრ. C:

ხოლო მათ თქუეს: რომელთამე თქუან იოვანე ნათლის-მცემელი, რომელთამე ელია და რომელთამე იერემია **ანუ** ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

DE: მათე 18,20:

რამეთუ სადაცა იყუნენ ორნი **გინა** სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე მათ შორის.

შდრ. C:

რამეთუ სადა არიან ორნი **ანუ** სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მე მუნ ვარ შორის მათსა.

DE: მათე 10,14:

...გამო-რაჲ-ხჳდეთ მიერ სახლით **გინა** მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერჴთაგან თქუენთა.

შდრ. C:

..რაჟამს გამოხუდოდით მიერ სახლით **ანუ** ქალაქით, დაიყარეთ მტუერი ფერჴთაგან თქუენთა.

DE: მათე 12,25:

და ყოველი ქალაქი **გინა** სახლი, რომელი განეყოფის თავსა თჳსსა, ვერ დაემტკიცის.

შდრ. C:

და ყოველი ქალაქი **ანუ** სახლი, განყოფილი თავსა ზედა თჳსსა, ვერ დადგეს.

DE: მათე 19,29:

და ყოველმან, რომელმან დაუტევოს სახლი **გინა** ძმანი **ანუ** დანი **ანუ** მამა... სახელისა ჩემისათჳს, ასი წილი მიიღოს და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდროს.

შდრ. C:

და ყოველსა რომელსა დაეტეოს სახლი **ანუ** ძმანი **ანუ** დანი...

ირკვევა, რომ პარხლისა და ჯრუჭის რედაქციები მხარს უჭერენ უმთავრესად **გინა**-ს, ხოლო ადიშისაში უფრო გაბატონებულია **ანუ**.

გინა (გინათუ)—ანუ-ს მონაცვლეობა დადასტურებულია აგრეთვე სხვა ტექსტების რედაქციულ ვარიანტებში.

მაგალითები:

ეკლეს. სოლომონ.: ათონის ვერსია ბ, 19:

და ვინ იცის **გინა** ბრძენ იყოს **გინა** უგუნურ...

შდრ. მოსკოვის გამოცემა:

და ვინ უწყის ბრძენ იყოს **ანუ** უგუნურ...

ეკლეს. სოლომონ.: ათონის ვერსია ე, 11:

ტკბილ არს ძილი მონისაჲ **გინა თუ** მცირედ **გინა თუ** დიდ ჰამოს...

შდრ. მოსკოვის გამოცემა (პეტრიწონული რედაქცია):

ტკბილ არს ძილი... უკუეთუ მცირედ **ანუ** ფრიად ეჰამოს...

საშუალო ქართულში ყალიბდება კავშირი **თუ**, რომელიც ამ ფუნქციით არც ძველი ქართულისთვისაა უცნობი. რამდენადაც იგი **გინა** და **ანუ** კავშირებთან შეხამებით იკაფავს გზას და დამოუკიდებელ კავშირად მხოლოდ საშუალო ქართულში იქცევა.

დავიმოწმოთ მაგალითები:

ზოგისათუის სიცოცხლეა, **თუ** ავად, **თუ** კარგად, ბოლოდ ეგრეცა სიკუდილია (ვისრ. 205,12); მოატყდეს მოქალაქენი, ლარსი ვინ ჰყიდდა **თუ** ხილსა (რუსთ. 1021,2); კვლა ფრიდონისნი აავსნა, სპა ჰყვა თუ სპასალარები (რუსთ. 1499,2); მოლხენილი ვიყავ, **თუ** მოტირალი, მიჯობდა ხელმწიფესთან ხლებისა (ქალილ. 186); რაც ქვეყანაზედ მოქმედება არის კაცისა **თუ** პირუტყვისა, ფრინველისა **თუ** ნადირობისა, ხისა **თუ** ბალახისა, მოძრავისა **თუ** უძრავისა, — ყოველიფერი მათ ქვათაგან გამოყვანილი და ისე შეწყობილი ნაგები იყო (რუსუდ. 775, 9); და ან ქვაბი, ან სიმდიდრე, კანდელი **თუ** ტრაპეზები გასაკვირველი იყო (საბა, მოგზ. 8); ყოვლი მოყვარე შენგან ჩივის, ყმაა **თუ** ბერი (ბესიკი 11); რაც ახბები მოგეწერა ახალციხური, **თუ** ქვემოური, ყველა ვცანით (დოკუმენტ. თაყაიშვ. 58,3); ის კაცი პაპუნას დარჩეს, **თუ** სხვას, თეთრი მაშინც პაპუნას გარდუხადონ ერთობით (დოკუმენტ. ბერძენ. 627,30).

ახალი სალიტერატურო ენის მაგალითებია:

თოთხმეტის, **თუ** თხუთმეტის წლისა ყოფილა (ილია 282,22); მე შევხედე და ერთი მწუხარე, **თუ** მძულვარე ჩემი შემარ-

ცხვენელი ღიმილი დამხვდა იმის სახეზედ (ილია 266,25); ბევრს სჭამდა, თუ ცოტას, მისთვის სულ ერთი იყო (აკაკი 478); იქნებოდა თიბათვის ერთი თუ ორი კვირა (ვაჟა 128).

ჩვენ ვხედავთ, რომ საშუალო ქართულისა და ახალი ქართულის ზემოთ მოყვანილ მაგალითებში თუ კავშირი ცვლის **ანუ (ან)—გინა** კავშირებს. ე. ი. გათვალისწინებულ კონტექსტებში თუ ჩავსვამთ **ანუ (ან)—გინა**-ს, კონსტრუქცია არ შეიცვლება.

ასე, მაგალითად:

დიდთაგან **ანუ (გინა)** მცირეთაგან შეჰირვების ცეცხლთა ვსებას: იქნებოდა თიბათვის ერთი **ან** ორი კვირა და ა. შ.

მაგრამ ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში არის კონტექსტები, სადაც ეს მონაცვლეობა არაა მოსახერხებელი. სათანადო კონტექსტებში თუ ერთადერთი მაცალკევებელი კავშირია. ესაა კითხვითი წინადადების კონსტრუქცია: კითხვითს წინადადებაში გამოვლენილია მაცალკევებელი კავშირი თუ, ამ ტიპის წინადადებაში **ან** კავშირი (რომელიც სხვა ვითარებაში, ე. ი. თხრობითს წინადადებაში მისი ფუნქციური ბადალია) არ ცვლის თუ-ს.

იგულისხმება ამ ტიპის შემთხვევები:

ბერიკაობაა თუ არიფანაზე დადიხარ? მოეწონა თუ შეეზიზღა ჩემი გალობა? ვინა ხარ მანდ: მტერი თუ მოკეთე? ყოველივე ეს სიბერის ბრალია თუ დასნეულებისა? გივლიათ თუ არა ულრან ტყეში? ეს ცხადია თუ სიზმარი?

ამრიგად, თანამედროვე ქართული ენა მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისაგან კითხვითი და თხრობითი წინადადების კონსტრუქციებს მაცალკევებელი კავშირის სხვადასხვაობის საფუძველზე: თუ თხრობითს წინადადებაში იხმარება მაცალკევებელი კავშირები **ან** და **თუ** (როგორც ფაკულტატური ოდენობები), კითხვითი წინადადებისათვის შესაფერისია მხოლოდ **თუ**.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ძველი და საშუალო ქართულის ფაქტებს, დავრწმუნდებით, რომ როგორც კითხვითს, ისე თხრობითს წინადადებაში ერთნაირი გამოყენება აქვს **ანუ, გინა** კავშირებს; თუ-დართული **ანუ** და გინა (**ანუთუ, გინათუ**) აგრეთვე ვერ ამყარებენ ამ კონსტრუქციათა შორის სხვაობას. ამგვარად, ძველი ან საშუალო ქართულის თხრობითი წინადადება, რომელშიც მონაწილეობს **ანუ—გინა** (||**ანუთუ—გინათუ**), თანამედროვე ენაზე გადმოითარგმნება როგორც **ან**, ისე თუ- კავშირიანი კონსტრუქციით, ხოლო კითხვითი წინადადება. რომელშიც იგივე კავშირები მონაწილეობენ, ახალ ქართულში უნდა გადმოვიღოთ მხოლოდ თუ კავშირის შემცველი კონსტრუქციით.

საშუალო ქართულში კითხვითი წინადადებისათვის შესაფერისია როგორც, ერთი მხრივ, **ანუ-გინა**, ისე, მეორე მხრით, თუ. შდრ. ერთი მხრით:

ვთქვი: რა არის, რას ვამსგავსო, მფრინველია **ანუ** მხეცი? (რუსთ, 625, 1); იკითხეთ მარტოა, **ანუ** ყმიანად? (რუსთ. 827, 2) მერმე უბრძანა: მოკუდა **ანუ** არაო? (ამირან. II, 12, 16) და, მეორე მხრით:

ჯერთცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო, **თუ** მეოცნა? (რუსთ. 110,4); ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი, **თუ** უშობელი? (რუსთ. 114,4); მე ქრმად გინდი **თუ** არა (ვისრ. 184,36); ძე შენი სამეფოდ გინდა, **თუ** მწყემსად? (სიბრ.-სიცრ. 30,1); ვინ მას ემდურვის, დაინანს, ბოღდანია **თუ** ვლახია (არჩ. 372,3).

ხან.. ხან მაცალკევებელი კავშირი, რომელიც რიგ-რიგობას გამოხატავს, ჩნდება საშუალო ქართულში (აღორძინების ხანიდან) და მტკიცედ ფეხმოკიდებულია ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში. დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი ორივე პერიოდის ენიდან:

ხან ლხინი მოვა, **ხან** ჭირი (არჩ. 632,4); **ხან** ნოტიობს, **ხან** კი გვალავს (გურამ. 342,1); ...**ხან** მოაწყენს, აატირებს, **ხან** მოალხენს ან ამღერებს (გურამ. 342,1); **ხან** გულია გამოყვანილი, **ხან** ჯვარია, **ხან** კიდევ დაწერილია რამე (ილია 326,7); **ხან** ფრთას აუკვრენ — არ გაფრინდესო, **ხან** ბოლოს — არ გაიქნივოსო... (ილია 292,21); უღრენდა კბილს **ხან** ერთს, **ხან** მეორეს (ვაჟა 10); ამოსვრილი **ხან** ერთსა სთხრიდა, სჩიჩქნიდა თვალებს, **ხან** მეორეს (ვაჟა 96); **ხან** მიწისა ვარ, **ხან** ცისა (აკაკი).

3. მაპირისპირებელი კავშირები

მაპირისპირებელი კავშირებია:

არა (თუ).. არამედ	**მაგრამც—მაგრამ—მაგრა**
ნუ...არამედ	**კი**
ხოლო	**ოღონდ**
გარნა	**და**

არა(თუ)...არამედ, ნუ...არამედ უარყოფითი წინადადების კავშირია:

ხოლო მოგუეთხრა ესე **არა თუ უჩინოთა** ვიეთმე მიერ კაცთა, **არამედ** ფრიადცა **საჩინოთა** და ბრწყინვალეთა (ზარმზ. 168,7); **არა** მე, **არამედ** ქრისტე გიბრძანებს ჩემ მიერ (ზარზმ. 176,10); **ნუ სტირთ** ჩემზედა, **არამედ** გიხაროდენ... (აბო, 72,35); ... **არა** დაჯდა იგი თჳსსა მას გალი-

აკსა, **არამედ** სენაკსა შინა მცირესა (შუშან. 17, V, 30); ...**არა** მუნ იყო, **არამედ** კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო... (შუშან. 8. III, 2); ...შუენიერად ვიდოდეთ; **ნუ** სიმღერითა და მთრვალობითა, **ნუცა** საწოლითა ბილწებისაჲთა, **არამედ** მღვძარებითა... (ბოლნ. 7,2); არათუ დღისი ჩანნ მბრწყინვალებაჲ მისი, **არამედ** ღამჱ შორით (თუალთაჲ 30,26); ხოლო **ნუ** ნებაჲ ჩუენი, **არამედ** ნებაჲ შენი იყავნ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა (კიმ. 280,6); **ნუ** წარხუალ კრებად სხჳსა ყანასა და **ნუცა** განეშორები, **არამედ** აქა შეეყავ მჭეველთა ჩემთა თანა (რუთ. 2,8.. იხ. აგრეთვე: იობ. 3,6-7); იერუსალჱმით **ნუ** განეშორებით, **არამედ** მოელოდეთ... (საქმე მოციქ. 1, 4); ...**არა თუ** კერპთა თჳს იტყოდა, **არამედ** კაცთა მათ მჭუანოსანთა და ცისფეროვანთა (წარტყუენ. მე, 3); ...**არა თუ** მეფისა ქრისტჱანისა, **არამედ** სპარსთა მეფისა წინაშე წარმადგინნეს ჩუენ... (წარტყუენ. მე, 33); დასაპამს დადრკა, ცხადად **არ** დადრკა, რისთჳს მიდრიკა მისგან მიერსა, **არამედ** თჳსა ერსა და თჳსა მიდრკა მისდამი სალმობიერსა (თამარიანი 1,17,18).

ახალ სალიტერატურო ენაში კავშირის პირველ კომპონენტს შეიძლება დაერთოს **კი, კი არ(ა)...არამედ, ნუკი...არამედ.**

მაგალითად:

ინდაური **კი არ** დაკლეს, **არამედ** ქათამი; დათვს თოფი **კი არ** ესროლეს, **არამედ** კონდახით გაუტეხეს თავი; **ნუკი** იდარდებ, **არამედ** გული გაიმხიარულე და მისთ.

არამედ-ს თანამედროვე **მაგრამ**-ის ფუნქციაც აქვს. მაგალ.: მიუგო ყოველთა და ეტყოდა: მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, **არამედ** მოვალს უძლიერესი ჩემსა... (ლ. 3,16); ხოლო მთავართაგანთაცა მრავალთა ჰრწმენა მისა მიმართ, **არამედ** ფარისეველთათჳს ვერ აღიარეს... (ი. 12,42); აჰა–ეგერა ყოველი, რაჲცა არს მისი, მიგეც კ(ე)ლთა შენთა **არამედ** მას ნუ შეეხები (იობ. 1,12); მე ვიხილენ უგუნურნი, რომელთა ძირნი დაებნეს, **არამედ** მეყსეულად შეიჩამა როჭიკი მათი (იობ. 5,3).

ასეთი შინაარსით **არამედ** ჩვეულებრივია ე. წ. დათმობითი წინადადების კონსტრუქციაში (მაგალითები იხ. გამორიცხვითი კავშირების გარჩევის დროს).

მაპირისპირებელი კავშირი **ხოლო** ძალიან გავრცელებულია ძველ, სამუალო და ახალ ქართულში.

გავეცნოთ მაგალითებს:

სული გულს-მოდგინე არს, **ხოლო** კორცნი უძლურ (მათე 26,41); თჳუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ღმრთისაჲ, **ხოლო** მათ გარეშეთა ყოველივე იგავით სიტყუად (მარკოზ 4,11);...შენ ქუეყანისა კელმწიფე ხარ, **ხოლო** ქრისტჱ ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ (ხანძთ. ლ. კვ, 17; აგრეთვე: ლ. კვ, 18; იბ, ჱ, 28.; ია, ზ. 54; ლ. კვ. 19);... ...და წმიდათა მისთა ჰგუემდეს და სდევნიდეს და მოსრვიდეს, **ხოლო** უფალი შეიწყნარებდა ცათა შინა (აბო 76,29); მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და პრწმენა, **ხოლო** შენ ღმერთი ჴეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის ეც (შუშან. 13, IV, 24); და ეგრჱთვე მოიქცა ისარი იგი და მეცა მკერდსა ჩემსა, **ხოლო** მავნო არარა (რავახ. 82,1).

მაგალითები საშუალო ქართულიდან:

...რომელმან ზღუაჲცა მტკიცე ყო უომრად სპათათჳს, **ხოლო** ათინელთა ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნქცეულ იქმნა (შარავანდ. 59,6);... ჩუენსამც წყევასა ქუეშე არის **ხოლო** დამამტკიცებელნი ამისნი ო~თნ აკურთხნეს (დოკუმენტ. ბერძენ. 142,14); ოუდის თანამც იქნების ნაწილი და სამკვიდრებელი მისი. **ხოლო** გამთავენი და დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმი აკურთხნეს (დოკუმენტ. ბერძნ. 149,24).

ახალი ქართულისათვის დავიმოწმოთ მაგალითები ვაჟას ენიდან: გამარჯვებას ეუბნებოდნენ, **ხოლო** საქმით დალუპვაზე იყვნენ (20); იხევ ისე საბრალო წევს, ისევ ისე, **ხოლო** რაღაცას ლუღლუღებს (15); ზოგი აწვა თოვლზე, სხვა დაყუნდებულიყო, რიგიც იდგა ფეხზე კუდებაშებული, **ხოლო** ყველას პირები ჰქონდა დაღებული (8); გაახარე შენის მადლიანის სხივით, **ხოლო** ნუ დასწვავ (5).

მაპირისპირებელი კავშირი **გარნა** გეხვდება ძველ ქართულში, მაგრამ არ არის ფართოდ გავრცელებული:

ხოლო სიმრავლე სასწაულთა მისთაჲ ვერცა თუ გონებათაგან მისაწთომელ არს, **გარნა** კერძო-რაჲმე და მცირედი მოვიკსენოთ და მერმე დუმილი მიჳსცეთ სიტყუასა (ზარზმ. 177,11); თქუენ კეთილად იტყჳთ, **გარნა** ნუ დაჴიჭერებიეს, თუმცა მე მისა ცოლადღა ვიყავ (შუშან. 14, V, 7; აგრეთვე: 41, XVI,26; 37,XIII, 18); ხოლო მეკრძალემან წინაშე მისსა მსწრაფლ იჴადა მახჳლი, გარნა ხეთქნებად მისსა ვერ უძლო (ანტიოქ. 104,13; აგრეთვე: 104,28; 90,1; 78,4; 51,2); რამეთუ დიდ არს სიხარული ჩემი შეძინებისა შენისა თჳს, **გარნა** მეშინის მე კელმწიფებისაგან სარკინოზთაჲსა (რავახ. 87, 25).

გარნა იხმარება, აგრეთვე, ნეგატიური შინაარსის წინადადებაში და, ამდენად, ფუნქციურად ეტოლება **არა (ნუ)... არამედ-ს**:

ნუ გეშინინ, **გარნა** გრწმენინ (ჰაემ.: მარკოზ 5,36); და არა ქმნა მუნ ძალი არცა ერთი, **გარნა** მცირედთა სნეულთა კელი დასდვა და განკურნნა იგინი (მარკოზ 6,5); ... რომელთა შჯული არა აქუს, **გარნა** ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან (აბო 64,38); ეგრეთვე ნეტარი ესე ჰაბო არცა ღა ერთსა რას სიტყუასა იტყოდა კაცთა შორის, **გარნა** ღმერთსა ხოლო ჰზრახავნ წმიდასა შინა ლოცვასა თჳსსა (აბო 66,21); ... სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის, **გარნა** ალიზი ერთი დაიდვის სასთუნალ... (შუშან. 38.XIV,17); სჳმიონ ქათამსა არა ჭამს და არცაღა რას დაუმძიმებს საკმარსა, **გარნა** თქუენ თავით თჳსით შეიმთხუევთ კნინისა-თჳს გუემასა... (ციმ. 316,31); უკუეთუმცა პირველითგანვე გჭონებოდა ესე შიში, მეუფეო, არამცა მოწევნულ იყო შენ ზედა შიში, **გარნა** ყოველსავე ზედა განმკნდი და ნუ გეშინინ... (ანტიოქ 103,24).

მაპირისპირებელი კავშირი **გარნა** იხმარება ამასთანავე რთულ წინადადებაში, რომელიც შედგენილია გამორიცხვითი წინადადებისა და მაპირისპირებელი კავშირის შემცველი წინადადებისაგან.

დალათუ რაოდენვე უსუსურ ხარ, **გარნა** გრწმენინ იგი ხოლო (ციმ. 190,15);... რომელი დაღაცათუ ფიცხელ იყო, **გარნა** კადნიერებისა მისისა ფრიად უდარეს (ანტიოქ. 126,29).

საშუალო ქართულს **გარნა**, როგორც ნორმა, არ ახასიათებს, მაგრამ ის მაინც გვხვდება ზოგიერთ ძეგლში უაღრესად იშვიათად:

ეგე, რასაცა იტყვი, ვიცი, **გარნა** სიყვარული შენი ქუე აროდეს დამცემს და შენი ძალი ვერ შემძრავს (ვისრ. 272,2; აგრეთვე: 293,17; 257,3; 254,15); არს დიად გზა საჭირო, **გარნა** რომელი არს პატიოსანი ჩუენი და ყმა მისი ინდო ჰაბუკი, მათთანა ყველა ადვილი არისო (ამირან. 14,33);...მოირთო ძალი კახეთისა და ერეთისა, **გარნა** დაუშალეს მაშინ შებმა მეორედ (ქ. ცხ. 179, 19); ესე ვარძიად პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, **გარნა** ვერ სრულ ექმნა და დაეტევა (შარავანდ. 123,20; აგრეთვე; 100,23; 64,2); მამულისა ჩუენისა კაცთა, წესისამებრ, დიდი ჭირი ნახეს, **გარნა** ბაკოელთა მეტის-მეტად დიდი მოიჭირვეს (აბუსერ. 67,166); ჯერ ძმა იყო საწადელი და ქმრადა გუყა სასურველი, **გარნა** ნება ვერ სრულჰყავით, გაგეყარა საყვარელი (არჩ. 383,1); ... და აწ აღვიდა ან-

ღელთა ღვთისა თანა, **გარნა** აქაცა და მუნ ცხოველს არს იგი (ს. ლიონიძის სიტყვიდან).

გავითვალისწინოთ რამდენიმე მაგალითიც ნეგატიური წინადადებისა, სადაც **გარნა** უდრის **არამედ**-ს:

არ მუცელი იყო, **გარნა** აღმოსავლეთი იყო (ვისრ. 8.9); და არა ოდენ მარავი ქალაქი იყო ასრე შეკაზმული, **გარნა** მართ სრულად ხორასნისა ქალაქნი მაშიგანა იყვნეს (ვისრ. 321, 1); არა-თუ სოფლისა სახმართა სიხარულისათვის გულისა კარი გაუღიათ, **გარნა** მისის სიკეთის გამოჩენის მოწყენად და შეწუხებად რაც რამე არის — გამოუჩენიათო (ქილილ. 264,37).

მაპირისპირებელი კავშირი (**მაგრა—მაგრამე—მაგრამ**) საშუალო ქართულში ყალიბდება; ძველ ქართულს იგი არ ახასიათებს.

საშუალო ქართულში ჩვეულებრივია **მაგრა**; ახალ ქართულში არ გვხვდება.

შესხმა-მკობანი, მუსიკობანი, ვუწყი, ვერ გიძღვენ თქვენ საფერობით, **მაგრა** ვით წვლილნი ქრისტეს მითვლილნი მექმენ მადლობის შემწირველობით (აბდულმესია 107,3); იყო ეთერი, **მაგრა** ეთერი არა ჰრქვა მასცა სულ ნახუთევად (თამარიანი, V,21); ნახვა და საუბარი შენი შაქარსა ჰგავს, **მაგრა** წესი და ნაჭმარი ნაღველსა მიჰგავს (ვისრ. 123,30; აგრეთვე: 87,22; 70,3; 60,14; 123,31; 138,17); თვალად კეკლუცი იყო, ნესვსა ჰგვანდა, **მაგრა** ცოტა იყო (ამირან. II, 5,28); მე არ წამოგყვები, **მაგრა** შონა მოგცე ჩემი და მან მიგიყვანოს გზასა მართალსაო (ამირან. II,13); თინათინ მზესა სწუნობდა, **მაგრა** მზე თინათინებდა (რუსთ. 51,4; აგრეთვე: 470,3; 117,1; 506,1; 81,1. 1076,1); მრავალი ნავნებიც ქნეს, **მაგრა** არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნეს (ფარსად. 215, აგრეთვე: 214); ესე საქმე მასცა შეუტყვია, **მაგრა** მღვთის განგებასა არა შეეცვლების რა (პროზ. შაჰნ., 380; აგრეთვე: 436,429); რომელიცა მაგა სახითა იქცევა, არავისგან დაიწუნება, **მაგრა** ჩვენისთანა კაცნი მათსა საზომთა ვერ მისწვდებიან (ქილილ. 195); ვიცი, გიხსნიან ბედითა კრულსა, **მაგრა** გაბსოვდეს გულსა სალებსა (ბესიკი 5); მასუკან დაგვეჭირა ჩვენა და შენი სამკუდროც იყო და არას გემართლებოდიან, **მაგრა** ჭელახლა მოგყიდეთ (დოკუმენტ. ბერძენ. 95,11); ეგების თქვენ როგორმე სინჯევდეთ, **მაგრა** სარწმუნო ბრძანდებოდეთ (დოკუმენტ. თაყაიშვ. 78,8). **მაგრამე** აღორძინების ხანის ენაშია დადასტურებული.

გავეცნოთ მაგალითებს. რამდენიმე მაგალითს გვაწვდის „ამირან-

დარეჯანიანიც“ და ეს არაა შემთხვევითი, თუ გავითვალისწინებთ ამ ძეგლის ხელნაწერების თარიღს:

თვით იგი მოჰკლათ—ბნელი განქარდების, **მაგრამე** მის კაცისა სიკვდილი ძნელი არის კაცისაგანო (ამირან. 161,22); ... თეთრი მოაპრეენია..., **მაგრამე** ქართველნი შირვანს ძალს ატანდეს... (ფარსად. 211); ახლა ცუდად ძეს, **მაგრამე** მოიხმარების ზოგს დროსა (არჩ.); მე ვათქმევინე, **მაგრამე** ვერა თქვა ზარილიანი (არჩ.); განშორებულმა, რა გინდა, რა სამართებელნი მიზეზნი შემოიღო, **მაგრამე** ერთიცა მეცნიერთა რიგთაგანი სიტყვა ვერ წარმოთქვნა (ქილილ. 189; აგრეთვე: 174,171); მას დღესა ლხინით გაისვენეს, **მაგრამე** საბოძვრის სიმრავლე უკვირდა (ომაინიანი 75, 34); რაც ავი მიყო, დაგითმო, აწ იმას რა შაედრება, **მაგრამე** ასე მშიერსა არ ძალ-მიც გრძლად გზაზე რება (გურამ. 235,3); ...მე მოვნახემდი მაგათ და მე ვინადირებდი, **მაგრამე** მე არ შემიძლია (დოკუმენტ. თაყაიშვ. 82,12).

საშუალო ქართულში ფართოდ იხმარება, აგრეთვე, **მაგრამ**:

შენთვისაც მყავს მეომარი, **მაგრამ** არად ემარჯვების ჩემთა ბუმბერაზთა (ამირან. II, 88, 10); შენ ელვარებითა მნათობი მთუარე ხარ, **მაგრამ** მიჯნურისა ცულისა დამანელებელი (ვისრ. 83,23); მხატუართა შექნეს ცილება, **მაგრამ** ვერავინ სახევდა (შაჰნაზ. 214,1); ერთად წვენ, **მაგრამ** შორვიდენ სავალსა ვითა თვისასა (არჩ. 419,1; აგრეთვე; 412,2; 449,3; 546,3); იგი არ მექმნა, **მაგრამ** შვებასა და პატივსა ვერავინ ვერ იცნობს (ქილილ. 187; აგრეთვე: 192; 202; 221); რა სარტყელი შემირტყამს მრავალსა ომსა და დევსა ბრძოლასა დავხდომივარ, **მაგრამ** მისი მგზავსი მეომარი არ შინახავს (პროზ. შაჰნ. 426); წინ ცოტა რამ, **მაგრამ** უცხო იყო (საბა, მოგზ. 26); კაცი ხომ ვერცად წაუა სიკვდილსა, ღვთის ბრძანებასა, **მაგრამ** ნურავინ შეიყრის თავისის ნებით სნებასა (გურამ. 307,4); დასტურ საქართველოში ბუშს საწილოდ მამულში კელი არა აქვს, **მაგრამ** პაპუა თავის მამულს ზედა სახლში ჰირნახული და დიდად გარჯილი კაცი იყო (დოკუმენტ. ბერძენ. 182,3); დიალ მეწყინა და დიდად შევწუხდი, **მაგრამ** რაღა უნდა მექნა ეპისკოპოსისათვის (დოკუმენტ. თაყაიშვ. 12,28); ის კნიაზი ეცადა და ჩვენც ვეცადეთ, **მაგრამ** ვერ ამოვიყვანეთ (საეკლ. საბ. 104,30); რუჭა, დიდად მიყვარხარ და თავსა ჩემსა მირჩევნიხარ, **მაგრამ** შენი საქმენი მიკვირან (სიბრ.-სიცრ. 23, 15).

ახალ სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია **მაგრამ**:

ცხენები მიდგნენ-მოდგნენ, **მაგრამ** ალაგიდამ არ დაინძრნენ

(ილია, 248,11); დაღონდნენ ილიას მომხრეები, **მაგრამ** შორსმჭვრეტელი ილია კი ყურსაც არ იბერტყავდა (აკაკი 489); დაძინებას აპირებდა, **მაგრამ** ძილი დაჰკარგოდა (ყაზბ. 64); იმედი უღვივოდათ გულში, **მაგრამ** დახეთ რომ ბედმა უმუხთლა (ვაჟა 9); რამდენჯერ თითონაც ეცადა, **მაგრამ** ქარიშხალმა უკუაქცია (ვაჟა 18).

საშუალო ქართულში (აღორძინების ხანის ენაში) ძალიან იშვიათად გვხვდება მაპირისპირებელი კავშირი **მარა**:

მე მომკლავ, **მარა** სათემოდ შერცხვები, მოიყივნები (ბესიკი 42); ქალაქს მოველით, **მარა** არ ვიცით, სად მოვედით (იესე ოსეშვ. 40); ის არზა წავიკითხე, **მარა** ყური არ მიუგდეს (იესე ოსეშვ. 96; იხ. აგრეთვე: გვ. გვ. 13, 16, 23, 96.).

შდრ. ახ. ქართულში აკაკისთან:

ორბელიანს ელდა ეცა გულზე, **მარა** რაღას იზამდა (471).

მაპირისპირებელი კავშირი **კი** იხმარება როგორც შერწყმულ, ისე თანწყობილ წინადადებაში. იგი ჩაისახა საშუალო ქართულში (უმთავრესად აღორძინების ხანის ენაში) და მტკიცედ ჩამოყალიბებულია ახალ სალიტერატურო ქართულში. ფუნქციურად **კი** ბადალია **ხოლო** კავშირისა.

კი არ გვხვდება წინადადების თავში, ჩვეულებრივ მას თავში მოქცეული სიტყვის მომდევნო ადგილი უკავია, ზოგიერთი ავტორი **კი**-ს დეფისით აერთებს სიტყვასთან; ეს **კი** საყურადღებოა რიტმომელოდიკის თვალსაზრისით: **კი** ორგანულად ეკვრის წინამავალ სიტყვას. ამის მიზეზი **კი**-ს ნაწილაკურ დასაბამში უნდა ვეძებოთ.

მაგალითები:

შუბივე მე მაქვს ხელთ მრთელი, ყარან **კი** განქარვებულა (არჩ. 230,1); მე იგ ორნი შევათავსო, მე **კი** დავრჩე ვით ოხერი (გურამ. 105,4); ათ-ათი ისევ მოგვიჭრეს, სხვა **კი** მოგვიგდეს წინაო (გურამ. 359,4); ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისვრის, მშვილდს **კი** მალავს (გურამ. 341,3); ერთი ღარიბი სახლობა არის, პურის შოვნის ილაჯი არა აქვს, მე და შენ **კი** ყოველ-დღე მაძღრები ვართ... (ილია 273,36); ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი **კი** ცას მიუბჯენია (ილია 256,4); კარგა ხანი დაჩუმებული იყო, მერე **კი**... სთქვა (ილია 292,11); ჯერ იუცხოვა, მერე-**კი** ისე შეუჩნდი... (აკაკი 477); მოგეშვენები, ქორი-**კი** ვერაფერს დაგაკლებს (ვაჟა 210); დაუძახა დედაკაცს, თვითონ-**კი** ხარებს უშვებდა უღლიდან (ვაჟა 217); მე თოფის ნიშანს არ მოვაცილებ მარტიას, შენ **კი** ჩადი და

ძმად გაეფიცე (ყაზბ. 22); დიაცი სტირის, ვაჟკაცი **კი** სისხლს იღებს (ყაზბ. 44); მახამეთამ გასწია წინ, ელგუჯა **კი** მიჰყვა უკან სიბრთხილით (ყაზბ. 4); თქვენ უფალი ხარ ჩემი, მე-**კი** თქვენი ასული (მაჩაბ. 23,4); ეს ვენახები საკვლია ვაზებითა, ხილი **კი** მათში ნაკლებად არის დარგული (გოგ.).

ამავე ფუნქციით იხმარება **კიდევ**:

შენ მე წამახალისე, მე **კიდევ** შენ წაგახალისებ (ილია 282,39).

ზემომოყვანილი მაგალითები შეიძლება ასე გადავაკეთოთ:

დაუძახა დედაკაცს, თვითონ **კიდევ** ხარებს უშვებდა უღლიდან; დიაცი სტირის, ვაჟკაცი **კიდევ** სისხლს იღებს; მახამეთამ გასწია წინ, ელგუჯა **კიდევ** მიჰყვა სიბრთხილით; თქვენ უფალი ხარ ჩემი, მე **კიდევ** თქვენი ასული და ა. შ.

შდრ. ანდაზა:

ბატონი ყმასა სწუნობდა, ყმა **კიდევ** მასთან ყმობასა.

დაპირისპირების ფუნქცია მოეპოვება **ოღონდ**-ს. იგულისხმება ამ ტიპის მაგალითები: „წადი სათევზაოდ, **ოღონდ** ღრმად წყალში არ შეხვიდე“, „ცხენს გათხოვებ, **ოღონდ** ბევრი არ აჭენო“; „გოგლა კარგი მოსწავლეა. **ოღონდ** ძალზე ცელქია“; „ფიდო მარდია, **ოღონდ** უღონო“ და მისთ.

მაგალითები ლიტერატურული წყაროებიდან:

ამაზე სულაც არ წუხდა, **ოღონდ** კი ვაძღრები და უვნებლები ყოფილიყვნენ მისი წიწილები (გოგ.); უჩვენე, **ოღონდ** ახლა კი გაჩუმდი (ევდოშვილი); მე შეგიდგენ მოხსენებას, **ოღონდ** შენ წაიკითხე კარგად (კლდიაშვ.); იყოს ასე, **ოღონდ** კი ანდრო გაათავისუფლებინოს (ქიაჩ.); სწავლობდა, **ოღონდ** თითო კლასს ორ წელიწადს ანდომებდა (ე. ზედგენიძე).

და-ს მაპირისპირებელი დანიშნულება განხილულია მაჯგუფებელი კავშირების დახასიათების დროს.

4. მაიგივებელი კავშირები

მაიგივებელი კავშირებია:

ანუ

ესე-იგი

ანუ და ესე-იგი (შემოკლებულად: ე. ი.) არსებითად დანართის კავშირებია. ისინი შეიძლება ერთმანეთს შეენაცვლონ.

ახალი სალიტერატურო ქართულისათვის ჩვეულებრივია ამგვარი ტიპის ნიმუშები:

ქვევრი **ანუ** ჭური; მურყანი **ანუ** თხმელა; ნაჩხატი **ანუ** ჩანჩქერი; საქართველოს დედაქალაქი **ანუ** თბილისი და მისთ.

ესე-იგის მაგალითებია:

პატარა ალექსანდრე, **ესე იგი** მანანას შვილი, აქამდის აქ იყო (გრ. ორბელ. 55,195); იმ დროს, **ესე იგი** მესამოცე წლებში, იტალია და უნგრეთი სცდილობენ განთავისუფლებას... (აკაკი 456); ლოცვის შემდეგ პირს დავისველებდით, **ე. ი.** ცოტა რასმე ვისაუზმებდით (აკაკი 412); პური, **ე. ი.** ქერი, რაც მომივიდოდა, სამ თვეს გვეყოფოდა (ვაჟა 191).

მაიგივებელი კავშირის **ესე-იგი**-ს ჩანასახს ჩვენ ვადასტურებთ ძველ ქართულში. **ესე-იგი** შეხამებულია **არს** სიტყვასთან: **ესე-იგი არს:**

და იხილნეს ვინმე მოწაფეთა მისთაგანნი შეგინებულითა ქელითა, **ესე იგი არს** უბანელითა ქელითა ჭამდეს პურსა (მარკოზ 7,2); გმადლობ შენ, უფალო ადონა ელოჰ საბაოთ, **ესე იგი არს** უფალო ღმერთო ძალთაო, რომელმან გამოარჩიე საყოფელი მონისა შენისა... (არიმათ. 48,8); უკუანასკნელ დაჰბადა კაცი ხატად თჳსად და მსგავსებად, **ესე იგი არს** თჳთ-მფლობელად და თჳსითა ნებითა მიმავალად და გამომრჩეველად... (კიმ. 88,19).

დაახლოებით ამავე ფუნქციით ძველსავე ქართულში ვადასტურებთ **რომელ არს**-ს, რომელიც განსაზღვრებითი წინადადების კონსტრუქციიდან მოდის:

და რომელმან ჰრქუას ძმათა თჳსსა რაკა, **რომელ არს** საძაგელ, თანა-მდებ არს იგი კრებულისაგან განსლვად (მათე 5,22); მზა-უყვეს მას პასქაჲ, **რომელ არს** ვნებაჲ (მათე 26,19);... მახლობლად შესაკრებელსა, რომელსა ჰრქჳან ბეთელოე, **რომელ არც** თარგმანებით სახლი ღმრთისა (არიმათ. 33,7).

თავი მესამე

მაქვემდებარებელი კავშირები

მაქვემდებარებელი კავშირი, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, მონაწილეობს დაქვემდებარებულ წინადადებაში ანუ ქვეწყობის კონსტრუქციაში.

მაქვემდებარებელი კავშირებია: სივრცითი, დროულობის, მიზეზობითი, მიზნითი, პირობითი, პირობით-შედეგობითი, გამორიცხვითი, ვითარებით-შედეგობითი, ვითარებით-შედარებითი, ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

1. სივრცითი კავშირები

სივრცითი კავშირები მონაწილეობენ ე. წ. ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში.

სივრცითი კავშირებია:

სადა	საცა
სადა-იგი	საიდანაც
სადაც(ა)	ვინად
სით	ვინადაც
სითცა—სითაც	რომ

სადა, სადა-იგი, სადაც(ა)

ესაა ძირითადი კავშირი ლოკალობის ფუნქციით; ძველი სალიტერატურო ენის ადრინდელ ძეგლებიდან მოყოლებული დღემდის მკვიდრად ფეხმოკიდებულია. თავიდანვე გვხვდება როგორც უნაწილაკოდ, ისე ნაწილაკდართულად: სად(ა) || სადა-იგი || სადაც(ა). უნაწილაკო ფორმა შედარებით იშვიათია როგორც ძველ ქართულში, ისე, განსაკუთრებით, საშუალო ქართულში. რაც შეეხება ნაწილაკდართულთ, უნდა აღინიშნოს, რომ -იგი, -ცა ნაწილაკიანი

ფორმები ფაკულტატურია ძველი ქართულის ფარგლებში, ხოლო საშუალო ქართულში -ცა ნაწილაკდაროული ფორმა ბატონდება და ახალ ქართულში აბსოლუტურად გაბატონებულია.

დამოკიდებული წინადადების ადგილი განსაზღვრული არ არის: მთავარ წინადადებას თავშიც მოუდის და ბოლოშიც.

ჯერ განვიხილოთ მაგალითები, როდესაც დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს:

(ძვ. ქართ.) რამეთუ **სადა** არიან საფასენი თქუენნი, მუნცა არიან გულნი თქუენნი (მათე 6,21); **სადა** განმრავლდის ცოდვაჲ მუნ უფროჲს განმრავლდიან ჭირნი და განსაცდელნი რისხვისა-გან... (წარტყუენ. კა, 25); ...**სადა** განსუენებაჲ არს, მუნ არს მტრისაჲ იგი საყოფელი, **სადა** შუებაჲ და განცხრომაჲ არს, მუნ ნაყოფი სულისაჲ არა ყუავის (წარტყუენ.); ხოლო **სადა** ღმერთი დაემკუდროს, არა ხოლო თუ კაცობრივთა საქმეთა ოდენ საცნაურ ჰყოფს და ცხად... (ანტიოქ. 121, 16); **სადა** მეცნიერებით იფქლი არ იშრომებინ, მუნ შიმშილი ძლიერი არნ (ბოლნ. 35,6); **სადა** არს პატივი მთავრობისაჲ, მუნ არს მსგავსებაჲ ღ~თებისაჲ (ხანძთ. ივ. ია, 22).

(საშ. ქართ.) **სადა** დაცემულ იყო, მის ადგილისაგან ზე ადგა სრულად შიშუელი და დანაყილი (ვისრ. 160,1); **სადა** მე მივიდოდე, თქუენცა წამომყევითო (ვისრ. 109,27); **სადა** შენ მიხვალ, იქი, ღმერთო, ომი არ დაგველევისო (ამირან. 74,1); **სადა** მჭეცი გარდაგვეკიდის, განაღამცა მოვჰკლით (ამირან. 59,35); **სადა** გინახავს იგი მზე, წამომყევ ზღვისა კიდესა (რუსთ. 1016,4); **სადა** ინდონი ბროლ-ვარდსა სარევენ გიშრისა სარითა, მას მოვეშორევე, წამოვე... (რუსთ. 889,1); **სადა** სამყოფი გაეგულვა, კუ იგი აქა-იქ მიმოვლიდა (ქილილ. 249); **სადა** მას თაგვსა სორო ჰქონდა, მუნ დასხდენ (ქილილ. 230); **სადა** კელმწიფე იბანებოდა, იქ ორმო ჩასთხარა... (პროზ. შაჰნ. 371).

გავეცნოთ მაგალითებს, როდესაც დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს:

(ძვ. ქართ.) ...რამეთუ მოვიმკი, **სადა** არა დავსთესი, და შევიკრიბი, **სადა** არა განმიბნევიედ (მათე 25,26); მოვიდეს და იხილეს, **სადა** ჰიყოფოდა (ჰაემ.: საკითხ. იოან. სახარ.); ...ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, **სადა** თავი მიიდრიკოს (მათე 8.20).

(საშ. ქართ.) მივიდეს, **სადა** ქალაქი დიდი მულღაზანზარია (რუსთ. 1460,1); მუნ მივალ, **სადა** ყოფილვარ (რუსთ. 1496,2);

წადით, დაკარგეთ, მუნ, **სადა** ზღვისა ჭიპია (რუსთ. 581,1); მივიდეს, **სადა** ქვეყანა იყო ნურადინ გმირისა (რუსთ. 1450,3); არა ეგების კაცისაგან შესვლა, **სადა** შენ დაგიმართებიაო (ამირან. 13,3); აქა უფრო გვინდოდა, **სადა** ვნახეთო (ამირან. 74,27); და ცორაბს მივიდა ლაშქრითა, **სადა** ვისის სახლი და სადგომი იყო (ვისრ. 26,21); მუნვე წყნარად კითხვა დაიწყო, **სადა** საჭური ჰქონდა (ვისრ. 105,31); წავიდეს კმელსა, იონთა ველსა—მუნ, **სადა** მეფედ ზის კეისარი (თამარიანი VI, 11); მუნ დაიკოცნეს, **სადა** ეოცნეს... (თამარიანი VI, 4); იქი მიიყვანა, **სადა** ფრიდონის ძიძა ფური დაბადებულიყო (პროზ. შაჰნ. 383).

საშუალო ქართულში შეიძლება შეგვხვდეს ა-მოკვეცილი ფორმა **სად**:

სად ყოფილ იყო ტარიელ, მიჰხვდეს მის კლდისა არეთა (რუსთ. 1495,4); **სად** ასპათ პირველ მენახა, მუნვე ჩნდა მდგომიარეო (რუსთ. 407,3); აწ თავსა მისად საძებრად მივსცემ, **სად** კლდე და წყალია (რუსთ. 584,3); მუნ მივჰმართე მკლავმაგარმან, **სად** უფროსი ჯარი დგესა (რუსთ. 446,2); ფაენდაზებად უფენდენ, **სად** მძიმე სარასებია (შაჰნავაზ. 96,2; აგრეთვე 100,4; 130,3; 136,3; 96,1); იმ წამს მოვიდა, **სად** ვისი იყო მის სამყოფს, გორაბსა (არჩ. 237; აგრეთვე: 352, 555); სად კაცს არ უნდა, წარიყვანს, ყელზე საბელი უბია (გურამ. 338).

სად ლექსში იხმარება და, უეჭველია, ბოლოკიდური ა-ს მოკვეცა მარცვლის საჭიროებით აიხსნება. ეს სახეობა არც ახალი ქართულისთვისაა უცხო:

...თუნდა იქ მაინც, **სად** ოკეანე ერთვის ლაჟვარდ ცის დასავალსა (მაჩაბ. 31,8); **სად** დამიღამდეს, იქ გამითენდეს... (ბარათაშვილი).

გავეცნოთ -**იგი** ნაწილაკდართულ **სადა**-ს.

A

(დამოკიდ. წინადადება უსწრებს მთავარს)

(ძვ. ქართ.) სადა-იგი მოჰკუეთეს თავი წმიდასა მას მოწამესა, კართა ზედა იყო წმიდისა ეკლესიისათა (აბო 74,30); **სადა-იგი** შთაყარნეს ღმრთივ-პატივცემულნი იგი ძუალნი..., აღმობრწყინდეს ნათელნი სუეტისა მსგავსად (აბო 76,14).

(საშ. ქართ.) სადა-იგი ორასი კაცი იდგა, მუნ მოვედით (ამირან..

117,8); **სადა-იგი** ნადინები წყალი იყო, ეგრე გვიბძანა... (ამირან. 114,17); **სადა იგი** სამნი კაცნი დგეს, მუნ მოვედით (ამირან. 117,1); და **სადა-იგი** ვეშაპნი დავხოცენით, მუნითცა გამოვედით და მოვედით მას ციხესა... (ამირან. II, 39, 29).

B

(დამოკიდ. წინად. მოსდევს მთავარს)

(ძვ. ქართ.) ...დაჯსულ ხიყვნეს, **სადა-იგი** ხიყვნეს მოწაფენი დამალულ შიშისათჳს ჰურიათაჲსა (იოვ. 20,19); და იხილნა ორნი ანგელოზნი, მოსილნი **სამოსლითა** სპეტაკითა, მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერჴით, **სადა-იგი** ხიდვა გუამი იესუჲსი (იოვ. 20,12; ხანმ. ლექციონ.); ...და შევიდა, **სადა-იგი** იდვა ყრმაჲ იგი მკუდარი (მარკოზ 5,40); განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, **სადა-იგი** არა არს თუალღებაჲ... (შუშან. 41, XVI,28); ...აღაშენო სულთ-სამზრუნველოჲ, **სადა-იგი** გიჩუენოს შენ ღმერთმან (ზარმზ. 152,5); ...დავდეგ მე შორის ერისა მის სარკინოზთაჲსა და მჴედრებისა მათისა, **სადა-იგი** არეთას მთავარსა ბერძენთასა დაებანაკა ერითა თჳსითა (კიმ. 307,16): ...და რათა არა უნდობსა მას შეურაცხებასა შინა დაშთე, **სადა-იგი** გიხილე მდგომარე (ანტიოქ. 100,24).

(საშ. ქართ.) მოვედით მეორე დღესა, **სადა-იგი** ლაშქარნი და ჯაბუკნი სამის ათასითა კაცითა დგეს (ამირან. II, 166,3); მუნ მოვიდა, **სადა-იგი** მისნი სპანი დაეყარნეს (რუსთ. 673,1).

გავეცნოთ -ცა ნაწილაკდართულ **სადა-**ს.

A

(დამოკიდ. წინად. უსწრებს მთავარს)

(ძვ. ქართ.) რამეთუ **სადაცა** არს საფასჲ თქუენი, მუნცა იყვნენ გულნი თქუენნი (მათე 6,2); რამეთუ **სადაცა** იყოს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები (მათე 24,28); **სადაცა** იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე მათ შორის (ზარზმ. 167,28); **სადაცა** არს მამაჲ, მუნცა ძჲ... და **სადაცა** ძე, მუნ მამაჲცა... (კიმ. 88,5); და **სადაცა** სიწმიდემან შენმან ინებოს, მონასტრად აღვაშჱნოთ ადგილი იგი (ბანძთ. კგ, კ. 38).

(საშ. ქართ). **სადაცა** ლაშქარნი შეგვებმოდიან, დავჰკოცნით და გავაქციევნით (ამირან. 132,16); **სადაცა** კარგი სანადირო იყო...

მუნ მოვიდის (ამირან. 97,13); **სადაცა** ბრძანება მისი მივიდა, ყოველგან ავის-მოქმედობა ამოაგდო (ვისრ. 182,17); **სადაცა** გწადდეს, მუნ იყავ... (რუსთ. 935,1); **სადაცა** ნახის, დახოცნის ლომ-ვეფხნი მოშამბნარენი (რუსთ. 1330,4); **სადაცა** შენ და შენი ძმა ხართ, ძნელი გაადვილდების (რუსთ. 1321,2); **სადაცა** ვის ლაშქარნი და მეშუელნი თავისა დედა-წულთანი გარდეკიდნეს, გააქცივნეს... (შარავანდ. 99,35); **სადაცა** კარგი მჭედელი და ქელოსანი იყო, ქელმწიფესა წინა მოასხეს (პროზ. შაჰნ. 389); **სადაცა** ჯოგი იყოს, ყველა მოასხით (პროზ. შაჰნ. 374); **სადაცა** სიტყვა სჯულისა გავიდეს, მუნცა ცოლი არა იყოს ცოლად ქმრისა თვისისა (სიბრ.-სიცრ. 15,10).

B

(დამოკიდ. წინად. მოსდევს მთავარს)

(ძვ. ქართ.) ...და იწყეს მოღებად ცხედრებითა ყოველთა სნეულთა, **სადაცა** ესმის... (მარკოზ 6,55); და მოიწინეს ერთობით, **სადაცა** იყო ეფრემ... (ხანძთ. კვ, კგ, 29); ესმცა მოწაფმ იყოს მისი ჩუენ თანა, **სადაცა** ჩუენ ვიყვნეთ (ხანძთ. კბ, ით, 12); თაყუანის-ცემაჲ და ძღუენი უფლისა შევწიროთ, **სადაცა** გვნდეს (მრავალთ. 279,15).

(საშ. ქართ.) მე მოგაკსენო, **სადაცა** არიან (ვისრ. 118,21); ძმაო; ეგრე შენ მომეხმარე, **სადაცა** გამიჭირდესო (ამირან. II,19, 30); ღამე მზეებრ განანათლის ჩნდის, **სადაცა** შეჰხედვიდე (რუსთ. 1659,4); თქვენცა მუნ მოდით, **სადაცა** გესმას ზრიალი ზარისა (რუსთ. 1396,4; აგრეთვე: 640,1; 100,3); მოიწიენეს. **სადაცა** იყო საფლავი და კიდობანი იგი (სიბრძ.-სიცრ. 6,6); აქიდამ ახლო იყო, **სადაცა** კონსტანტინე მონათლულა (საბა, მოვზ. 22).

საშუალო ქართულში, განსაკუთრებით აღორძინების ხანაში, ვეხვდება ა-მოკვეცილი ფორმა **სადაც:**

სადაც გშვენოდეს, მუნითვე იყავო (ამირან. II, 171,4); **სადაც** ლაშქარნი გამოჩნდიან, შევებით (ამირან.); **სადაც** გიჯობდეს, მუნცა იყავ (ამირან. 120,33); **სადაც** დადგიან, ხანები დახუდიან დღივ და დღესითა (შაჰნავაზ. 90,4); იგი ხურო თურე ბაღდადელი იყო, შაადი **სადაც** ჩადის (სიბრძ.-სიცრ. 10,1); **სადაც** იყოს, ნუ გაუშვებთ (პროზ. შაჰნ. 374); **სადაც** დადგის შეკაზმული, ოქროს ტახტი დაუდგიან (შაჰნ. 3044,1); **სადაც** გორა და მაგარი ალაგი იყო, სოფლები იყო (საბა,

მოგზ. 15); სადაც ხე იყო, სულ ხილნარი იყო (საბა, მოგზ. 5); სადაც კრულ იყვნეთ მტერთაგან, მუნ ღმერთიმც თქვენი მჯნელია (გურამ. 315,4); სადაც სჯობდეს, ყარაულები გამოარჩივეთ (დოკუმენტ. თაყაიშვ. 58,23); სადაც უნდოდეს, იქ დაასახელოს (დოკუმენტ. ბერძნ. 134,15).

ა-მოუკვეცელი ფორმა შესაძლოა ახალ ქართულშიც შეგვხვდეს აქა-იქ, როგორიცაა, მაგალ.:

დღეს მეჯლიში მაქუს ახალ ღენარლებისათვის, სადაცა შენს სადღეგრძელოსაც დავლევთ (ორბელ. წერილ. 52, 193).

მაგრამ საერთოდ დამახასიათებელია მოკვეცილი სახეობა (სადაც):

სადაც კი შენი მადლიანი ხელი ურევია, იქ ყველაფერი საყოველთაო ყოფილა (ილია 271,7); სადაც შევდივარ, ყველგან დაბრძანდის მეუბნებიან(აკაკი 404); წარვიდეთ, სადაც მოგვიწოდს ხმა საიდუმლო ხვეღრისა (გრ. ორბელ. 102); სადაც შენ მოჰკვდე, მეც შენთან დავლიო სული (ყაზბ. 45); ...მიაშურა იქ, სადაც ეგულებოდა მაცხოვარი (ვაჟა 186).

-იგი და-ცა ნაწილაკიან ფორმათა და უნაწილაკო ფორმათა მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა შევუდაროთ ერთმანეთს ოთხთავის რედაქციები. რიგს შემთხვევაში ასეთი სურათი გვაქვს: პარხალ-ჯრუჭის რედაქციაში ნაწილაკდართული ფორმებია, ხოლო ადიშისაში — უნაწილაკო:

მთ. 6,21:DE;

რამეთუ სადაცა არს საფასჲ თქუენი, მუნცა იყვნენ გულნი თქუენნი.

შდრ. C:

რამეთუ სადა არიან საფასენი თქუენნი, მუნცა არიან გულნი თქუენნი.

მთ. 18,20:DE:

რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე მათ შორის.

შდრ. C:

რამეთუ სადა არიან ორნი ანუ სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მე მუნ ვარ შორის მათსა.

მრკ. 4,5:DE:

და სხუაჲ დავარდა კლდოვანსა ზედა, **სადა-იგი** არ იყო მიწაჲ ფრიად.

შდრ. C:

და სხუაჲ დავარდა კლოვანსა ზედა, **სადა** არა იყო სისქე მიწისაჲ ფრიად.

მრკ. 5,40:DE:

ხოლო თავადმან გამოასხა ყოველი იგი შფოთი და მიიყვანა შამაჲ მის ყრმისაჲ და დედაჲ და მოწაფენი მისნი და შევიდა, **სადა-იგი** იდვა ყრმაჲ იგი მკუდარი.

შდრ. C:

ხოლო მან გამოასხა ყოველი და მიიყვანა მამაი მის ყრმისაჲ და დედაჲ მისი და თჳსთანანი და შევიდა, **სადა** იდვა ყრმაჲ იგი.

ი. 20,12:DE:

და იხილნა ორნი ანგელოზნი **სპეტაკითა** მოსილნი, მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერჴით, **სადა-იგი** იდვა გუამი უფლისა იესუჲსი[1].

შდრ. C:

და იხილნა ორნი ანგელოზნი მოსილნი სპეტაკითა, რამეთუ სხდეს ერთი თავით და ერთი ფერჴით, **სადა** ისხნეს ჴორცნი იგი იესუჲსნი.

ბ

სით—სითცა—სითაც

ჩვენ განვიხილეთ **სადა**-ს „სადაობითი" ფუნქცია. ეგევე მასალა გამოყენებულია დაწყებითისა ('საიდან') და მიმართულების (საითკენ') ფუნქციით. ორივე შემთხვევისათვის იხმარება **სით.** მაგრამ ეს გვაქვს საშუალო ჭართულის ადრინდელ ძეგლებში.

[1] ამავე ჩვენებას გვაძლევს ხანმეტი ლექციონარი: „და იხილნა ორნი ანგელოზნი, მოსილნი სამოსლითა სპეტაკითა მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერჴით **სადა-იგი** ხიდვა გუამი იესუჲსი".

ძველ ქართულში ამ ფუნქციით **ვინაჲ** გვეცლინება. ჩვეულებრივ ერთვის ც(ა) ნაწილაკი: **საითცა||საითაც(ა)**.

გავეცნოთ მაგალითებს.

'საიდან'

...რამინ მუნითვე ქუე ჩაუშვეს, **სით** ამოეყვანა (ვისრ. 148,8); აწ **სით** წამოსულ ხარ, მუნვე წაედ (ვისრ. 17.19); მუნ არა არიან ჰაბუკნი, **სით** შენ მოხვალ... (ამირან. 104, 15); მე გამიკვირდა: **სით** ჳუყვარ, ანუ ვით მკადრებს თხრობასა? (რუსთ. 360,1); კვლავე ისინი ყმანი ჩემნი არიან, **სითცა** მოდიან (ამირან. 94,12); **სითცა** მოხუიდე გზით ანუ ნადირობით, ნატამალნი მზახალნი, ცოლი და შვილნი ზედა მოგეხუევიან მხიარულად (ვისრ. 235,37); **სითცა** გამოჩნდის, იქმოდეს ჯარნი მუნითკენ რბენასა (რუსთ. 1538,3).

'საითკენ'

სითაც ბძანოთ, მუნით წავიდეთ მეთჳი (ამირან. II, 29, 8); **სითცა** ლაშქარნი გაგზავნნა, ყველგნით გამარჯვებულნი შემოიქცნეს (ვისრ. 321,12); ვახსენე ღმერთი, წამოველ, **სითაც** კსნა მეგულებოდა (გურამ. 215,1); **სითაც** საამ შეუტევდის, ალაგს დაუგდიან (პროზ. შაჰნ. 437); **სითაც** მათუყა ება, მას მხარეს ბადეს ჰრა დაუწყო (ქილილ. 232); **სითაცა** დევმან პირი ქნის და მიმართის, ერანელთა ადგილი დაუგდიან... (პროზ. შაჰნ. 435); **სითაც** წავიდა, ხელი არ მოემართა (დოკუმენტ. თაყაიშვ. 5,6); **სით** გავექცით, ვერ გარდურჩით (ბესიკი 37).

გ

საიდანაც—საითკენაც

თანდათანობით **სით**-ს—აბლატივის ფუნქციით — ემატება-გან თანდებული. მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან".

კაცი არ არის, **სითგანცა** საბრძანებელი ჩვენია, რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია (62,3).

ცნობილი ფონეტიკური პროცესების შემდეგ ვღებულობთ: **საიდანაც** (←საიდგანაც←საითგანაც), იგულისხმება ამ ტიპის მაგალითები:

...იქვე წავიდნენ, **საიდანაც** მოსულან... (ვაჟა 98); ... **საიდანაც** დაუსრულებელი ხმა ისმოდა, მე მკლეს და ვერ მომკლეს

(ვაჟა 62); გავემართე იქითკენ, **საიდანაც** საშინელი კივილი მომესმოდა.

საითკენაც-ის ნიმუში: „მსხალს თვალი დარჩა იქით, **საითკენაც** ფითრი უჩვენებდა“ (რაზიკ.), ხოლო **საითკენ**-ის გაგებით ახალ ქართულში გამოყენებულია **საითაც**. მაგალითები ვაჟას ენიდან:

იწევდა იქით, **საითაც** ქორი გაფრინდა და გაჰკიოდა (131); **საითაც** გვინდა, იქით წავიდეთ (209); გასწია იქითკენ, **საითაც** მამლის ყივილი ესმოდა (204).

დ

საცა

საშუალო ქართულში **სადაცა**-ს გვერდით ლოკალური კავშირის სახეობაა **საცა**. თითო-ოროლა მაგალითებს გვაწვდიან ადრინდელი ძეგლები საშუალო ქართულისა:

ე **საც(ა)** ერია, მეხებრ ერია, რაზმნი შეიქმნეს სულდალეული (აბდულმესია 29,2); **საცა** წავედით მონახულნი თურე იყვნენ მათ მეკობრეთაგან იგი ქარვანი (ამირან. II, 138,26); **საცა** ლომ-ვეფხვნი, მხეცნი ანუ ნადირნი გარდამეკიდის, ვითა კატა, ეგრე მოვკლიდი (ამირან).

სამაგიეროდ, შედარებით ფართოდაა განვითარებული აღორძინების ხანის ენაში; ხშირია ისეთი ხასიათის ძეგლებში, რომელთაც ძლიერად ატყვიათ ხალხური მეტყველების გავლენა:

არსად ვეძებ სიცოცხლესა, უშენოსა **საცა** ვდგივარ (არჩ. 471,4); მზეს თუ ვპოვებ მიწიერსა, ცად რას ვეძებ **საცა** რბოდეს (არჩ. 114,3); **საცა** მონათლა ვისიმე ეხატა, სულ თავზე დასხმითი იყო (საბა, მოგზ. 47); **საცა** შეხვდისთ მუშა-კაცი, გლახა, მწირსა თავსა სჭრიდეს (გურამ. 167); **საცა** იყოს, ერთი იაბო უნდა იშოვნო და მისცე (დოკუმენტ. თაყაიშვ. 116,10). **საცა** კედლები დაქცეულები არის, ის უნდა კალატოზების საზომის იარაღებით გააზომინო (იქვე, 84,4); **საცა** მიუხდეო, უკან მომდიეთო (ფარსად, 223; აგრეთვე: 215; 231; 220).

ახალ ქართულში **სადაც**-ის გვერდით არაიშვიათია **საცა**-ს ხმარება:

საცა მივალ, თან მიმაქვს სიხარული (გრ. ორბელ. წერილ. 26); კაპლერმა გაგზავნა, **საცა** საჭირო იყო (ორბელ. წერილ. 20,169); **საცა** კი სიკეთეა იმ უბანში, იმისი მადლიანი ხელიც

იქ ურევია (ილია 274,1); საცა მისულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს (ილია 249,9).

ხშირია ვაჟასთან:

საცა სხვა ბარტყი დამალა, იქ მიიტანა (27); იქ შურს რა უნდა, საცა სიყვარული და სიბრალულია (57); საცა გინდა, გაივლ-გამოივლი (210, იხ. აგრეთვე: 50, 58, 84, 109, 187).

საცა||სადაც ზოგჯერ ირთავს რომ-ს და, ამგვარად, ვღებულობთ ლოკალობის გაორმაგებულ კავშირს:

საცა რომ შენ გინდოდეს, იქ წაიყვანეო... (დოკუმენტ. თაყაიშვ. 6,8); საცა რომ კაცსა შემოხვედის, მედგრად იკმარის მტერობა (გურამ. 15,3); სადაც რომ ააშენოს უფროსმა, ყველა უმცროსისა ხომ არ იქნება...(იესე ოსეშვ. 65); წამოყვანეს, საცა რომ წმიდა პეტრე ჯვარს აცვეს (საბა, მოგზ. 23); საცა რომ ჭუჭუტანები შედიოდა, ჩაღაბულით ამოჭოლა (ვაჟა 109).

ე

ვინაჲ(ცა)

აბლატივის ფუნქცია აქვს (საიდანაც). ძირითადად ძველი ქართულის კუთვნილებაა. იხმარება როგორც უნაწილაკოდ, ისე ნაწილაკდართულად: მხოლოდ -ცა-ს დაირთავს: **ვინაჲცა.**

...ვერვე მიაგებდა, ვინაჲ იგინი გამოსრულ იყვნეს (ასურ. 10,9); და ამან ყოვლად-განთქუმულმან და დიდთა ნიშთა მოქმედმან მიქელ აღზარდნა და სრულებად სათნოებისა(დ) აღიყვანნა იგინი, ვინაჲცა ჰხედვიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა და მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა და და ნიშთ(ა) და სასწაულთა დიდთა... (ზარზმ. 151,8); და ფრიად ძლით შევედით მას შინა, ვინაჲცა სიკშოჲსა მისგან მყოვარეამ ვერღარა ვიხილეთ ცაჲ ანუ მზისა შარავანდედი (ზარზმ. 159,31); ვინაჲთგან ძნელ არს მკეცი ესე სალტოლველად მათ-თჳს, რომელნი იგი ბრძოლად მოსრულ იყვნენ პირის-პირ. ვინაჲცა იწყეს კაცთა მათ სროლად და ტყორცებად ისართა და აღშფოთებად (ანტიოქ. 140,20); ხოლო მან აღუთქუა ცოდვისა მის განტევებაჲ და დედაკაცისა მის წარგზავნაჲ. ვინაჲცა მოეყვანა იგი (ხანძთ. ნუ, ნე, 12).

3

რომ

ახალ ქართულში სივრცითი კავშირიცაა.

მაგალითები:

მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილა და აქეთ-იქით ხევები ჩაუდის, იქ ვცხოვრობდით (ვაჟა); ეზოში რომ დიდი კაკალი დგას და გზისკენ მსხვილი ფესვები აქვს გაწვდილი, იქ ერთი ორმო თხილი მაქვს მენახული (ვაჟა).

2. დროულობის კავშირები

დროულობის კავშირები მონაწილეობენ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქციაში.

დროულობის კავშირებია:

რაჲ-რა	**ოდეს**
რაც	**ოდესცა—ოდესაც**
რომელ	**ვინაჲთგან**
რომე	**ვითარ**
რომ	**ვითარცა**
როდეს	**ვითა**
როდესაც	**ვიდრე—ვიდრემდის**
როცა	**ვიდრეცა**
როს	**ვირე—ვირემდი(ს) — ვირ — ვირემ**
რაჟამს	**ვინემდის—ვინემ**
რაწამს	**მანამდის—მანამ—მინამ**
რაწამსაც	**სანამდის—სანამ—სადამდის**
რაკი	**თუ არა**

გავეცნოთ ამ კავშირებს ცალ-ცალკე.

რაჲ—რა—რაც

ძველი ქართულისათვის დამახასიათებელია **რაჲ**. ჩვეულებრივია მისი დასმა შემასმენლის შემდეგ.

მაგალითები:

ი ხ ი ლ ა **რაჲ** იესუ მრავალი ერი გარემო მისა, უბრძანა მათ წიაღმოსლვაჲ წიაღ ზღუასა (მათე 8,18) ჴ დ ა **რაჲ** იგი მთასა მას ზედა ზეთის ხილთასა, მოუკდეს მას მოწაფენი თჳსაგან... (მათე 24,3); ხოლო ე ს მ ა **რაჲ** უკუე ჰაბუკსა მას სიტყუაჲ ესე, წარვიდა მწუხარე. (მათე 19,22; და ჰამდეს **რაჲ** იგინი, მოიღო იესუ პური... (მარკოზ 14,22); ვ ჴ ე დ **რაჲ** სახლსა შინა, მოვიდა და სძლად შემამკო (მრავალთ. 279,1); ხოლო ი შ ვ ა **რაჲ**, საშოჲ იგი გებულად დაიმარხა (მრავალთ. 284,23); და ი ხ ი ლ ე ს **რაჲ** ესე სახლეულთა მისთა, შეშფოთნეს... (ასურ. 17,5); ი ხ ი ლ ა **რაჲ** ძელსა დამოკიდებულად ძე

თჳსი გოლგოთას ღმრთის მშობელმან, სულგრძელობასა მისსა ქებით ადიდებდა (სას. პოეზია); ესმა რაჲ ესე მას, დავარდა იგი პირსა ზედა თჳსსა (კიმ. 299,29); ხოლო მიწინეს რაჲ ქუეყანაჲსა მას მეგრელთასა, მეყსეულად განყვნეს იგინი ურთი-ერთას (კიმ. 93,34); ხოლო ტიმოთე იხილა რაჲ ესოდენისა სიმრავლისა ვედრებაჲ.., არა ინება შეწუხებაჲ ძმათა თჳსთაჲ (ანტიოქ. 66,20); ხოლო მონაზონსა მას ესმა რაჲ ესე, გულისხმა-ყო... (ანტიოქ. 95,21); იხილა რაჲ იესუ..., ჰრქუა... (სიყრმჱ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, 37, 23); და იხილეს რაჲ კაცთა მათ, განუკჳრდა. ფრიად (ხანძთ. ბბ, ნთ, 14); ხოლო ბასილი მამაჲ, იყო რაჲ ჰაბუკ, კარაულსა მამისა გრიგოლისსა ხედვიდა (ხანძთ. ბგ. ბა, 1);

ძველ ქართულში რაჲ-ს შემასმენლის წინა პოზიციაც უკავია: ხოლო ესენი რაჲ წარვიდეს, იწყო იესე სიტყუად იოჰანესთჳს (მათე 11,7); შენგან რაჲ გამობრწყინდა მზეჲ სიმართლისაჲ, დაჰსნა წყევაჲ... (ჭ.-ეტრ. 235,1); დღეს სული იგი მართალთაჲ ზეცით ბეთლემდ რაჲ მოიწინეს, წინაჲსწარმეტყუელნი ერთობით ზეცისათა თანა განკჳრებულნი იტყოდეს... (სას. პოეზია, ქ, 405); და ამას რაჲ მსახური იგი წმიდასა მას ეტყოდა, მუნ იყო ხუცესი იგი ცოლით-ურთ და ნათესავით... (კიმ. 323,17); და ესე რაჲ თქუა, იწყო ვედრებად უფლისა მიმართ (კიმ. 252,28); ესე ყოველი რაჲ ესმა მის-გან, გალობათა მადლობისათა. შესწირვიდეს ქველის-მოქმედისა ღმრთისა... (ანტიოქ. 66,1); და ამას რაჲ განიზრახვიდა, სამოძღუროდ თჳსად აღვიდა (ანტიოქ. 51,8); და ეგრჱთვე ხანძთას რაჲ იყო თჳსსა სენაკსა შინა, მონადირეთა მრავალთა მახლობელად მონასტერსა მას მოიცვნეს ოთხნი გარე თხანი (ხანძთ. ბბ, ბ 1); ესჱ რაჲ იხილა კაცმან მან მოციქულმან, იცნა და შეუვრდა ადარნერსეს მაგიერ (ხანძთ. ნთ, ნვ, 38); და ამათ რაჲ სიტყუათა იტყოდა ნეტარი გრიგოლ, მაშინ ნათლითა მიუწდომელითა შეიმკო შუენიერად ხილვაჲ მისი ბრწყინვალედ ქრისტჱს მიერ (ხანძთ. ოჱ, ბ. 1—2); ესჱ რაჲ თქუეს და მსგავსი ამისი. ჯერისაებრ, მაშინ ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა ყოველთა... (ხანძთ. ოა, ობ, 51); ამას რაჲ ყოველსა ჰხედვიდეს წმიდანი იგი, ვითარცა მაგალითთა კეთილთა შთახედვიდეს (ზარზმ. 151,13); ამას რაჲ შეასმენდეს, ესმა ეიეთმე ქრისტეანეთა კაცთა...(აბო 69,4).

ძველ ქართულში ჩვეულებრივია ისეთი შემთხვევები, როდესაც დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება **რაჲ** კავშირით უსწრებს მთავარ წინადადებას. იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ისეთ მაგალითებს, სადაც პირველ ადგილზეა მთავარი წინადადება, რომელსაც მოსდევს დამოკიდებული წინადადება:

მაშინ მეჩუენა ბერი იგი, ვ ი ყ ა ვ **რაჲ** მწუხარებასა შინა დიდსა ამის საქმისათჳს (კიმ. 214,18); ამათ სიტყუათა იტყოდა ნეტარი ზაქარია, მწყემსი იგი კეთილი, დ გ ა **რაჲ** იგი და ხედვიდა იერუსალჵმსა (წარტყუენ., ლჵ,6); ამათ სიტყუათა და მსგავსთა ამათთა წარტყუენულნი იგი კრავნი ვედრებით უფლისა-მიმართ იტყოდეს, ი ყ ვ ნ ეს **რაჲ** იგინი ზედა მთასა ზეთის-ხილთასა პირის-პირ იერუსალჵმსა (წარტყუენ., კჵ, 17); და მას ჟამსა წარმოდგიან კიდესა მის ბირქისასა და უკმობედ შვილთა მათ ღმრთისათა, ი ყ ვ ნ ეს **რაჲ** იგინი შეყენებულ (წარტყუენ., კ. 19); და იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთ-შეუდგამი გარემო მისსა ცის-სარტყელის სახედ, შუენიერად **რაჲ** გ ა მ ო ჩ ნ დ ი ს ჟამსა წჳმისასა (ხანძთ. ზ, თ, 7); რამეთუ დიდებაჲ ხანძთისაჲ აღმაღლდა საუკუნოჲთა და საცნაურითა სამკაულითა, ი ქ მ ნ ა **რაჲ** განმზადებულ შრომათა განმაშურალთა მათ ნაწილთა თჳს განსასუენებელ უკუნისამდე (ხანძთ. ოდ, ოგ. 53), ... და მრავალთა ხსუთა სასწაულთა იქმოდა, ურჩთა **რაჲ** გუემითა გ ა ნ ს წ ა ვ ლ ი დ ა... (ხანძთ. ნ, შგ, 4).

საშუალო ქართულში გავრცელებულია **რა**. ჩვეულებრივ მისი ადგილი განსაზღვრულია: წინადადების თავშია.

ნიმუშები:

რა მზე ნათობდეს, მაშინცა ეთქმის დაბნელებულად (თამარიანი XII, 4; აგრეთვე: VI, 21); **რა** მოიზარდე, თვით მოიბლარდე ნათლითა ყოვლის მპყრობელისათა (აბდულმესია 56,1); **რა** რამინის ესეთი მოწიფება ესმა შაჰი მოაბაძს, ვითა მართალი იყო, ეგრე გაეხარნეს (ვისრ. 9,18; აგრეთვე: 35,3; 10,21); **რა** უსიბ ეს იმედი მოახსენა, გაეხარნეს ბადრი იამანის ძესა გზისა მის მეცნიერობა და წავედით (ამირან. II, 18,10); **რა** ისარი დაელივის, მონანი-ყე მოართმიდეს (რუსთ. 76,3); **რა** პასუხი არა გასცა, მონა გარე შემობრუნდა (რუსთ. 90,1); **რა** მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოჰხედნა (რუსთ. 61,1); **რა** მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა (რუსთ. 1191,4); **რა** ჴემო იხილა, მაშინვე სული ტკბილი წარხდა (ქილილ. 213); და **რა** შეასვეს, წამსავე შინა იგიცა მოკვდა (ქი-

ლილ. 213); **რა** დაჭკნის ვარდი, ბულბულმან იმედი გარდასწყუიტისა (შაჰნავაზ. 189,4); **რა** დილა გათენდა, შეჯდა თვით კელმწიფე ცხენსა (რუსუდ. 743,9; აგრეთვე: 50,2; 760,8); **რა** ნიშანი აჩვენა, შიროს ენიშნა (პროზ. შაჰნ. 428; აგრეთვე: 422,415); **რა** ოთხი თვე გამოვიდა, ფირან იქმო კელმწიფემან (შაჰნ. 3115,1; აგრეთვე: 2956,1); **რა** ნახა, გაკვირვებული შეიქნა (ფარსად. 223); რამინს **რა** ესმა, გარდუწყდა იმედი სიხარულისა (არჩ. 486,1); ნახა **რა** ზომი, დასდვა საზომი (ბესიკი 35); **რა** შესვა და საჭურველი მარჯვედ ყოვლი მოიხილა, ბრძანა... (ბესიკი 83); **რა** ნიშანი დასდვეს, იგიცა მოკვდა (სიბრძ.-სიცრ. 41,24); **რა** გათენდა, სენერემ ქალაქს ჩამოვედით (საბა, მოგზ. 5); ხოლო ესენი მარანდს **რა** მივიდეს, არა პოვეს კაცი (შარავანდ. 133,7); **რა** ეს ისმინეს ქართველთა, კვლა უფრო შემოსძახესა (გურამ. 318); მერე **რა** მოველ გონებას, მასვე დაუწყე ვედრება (გურამ. 235,1).

განვიხილოთ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს:

უმზირდეს მტერსა, **რა** გამოეხვნეს სამოთხესა მას საშვებიერსა (თამარიანი 1,38); და ნება ასრულდების, **რა** გული მართალი უც კაცსაო (ვისრ. 69,23; აგრეთვე: 7,8); კვლა დაიწყო თქმა ამბისა მან, **რა** ხანი მოიტირა (რუსთ. 340,1); მისცა ანდერძი შერმადინს, **რა** გაათავა წერითა (რუსთ. 808,1; აგრეთვე: 1215,2); არვის უყურა, ზავი ქნა, **რა** სახეს შეშინებული (შაჰნ. 3019,4; აგრეთვე; 2956,4); მაშინღა შექნათ აჯაბნი, **რა** ნახოთ ჩემგან ქნილია (შაჰნავაზ. 111,2); მაშინ რჩევა გარდიცვლება, **რა** ყელი ყელს გარდაიდოს (არჩ. 647,7); ვახტანგს კონსტანტილეს წიგნი მოუწონა, **რა** გაშინჯა (გურამ. 104,1).

მიუხედავად იმისა, რომ კავშირს ჩვეულებრივ წინადადების თავში ვხვდებით, ზოგჯერ ეს წესი დარღვეულია და ადგილი აქვს ინვერსიას. კავშირის წინ მოქცეულია წინადადების სხვა წევრები (ქვემდებარე, დამატება ან გარემოება), მაგრამ მას მაინც შემასმენლის წინა პოზიცია უჭირავს:

ერმი **რა გნახა**, მსწრაფლ დაიზახა შენგან უკუნმან კარის ღებანი (თამარიანი IX,2); მეფე **რა დაჯდა**, არა სჭირს ხელისა მიუმცთარობა (რუსთ. 316,3); ქალსა **რა ესმა** ამბავი, მიჰხვდა წადილი ნებისა (რუსთ. 701,1; აგრეთვე: 344,1; 350,1); დილა **რა გათენდა**..., დაჯდა ასფან მეფე მასვე მაღალთა საჯდომთა ზედან დედოფლითურთ თავისით (ამი-

რან. II,91,8); შაჰინშას რა ვისის ჴმა ე ს მ ა, გაეხარნეს (ვისრ. 128,22); მოაბად რა დ ა ი თ რ ო, მზითურთ საწოლს შევიდა (ვისრ. 123,22; აგრეთვე 146,20; 14, 9); მათ რა ნ ა - ხ ე ს, გაჰკვირდეს (რუსუდ. 727,12); ჴელმწიფემ რა გ ა ი გ ო - ნ ა, მანცა სიტყვა უპასუხა (შაჰნ. 4940,2; აგრეთვე: 2946,2); ჯიმშედის ლაშქართა რა ესე მ ო ი ნ ა ხ ე ს, ყველანი გაიქც- ნეს და უფროსნი დაჴოცეს (პროზ. შაჰნ. 374); საბრალოთა და მდაბალთა რა ამისი მახარობლობა ე ს მ ა თ, ამოსასვლე- ლი სული ჩაუბრუნდათ (ქილილ. 105); მას დიაცსა რა და- თვის სიმყრალე ე ც ა, განერწყვა (სიბრძ.-სიცრ. 32,11); მეფემ რა წიგნი გ ა ს ი ნ ჯ ა, სცნა ტკბილად მიწერილობა (გურამ. 95,1); ხოლო ესენი მარანდს რა მ ი ვ ი დ ე ს, არა პოვეს კაცი (შარავანდ. 133,7); მეექვსეს წელს რა მ ი ვ ი წ ი ე და ნადირ შაის ამბავი მოვიდა, ქალაქს ჩამომიყვანეს (იესე ოსეშვ. 6); ერთ დღე რა ქარი ა ქ რ ო ლ დ ა, ვნახე ქაჯს უკეკლუცესი (არჩ. 453,1).

ძველ ქართულში რაჲ კავშირი შესაძლოა ჩაერთოს პრევერბსა და ზმნის ფუძეს შორის.

ტმესის ნიმუშებია:

შე-რაჲ-მ წ უ ხ რ დ ი ს, სთქვთ... (მათე 16,2); შე-რაჲ-ვ ი დ ა იგი კაფარნაუმდ, მოუჴდა მას ასისთავი ერთი (მათე 8,5); და მი-რაჲ-ხ ჳ დ ე თ, ქადაგებდით და ეტყოდეთ... (მათე 10,7); შე-რაჲ-ვ ი დ ე ს შინა, არა პოვეს გუამი იგი უფლისა იესუჲ- სი (ლუკა 24,3); ... ხოლო მ ო -რაჲ-ი დ ი ს წმიდაჲ იგი საიდუმ- ლოჲ, ჴორცი და სისხლი ქრისტჱსი, მაშინღა ნაკლულევანად მიიღის საზრდელი... (აბო 66,26); შემდგომად ა ღ-რაჲ-დ გ ა უფალი ჩუენი იესუ ქრისტჱ მკუდრეთით გამომეცხადა მე. იოსებს პირველად... (არიმათ. 4,1); ...გ ა ნ-რაჲ-ვ ი დ ე ს იგინი ნავისა მის-გან..., პოვე ძე თჳსი განკურნებული... (კიმ. 333,34); ხოლო შ ე-რაჲ-ვ ი დ ო დ ა ქალაქად, ვითარ გაუწ- ყოთ, თუ ვითარითა დიდებითა შეიყვანა იგი ერმან მან (ან- ტიოქ. 110,31); ხოლო მ ო-რაჲ-ვ ი დ ო დ ა გზასა თჳსსა, შთავარდა იგი ჴელსა ავაზაკთასა (ანტიოქ. 131,13); და აღ მ ო-რაჲ-ვ ე დ სანათლოჲსა მის გან, მიწოდა სახელი სანატ- რელმან მღდელმან იოვანე... (რავახ. 90,23); და აწ კურნება- სა ჰპოვებენ მორწმუნენი მადლითა მისითა, მ ი-რაჲ-ა ქ უ ს მიწაჲ ევლოგიად საფლავთა გან მისთა (ხანძთ. ნთ, ნვ, 36); მი-რაჲ-ი წ ი ა წინაშე ჴელმწიფისა მის, ~ზე აღდგა... (ხანძთ. კბ, კ, 11); ხოლო პარეხთა შინა მრავალთა წელიწადთა

ცხოვნდა და ა ღ-რაჲ-ე ს რ უ ლ ა, მუნვე დაემარხა (ხანძთ. ლჼ, იბ, 26).

მაგალითებიდან ჩანს, რომ **რაჲ** უმთავრესად დაერთვის **ვიდა** და **ყვან** მასალას და გვხვდება შემდეგ პრევერბებთან: **აღ, მი, მო, გან, აღმო.**

რა დროულობის გადმოსაცემად გავრცელებულია ახალ ქართულშიც:

> აწცა **რა** თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან (ბარათ. 6); ნახა-**რა**, რომ მისი მოსვლა შეუმჩნეველი არ დარჩა... (ვაჟა 211); სთქვა **რა** ეს, მელამ სხვა მხარეს დაიწყო ცქერა (ვაჟა 206; აგრეთვე: 203; 105; 132); **რა** ვახშამზედ დასხდნენ, ლაპარაკი გადავიდა თემის ყრილობაზედ (ყაზბ. 68); **რა** მათია შეიყვანეს სასტუმროში..., მაშინათვე ყველანი მოეხვივნენ... (ყაზბ. 66); **რა** ოთახის კარი მოიხურა, ელგუჯა ფეხებზე წამოვარდა... (ყაზბ. 7); და ესეცა ფიცხლავ გაიქცა, **რა** ნახეს გამოსული მდევარი (ორბ. წერილ. 13,162); ...და **რა** ნახავდა... დააკრაჭუნებდა კბილებს მეტის სიამოვნებისაგან (ილია 336,9); **რა** დაიღლებოდა ამგვარი ყაყყავით, მოგვშორდებოდა ხოლმე თავიდამ (ლომოური); **რა** დავასრულე, მოსკდა ზვირთები გულიდან... (მაჩაბ. 22,8).

ჩვენ განვიხილეთ ისეთი შემთხვევები, როდესაც **რაჲ-რა**-ს შემცველი დამოკიდებული წინადადებით გამოხატული მოქმედება უსწრებს მთავარი წინადადებით გამოხატულ მოქმედებას. მაგრამ ეს დასწრება ხანგრძლივი დროის ინტერვალში არ მდგომარეობს,— ერთი მოქმედება მეორეს მისდევს უშუალოდ. ზოგჯერ გადმოცემულია თანაყამიერობაც. ამასთანავე მოცემულ კავშირს ხანგრძლივი დროის ინტერვალის გადმოცემაც ეკისრება; დამოკიდებულ და მთავარ წინადადებათა შორის არის არა უშუალო თანამიმდევრობა მოქმედებათა, არამედ გარკვეული ხანდაზმულობითი მიმართებაა (ეს საკითხი განხილულია ქვემოთ. დებულების ხაზგასმა აქ გვჭირდება მასალის კლასიფიკაციისათვის).

დროითი ინტერვალის გადმოცემის ფუნქციით ქართულში გამოყენებულია სათანადო კონსტრუქციაში **ვინაჲთგან, რა, რაც.**

ვინაჲთგან

იხმარება ძველ ქართულში. მასალა იხ. ქვემოთ, სათანადო ადგილას.

რა

იხმარება საშუალო ქართულში (იშვიათად):

რა მოყუარემან ჩემმან თმანი დამიგრუზნა, მუნითგან მით სურნელითა ტოილოითა გული ჩემი დაუბამს მაგრად (ვისრ. 158,28); რა შობილ ვარ, ჭირი და ფათერაკი ბოროტი დია მინახავს... (ვისრ. 27,19); რა გნახე და შეგისწავლე, მუნითგან, თუით იცი, ვით გავკე (ვისრ. 191,14); რა კაცსა ახალი მიჯნურობა გულსა ჩაუვარდების, ძუელსა მალე დაივიწყებს (ვისრ. 264,3); რა მინახავ, მუნითგან არა გამომისუენებია წამსაცა ერთსა... (ვისრ. 190,24); რა ჩემი მოყუარე გაცხოვნებულა, მუნითგან მე ათასითა ბორკილითა და ჯაჭუითა შეკრული ვარ (ვისრ. 133,35); რა ესე საქმე იქმნა, მუნითგან რამინ ტირილისა და კუნესისაგან ესე დამჭლდა და გაკდა... (ვისრ. 134,8); რა ესე ესმა დედოფალსა, იმიერითგან საჭმელსა თვისითა ჯელითა უქმოდის დედოფალი... (ამირან. 107,3); რა მოგეშორვე, მას აქათ სიცოცხლე მომძულებია (რუსთ. 1008,1); რა გული დავაგე შენად სარებლად, მუნითგან ვარდს გიფენ მითამ არებით (ბესიკი, 18); მერე რა აქედამ წასულხარ, თქვენი ამბავი ვეღარა შევიტყევით რა (დოკუმენტ. თაყაიშვ. 62,2).

სათანადო მაგალითებს შესაძლოა ახალ ქართულშიც შევხვდეთ: ეს რაოდენიმე დღეა, რა შენთან აღარ მომიწერია (ორბელ. წერილ. 10,161); დიდი ხანია თქვენი წერილი აღარ მომსვლია, და არცა ილიკოსი, რა წამოვიდა ზაქათალიდამ (ორბელ. წერილ. 49,190).

რაც

-ც ნაწილაკდართული რა სათანადო ფუნქციით ახალ ქართულშია გაბატონებული. ახალ ქართულში მკვეთრად გაემიჯნა ერთმანეთს დროულობის მიმართების (ინტერვალის) გადმოცემის თვალსაზრისით რა და რაც; მათ ამ მხრივ განსხვავებული ფუნქცია აქვთ. ნიმუშები:

ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისათვის იგზავნებიან ციმბირში (აკაკი 484); თუმცა დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც ის მოკვდა, მაგრამ უიმისოდ ვერაფერი საზოგადოებრივი საქმე ვერ წარმომიდგენია (აკაკი 474); რაც სეზონი გათავდა, მისი შველა აღარ შემეძლო (აკაკი 477); ეს თვე-ნახევარია, რაც გიახელი (ილია 278,9); სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი აქ შემოვიდა(ილია 254,5); კარგა

ხანია, **რაც** ესეც მოჰსხლტა თავის საყვარელ მეგობრებს და ამხანაგებს (ვაჟა 19); ეს რამდენიმე დღე იყო, **რაც** მათიას ეს ჩვეულება დასჩემდა... (ყაზბ. 59); ეს ერთი წელიწადია **რაც** მთელი დუნია მაგაზე ლაპარაკობს (ლომოური); კარგა ხანმა გაიარა მას აქეთ, **რაც** კაცია საგუნაშვილმა ერთი თავისი საყანე ადგილი შესასვენებლად გაუშვა (კლდიაშვილი, 1,7); შვიდის წლისა **რაც**-კი შევიჭენ, ... მათთვის სანუკვარ საქმედ შეჰქმნია ვარჯიშობა საომარ ველზე (მაჩაბ. 19,4).

მე-18 საუკუნის მიწურულის საბუთების ენიდან:

რაც შენ წასულხარ, მანდაური ამბავი არ შეგვიტყვია რა (თაყაიშ. 69,3); **რაც** მოგეწერათ, **რაც** შენი წიგნი არა ვნახე, მანამდი შენი არა გამიგონია (თაყაიშვ. 89,7); მას აქეთ, **რაც** ჯავათხანს ყარაბაღიდამ ელი წამოეყვანოს..., ისევ იბრეიმხანს მიუბრუნოს (თაყაიშვ. 135,11).

„ომაინიანიდან".

რაც ბრძანება გამოვიდის, ფიცხლავ გაათავიან და აღუსრულიან (76, 13).

რა კავშირი შესაძლოა შეეხამოს დროულობის სხვა კავშირს — **რომ**-ს და, ამრიგად, მივიღოთ გაორმაგებული, პარალელური დაკავშირება: **რა რომ**.

რა რომ ჩვენი ქვეყანა დავცალეთ, მას აქეთ ქალაქ'ში იდეგ და კიდევ იმ რიგით ემსახურებოდი ყულიასშვილს რევაზსა (დოკუმენტ. თაყაიშვ. 20,7); **რა რომ** კაცს. მოსცილდეთ, სასუფევლისათვის სულთქმა და უში გქონდესთ (ვახტ. სეგ, ი.); **რა რომ** ქართულს ველარ მიხდომოდეს და ლექს ძვირობა დაეწყოს, მაშინ ქართული არ შეამოკლოს (ვახტ. სეზ, კა); **რა რომ** ტყვეებს კრეფას დაუწყებდენ, აკლდამებში ჩაგვეხვმდენ მე და ჩემს დას ახუას (იესე ოსეშვ. 7); აწ მეორედ მეფე ვახტანგ **რა რომ** ყეენს შეასმინეს, თითქმის ასე განარისხეს, ჭკუისაგან შეაცდინეს (გურამ. 75,1); **რა რომ** თქვეს პურის სახელი, მე იმან მომიფონაო (გურამ. 254,3).

რომელ—რომე—რომ

დროულობის კატეგორიის ძირითად კავშირთა გვერდით საშუალო ქართულის ადრინდელი პერიოდიდანვე თანდათანობით გზას იკაფს **რომელ — რომე — რომ**, რომელთაგან ახალ სალიტერატურო ქართულში საბოლოოდ გაბატონდა **რომ**.

A

რომელ

რამდენიმე ნიმუშს გვაწვდის „ვისრამიანი“:
ძილისპირისა ჟამსა **რომელ** ღამისა სიბნელისაგან გზა აბნ... ჩნდა, რამინ მივიდა ბეჰროზის კარსა გულმხიარული და ჭარ-თაგან ჯსნილი (110,24); შენ შენი ასული განაღა მაშინ შემრ-თე, **რომელ** ოცდაათი წელიწადი გამოვიდა და მაშინ შობე (34,7); ოთხმოცდასამი წელიწადია, **რომელ** სუიანი ქელმწიფე-ვარ (324, 12); ერთისა წლისა ბეგარქმნილთა ჯერეთ სარტყე-ლი არ შეეკსნა და მუზარადი არ მოეკადა, **რომელ** კულა ცი-ხისა საძნელოსა გზასა აწუივნეს (146,5).

B

რომე

მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა მბრძოლი დარჩომოდა, **რომე** პოვნეს საჭურჭლესი, აწმცა თვალვა ვით ითქმოდა! (რუსთ. 1425,3); კაცის სიცრუვე მაშინ ცამოჩნდების, **რომე** მძინარისა შუღლით და ბრძოლით რიგუბასა ცდილობდესო (ქილილ. 152); ამა ადგილსა **რომე** ვიმყოფები, უწინდელი-ჩემი სამკვიდრო არ არის, ჩემდა უნებურად აქა მოვიწიე (ქილილ. 249); **რომე** მომკვლენ, მას უკანით ფათერაკსა ჩა-ვარდები (შაჰნ. 3078,1).

C

რომ

ამ სახეობის გავრცელების არე გაცილებით უფრო ფართოა:
მე **რომ** თქვენ გნახე ედემისა ხე მართ სამოთხისა მიახლე-ბულად, ღონე ვიცადი... (თამარიანი XII, 10,11); ესეთსა სწავლებასა **რომ** შემოიღებს, თუცა ხელმწიფე მას ყურსა მიუპყრობს, ერთისა საუბრითა ამა მორევსა გასცურავს (ქი-ლილ. 202); იქვე შაქისს იყო, **რომ** ქაიხოსროვ ათაბაგს არზა მოეწერა (ფარსად. 213); თითო ლუკმა **რომ** ვჭამეთ, ასე გვე-გონა... (რუსუდ. 771,2; აგრეთვე: 740,1; 771,4; 777,11); ადრე **რომ** მიგველოდნენ, ვეღარ მივედით (საბა, მოგზ. 17); ოცდა-ცხრა თიბათვე იყო, **რომ** რომს შევედით (იქვე 17; აგრეთვე:

16; 11); და ასპარეზში ხვრელი **რომ** გაიღეს, ზე შეშა დადგეს მრავალი, მსგავსი ბორცვისა (სიბრძ.-სიცრ. 17,4); **ბატონი რომ** ყმას სიტყვას უბრძანებდეს, ყმა უნდა ჰკრთოდეს (ვახტ.ზ,დვ); დღეს **რომ** კარგი წინ გიმძღვაროს, უკან მოგადევნებს ხვალ ავს (გურამ. 341,2); **რომ** მიხვალ, როდის დაგინდობს, მოგკლავს ეს შენი მტერია (გურამ. 109,3); ინდოეთიდამ **რომ** მობრძანდა, დააბეზღეს... (იესე ოსეშვ. 15); მერმე ჩვენი ოჯახი **რომ** აიკლეს..., მაშინ სისხლის წიგნი ქონდა ბებიაჩემსა (დოკუმენტ. თაყაიშვ 12,2; აგრეთვე; 11,3 64,12; 12,15); **რომ** შარვაშიძე მოკუდა, მივედით ჩუენ და ნიშანიც მართებული ავიღეთ (საეკლ. საბ. 91,31; აგრეთვე: 104,7).

ახალ ქართულში **რომ** დროულობის ძირითადი კავშირთაგანია. მაგალითები:

ჩვენს საქმეს **რომ** ვჰხედავ, მაგის მეტი ღონე არა გვაქვს (ქალმას. 2,27); ორმოცი წლის **რომ** შეიქნეს, გააგდეთ (გრ. ორბელ. წერილ. 38); **რომ** გაათავა ჩემი ამბავი, მკითხა... (ილია 310,2); არ გაუვლია ერთ კვირეს, **რომ** ამას მეორე შემთხვევაც დაერთო (აკაკი 419); ნ. ნიკოლაძე ძალიან ახალგაზრდა იყო, **რომ** გაათავა ქუთაისის გიმნაზია (აკაკი 475); ის-იყო უნდა გადამხტარიყო..., **რომ** ამ დროს მოვიდა ჩხიკვი (ვაჟა 203); მე **რომ** სიმღერას დავძახებ, არ შეგეშინდეს (აკაკი 199); განაჩენი **რომ** წაკითხულ იქნა, სწორედ ამ დროს არწივმა ჩამოინავარდა (ვაჟა 101); გავიდა საათის ჩარექი, **რომ** ჰექა მოესმა (ვაჟა 132); კარებთან **რომ** მოვიდა, ერთი კიდევ მოიხედა (ყაზბ. 6).

როგორც ზემოდამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, **რომ** შეიძლება შეგხვდეს წინადადების თავში. მაგრამ ჩვეულებრივია მისი ინვერსიაც.

როდეს—როდესაც

საშუალო ქართულში გვხვდება, უმთავრესად აღორძინების ხანის ენაში; ფართო გავრცელება არა აქვს.

როდეს მივიდა, შემოუტევეს მათ ლაშქართა (ამირან. 23,22; აგრეთვე: 10,20; 35,33); აქ **როდეს** იყო სიაოშ, გულტკბილად შევიყარენით (შაჰნ. 2975,2); **როდეს** ომი მოეგონებოდა, მისსა ლაშქარისაგან კაცი იქმის... (პროზ. შაჰნ. 376); **როდეს** მიველ, დავხედე (რუსუდ. 752,6); **როდეს** ცეცხლთა დაასხა, მისსა დაშრეტად არ მოუძლურდა (ქილილ. 241); **როდეს** დამ-

ჭირდა და მოვინდომე ჩემი ყმი-შვილის გასყიდვა, მიველი ჩემი ნებაყოფლობითა (დოკუმენტ. ბერძენ. 158,5); მას ჟამსა, **როდეს** მოგუიდექით კარსა და საბარათაშვილოშიგა მამულს გუიაჯენით... (დოკუმენტ. თაყაიშვ. 165,5); მას ჟამსა, **როდეს** მაკურთხეთ, თქვენის ბრძანებისა მორჩილნი ვიყვნეთ (ქართლ.-კახ. საბუთებიდან).

ნაწილაკიანი კავშირი **როდესაც** აღორძინების ხანის ენიდანვე ისახება:

როდესაც წამოხველ, მას არაბეთსა შიგან დააგდეო? (ამირან. II,68,29); **როდესაც** თვალით ვნახავ, მაშინღა დავიჯერებო (ქილილ. 244; აგრეთვე: 267; 252; 166; 375; 158); **როდესაც** შემატყო მაკრატელთა ხმარებასა შიგან პარვა, ხე მომაგონეო (სიბრ. სიცრ. 23,6); **როდესაც** გეპრიანება, მობრძანდით (საბა, მოგზ. 39); **როდესაც** გუგუნა და იესე გაიყარნენ, საწილოდ და გასაყოფად კელი არა აქვთ (დუკუმენტ. ბერძენ. 182,10); **როდესაც** უკეთ შეიქნას და წამოსვლა მოინდომოს, ცხენზედ ნუ შეჯდება (დოკუმენტ. თაყაიშვ. 98,5); **როდესაც** მოინდომოთ თქვენის ყმის აყრა და აყაროთ და წაიყვანოთ, არავინ არ მოგიშალოთ (საეკლ. საბ. 81.7).

ახალ სალიტერატურო ქართულში **როდესაც** ერთი უძირითადესი კავშირია დროულობისა:

როდესაც ბატონი გაუძალდა, გლეხებმა შეუყარეს კეტები ხის სახლს (აკაკი 413); ეს ის დრო იყო, **როდესაც** საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ შედიოდა (ყაზბ. 5); გაიარა რამდენიმე წუთმა ამ მდგომარეობაში, **როდესაც** ერთი ცხენოსანი გამოჩნდა... (ყაზბ. 3); მზე ჩასულიყო, **როდესაც** გულებ-დახეთქილები... მოადგნენ... ბილიკს (ლომოური).

ცალკე უნდა გამოიყოს ასეთი შეხამება: **მაშინ როდესაც**.

ნიმუშები:

ორი ფოშტა გავიდა და შენგან არა მივიღერა ამბავი, **მაშინ როდესაც** ალიოსმალო ხმალსა ჰლესავსო ჩვენთვისა (ორბელ. წერილ. 63,202); ...კვალს სინჯვა დაუწყო, **მაშინ როდესაც** იმას გზა აუქციეს... (ყაზბ. 16); მიაჭენებდა ქვეშეთისაკენ, **მაშინ როდესაც** მათია... იძახდა (ყაზბ. 72); ... აკაკიმ ცოლის მზითევი მილიონები აიღო და გაფლანგაო..., **მაშინ როდესაც** თვალით არა მინახავს რა (აკაკი 464); არც ახლა იხსენიებს ვინმე.., **მაშინ როდესაც** დანიკლ ჭონქაძე... გაჭიმულია როგორც დიდი ვინმე (აკაკი 472); სრულიად საჭირო არ არის ამაზე ვიფიქროთ, **მაშინ როდესაც** ვიცით... (აკაკი 484); ამან

მომავალი უკეთ გამოიკვლევს, **მაშინ როდესაც** ყიფიანის ნათესი თავს იჩენს (აკაკი 484).

შეიძლება შეგვხვდეს, აგრეთვე **მაშინ როცა:**

ზარალი უმნიშვნელო და ხასმოკლეა, **მაშინ როცა** მშრომელთა მატერიალური სარგებლობა დიდია.

აღსანიშნავია, რომ, როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, **მაშინ როდესაც** კავშირი ზოგჯერ ამყღავნებს დაპირისპირების ნიუანსს,—ამიტომ შეიძლებოდა მისთვის „მაქვემდებარებელი დაპირისპირების კავშირი" გვეწოდებინა.

როცა

საშუალო ქართულის მოგვიანო ძეგლებში გვხვდება იშვიათად. ნიმუშები:

როცა დრო გარდავლის, მტერს ძალი მოემატება (ქილილ. 124); ესრე დაუდებიათ, ავი სარგებელი მოსდევსო, **როცა** სვლის დრო არ იყოსო (ქილილ. 176); **როცა** მოვიდეს, სახლი ჰქონდეს, თუ სხვა რამ, გაჰყიდოს... (დოკუმენტ. თაყაიშვ. 5,16); **როცა** ხარჯი მოვიდოდეს, ასე უნდა გაიღებდენ... (დოკუმენტ. ბერძენ. 197,4).

როცა დამახასიათებელია ახალი სალიტერატურო ქართულისათვის, როგორც ნორმა, იგი იხმარება **როდესაც**-ის პარალელურად და იმავე ფუნქციით:

ამის ანგარიშს, **როცა** მოვალ, მაშინ მოგთხოვთ (ორბელ. წერილ. 51,192);... **როცა** კი მოვიგონებდი, ჟრჟოლას მომგვრიდა მარიამობისთვის ცივებასავით (ილია 269,17); **როცა** გიჭირს, მაშინ გეშველება (ილია 267,3); **როცა** იმათ ეშლებოდა, მაშინ აქნევდი თავს (აკაკი 433); მაგრამ ბოლოს **როცა** აზრის გაგებაზე მიდგა საქმე, მაშინ კი აიბნენ (აკაკი 432; აგრეთვე: 401); აშირბინდმა დაჰკრა, **როცა** დიდს ჭალაში ყორანი და სვავი ხაეშვნენ (ვაჟა 6; აგრეთვე: 4; 38); ...**როცა** ეს მზადება გაათავეს, ელგუჯამ წამოიძახა (ყაზბ. 18; აგრეთვე: 10; 33); როგორც მეძებარი ძაღლი აიცქვეტს ხოლმე ყურებს, **როცა** ნადირის სუნს იღებს... (ლომოური); კაცია... დარწმუნებული იყო, რომ, **როცა** კი მოინდომებდა, ყოველთვის შეჰკრავდა თავის ადგილს (კლდიაშვ. 7,32); **როცა** საშველი აღარ არის და მწუხარება იმედს ჰკარგავს უკანასკნელს, თითონაც ჰქრება (მაჩაბ. 23,14).

იხმარება როგორც სამუალო ქართულში, ისე ახალ ქართულში და არსებითად დამახასიათებელია პოეტური მეტყველებისათვის.

ნიმუშები:

როს ენა შვიდი, მათთვის დამშვიდი, საზრახელ იყო სულთა ყოველთა..., მაშინღა ნებროთ ჰკვით სამისებროთ გოდოლი კელ ჰყო შენებად ველთა (აბდულმესია 91,1, 2, 3,); ვქმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა, **როს** იავარ ჰყო იამან ქვეყნით (აბდულმესია 32,1); მისრულ მისრულა, გული **როს** მჭრონდა სალმობიერად (აბდულმესია 66,4); ღვთისაგან ეგე, **როს** თამარ ეგე ნაკელოვნებად მისადენალი... (თამარიანი VIII, 1,2); მაშინ სცნობ ჩემსა ანდერძსა, **როს** ესე გარდახდებისა (არჩ.); ვერ მოიხმაროს მაშინღა, **რომ** ლომი გამოეკიდოს (არჩ. 574,2); **როს** ვნახე ჭერში კიდული, მსწრაფლ დამემართა ბნედაი (ბესიკი 59; აგრეთვე: 11, 12, 14, 18).

გავეცნოთ ახალი სალიტერატურო ენის ფაქტებს. უფრო ხშირია არქაისტებთან:

როს ვიყავ ცოცხალ..., მეცა მიყვარდა... (გრ. ორბელ. 42; აგრეთვე: 59; 43; 26; 18; 17); **როს** მჭმუნვარება შემომესეის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად (ბარათ. 7); **როს** დაიწყებენ იგინი ცქერას, გული სხვა გრძნობით მოჰყვება ძგერას (ილია 17); მახსოვს, ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა, **როს** სიდიადე თქვენი მგვრიდა კასკალს, ჟრუელასა... (ილია 3); ეს მე ვაცნობე მთელ ქვეყანას, **როს** გულახდილად და შეუპოვრად ავყევ უცნობ ბედის ქარიშხალს (მაჩაბ. 25,3; აგრეთვე: 23,10; 22,7; 17,5; 17, 19).

როს კავშირს **ც(ა)** ნაწილაკის დართვა საერთოდ არ ახასიათებს, მაგრამ ორიოდე მაგალითს ვხვდებით აღორძინების ხანის ენაში: **როსცა—როსაც:**

როსაც არის, მასცა გეტყვი, კონსტანტინეს ბოლოს საქმეს (არჩ.); არც კუშტობით რა მერგება, **როსცა** მასვე მიხვდები (არჩ.); **როსაც** ჩვენი ბრძანება მოგვივიდოდესო, ისე ჰქენ, რაც გვებრძანებინოსო (ფარსად. 225); **როსაც** ყაენის კარგი ანბავი მოვაო, წითელს რასმეს წამოვისხამო (ფარსად. 233): **როსაც** ურუმთ ზედ მიხდომის დრო იყოს, ყაენს შეატყობინონ (ფარსად. 225); **როსცა** შერიგება მომხდარიყო, ისევ მიეცათ (საბა, მოგზ. 3); **როსცა** გათავდა ბრძანება ღვთისა, გამოვიდა ცხრა თევე, დაიბადა ვაჟი ცისკრის უნათლესი

(რუსუდ. 737,8); **როსცა** მათ შეჰპირებია რამე ექმნებათ, იგინი (მოყვარენი) რა ცის კომლებრ შეკრებულნი იყუნენ (ქილილ. 256).

რაჟამს

ფართოდ გავრცელებული კავშირია დროულობისა ძველ ქართულში.

ზოგიერთი ტექსტი გვაძლევს **რასჟამს** ფორმის წაკითხვას: და **რასჟამს** დაასრულეს ბასრობაჲ იგი მის ზედა, განჰძარცუეს ძოწეული იგი და შეჰმოსეს მას სამოსელი თჳსი და გამოიყვანეს იგი ჯუარ-ცუმად (მრკ. 15,20 : C). ამგვარადვე სრულადაა ეს კავშირი ხანმეტ ლექციონარში. ოთხთავის C რედაქციაში გუხვდება აგრეთვე **რაჲჟამს**. საერთოდ კი ძველ ქართულში უნდა ვივარაუდოთ **რაჟამს**.

გავეცნოთ მასალას:

ხოლო **რაჟამს** აღვდგე, წარგიძღუე თქუენ გალილეად(მათე 26,32); მიეცით, ერნო, დიდებაჲ ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, **რაჟამს** გესმას კმაჲ იგი სანატრელი (ჭ.-ეტრ. 143. V, 9); **რაჟამს** გამოსჩნდი შენ შორის ორთა ავაზაკთა, ქრისტე ღმერთო, მას ჟამსა ეზოჲ ტაძრისაჲ მის განიპო... (ჭ.-ეტრ. 165, V, 8); **რაჟამს** ჴელყონ ჴელოვანთა მუშაკთა, მაშინ იხილოს თუალთან მხილველთამან შუენიერებაჲ ადგილისა ამის (ზარზმ. 157,28); **რაჟამს** უდაბნოს გარე იქცეოდიან და ილოცვიდენ, იყუნენ იგინი ზურგმოდრეკით თაყუანის მცემელ (ასურ. 7,31); ხოლო რაჟამს მიხილეს სახლეულთა ჩემთა, განიხარეს სიხარულითა უზეშთაესითა (არიმათ. 17,1); იაკობ **რაჟამს** აკურთხევდა იუდას, ჰრქუა ესრეთ... (სახისმეტყ. 2, ბ, 4); **რაჟამს** იხილიან მართუეთა დედაჲ, ანუ მამაჲ..., მართუეთა მათ დაჰკრტნნიან ძუელნი ფრთენი... (სახისმეტყ. 15, ია, 8); და **რაჟამს** ადგილნი ესე წმიდათა მოწამეთანი ვიხილნეთ, ვისწრაფოთ და მივემსგავსნეთ საქმეთა მათთა (წარტყუენ., მთ. 19); და **რაჟამს** მცნებანი მისნი არაჲ დავიმარხენით, მოაწია ჩუენზედა სწავლაჲ ესე (წარტყუენ., კგ, 4); ხოლო **რაჟამს** აღჰკსნის, გამოსცის სულნელებაჲ თჳსი... (იპოლიტე ია, 70; აგრეთვე: მდ, 36; იბ, 75); და **რაჟამს** აღესრულა საქმე ესე, შევწირეთ ჩუენ მადლობაჲ ღმრთისა (კიმ. 314,33; აგრეთვე 258,29; 268,32; 268,2); **რაჟამს** მოვიქცე აფხაზეთით, თანა წარგიყვანო შენ ხანძთად (ხანძთ. კბ, კ, 10; აგრეთვე; ჲა, ნზ, 25; ოდ, ოდ, 4—5; კზ, კგ, 54, კბ, კ. 1).

ჩვეულებრივ დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარ წინადადებას, მაგრამ არის ზოგ-ზოგი შემთხვევა ინვერსიისა:

და მაშინღა დასცხრა და ესრეთ ჰყოფდეს ღრუბელნი იგი ყოველსა ჟამსა, **რაჟამს** საკმარ არნ წყალი (ქიმ. 257,26); და ვინ-მე-მცა არა შეძრწუნდა მტერთა მათ-გან, **რაჟამს** ჰხედვიდეს მათ... (წარტყუენ. იზ, 31; აგრეთვე: იე, 20; ოთ, პბ, 3-4; ე. გ, 53).

რაჟამს

გვხვდება უფრო ახალ ქართულში და იგი ხალხური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, გამოხატულება რომ უპოვია ლიტერატურაში.

სათანადო ნიმუშები დავიმოწმოთ ყაზბეგის ენიდან:

რაჟამს ქალმა თვალი მოჰკრა, სიხარულით მისკენ გაექანა (26); **რაჟამს** დაინახეს ეს ადგილი, სიხარულით გაექანნენ (17); **რაჟამს** ელგუჯა ცოტა უკეთ შეიქმნებოდა, მზაღვეს მოიტაცებდნენ (69); **რაჟამს** ბრძოლას მორჩა და ფათერაკი აიცდინა, იმის აზრები ისევ მზაღვეს მიუბრუნდა (66; აგრეთვე: 41;29; 131; 7).

დაირთავს-ც(ა) ნაწილაკს:

რა წამსაც ეს გავიგონე გაბოროტებული გამოვტრიალდი.... (ილია 300,39); **რა წამსაც** გლახამ დაინახა, თვალები ცეცხლისავით ისევ სიცოცხლით აენთო (ილია 321,18).

შდრ. ჯაბუთების ენიდან:

რა წამს ჩვენი წიგნი მოგვივიდეს, საჩქაროთ ეგ სამივ ქუმჩი მელიქებს გამოასტუმრებინე (თაყაიშვ. 46, 6); **რა წამს** თქვენი წიგნი მომივიდა, მაშინვე ბატონს გაუგზავნე (იქვე, 82,9); **რასაც წამს** ეს წიგნი მოგვივიდეს, მაშინვე გამოაგზავნეთ (იქვე, 98,4).

რაკი

ახალ სალიტერატურო ქართულში ზოგიერთ მწერალთან **რაკი**-ს დროულობის გადმოცემის ფუნქციაც ეკისრება. ეს არ შეიძლება ნორმად ჩაითვალოს სალიტერატურო ენისათვის.

დავიმოწმოთ ზოგიერთი მაგალითი:

მას აქეთ **რაკი** შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება (ილია); **რაკი** ვლადიკავკასიდამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვა-რიგად დამიწყო ფეთქა (ილია 249,38); **რაკი** ჩემი საქმე გავა-

თავე, გულმა მღვდლისაკენ გამიწია (ილია 281,39; აგრეთვე; 295,32 339,18; 270,37; 264,16);... რომლის მსგავსთ ასე ხშირათა ხედავთ, **რაკი** ჩვენს კურთხეულს თბილისს ზემოთკენ შემოსცდებით (ლომოური); წამს შესდგა, ყური წახარა და, **რაკი** ალიას წუნარი ხვრინვა ისევ შემოესმა, სიფრთხილით სანათურისაკენ წავიდა (არაგვ. 56).

ოდეს

გვხვდება ძველსა და საშუალო ქართულში.

ძველი სალიტერატურო ენის ნიმუშებია:

არამედ მოვლენან დღენი, **ოდეს** ამაღლდეს მათგან სიძჳ იგი (მათე 9,15); და **ოდეს** შევიდა იგი სახიდ ერისა მისგან, ჰკითხვიდეს მოწაფენი მისნი იგავისა მისთჳს (მარკოზ 7,17); და იყვნეს იგინი დამკჳდრებულ კლდესა მას შინა, რომელსა დაემალა მოსე წ~წტყული, **ოდეს** იგი ღირს იქმნა ხილვასა ღმრთეებისასა (ასურ. 13,10; აგრეთვე: 8,30; 5,16); განანათლნა მოწამენი შენნან სიმჯნემან, **ოდეს** წარმართთა მოუწოდე სიტყუითა... (ჳ.-ეტრ. 4, V, 4); და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო. **ოდეს** იგი არა ჩემი ცოლი არს (შუშან. 25, VII, 34; აგრეთვე: 32,X, 17...); ...**ოდეს** ჰგონებდეს...., მაშინ განეშორნეს საუკუნოდ დაწყულნი გონებითა (წარტყუენ, მღ. 28); ...**ოდეს** იქმნნეს ყრმანი იგი ათერთმეტის წლის, მოიწია რისხვაჲ იგი საშინელი... (წარტყუენ. მბ, 24); ხოლო **ოდეს** მოიწიოს ზაფხული... მაშინ იცნობოს თითოეული მათი... (კიმ. 300,14); დაემთხჳა უკუე დღესასწაული წმიდისა გიორგისი მას ჟამსა შინა, **ოდეს** იგი ტიმოთე მოხუცებულსა მას თანა დაბასა თჳსსა მიიწია... (ანტიოქ. 62,36); **ოდეს** ესე ვცნათ, კუალად ვისწაოთ შობაჲ იგი უფლისაჲ (მრავალთ. 270,11); რაჲსათჳს დაჰსნილ იქმნენით ესრჱთ, ოდეს აღთქმულ არს თქუენთჳს... (არიმათ, 23,18); ხოლო **ოდეს** სათნო იყო..., მაშინ დაუტევე მე პირველი ოგი... (აბო 69,21; აგრეთვე: 73,5); **ოდეს** დეკანოზმან ჟამის-წირვისა თჳს ჟამსა ჰრეკოს, მაშინ ყოველნი მღდელნი მუნ არა მივიდენ (ხანძთ. დთ, ო, 57; აგრეთვე: მე, 23, ლვ, ლ, 31 ოე, ოე, 36—38).

ფართოდ გავრცელებულია **ოდეს** საშუალო ქართულშიც: **ოდეს** გიკმე, პასუხი რად არ გამომეც... (ვისრ 128,26; აგრეთვე: 130,3; 144,24); ...**ოდეს** გწადდეს, მუნ იყავ, **ოდეს** გწადდეს, აქა (ამირან. 21,26), **ოდეს** ტურფა გაიეფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად (რუსთ. 878,4; აგრეთვე: 773,4; 161,4,3; 1207,2;

284,4; 767,2; 177,2); **ოდეს** ხუზისტანს ყმაწვილნი ებარნეს გასაზრდელი და, მუნითგან შეჰყვარებოდა, აქამდი ვერ ნამხელი და (არჩ. 265,2); **ოდეს** სული ამომგლიჯონ, შენკე მისწი მანგანითო (გურამ. 184,4; აგრეთვე: 161,1; 154,1); **ოდეს** დამანა დაინახა, მისის თვალის ღრუბლითა ცრემლის წვიმამან ცვარა დაწყო (ქილილ. 206); **ოდეს** მიველ, გამომეგება ბერი (რუსუდ. 725,9; აგრეთვე: 762,6; 917,3): **ოდეს** ალიქბარ მეფე მისრეთისა ქვეყანასა ხელმწიფედ დაჯდა, სამეფო გვირგვინი თავსა დაიდგა (ომანიანი 66); **ოდეს** ქორწილს ვაპირობდი, შეველ აბანოსა (სიბრ.-სიცრ. 38,5); **ოდეს** ისარს ხმალი ბასრი შეხვდეს, ვეღარ ღონით ისროს (ბესიკი 33); ნაცულად გავაგე, **ოდეს** მოვიდეს ძე შენი (საეკლ. ს.ბ. 44,9); **ოდეს** მოგვიდეგით ჯარსა..., ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი (დოკუმენტ. ბერძენ. 60,5).

ოდეს კავშირმა ძველ ქართულში ნაწილაკი (-ცა,-იგი) საერთოო არ განივითარა, თუმცა ასეთი მაგალითები მაინც გვხვდება: არა აღმოგიკითხავსა, რაჲ-იგი ყო დავით, **ოდეს-იგი** შეემჩია მას და მისთანათა მათ? (მათე 12,3); **ოდეს-იგი** ხუთი პური განვტეხე ხუთ ათასთათჳს, რაოდენი გოდორი სავსჱ ნამუსრევი აღიღეთ? (მარკოზ 8,19); ... **ოდესცა** იდიდა იესუ, მოეკსენა... (ი. 12, 16).

აქა-იქ გვხვდება ნაწილაკიანი ფორმა: **ოდესცა**, **ოდესაც** საშუალო ქართულშიც. უმთავრესად მაგალითებს გვაწვდის „ვისრამიანი". ნიმუშები:

კაცი თავსა ჴირსა მისცემს, **ოდესცა** გამოცდილსა კულა გამოსცდის (ვისრ. 274,12; აგრეთვე: 303,8, 85,9; 57,21; 198,10; 130,27; 116,22; 101,7; 112,7); **ოდესცა** ერთგან გენახნეს. ამას ბძანებდი... (ამირან. 78,39); **ოდესცა** სწადდეს, დამივსნეს ამა ცეცხლისა დებანი (რუსთ. 1479,3); **ოდესცა** კაცმან სცნას, ხამს უგვაროსა ვისმე არ შეეთვისოს (ქილილ. 544; აგრეთვე: 201; 172; 236; 257); ვერ გაუმაგრდნენ, **ოდესაც** მტერთა დაუწყეს ბრძოლანი (გურამ. 9,1; აგრეთვე: 310,4; 263,1).

როგორც ზემომოყვანილი მასალა ადასტურებს, ჩვეულებრივ დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს, მაგრამ არაიშვიათია იმის ნიმუშები, როდესაც პირველ ადგილზე მთავარი წინადადებაა და მას მოსდევს დამოკიდებული წინადადება.

კავშირი საერთოდ პირველ ადგილზეა დამოკიდებულ წინადა-

დებაში. იშვიათად, მაგრამ მაინც ვადასტურებთ ინვერსიის შემთხვევებს.

მაგალითები:

მე **ოდესცა** ვიროს ვეახლე, ვარდი ვიყავ უეკლო.... (ვისრ. 46,23); აგრეთვე: 111,23; 154, 20, 302,12); ამა სიტყვასა ზედა **ოდეს** შევხვდებით ხვარაშან ქალსა, თვალთა ცრემლი გარდმოედინა (ამირან. 90,23); მე **ოდეს** ქვაბნი წავუხვენ, დავხოცე დევთა დასები (რუსთ. 1364,3).

ლექსის საჭიროებითაა გამართლებული „ვეფხისტყაოსანში" კავშირის მოქცევა წინადადების ბოლო სიტყვად:

მამის ძმა და მამაჩემი პაპა-ჩემმან გაყვნა **ოდეს**, ზღვასა შიგან კუნძულია, ჩემად წილად მას იტყოდეს (601,1); არ მომწურ-ვოდეს წინანი, ზურგით მესროდეს მე **ოდეს**, ხრმალსა მივენდევ, გამიტყდა, ისარნი დამელეოდეს (606,3).

ოდეს, შეიძლება ითქვას, არ არის დამახასიათებელი ახალი სალიტერატურო ქართული ენისათვის. იგი შეიძლება შეგვხვდეს უმთავრესად ამ პერიოდის ქართულის ადრინდელ ძეგლებში, და თუ შემდეგ გამოიყენებს მას რომელიმე მწერალი, ისიც უმთავრესად ლექსში, რომელსაც ეს კავშირი არქაულობის იერს ანიჭებს:

ოდეს სცნა, რომ ვარ უბრალო, მოვედ, მოვედ, მუნ მოგელი (ბარათ. 5); ასე ყეფდა ბულბული, **ოდესცა** ღამე ბნელი მოიცვამდა ჭალებსა... (ბარათ. 3); **ოდეს** მეწვევა სევდა-ნაღველი..., შენი სახე მაქვს მაშინ მხსნელ-ფარად (გრ. ვოლსკი).

ვინაჲთგან

დროულობის კატეგორიის გამოხატვის ფუნქციით **ვინაჲთგან** მხოლოდ ძველ ქართულში იხმარება და ისიც იშვიათად.

მაგალითები:

სამი დღე არს, **ვინაჲთგან** მელიან მე (ჰაემ. მარკოზ. 8,2): რაოდენი ჟამი არს, **ვინაჲთგან** ყოფილ არს ეგე მაგის თანა? (მარკოზ 9,21); ორი წელი მაქუს ჩუენ, **ვინაჲთგან** გამოსრულ ვართ ქუეყანით ჩუენით და ვიქმთ... (კიმ. 334,3); ხუთ დღე არს, **ვინაჲთგან** შემემთხუა მე ესე (კიმ. 299,30); ... ესე მეექუსე თთოვეჲ არს, **ვინაჲთგან** წესსა შინა არს მიდგომილებისასა (კიმ. 180,37); და მიერ დღითგან, **ვინაჲთგან** პყრობილ ყვეს იგი ციხესა მას შინა, სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის... (შუშან. 38, XVI. 16);... და დაეყო მას უმრავლეს ორმეოცისა წლისა, **ვინაჲთგან** სართულსა ქუეშე არა შესრულ იყო იგი და

არცა ენახა პირი დედაკაცისაჲ (ასურ. 16,32); არამედ **ვინაჲთგან** აღეშმჱნნეს კლარჯეთისა დიდებულნი უდაბნონი, მღდელნი და დიაკონნი მათნი ანჩელთა ეპისკოპოსთა გან იკურთხევიან (ხანძთ. ჲე, ჲგ, 6); ხოლო **ვინაჲთგან** ახოვნად გამოჩნდის, ძალი ბრძოლისა მისისა ყოველთა ზედა საცნაურ იქმნის (ხანძთ. მა, ლზ, 8); ხოლო თქუენ გეკსენენ კრძალულებაჲ ჩემი მოთმინებით მონაზონებისა მიმართ, რომელიცა იხილეთ, **ვინაჲთგან** დაეემკჳდრე თქუენ შორის, ვიდრე აქამომდე (ხანძთ. ოჱ, ლჱ, 44).

ვითარ

დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის. საშუალო ქართულში არ ცვხვდება როგორც ნორმა; არ იხმარება, მით უმეტეს, არც ახალ ქართულში.

მაგალითები:

და **ვითარ** ცნა იესუ, წარვიდა მიერ (ხანმ. მრავალთ. 16,3; მთ. 14,14); და ვითარ დაბუხრდა, მოართუეს მას ეშმაკეულებ მრავალ (მათე 8,16); და **ვითარ** გამო-ოდენ-ვიდოდეს მიერ ნავით, მეყსეულად იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა (მარკოზ 6,54); და **ვითარ** აღასრულა ლოცვაჲ ესე, გარდმოჴდა მას ზედა სული წმიდაჲ... (კიმ. 232,21; აგრეთვე: 230,29; 226.5); და **ვითარ** მეტყოდა მე უფალი ამას. იყო ძრვაჲ... (არიმათ. 14,1; აგრეთვე: 1,1:36,3); **ვითარ** ესმა იოსებს, ქალწულითურთ დაემკჳდრა ბეთლემს (მრავალთ. 276,7; აგრეთვე: 279,8); და **ვითარ** ილოცეს მყოვარ ჟამ..., მრავალნი მღდელნი შემოვიდეს... (რავახ. 82,12; აგრეთვე: 92,14); **ვითარ** შეევედ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული... (შუშან. 21, VII, 11; აგრეთვე: 32, X, 18); და **ვითარ** ჩჩკლნი იგი იტყოდეს კირიელეჲსონსა, მაშინ ჩუენ ყოველნი ვეევედრებოდეთ ღმერთსა შიშით და ძრწოლით... (წარტყუენ. მჱ, 17; აგრეთვე: მზ, 12): და **ვითარ** ვერ შეუძლეს (შეცვალებად) მტკიცჱ იგი სარწმუნოებაჲ მათი, მივიდეს მთავრისა წინაშე მის ჟამისასა... (კოლ. 59,113); **ვითარ** ვერ პოვეს, ჰგონებდეს... (ანტიოქ. 55,9); და **ვითარ** იქმნა იგი ათის წლის, მას ჟამსა მამაჲ ეპიფანე ითქუმოდა სასწაულთა-მოქმედად (ხანძთ. ნა, მე, 4; აგრეთვე: ივ, ია, 13; ნთ. ნვ, 58; ლ, კვ, 14); და **ვითარ** ზატიკი იგი გარდაიჯადეს, შეცრებეს იგინივე მეჯადაგენი და მეჯამლენი... (ევსტ. მცხეთ. 160,34).

დამოკიდებული წინადადება, როგორც წესი, უსწრებს მთავარ წინადადებას.

კავშირის ადგილი მტკიცედ განსაზღვრულია: პირველ ადგილზე დგას; ინვერსიას ადგილი არა აქვს. გამონაკლისს შეადგენს ისეთი მაგალითები, როგორიცაა:

ხოლო იესუს ვ ი თ ა რ ესმა, ჰრქუა მათ... (მათე 9,12); და იესუ **ვითარ** მივიდა სახლსა მის მთავრისასა, იხილა მუნ მგოსნები და ერი აღშფოთებული (მათე 9,23); ხოლო მათ **ვითარ** იხილეს იგი, შეიპყრნა იგინი განკჳრვებამან... (კიმ. 334,28).

საშუალო ქართულში **ვითარ**, საერთოდ, არ გვხვდება. იგი უკვე არქაიზმია ამ დროისათვის და შესაძლოა აქა-იქ შეგვხვდეს ზოგიერთ ტექსტში.

მაგალითები:

ვითარ დარბაზს მივიდნენ წინაშე მეფისა, უბრძანა ამირ მუმლმან... (ამირან. II, 75, 27); და **ვითარ** დაესწრო, უყივლა (ამირან. II, 19, 8; აგრეთვე: 43, 6); **ვითარ** განთენდებოდის, კუალად ეგრეთვე ამოჰქონან კარი ჭუაბისა მის (ანას. ჭ. ცხ. 15, 24); და **ვითარ** იხილეს დროშაჲ დაცემული მკლავითა აჭილიანითა და მახვილი იქცევისი მკუეთრ მკუეთელად, იკუმიეს სივლტოლაჲ ძალისამებრ ჰუნეთაჲსა (შარავანდ. 59,21).

ვითარცა

ძველ ქართულში დროულობის ერთ-ერთი ძირითადი კავშირია **ვითარცა**.

გავეცნოთ მაგალითებს:

და **ვითარცა** გამოჰდეს ქუეყანად, იხილეს... (ხანმ.: იოვ. 21,9): **ვითარცა** მოხიწია ადგილსა მას, აღხედა იესუ და ხრქუა მას... (ხანმ.: ლუკა 19,5); და **ვითარცა** განთენა, გამოვიდა მიერ (ლუკა 4,42); **ვითარცა** წარმოვედით, იპოვა წინაშე ჩუენსა გზაჲ რაჲმე იწროჲ... (ზარზმ. 163,3; აგრეთვე: 155,6; 154,21); **ვითარცა** ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქუეყანასა ზედა (შუშან. 5, II, 15; აგრეთვე: 15, V, 16); და **ვითარცა** ესე თქუა, წინაშე ყოველთაჲსა მოიღო ზეთისა მის-გან... (ანტიოქ. 108, 31); და **ვითარცა** განიღჳძა, პოვა კელი თჳსი... (კიმ. 317,22) აგრეთვე: 245,20; 239,3; 225,29); და **ვითარცა** ჰრქუა ესე ანგელოზმან წმიდასა საბას, გულის კმა ყო... (ასურ. 13,28; აგრეთვე: 13,8; 17,23); და **ვითარცა** დასცხრა სიმძაფრე გულისწყრომისა მათისაჲ, მაშინ ბრძანა მთავარმან მათმან... (წარტყუენ. იფ, 21); და **ვითარცა** იყო სამჯამ ოდენ დღისაჲ, მოვიდა კელმწიფჲ ქალაქისაჲ (არიმათ.); **ვითარცა** ვიხილე ხილვაჲ იგი, შევძრწუნდი... (რავახ. 82,31); და

ვითარცა წუთ ერთ განრეეშორე მათგან..., შეემთხჳა მას მჴსნელი (იპოლიტე, ნბ, 25,1); და ვითარცა მოიწია ოპიზას, ახარა ძმათა თჳსთა... (ხანძთ. თ, ვ, 67; აგრეთვე: ᲛᲐ, ვ, 60 ᲐᲛᲐ, ო, 7, ნგ, მნ, 37).

დამახასიათებელია, რომ დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარ წინადადებას.

კავშირი, ჩვეულებრივ, წინადადების თავშია, მაგრამ არაიშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც ხდება ინვერსია. ამ ინვერსიის დროს ასეთი კანონზომიერება ჩანს: იგი შემასმენელს ემეზობლება, მის წინაა, ხოლო წინადადების სხვა წევრები წინაა მოქცეული (ქვემდებარე, დამატება, ან გარემოება):

ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მისგან, განიხარეს... (მარკოზ 14,11); ხოლო მათ ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად (მათე 2,10); ხოლო კაცთა ვითარცა იხილეს სისხლი იგი და კუალი ლომისაჲ, შეეშინა მათ შიშითა დიდითა... (ქიმ. 305,19); ხოლო ნეტარი ზაქარია პატრიაქი ვითარცა მოიწია ბჴეთა მათთანა, მოეკსნა მას ტყუეობაჲ იგი ძეთა ისრაჱლისათაჲ... (წარტყუენ. მვ, 4); ხოლო მღდელი იგი შემწირველი ვითარცა შეუიდა შესაწირავითა მით საკურთხეველად..., მაშინღა აღმაღლდა ტრედი იგი (რავახ. 82,34); და მას ვითარცა ესმა ესე, წარვიდა იგი გზასა თჳსსა... (ქიმ. 302,20); ხოლო უხუცესსა ძმასა ვითარცა ესმა..., მირბიოდა იგიცა და აიძულებდა მათ... (ანტიოქ. 63,9); და ესე ჩუენებაჲ ვითარცა იხილა, განიხარა დიდად ფრიად (ხანძთ. 8, ვ. 9); ხოლო შემდგომად ვითარცა ესმა მას სიტყუაჲ იგი..., მაშინ მყის მოიქცა იგი... (ასურ. 12,17).

ვითა

გვხვდება უმთავრესად „ამირან-დარეჯანიანის“ ენაში.

ნიმუშები:

ვითა ნახა ინდოს ჭაბუკისაგან ბადრი იამანისძემან, ფიცხლად ცხენი გაიყვანა... (18,17); ...ვითა ვერ დაუშალა, აღარ დადგა დედოფალი შინა (91,18; აგრეთვე: 71,8; 60,16; 57,27; 50,5; 16,5; 14,4; 30,13); ვითა ნახა ინდოსა ჭაბუკისაგან მოქნეული. ბადრი იამანისძემან ფიცხლად გაიყვანა ცხენი... (II, 22, 10). შეიძლება შეგვხვდეს სხვა ძეგლებშიც:

შავი კვამლი ვითა შეიკრა და მამის სიყვარული მოიშორვა, გონება შეეძრა და მამის სიკვდილი მოიგონა (პროზ. შაჰნ. 370).

მთავარი წინადადებით გამოხატული მოქმედება უსწრებს **ვიდრე**-ს შემცველი დამოკიდებული წინადადებით გამოხატულ მოქმედებას.

კავშირს შეიძლება დაერთოს **-მდე,-მდის** თანდებულები: იშვიათად დაირთავს **-ცა** ნაწილაკს.

გამოყენებულია როგორც ძველ ქართულში, ისე საშუალოსა და ახალ სალიტერატურო ენაშიც.

ჯერ გავეცნოთ ძველი ქართულის უთანდებულო კავშირის მაგალითებს:

და **ვიდრე** იგი ამას იტყოდა ოდენ, აჰა ესერა ღრუბელი ნათლისაჲ ჰფრილობდა (ჰაემ.: მათე 17,5); ვერ ჴელ-ჰეწიფების ძეთა სიძისათა მარხვად, **ვიდრე** სიძჱ იგი მათ თანა არს (ჰაემ... მარკოზ 2,19); რაჲთა მუნ მოვიდე და გამოგეკიდო ქედსა შენსა, **ვიდრე** არა მოხჯდე და არწმუნო იოსებს... (მრაველთ. 259,27); განსწავლულ ვიყავ შჯულითა მით მაჰმედისითა და ვცხომდებოდე მას შინა, **ვიდრე** უმეცრებასა შინა ვიყავ (აბო); და **ვიდრე** ჩუენ ამას სიტყუასა შინა ვიყუენით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა... (შუშან. 12, IV, 1); და **ვიდრე** არღა გამოსულ იყო, არაყის რას განამხიარულებდა (იპოლიტე, ია, 74), ვერ შემძლებელ ვარ განღებად ჯურღმულისა ამის, **ვიდრე** არა მიბრძანოს მე უფალმან (წარტყუენ. ცხ, 13); და **ვიდრე** არღა მიწევნულ იყო ციხესა მას, აღესრულა (კიმ. 94,13); და შეუძლებელ არს ამიერ წარსლვაჲ ჩემი, **ვიდრე** არა მივემთხჳ, რომელსა ესე ვეძიებ (ანტიოქ. 89,25); და ვერ განიკურნო შენ და ვერცა შვილნი იგი შენნი, **ვიდრე** არა შეინდოთ დედუფლისა მის გან (ხანძთ. ნცხ, ნე, 14); მჴედარი **ვიდრე** წყობასა არა შესრულ არნ, ძლევაჲ მისი სიმრავლესა შინა ლაშქართასა არა საცნაურ არნ... (ხანძთ. მა, ლზ, 6).

გავეცნოთ თანდებულიან ფორმებს:

...**ვიდრემდე** თჳუენ თანა ვიყო..., მომგუარეთ მე იგი აქა (ჰაეშ. მათე 17,17); და არა იცოდა იგი, **ვიდრემდე** შვა ძჱ... (მათე 1,25); ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას, **ვიდრემდის** ძჱ კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს (მათე 17,9); და იფარვიდა მოძღურისა გან თჳსისა აღთქუმულობისა მის თჳს პირველისა, **ვიდრემდის** სულმოკლე იქმნა (ასურ. 9,39); და პყრობილ იყო იგი მუნ ჟამამდე სამისა წლისა, **ვიდრემდის** ბრძანებითა ღმრთისაჲთა მოკუდა აბდილ ამირა მუმნი... (აბო, 63,10);

მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა (შუშან. 20, VI, 18); არა დაგიტევო, ვიდრემდის შეგიყვანო და შეგავლინო გულსა (იპოლიტე, ნბ, 17); ...და არღარა ვიხილე მყოვარ ჟამ, ვიდრემდის ლოცვაჲ იგი მათი მიეხო აღსრულებად (რავაჴ. 83,1); ... ესროდეს ფილაკავანითა ძლიერად, ვიდრემდის დასცეს ზღუდჱ ქალაქისაჲ მეოცდაერთესა დღესა (წარტყუენ. ივ, 2); და მოსცეს წვიმაჲ დიდძალი, ვიდრემდე შეიზილა კირი იგი ფრიად ყოველი (კიმ. 257,25); ხოლო იგი ვიდოდა მცირედ-მცირედ უძლურებისაგან გუამისა, ვიდრემდის შეიყვანეს იგი წმიდასა ეკლესიასა (კიმ. 211,32); მოვითმინო უკუე მეცა, ვიდრემდის მოიცალოს კაცმან მან ღმრთისამან (ანტიოქ. 90,15); არამედ მიზეზი საქმისაჲ ამის ვერვინ იკადრა კითხვად წმიდისა მის, ვიდრემდის თჳთ უბრძანა ძმათა მათ ნეძუელთა (ხანძთ. ნბ, მნ, 23); ...მყოვარ ჟამ დააცადა ჟამის რეკაჲ, ვიდრემდის შეიცვალა სახილავი იგი (ხანძთ. ნდ, 6, 14); ...და იყოფვოდე მუნ, ვიდრემდის მოვიდე მე შენდა... (არიმათ. 13,11); ხოლო აწ წარვედ სიხარულით, ვიდრემდის მოგივლინო ფილიპე (არიმათ. 36,1).

ვიდრე-ს -ცა ნაწილაკი ერთვის ზოგჯერ:

მოძღუარ, მიგდევდე შენ, ვიდრეცა ხჳდოდი (მათე 8,19); და ვიდრეცა შევიდოდა დაბნებსა და ქალაქებსა და აგარაკებსა, უბანთა ზედა დაჰსდებდეს უძლურთა მათთა და ევედრებოდეს მას... (მარკოზ 6,56); ვიდრეცა შეხჳდეთ სახლსა, მუნ დაადგერით... (მარკოზ 6, 10);... მისდევენ მათ, ვიდრეცა ფრინვიდიან (ექუსთა დღეთაჲ 98,31).

განვიხილოთ საშუალო ქართულის ფაქტები.

ვადასტურებთ ერთეულებს: ვიდრე, ვირე, ვირემ.

ვიდრე

ვხვდებით არცთუ უხვად:

ვიდრე მოხვალო, მწადთა მიმყოლო, ღმერთსა თუ უნდეს სრულმყოფიერსა (თამარიანი 1,16); ვიდრე ვახშამსა სჭამდეს, შენ მიუსწარ და სადილი ჰამე (ვისრ. 304,20); ...ვიდრე სულნი მიდგან, შენ ვერ გაგწირავ (ვისრ. 69, 21); ვიდრე მთაზედ ჭარი ქროდეს..., არას საქმით არ ეცრუოს მას, მის თვალის სინათლესა (არჩ. 704,3); ვიდრე დარევდეს სიფიცხე გულსა მი-და მო ღმობასა, მანამდი პასუხს არ ვიტყვი, შევეპყრა დიდს სალმობასა (არჩ.); და ხოსტაკითა შენითა განგიმრავლნე

სპანი შენნი, **ვიდრე** გამოვჩნდეთ მტკრად აზონისა (ანას. ქ. ცხ. 15,34); და **ვიდრე** ჯვარი ესე წმიდისაჲ გარეთ ესუენა, მას ზედა მფრინველმან ვერ იკადრის გარდაფრენად (აბუს. ტბ. 62, 100).

ასევე არაა ფართოდ გავრცელებული თანდებულიანი **ვიდრე**. აი ორიოდე ნიმუში:

ვიდრემდის სული ჩემი სულთა მხუთავთა ჯანგთა შინა არ ჩავარდება, ერთობის ხელსა სურვილის კალთას არ მოვსხლტეტ (ქილილ, 249); **ვიდრემდის** ზღვათა ბაგემდის ჩვენ ჩავდიოდით ნავითა, გარდატრიალდა საწუთრო მრუდისა საბრუნავითა (გურამ. 271,1); **ვიდრემდის** გაქუნდეს ესე, არა მოაკლდეს მეფობაჲ სპარსთა (შარავანდ. 61,20); ...იმატა, იმატა და მერმეცა იმატა, **ვიდრემდის** იქმნა მთა დიდი, ლოდ საკიდურ, არა ლოდ შებრკოლებისა... (შარავანდ. 69,34); არებდი ეკლესიასა ამას შინა ჩემსა, **ვიდრემდის** კუალად წარვიყვანდეო (აბუს. ტბ. 63, 112).

ვირე

ძირითადი კავშირია სათანადო ფუნქციით; ფართო გავრცელება აქვს საშუალო ქართულში:

რა არს-ქმნა იყოს, **ვირე** თვით იყოს, ღმერთმან თქვენცა გყვნეს ძითურთ გებულად (თამარიანი XII, 76); **ვირე** ცოცხალ ვიყო, შენის ჴელითა შეკრული ტყუე ვარ (ვისრ. 126,21; აგრეთვე; 122,27; 118,7; 117,23; 133,7); **ვირე** მე ისი არ გამოვიყვანო, მარამდის სხვა საქმეს არა დავებაო (ამირან. 25,14); სიცოცხლე და სიხარული ჩემი მანამდის არის, **ვირე** თქვენ ნებასა ზედა თქვენსა ხართ (ამირან. 21,18); **ვირე** მომკლვიდეს, მოვკვდები... (რუსთ. 582,3); **ვირე** ცოცხალ ვარ, გეყოფი სატირლად და სატკივარად (რუსთ. 1308,4; აგრეთვე: 196,1; 778,3; 714,4; 1501,4); **ვირე** ნაძვი მაქვს საჩრდილოდ, მყრალს ანწლს ქვეშ არ ვიჩრდილები (არჩ. 180,1; აგრეთვე: 692,4; 654,4; 604,4); **ვირე** ცოცხალ ვარ, შენს კარსა არ მოვშორდები ნებითა (ქილილ. 144; აგრეთვე: 183; 168; 249); მანამდინს იტირა, **ვირე** ორნივე თვალნი დაუდგნეს და ვეღარას ხედვიდა (პროზ. შაჰნ. 413); ვერ დაიჭირის, **ვირე** თავი უბეთა არა ჩაუდვის (შარავანდ. 100,34); **ვირე** ცოცხალ ვარ, ოდეს ცა მინდან, მე მოვიჯმარებ... (აბუსერ. ტბ. 68,172).

ვირე-მ ცა ნაწილაკი არ განივითარა; არის ორიოდე შემთხვევა: **ვირეცა** მზე და მთუარე აღმოვალს, მუნამდინცა მე შენგან

იმედგარდაწყუედილი არა ვარ (ვისრ. 216,10); **ვირეცა** ქუეყანასა შიგან კაცი იპოების, მუნამდინცა დაიდების ესე სირცხუილად ჩემი ამბავი (ვისრ. 162,10); **ვირეცა** ყველასა არა შეებმი, სხვა ღონე არ არისო (ამირან. 68,5).

ვირემდის

მუნამდის მგზავრნი ვართ, **ვირემდის** ვისსა რამინისაგან დავსცუიდეთ... (ვისრ. 146,9; აგრეთვე: 154,31); **ვირემდის** სცნობდენ რემისა წასხმასა, სადაც გვინდა, მივალთო (ამირან. 134,24; აგრეთვე: 127,32; 76,22); **ვირემდის** ცნობდეს ხელმწიფე, კაცსა მომწევდეს რბენითა (რუსთ. 1200,4); **ვირემდის** გზას მოვლიდი, მან საყური ხვრელიანუ მისცა (სიბრ.-სიცრ. 40,24); **ვირემდის** სამართლის პირი უჭვისა ფარდაგსა უკან არა ვნახო, არა ბრძანება მაზედ არ დავაკვნა (ქილილ. 206); **ვირემდის** იყო ცოცხალი, რუსეთზე გარდამწვდარია (გურამ. 45,1).

არის თითო-ოროლა მაგალითი **ვირე-**ზე **მდი-, მდე-, მდინ-**ის და აგრეთვე თანდებულიან ფორმაზე-ცა ნაწილაკის დართვისა:

ვირემდი ვირო ჩემი გუერცა მწოლია, ჩემი თავი და პატრონია... (ვისრ. 17,33); მუნამდის გემუდარები და გექენები, **ვირემდი** გულისა შენისაგან წყროშა არ გაქარდეს (ვისრ. 252,16); **ვირემდი** იგი დიდი ვეშაპი არ მოკვდების, უმცროსისა არა სარგებელი არისო (ამირან. II, 130,1); **ვირემდი** გული არ წაგა, საგონებელი არ გავა (ქილილ. 240); შეატყუეს გულის ამბავი, **ვირემდი** ჩამოკდებოდა (შაჰნავაზ. 70,4); — ...**ვირემდე** სიტყვა არა ითქვა, წადილი კაცსა ხელთა უპყრია (ქილილ. 126; — **ვირემდისიცა** შენ გეუბნები, ცუდი სიმაშურალე მომხუდების (ვისრ. 224,2); **ვირემდიცა** მიჯნურობა შენ გიამების, მუნამდინცა შენი ტანი მიწყით ჭირისა მიმზიდავია (ვისრ. 170,18); **ვირემდინ** შენ მგზავრი ხარ, შენი მოყუარე ტირილისაგან მოუსუენებელია (ვისრ. 181,34); ცუდსა და ბედითსა **ვირემდინ** უბნობ, ცეცხლსა შიგან წყალსა სადამდინ ეძებ? (ვისრ. 91,33); — **ვირემდინცა** ჩემი ბედი ჩემისა გულისა წამღებელისაგან კიდე-მამყოფებს..., ყუელასაგან შემენდობისო (ვისრ. 248,37; აგრეთვე: 232,26; 196,22; 108,30).

ვირემდინ—ვირემდინცა-ს. ნიმუშებს გვაწვდის „ვისრამიანი"

ვირემ ან ის არ მაჯობებს, და ან მე არ ვაჯობებ, მინამდის არ დავლოცავ მზესა მისსა მეთქი (ამირან. II, 147,20); მე ამა საქმესა არა კითხვად მოვილებდი, **ვირემ** ტახტსა ზედან სახელმწიფოს გვირგვინს არ დაგარქმევდი (ომანიანი, 72,22); **ვირემ** ჩემი სიტყვა არ მოისმინო, სხვათა ენით არ მომაკვდინო (სიბრ.-სიცრ. 22,18); მე არა ვიტყვი ამბავსა ჩემსა, **ვირემ** ცოცხალვარ... (სიბრ.-სიცრ. 42,21); **ვირემ** ცნობა აქვსთ შემსმენელთა, არავინ დაიძინებსა (არჩ.); ეს ზომი სცა, **ვირემ** სულის დაღებაზე დააყენა (ბესიკი 50); **ვირემ** ხელთა გიცემდეს, აწვე გააგდეო (ქილილ. 190); **ვირემ** დროსა ვპოებდე..., დაყოვნებით უკაცრაოდ დამრჩები (ქილილ.); **ვირემ რუსნი** გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვკდების (გურამ. 57,4).

ვირ

ლექსში მარცვალთა რაოდენობის შემცირების მოსაზრებით გამოყენებულია **ვირ**, და იგი ფარავს მნიშვნელობით **ვირე**-ს.

ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, **ვირ** მეფე იყო ცნობილი (რუსთ. 1476,4); **ვირ** უნაგირი არ იცნა, ნურც ქართა დამორჩილდები (შაჰნ. 3083,4); **ვირ** კაცნი იყვნენ, სახელი შენი ითქმოდეს ენითა (შაჰნ. 3186,1); **ვირ** ცოცხალვარ, მორჩილი ვარ ბრძანებისა (შაჰნ. 3187,1); ალი გავლო, არ უნახავს **ვირ** კიდემდის თვალსა ჩვენსა (შაჰნ. 3001,1); **ვირ** დრო მჭონდა, სიხარულსა ხელი ვჰყარე, მწვერვალს აველ (არჩ.); **ვირ** ნებას არ აღგისრულებ, მანამ სად მოვეშვებია? (არჩ.); მანამდიმც ნუვინ წამართომს ნამუსს, **ვირ** მე არ გავსცემდე (არჩ.); მიჩვენე შენი კეთილი, **ვირ** სული ალმომხდებოდეს (არჩ.).

ვირე კავშირის ადგილი განსაზღვრულია: წინადადების თავშია. მეტად იშვიათად გვხვდება ინვერსია, და ისიც ლექსში:

...მომიცადეთ, მოვიდოდე მეცა **ვირე** (რუსთ. 602,3); მაგრა რა ვქმნა, კვლაცა ნახვა მომხვდებოდეს შენი **ვირე** (რუსთ. 414,3); მოდი გვნახენ, გავიარდეთ ქვეყანასა შენსა **ვირე** (რუსთ. 1430,1); ყმა გავიდა, გაეპარა, დააგდებდეს **ვირე** ხმასა (რუსთ. 1114,2); წა, ესე ჰკადრე მეფესა, შე-ვინ-ვიდოდეს **ვირეო** (რუსთ. 741,2); სუ, დასულდი აუგითა, სავსე **ვირე** ხმა სამ გახდეს (არჩ. 588,3).

ახალ ქართულში დამკვიდრებულია **ვიდრე**: თანდებულიანი ფორმა იშვიათია:

არ შესწყდნენ, **ვიდრე** კვალად ჩემთა თვალთ არ გიხილიან (ვგრ. ორბელ. 37); **ვიდრე** მე იქ ვიყავ, ვერავინ რასა ჰბედავდა (ვაჟა 202); და **ვიდრე** მამალი მისგან მიძღვნილს ჭიებს შაექცეოდა, კოდალა ვარჯიშობდა (ვაჟა 201); **ვიდრე** ისინი მოასწრობდენ ახლად დაბადებულის თავის მოკვეთას, ის უკვე ასრულებდა განაჩენს (ვაჟა 186); გაჩუმებულნი, სულგანაბულნი და ხმაგაკმენდილნი მიდიოდნენ როგორც უსულო მოჩვენებანი, **ვიდრე** ტყეში შევიდოდნენ (ყაზბ. 11).

ვინემდი—ვინემ

დროულობის კატეგორიის გადმოცემა საშ. ქართულში შესაძლოა დაეკისროს **ვინ**-ის საფუძველზე გამომუშავებულ თანდებულ-დართულ სიტყვას; **ვინემდის, ვინემ**. ფუნქციურად იგი ეტოლება **ვიდრე-სანამ**-ს. ეს კავშირი არ განვითარებულა ქართულში სათანადო ფუნქციით; ძალიან იშვიათია მისი გამოყენება საშუალო ქართულში.

მაგალითები:

...**ვინემდის** არ შეყივიან, არ გაიღვიძებდის (ამირან.); **ვინემდის** კარზე მივსწერდე, თქვენ ქენით ეს მოთმინება (გურამ. 295); **ვინემდის** ახალი მოსე ისრაელთა — ერეკლე — საქართველოს მხედრობას წინა უძღვის..., ვის შეუძლია შენი დამდაბლება? (სოლ. ლიონიძე); ვისწრაფოთ, ადრე დავმარხოთ, **ვინემ** დადგეს დეკემბერი! (ბესიკი 58); **ვინემ** ამისი სამართალი გარდასწყდებოდეს, ვინემდისინ ამასთან ბერძნიანთ საქმე ნუ აქვსთო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 227,6).

გავიხსენოთ იოანე ბატონიშვილთან შემდეგი ადგილი:

უთხარ: ხვალ საღამოს უთუოდ ჯვარს დაგწერთ, **ვინემ** ეს ტანისამოსიც მოესწრობა (174,35).

მანა...

მანა-ს საფუძველზე მიღებულია დროულობის კავშირის სახეობა, რომელიც საშუალო ქართულში წარმოდგენილია იშვიათად. ესაა: **მანამდის, მანამდი, მანამ**.

წადით, **მანამ** მშვიდობით ხართო (ამირან. 12,19); **მანამდის** ამის ზიდვა შემიძლია, ნუ ელის სალომ თქვენზე გამარჯვებასა (ჰროზ. შაჰნ. 437); მუნვე უნდა შეემეცნა, **მანამდი** არ წაეყვანა (არჩ. 639,4); **მანამდი** შენი თეთრი თავნი და სარგებელი არ მოგაბარო, მანამდინ ვერც გავყოდო ეს კაცები და ვერც დაუ-

გირაო (დოკუმენტ. ბერძენ. 273,7); **მანამ** ან იულონის ოქმს არ მოგვიტანთო..., ჩვენ ამ ქუმჩებს ვერ დაგანებებთო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 47,7).

ახალ სალიტერატურო ენაში, უმთავრესად მე-19 საუკუნისაში, ზოგჯერ ვხვდებით კავშირებს: **მინამ-მანამ-ს.**

გაეცნოთ მაგალითებს:

ა

მინამ ცხენები ჩამოგვივიდოდა, დათიკომ რუსული ტანისამოსი გაიძრო და ქართული ტანისამოსი ჩაიცვა (ილია 294,1; აგრეთვე: 285,30; 288,13; 331,15; 341,14; 281,18; 278.29; 293, 1; 293,5; 307,14; 307,30; 319,12, 249,23); ასჯერ გაზომავდა და ერთხელ მოსჭრიდა, **მინამ** ისეთ ფორმაში არ ჩამოასხავდა თავის ნააზრევს... (ს. მგალობლიშვილი, მოგონ. 148); **მინამ** თვითონ კარგად არ მოიღლება, არ შეჯდება ზედა (ვაჟა 69; აგრეთვე: 40; 33; 71; 107; 30; 4; 12; 27); **მინამ** შენი დისწული თადია გაიზრდება, შენ იქნები საგარეჯოს მოურავი (ალ. ორბელიანი, მოგონ. 8; აგრეთვე: 3; 20, 7).

მინამ დიალექტიზმებს უნდა განეკუთვნოს; სალიტ. ენის ნორმა ის არაა.

ბ

მარხულნო, **მანამ** ცხონდებით, ნეტა, ქარებით რათ კვდებით (ალ. ჭავჭავაძე); **მანამ** არ მოგვიდეს სეკურსი, არ გაგიტყუოს ცარიელმა ვაჟკაცობამ... (ორბელ. წერილ. 75,210); **მანამ** ეს წერილი მოგვიდეს, ომიც გარდგეხადოს (იქვე, 75,210); **მანამ** სხვა იარაღს მოიხმარებდა, შიგ მარცხენა ძუძუში დამბაჩა დაეცი (ილია 319,7) და მისთ.

სანა..., სადა... .

სანა—სადა-ს საფუძველზე გამომუშავებული კავშირი, დროულობის კატეგორიის გადმოცემის ფუნქციით, საშუალო ქართულში არ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცედ ჩამოყალიბებულ და გავრცელებულ ნორმად; იგი ჩამოყალიბების პროცესშია და საბოლოოდ დამკვიდრებული ახალ ქართულში. დაირთავს თანდებულის შემდეგ სახეობებს: **-მდის,-მდი,-მდინ,-მდისინ,** შეკვეცილადაც: **-მ**; იგუებს-ცა ნაწილაკსაც; ამავე დროს შეიძლება შეგვხვდეს **სინ** და **სიდ** ფუძეებიც. ამგვარად, ვღებულობთ: **სანამდის, სანამდი, სანამდინ,**

სანამ,—სადამდის, სადამდინ, სადამდისცა, სადამდის, სადამდისინ — სინამდი. აქედან უფრო გავრცელებულია **სანამდის — სანამდი** და მიდრეკილებას იჩენს ნორმად დამკვიდრებისას.

ა

წადით, **სანამდის** მშვიდობით ხართ (ამირან. II, 15, 2); **სანამდის** არ მოუბრუნდი, შინ არ მოველ (სიბრ.-სიცრ. 41,16); **სანამდის** თვითან ამილბარ ციხეს არ დასცა ბარია, მანამდის დასაქცეველად ჭელი ვერავინ გარია (გურამ. 296,3); **სანამდის** ის არ ახსენეს, მე რუსი არ მეგონაო (გურამ. 254,2); მოვისვენებ **სანამდის** ვერ, სანამ ლეკზე ჯავრს არ ვიყრი (გურამ. 84,1); ...გლეხებთან ვერ გაძლებული, **სანამდის** სენი გადვარდებოდა (იესე ოსეშვ. 8); **სანამდის** ქვეყანა არის, მეორედ მოსულამდის ჩვენი თავი შენი არის (დოკუმენტ. ბერძენ. 159,15; აგრეთვე: 636,657,6);—ღმერთმა მუნამდი ნუ მოგკლას, **სანამდი** მე შენ არ მოგკლაო (რუსუდ. 756,6; აგრეთვე: 751,6; 750.4; 749,4; 935.6; 932,1; 783,1); **სანამდი** მქონდა, ამ სოფელს ყველა რამ მე ვიამეო (არჩ.); **სანამდი** ყმაწვილი იყვნენ, მანამდი უნდა ცდილობდენ (ვახტ. სჟგ, ი.); **სანამდი** ვნახო სფაადი. მას ვინატროდე ენითა (შაჰნავაზ. 57,4); — **სანამდინ** თვითონ არ მითხრეს, მარმარილოს გათლილი მთელი ხატები მეგონა (საბა, მოგზ. 9); **სანამდინ** ჩვენი ძმა თელავს არ მიბრძანდება, იქ ჩემი მისვლა არ ვარგა (დოკუმენტ. თაყაიშვ. 97 12, აგრეთვე: 97,23; 119,9); იმისი სული იურვე, **სანამ** ცოცხალი იქნები (ბესიკი 61); — **სადამდის** ეგებოდეს, წაგვიძეხით... (ამირან. II, 211, 15); ...**სადამდის** ვიცი, გიახლები... (ამირ. 78, 29); რად რა გითხრა, **სადამდისცა** ვიყო ჭირთა უნახავი? (რუსთ. 240.3); **სადამდისცა** დღენი მესხნენ, ვეღარამან გამახარნეს (რუსთ. 112,4); — **სადამდინს** მას ერანელს ფალავანსა არ მოვკლავ დევისა ნაცვლად და სისხლსა არ ვაზღვევინებ, მანამდინს ნუ შეიძვრით... (პროზ. შაჰნ. 433; აგრეთვე: 425; 385); **სადამდის** ღმერთი საქმესა გამიგებს, მას ეთნოების (შაჰნ. 3028,4).

ბ

ახალ სალიტერატურო ქართულში დამკვიდრდა **სანამ:**
სანამ ხალხი შეხურებული იყო, მანამ იყო საშიში (ყაზბ. 24; აგრეთვე; 21; 16; 41); მაგრამ **სანამ** ამ მეორე ხანაზე ვიტყოდე რასმე, დაუბრუნდები ისევ ჩვენს სოფელს (აკაკი 422); აღარც

მოვეშვი, **სანამ** საღორეში არ შემოვარდა (აკაკი 423); სათითაოდ და ნელ-ნელა იწყეს მათ გაქრობა და ჰქრებოდნენ, **სანამ** ეს საქმე ჩემთვის სასიამოვნო და საშიშარ ორ საგანზე არ შესდგა (ლომოური); **სანამ** ერთი წითელი ქაღალდი არ აგვაკრა, გვერდზედაც არ მოგვიდგა (ლომოური).

თუ არა

გამოყენებულია ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში. იგი გამოხატავს ერთი მოქმედების მეორე მოქმედებასთან სწრაფი თანამიმდევრობის სემანტიკას:

მაგრამ გავიგონე **თუ არა**, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა (ილია 262,23); სთქვა იმან ეს **თუ არა**, გამოსხლტა ხელიდამ...(ილია 298,17); ახლა ყოველ დილას ჩაის გავათავებ **თუ არა**, ოთახში ბუზებს ვიჭერ (ილია 254,35; აგრეთვე: 252,19; 309,33; 304,39; 297,17; 328,10; 278,3 259,13); დაბრუნდა **თუ არა**, ქალი შეირთო (აკაკი 412); მოჰკრა თვალი **თუ არა**, დაიღრიალა (აკაკი 439); დაიცლებოდა **თუ არა** ვისიმე ჭიქა, მაშინვე აავსებდნენ (აკაკი 397); ... გავიგულებდით **თუ არა** მათ ცოტა მოშორებით, ისევ გავრბოდი სამწყესურში (აკაკი 391); ჩაიგდებდა **თუ არა** ხელში, მაშინვე სადილს გაუმართავდა მუქთა თანამშრომლებს (აკაკი 469; აგრეთვე: 406; 388; 431; 497); გათავდებოდა **თუ არა** ჩხუბი... მიჰმართავდა სათამაშო მოედანს... (ვაჟა 112); ვაჩვენებდი **თუ არა** ხორცს, მაშინვე მოფრინდებოდა და ხელზე დამაჯდებოდა (ვაჟა 130); ქალმა დაინახა **თუ არა** უცხო კაცი შესული, ცახცახით კედელს მიეკრა (ყაზბ. 7); ამოფრინდებოდა **თუ არა** ქალია..., მაშინვე დაექანებოდნენ (მგალ,. 11,18); გაზაფხულდებოდა **თუ არა**, ის მთელ დღეს ვენახში ატარებდა (ლომოური); შენიშნავდა **თუ არა** რომელსამე ადგილას მტრის ძლიერებას, იმავე წამს იქ გაჩნდებოდა (ლომოური).

თუ არა-ს ნიმუში გვხვდება ადრეც. დავიმოწმოთ საბა:

სნეულების სამსახურზე და წირვაზე გამოუშვებენ **თუ არა**, სულ დაკლეტილს სახლში არის (მოგზ. 12).

ეს კავშირი არ დგას წინადადების თავში, მას შემასმენლის მომდევნო პოზიცია უკავია. ეს აუცილებელია, მაგრამ იგი შეიძლება მოექცეს წინადადების ბოლოს, დამოკიდებული წინადადების ყველა წევრის შემდეგ, ანდა მას შესაძლოა მოსდევდეს სხვა წევრები, ოღონდ შემასმენლის შემდეგ კი იყოს მოქცეული.

შეადარე ფაკულტატიური კონსტრუქციები:

მოუვიდოდა **თუ არა** მამაჩემს მისი შვილების წიგნები რუსეთიდან,...

მოუვიდოდა მამაჩემს მისი შვილების წიგნები **თუ არა** რუსეთიდან,...

მოუვიდოდა მამაჩემს მისი შვილების წიგნები რუსეთიდან **თუ არა**,....

3. მიზეზობითი კავშირები

მიზეზობითი კავშირები მონაწილეობენ მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქციაში.

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს ვითარების როგორც კონკრეტულ მიზეზს, ისე ლოგიკურ საფუძველს.

მიზეზობითი კავშირებია:

რამეთუ	**იმიტომ რომ**
ვინაჲთგან—ვინათგან	**ამიტომ რომ**
ვინაიდან	**რომელ**
(ა)მით რომელ	**რომე**
ამისთვის რომელ	**რომ**
(ა)მით რომე	**რათგან-რადგან(აც)**
ამად რომე	**რაკი**
ამისთვის რომ	

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

რამეთუ

მიზეზობითი კავშირი **რამეთუ** ნიშანდობლივია ძველი სალიტერატურო ენისათვის.

ნიმუშები:

ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო, **რამეთუ** გიყუარს თქუენ ზემოჯდომაჲ შესაკრებელთა შორის და მოკითხვაჲ უბანთა ზედა (ხანმ.: ლუკა 11,43); ...შესამოსელი მოირტყა, **რამეთუ** შიშუელ ხიყო (ხანმ.: იოვანე 21,7); ხოლო თუალნი თქუენნი ნეტარ არიან, **რამეთუ** ხედვენ, და ყურნი თქუენნი, **რამეთუ** ესმის (მათე 13,16); იზარებს ეკლესიაჲ და ჰმადლობს ღმერთსა შენ

თჳს. ევთჳმი, **რამეთუ** მოენიჭე სიმტკიცე მართლმადიდებლობისაჲ (სას. პოეზია, რჲ, 55); ... წარმოტყუენნა გონებანი კაცთანი.., **რამეთუ** ეგზებოდა შიში ღმრთისაჲ გულსა მისსა.. (ასურ. 5,37); მახუილი ეროდეჲსი მიითუალე ქედსა შენსა, **რამეთუ** ისწრაფდი მისლვად უფლისა თუისისა (ჭ.-ეტრ. 19,8); ნუ სტირ ჩემთჳს, **რამეთუ** დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამჱ ესე (შუშან. 21. VII, 13); საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, **რამეთუ** უვარ ყო ჭეშმარიტი ღმერთი.. (შუშან. 5, II, 16); ...მომიპყრენიეს სასმენელნი თქუენნი, **რამეთუ** მეგულების მე საქმე საშინელი მითხრობად და უწყებად თქუენდა (წარტყუენ. ა, 12; აგრეთვე: ვ, 17; ჟგ, 27); ხოლო მე ფიცით ვარქუ მათ: გარწმენინ ჩემი, **რამეთუ** გიხილენ თქუენ ღრეს გამო-რაჲ-გქონდა შესაწირავი თქუენი (რავახ. 84,2); და **რამეთუ** ვერ დაუთმის, შეეხის დედალსა მას და მოკუდის (სახისმეტყ. 16, იგ, 17); გარნა მე ვერღა მიხილო ოდესცა სოფელსა ამას, **რამეთუ** აღრე წარვალ ამიერ (ზარზმ. 169,38); მწყემს ეწოდა, **რამეთუ** თქუა: „მე ვარ მწყემსი კეთილი" (აბო 60,28); ვაჲმე უბადრუკსა ამას, **რამეთუ** ამაოდ და ცუდად წარჯდა (ანტიოქ. 120,20); მშჳდობაჲ შენ თანა, კურთხეულო დედათა შორის, **რამეთუ** შენ გჲმო იკურთხნენ ყოველნი დედანი (მრავალთ. 262,37); ხოლო სულითა იხარებდა, **რამეთუ** ხედვითა სალმრთოთა ხილვათა მადლითა სულისა წმიდისაჲთა (ხანძთ. იხ, დთ, 3); ხოლო მან ეპიფანჱსი ბრძანა ჟამისწირვაჲ, **რამეთუ** იგი დაედგინა მამასახლისად ხანძთას (ხანძთ. ნბ, მნ, 10; აგრეთვე: ზ, ვ, 10; ლ, კვ, 8; ნბ, მზ, 21; ნზ, ნე, 67).

საშუალო ქართულისათვის **რამეთუ** არაა დამახასიათებელი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა იგი შეგვხვდეს უმთავრესად სამეცნიერო ენაში.

მაგალითები:

შეიქმნეს ომნი ფიცხელნი და მკუეთრ-კუეთებანი, **რამეთუ** იყვნესცა გამოცდილნი და ლომნი ჭაბუკნი (შარავანდ. 68,11); ამისთჳს მოიძულვეს იგი მკუიდრთა ქართლისათა, **რამეთუ** დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ (ანას. ქ. ცხ. 21,12).

არაბუნებრივია და გადმონაშთი **რამეთუ**-ს გამოვლენა ზოგიერთ მხატვრულ ძეგლში, რასაც მოწმობს მისი დადასტურება არჩილთან:

გაბაასება მეფის პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის რიტორის რუსთველისა ამ მიზეზით (იქმნა), **რამეთუ** მათ მელექსეთ შედარება მრავალჯერ მასმოდა მე, მეფეს არჩილს.

მიზეზობითი კავშირი **ვინაჲთგან** ძველ ქართულში გავრცელებულია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ოთხთავის ტექსტში ის არაა ჩვეულებრივი კავშირი ამ ფუნქციით: იგი დროულობის დანიშნულებით იხმარება (უდრის: რა დროიდანაც; მას შემდეგ, რაც). ეტყობა, ძვ. ქართულის ადრინდელ ძეგლებში აღბეჭდილია ის ძველი ვითარება, როდესაც **ვინაჲთგან**-ს ჯერ კიდევ არა აქვს მინიჭებული კაუზალობის გამოხატვის ფუნქცია. ძვ. ქართულის მოგვიანო ძეგლებში ისახება ახალი ფუნქცია ამ კავშირისა:

და აწ **ვინაჲთგან** მოსწრაფე ხართ, ... არა ჯერ-არს ყოვნებად... (ზარზმ. 161,11); ჩუენ, მამაო, **ვინაჲთგან** ობოლ ვიქმნებით ტკბილისა და ყოვლად-მოწყალისა მამისაგან, არა უწყით, რაჲ მიგიგოთ (ზარზმ. 175,34); **ვინაჲთგან**, შვილნო, არას შითხრობთ, მე გლახაკსა თანა მაც, რათა მევე ვიტყოდი ჯერისაებრ (ზარზმ. 175,36); რაჲ გყო მე, **ვინაჲთგან** მეფემან არა ინება საქმჱ იგი (კიმ. 83,32); **ვინაჲთგან** ყოველი აღმოსავალი და ყოველი დასავალი შენ ძლით იღლეებიან და განუდგებიან, ...აწ დაგაჯეროს ღმერთმან... (კიძ. 83,13); **ვინაჲთგან** ითხოვ აღმოღებასა მისსა, ითხოვე უკუე ღმრთისა-გან ჩემ მიერ, რათა სხუაჲ აღმოჰკდეს მის წილ (კიმ. 270,33). ...**ვინაჲთგან** მიწყიეს მე თხრობად საქმისა ამის, მნებავს, რათა ყოველივე გაუწყო თქუენ (წარტყუენ, იჱ, 16); მე მეშინის, ნუ უკუე იღვიძებდეს სისხლი იესუჲსი ჩუენ ზედა **ვინაჲთგან** გუნებავს ბოროტისა ყოფაჲ მათ ზედა... (არიმათ. 84,10); ხოლო **ვინაჲთგან** ცხორებასა შინა ჩემსა ვერ მოვითმენ ჰირთა შინა ულხინებელთა ხილვასა შენსა, არარაჲ განვაჩინებ შენთჳს (ანტიოქ. 79,35): **ვინაჲთგან** საქმისა ჩუენისა თქუენდა გამოცხადებაჲ ჰნებავს ღმერთსა, გაუწყო თქუენ ყოველი (ანტიოქ. 116,19); ხოლო **ვინაჲთგან** კაცთმოყუარემან ღმერთმან არა ჯერ-იჩინა მარადის მონებასა შინა დატევებაჲ მისი..., ამისთჳსცა განათავისუფლა იგი უხრწნელითა მით განკაცებითა თჳსითა (ანტიოქ. 141,16); რამეთუ სიჩჩოჲთგანეე ღუნოჲ და ქორცი არა შეჴდა პირსა მისსა, **ვინაჲთგან** ქრისტჱსა განეკუთნა სული თჳსი სამკჳდრებელად... (ხანძთ. გ, ბ, 33); არამედ აწ მე **ვინაჲთგან** ძალმიც მოუკლებელად ლოცვაჲ და სულელთა ყოველთა უდარჱს ვარ, ნაცლულევანებაჲ ჩემი არა მიფლობს დუმილად (ხანძთ. ა, ა, 16); ...**ვინაჲთგან** გიხილენით თქუენ, დაგუავიწყდა მებრ, თუ ქუეყანასა ზედა ვართ ჩუენ... (ხანძთ. ლბ, კზ, 40); **ვინაჲთგან** თჳთ თავადმან ივნე და გამოიცადე, ძალ გიც მათდაცა შეწევ-

ნად... (ხანძთ. ოწ, პ, 16); მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, **ვინაჲთგან** გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა (ხანძთ. ნვ, ნე, 31; აგრეთვე: გ, ბ, 33; ლბ, კზ, 39; ოწ, პ, 16—18; ჲზ, ჲთ, 13; ლ, კვ, 42); **ვინაჲთგან** ცალიერი ადგილი არა აქუს, სადაჲთმცა მიდრკა, ამისთჳს იძულებით დგას იგი თავსა ზედა თჳსსა... (ექუსთა დღეთაჲ 12,9).

საშუალო ქართულისათვის დამახასიათებელია (ეს ითქმის ადრინდელი პერიოდის ენაზე) ფონეტიკურად გამარტივებული ფორმა **ვინათგან**, იშვიათად **ვინადგან**.

ვაჩვენოთ მაგალითებს:

ვინათგან ღმერთმან და ჩუენმან ბედმან ერთგანვე შეგუყარნა, ერთმანერთისა დაჯერება გუმართებსო (ვისრ. 285, 19; აგრეთვე: 306,13; 154,19; 234,11); **ვინათგან** ეგრე ჭაბუკი ხარ, ესე ქენ... (ამირან. 39, 25; აგრეთვე: 234,11; 136,16; 64, 15); ვარდთა და ნეხვთა **ვინათგან** მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების (რუსთ. 49,1; აგრეთვე: 1120,3; 258,3); ვეცდები ვთარგმნო, **ვინათგან** ესე ჰყავს მომძებნელია (არჩ. 86,3); **ვინათგან** დიდათ განთქმულია..., გვიჩვენე თქვენსა წინა მონაყვანია (არჩ. 72,3); **ვინათგან** ახალმოწიფულთ ფალავანთ რაზჲი აჩვენე, აწ ნახო რაზმნახულისა ფალავნისა ომი (პროზ. შაჰნ. 436); მის დიდებულისა კაცისა ამბავი არ დავაგდო ამილახორის გივისა, **ვინათგან** ჩემნი კეთილის მომატყუებელნი იყვნენ (იესუ ოსეშვ. 13); **ვინათგან** მოკლნეს ძმანი ისი ორნი თავნი გოლიათობისანი ყოველისნი, სიკუდილი ჩუენი არად შერაცხილ არს (ანას. ქ. ცხ. 28,29).

თითო-ოროლა მაგალითი-ღაა **ვინადგან**-ისა: —

ვინადგან აქა თქვენთან მოვსულვარ, ნუღარას ეშიშვით (ამირან. II, 106,18); ... **ვინადგან** გწადია, მეცა გამოვიცადო... (ამირან. II, 183,19); **ვინადგან** ეგეთი კაცი ქვეყანასა ზედან არის, თუმცა მე არა ვნახე, არა ეგებისო (ამირან. II, 172,28); **ვინადგან** მაგინეთ მე ესე არს ნაწილი თქუენი, რათა დაგკოცნე ყოველნი (ანას. ქ. ცხ. 12,18).

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ხასიათის ძეგლებში არაიშვიათია **ვინაჲთგან-ის** გამოყენება, იხ., მაგალ., „ისტორიანი და აზმანი...“ (110,10; 62,4; 106,33; 64,12; 62,24).

ახალ ქართულში ჩვეულებრივია **ვინაიდან**. იგულისხმება ისეთი ტიპის ნიმუშები, როგორიცაა:

უნცროსმა უფროსს უნდა გაუგონოს, **ვინაიდან** უფროსს მეტი ჰკვა აქვსო (ვაჟა 72) და მისთ.

ვინაიდან-ს ნაკლები ხვედრითი წონა აქვს ახალ სალიტერატურო ენაში; მხატვრული ლიტერატურის ენა მას გაურბის, რადგან ამ კავშირის განოყენება რამდენადმე მწიგნობრულ იერს ანიჭებს მხატვრულ სტილს.

(ა)მით რომელ

მიზეზობითი კავშირი **(ა)მით რომელ** ფეხმოკიდებულია საშუალო ქართულში. ნამეტურ იგი ამ პერიოდის ადრინდელი ძეგლების ენისათვისაა ნიშანდობლივი. გამოცემულ ტექსტებში ხშირად მძიმე დასმულია **რომელ**-ის წინ, — ხოლო რადგანაც ჩვენ **(ა)მით რომელ** ერთ მთლიან კავშირად მივიჩნიეთ, ბუნებრივია, მძიმეს ვშლით. გვხვდება, უმთავრესად ,,ვისრამიანში“.

გავეცნოთ მაგალითებს:

გკმობ თამარ მზესა, უმზესად ზესა, **მით რომელ** უცხო ხარ სახილველი (თამარიანი VII, 1); სიმართლისებრი ქუეყანასა ზედა არა არის, **მით რომელ** სიმართლისა მატებასა დაკლება არა აქუს (ვისრ. 15,16); დია საქონელი გამიცემია გლახათათუის, **ამით რომელ** ღმერთმან შეგიწყალა... (ვისრ. 15,27); ნუ შეიჭირვებ ზითევსა, ოქროსა, თუალსა პატიოსანსა და მარგალიტსა, **მით რომელ** მე ეგე მინდა არ ზითვითა (ვისრ. 16,13); პატრონისა უნებლიე ღმერთმან ნუვინ გახადოს, **ამით რომელ** დიდი აუგი ჰრთავს ამას (ვისრ. 31,12); შენგას კიდე გული ჩემი არავის მიენდობის, **მით რომელ** ყოვლითა ფერითა გამორჩეული ხარ და ფრთხილი (ვისრ. 131,33); არ მომინდების თამაში, **მით რომელ** ესე ადგილი ჩემთვის სამოთხესაცა უამეა (ვისრ. 143,28); მე, შენმან მზემან, რამინს გამოვირჩევ, **ამით რომელ** მისი შეხედვა სამოთხედ მიჩსო (ვისრ. 90,35); მე შენ რამინის გზითა შეგეპოები, **ამით რომელ** ჩემი ვული ნახუთევად მას აქუს (ვისრ. 94,5); მე ესე მითქუამს, **ამით რომელ** მიყუარ (ვისრ. 72,28); ცოტასა ხანსა მოიტირა, მერე გული დაიწყნარა, **ამით რომელ** სიყმე მისი შიშსა და შეჭირვებასა შიგან იყო მიწყით... (ვისრ. 299,29); მის უმდიდრესი კაცი მიწასა ზედა არ იყო, **ამით რომელ** მოაბადის ძმა იყო... (ვისრ. 311,29); გამეხარნეს, **ამით რომელ** იმა მესამესა ბუმბერაზსა ფიცხელნი ჰკრა (ვისრ.); ჩემგან არა ეგების პირველ შეზრახვა, **მით რომელ** უგზომი განუსვენებია და ურიცხვი წარსაგებელი წაუგიაო (ამირან. II, 175,5); წავედით და დედოფალი თანა ვერ წავი-

ტანეთ, **მით რომელ** უმძიმდა მათი ომი და ჩვენცა ყოველთა გვიმძიმდა (ამირან. 124,17).

ამისთვის რომელ

ეს მიზეზობითი კავშირი ქართულის ადრინდელი პერიოდისათვისაა ნიშანდობლივი, უმთავრესად „ამირან-დარეჯანიანში“ გვხვდება, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ძველი სალიტერატურო ენა არ გვაწვდიდეს სათანადო მაგალითებს. ძველ ქართულში საამისო ნიმუშები უაღრესად იშვიათია, და ისიც უფრო მოგვიანო პერიოდის ენაში დასტურდება. შეიძლება ითქვას, რომ ძვ. ქართულში **ამისთჳს** კორელატისა და კავშირის მიჯნაზე დგას და მთლად ჩამოკვეთილი არაა მისი კავშირული ბუნება.

აი ორიოდე ნიმუში:

...შეუძნდა ესე ყოველსა მას ქალაქსა ბიზანტიისასა და მოიძულეს იგი უმეტესად, **ამისთჳს რომელ** წმიდაჲ მარტინე ჰრომისა პაპაჲ მრავლითა შეურაცხებითა ექსორია ყო ქერსონეთს (კიმ. 95,26): და ესენი მოსრულ იყუნეს ჩემდა ნუგეშინის ცემად მწუხარებისა, **მისთჳს რომელ** შემაწუხეს მღ[illegible] მოძღუართა და მწიგნობართა ერისათა... (არიმათ. 20,1).

დავიმოწმოთ საშუალო ქართულის ნიმუშები:

...ყოვლისა ბასრელისა კაცისა მესისხლე არის, **ამისთვის რომელ** ცოტა ყმა მისი ბასრელსა ვისმე მოუკლამს (ამირან, II, 106.7)· მერმე დედოფალსა შეასხმოდეს ქებასა, **ამისთვის რომელ** გამოაჩინეთ ამისთანა ჭაბუკი მეფედ ჩვენდაო (ამირან.); დასტურად მოგკლამ, **ამისთვის რომელ** იგი ამარ იამანელი მუხთლად მოჰკალო (ამირან. II, 206,12); თუ გამიწყრე და თავი მომკვეთო, ესე დიდი სიხარული არის ჩემი, **ამისთვის რომელ** მე მოვჰკვდე... (ამირან. 4,35); რამეთუ განსაგონო არს გონებისგან და არ თანდაწესებულ გონებასა..., **ამისთჳს რომელ** შემდგომად მყოფისა არს გონებაჲ... (პეტრიწი, I, 97,9); ხოლო პირველისა გონებისა მიერ გასაგონ არიან ვითარ ზესთ მანათუბელნი ნამდჳლ მყოფისანი, **ამისთჳს რომელ** ნამდჳლ მყოფი გონიერი გონებაჲ არს... (იქვე. 97,27).

(ა)მით რომე, ამად რომე

(ა)მით რომელ-ის გვერდით, კაუზალობის ფუნქციით, თანდათანობით ისახება საშუალო ქართულის ადრინდელ ძეგლებში **(ა)მით—ამად რომე**. იშვიათია აღორძინების ხანის ენაშიც:

შედარებით უხვად გვხვდება „ამირან-დარეჯანიანში“: ...შეგიძლია, შეუტევეთ ყველამან, **მით** რომე ასწყვიტა ლაშქარი ჩემი და დაჰკლა ბუმბერაზნი ჩემნიო (42,1); ...მოლოდინება ვიწყეთ, **ამით** რომე ეგეთნი კაცნი გზასა საიმედოდ კმა იყვნეს (73,6); თუმცა შენ არ გეთქვა, მე არ ვიტყოდი, **ამად რომე** ეგრე იტყოდი, ვითა—მოვსწყინებივარო (125,18; აგრეთვე: II, 104,21; II, 5,22; II, 90,28; II, 69,5; II, 7,8; II, 138,10; II, 6,21).

მაგალითები სხვა ძეგლებიდან:

მიჯნური შმაგსა გეიქვიან არაბულითა ენითა, **მით რომე** შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა (რუსთ. 22,1); ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატიჟად ნურად გგონია, **მით რომე** დამხსნი ტირილსა... (რუსთ. 242,1); ბედი შეფისა ჩვენისა არსთაგან სანატრელია, **მით რომე** ღმერთი მას მისცემს, რაც უფრო საკვირველია (რუსთ. 1242,3; ყოვლი მცოდნელი გრძნებისა მას თანა წაუტანია, **მით რომე** გზაა საჭირო, მტერნი საომრად მზანია (რუსთ. 1241,1); არ შებრალების საქებრად თამარი, მისი ამარი, ვა, **ამით რომე** სრულ ვერ ჰყო, ადრე უთხარეს სამარი (არჩ.); ვაზირი გონიერი, წყნარი და სიტყვა მარჯვე ხამს, **ამად რომე** ხელმწიფესთან მყოფს ხუთნი საქმენი უნდა სჭირდეს (სიბრ.-სიცრ. 7,5); მე მოსაკლავი კაცი არა ვარ, **ამად რომე** ყოველთა მფრინველთა და მხეცთა ენა ვიცი (სიბრ.-სიცრ. 31,10; აგრეთვე: 9,9).

ამისთვის რომ

იშვიათად იხმარება ალორძინების ხანის ენაში.

გავეცნოთ მაგალითს:

შაჰ ტამაზ ყაენი ციხეში ამოვიდა, **ამისთვის რომ** ამ საღდრისა მრავალი ქება მოახსენეს (ფარსად. 214); ციხის აღება გაძნელდა, **ამისთვის რომ** არც საბა მიიტანებოდა, არც შეეთხრებოდა... (ფარსად. 215; აგრეთვე: 217; 221; 256); მთავარ-მართებელსაც მოახსენა დაენებებინა, **ამისათვის რომ** მთავარ-მართებელი ნიკოლაი ფეოდორიჩი რტიშჩევი არის (დოკუმენტ. თაყაიშვ. 149,35); ...ეგების ჩვენ არც კი ვიყაბულებდით, **ამისთვის რომ** ამისი თავაყა ჩვენ იმისგან არა გვქონია (იქვე 135,31; აგრეთვე: 230,36; 230,16).

თუ საშუალო ქართულის ადრინდელი პერიოდის ძეგლებში **რომელ—რომე** შეხამებულია კორელატთან და ერთ მთლიან კავშირად წარმოგვიდგება, თანდათანობით კორელატური კომპონენტი კავშირისა გაუჩინარდება და მიზეზობით კავშირად ყალიბდება **რომელ—რომე**. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ენაში ამ ფუნქციით მკვიდრდება მისი ფონეტიკური სახენაცვალი **რომ**.

გავეცნოთ მაგალითებს:

რ ო მ ე ლ

აწ მე დია მხიარულად ვარ, **რომელ** შენ ქალი შობე (ვისრ. 15,26); დარჩა რამინ ხორასანს, მარავს შიგაბ, ამით მიზეზითა, **რომელ** თავი მოისნეულა (ვისრ. 82,13); **რომელ** მიძღვენ ძღვენი დიდი და საკვირველი, ამისთვის მადლს არ გარდაგიკდი (ამირან. 56,11); ამად გაგშორდე, არ მინდეს ზავნი შენგან საცავნი, **რომელ** მაქვს შენით ზღვად შენართავნი ცრემლის სათავნი (ბესიკი 70); ვახ მეო, **რომელ** გიხილენ თვალით ცრემლმოსანდენები (ბესიკი 38).

რ ო მ ე

რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს, ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს (რუსთ. 657,1); დიდი თურე მიგჭირდა, **რომე** გაზრდილი შენი არ გიახლაო (ამირან. 35,22); დიდება ყოველთა დამბადებელსა (და) საკვირველთა მოქმედსა, **რომე** დღენი შენი სიმართლითა სავსენი არიან... (პროზ. შაჰნ. 417); ხანსა გრძელსა მღვთისა წყალობითა იმა შვენიერისა ფურისა რძითა იზრდებოდი, **რომე** იგი იყო ძიძა შენი (პროზ. შაჰნ. 385); მადლი ღმერთსა, **რომე** ხელმწიფის მზეებრ ბრწყინვალე გული სარკესავით გაუწმედია (ქილილ. 196); მადლი ვჰკადრე შემოქმედსა, ჭირთა ნაცვლად **რომე** გპოვე (შაჰნ. 3210,2); და არა იყო გულსა მეფისა ზრუნვა, გინა შეპირება უძეობისა კიდე, **რომე** შვილი არა ესვა (სიბრძ.-სიცრ. 3,22).

რომ

საშუალო ქართულში აქა-იქ, ზოგიერთ ავტორთან, შეიძლება შეგვხვდეს **რომ** კაუზალობის ფუნქციით, როგორიცაა, მაგალითად:

ვადიდებ კელსა ბრძენსა, არ ხელსა, **რომ** სცნა მათ ნიშნად, ბოლოდ საცოდნი (აბდულმესია 34,4); ნარგიზ-ლავროტი, ია-მაკროტი მისთვის ამსგავსეს, **რომ** არს სამოთხით (აბდულმესია 8,4); და სასუფეველზედ **რომ** შორს არის, იმისთვის მუდამ იდაგებოდეს... (ვახტ. სჟდ, იბ); ...დიდი მწუხარება შეიქნა, **რომ** უფროსი აღარ ინახებოდა (იესე ოსეშვ. 13), და მისთანანი.

მაგრამ ეს მიზეზობითი კავშირი ჩამოყალიბებულია ახალ სალიტერატურო ენაში.

მაგალითები:

მებრალებით, **რომ** თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი (ილია 246,22); თუ ეჯავრებოდა სტუმარი, იმიტომ ეჯავრებოდა, **რომ** უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაეცვა (ილია 329,9); მაგრამ წუთის-სოფელი იმიტომა ჰრქმევია, **რომ** ყველაფერი წუთობით სცოდნია, უბედურობის მეტი (ილია 298,22); კოდალაც ზნეობრივს კმაყოფილებას გრძნობდა, **რომ** უთვისტომო, ობლად შთენილი შამალი შეიყრდომა (ვაჟა 214); ...ღმერთს მადლობა შესწირე, **რომ** თავისუფლებას ეღირსე (ვაჟა 202); გმადლობ, **რომ** მშვიდობიანად გადაარჩინე (ყაზბ. 26).

რათგან—რადგან(აც)

სამშუალო ქართულში **რათგან—რადგან** ძირითადი მიზეზობითი კავშირია; მისი ხვედრითი წონა, შედარებით კაუზალობის სხვა კავშირებთან, დიდია. ასე ფართოდაა იგი გავრცელებული ამ პერიოდის ქართული სალიტერატურო ენის ორსავე საფეხურზე — როგორც ადრინდელი ხანის ძეგლებისთვისაა ნიშანდობლივი, ისევე ცენტრალური კაუზალური კავშირია აღორძინების ხანაში.

ხახეობა **რათგან** ნამეტურ ადრინდელ ძეგლებშია დადასტურებული:

რათგან სირცხვილი არა გაჭუს, რაცა გწადიან, იტყოდიო (ვისრ. 65,14; აგრეთვე: 141,18; 157,28; 167,22; 12,10; 133,25); **რათგან** შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს (რუსთ. 833,2); **რათგან** ავთანდილ შენია, სხვა რად ვინ მოგეწონების? (რუსთ. 1517,4; აგრეთვე: 1446,4; 1490,3; 1566,3; 405,4; 301,1; 211,1, 697,3; 1635,4).

არის კავშირის ინვერსიის ზოგიერთი შემთხვევაც:

მისი ამბავი **რათგან** გასმიოდა, ავი და საკუირველი ქმენ მისი ქმრად შერთვა (ვისრ. 237,14); აწ უბედურობითა ჩემითა

რათგან მოვშორდი, აბეზარი ვარ ყოვლისა ლხინისაგან (ვისარ. 133,17); შეყრა არის პირიანი, ორთავეა **რათგან** ნება (რუსთ. 1095,4); მაშა მე მისსა ამბავსა **რათგან** აღარას მოველი, ველარ ვიქმნები, გამიშვი... (რუსთ. 644,1); ღმერთო, რა გმსახურო, განმინათლდა **რათგან** ბნელი (რუსთ. 1435,3); მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვეღრება **რათგან** სულსა (რუსთ. 1306,1).

აღორძინების ხანის ენაში **რათგან** ძალზე იშვიათია:

რათგან გავმართლდი, არ შინდა კელმწიფე ანატირები (შაჰნ. 3003,4); **რათგან** მკლავთაგან გაბგეშორები, თვალით მაპკურენ ცრემლთა ფონები (ბესიკი 53); **რათგან** თქვენ შამოგეხვეწენით, ჩვენზედაც დიდათ გაისარჯე და ეს ბიჭი კაცია დაიხსენ სამოცდაშვიდ მარჩილად თათრებისაგან (დოკუმენტ. ბერძენ. 187,8).

ადრინდელ პერიოდშივე ისახება ფონეტიკური სახეობა — **რადგან**. თითო-ოროლა ნიმუშს გვაწვდიან სახოტბო პოეზიის ძეგლები:

ანუ ცნა ურად ან უცნაურად სოფლისა წყალთა დამშვენებარე, **რადგან** ცად ახვალ, რა დგას ცადა ხვალ ზოჰალი ეტლი. მთვარე მცებარე... (თამარიანი X, 6-7); ნათელი დიდი, **რადგან** დაბინდი, ვიცი, არ ითქმი დაბნელებულად (თამარიანი XII,4); წარ თუ წირულ ვართ, არ განწირულ ვართ, **რადგან** თქვენ გპოვეთ მზედ უფლობისა (აბდულმესია 62,2); **რადგან** დაებით, ბარემ სულ ებით (აბდულმესია 67,2).

გვხვდება „ამირან-დარეჯანიანშიც“:

რადგან აქა არა არიან, კამს რამე მათთვისაო (89,35); **რადგან** არ ისმინეთ, თქვენნი სისხლნი თქვენსავე თავსა იყვენოთ (135,11; აგრეთვე: 123,22; 102,37; 68,22; 77,14; 57,33; 39,20; 3,24; 107,30; II,171,14; II,191,15; II,199,13; II,207,9; II,213,22; II,25,2).

ფართოდ ფეხმოკიდებულია **რადგან** საშუალო ქართულის მოგვიანო ხანაში.

ნიმუშები:

რადგან ვერ ჰპოვა მან ნება, სხვა ნუვინ მაზე რბოდესა (არჩ. 381,4); დატკბა სიმწარის საწდევი, **რადგან** შეერთო მელია (არჩ. 632,1); შენ რა თამაშობა გმართებს, **რადგან** მამაშენი ასე გაყუჩებით არის? (რუსუდ. 729,5); ცუდი იყო იგ სიზმარი, **რადგან** ვკვდები ცუდად გზასა (შაჰნ.); **რადგან** შენ ჩემზედა სიკეთე ჰყავ, მისი სანაცვლო მეცა მმართებსო (ქილილ. 137); **რადგან** არ იშლით, სჯობს, რომ წაბრძანდეთ ჩაფრადა (ვურამ. 59,2); მადლობა მრავალად გვიღირს, **რადგან** იხსნა ჩვენი ტომი

(ბესიკი. 56); წადით ნახეთ, **რადგან** არის აქ მოსრული (შაჰნავაზ. 78,3); ალარას უშველისო, **რადგან** ახალი მოსრულნი არიანო და ქალაქიც ურუმთ უპირავთო (ფარსად. 222); **რადგან** ესრეთი მლოცავი ხარ, სამოთხის კიდე რაც ითხოვო, მოგცესო (სიბრ.-სიკრ. 18,10); **რადგან** მაგას შენი თავი უნდოდა, მეც მოგყიდე დედის ჩემის ზითვის-ყმა სუთია თავის ცოლითა და შვილითა (დოკუმენტ. ბერძენ. 62,6); **რადგან** ბედნიერმან ხონთქარმან დადიანობა და ოდიში ჩვენ გვიბოძა, ჯერ იყო ჩემ მიერ ძალისაებრ ჩემისა სამსახური, ქველის მოქმედება და შემოწირვა (საეკლ. საბ. 87,18).

საშუალო ქართულში **რადგან** კავშირმა ნაწილაკი არ განივითარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საბუთების ენას, რომელსაც, როგორც ვიცით, ხალხური მეტყველების ძლიერი გავლენა ატყვია. -ც(ა) ნაწილაკის დართვით მიღებულია **რადგანც—რადგანაც.**

დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული ტექსტებიდან:

იმ წიგნის საქმე გეკითხებათ, **რადგანც** გკითხეთ... (12,13); **რადგანც** ყარსს მოუნდომებიათ წასვლა მარილის მოსატანად, ყარსს წავიდნენ (88,7; აგრეთვე: 132,35; 55,11; 55,15).

შდრ. ბესიკის ენიდან:

რადგანც პლანიტს დააყენებს ი-სურა, მაღრიბთ დასნი ინა-წევრა, არია (გვ. 20)

ახალ სალიტერატურო ენაში -ც(ა) ნაწილაკი დაერთვის **რადგან**-ს ა ხმოვნის გამოვლენით: **რადგანაც.** ნაწილაკიანი ფორმა ფართოდ გავრცელებულია ახალ ქართულში, ოღონდ მის გვერდით არაიშვიათია უნაწილაკო კავშირის გამოყენებაც; **რადგანაც — რადგან** ფაკულტატიური ფორმებია.

შდრ., მაგალ.:

ა კ ა კ ი ს თ ა ნ:

—**რადგან** სხვა ადგილი არსად იყო, ახალგაზრდობა მის რედაქციაში იყრიდა ხოლმე თავს (474).

—**რადგანაც** ფეხის გამართვა არ შემეძლო, ქალის უნაგირზე შემსვეს (421).

ვ ა ჟ ა ს თ ა ნ:

—მამალსაც ამის მეტი არ უნდოდა, **რადგან** მღერის საღერღელი ისედაც აშლილი ჰქონდა (199).

—...თვალი იჭეთ ეპირა, **რადგანაც** მგელს მოელოდა (136).

უაზბეგთან:

—გზიურ ქვეშესკენ გაემართა, **რადგან** ელგუჯას ამბით მზაღვე უნდა გაეხარებინა (69).

—ეს შემთხვევა მათიას პირველში უხაროდა, **რადგანაც** მზაღვესთან უფრო დაახლოვდებოდა (76).

რაკი

მიზეზობითი კავშირი **რაკი** ნიშანდობლივია ახალი სალიტერატურო ენისათვის, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა აქა-იქ შეგვხვდეს მე-18 საუკ. ზოგიერთ ავტორთანაც, და ამ მხრივ სიმპტომატურია მისი გამოვლენა გურამიშვილის ენაში, რამდენადაც გურამიშვილთან ჩვენ გვაქვს საწყისები ახალი სალიტერატურო ენისა.

შდრ. გურამიშვილთან:

მეც გავერივე, მეკეთა, **რაკი** მას მოვკარ ყურია (356); კელმეორედ გავიპარე, **რაკი** ვჰპოვე ჟამი-დრონი (181).

ახალ სალიტერატურო ენაში **რაკი** არცთუ პროდუქტიული კავშირია, და ისიც აღსანიშნავია, რომ უფრო გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ ავტორებთან.

რაკი-ს შემცველ კონსტრუქციაზე დაკვირვება გვეუბნება, რომ ეგ კავშირი ერთგვარ სემანტიკურ ნიუანსს ამჟღავნებს სხვა მიზეზობითს კავშირებთან შედარებით: ეს ის კონსტრუქციაა, სადაც დროისა და კაუზალობის კატეგორიები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი, — სათანადო ტიპის წინადადება იძლევა როგორც დროულობის, ისე კაუზალობის გაგებას. მართლაც, წინადადებაში:

რაკი საწადელი არ აუსრულდათ, ყველას თავი მიანებეს (ვაჟა 217)

დამოკიდებული წინადადება („**რაკი** საწადელი არ აუსრულდათ") მიზეზობითია, მაგრამ მას დროულობის ნიუანსიც აქვს. ეს კარგად გამოჩნდება, თუ, ერთი მხრით, **რაკი**-ს აგდილას ჩავსვამთ ტიპობრივ მიზეზობითს კავშირს (**რადგანაც**):

რადგანაც საწადელი არ აუსრულდათ, ყველას თავი მიანებეს, —

და, მეორე მხრით, მის ადგილას ჩავსვამთ ტიპობრივ დროულობის კავშირს (**როდესაც**):

როდესაც საწადელი არ აუსრულდათ, ყველას თავი მიანებეს.

ორი ყალიბის წინადადების ეს სემანტიკური სიახლოვე დაკავშირებულია დროისა და კაუზალობის კატეგორიათა მიმართებასთან და ეს კითხვა განხილულია ქვემოთ, ნაშრომის იმ ნაწილში, სა-

დაც უეხებით კავშირთა სემანტიკურ-ფუნქციური თანამიმართების საკითხს.

გავეცნოთ ფაქტობრივ მასალას:

რაკი შენი ნებაც არის, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს (ილია 303,39); **რაკი** ეს გამოვიგონე, მე დენშჩიკი შაქარს ვეღარ მპარავს (ილია 254,34); **რაკი** ფარდაც ჩამოვაფარეთ, ოთახიც დაბნელდება (ილია 253,22); **რაკი** ის ფანჯარაც დაკეტეთ, ფარდაც ჩამოაფარეთ (ილია 253,20); ...ჰგონია ბედნიერება მომანიჭა, **რაკი** უღრანს, უდაბურს ადგილს მომაშორა (ვაჟა 42); **რაკი** ისეთი გულკეთილია, მეც მასწავლიდა სალამურის დაკვრას (ვაჟა 151); **რაკი** ზედაპირს ააცლიდა, მერე ადვილი იყო ფუტურის ამოჩიჩქნა (ვაჟა 92); **რაკი** ტყეებსა და მთებს გაეკიდა, გზას კაჭკაჭი ვეღარ იგნებდა (ვაჟა 30); **რაკი** ვიკლდი მწყემსი დაჭრილი იყო..., მივუსიე მას... (ვაჟა 99); **რაკი** ვერაფერი შეასმინა ძირიდან კაჭკაჭს, მოიწადინა მაღლა ასვლა (ვაჟა 25); **რაკი** აგრეა, შენ ნუ გეშინია... (ვაჟა 29); **რაკი** ბიჭები გაგზავნ-გამოგზავნა, სახლის პატრონმა გამოსწია იმ საწოლისაკენ... (ყაზბ. 7); **რაკი** სვიმონის ამბავი და სიჩუმის მიზეზი შევიტყვეთ, ეხლა შეგვიძლიან დავუბრუნდეთ ისევ ჩვენის მოთხრობის გმირებს (ყაზბ. 39); ...**რაკი** იცნო, ხმა გაჰკმინდა (ყაზბ. 11); **რაკი** მოსამართლენი მარტოკა დარჩნენ, ისევ დაიყვნენ ჯგუფებად (ყაზბ. 54); ... **რაკი** სიხშირემ დაჰფარა ისინი.., ელგუჯა ერთბაშად გამოუბრუნდა ქალსა (ყაზბ. 11).

4. მიზნითი კავშირები

მიზნითი კავშირები მონაწილეობენ მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქციაში.

მიზნითი კავშირებია:

რა(დ)თა	**რომე**
ნუუკუე	**რომ**
რომელ	

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

რა(დ)თა

შეიძლება ითქვას, ეროვნულად ერთადერთი კავშირია მიზნითი შინაარსისა ძველ ქართულში, საშუალო ქართულშიც ფართო გავრცელება აქვს, მაგრამ მას ამ პერიოდში სხვა მასალის სიტყვებიც ამოუდგებიან გვერდში. ახალ სალიტერატურო ქართულში იგი, მართალია, იხმა-

რება. მაგრამ შეზღუდულია მისი გამოყენების არე და არქაულ ფორმად გამოიყურება.

ძველი ქართულის ნიმუშებია:

ხოლო ერმან მან შეჰრისხნა მათ, **რაჲთა** დადუმნენ (მათე 20,31); მცირედ დადგა და ხედვიდა, **რაჲთა** წარვიდეს (ასურ. 8,24);...სიმდაბლით მოუდრიკე თავი შემოქმედმან შექმნულსა, **რაჲთა** იკსნე ხრწნილებისა გან ბუნებაჲ კაცობრივი (სას. პოეზია, რიბ, 293); უფალო, აცხოვნე სული ჩემი, **რათა** გაქებდე შენ (ბოლნ. 28,13); და აწ, **ვინაჲთგან** მოსწრაფე ხართ, **რაჲთა** ადგილსა მას დროსსა მიხვდეთ... (ზარზმ. 161,11); ...ღმრთის **მსახურებაჲ** დაჰნერგე, **რაჲთა** ვნებასაცა შენსა არა შეორგულდენ (ჭ.-ეტრ. 142,4); ..მოავლინა გაბრიელ მახარებელად მოსლვისა თჳსისა ამისთჳს, **რაჲთა** არაჲ შეძრწუნდეს დედაჲ ქალწული... (კიმ. 177,22); ...მიხედა პირსა მისსა, **რაჲთა** იხილოს ხატი მისი (კიმ. 308,29); (ხოლო) საღმრთოჲთა ბრძანებითა და ანგელოზისა მოსლვითა შეეკერებით მის თანა, **რაჲთა** არა ხოლო სული ნეტარისაჲ მის წარვიდეს პატივით უკუდავებად.. (ანტიოქ. 96,18); მე ამას მხიარულ ვარ, **რაჲთა** აქა ვიტანჯო და მუნ განვისუენო (შუშან. 29,IX,26); გაფუცებ თქუენ ძალსა ქრისტჱსსა, **რათა** მაუწყოთ მე... (რავახ. 83,28), და ამისთჳს გამოგეცხადე უპირატჱს ყოველთა მოწაფეთასა, **რათა** გამოგიყვანო ამიერ ადგილისაგან (არიმათ. 31,13); ...წარავლინნა კაცნი კეთილნი, **რაჲთა** კუალადცა ბრძანოს სახლსა მისსა (ხანძთ. იგ, თ, 29; აგრეთვე; ვ, ე. 9; კვ, კგ, 14; ნზ, ნე, 39; იგ, თ, 29).

საშუალო ქართულში **რათა** გავრცელებული კავშირია.

მაგალითები:

მისგან ვითხოვო — ართუ ვითხოვო, — **რათა** სცეს სწავლე თბესა მცონარსა (აბდულმესია 73,1); მე თუით ღმრთისაგან ამას ვითხოვდი, რომელ ჩემთა მტერთა ენა დაამოკლოს, **რათამცა** საქმითა შენ აღარ მაყუედრებ და წამსა და წამსა მიზეზსა აღარ ეძებ ჩემზედა (ვისრ. 193,15); შეუტევა გულმწყრალად, **რათამცა** მოეკლა (ამირან. 67,27); აწ დროა, **რათა** შენი უგუნურება... გაამხილო (ქილილ. 153); მეორესა დღესა მას ხესთან მივიდნენ, **რათა** მას მართალი მოწმობა გამოჰკითხონ (ქილილ. 158); მოუდგეს იმიერნი, **რათა** რუსი სასახლესა შინა შეყვანილ ყონ (შარავანდ. 90,16); და მე ესრეთ გლახაკსა ნუგეშინისაცემელად ჩემდა მაქუნდა უცხოებასა მუშაკობა, **რათა** მოვირეწო დასარჩენელი სახლეულთა ჩემთა (აბუს.

57,34); და გამოარღუია კარი ქუაბისა მის **რათამცა** მუნ შიგა დაიმშრალა წუიმისა მისგან (ანას. ქ. ცხ. 15, 17); ვირი ერთსა უყესა ტალახსა შიგან გაატარე, **რათა** დაეფლას (სიბრ.-სიცრ. 7,24); ... ამ თორმეტს საუფლოს დღეში იმ საყდარს ჟამს გვიწირეუდით, **რათა** არა განვარდეთ სასუფეველისაგან (საეკლ. საბ. 77,14); კელვყავ და გულს-მოდგინედ ვიწყუ ძიებად. **რათამცა** მცირედითა რამთე და უნივთოთა ნაღვაწითა მემსახურა (დოკუმენტ. ბერძნ. 10).

ახალ სალიტერატურო ენაში **რათა** ჩვეულებრივი მიზნითი სიტყვაა.

შდრ., მაგალ.:

ჰგზავნიდა სხვების რაზმებს, **რათა** გაეპო წყვდიადი (ვაჟა 96); ...საგალობელი შემოსძახა, **რათა** ეჩვენებინა მამლისათვის თავის მღერის უნარი (ვაჟა 201): გაეშურა გიორგისაკენ, **რათა** შეეტყობინებინა... (ყაზბ. 17); ...უკან გამოუდგა, **რათა** ეშველა მათიასათვინ ტყიდან ცხვრების გამორეკა (ყაზბ. 60) და მისთანანი.

ხუუკუე

გარკვეულ კონტექსტებში **ნუუკუე**-ს ნეგატიური შინაარსის გადმოცემა ეკისრება; იგი უდრის **რადთა არა**-ს.

ნუ დღესასწაულსა ამას, **ნუუკუე** შფოთი იქმნეს ერისაჲ (მარკოზ 14,2); ...ვერ გულისკმა-ყონ, **ნუუკუე** მოიქცენ და მიეტევოს მათ (მარკოზ 4,12); და განტევებაჲ მათ უზმათაჲ არა მინებს, **ნუუკუე** დაცჳვენ გზასა ზედა (მათე 15,32); ...და თუალნი მათნი დაიწუხნეს, **ნუუკუე** თუალითა იხილონ და ყურითა ისმინონ... (მათე 13,15); ეკრძალენით, **ნუუკუე** ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი (მათე 18,10); იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულისაგან შენისა ადრე..., **ნუუკუე** მიგცეს შენ წინამოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა (მათე 5,25); მეშინის მე, **ნუუკუე** სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელისაჲ აღესრულოს ჩუენ-შორის... (წარტყუენ. ი, 25; მარის თარგმანით: Опасаюсь я, как-бы не исполнилось среди нас слово пророка ...); არამედ ეშინოდა ბოროტთა მათ-გან, **ნუუკუე** მოკლან იგი.. (წარტყუენ. ი. 17; მარის თარგმანით: Но он боялся, как-бы не убили его...); იხილეთ, **ნუუკუე** განზრჱეს გული თქუენი შუებითა და სიხარული გეუფლოს... (წარტყუენ. ნზ,17; მარის თარგმანით: Смотрите, как-бы не отяжелело ваше сердце от неги и не овладело вами

веселье...); მე მეშინის, **ნუუკუე** იღჳძებდეს სისხლი იესუჲსი ჩუენ ზედა (არიმათ. 84, 10); მარის თარგმანით: Я боюсь, как-бы не проснулась...); ... დასცხერ ჩუენგან და ეკრძალე თავსა შენსა, **ნუუკუე** ბოროტი გეყოს შენცა მათ თანავე (არიმათ. 85, 6; მარის თარგმანით: Отстань от нас, и береги себя, чтобы вместе с ними и тебе не было причинено зло); ეკრძალე, **ნუუკუე** საშჯელსა შეჰვარდე შჯულის-მდებელისაგან მოსჱსსა (კიმ. 184,9); ... ამცნო, რათა განკრძალოს მეფე, **ნუუკუე** სალმობისა მიზეზითა ყოს არასათნოჲ ღმრთისაჲ (კიმ. 315, 16); და მეშინის მე, **ნუუკუე** სასყიდლით დადგინებულთა მათ თანა ვიპოვნეთ, რომელთა დაუტევნეს ცხოვარნი მოსვლასა მას მგლისასა... (კიმ. 275, 26)[1].

ნუუკუე-ს გვერდით ძველ ქართულში უფრო გავრცელებულია მისი ფუნქციური ბადალი **რაჲთა არა.**

მაგალითად:

ესრჱთ არს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსა, **რაჲთა არა** წარწყმდეს ერთი მცირეთა ამათგანი (მათე 18,14; DE. შდრ. C: ეგრე არა ნება არს მამისა ჩემისა ზეცათაჲსა, **რაჲთამცა** წარწყმიდა ერთი კნინაკთა ამათგანი (მათე 18, 14C); და ფრიად შეჰრისხნა მათ, **რაჲთა** არა გამოაცხადონ იგი (მარკოზ 3,12: DE. შდრ.: C: და ფრიად შეჰრისხნის მათ, **რაჲთამცა** არა გამოაცხადეს იგი):... ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორები. **რაჲთა არა** შეამთხჳო ძვირი თავსა შენსა.. (აბო 70,19).

ნუუკუე—რაჲთა არა-ს პარალელიზმი კარგად ჩანს ტექსტების ვარიანტთა შეპირისპირებიდანაც:

მ ა თ ე 7,6DE:

ნუ მისცემთ სიწმიდესა ჩემსა ძაღლთა, ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, **ნუუკუე** დათრგუნონ იგი ფერჴითა მათითა...

შ დ რ. C:

ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუდებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, **რაჲთა არა** დათრგუნონ იგი ფერჴითა მათითა...

---

1 ზოგიერთ გამოცემაში (ნ. მარის, კ. კეკელიძის) **ნუუკუე** გათიშულადაა დაბეჭდილი: ნუ უკუე.

არიმათიელის ძეგლში ნუუკუე-ს ვარიანტულად ეფარდება **თუ არა:**

დასცხერ ჩუენგან და ეკრძალე თავსა შენსა, **ნუუკუე** ბოროტი გეყოს შენცა მათ თანავე (85,6).

შ დ რ.

... დასცხერ ჩუენგან და ეკრძალე თავსა შენსა, **თუ არა** ბოროტი გეყოს შენცა მათ თანავე.

რომელ

მიზნითი კავშირი **რომელ** უმთავრესად დამახასიათებელია ვისრამიან-ამირანდარეჯანიანის ენისათვის.

მაგალითები:

ასული შენი შემრთე, **რომელ** ნაყოფი თესლისაებრ იქმნას (ვისრ. 7,6); ქება გაგაგონო, **რომელ** ენა-გონება კეთილმთქუმელი უკლებობათა თანა ცოტა რამე გამოვაჩინო (ვისრ. 9,2); ამად უქმნია მათ ესე შეუწონელი საქმე, **რომელ** თქუენგანცა მათ არა შინებოდა (ვისრ. 18,38); მოედ, **რომელ** ნახო მიჭირვებული ჩემი ყოფნა (ვისრ. 307,33). და ჩემად მოსლვამდინ ესე საქმე დამალე, **რომელ** არავინ ცნასო (ვისრ. 311,20); მოყუარე სიკუდილისა ჟამსა მინდა, **რომელ** აღდგომასა ერთგან ვიყუნეთ (ვისრ. 294,12); ანუ დიდსა კლდესა, ანუ დიდსა წყალსა თავსა ჩავიგდებ, **რომელ** დავეკსნა ჩემსა ყოფნასა (ვისრ. 75,24); მაცოცხლე, **რომელ** დღენი ჩემნი შენსა სამსახურსა და ნების-ყოფლობასა შინაგან დავლივნე (ვისრ. 75,20); სწრაფვით წამოდი წინაშე ჩვენსა, **რომელ** ჩვენ გავიხარნეთ ნახვითა შენითა (ამირან. II,10,9); კარგად ყური მომიპყარ, **რომელ** მოგაკსენო... (ამირან, I II,3, 27): საყდარი ისი შენისა დიახახლისისაჲ არს ამისათჳს, რომელ ათორმეტთა მღუდელთა მისითა ქელითა შესთული ჰმოსიეს (შარავანდ. 114,20); მისსა მცირესა სიყმესა სხვამცა მეტი რა ექმნა, **რომელ** მათსა სისხლისა ტბასა მისიცა სისხლი მდინარედ შესდინდებოდა (ბესიკი 36).

რომე

მიზნითი კავშირის სახეობა **რომე** დამახასიათებელია საშუალო ქართულისათვის.

გავეცნოთ მასალას:

გვალე, ვიარებოდეთო, **რომე** სიგრილე მეცესო (ამირან. 72,12); აწ ამისთვის გამოგზავნილი ვართ, **რომე** შენმცა მოგიყვანე წინაშე იამანთა მეფისა (ამირან. 46,16); მე **არ** მიზამს არაბთ მიფე, **რომე** სიტყვა გავაცრუო (რუსთ. 1482,3); აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ, **რომე** მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ (რუსთ. 509,1);...და ამისთვის გეხვეწებოდიო, **რომე** სიჩქარით ცეცხლში არ ჩასჭრილიყავ (რუსუდ. 747,8); ესე არაკი ამისათვის მოვიყვანე, **რომე** სცნა... (ქილილ. 239); მალვით დიდი კლდე მოგლიჯეს და დაუგორვეს, **რომე** იმით მოეკლა (პროზ. შაჰნ. 389); მას ვარჩევ, **რომე** მოვიდეს... (შაჰნ. 3092,4); ერთი საყდარი ასეთი არა ქონდა კხს, **რომე** დღესასწაული გარდაეხადა (საეკლ. საბ. 61,24);... დ ჩუმნცა სიგლითა ამით ასრე შემოგწირეთ **რომე** არა საჩუმნო სათხოვარი და გამოსაღები თქუმნის მამულით არა ითხოვებოდეს-რა (ქართლ-კახ. საბუთ. 6).

რომ

მიზნითი კავშირის სახეობა **რომ** გვხვდება უმთავრესად საშუალო ქართულის მოგვიანო პერიოდის ენაში, და არც ისეთი სისტემატურობით, როგორც მეორე სახეობა **რომე**.

გავეცნოთ მაგალითებს:

ვსთქვა მე აწ ვითა, **რომ** იქმნეს წვითა მნათობნი მძაფრად სხივთა მისთაგან? (აბდულმესია 17,3); აქ ამისათვის მოსრულ ვარო, **რომ** ბატონიშვილი ალექსანდრე წავიყვანო (ფარსად. 230); აქ ერევნელი კაცი არავინ იყო, **რომ** გაგვეგზავნა (დოკუმენტ. ბერძენ. 58,7); ამ ყარაჯას თქვენი კაცები გაატანეთ და გაისტუმრეთ, **რომ** ოსეთიდამ ჯარი გამოიყვანონ (დოკუმენტ. თაყაიშვ. 211,14); ...და თუ ამ დედაკაცს საბუთს უზამთ, **რომ** ვალის გარდასახადი ჰქონდეს რამე... (იქვე 5,17); ერთერთი ძმა მანდ უნდა დააგდო, **რომ** ეგ საქმე გაარიგონ... (იქვე 59,25); სხვა ამის მეტი ანბავი არა ვიცოდი, **რომ** მომეხსენა (იქვე 37,26); ჯერ მაგდენი სიმტკიცე არ მიუღია, **რომ** იმაზე მეტი შეიძლოს (იქვე 83,10).

ახალ სალიტერატურო ენაში **რომ** ძირითადი მიზნითი კავშირია.

იგულისხმება ამ ტიპის ნიმუშები:

გეთაყვანე, საჩქაროდ გამომიგზავნე, **რომ** იმ კაცთან პირნათლად გამოვიდე (ორბელ. წერილ. 171); მეორე დილას მღვდე-

ლი ვიკითხე, **რომ** უპატრონო კაცი მეზიარებინა... (ილია 321,4); სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, **რომ** ოთხში ამოეღო (აკაკი 438); მომეც საზრდო, **რომ** გავძღე (ვაჟა 49); მისთვის არ გვედრით, **რომ** მოვუპოვო საზრდოება ჩემთა გულისთქმათ... (მაჩაბ. 25,16) და მისთანანი.

ინვერსია კავშირისა სრულიად დასაშვებია. მაგალ., ზემომოყვანილ მაგალითებში ნორმალურია გადასმა **რომ** კავშირისა:

მეორე დილას მღვდელი ვიკითხე, ის უპატრონო **რომ** მეზიარებინა; სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, ოთხში **რომ** ამოეღო, და ა. შ.

ინვერსიის შემთხვევაში ის კი სავალდებულოა, რომ კავშირს შემასმენლის წინა პოზიცია ეკავოს.

5. პირობითი კავშირები

პირობით დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენებულია კავშირები:

თუ (თუმცა)	**დაღათუ—დაღაცათუ**
თუმცა	**რომე**
უკუეთუ (უკუეთუმცა)	**რომ**

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

თუ

ფართოდ გავრცელებულია ქართულ ენაში, მოყოლებული ძველი პერიოდიდან დღევანდლამდის. ოღონდ ახ. ქართულში მისი გამოყენება ოდნავ შეიზღუდა, რამდენადაც მას გვერდში ამოუდგა სხვა კავშირები.

გავეცნოთ მასალას:

(ძვ. ქართ.): თუ ერთევზსა ხთხოვდეს, გუელი ნუ მიხცესა (ხანმ.: მათე 7,10); და **თუ** იყოს და ემსგავსნეთ მაგას, თქუენცა მაგის თანავე წყმედად ხართ (ქიმ. 143,30); ხოლო **თუ** ვისი არს კმაჲ ესე ანუ სადაჲთ ისმის, უმეცარ იყვნეს (ანტიოქ. 115,8); **თუ** შენ სხუად სახედ ყრმებრ არა რაჲ ჰქმენ, ღმერთმან მოგიტევნეს შენ (შუშან. 40,XVI,13); **თუ** ვინმე თავი მოიკლის ქრისტჱს მათისა-თჳს, მოიპარიან გუამი მისი... (აბო 74,9); და **თუ** იხილის შემოსილი, ზედა მიუკდის (სახისმეტყ. 18, იდ, 39); და **თუ** არა შეინანო). აბრაჰამი აჰა კსნილ არს (იპოლიტე, კე, 22);

ხ~თუ ვისმე ტყუვილ უჩნდეს წერილი იგი, ნუ იყოფინ (იპოლიტე ვ, 120); და თუ ვინმე სუას იგი, სარგებელ ექმნის ბრუქცეულთა (თუალთაჲ 24,23).

(საშ. ქართ); თუ მიბრძანოს და მაწუიოს, მაშინ ეგების მიზეზისა შემოღება (ვისრ. 299,34); და თუ ამარტა ღაწუთა და ბაგეთა მოსდვის ვინ, მაშინვე ნათლად იაგუნდად შექმნის (ვისრ. 48,7); თუ სიშორესა არ ერიდები, სანადირო მისებრი არა ნახულა (ამირან. 136,18); თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე (რუსთ. 562,2); თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საეჭვი არს სიძნელისა (რუსთ. 1386,4); თუ ჭირნი ვისგანმე მოსცემია, მან მასცა ჭირისა ბადე აუბას (ქილილ 106); თუ წავიდე მისად შეყრად, არ მინდოდეს აქა დგომა (შაჰნავაზ. 65,3); თუ ცაზედაც გასვლა თქვას, მასაც გაათავებს (ომაინ. 77,24); თუ სხვა რამე იცი საუბარი, ისი ხვალე მიამბე (პროზ. შაჰნ. 370); თუ დამმორჩილდე, მრავალი მეც აღგისრულო შენ ნება (არჩ. 245,1); თუ გავმტყუნდე ამაზედა, მე შენ შვიდეულად გიზღო (გურამ. 35,4); თუ ვინც სამეძაო წიგნი მოინდომოს დასაწერად, კიდეც არ დაუშალონ. (ვახტ. სპმ); თუ გაირჯებით, ერთს ღვთის საკვირველობასა გაჩვენებო (საბა. მოგზ. 9); თუ ისე გრძნებით სვასე არ ყოფილიყო, მისი სიცვდილი დიდი მუღაბანა იყო (რუსუდ. 798,11); თუ შეამოწმებენ, კიდეც დამოყვრდებიან (სიბრ. სიცრ. 49,1); თუ სადმე ნახო ზურაბი, უთხარ... (ბესიკი 33); თუ ვაშა მოსრულიყოს, სხვა ფიქრი ვქნათო (ფარსად. 225); თუ ვინმე იმ ბიჭსა შემოგეცილოსა, პასუხის გამცემი მე ვიყო (დოკუმენტ. ბერძენ. 199,7); თუ თქვენი მოსვლა მოგვიანებოდეს, თქვენი მშვიდობის ამბავს მოგვწერდე (დოკუმენტ. თაყაიშვ. 62,25).

(ახ. ქართ.); და თუ ღმერთმა მაცოცხლა, მაგის მოვალეობას გარდავიხდი (ორბელ. წერილ. 7,158); თუ შევხვდეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გთხოვთ მიცნობდეთ (ილია 348,3); თუ ეგ გიქნია, ჩემ სიყვარულსაც უნდა გამოესალმო (მაჩაბ. 27,1); თუ გნებავს, შენც წამობრძანდი (ვაჟა 6); შესდექ, თუ წერას არ აუგდიხარ (ყაზბ. 32); თუ შევხვდებოდი თევზს, დავიჭერდი და გამოვიყვანდი (აკაკი 393).

თუ-ს ხშირად ეხამება კი ნაწილაკი: თუკი:

თუკი პატარა კიდევ დაგვიანდა..., მაშინ აღარა გვიჭირს-რა (ორბელ. წერილ. 72,209); თუკი თქვენს უნებურად თქვენი ქალი ასე მოიქცა, დიდია მაშინ თქვენს წინაშე იმის დანაშაული (მაჩაბ. 10,12); მაგრამ თუკი თქვენ მოთმინებას და ნებას

დამრთავთ, ჩემ სიყვარულის ზრდას მოგითხრობთ თავით ბოლომდე (მაჩაბ. 19,4); რას ნიშნავს ბუნების სიმშვენიერე, თუ კი ადამიანის გულსა და სულში აღზნებული ცეცხლი ანთია (ლომოური); სულ ერთი არ არის, სად როდის ვნახე ის, თუკი მე ის მამხნევებს... (ჭოლა II,7).

შეიძლება ითქვას, რომ ნორმაა დამოკიდებული წინადადების პირველ ადგილზე მოთავსება. მეტად იშვიათია, როდესაც დამოკიდ. წინადადება მოსდევს მთავარს, როგორიცაა, მაგალითად:

ხოლო შემდგომად სამისა დღისა კუალად გიხილნე, უფალსა თუ ენებოს (ზარზმ. 158,29); გულსა ტანისგან გამოვიკუეთ, თუ აქათგან შენღა გეძებდეს ანუ სხუათა მოყუარეთა! (ვისრ. 288,16).

ახალ ქართულში მდგომარეობა სხვაგვარია: თანაბარი ღირებულება აქვს დამოკიდ. წინადადების ადგილმდებარეობას.

კავშირის ადგილი წინადადებაში მტკიცედ განსაზღვრული არ არის: ჩვეულებრივ წინადადების თავშია, მაგრამ არაიშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს ინვერსიას:

მთ. 21,21:C·

გაქუნდეს თუ სარწმუნოებაჲ და არა შეორგულდეთ, არა ხოლო ამის ლეღჳსა[ჲ] ჰქმნეთ...

შდრ. DE:

უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოვებაჲ...

მთ. 17,20: C:

გაქუნდეს თუ სარწმუნოებაჲ მდოგჳს მარცუალ ოდენ, ჰრქუათ მთასა ამას...

შდრ. DE:

უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ...

მთ. 18,12: C

იყოს თუ ვინმე კაცი და ედგას ასი ცხოვარი და შესცთეს ერთი მათგანი, არა-მე დაუტეოს ოთხმეოც და ცხრამეტნი იგი მთასა ზედა....

შდრ. DE:

კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შეჰცთეს ერთი მათგანი...

მთ. 18, 19: C:

ორნი თუ თქუენთაგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა საქმისა ამის ყოვლისათჳს, რაჲცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან...

შდრ. DE:

უკუეთუ ორნი თქუენთაგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისავეთჳს საქმისა...

მთ. 15,14: C:

ბრმაჲ ბრმასა თუ წინაუძღჳნ, შესცთიან...

მთ. 26,33: C:

ყოველნი თუ დაბრკოლდენ შენდა მიმართ, ხოლო მე არასადა დავბრკოლდე შენდა მიმართ.

შდრ. DE:

და ღათუ სხუანი ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მიმართ... ხოლო მიერითგან თუ ვითარი სიხარული მოიწია... გამოთქუმაჲ შეუძლებელ არს (ანტიოქ. 106,21); და აღჭურვილი თუ ვინ-მე პოვიან, საჭურველითავე მისითა მოსწყჳდიან... (წარტყუენ. იზ. 4): ქ~ეანე თუ ხარ..., ვერღარა ჰმეფობდე ჩუენ ზედა (კიმ. 137,28); ხოლო იყადროს თუ ვინმე შეცვალებად... კათოლიკე ეკლესიაჲ შეაჩუენებს (კიმ. 85,21); უფალსა თუ ენებოს, ადრე გიხილნე, ხოლო უკუეთუ რაჲ გნებავს მთავრისა მიერ, მიბრძანეთ.... (ზარზმ. 164,17); და უფალსა თუ უნდეს, ესცა მოწაფჱ იყოს მისი ჩუენ თანა (ხანძთ. კბ, ით, 12).

(საშ. ქართ): და ფალაური თუ დიდად არვინ იცის, ვერავინ თარგმნის (ვისრ. 4,24); ჩემი თუ ქმარი არის... უხანო და გამწირავი არის (ვისრ. 195,18); წამსვე თუ უკუდაეგებაცა შემასუამ, მაშინვე ერთსა ჰიქასა ნავღელსა. უღონიოდ მომცემ (ვისრ. 127,30); იგი მაშინდელი ფერი თუ გეკეთა, აწ მეორეხელ ეგუთითავე შეიღებე (ვისრ. 165,5); მე თუ ზე-პირ მიცი-

ნია, ქვე-ქვე მითქვამს იდუმალ ვა (რუსთ. 412,3); მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა (რუსთ. 862,3); აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე (სიბრ.-სიცრ. 37,29); მირზა აფრასიონის ამბავი თუ შეგეტყოს რამე და გალმაღლებისა, გვიბძანე (დოკუმენტ. თაყაიშვ. 67, 6).

(ახ. ქართ.); ახლა თუ წავედი დალისტნისაკენ, შენ ნახე, რამდენი დამეხარჯება (ორბელ. წერილ. 30,179); ჩვენი ოჯახი თუ ერთხელ ოჯახი იყო, იყო იმითი, რომ... (ლომოური).

ძველი ქართული გვაწვდის ტმესის ნიმუშებს:

შე-ხოლო-თუ-ვახო ფესუსა სამოსლისა მისისასა, ვცხოვნდე (მათე 9,21); შე-თუ-სწირვიდე შესაწირავსა შენსა საკურთხეველსა ზედა... დაუტევე მუნ შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა შენსა... (მათე, 5,23: C, შდრ. DE: უკუეთუ შესწირვიდე...); რამეთუ აღ-თუ-იარო პირითა შენითა უფალი იესუ... მკუდრეთით სცხონდე (კიმ. 84,29).

თუ კავშირი არაიშვიათად დაირთავს საშუალო ქართულში -ცა ნაწილაკს. თუმცა-ს ნიმუშებს უხვად გვაწვდიან ძეგლები: ,,ვისრამიანი", ,,ქილილა და დამანა", ,,სიბრძნე სიცრუისა" და სხვ.

მაგალითები:

თუმცა ესრეთი ყოფნა და გულსა ზედა ჭელის-უქონლობა დამემართებოდა, რად არ მასვე კარგსა ყოფნასა შიგან მყოფი მოეკუდი?! (ვისრ. 231,3); თუცა მცირესა მადროებთ, მე მის უწუალოს ხელითგან გიხსნითო (ქილილ. 114); თუცა ყმანი ჰკუათ მყოფნი გყვანან, იგინი ამფე და შენ მათ დაემონე! (სიბრ.-სიცრ. 43,1); ისინი თუცა რუსთველს მოენდომებინა, როდის აჭნევინებდნენ.. (ვახტ. სპს).

უკუეთუ

არსებითად ძველი ქართულისთვისაა დამახასიათებელი, როგორც ნორმა. საშუალო ქართულში იშვიათად თუ შეგვხვდება:

და უკუეთუ ეშმაკი ეშმაკთა განასხამს, თავსა თჳსსა განეყოთა (მათე 12,26: DE); უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მიეედ და ამხილე მას (მათე, 18,15; C); უკუეთუ კურნებაი გნებავს, აწვე ჴამსა ამას განიკურნო (ასურ. 18,20); უკუეთუ ეგე ეგრეთ ჰყო შენ, უკუდავ შეჰმნე მე მაგით სიტყჳთა (შუშან. 40,XVI,16); უკუეთუ უფალსა ჩემსა ენებოს ტაძარი... გამოჩნდეს მუნ.. (არიმათ. 91,2); უკუეთუ გნებავს შემოსლვად ჩუენ თანა ეკლესიად, გრწმენინ უფალი ჩუენი იესუ

ქრისტჱ (კოლ. 56,44); **უკუეთუ** ეგე ყრმაჲ შენ თანა იყოს, ვერ ეგებების შენი ჩუენ შორის ცხორებაჲ (სიყრმჱ უფლისა ჩუენისა 37,3); **უკუეთუ** ვინ-მე შიშისა-გან კმობნ, იგინი კბილღრჭენით იბრდღუენდიან მის-ზედა... (წარტყუენ. ოვ, 30); **უკუეთუ** მოიჭცე შენ, ერო, მაშინ შეგრაცხო შენ თავისა ჩემისაო (იპოლიტე, კზ, 5); **უკუეთუ** მოვკუდე, მრწამს მე... (აბო 73,16); **უკუეთუ** არა, მოკუედინ იგი (აბო, 69,1); **უკუეთუ** ვისმე შეემთხჳვის, არავის რაჲ ავნის... (კიმ. 248, 35): **უკუეთუ** შემძლებელ არს, განგაცხლოს შენ... (კიმ. 138,26); **უკუეთუ** ნების-მყოფელმან ვინმე ღმრთისამან არა ილოცოს ჩუენ-თჳს, ამაო არს შრომაჲ ჩუენი (ანტიოქ. 87,4).

ჩვეულებრივ (**უკუეთუ**-ს შემცველი) დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს. არის ზოგიერთი შემთხვევა, როდესაც მთავარი უსწრებს დამოკიდებულს:

და ერთმან მათ-განმან რა მიიღოს ძუძუჲ, **უკუეთუ** მეორემან არა მიიღის (წარტყუენვაჲ); ...გამოჩნდეს, **უკუეთუ** გინდეს გულის ხმის ყოფად ჯ კაცო (იპოლიტე, შგ. 17); ადვილ არს აღდგომაჲ, **უკუეთუ** ოდენ ვინებოთ (ანტიოქ. 79,5); არცა ერთი ცხორებაჲ შესაძლებელ არს მისა, **უკუეთუ** არა მოიკუეთოს ფერჩი იგი და განიგდოს (კიმ. 326,5).

მაგალითები საშუალო ქართულიდან:

უკუეთუ ვინმე იკადროს მბრძანებლობისა თქუენისა ურჩობა, შეუნდობელი რისხვა მივიდეს თქუენგან მას ზედა... (ვისრ. 3,16); **უკუეთუ** ადრე არა მიესწრებით, დაბერებულ არს კაცი იგი... (ამირან. II, 10,3); **უკეთუ** ადრე არა ესწრებით, დაბერებულ არს იგი კაცი... (ამირან, 8,9); **უკეთუ** ვინ აღდგეს მტერი და მოლმართ გებრძოდეს, ჩუენ ორნივე მეფენი თავითა ჩუენითა და სპითა ჩუენითა თანადაგიდგეთ და გიშველოთ (ანას. ქ. ცხ. 30,34).

უკუეთუ-ს ინვერსიის თითო-ოროლა მაგალითს ვხვდებით მხოლოდ:

და მე **უკუეთუ** ვპოვო კადნიერებაჲ წინაშე ქრისტჱსა, უხუებაჲ კეთილთა მისთაჲ არა დაგაკლდეს ორსავე სოფელსა (ხანძთ. ოჱ, ოთ, 4-5).

უკუეთუ-ს -მცა ნაწილაკი ერთვის და, ამგვარად, **უკუეთუმცა** ამეღავნებს -მცა ნაწილაკის ცნობილ ფუნქციას:

უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ვიყვენით მათ თანა ზიარ სისხლსა ძეს წინაწარმეტყუელთასა (მათე 23,30); **უკუეთუმცა** უმეცრებასა და უგუნურებასა შინა

ვიყავ, არამცა ღირს ვიქმენ შედგომად ქრისტჱსა (აბო 73,13); და **უკუეთუმცა** კაცი იყო... ვწუხდითმცა ჩუენ (წარტყუენ. მთ. 3); და მემცა უცონილად ვქმენ ესე, **უკუეთუმცა** წესი სიტყჳსაჲ შემინდობდა (ანტიოქ. 58,38); **უკუეთუმცა** არა შეგექმნა პოლონი თქუენ არარაჲმცა იყო იგი (კიმ. 151,18); **უკუეთუმცა** ყოფილ იყავ შენ წარმართთობასა შ~ა, არამცა მომკუდარ იყო ჴსული შენი (კიმ. 332,20); **უკუეთუმცა** არა გუაქუნდა თანამორწმუნებაჲ შენდა, არცალა თუმცა სიტყუაჲ ეგე ვიტჳრთეთ (კიმ. 151,23); და **უკუეთუმცა** სამართალი არა მიგცემდა, ცხოველ არს-უფალი და წმიდაჲ ლოცვაჲ შენი, არამცა მივეშუენით ძმათა ჩუენთა (ხანძთ. ოა, ობ. 50).

თუმცა

-მცა ნაწილაკდართული **თუ** პირობითობის ფუნქციით დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის და საშუალო ქართულში უმთავრესად ადრინდელი პერიოდისათვის (**თუმცა**):

(**ძვ. ქართ.**): ვიყუენით **თუმცა** ჩუენ დღეთა მათ მამათა ჩუენთაჲსა, არამცა ზიარ ვიყუენით მათ თანა სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა (მათე 23,30: C. შდრ. DE: **უკუეთუმცა** ვიყუენით...); და არა **თუმცა** შემოკლდეს დღენი იგი, არამცა განერა ყოველი ჴორციელი (მათე 24,22: C. შდრ. DE: და **უკუეთუმცა** არა შემოკლდეს დღენი იგი...); ტჳროსს **თუმცა** და სიდონს იქმნნეს ძალნი.., მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს (მათე 11,21); ნუ იყოფინ ჩემდა, **თუმცა** ვეზიარე სქემეთა და ცოდვათა ვარსქენისთა (შუშან. 9,III,23); ესეღა **თუმცა** მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ (შუშან. 32,X,14,); ... არა სადა მომეც თიკანი ერთი თხათაჲ, **თუმცა** მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე (ბოლნ. 42,19); ნუ იყოფინ, **თუმცა** ჩემ-ძლით რაჲ შეჰმთხუეოდა ძმასა ამას (ზარზმ. 171,1).

(**საშ. ქართ.**): **თუმცა** მაღრიელ ხართ, გაგიცემ მაგისა გზასაო (ამირან. I), **თუმცა** შენ დამიჭერ, მზეო ჩემო, მაშა ვეშაპთა ომი ვითარ შემიძლიანო? (ამირან. II,130,13); ...**თუმცა** განებავს, წავალ და **თუმცა** გწადს, არაო (ამირან. II,76,26); **თუმცა** მრავალი შეგიცოდებიაო, ყოველივე განვაქარვოთ შეცოდება შენი, და **თუმცა** ესე არა ჰქმნა, აწე ომი არს შენი და ჩვენიო (ამირან. II,52,4); ყოლა ჭირი არ ეგების, **თუმცა** ლხინმან არ დასძლია (რუსთ. 638,4); **თუმცა** მისგან აწ არ იყავ

მოგზავნილი, თავმან ჩემმან, თავსა ძოგკვეთ, არად უნდა ამას ცილი (რუსთ. 759,1); თუმც უნდოდით გასაყრელად, პირველ ერთად არ შეგყრიდა (რუსთ. 914,4).

როგორც ზემოთ აღინიშნა, აღორძინების ხანის ენაში **თუმცა**-ს პირობითობის ფუნქცია აღარა აქვს. ჩვეულებრივად თუ წამოყოფს თავს ისეთი არქაიზმები, როგორიცაა:

თუმცა კაცი მოატყუვო, ღმერთი არ მოტყუვდებისო (ქილილ. 159); ლომსავით **თუმცა** ჯაჭვითა დაბმული იყოს, მისი ძალი და ძლიერება არ მოაკლდების (ქილილ. 264); სიმდიდრე **თუმცა** მივეცით, ვერ თავს იდებს (სიპრ.-სიცრ. 39,14); **თუმცა** შენ დაგთმო, ვინღა ვჰპოვო, სად გავიზარდო? „(ბესიკი 7,17).

თუმცა გვხვდება როგორც წინადადების თავში, ისე (ხშირად) ინვერსიულად (იხ. ზემომოყვანილი ნიმუშები).

უკუეთუმცა — **თუმცა**-ს ფაკულტატიურობა კარგად ჩანს ოთხთავის რედაქციების შეპირისპირებიდან:

მთ. 24,43: DE:

უკუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან..., იღჳძებდამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თჳსისაჲ.

შ დ რ. C:

...რამეთუ უწყოდა **თუმცა** მამასისხლისმან..., არამცა უფლო დათხრად სახლისა თჳსისა.

მთ. 23,30: DE:

უკუეთუმცა ვიყუენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ვიყუენით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყველთასა.

შ დ რ. C:

ვიყუენით **თუმცა** ჩუენ დღეთა მათ მამათა ჩუენთასა...

მთ. 24,22: DE:

და **უკუეთუმცა** არა შემოკლდეს დღენი იგი, არამცა განერა ყოველი ჴორციელი.

შ დ რ. C:

და არა **თუმცა** შემოკლდეს დღენი იგი...

მეტად იშვიათია ძველ ქართულში პირობითობის ფუნქციით **ღათუ—დაღათუ — დაღაცათუ.** აი თითო-ოროლა მაგალითი:

და ღათუ ესმეს ესე მთავარსა მას, ჩუენ ვარწმუნოთ და თქუენ უზრუნველ-გყვნეთ (მათე 28,14);[1] **და ღათუ** ოდენ სამოსელსა მისსა შევახო, ვცხოვნდე (მარკოზ. 5,28; DE. შდრ. C: სამოსელსა ხოლო თუ მისსა შევახო, ვცხონდე); **დაღათუ** ხარ კეთილითა მძლე, რაჲსა იქმ მაგას (კიმ. 137,25); **დაღათუ** სხუაჲ საჭირო რაჲ ვის უკმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ ვართ? (ზარზმ. 154,25); და ვიდრე აქა დღეგმდე **დაღაცათუ** რაჲმე შეუცოდებია შენდა, შეუნდვე და მიუტევე (ანტიოქ. 125,32); ჩუენ თანაგუაც. **დაღაცათუ** ვცოდოთ (ანტიოქ. 83,38); **დაღაცათუ** ზოგი სამეუფოჲ ჩემისაჲ ითხოო, ფრიადითა სიხარულითა მიგცე იგი (ანტიოქ. 107,27); დაყუდებით მნებავს ამათ დღეთა აღსრულებაჲ და **დაღაცათუ** ვინ ხილვად ჩემდა გინა უბნობად მოვიდეს, ნუ შეუნდობთ მოსლვად ჩემდა (ანტიოქ. 92,31); **დაღაცათუ** ვეწიო და მოვკლა, საბრკე არს სულისა ჩემისაჲ (ხანძთ. იწ, იბ, 18).

რომე

საშუალო ქართულში (იშვიათად) პირობითი კავშირია **რომე.**

მე **რომე** ლომისა სამსახურისაგან ხელი ავიღოო..., მაშინ რაღას იტყვიო? (ქილილ. 163); **რომე** გენახა, მის უამესი აღარა იქნებოდა რა (რუსუდ. 775,2); დღეს **რომე** ლხინი მოგაგოს. ხვალ ვერ მოურჩე უჭირო (გურამ. 330,3).

რომ

პირობითი კავშირი **რომ** არაიშვიათად გვხვდება სამ. ქართულის გვიანდელი პერიოდის ძეგლებში. მის ხმარებას ვადასტურებთ ძეგლებში: „ქილილა და დამანა“, „შაჰნამე“, „სიბრძნე სიცრუისა“ და სხვ.

შენ **რომ** სერად საწვევრად გაამზადო, საუზმედ უადრეს გაჭამოს (ქილილ. 110); არ შეიცვლების განგება, **რომ** კაცი

---

[1] შდრ. ბერძნ.: *καὶ ἐὰν ἀκοσζῇ...*; ასევე: და ღ ა თ უ შჯდ გზის შეგცოდოს შენ..., მიუტევე მას (ლ. 17,4): *καὶ ἐὰν ἑπτάκις τῆς ἡμέρας ἁμάρτῃ εἰς σέ, ...*; და ღ ა თ უ მეორესა საჯუმილავსა და მესამესა მოვიდეს და პოვნეს ესრეთ, ნეტარ იყვნენ იგინი (ლ. 12, 38); *καὶ ἐὰν ἔλθῃ ἐν τῇ δευτέρᾳ φυλακῇ...*

ირჯებოდესა (შაჰნ.); შენს ქალს **რომ** შვიდასი ნასოფლარი მოვართვა, ექვსი შვილი კიდევ სხვა მყავსო, მათ ცოლებს რაღა ვუყოო? (სიბრ.-სიცრ. 31,24); ბროწეული შუა გახეთქილი **რომ** იყოს, სულ ყველა ისე იყო (საბა, შოგზ. 43); **რომ** მ.ომეყიდა, მიღირდა ას ოქროდ, ათას ვერცხლადა (გურამ. 232); ეს შაქრის ყინული **რომ** კაცს მის მჭვრეტს წინ ედვას, იმის ყურება ეყოფა (ვახტ. სპთ, გ).

ახალ სალიტერატურო ენაში **რომ** ძირითადი პირობითი კავშირია **თუ**-სთან ერთად; **თუ**—**რომ**-ს როლები გაყოფილი აქვთ, ამის საწინდარია მათი მიმართება დამოკიდებული წინადადების შემასმენელთან (ეს საკითხი განხილულია თავში: „კავშირისა დ შემასმენელის თანამიმართება").

მაგალითები:

რომ გითხრათ... არ დაიჯერებთ (ილია 260,7); იმას **რომ** სწავლა მიეღო..., შესანიშნავი რამე იქნებოდა (აკაკი 403); ათასი წელი **რომ** ვიცოცხლო, ამის მეტს ვერაფერს ვნახავ (ვაჟა 140);... მარტო **რომ** ყოფილიყო, ბევრს ფიქრს არ გამოუდგებოდა (ყაზბ. 16); **რომ** მოშორდეთ, კარგი იქნება(მაჩაბ. 13.9).

6. პირობით-შედეგობითი კავშირები

თუ არა-ს საფუძველზე საშუალო ქართულში მიღებულია განსაკუთრებული კატეგორიის კავშირი, რომელიც ერთსა და იმავე დროს პირობასაც გამოხატავს და შედეგობითობასაც. ამგვარ კავშირს ვუწოდოთ პირობით-შედეგობითი კავშირი.

ფონეტიკური სახეცვალების ნიადაგზე გამომუშავებულია ერთეულები:

თუარა	**თვარა**
თვარამ	**თვარემ**
თვარე	**თორემ**

A
თუარა

საამისო ნიმუშებს გვაწვდიან საშუალო ქართულის ადრინდელი ძეგლები:

წეღანვე შევიტყვე, რომე ჩემის ძმის აბუ-ტალიბისაგან წამოს-

რულნი ხართ თქვენ, თუარა ამ ქვეყნის: საქმე ბაღდადს იმისგან კიდე სხვამან ვინღა იცოდა (ამირან. 60,24): ...ამა ჭირისაგან მიშუელე და შენი ჯომარდობა საქმითაცა გამოაჩინე, თუარა თქუმა და არაქმნა ბედითია (ვისრ. 60,26); მოწყალე იქმენ ჩემ ზედა, ტანიცა შენვე შემოგწირო და გაისაკუთრე, თუარა სულსა თანა ტანიცა გავწირო (ვისრ. 58,5); მაგრა მემართლები, რასაცა მიზამ, და კულა უარესსა, თუარა ჩემი დიდება ვისთუის დავაგდე (ვისრ. 283,9; აგრეთვე 200,25; 250, 18; 258,2; 267,12; 23,32; 165,23; 124,9; 124,5; 97,35; 81,29).

B

თვარა

ფეხმოკიდებულია როგორც საშუალო ქართულის ადრინდელ ძეგლებში, ისე მოგვიანო პერიოდშიც.

მაგალითები:

...აქათგან წყალმართ ნუღარა ეცდების, თვარა მოიკვლის და შე-ვერა-ვალს (ამირან. 80,11); შენ მომასწარ, თვარა შენგან მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება (რუსთ. 1095,2); მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა, თვარა აქა სამძიმარი მათი ყოლა არა ქმნილა (რუსთ. 58,1, აგრეთვე: 1087,4; 239,3; 563,1; 859,3; 816,4; 1488,3; 1406,3; 1249,1); ღმერთთან კელმწიფეობისათვინს შეიწყალა (მანუჩარ), თვარა მისი ომი ფალავანთაგან ძნელი იყო (პროზ. შაჰნ. 431); თავეთი ნაწილი ეჭირათ, თვარა ეკლესიისა რით აღირაცხებოდა (საბა, მოგზ. 40): კაცმან ძნელი საქმე კარგად უნდა ქნასო. თვარა ადვილს საქმესა უჭკუოც იქსო (ვახტ. ტიწ, სიგ); აწ იქმარე, ჩამომეხსენ, თვარა შეგიქ ვეღარ მხობლად (ბესიკი 13), ახლათვე ჩემთან მოდიო, თვარა, თუ მოვედით, შენს მეტი სასაქმო არაფერი გვექნებაო (დოკუმენტ. ბერძენ. 675,4).

თვარა ახალ სალიტერატურო ენაში არა გვხვდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ისეთ გამონაკლისებს, როგორიცაა, მაგალითად, გრ. ორბელიანთან (5;8;19;31;33...), აკაკი წერეთელთან (459; 461; 468...) და სხვ.

C

თვარამ

საშუალო ქართულის აღორძინების ხანის მოგვიანო ძეგლები გვაწვდიან პირობით-შედეგობითი კავშირის ამ სახეობის ზოგიერთ ნიმუშს:

ადე დამბადებელმან ღმერთმან, თვარამ ამის მეტი აღარ შემიძლია მეთქი (რუსუდ. 927,7); სახნავი ძვირად იყო, თვარამ ზეთის ხე, ხილი... მრავალი იყო... (საბა, მოგზ. 4); გამეცალე, ნუ მეყეფვი ვითა ქოფაკი დილასა, თვარამ სათუოდ არა მჩანს. არცა დავზოგავ ხილასა (ბესიკი 49).

D

თვარემ

თითო-ოროლა შემთხვევები დასტურდება უმეტესად აღორძინების ხანის სალიტერატურო ენაში.

მაგალითები:

რომელიც თვალითა ჩემითა მინახავს, ისი მოგახსენო, თვარემ ნასმენსა რიცხვი არა აქვსო (ამირან. II,44,12); ომად შენდა მოვედ, თვარემ მე სხვა საქმე არა მდებია რა მისგან კიდეო (ამირან. 59,6; აგრეთვე: 62,8; 65,26; 68,23; 202,22; 201,3; 180,7; 45,25); ესე ამბავი შეტყობილი მართალზედა მიამბეთ, თვარემ ძელზედ ყელით ჩამოგარჩობ (პროზ. შაჰნ. 378); მაგას უქნია კაი ყულუხჩობაო, თვარემ... ის მტერობა იქნებაო (რუსუდ. 933,9); აწე ჩვენ, დიდნი და პატარა ყველანი დავყრუებულვართ, თვარემ რატომ არ გესმის, ლამის ყრმა მოკლასო (სიბრ.-სიცრ. 27,20); მაგისი არ ვიცი, თვარემ სხვა ხელი არა აქვს რა (საეკლ. საბ. 73,11); ...ჯარს უბრძანოს და ავათ მოეპყრან, თვარემ ეს რა ქება არის... (დოკუმენტ. თაყაიშვ. 82,16); ყოველს წელიწადს ამას ნუ დაგვაკლებ, თვარემ ღმერთი ყოველს კეთილს შენ მოგაკლებს (დოკუმენტ. ბერძნ. 138,40).

E

თვარე

აქა-იქ გვხვდება უმთავრესად მოგვიანო ხანის ძეგლებში. მაგალ.: აწ მომეც ღმერთი შუამდგომლად, რომე არ მიტყუო, თვარე მიზამ ვერასაო (ამირან. 24,16): მე გეხვეწები და გემუდარები, თვარე ეს ხომ იცი, ჩემსა კლანჭსა სიმახვილე არ აკლია (ქილილ. 236); სად მიხვალ, თვარე აწვე მოგკლავ-მეთქი (რუსუდ. 780,11); ... შენი საქმე იურვე, თვარე ჩვენ უარესნი ჭირნი გეჭირან (სიბრ.-სიცრ. 38,11).

F

თორემ

ეს სახეობა ყალიბდება საშუალო ქართულში, მაგრამ მისი გავრცელების არე არ არის ისე ფართო, როგორც ახალ ქართულში.

აი მასალა:

- ჩემი ძმის აბუტალიბისაგან ხართ ამა ქვეყანასა წამოსულნი, **თორემ** ამა ქვეყანათა საქმე ვინ იცოდა მისგან კიდე (ამირან. II,79,6; აგრეთვე 78,29; 205,30; 192,12; 103,7); .. თვითო ფერის ანგარიში ვაუძნელდებოდა კაცსა, **თორემ** ყველას ანგარიში ვის შეუძლია? (რუსუდ. 959,3); ზღვასა ნურცა ვის გაიყვანთო..., **თორემ** ჩამოურჩობელსა არც ერთს გაგიმვებთო (პროზ. შაჰნ. 390); ნუ ბძანებ, გაგემარჯვება, **თორემ** მსმენელსა გააღიმს (არჩ.); ვეჴე, მას დარჩეს პირველობა, დაგიხიოს შენი მახა, **თორემ** ვჰკითხოთ ქორანიკონს, გაგიჩნდების შენი ბახა (არჩ.); ჩვენ ერთმანეთსა ნუ ვაჭდენთ, **თორემ** წაგვაჭდენს მტერები (გურამ. 126,4); ...სასიამოვნოდ უბნობს, **თორემ** მოშაირებში კი არ აგდებს... (ვახტ. სეთ, კდ); აწ გამეცალე თავშეწყენითა **თორემ** გაგაგდებ ჭის დაშენითა (ბესიკი 50); ჩვენი ნასყიდი დაგვანებეთ, **თორემ**.. ჩვენ ჩვენს თეატრს არ დავკარგავთ (დოკუმენტ. ბერძენ. 194,9).

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში საბოლოოდ მკვიდრდება **თორემ**, როგორც ერთადერთი კავშირი პირობით-შედეგობითობის გადმოსაცემად.

მაგალითები:

> ახრ, მოგვწერე, **თორემ** ერთიანად ავიყრებით ავარ-ჯურმუტითა... (ორბელ. წერილ. 77,211); არ ვიმეტებდი, **თორემ** ადრევე იყო ჩემის ხელისაგან გასანიავებელი (ილია 295,43); ხელი, ხელი გაუშვი, **თორემ** ვაი შენს ტყავს (ვაჟა 100); „როზგი" ამ ბოლო დროს შემოიღეს, **თორემ** ადრე მისი სახელიც არ იცოდნენ (აკაკი 414); სხვასთან ერთს მცირეოდენად თუ გაიღიმებდა, **თორემ** სიცილი და ხუმრობა მას სრულიად ეჯავრებოდა (ლომოური); ეხლავ გამოდი აქა და ეგ უნამუსოც გამოიყვანე, **თორემ** სიცოცხლე მაქვს, შაგი დღე დაგაყენო (ყაზბ. 23).

ამგვარად, ქართულ სალიტერატურო ენაში (საშუალოსა და ახალში) მეტნაკლები გავრცელებით ვადასტურებთ პირობით-შედეგობითობის გადმოსაცემად საკავშირებელი ერთეულის ვარიაციებს: **თუარა, თვარა, თვარამ, თვარემ, თვარე, თორემ.**

ამ ძირითადი სახეობების გარდა, საშუალო ქართულის ზოგიერთ ძეგლს დაუცავს სხვა ვარიანტებიც, მაგრამ მათ არ ვათავსებთ ზემოხსენებულ ვარიანტებთან, რამდენადაც ეს უკანასკნელი ფორმები გავრცელებულია, ხოლო პირველი რიგისა — იშვიათი.

a

თუარამ—თუარემ

ვინ მიენდო სიმართლესა, გულს ლახუარი მას არ ესვა, **თუარამ** მიჰყუეს სიმუხთლესა, არ ასცილდეს მას არეს ვა (შაჰნავაზ. 191,3); მუნამდინ რომელ მითქუამს, დაიჯერე, ... **თუარემ** შენ იცი... (ვისრ. 172,23).

სათანადო ფორმაში **(თუარამ—თუარემ)** რომ უმარცვლო უ გვაქვს, ეს ჩანს იქიდან, რომ ლექსში იგი მარცვალს არ ქმნის (შდრ. ზემოხს. ნიმუშები).

b

თორე

რამდენიმე ნიმუშს ვხვდებით არჩილთან:

დედის გინება ვის ეთქმის, **თორე** მართ შეეკადრება; გაიხარე ამ სოფელსა, **თორე** ჴმუნვით ვერას ირვებ.

c

თვარ

სამარცვლო ხმოვნის დაკლების თვალსაზრისით ლექსში არჩილთან ვხვდებით **თვარ**-ს:

ჭირს ნუ სდევ შესაპყრობელად, **თვარ** დევნა ცუდად წახდება; მინახავს სადაღაც სახე ამისი ნახატად, **თვარ** ვის ასმია ალონში კვლავ მოსვლა აქ ამის მეტად?

d

თორ

ვადასტურებთ არჩილთან; გამოწვეულია, აგრეთვე, ლექსის საჭიროებით:

შენ, გიაჯ, მომცე სიბრძნენი, **თორ** ვიქმნე გარ-განკიდებით; შორიდამაც ვერ დაინახო, **თორ** მასთან სად მოიკეცო? მე მუშკი თმის შენისაგან მსურნელობს, **თორ** რას მქნელია?

თვარადა—თვარემდე—თორადა

ზოგჯერ გვხვდება და-ს შემცველი ფორმაც:

ვა შენი ბრალი, თვარა-და სიკვდილი ჩემი ლხინია (რუსთ. 918,4); აწ მკვდარს რა გიყო, თვარემდა თუ ცოცხალ იყო, შეგჭამდი (არჩ. 186,4); ლვთის წყალობით მოჰხდა, თვარემდა მათ ეგრე რა წაახდენდა?! (არჩ.); ჩვენი ყმანი თქვენთან მოსრულანო, გამოგვიგზავნეთო, თორადა ჯარს გამოგიძახებთო (ფარსად. 229).

ამრიგად, პირობით-შედეგობითობის კავშირის ყველა ვარიანტია: **თუარა, თვარა, თვარამ, თვარემ, თვარე, თორემ, თუარამ, თუარემ, თვარ, თორ, თვარადა, თვარემდა, თორადა.**

7. გამორიცხვითი კავშირები

გამორიცხვითი კავშირებია:

დაღათუ—ღათუ	**დაღაცათუ**	**თუცა**
თუმცა	**მართალია**	**თუნდ(ა) — თუნდაც**
რაგინდ	**გინდ**	**რომ**

რთული წინადადების კომპლექსში შემავალ ერთ-ერთ სახეობას მარტივი წინადადებისას **დათმობითი დამოკიდებული წინადადება წარმოადგენს.** იგულისხმება ამ ტიპის წინადადება: „თ უ მ ც ა ა ვ ად ვ ა რ, მაგრამ მაინც მივდივარ სანადიროდ“. აქ პირველი მარტივი წინადადება („თუმცა ავად ვარ“) კვალიფიცირებულია დამოკიდებულ წინადადებად, რომელსაც დ ა თ მ ო ბ ი თს უწოდებენ, ხოლო მეორე წინადადება („მაგრამ მაინც მივდივარ სანადიროდ“) მთავარ წინადადებადაა მიჩნეული.

ასეთი თვალსაზრისი შეიძლება გაბატონებულად ჩაითვალოს და იგი ერთნაირად გატარებულია როგორც მეცნიერულ, ისე სასკოლო გრამატიკებში.

რამდენად მისაღებია სათანადო კონსტრუქციის წინადადებას ვუწოდოთ დ ა თ მ ო ბ ი თ ი წინადადება (Уступительное предложение, Konzessivsätze, Concessive Clauses)? მართალია, ყოველი ტერმინი პირობითი დათქმის შედეგია, მაგრამ თუ ძნელი ასახსნელია, რატომ ვხმარობთ მას, ან თუ საკმარისად ზუსტი არ არის, სა-

სურველია მისი შეცვლა. სამწუხაროდ, ლიტერატურაში არ არის დასაბუთებული და გარკვეული ამ სახელწოდების საფუძველი.

თუ ჩავუკვირდებით საანალიზო ტიპის წინადადებას, ნათელი გახდება, რომ მისთვის შეუფერებელია ისეთი სახელწოდება, რომელიც დათმობითობის მომენტს გამოხატავს. როდესაც ვამბობთ:

„თუმცა ავად ვარ, მაგრამ მაინც მივდივარ სანადიროდ“ — აქ დათმობა კი არ არის, არამედ გამორიცხვა: „მთავარი წინადადების“ შინაარსი სრულდება იმის დამიუხედავად, თუ რა არის გამოთქმული „დამოკიდებული წინადადებით“, — სხვანაირად რომ ვთქვათ, „მთავარი წინადადება“ გამორიცხავს „პირობას“, რომელიც მოცემულია მასთან დაკავშირებულ წინადადებაში, უგულებელყოფს მას, — და ამით სხვავდება ეს კონსტრუქცია პირობითი წინადადების კონსტრუქციისაგან, სადაც მთავარი წინადადება პირობადებულია დამოკიდებული წინადადებისაგან, — გარკვეული პირობის შემდეგ თუ შესრულდება მისი შინაარსი.

შესაძლოა უმჯობესად მიგვეჩნია ასეთი წინადადებისთვის გვეწოდებინა „გამორიცხვითი წინადადება“, სათანადო კავშირებისათვის — გამორიცხვითი კავშირები“. ჩვენ ამით გვინდა ხაზი გავუსვათ სათანადო კონსტრუქციის ნიშანდობლივ თავისებურებას, რომ სწორედ გამორიცხულობაა ამ ტიპის წინადადების სემანტიკური ბუნება.

როგორია საანალიზო ტიპის წინადადების სტრუქტურა?

გამორიცხვითი წინადადება ჩვეულებრივ მიჩნეულია დამოკიდებულ წინადადებად და იგი იმავე რიგში დგას, როგორიცაა ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება, პირობითი დამოკიდებული წინადადება, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება და ა. შ. ამდენად, ის მოქცეულია ქვეწყობის, ანუ ჰიპოტაქსის კონსტრუქციაში,—პარატაქსის კონსტრუქციისაგან იგი გამიჯნულია.

გამორიცხვითი წინადადების კონსტრუქციაში მაპირისპირებელი კავშირი ეფარდება გამორიცხვითს კავშირს: **მაგრამ, არამედ, გარნა, ხოლო.**

მაგალითები:

თუმცა ავად ვარ, **მაგრამ** მაინც მივდივარ სანადიროდ; **დაღათუ** ჩემი არს სიტყუაჲ, **არამედ** სიტყუად ყრმათა მიცემულ არს...; **დაღაცათუ** ბოროტთა გუემათა შინა იყო, **ხოლო** გონებაჲ მისი ცოცხლად ეგო; დაღათუ რაოდენვე უსუსურ ხარ, **გარნა** გრწმენინ იგი.

ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ ამგვარი ტიპის კონსტრუქცია სტრუქტურულად ეთიშება ქვეწყობის ჩვეულებრივს კონსრუქციას და თანწყობას ეკედლება. მართლაც: წინადადებათა ჰიპოტაქსური კომპლექსი არსებითად გამორიცხავს მთავარ წინადადებაში კავშირს (ამ შემთხვევაში—მაპირისპირებელ კავშირს). აქ კი სხვაგვარი გარემოება გვაქვს: ორსავე მარტივ წინადადებაში კავშირია მოცემული: ერთში გამორიცხვითი (ანუ დათმობისა) და მეორეში—მაპირისპირებელი! ამ ნიშნის გამო ზოგიერთი ავტორი გამორიცხვითი წინადადების კონსტრუქციას პარატაქსულის ტიპისად მიიჩნევს.

ასეთი გაგება ცალმხრივია, რადგანაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქ ტიპობრივი პარატაქსი არა გვაქვს.

პეშკოვსკიმ გამოთქვა მოსაზრება მისი **პარატაქსულ-ჰიპოტაქსური** კონსტრუქციისად მიჩნევის შესახებ. ასეთი შეფასება საანალიზო ტიპის წინადადებისა არსებითად სწორია, მაგრამ ავტორს არა აქვს თავისი შეხედულება სათანადოდ დასაბუთებული; სპეციალურ ლიტერატურაში არ არის ნათლად ფორმულირებული, თუ რა აქვს საერთო სათანადო ყალიბის წინადადებას ქვეწყობასთან.

ამ ტიპის წინადადება რომ დამოკიდებული წინადადებაა resp. ქვეწყობის კონსტრუქციისა, ეს კარგად ჩანს მასთან დაკავშირებული წინადადებიდან, რომელსაც ტრადიციულად „მთავარი წინადადება“ ეწოდება. ავიღოთ იგივე მაგილითი:

„თუმცა ავად უარ, მაგრამ მაინც მივდივარ სანადიროდ“, და აგრეთვე:

„თუნდაც ავად ვიყო, მაინც წავიდოდი სანადიროდ“. აქ მეორე მარტივი წინადადებით („მაგრამ მაინც მივდივარ სანადიროდ“, ანდა: „მაინც წავიდოდი სანადიროდ“) გამოხატული შინაარსი სრულდება წინამავალი წინადადების შინაარსის მიუხედავად, მაგრამ ეს გამორიცხულობა ემჩნევა მას, — სხვანაირად რომ ვთქვათ, სწორედ იმდენად სრულდება, რამდენადაც გამორიცხავს მასთან შინაარსობლივად დაკავშირებულ ვითარებას, გამორიცხული წინადადების შინაარსი ნეგაციურად იგულისხმება ე. წ. მთავარ წინადადებაში. ამ შინაგან ჰიპოტაქსურ კავშირს კარგად ამჟღავნებს ნაწილაკი **მაინც** („მაინც მივდივარ სანადიროდ“): მასში გამოხატულია გამორიცხულობა გარკვეული ვითარებისა: მაინც მიუთითებს, რომ გათვალისწინებულია რაღაც ვითარება, საპირისპირო მდგომარეობა, მაგრამ იგი დაძლეულია, გამორიცხულია, იმისდამიუხედავად მაინც სრულდება გარკვეული მოქმედება. ამგვარად, უდავოა, რომ საქმე გვაქვს ქვეწყობასთან, ე. ი. ჰიპოტაქსთან. ესაა ლოგიკურ საფუძველზე აგებული ჰიპოტაქსი.

მეორე მხრით, ისიც უდავოა, რომ სათანადო ტიპის რთულ წინადადებაში შემავალი მარტივი წინადადებანი პარატაქსულ კავშირშია ურთიერთის მიმართ (რამდენადაც საქმე გვაქვს მაპირისპირებელი resp. თანწყობის კავშირის კორელაციასთან).

ამგვარად, ჩვენთვის მისაღებია დებულება დათმობითი წინადადების კონსტრუქციის პარატაქსულ-ჰიპოტაქსურ კონსტრუქციისად მიჩნევის შესახებ. ჰიპოტაქსურია ლ ო გ ი კ ურ ა დ, პარატაქსულია ს ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ ა დ.

გამორიცხვით წინადადებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მასში მკვერთად გამოირჩევა ორი სახეობა.

ავიღოთ, ერთი მხრით:

„თუმცა ავად ვარ, მაგრამ მაინც მივდივარ სანადიროდ“. ვნახოთ, მეორე მხრით:

„თუნდაც ავად ვიყო, მაინც წავიდოდი სანადიროდ“.

ჭართალია, ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს გამორიცხვითს წინადადებასთან, მაგრამ მათ შორის განსხვავებაცაა: პირველი („თუმცა ავად ვარ...“) რეალურ ვითარებაზე მიუთითებს („ავად ვარ, მაინც მივდივარ“), ხოლო მეორე არ გამოხატავს რეალურ ვითარებას („თუნდაც ავად ვიყო, მაინც წავიდოდი“); აქ დაშვებაა მხოლოდ.

პირველ კონსტრუქციას ვუწოდოთ რ ე ა ლ უ რ ი გ ა მ ო რ ი ც ხ ვ ი თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა და მეორეს — ი რ ე ა ლ უ რ ი გ ა მ ო რ ი ც ხ ვ ი თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა.

რით განსხვავდება რეალური გამორიცხვითი წინადადება ირეალური გამორიცხვითი წინადადებისაგან ს ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ ა დ?

რეალური ვითარების გამომხატველი წინადადებისთვის დამახასიათებელია შემასმენლის ი ნ დ ი კ ა ტ ი უ რ ი მწკრივი („თუმცა ავად ვარ, მაგრამ მაინც მივდივარ სანადიროდ“), ხოლო ირეალური ვითარების გამომხატველი წინადადებისათვის — შემასმენლის კ ო ნ ი უ ნ ქ ტ ი უ რ ი მწკრივი („თუნდაც ავად ვიყო, მაინც წავიდოდი სანადიროდ“); ვარ—მივდივარ თხრობითია, ვიყო — კავშირებითი... ეს—ერთი მხრით.

მეორე მხრით, ეს ორი სახეობა საანალიზო ტიპის წინადადებისა განსხვავდება ერთურთისაგან იმით, რომ რეალური გამორიცხვითი წინადადების კომპლექსში მაპირისპირებელი კავშირია მოცემული, ე. ი. გამორიცხვითს კავშირს მეორე წინადადებაში მაპირისპირებელი კავშირი მოუდის კორელატად:

„თუმცა ავად ვარ, მაგრამ მაინც მივდივარ სანადიროდ“,

ხოლო ირეალური გამორიცხვითი წინადადების კომპლექსში მა-

პირისპირებელი კავშირი არაა მოცემული, ე. ი. კორელაცია არაა სავალდებულო. მართლაც, არ შეიძლება ითქვას:

„თუნდაც ავად ვიყო, მაგრამ მაინც წავიდოდი სანადიროდ“.

ამგვარად, შემასმენლის კ ი ლ ო და კავშირის კ ო რ ე ლ ა ც ი ა — სადიფერენციაციო ნიშნებია რეალურ-ირეალური გამორიცხვითი წინადადებებისათვის.

აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს გარემოებას.

ირეალური გამორიცხვითი წინადადება ახლოს დგას პირობითს წინადადებასთან, მაგრამ დასადგენია მათი სადიფერენციაციო ნიშანი.

ავიღოთ წინადადება:

„თუ ავად გავხდი, მაშინ ვერ წავალ სანადიროდ“.

ეს პირობითი წინადადებაა: მთავარი წინადადება — „მაშინ ვერ წავალ სანადიროდ“ — პირობადებულია დამოკიდებული წინადადებისაგან, ის შესრულდება მხოლოდ გარკვეული პირობით, შედეგია გარკვეული ვითარებისა.

ამას შევუპირისპიროთ მეორე წინადადება:

„თუ ავად გავხდი, მაინც წავალ სანადიროდ“.

აქ სხვა მდგომარეობაა; წინადადება „მაინც წავალ სანადიროდ“ სრულდება არა გარკვეული პირობით, არამედ პირიქით: მიუხედავად „პირობისა“, რომელიც გამოხატულია მასთან დაკავშირებულ წინადადებაში, სწორედ რომ გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ა ყოველგვარი პირობა მის შესასრულებლად! ანდა სხვა მაგალითი: „მე რომ არ მივშველებოდი, ძაღლი დაგლეჯდა“ — პირობითი წინადადების კონსტრუქციაა, „მე რომ მივშველებოდი, ძაღლი მაინც დაგლეჯდა“ — გამორიცხვითი წინადადებაა.. მეორე წინადადება სხვანაირად ასე ითქმის: „თუნდაც მივშველებოდი, ძაღლი მაინც დაგლეჯდა“. პირველ რთ. წინადადებას თუნდა არ მიუდგება...

აქ საგულისხმოა კორელატის ჩვენებაც: „მე რომ არ მივშველებოდი, მაშინ ძაღლი დაგლეჯდა“. პირობითს კავშირს მთავარში ეფარდება მაშინ, და ეს გასაგებია, რამდენადაც აქ დროულობის კატეგორია ბუნებრივია: სრულდება მოქმედება მაშინ, როდესაც გარკვეული პირობა იქნება შესრულებული... მეორე წინადადებას, ე. ი. გამორიცხვითი წინადადების კონსტრუქციას მაშინ არ ეგუება: არ შეიძლება ითქვას: „მე რომ მივშველებოდი, მაშინ ძაღლი დაგლეჯდა“. იგი იგუებს მაინც-ს: „მე რომ მივშველებოდი, მაინც დაგლეჯდა ძაღლი“. მაინც გამორიცხულობის მომენტზე მიუთითებს[1].

[1] ე. წ. დათმობითი წინადადება ჩვენ მიერ ვრცლად განხილულია მოხსენებაში „დათმობითი წინადადება ქართულში“, რომელიც წავიკითხეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის II სამეცნიერო-მეთოდურ სესიაზე 1946 წლის 26 მაისს.

A

დაღათუ, ღათუ

და შე-ღათუ-წუხნა მეფემ იგი, **არამედ** ფიცისა მისთჳს და თანა-მეინაკეთა მათთჳს ბრძანა მიცემად იგი მას (მათე 14,9); ამას **დაღათუ** ქრისტიანეთა შურისა-თჳს იტყოდეს, **არამედ** ჰეშმარიტსა და მართალსა წამებდეს (აბო 74,19); **დაღათუ** გაჭუნდა სიმაღლეჲ კორციელი, დიდებულო, **არამედ** სულითა დამდაბლებული ჰმსახურებდი ღმერთსა (სას. პოეზია 39); **დაღათუ** ვიდოდი მე შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან... (ფს. 22,4); **დაღათუ** რაოდენვე უსუსური ხარ, გარნა გრწმენინ იგი (კიმ. 190, 15).

B

დაღაცათუ

მღდელმან ზაქარია **დაღაცათუ** ურწმუნოებისა-თჳს მიიღო დუმილი, **არამედ** არავე დააკლდა ნიჭსა მას... (კიმ. 181,32); ხოლო იგი **დაღაცათუ** კორცითა არა იყო მათ თანა, **არამედ** სულითა მათ თანა ვიდოდა და ხედვიდა... (ანტიოქ. 75,17); **დაღაცათუ** ცოდვილნი ვართ, კაცნი ვართ ქრისტეანენი (ზარზმ. 155,33); **დაღაცათუ** ენება დაფარვად მის გან სასწაული იგი, არავე ინება მწუხარედ დატევებაჲ... (ასურ. 9,3); ხოლო **დაღაცათუ** შევიდა იგი სიონად მსგავსად ქრისტესა, **არამედ** არავე მისებრ... (წარტყუენ.); **დაღაცათუ** უფალმან სახიერმან მიმცნა ჩუენ სწავლასა, **არამედ** უმჯობესისა-თჳსვე ჩუენისა ყო გუემაჲ იგი მოწყალებით და არა სიძულვილით (წარტყუენ.); **დაღაცათუ** უშიშ არს გული ჩუენი ჟამისა ამის თჳს, **არამედ** გარეშე წესისა არს საქმჱ ესჱ (ხანძთ. კზ. კგ, 64); **დაღაცათუ** მხიარულ არს გული თქუენი..., ხოლო ესჱ უწყოდეთ... (ხანძთ. თ,კ, 84).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, „მთავარ წინადადებაში" ჩვეულებრივ მაპირისპირებელი კავშირი (**არამედ, ხოლო, გარნა**) წარმოდგენილია, იშვიათად გაუჩინარებულია[1].

---

[1] შდრ., მაგალ. ოთხთავის DE და C რედაქციები: „და შე-ღათუ-წუხნა მეფემ იგი, არამედ ფიცისა მისთჳს.... ბრძანა მიცემად იგი მას" (მ. 14,9—„და შე-ღათუ-წუხნა მეფემ ფიცისა მისთჳს და მის თანა მეინაკეთა ბრძან. მიცემად იგი მას".

დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ „მთავარ წინადადებას“ თავში მოუდის, — იშვიათია, როდესაც მოსდევს მას:

მოკუდა იგი, **დაღაცათუ** ორი დღე ცოცხალ ამის თჳს არს (ხანძთ. ჲწ.ო,4); რამეთუ ჩუენ არცა თუ გუაქუნდა ძალი სიტყუისაჲ შემსგავსებული, **დაღაცათუ** ფრიად გუენება, რომელნი ესე უსწავლელ ვართ და უმეცარ (ანტიოქ. 72,6);

ირეალური გამორიცხვის კავშირები:

დაღათუ იყოს შენ თანა სიკუდილი ჩემი, არასადა უვარგყო შენ (მათე 26,35); დაღათუ ბევრეული ოქროჲსაჲ და ვეცხლისაჲ მომცენ მე, გინა თუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა (აბო 67,12); ჴეშმარიტთა ქრისტეანეთა შვილთა ძწვალებელი მღდელი ვერ მოჰნათლავს, **დაღაცათუ** უნათლავი მოკუდებოდის... (ხანძთ. ოდ, ოე, 20).

სამუალო ქართულში გამორიცხვითი კავშირები სხვადასხვაა. ამ პერიოდის ქართული სალიტერატურო ენის ადრინდელი ძეგლებისათვის („ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“) დამახასიათებელია **თუცა**.

ჯერ განვიხილოთ ისეთი მაგალითები, სადაც „დამოკიდებული“ წინადადება უსწრებს „მთავარს“:

თუცა თუალ-მარგალიტი დია გაქუს, რამინისებრ უხვი არცა ეგრე ხარ (ვისრ. 255,34); **თუცა** შენდობისა თხოვა კარგი და საჭამსოა, პატრონთაგან შენდობა უფრო სახელია (ვისრ. 260. 12); **თუცა** მე მისისა უსამართლობისაგან ვენთები, მისიმცა გული ასეთსა ცეცხლსა ზედა ნუოდეს ენთების (ვისრ. 54, 30; აგრეთვე: 64,12; 142,26; 239,38; 14,24; 131,10); **თუცა** დია მოიჯირვეს, ვერცა ეგრე დამიჭირეს (რუსთ. 645,1); **თუცა** არ მიცნობ, გინახავ (რუსთ. 286,3); **თუცა** მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო (რუსთ. 495,1); აქანამდის ნაუბარსა **თუცა** ვერას ვერ გეტყვია, მაგრა შორით სიყუარული შენგან ჩემი შემიტყვია (რუსთ. 129,1); **თუცა** შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის მომსურვებია (რუსთ. 1008,2; აგრეთვე: 1411,1; 1456,1; 412.1).

გავეცნოთ ისეთ მაგალითებს, როდესაც გამორიცხვითს წინადადებას მეორე ადგილი უკავია რთ. წინადადების კომპლექსში:

რამინ აქა ჩუენსა სიახლესა არის, **თუცა** სიბნელითა არა ჩანს (ვისრ. 141,19); ყოველნი ჭირნი მოთმიაებითვე გაკეთდებიან, **თუცა** მე აღარაის ლხინისა მომლოდეობა მაქუს(ვისრ. 323,

31); ესე წიგნი გამისრულებია, თუცა ჩემისა საჩიერისა არცა ნაასალი მითქუამს (ვისრ. 223,37); ქარვად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს (რუსთ. 262.4); ყმა წავიდა, სიშორესა თუცა მისსა ვერ გასძლებდა (რუსთ. 138.1); მეჯმა საქმე საშინელი, თუცა თავი ვერ წავაგე (რუსთ. 567.4; აგრეთვე: 269,1; 1427, 3; 232,3; 1559,1).

აღორძინების ხანის ენაში თუცა, როგორც ნორმა. არაა დამახასიათებელი და აქა-იქ თუ წამოყოფს თავს მეტად იშვიათად.

მაგალითები:

გავიაროთ ილათითა, ესე გზაა თუცა ძნელი (არჩ. 286,3); მაგინებს, მწყევლის, მიძრახავს, თუცა დედასა ვერა მცემს (არჩ. 615,3); ეგებ გარდურჩე სიკვდილით, თუცა ძნელია ხსენება (არჩ. 403,4); თუცა არ სმენოდა —ყურთ იყრუებდა, მაგრამე გულთა შინა წყრებოდა (ქილილ. 238).

სამაგიეროდ, საამისო ფუნქცია ენიჭება სხვა ერთეულებს.

ამ დროისათვის თანდათანობით მტკიცდება თუმც(ა) გამორიცხვითი კავშირის როლში. მართალია, თუმცა აღრინდელ ძეგლებშიც გვხვდება (მუნ მისლვა მიჩანს თამაშად, თუმცა გზა საომარია [რუსთ.]; თუმცა არ გეშორებათ, მაგრამ ორმოცის დღისა სავალი არისო [ამირან.]), მაგრამ მისი გამოყენების არე მეტად შეზღუდულია. ის გზას იკაფავს მხოლოდ საშუალო ქართულის შოგვიანო ხანაში; განსაკუთრებით უხვადაა არჩილის ენაში.

თუმცა-ში ხშირად ა შეკვეცილია (თუმც), ნამეტურ პოეტურ მეტყველებაში.

გავეცნოთ ნიმუშებს:

ქალთაც ბუნება იგივ გვაქვს, თუმც გვმართებს დიდმოკრძალობა (არჩ. 603); თუმც ქვეყანას ახარებდა, იგი ვერათ ვერ ილხენდის (არჩ. 321); უშრეტი ცეცხლი მოედვა, თუმც დედას კერას ჰკადრებდა (არჩ. 317); თუმც საქმე ყოვლი ყოვლს კაცსა ბედისგან წაეკიდება, მაგრამ კარგს ვინ იქმს, კარგი და აჟს ავი გარდეკიდება (არჩ. 544); თუმცა ძნელია საქნელად, შენ ეტლი გაბსენ, ქელითა (შაჰნ. 3186); თუმც იყვნენ ხუცესბერები, მათაც კარგი ქნეს ვერები (გურამ. 7).

ახალ სალიტერატურო ენაში თუმცა გამორიცხვითი წინადადების ძირითადი საკავშირებელი ერთეულია.

აი ტიპობრივი კონტექსტები:

თუმცა უგუნებოდ ბრძანდებოდა, მაგრამ თვითეულს სიტყვას ის მითარგმნიდა (ვაჟა 4); თუმცა მისი თამაშობა ყველას კი უნდოდა, მაგრამ სიყვარულით კი არვის უყვარდა (აკაკი 392);

მზაღვე გულის კანკალით ელოდა ამ გადაწყვეტილებას, თუმცა წინადვე დაიმედებული იყო სვიმონისაგან (ყაზბ. 56); და თუმცა იგი ტკბილ და ნეტარ ჰაერში ცხოვრობს, შენ ეს პური მოუწამლე კოლო-ბუზებით (მაჩაბ. 7,10); მე ვიცი კარგად, ამ ამბისთვის თუმცა დამტუქსენ (მაჩაბ. 10,7).

ა-მოკვეცილი კავშირი (თუმც) პროზაშიც შეიძლება შეგვხვდეს:

თუმც ნახევარი საუკუნე გასულია, მაგრამ დღესაც კიდევ წაიკითხება (აკაკი 459); ერთი მათგანი სამუდამოდ ჩამრჩა გრძნობა-გონებაში, თუმც ის თამაშობა თავისთავად სახალისო არ არის (აკაკი 391); ჩხუბში ნახა ქალთამზემ ჩალხო პირველად, თუმც იმის სახელი წინათაც გაგონილი ჰქონდა (ვაჟა 116); დანაღვლიანებული დაბრუნდა სახლში, თუმც იმედს არ კარგავდა (ვაჟა 135).

თუმცა კავშირი იგუებს კი ნაწილაკს; ზოგ ავტორთან კი დეფისითაა თუმცა-სთან შეკავშირებული.

მაგალითები:

ჰაჯიმურადის ჩაძაღლება ძალიან მიამა, თუმცა კი არ უნდა მომხდარიყო ამგვარად (ორბელ. წერილ. 37,182); ...სულ სხა-პასხუპით უთხრა, თუმცა-კი არ ესმოდა, რას ამბობდა (აკაკი 436); დააპირა ლეშის ჭამა, თუმცა-კი ეზარებოდა... (ვაჟა 88).

ახალ სალიტერატურო ენაში გამორიცხვითობის ფუნქციით იხმარება მართალია კავშირი. ამ კავშირს თავისებური ადგილი უკავია გამორიცხვითი კავშირების სხვა ერთეულთა რიგში. ჩვენს გრამატიკულ ცნობიერებაში ჯერ კიდევ არა აქვს მას დაკარგული ურთიერთობა დამოუკიდებელ წინადადებასთან, რომლის გადაგვარებასაც იგი წარმოადგენს და რომლისაგანაც მას ასხვავებს მხოლოდ რიტმო-მელოდიკა. შეადარე:

„მართალია, ავად ვარ, მაგრამ მაინც მივდივარ სანადიროდ“ —

„მართალია, რომ ავად ვარ: მაინც მივდივარ სანადიროდ“.

მეორე მაგალითში მართალია არ გვევლინება კავშირად, რომ მართალია კავშირად ყალიბდება თანდათანობით, ეს კარგად ჩანს შენაცვლების ხერხის მოშველიებითაც; მის ადგილს შეგვიძლია ჩავსვათ ტიპობრივი გამორიცხვითი კავშირი თუმცა:

„თუმცა ავად ვარ...“

ეს შენაცვლება კი არ შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც მართალია-ს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს (მნიშვნელობა წინადადებისა!).

ამავე ბედს იზიარებს სხვა ზმნური კავშირიც — **გინდ(ა)** ცოტა ადრე, სალიტ. ენის ვანვითარების ადრინდელ საფეხურებზე:

„მინდორშია ქრნძარა, **გინდ** იყოს და **გინდ** არა".

კავშირს **გინდ** დაკარგული აქვს ამჟამად თავდაპირველი დანიშნულება, როდესაც იგი აღიქმოდა, როგორც ზმნა, და მთელი წინადადების კონდენსირებულ ფორმას წარმოადგენდა.

მართალია-ს ნიმუშებია (ყურადღება მივაქციოთ **მაგრამ**-ის კორელაციასაც):

მართალია, გვიყვარხარ და ამაგიცა გაქვს ჩვენს თავზე, მაგრამ რა ვქნათ... (ვაჟა 40); **მართალია,** სვიმონ ტკბილად ექცეოდა.., მაგრამ სახლობაში... ათას გულმოსაკლავს და დამჩაგვრელს უსიამოვნებასა ხედავდა (ყაზბ. 49); **მართალია,** იმან იცოდა..., მაგრამ ამის სამაგიეროდ, ქვეით შეუკრავდა გზებს... (ყაზბ. 24); **მართალია,** ვყეფდი და ვიღრინებოდი, მაგრამ ვერავინ ვერ იტყოდა... (აკაკი 466); **მართალია,** ეს საზოგადოდ არ ითქმოდა, **მაგრამ** მე აქ უმეტესობაზე ვამბობ (აკაკი 457);

მე-18 საუკ. ენაში გვაქვს ამ ტიპის ფაქტები:

მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუკდების (გურამ. 27); **მართალია,** კაცს რომე ჯავრი ჰქონდეს, იმისი თქმა დიდი ლხინი არის, მაგრამე თუ მტერმან შეუტყო, გულში რა უძევს, ის კი არ მოუხდება (ვახტ. ტმე).

ირეალური გამორიცხვითი კავშირი **თუნდა** ისახება აღორძინების ხანის ენაში:

ჩქარად წადი, მალ მიბრძანდი, **თუნდა** კიდეც დაგრჩეს ბარგი (არჩ.); ოღონდ ამას მომარჩინე, **თუნდა** მომეც ჯოჯოხეთი (ბესიკი).

ეს ახალი კავშირი უხვად აღბეჭდილია საბუთების ენაში:

თუნდა, შენც არ რეულიყავი იმ საქმეში, რასაკვირველია, შესწუხდებოდი... (თაყაიშვ. 115,3); **თუნდა** თავი გამაგდებინოთ, ამას მოგახსენებთო... (თაყაიშვ. 138,27); ...**თუნდა** იაფის ფასისაც იყოს, ოღონდ კარგათ შეიკეროდეს (თაყაიშვ. 94,14); **თუნდა** შენ არ გეთხოვნა, მაინც გამოგიგზავნიდი (თაყაიშვ. 94,11); **თუნდა** უკეთაც იყოს, წითელი ქარი მალე შეაქცევს (თაყაიშვ. 98,7).

ახალ სალიტერატურო ენაში **თუნდა,** რომელიც ც-ნაწილაკდართულადაც არის გავრცელებული (**თუნდაც**), ირეალური გამორიცხვითი წინადადების ძირითადი კავშირია.

გავეცნოთ ტიპობრივ კონტექსტებს:

...ვცდი, **თუნდა** კლდემ ქვეშ მომიტანოს (ილია 279, 42); **თუნდა** ჩემი სულთამხუთავი ყოფილიყო, თამამად თვალს გავუსწორებდი (ილია 281,28); **თუნდა** მომკლან, ასო-ასოდ ამკაფონ, უნდა გამოვემცნაურო (ვაჟა 196); თუნდა სცოდნოდა კიდეც, ძნელად შეეძლო სიტყვის წარმოთქმა (ყაზბ. 6); თუნდა დუნია ჩემ მტრად გადაექცეს, იმასაც არ შევარჩენ სიხსლსა (ყაზბ. 45); **თუნდა** ეგეც არ ყოფილიყო, თემის გარდაწყვეტილება ჩემთვის გაუტეხელია (ყაზბ. 57); ... იქნება სახელგანთქმულ ოტელოს კვალი შორიდან სადმე გავარჩიოთ, **თუნდა** იქ მაინც... (მაჩაბ. 31,9).

თუნდა ხშირად ა-მოკვეცილად იხმარება; **თუნდ:**

თუნდ ნაკლული იყოს, უნდა სთქვა... (ილია 333,21); ზოგმა **თუნდ** გამოიმეტოს კიდეც, გაჭირვებულ გულს არ მოხვდება... (ილია 287,6); **თუნდ** გეწყინოს, მაინც გეტყვი (ან. ერისთავ-ხოშტარია).

თუნდა-ს პარალელურია **თუნდაც:**

თუნდაც მოენდომა კოდალას ჩანაცრება, ვერაფერს გახდებოდა (ვაჟა 205); **თუნდაც** ასე ყოფილიყო, ჯაჯალა დიდის სიხარულით წავიდოდა და გამოიყვანდა ტყვესა... (ყაზბ. 8); ა. წერეთლის საშინაო ბიბლიოთეკა **თუნდაც** შენახა, მაინც ვერ გავარკვევდი....

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ, როცა **თუნდა** უნაწილაკოა, შესაძლოა -ც ნაწილაკი დაერთოს დამოკიდებულ წინადადებაში მოქცეულ სახელს:

თუნდა ღ რ ა ნ ტ ე ც იყოს, შიგ გადავარდება (გოგებაშვილი); თუნდა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ც არაფის-რა ეთქვა, ძალად გაიკვირვებდა (ვაჟა).

-ც ნაწილაკიანი კავშირი — **თუნდაც** ვერ იგუებს -ც ნაწილაკიან სახელს, — არ შეიძლება ითქვას: „**თუნდაც** ღ რ ა ნ ტ ე ც იყოს...“

თუნდა—**თუნდაც** კავშირთან არაიშვიათად შეხამებულია **რომ** კავშირი და, ამრიგად, ვღებულობთ გაორმაგებულ საკავშირებელ ერთეულს: **თუნდ(ა) რომ, თუნდაც რომ.**

მაგალითები:

თუნდა რომ ვაპატიო, ღმერთი მაინც მოჰკითხავს ...(ილია 267,40); **თუნდ რომ** მიამბო, რა დასაძრახისია? (ილია 268,3); **თუნდ რომ** მოვცდე, რა ცუდ საქმისათვის მოვცდები? (ილია 279,24); **თუნდაც რომ** ათი გამოვაკლოთ, მაინც ბევრი დარჩება; **თუნდაც რომ** ეთამაშათ, მაინც წააგებდნენ.

ალორძიების ხანის ენაში ირეალური გამორიცხვის წინადადების კავშირად თავს იჩენს **რაგინდ** კავშირი. საამისო ფაქტებს ვპოულობთ ძეგლებში: „ქილილა და დამანა“, „არჩილიანი“, „შაჰნამეს“ პროზაული ვერსია, „გურამიანი“ და სხვ.

დავიმოწმოთ მაგალითები:

მტერი **რაგინდ** უღონო იყოს, შეუპოვრად არ მართებს ყოფა (ქილილ. 150); **რაგინდ** მისანდო იყოს, მიუნდობელად გამოჩნდება (ქილილ. 258; აგრეთვე: 207,264, 241,265, 125); **რაგინდ** ბევრი ცოდნა გქონდეს, ვერ აჰყვები ვინცა იცა (არჩ.); ...ნურცა გააგებთ, **რაგინდ** ავის მცირედ ვისმე ხედვიდეთ (პროზ. შაჰნ. 395); **რაგინდ** კაცი სნეულობდეს, გვიან მოკლავს ერთი ჭირი (გურამ. 69); კაცს მართებს დაბლაც დახედვა, **რაგინდ** მაღლამდის აროსა (გურამ. 130).

აქა-იქ დ-ჩამოცლილი ფორმა იხმარება: **რაგინ**:

ერთი ჭკუა და რჩევა უამხანაგოდ სწორედ არ იქმნების, **რაგინ** ბრძენი იყოს... (სიბრ.-სიცრ. 48, 10)

ამ კავშირმა შეიძლება იგუროს **რომ** კავშირი:

რაგინდ რომ ბერი იყო, მაინც თქვენვე სჯობხართ სხვას (ვახტ. ტგ, ლზ): არ დაიჭირვის კელშია, **რაგინდ რომ** ბჭალი უჭირო (გურამ. 331); **რაგინდ რომე** კაცმან მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს (გურამ. 31); **რაგინ რომ** ბევრი მიეცა, ბოდიშსაც თან შოითხოვდის (არჩ. 137,3).

რაგინდ დამახასიათებელია ახალი ქართულისთვისაც:

პურის ჭამას ვერ გაბედავდა თავისუფლად, **რაგინდ** მშიერი ყოფილიყო (ს. მგალობლიშვილი); მე მაშინ ბედნიერი ვარ. **რაგინდ** უბედური ვიყო, **რაგინდ** ცუდ მდგომარეობაში (ვ. ლომთათიძე) და მისთ.

რაგინდ კავშირის გვერდით ახალ სალიტერატურო ენაში გავრცელებულია **გინდ** კავშირი იმავე ფუნქციით:

გინდ მომკალ, გეტყვი (გრ. ორბელ. 9); **გინდ** მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ (გრ. ორბელ.); სხვა რაღა მოეთხოვება, **გინდ** ბერად შესდგეს, მელასა (აკაკი); უნდა გენახათ მაშინ, როდესაც სასახლეში ავად ვინმე გახდებოდა, **გინდ** უკანასკნელთა განიცა... (აკაკი 400).

ირეალური გამორიცხვის ფუნქცია დაკისრებული აქვს აგრეთვე **რომ** კავშირს. იგულისხმება ამგვარი კონტექსტები:

მთელი ქვეყანა მტრად **რომ** გადამეკიდოს, მაშინაც არ დაგთმობ (ყაზბ. 27); ადრე **რომ** მონდომებოდა სადილი, მაინც არა

სჭამდა (აკაკი 402); ავად **რომ** ვიყო, მაინც წავიდოდი სანადიროდ...

ამგვარ კონსტრუქციაში ბუნებრივია -ც ნაწილაკის გამოვლენა **რომ**-ის წინა პოზიციაში მყოფ სიტყვასთან:

მთელი ქ ვ ე ყ ა ნ ა ც მტრად რომ გადამექიდოს, მაშინაც არ დაგთმობ; ადრეც **რომ** მონდომებოდა სადილი, მაინც არა სჭამდა; ა ვ ა დ ა ც **რომ** ვიყო, მაინც წავიდოდი სანადიროდ და მისთ.

ამ მასალის საკავშირებელ ერთეულს გამორიცხვითი დანიშნულება შეიძლება ჰქონოდეს საშუალო ქართულშიც:

რომე იმავე წამსა მოვკვდებოდე, მაშინაც ვნახავ (რუსუდ.), ხ. ქართულში **რაგინდ**-ის მნიშვნელობით გზას იკაფავს **რაც უნდა**:

რაც უნდა ცუდ გუნებაზე იყოს კაცი, შოშია დარდს უქარვებს (გოგებაშვილი); რაც უნდა ახლო შანძილიდან ესროლა ნადირისათვის, უთუოდ ააცდენდა (გოგებაშვილი); **რაც უნდა** ღრიანცელი მდგარიყო, მისი მაღალი ბოხი ხმა მაინც კარგად ისმოდა (ლომოური).

ასევე მკვიდრდება **მიუხედავად იმისა, რომ**. საანალიზო კონსტრუქციას სემანტიკური სიახლოვე აქვს პირობითი წინადადების კონსტრუქციასთან.

გამორიცხვითი წინადადების ჩამოყალიბებისა და დამოუკიდებელ ტიპად ჩამოკვეთის პროცესის გასათვალისწინებლად საგულისხმოა მჭიდრო მიმართება პირობითს წინადადებასთან. ძველ ქართულში გამორიცხვითი კავშირი ღათუ—დაღათუ—დაღაცათუ ერთსა და იმავე დროს პირობითი წინადადების კავშირიცაა. საშუალო ქართულში თანდათანობით საფუძველი ეყრება ამ ორი კონსტრუქციის წინადადების დიფერენციაციას, ურთიერთისაგან გამიჯვნას. სახელდობრ: აღორძინების ხანის ენაში ეს პროცესი დემონსტრაციულია და თუ, მაგალითად, **თუმცა** ამავე პერიოდის ადრინდელ ძეგლებში და ძველ ქართულში პირობითობის კავშირია, ხოლო გამორიცხვითში იგი არ გამოიყენება, სამაგიეროდ, აღორძინების ხანის ენაში **თუმცა** კარგავს პირობითობის დანიშნულებას და გამორიცხვითობის ფუნქციას იძენს; ამიერიდან **თუმცა** მხოლოდ გამორიცხვითი კავშირია. ამასთანავე, ამავე პერიოდში ისახება ტიპობრივი გამორიცხვითი კავშირები — **თუნდა, რაგინდ, გინდ, მართალია**, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო პირობითობასთან. ერთადერთი საერთო კავშირი ორივე კონსტრუქციისათვის არის **რომ**. ეს კავშირი კი ყველაზე პოლისემანტური კავშირია და აერთიანებს მრავალი ტიპის წინადადებას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სალიტერატურო ენის ძველ საფეხურებზე გამორიცხვითი წინადადება უმჭიდროესადაა დაკავშირებული პირობითს წინადადებასთან. ისინი ერთსა და იმავე მასალას გამოიყენებენ, ხოლო შემდეგ და შემდეგ ხდება მათი გამიჯვნა და საბოლოოდ, ახალ ქართულში, სრულიად დამოუკიდებელ ოდენობადაც იქცნენ. ეს ე. წ. დათმობითი წინადადების წინაგანი განვითარების შედეგია.

საერთო დასკვნა ასეთია: ქართულ ენაში ე. წ. დათმობითი წინადადება ჩამოყალიბებული ჩანს ჯერ კიდევ ძველ წერილობითს ძეგლებში, ოღონდ მისი ორი სახეობა (რეალურ-ირეალური) დიფერენცირებული არ არის კავშირთა მიხედვით ძველ ქართულში; სადიფერენციაციო ფუნქცია ეკისრება სხვა მონაცემებს: შემასმენლის კილოს და კავშირის კორელაციას. შემდეგ პერიოდში, საშუალო ქართულში, თანდათანობით ხდება კავშირების დიფერენციაცია, — ძველი ქართულის დიფუზური, პოლისემანტური კავშირები დიფერენცირდებიან და ახალ ქართულში კიდევ უფრო მეტ ერთეულებს ვღებულობთ; რეალურ-ირეალური ვითარების გამომხატველი წინადადების კავშირები როლებს ინაწილებენ და საბოლოოდ იმაგრებენ განსხვავებულ ერთეულებს. ამ მხრივ ე. წ. დათმობითი წინადადება იზიარებს იმ საერთო ბედს, რომელსაც თანაბრად ემორჩილებიან სხვა ტიპოლოგიის კავშირები.

8. ვითარებით-შედეგობითი კავშირები

ვითარებით-შედეგობით წინადადებას მთავარ წინადადებასთან აერთებენ ვითარებით-შედეგობითი კავშირები.

ვითარებით-შედეგობითი კავშირებია:

რომელ
რომე
რომ
ასრე (ესრე) რომელ, ასე რომელ
ასრე რომე, ასე რომე
ასე რომ, ისე რომ

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

A

რომელ

სათანადო მაგალითებს უხვად გვაწვდის „ვისრამიანი“:

მოხარული ესრე იყო, **რომელ** პირველ ჩანგი მან მოიგონა.....

(322,8); ჩემი სიყვე და სიხარული, საწუთროსა გამოსუენება და ლხინი ყუელა მიჯნურობისაგან გამკიდეგანებია, **რომელ** სიცოცხლე ჩემი აღარ ეგების (136,10); ესრე გრძლად ცოცხალ იყვნეს, რომელ შვილისშვილნიცა მოესწრნეს (322/22); ჩემი გული არ ეგრე გატეხილა მიჯნურობისაგან, **რომელ** კელოვანმან კაცმან მისი შეკრვა იცოდეს (90,29); იყო ხელი მიჯნურობისაგან, **რომელ** პირსა შიგან შაჭარი ემწარებოდა (32,14); და მათი საქმე ეგრე იქმნა, **რომელ** მას ღამესა... ვირო იყო მხიარულად (გვ. 30. სტრ. 13); მისითა კუნესითა კაცსა გული ეგრე გაუკდის, **რომელ** იადონსაცა შტოსაგან ჩამოაგდებდის... (52,19); საწუთრო ასრე მომძულებია, **რომელ** თავი ცოცხლად არა მჩანს... (63,7); ასრე გაყუითლდა და ფერი წაუვიდა, **რომელ** უსულოსა ჰგუანდის (37,18); მასვე წამსა შესუა კუბოსა და გამოემართა ესრე ფიცხლა, **რომელ** ვერცა ქარი ეწეოდა (36,15); ასრე დაბნელდა, **რომელ** თუალთა წინა აღარა ჩნდა (25,25); აგრე გამიჯნურდა შაჰი მოაბად, **რომელ** უშობელსა შეირთვიდა (7,34); ...მტუერი დიდი შეიქმნა, **რომელ** ერთმანეთსა ვეღარ ჰხედვიდეს (14,19); ასრე ფიცხლად წავიდა, **რომელ** მტუერსა მისსა ნიავი ვერ მოეწევოდა (18,7); გახელებულ იყო, **რომელ** სიკუშტითა ავსა კარგისაგან ვერ გამოარჩევდა (18,12); რამინის კრმალი მის ღამისა სპარსთა ხატებისაებრ მამბარსა ზედა მაღლად ჩნდა, **რომელ** მისთა მტერთა ბედისაებრ მას ღამესა ბნელი იყო (315,7); გაზაფხულისა ღრუბელი შავია და ეგზომსა აწუიმებს, **რომელ** ლუართა აღენს (233,2).

რამდენიმე მაგალითს ვპოულობთ „ამირან-დარეჯანიანში“: ჰკრა კობალი და ფიცხლა დალეწა ესრე, **რომელ** ვითა კრილი, ეგეთი შეიქნა (79,36); წავიდეს მნახავნი და ეზომი პოეს, **რომელ** ანგარიში არ იქნებოდა (3,17); ფიცხლა ცხენი შეუტევე, გავაქციევენ და დავკოცენ, **რომელ** მცირედნი-ღა ვინმე გარდამეხვეწნეს (117,12); გამექცა ეზომ ფიცხლა, **რომელ** გზა და კვალი ვერა შევიგენით (103,19); ...ეზომ მოგვეწონა, **რომელ** ამბავსა კაცი სჯობდა (122,25); ...ეზომ ადვილად დაკოცნა იგინი, **რომელ** მოქალაქეთაცა ვერა შეიგნეს (116,25).

B

რომე

ვადასტურებთ როგორც საშუალო ქართულის ადრინდელ ძეგლებში, ისე მოგვიანო ხანის ენაშიც. „ვისრამიანში“ რამდენიმე ნი-

მუშს ვხვდებით, ასევე — „ვეფხისტყაოსანში“. უფრო ხშირია მისი გამოყენება „ამირან-დარეჯანიანში“.

გავეცნოთ მაგალითებს:

რამინ ესრე გაკდა, **რომე** ღონე აღარაჲი ჰქონდა... (ვისრ. 163,32); ესრეთ სწრაფით წაედ, **რომე** წამსცა არსად დაიყოვნო... (ვისრ. 192,19): მე შენისა ჯავრისა და სიყუარულისაგან ესრე გასრულ ვარ, **რომე** მიფიცავს, უხანოთა კაცთა აღარა დავეახლო, აღარცარა ვისგან იმედი მქონდეს (ვისრ. 214,7); ნესტანდარეჯანს მოეჭდო, **რომე** ვერ გაჰყრის ცულები (რუსთ. 1451,3); ასრე წვა **რომე** არ ჰგვანდა მკვდარი სამარის კარისა (რუსთ. 498,1); ეზომ მედგრად შეშინდეს, **რომე** ვეღარცა ჩვენ გვითხრეს(ამირან. 75,35); დაჰოცნა და განაჭარვნა, **რომე** რისხვა ღმრთისა დასცა მათსა ზედა (ამირახ. 23,26); ეგრე იყო, **რომე** შუკათა შიგან მოვიდოდით ბაღდადს (ამირან. 32,7); ეზომ საზარო იყო, **რომ** შეხედვა მისი ჰირად კმა იყო (ამირან. 114,33); ახლო ჯდის მეფისად, **რომე** ხელი მისწვდებოდის (ამირან. II, 137,26; აგრეთვე: II, 166,10; II, 20,28).

აღორძინების ხანიდან **რომე**-ს ნიმუშებს გვაწვდიან მთელი რიგი ძეგლები: „რუსუდანიანი“, „ქილილა და დამანა“, „შაჰნამე“, „ომანიანი“, საბუთები; განსაკუთრებით მდიდრადაა წარმოდგენილი „შაჰნამეს“ პროზაულ ვერსიაში.

აძლია ამდენი, **რომე** წაღება აღარ შეეძლოთ (რუსუდ. 733,11; აგრეთვე: 732,3; 731,6); ესრე წამლებთა უმეცარი იყო, **რომე** ინდოურსა ჯავზსა და წიწმატის კაკალსა ვერ გაარჩევდა (ქილილ. 211; აგრეთვე; 104,122; 110); იყო ყვირილი დევთა, **რომე** ცის ჭეხასა ჰგვანდა (პროზ. შაჰნ. 433); ... შუბი წელთ შესცა, **რომე** თავისაგან მუზარადი გავარდა (პროზ. შაჰნ. 430); ...კვნესოდეს, **რომე** მთა და მინდორი გრგვინვიდა (პროზ. შაჰნ. 434: აგრეთვე; 433, 392; 374; 373; 441); და ესრეთ მკვახედ უბნობდა, **რომე** გამწყრალსა ლომსა ჰგვანდა (ომაინ. 80,5); ეზომი შევსცოდე, **რომე** ძამის სირცხვილმა პირი დამიყო და მე ამ ქვეყანას აღარა დავდგები (ომაინ. 67); გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ამ წესითა, **რომე** არა დროსა და ჟამსა არ მოგეშალოს ეს თქვენი ნაჯყიდი გლეხი (დოკუმენტ. ბერძენ. 44,16); ამ წესით ვითარხნეთ, **რომე** ერთის ლაშქრობისა და სათათროს საურის მეტი არა ეთხოვებოდეს რა (იქვე 39,6; აგრეთვე: 38,11; 3,7; 217,6; 213,7); ასრე განთავისუფ-

ლებით შეგვიწირავს, **რომე** არას კაცის ჭელი არ შევიდოდეს (საეკლ. საბ. 72,10; აგრეთვე; 74,14; 74,21).

C

რომ

საშუალო ქართულში ვითარებით-შედეგობითი კავშირი **რომ** არ წარმოადგენს ნორმას; თითო-ოროლა მაგალითს თუ გვაწვდის ზოგიერთი ძეგლი ამ პერიოდისა.

მაგალითები:

ასრე გავიდი საბელსა, **რომ** ა:ვალნი ვერ მომკიდიან (რუსთ. 1394,3); ესრედ იქმან, **რომ**... ომად არ გამოვლენ ქვეყანასა ზედა (ამირან. II,79,30); დამალეწნა და ვამექცა ეგზომ ფიცხლად, **რომ** გზა და კვალი ვეღარ შევიგნერა (ამირან-დარეჯანიანი); გათავდა ამა ცხოვრებითა ათის წლისა, **რომ** კვერცხის სახელი არ გაეგონა (რუსუდ. 741,3); საშოარი ასრე გაიაფდა, **რომ** სანახევროთ წამღები არ იშოვებოდა (ფარსად. 232); ასე მომიკდა, **რომ** ერის კაც ვიქმენ (იესე ოსეშვ. 21); ღმერთმან ასე ვაგიმარჯოს, **რომ** არ იყოს ბევრი ჭოცა (გურამ. 268,3); ასე რიგათ დაგიმადლებთ, **რომ** შენი საკუთარი გამიგზავნო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 117,5); ვალისაგან დიაღ გატეხილი იყო, **რომ** ღონე არა დაედებოდა რა (დოკუმენტ. ბერძენ. 108,9; აგრეთვე: 208,6; 178,4; 164,10).

ახალ სალიტერატურო ენაში **რომ** საბოლოოდ გაბატონდა და იგი ძირითადი ვითარებით-შედეგობითი კავშირია.

დავიმოწმოთ მაგალითები:

ასე დაუმსხვრევიათ შენი სალტის ნაიბი, **რომ** მეტი აღარ იქნება (ორბელ. წერილ. 10,161); უცებ გრიგალმა უბედობის დამქროლა ესრეთ, **რომ** ცა, მომფენი ჩემდა ნათლის ჰფარა ღრუბელ ქვეშ (გრ. ორბელ. 34); ... დრო ისე გამეპარა, **რომ** თითქმის ვერ შევიტყე... (ილია 256,28); ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, **რომ** ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ (ილია 247,13); საორმოცომ ისე შეაშინა ყველა, რომ ავადმყოფებს არავინ ეკარებოდა (აკაკი, 411); ... ისე გაიტაცებდა კითხვა, **რომ** სახარებაში გამოხატულ პირებს ემუსაიფებოდა (აკაკი 408); ისე დააფიქრეს მამაჩემი, **რომ** ხელახალი განკარგულება მოახდინა (აკაკი 408); ისე გამიგემრიელდა საზეპიროები, **რომ** წერა-კითხვის სწავლაც მოვინდომე (აკაკი 417); სოფლის თავზე ისე ვერ გამივლია, **რომ** ყველამ

მე არ მომაპყროს თვალი (ვაჟა 98); ისეთი მაგრა ჩაუკაკუნა, **რომ** მამალს თავბრუ დაესხა (ვაჟა 211); ისე ახლო გადუარა თავზე, რომ მუცელი და ფეხები ჯიჯლიბოზე გადუსვა (ვაჟა 203); იქამდისინ შეეპყრო იმის გონება მზალვეზედ ფიქრსა, **რომ** ათას საშუალებასაც კი ეძებდა... (ყაზბ. 10); აქამდინ გაამაგრეს, **რომ** ყოველივე მოძრაობა მთის ხალხისაგან თითქმის შეუძლებელი შეიქნა (ყაზბ. 10); ეს ყველა ისე საჩქაროდ მოხდა და ისეთ აღელვებულ მდგომარეობაში იყო მაშინ საქართველო, **რომ** ყველას დაავიწყდა თავიანთი საქმე და მოვალეობა (ყაზბ. 10); ისეთის ხმით უპასუხა, **რომ** ელგუჯას შერცხვა (ყაზბ. 11); ...დამეგობრდენ ისე რიგად, **რომ** დამალული აღარა ჰქონდათ-რა (ყაზბ. 10); სვიმონს ისე საჩქაროდ მოუხდა თავის სახლიდან გაქცევა, ისე მოულოდნელად, **რომ** ძლივს მოასწრო ცოცხალი თავის გახწევა... (ყაზბ. 38); საქმემ იქამდის მიაღწივა, **რომ** ჯაჯალამ ტირილი დაიწყო (ყაზბ. 70); ქალებს ისე შეეშინდათ, **რომ** გაქცევაც კი დააპირეს (ყაზბ. 62).

D

ასრე (ესრე) რომელ, ასე რომელ

ახალ სალიტერატურო ქართულში გავრცელებულია შედეგობითი კავშირი **ასე რომ, ისე რომ**, რომელიც მიღებულია საკავშირებელი ერთეულისა **(რომ)** და კორელატის **(ასე, ისე)** შერწყმის საშუალებით, ამგვარი ტიპის კავშირული სიტყვის გამომუშავება დაწყებულა ადრე, საშუალო ქართულის ადრინდელი პერიოდიდან.

დამახასიათებელია „ვისრამიანის“:

და ყუედრება გაგრძელდა, **ასრე რომელ** საწუთროსაცა გაუკუირდა მათი საქმე (294,30); მოყუარემან აწ ჩემი საქმე გაასრულა, **ასე რომელ** წიგნი ლხინად მიჩს (230,28); რა გაზაფხული მოვიდეს, დღენი დათბეს და ჰაერი დაამდეს, მუნ მიმავალთა მგზავრთა დიდად იპოვებენ, **ასრე რომელ** სადამდისცა გწადდეს, თუით მეცა თანა წამოგყვები გურგანამდინ (297,8); აწვე დაგანაღულებ შენსა კელმწიფობასა, ოუით არ გაგიმარჯუებს ღმერთი უბრალოსა ვისისა სისხლთა, **ასრე რომელ** თუით შენვე თუალნი მტერ გექმნებიანო (152,18); მერმე ვისი, რამინ და ბეჰროზ, ვითა მათ სწადდა, ეგრე იხარებდეს ერთგან ასსა დღესა, **ასრე რომელ** მათი ამბავი არავინ იცოდა 110,37); ...ასპარეზითა მისებრ ვერავინ იმღერდის, **ესრე რომელ** ჰურეტასა მისსა შეეკციან (9,11); მიკრიკმან გამოუღო

წიგნი და ქარისაგან უმალე იარა, ესრე რომელ სამ კუირას მარავს შევიდა (192,21).

Е

ასრე რომე, ასე რომე

განვითარებულია საშუალო ქართულში.

„ვეფხისტყაოსნიდან“:

ყოელი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა, **ასრე რომე** ცასა ქვეშე არ დაურჩა, არ იარა (182,1).

„ამირანდარეჯანიანიდან“;

ამაზედან გავმდიდრდით, **ასე რომე** არცა რიცხვი იყო და არცა შეგება (II, 187,22); ამის მეტი ვერა შევიგენით რა, ძალი წაგვიღო, **ასე რომე** ჩვენთანა ფშვინვისაგან კიდე სხვა ღონე აღარ იყო...

„ქილილა და დამანადან“:

მათში ერთი მეტობს გულოვნობითა, **ასე რომ** პირისპირ, წინადამ საჭმელსა საზრდოს მიმტაცებსო (251).

იესე ოსეშვილის თავგადასავლიდან:

...მამა ჩემმა მამისდაბა სოფელი იყიდა მთელი თავის გლეხებით, **ასე რომე** სოლოღაშვილებს დიმიტრი ყაფლანისშვილისათვის მიეყიდათ (8)

საბუთებიდან:

წყალობა გიყავით, **ასე რომე** ...არაფერი ჩვენი გამოსაღები და სათხოვარი არ ეთხოებოდეს... (დოკუმენტ. ბერძენ. 143,8); ესენი ხელშეუალათ თქვენთვის გვიბოძებია, **ასე რომე** არაფერი ჩვენის კარისა გამოსავალი ...არა ეთხოებოდეს რა... (საეკლ. საბ. 35,1); —გათარხნეთ და გაანთავისუფლეთ წიგნითა ამითა, **ასრე რომე** არა საჩუენოჲ ბეგარა და გამოსაღები არა გეთხოებოდეს რა (დოკუმენტ. ბერძნ. 12,6); ვისმინეთ მოხსენება თქვენი და ამოგიკვეთეთ, **ასრე რომე** არაოდეს შავარდნის ფასი და საზღაური თქვენს საყდრის ჴმასთ (sic) **არ** ეთხოვებოდეს იქ მსახლობელთ (დოკუმენტ. ბერძენ. 237,15); გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულობაშიდ, **ასრე რომე** რომელიცა სხვას კნიაზს დადიანისაგან კითხოდეს ამ ოდიშის ქვეყანას, აგრევე ჩვენც ისრე გკითხოთ (საეკლ. საბ. 75,17).

ასე რომ, ისე რომ

თანამედროვე სალიტერატურო ენაში **ასე რომ** მტკიცედ ჩამოყალიბებული შედეგობითი კავშირია.

...ძალიან ფიქრიანათ იყო ჩემი ბატონი, **ასე რომ**... ხმა არც კი ამოუღია.... (ალ. ორბელ. მოგონ. 17); აქ ქუთაისის მთაზედ ჯერ ისევ ცივა, **ასე რომ** გუშინ მხოლოდ სამი გრადუსი იყო სითბოსი(ორბელ. წერილ. 43,185); ძალიან ითაკილა პირველში, **ასე რომ** ერთხელ შემომტირა კიდენაც (ილია 270,34); მისი ბუჩო ერთ მხრივ მთელ ცალოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით გაწოლილი იყო, **ასე რომ** იმისი ბოლო ზედ საბძელთან დააწყდებოდა (ილია 325, 16); შე შმაშური დავიწყე, ხელი მოუსვი, **ასე რომ** ავტოკდი (აკაკი 438); აღტაცებაში მოვყავდით ამ ბაბუას წვერების ჩეჩვას, **ასე რომ** თითქმის დავიქანცეთ (აკაკი 387); მასწავლებლები რიგრიგად ჰკითხავდენ მოსწავლეებს, **ასე რომ** მოწაფემ იცის, როდის მოუწევს რიგი.... (აკაკი 437);... ძალიან ადრე, **ასე რომ** თითქმის არცავის შეუნიშნავს (ვაჟა. 87); ამ ადგილში გზა ცოტა ხვეულად მიდიოდა, **ისე რომ** მარტია აღარ უჩანდათ გაგის და იმის ამხანაგებს (ყაზბ. 20); ჰშიან არწივს, **ისე რომ** ლამის სული ამოჰხდეს (ვაჟა 86); ორი წელიწადი ვიცხოვრე დურგალთან, **ისე რომ** ჩვენს სოფელში არ მოვბრუნებულვარ (ლომოური).

9. ვითარებით-შედარებითი კავშირები

ისეთი წინადადება, რომელსაც შ ე დ ა რ ე ბ ა უდევს საფუძვლად და, ამავე დროს, ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა ც გამოხატავს, ვითარებით-შედარებითი წინადადების კონსტრუქციას ქმნის.

შ ე დ ა რ ე ბ ა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით— მ ს გ ა ვ ს ე ბ ი ს, ს ხ ვ ა ო ბ ი ს, ი გ ი ვ ე ო ბ ი ს და შ ე ფ ა რ დ ე ბ ი ს საფუძველზე. ამისდა მიხედვით გვექნება მსგავსებითი შედარების, სხვაობითი შედარების, იგივეობითი შედარებისა და შეფარდებითი შედარების კავშირები.

ცალკე გამოვყოფთ ირარეალური, ირეალური ტიპის შედარებას, როდესაც შედარების კატეგორია მოჩვენებითი ანდა ოპტატიური ხასიათისაა.

საილუსტრაციო მასალაში ჩვენ შეგვხვდება თავისებური კონსტრუქციის ფაქტებიც: ვითარებით-შედარებითი კავშირის შემცვე-

ლი წინადადება გარკვეულ შემთხვევებში უპრედიკატოა და იგი წინადადების ეკვივალენტს წარმოადგენს, ანდა შესადარებელ ოდენობად დანართი წარმოგვიდგება.

განვიხილოთ ცალ-ცალკე ზემოხსენებული სახეები ვითარებით-შედარებითი კავშირებისა.

ა

მ ს გ ა ვ ს ე ბ ი თ ი შ ე დ ა რ ე ბ ა

ამგვარი შედარება, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, დაფუძნებულია შესადარებელ ერთეულთა მსგავსებაზე, რაიმე ნიშნის მიხედვით დამგვანებაზე.

საკავშირებელი ერთეულებია:

ვითარცა	**ვით**
ვითარ	**რაგვარცა — რაგვარადაც**
ვითარ-იგი	**როგორაც(ა) — როგორც(ა)**
ვითა	**რარიგაცა — რარიგადაც**

A

ვითარცა

არსებითად დამახასიათებელია ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის.

დავიმოწმოთ მაგალითები:

ხოლო მე მნებავს უკანაჲსკნელსა მას მიცემად, **ვითარცა** შენ (მათე 20, 14); და უყვეს მას, რაოდენი უნდა, **ვითარცა** წერილ არს მისთჳს (მარკოზ 9,13); მთასა წმიდასა შენსა, **ვითარცა** სათნო იჩინე... (ჳ.-ეტრ. 208,V, 1); **ვითარცა** მთანი გარემოჲს იერუსალჱმისა, ეგრეჲთვე დიდებული ეკლესიაჲ შენ მოციქულთა გარემოჲს შემოკრებულ არიან წმიდასა ეკლესიასა შენსა (ჳ.-ეტრ. 244,V,7); ბორცუნი იმღერდეს, **ვითარცა** კრავნი... (სას. პოეზია რი, 232); **ვითარცა** სამჴედური მატლსა შინა, ეგრჱთ კორცთა შინა თჳსთა დაფარა... (აბო 62,5); და იკურთხა თესლი მათი, **ვითარცა** აბრაჰამისი და იაკობისი (ზარზმ. 174,32); ...ყოვლად მქეცებრივნი, **ვითარცა** ადგილისა უკაცოჲსა და უცხოჲსანი (159,13 ზარზმ.); **ვითარცა** მკუდარნი..., ეგრეთვე ჩუენ აღმადგინენ მკუდრეთით (ბოლნ. 46,6); **ვითარცა** ვინ მიხუდების და **ვითარცა** ვის ჰმარხუნ, ეგრეცა აღასრულებედ... (ბოლნ. 2,9); და იხილა სჳმეონ სიმრავლე ეშ-

მაკთაჲ პირსა ზედა ქუეყანისასა, ვითარცა კოლტი ღორთაჲ და ვითარცა სიმრავლე თხათაჲ (კიმ. 236,30); და იქმნა პირი ნეტარისა მის, ვითარცა, პირი ანგელოზისაჲ... (კიმ. 245,10); ...პირი მისი იყო, ვითარცა პირი ანგელოზისაჲ (კიმ. 291,19); ხოლო კაცნი იგი შიშისა მისისაგან იქმნეს, ვითარცა მკუდარნი... (კიმ.);

...მეყსეულად კეთრი იგი, ვითარცა ფურცელი ხისაგან, ესრეთ დასცჳვა კორცთაგან მისთა (ანტიოქ. 128,21; აგრეთვე: 52, 14; 141,10; 71,22; 82,36; 86,5); და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ ვყავ (შუშან. 13,IV, 26); და ვითარცა მკუდარი, იდვა წმიდაჲ შუშანიკ ქუეყანასა ზედა (შუშან. 20, VI, 20); ვითარცა მჴეცი მძჳნვარჱ, ყიოდა და იზახდა, ვითარცა ცოფი (შუშან. 20,VI,17); ...დასდებდა მათ ვითარცა წ˜ნი მოციქულნი... (ასურ, 19,10); ვითარცა სიტყუაჲ პირისა მისისაგან გამოეცემოდა, ესრჱთ ქ˜ნ გამოსცა სულნელებაჲ თჳსი (იპოლიტე, ლდ. 20). ვითარცა სახედ ნაძჳ არა დალპეს, ესრე სახედ ღ˜ზჲ იგი მამათაჲ არა დაფარულ (იპოლიტე, ლჱ); ...და ვითარცა ცეცხლნი, ეგრე ეტყინებოდეს... (წარტყუენ. ვ, 27); ...მონაზონნი და ქალწულნი, ვითარცა ავაზაკნი, მოიკლვოდეს (წარტყუენ. იზ, 30; აგრეთვე: ივ, 3; ით, 15; კზ. 7; კზ, 21); ვითარცა სახედ ასპიტმან მამა-დედაჲ მოკლის, ეგრეცა ფარისეველთა მამაჲ საგონებელი (სახისმეტყ. 17, იგ, 29).

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, დამოკიდებული წინადადება ყველა პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს: მთავარ წინადადებას უსწრებს ან მოსდევს, ან კიდევ ჩართულია.

მართალია, ვითარცა კავშირი თავისთავად ნაწილაკდართულია, მაგრამ მასში ნაწილაკი იმდენად შეხორცებული და ორგანული ჩანს, რომ კვლავ ემატება ზოგჯერ იგი ნაწილაკის ფუნქციით. ამისი მაგალითები ძველ ქართულში ბევრი არაა:

...და ძირი იგი ღჳძლისაჲ თირკუმელთა თანა მოჰკადოს, ვითარცა-იგი მოჰკადიან კბოსა მას შესაწირავისა ცხორებისასა (ლევიტ. 4, 9); ვითარცა-იგი შეკრებიან ღუარძლი და ცეცხლითა დაწჳან, ეგრჱთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ (მათე 13,40); ესრჱთ არს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი კაცმან რაჲ დასთესის თესლი ქუეყანასა (მარკოზ 4,26: DE, შდრ. ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა კაცმან-ლა დასთესის თესლი ქუეყანასა ზედა. C); ვითარცა-იგი დღეთა მათ ნოესთა, ეგრე იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ (მათე 24,37); ვი-

თარცა-იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა... ეგრეთ იყოს ძჲ კაცისაჲ გულსა ქ~ყნისასა... (მათე 12, 40: DE. შდრ. ვითარცა იყო იონა...: C); და რაჟამს ილოცვიდე, არ იყო ეგრე, ვითარცა-იგი, ორგულნი (მათე 6,5: DE. შდრ. ვითარცა ორგულნი...: C); ხოლო შენ რაჟამს იქმოდი ქველის საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა-იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა.. (მათე 6,2); და რაჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა-იგი ორგულნი მწუხარე (მათე 6,16: DE. შდრ. და რაჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა ორგულნი მწუხარე: C); ვითარცა-იგი სიტყუთა ალატუუე ყრუ და უტყუ, ეგრეთვე... განკურნე ყრმაჲცა ესე... (ზარზმ. 171,9);... და ყვეს ეგრჱთ. ვითარცა-იგი ებრძანა ჴელმწიფისაგან (არიმათ. 88,5); ვითარცა-იგი თქმულ არს იოსების-თჳს... ეგრეთვე აქა იხილებოდა და ფრიად უალრეს (ანტიოქ. 64,5); და ვითარცა-იგი კორციელად-მშობელთა მონაჲგები შვილთა განუყოფიან, ეგრჱთვე ხანძთაჲ სულიერად-მშობელი არს ჩუენ ყოველთაჲ (ხანძთ. ლვ, ლ, 34); და მისი არს ჴელმწიფებაჲ აღდგომისაჲ, ვითარცა-იგი პრქუა ჰურიათა... (არიმათ. 8,1); მაშინ წარმოვიდეს ლუდიას და ყვეს ეგრჱთ, ვითარცა-იგი ებრძანა ჴელმწიფისაგან და დაჰბეჭდეს კარი ეკლესიისაჲ (არიმათ. 66,88); რამეთუ შენდობასა ღირს იქმნე, ვითარცა-იგი გულის-თქუმითა ძლეული დედაკაცი (მრავალთ. 259,5); და ვითარცა-იგი ზეცით შობაჲსა მისსა გმობაჲ ვერ საკადრებელ არს მისა...., ეგრეცა ქუეყანასა ზედა სარწმუნო არს ქალწული (მრავალთ. 281, 23).

არის შემთხვევები, როდესაც ვითარცა—ვითარცა-იგი გამოყენებულია რაჲ კავშირთან შეხამებით. ზოგიერთი ძეგლი გვაწვდის საამისო ნიმუშებს:

ხოლო შეკრებასა მას ყოველთასა ნებითა ღმრთისაჲთა გიხილო მხიარული და ბრწყინვალე, ვითარცა რაჲ მუშაკი კეთილი, სასყიდლითა განმდიდრებული (ზარზმ. 170, 1). მსგავსად სამოელისა შეწირულ იქმენ შენ, ვითარცა რაჲ ტარიგი უბიწოჲ, სანატრელო ევთჳმი, მსხუერპლად მეუფისა ქრისტჱსა (სას. პოეზია, რიზ, 58); ვითარცა რაჲ პეტრე, იწოდე, ბრძენო, საფუძველ ეკლესიათა... (სას. პოეზია, ჟთ, 24);... მღდელ იქმენ შენ, ვითარცა რაჲ მოსე და აჰრონ.. (სას. პოეზია, ჟბ, 53): ...აღჰმაღლდი უზეშთაეს[ა]სა მას სიმაღლესა, ვითარცა რაჲ იოვანე ღმრთის მეტყუელი...\(სას. პოეზია, ჟა, 28); ვითარცა რაჲ ელია, აღეგზენ ცეცხლითა საღრმთოჲსა შურისაჲთა...

(სას. პოეზია, ჟთ, 21); ვითარცა რაჲ მოსე, აჰკედ, ღირსო, მთასა მას ღმრთის მეტყუელებისასა (იქვე. 17); ვითარცა რაჲ უბიწოჲმან აბელ შეწირა უფლისა მსხუერპლი ცხოველი, ეგრეთვე შენ, ნეტარო, შესწირე თავი შენი მსხუერპლად უსისხლოდ ქრისტესა (იქვე, 13); გამოაბრწყინვენ შენ, მკსნელო, წმიდანი მღდელთ მოძღუარნი ვითარცა რაჲ ვარსკულავნი სამყაროჲსანი... (სას. პოეზია, ჟზ, 194).

ვითარცა-სა და რაჲ-ს შორის შესაძლოა მოექცეს რომელიმე ნევრი წინადადებისა:

და ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზის აღმოსავალით და ჩანან ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ (მათე 24,27); და შეკრბენ წინაშე მისსა ყოველნი ნათესავნი და განარჩინნეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან რაჲ განარჩინნის ცხოვარნი თიკანთაგან (მათე 25,32); ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი კაცმან რაჲ დასთესის თესლი ქუეყანასა... (მარკოზ 4,26); ვითარცა მთიებნი რაჲ ჰნათობენ სამყაროსა ცათასა, ეგრეთვე თქუენცა გამოჰბრწყინდით სივრცესა შინა უდაბნოჲსასა.... (სას. პოეზია, რმა, 146).

საშუალო ქართულში ვითარებით-მედარებითი კავშირი ვითარცა არაა ფართოდ გავრცელებული, იშვიათია.

დავიმოწმოთ მაგალითები:

ძრწოლით ხედვიდეს, განიზრახვიდეს, ვითარცა შეჰგავს მონათ რიდებით (აბდულმესია 92,3); მიხვდეს სიბრმესა, დაჰდეს სილრმესა ორგულთა ერნი, ვითარცა ლოდნი (აბდულმესია 34,2); კელთა ფეროვნისა ღუინისა ქონება ამას უტუანდა, ვითარცა კელნი ყაყაჩოთა სახენი ყოფილ იყვნეს (ვისრ. 188,3); ესრე მიყვარდი, ვითარცა ამა ჲრ ფაშად მოხვალ (ამირან. II, 82,7); განგისვენოთ, ვითარცა გამზრდელსა (ამირან. 10,11); მე ვინა ვარ, ხელმწიფის შვილს ვზრდიდე, ვითარცა მას უნდეს (არჩ. 146,1); და არავინ იკადრის წინაწარზიდვად. ვითარცა არს წესი ჩუეულებისაჲ ცხენთა და კარაულთათჳს (აბუსერ. ტბ. 62,105); ჩუენ მიერი სამსახური ესრეთ მიითვალეთ, ვითარცა ქრისტემან ორნი მწულილნი იგი (დოკუმ. ბერძენ. 45,34); შეიწირე ჩუენგან შემოწირული ესე მცირედი ჲგარაკი და კაცნი მტილითურთ, ვითარცა აბელის ძღვენი, ვითარცა ნოეს მსხვერპლი, ვითარცა აბრამის ნაკვერთხნი, ვითარცა სამოველის დასამშვიდებელი, ვითარცა მოსეს მიერ შეწირული საკმეველი, ვითარცა აარონის მსახურება და იეფ-

თაესი იგი აღთქმული მსხვერპლი, ეგრეთ ცაღრეთ ცულით მდაბლითა და სულითა შეუმუსვრელითა (საეკლ. საბ. 44,3).

როგორც დოკუმენტების მასალებიდან ჩანს, ვითარცა-ს ხმარება გამართლებულია ტექსტის არქაული სტილიზაციით.

B

ვითარ

დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის. შედარებით ვითარცა-სთან, მისი გამოყენების არე გაცილებით უფრო ვიწროა. გვხვდება როგორც ნაწილაკდართული ფორმებიც, ისე უნაწილაკონი; ნაწილაკად გამოყენებულია იგი (ვითარ-იგი).

დავიმოწმოთ მაგალითები:

და აღდგის ღამე და დღე და თესლი იგი აღმოჰსცენდის და განორძნდებინ, ვითარ-იგი მან არა უწყინ (მარკოზ 4,27,DE. შდრ. და აღდგის ღამე და დღე, და თესლი იგი აღორძნდებინ, ვითარ არა უწყინ მან: C); ...განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ-იგი აღორძნდის (მათე 6, 28); და ვითარ იყო ესრე, იწყო სიტყუად კაცისა მის მიმართ... (ქიმ. 323,5 და ყუეს ეგრე, ვითარ-იგი უბრძანა მათ (ქიმ. 312,8; აგრეთვე: 330,2; 273, 29); და აღაშფოთებს მესამით დღითგან, ვითარ-იგი ვითხრეს ჩუენ (არიმათ. 30,5); ხოლო შენ აწ თანა იპყარ ნიკოდემოს და მიეედ ლუდია ქალაქსა, ვითარ-იგი გიბრძანე... არიმათ. 33. 1); ვითარ-იგი პირველ მოიყიდეს უფალი იუდაჲსა-გან ვეცხლითა, ესრეთ მოიყიდიდეს ქრისტეანეთა ბირჭისა მის-გან (წარტყუენ, კა, 2; აგრეთვე; კე, 11; ნე, 26; იბ,6); და ფიქსენედ დიდებულებაჲ მშობელთა ამათთაჲ და სარწმუნოებაჲ მათი ქრისტჱს მიმართ და ჩუენ გლახაკთა მომართ, ვითარ-იგი მათ ქრისტჱს სიყუარულისა თჳს შეილობისა სიყუარული დაივიწყეს (ხანძთ. ცვ. კგ, 45).

საშუალო ქართულისათვის ვითარ არაა დამახასიათებელი — იშვიათად თუ შეხვდებით მას ზოგიერთ ძეგლში.

მაგალითები:

და ეძებდა მამა მისი ომარ შვილისა მისისა ამარისათჳს ცხენსა და ვერა ჰპოვებდა, ვითარ ჴამდა, ეგჳსა (ამირან, 33,35); ვითარ გასმივარ, ეგეთსა ვერა მნახაო (ამირან. 62,30); ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეცვივდეს ურიცხუსა მას სპასა შინა სულტანისასა (შარავანდ. 127,24); ვითარ აქებ უსაზომოდ, არა გჳმართებს ჩუენ გამჳეება (შაჰნ. 3040,2); ვითარ ირემსა

მაშვრალსა წყაროს წყალი სწყუროდა, ეგრეთ მეფესა რუსეთის კელმწიფის ნახვა სურდა (გურამ. 58).

ვითარცა-ს შესაძლოა -მცა ნაწილაკიც დაერთოს:

და ვითარმცა ახლად ეწყო მოღუაწებად, ესრეთ ცხონდებოდა და უმჯურვალესად რბიოდა (ანტიოქ. 60,26):... ფრიადითა შრომითა და ქვითა-კირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დაავაკეს და ესრჱთ შეჰრაცხეს შემზადებაჲ ადგილისაჲ მის, ვითარმცა სრულიად აღეშჱნა (ხანძთ. ლგ, კჱ, 23).

C

ვითა

ვითარებით-შედარებითი კავშირის როლში ვითა ძველ ქართულში მეტად იშვიათად გვხვდება. თითო-ოროლა მაგალითის თუ დავიმოწმებთ სხვადასხვა ძეგლიდან:

...რათა შემდგომად ჩემსა სამწყსო უსე ქრისტესი, ვითარცა მამამან სულთ-მოყუარემან, კეთილად დამწყსო და, ვითა შეჰგავს შვილთა მამის მოყუარეთა, შეუდგენ კმასა შენსა (ზარზმ. 176,4); ხოლო ეგე კაცნი, ვითა ჩუენ, ევრჱშთვე ხარკსა მისცემენ კაისარსა (არიმათ. 84, 7); ხოლო მე მივენდვე უფალსა იესუ ქრისტესა ლოცვითა მათ წმიდათაჲთა, რაჲთა მიმაწიოს ჩემსა თჳნიერ შრომასა ეგრეთვე, ვითა მოვედით მე და ბერი იგი წმიდაჲ (კიმ. 214,1).

საშუალო ქართულისათვის ვითა ძირითადი ნორმათაგანია. განსაკუთრებით ამ პერიოდის ენის ადრინდელ ძეგლებში იგი გაბატონებულია.

მაგალითები:

არ უმიშ, ვითა მისითა შვითა დაუცლებელნი სრულნი შვებანი (თამარიანი IX,25); ვითა შემდგომათა ხისა ფურცელი ჩაჲვიჭრები და ეგრე მასწავლი, მოკლეთა დღეთა რად არ გაიხარებ სიძვითაო? (ვისრ. 71,15); მიჯნურობისგან ესრე ათრთოლდა, ვითა ტირიფი ქარისაგან (ვისრ. 69,1); ვითა მართებდა მისსა ბუდითსა საუბარსა, ეგრე პასუხი რად არ გაეც? (ვისრ. 65,30); ნიადაგ ესრე ვტირ, ვითა ცისკრისა ჟამსა ვარდსა ზედან იადონი... (ვისრ. 56, 12; აგრეთვე; 12,10; 248,14; 225, 7); ვითა სჯობს არაბეთსა შინა ჰაბუცსა ყველასა, ეგრე გასწავლე შვილი ჩემი (ამირან. 33,19); ვითა ხვდებოდა ჰაბუკობასა მისსა, ეგრე იყო... (ამირან. 51,22); კმა ჰქონდა საზარო, ვითა გრგვინვა ზღვისა (ამირან. 91,34; აგრეთვე; 122,28;

II,201,7); ვითა მან პოვნა მიზეზნი ჩემისა სულთა დგმისანი, ეგრევე მანცა სამისოდ ნახნეს ძალ-გულნი ძმისანი (რუსთ. 1480,3); ვითა დამივსო სახმილი, ეგრე მისიცა კმა დება (რუსთ. 1470,4); მათ სხვათა მათი ამბავი თქვეს, ვითა მგზავრთა წესია (რუსთ. 1219,1); ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა (რუსთ. 1080,4); გაუმარჯვდა ომი მათი, ვითა სწადდა მისსა გულსა (რუსთ. 1045,1: აგრეთვე: 55,1; 57,2; 82,1; 101,2; 13,1; 544,4; 553,1; 160,2; 231,3); ოქროს შუშები მრავალი უყრია, ვითა სალია (შაჰნავაზ. 100,3); ვითა შვილსა. ისრე მიყურებდა (რუსუდ. 728,ე); ასეთი შეიქნა, ვითა ობოლი მარგალიტი (რუსუდ. 746,2); ნარინჯი, მონახჭული ბურთი..., ვითა მზე მაღალთა ცათა, ბრწყინვედა (ქილილ. 165); პირველ ეგრე, ვითა მართებდა, ღმერთი ადიდა... (პროზ. შაჰნ. 423); აწ ნადიროობა ლომ-ვეფხთა სწორად სჩანს, ვითა ჩიტისა (შაჰნ. 3110,3); მაშიგ დაკვლა, ვითა ცხვარი... (შაჰნ. 3138,2); ერთს სიტყვაზედა არ სდგების, ვითა წისქვილი იქცევი (არჩ. 660,1); საწუთრომ, ვითა ზენკალმან, გულს შურის ჯანგი აჰხოცა (არჩ. 684,1); მიამბობ ასეთს ამბავსა, ვითა შენ გეკადრებიან (არჩ. 530,1); გულს ეცა, ვითა ისარი (არჩ. 406,2); ვითა მეფისა წესია, ეგრე მზრდიდნენ (სიბრ.-სიცრ. 41,21); ვითა მამა საყვარელსა შვილსა მასწავლი, ეგრეთცა ვყო (სიბრ.-სიცრ. 16,5); და ქალი, ვითა დიდთა მეფეთა წესია, ეგრეედ აზრდებოდა (ომაინ. 70); ძალ-მოკლებულ არს მცონარი, ვითა მდინარე მდორია (გურამ, 211); ვითა გოდოლთ მშენებელნი, ვავჭდით ენა შარეულნი (გურამ. 329).

ვითა კაუშირი იხმარება ნაწილაკდართულადაც; ერთვის ც(ა) ნაწილაკი. ამის მაგალითები მეტად განსაზღვრულია;

...ვითაცა ვჰმალავ, ეგრეცა უარე და უარე ვარ ამა ჭირისა მალვასა შიგან (ვისრ. 239,10); ზოგჯერ ველსა და ზოგჯერ შინა, ვითაცა სწადიან, თამაშობენ (ვისრ. 241,19); მოაკსენა მან კაცმან მითვე სახითა, ვითაც ენახა (ამირან. 3,22; აგრეთვე: 15,8; 118,5; II,189,17); ვითაც კემწიფეს, ისრევე სიძეს უკვრებდეს (ფარსად. 210); მეზობელნი, ვითაც ყმანი, ემორჩილებოდენ (ფარსად. 216); მე ვითაც ველოდი მტერთაგან ჩემსა წახდენასა და მესმენასა წინაშე მეფობისა თქვენისა, აწ ამით უდიდე შემცოდე ვიპოვები (სიბრ.-სიცრ. 22,1); ვითაცა ერთმანეთისათვის კაის მდომი ვიყავით, ჩვენზე ბეერი გარჯა და სიკეთე მიგიძღოდა (დოკუმენტ. ბერძენ. 222,3; აგრეთვე: 215,4; 173,13).

D

ვით

ვითარებით-შედარებითი კავშირი ვით დამახასიათებელია საშუალო ქართულისათვის. გვხვდება ძირითადად ლექსში.

დავიმოწმოთ მაგალითები:

ბნელ ჰყოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა, ვით მზე დაფარავს სხვათა ვარსკვლავთა (აბდულმესია 33,4; აგრეთვე; 49,4; 44,4); დიონისისგან, ვით ენოსისგან, სრულნი ქებანი ამ მძლეთ ძლიერსა! (თამარიანი 1,2); არას ნახავს პირ-მეტყველსა, ვით ნადირი კაცთა ჰკრთების (რუსთ. 1001,3); განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა (რუსთ. 701,2); საწუთრო და სოფელს ყოფნა, კაცი უჩნსო, ვით ნადირსა (რუსთ. 698,3); მზესა ასრე ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მზრდელი (რუსთ. 710,2); ყმამან სახლი განანათლა, ვით სამყარო მზისა შუქმან (რუსთ. 730,3; აგრეთვე: 321,2; 9,1; 1370, 3); ჩემს ძმას კვირასაც ასრე ჰგავს, ზედ გამოჭრილი ვით თარსა (არჩ. 645,3); ზღვა კოზით არ აღმოიწყვის, ვით საზღვარს არ გარდაჰხდება (არჩ. 613,3); იგ ჩემსა სისხლსა ასე სვამს, ვით მტერნი მტრისას შესმენა (არჩ. 567,4; აგრეთვე; 532,3; 559,3; 548,4; 424,3; 401;3); ვით ჩიტსა, თავი მოვჰკვეთე (შაჰნ. 4936, 2); გული ასე დაუკაწრავს, ვით გალესილს დანას ხამი (გურამ. 344); თქვი: მეც უნდა დამბორკილოს, ვით შაჰ-თამაზ დაბორკილა (გურამ. 300); შემქნა უშრტო, უნაყოფო, ვით კმელის ხისა გალია (გურამ. 340.).

ახალ ქართულს ვით არ ახასიათებს. იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს და იგი არქაულობას ანიჭებს სათანადო ტექსტს. გავიხსენოთ მაგალითები გრ. ორბელიანის პოეტური ენიდან:

მკლავით ძლიერი ქართლელი, ვით ციხე ბურჯი მაგარი (85); თავსა ეზვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა (48); ...ჰსხედენ, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი (48).

გავიხსენოთ ილია;

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა გარეგანმა („პოეტი").

E

რაგვარ...

რაგვარ-ფუძე, გამოყენებული ვითარებით-შედარებით კავშირად, თუმცა იშვიათად, გვხვდება საშუალო ქართულის მოგვიანო

პერიოდში, ე. ი. აღორძინების ხანის ენაში. ჩვეულებრივია-ც(ა) ნაწილაკდართული ფორმები:

რაგვარაცა პირველ მამათა მეცნიერთა და მღვთის მოსავთა მოსამართლეობითა ალუშენებია, ქვეყანა ისრე მოკაზმა (პროზ. შაჰნ. 396); კელმწიფემან მეჯლიში შეკაზმა, **რაგვარაცა** ბედნიერმან ფრიდონ ბრძანა, იმა რიგითა იყვნეს (პროზ. შაჰნ. 399); და ზღვასა უნაოდ შიგან შევიდეს, **რაგვარაცა**, კმელზედან, ისრე (პროზ. შაჰნ. 390); ბნელს ღამესა, **რაგვარაცა** მზე, ისრე ნათობდა (პროზ. შაჰნ. 388); ნიადაგ ეშმაკი კაცთა ცთუნვებისათვინს **რაგვარცა** შაგი ვეშაპი, გარე ეხვევა (პროზ. შაჰნ. 417).

პარალელურად იხმარება ვითარუბით ბრუნვაში დასმული ფორმა: **რაგვარადაც(ა)**:

რაგვარადაცა (წესი იყო), რაზმი დააპირისპირისა და მრავალკეცად დააწყო (პროზ. შაჰნ. 437); **რაგვარადაც** აქა შეჰპირვებულია, მუნცა ცოდვითა დილეგთა პატიმარ იქმნასო (ქილილ. 257); **რა გვარადაც** ამ სოფელს უბადონი არიან, საეჭვ არიან, საიქიოსაცა მაღლისა ხარისხისაგან ვიეთნი უცხო შეიქმნებიანო (ქილილ. 257; აგრეთვე; 240; 241; 174; 262); გუვანდეს და გიბეჭდნიეროს ღმერთმა, **რა გვარათაც** სხვას მონასყიდეს კაცს ყოლოდეს, ისე იმგვარი ღმერთმან შოგახმაროს (დოკუმენტ. ბერძენ. 77,11); **რაგვარათაც** გინდოდეს, გეხელყოდეს (იქვე 245,11); **რაგვარადაც** სხვას მონასყიდეს მოჰყმაროდეს, ისე ღმერთმან ან შენ შოგაკმაროს (იქვე 369, 11); **რაგვარადაც** ბატონ-ყმობის წესი იყოს, იმგვარად იმსახურო.... (დოკუმენტ. თაყაიშვ. 6,8).

რაგვარ შესაძლოა საშუალო ქართულის ადრინდელ ძეგლებშიც შეგვხვდეს. „ვეფხისტყაოსანში“ (-ცა ნაწილაკის დართვით) ვკითხულობთ:

ნახეს, იცნეს, **რაგვარადცა** ჰმართებს, აგრე გაეხარნეს (673,2).

გვხვდება აქა-იქ უნაწილაკო ფორმაც:

რაგვარ ცოლ-შვილი გიყვარს, ისრე მსახურე (პროზ. შაჰნ. 383); **რაგვარა** მე სულითა და კორცითა ვიწვები, აგრე მათ დასწვი გული და სიმწარის მეტსა მათ სიხარულსა ნუ უჩვენებ (პროზ. შაჰნ.).

F

როგორც(ა)

საშუალო ქართულის მოგვიანო პერიოდისათვის, ე. ი. აღორძინების ხანისათვის დამახასიათებელია **როგორ**-ფუძის საკავშირებელი ერთეული შედარების ფუნქციით, რომელსაც ჩვეულებრივ ერთვის -ცა ნაწილაკი; ზოგჯერ ნაწილაკის ბოლო ა მოკვეცილია ანდა -ცა-ს წინ უძღვის ა ხმოვანი, ზოგჯერ ისმის ვითარებით ბრუნვაშიც. ამგვარად, ვადასტურებთ შემდეგს ფორმებს: **როგორცა, როგორაც(ა), როგორც, როგორადაც.**

მაგალითები:

როგორაცა ხის ფურცელნი ქარისაგან ირხევის, ავრევე მისითა შიშითა ირხეოდეს (პროზ. შაჰნ. 374); **როგორაცა** ყმანი და მონა ტახტის თქვენისა ყოფილვართ, ისრე ვმსახურობთ... (პროზ. შაჰნ. 383; ავრეთვე: 189; 424); და ძაგებასა დაუწყებენ, **როგორცა** მას მგელს მოუხდაო (ქილილ. 252); **როგორც** მოხდა, სწორად მოვახსენებ (ქილილ. 209);... მას ეგრე მოუვა, **როგორც** მას ქორის ბაზიერს მოუხდაო (ქილილ. 219); **როგორც** კელეშიფეს ეკადრებოდეს, ისრე გაარიგოსო (რუსუდ. 945,11); **როგორც** მგელი ცხვარს, ისრე მტერთ უნდა მიუჯდესო (ფარსად. 216); **როგორც** ტყვა ლბილი ალმას ფასთა ლის, ავრეთვე ქალი ხომ რბილი არის... (ვახტ. სჟ, ე); **როგორც** მთვარე მზის შემყურელი დალეულია, ისე მე დავილიე თქვენის ხლებითა (ვახტ. ტია, რკე).

განსაკუთრებით უხვად გვაწვდის სათანადო მასალას საბუთების ენა:

...ისე შეასრულეთ, **როგორც** მაშინ მოგვეწეროს (დოკუმენტ თაყაიშვ. 32,9);... დასწერე ამ წიგნშია, ღვთის წინაშე, **როგორც** იცოდე (იქვე 12,10); **როგორც** მომეწეროს, თუ ისე არ ჰქენი, არ იჭნება (იქვე 64,14); **როგორც** აქამდის გარჯილხარ, კიდევ ისე უნდა ეცადო ფაშასთან (იქვე 83,23; ავრეთვე: 64,5; 61,9; 111,19; 220,11; 105,11); აწე ცქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, **როგორც** მრავალსა ალალსა მონასყიდესა მართებდეს (დოკუმენტ. ბერძენ. 73,11); გქონდეს სამკუთდროდ და სამამულოდ, **როგორც** ჩუენგნით ნაბოძებსა ჰმართებს (იქვე 2,30; ავრეთვე: 58,19; 63,10; 86,11; 105,5; 159,16: 138,13; 248,7; 273,8; 627,49; 210,8; 214,2; 82,13; 97,7; 164, 18; 185,4; 226,15);... **როგორც** ზევით დაგვეწეროს, იმრიგად გამოართვით (საისტორიო მოამბე, II, 16, 5; ავრეთვე: 15,21;

14,37; 16,11; 16,23; 16,30); ...იმათი ბეგარა **როგორიცა** დაგვიწერია, ისრე ყოველსა წელიწადსა... სახახლეში მოიტანდენ (საეკლ. საბ. 42, 18; აგრეთვე; 42,28; 53,11; 37,24; 80,12.

ახალ სალიტ. ქართულში დაკანონებულია **როგორც**. გაეცნოთ მასალას:

როგორც იმათ დააწყონ მასლაათი, ისე იქმნას (ორბელ. წერილ. 8,159); **როგორც** ზოფის წამალი ნაპერწკლისაგან, ისე ავფეთქდი სიყვარულისა და ნატვრისაგან (ილია 296,22); ისე გაგიფრთხილდება, **როგორც** თავის ორ თვალსა (ილია 307,5); ის დალოცვილი გვინახავდა, **როგორც** საკუთარ შვილებსა (ილია 270,30); ციცია, **როგორც** უკვდავება და ჩუმია, **როგორც** განცხრომა (ილია 256,14); იმის ნაშრომ-ნაღვაწს ისე უნდა უყურებდენ, **როგორც** ოქროს მადნეულის ძარღვს (აკაკი 473); ისე მეხვეოდენ გარს, **როგორც** ჩხიკვები ბუს (აკაკი 392); მისი ისე ეშინოდათ, **როგორც** სულთამხუთავისა (აკაკი 130); ისე ვიდეგ, **როგორც** კლდე (ვაჟა 146); ეკეროდა ისე, როგორც ქორის კლანჭები მისგან შეპყრობილს კაკაბს (ვაჟა 139); **როგორც** მოხუცი ყავარჯენს, ისე მოაბაკუნებდა ფეხებს (ვაჟა 160); **როგორც** სთქვა ნინიამ, მათიაც ისე მოიქცა (ყაზბ. 47); რატომ არ უყვარს დღეს მწყემსს ის ადგილი..., **როგორც** ყველა სულდგმულს (ყაზბ. 18); **როგორც** ჩალხო დაბერდა, ისე მისი წისქვილი . (ყაზბ. 117).

G

რარიგადაც

საშუალო ქართულის ზოგიერთი ძეგლი (განსაკუთრებით საბუთები) გვაწვდის მსგავსებითი შედარების საკავშირებელ ერთეულს— **რარიგადაც** (იშვიათად **რარიგადცა**, **რარიგაცა**). ფუნქციურად იგი ეტოლება **როგორც**-ს.

მაგალითები:

მერმე ერთმანეთს ხელი უპყრეს და ფიცი მისცეს, **რარიგადაც** პირობის შეცვრის წესი იყო (ქილილ. 217); **რა რიგადაც** შენი ნათლად ჰკვეთა სარჩეველი იყოს, ესე საქმე ეგრე წინარე წაიყვანეო (ქილილ. 177);... ნიშანი ესე ჩუენი თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ, **რარიგადაც** ამა ჩუენგან ნაწყალობევსა ფარვანაშიგა ეწეროს (დოკუმენტ. თაყაიშვ. 2,35); ბრძანება და ნიშანი ესე ჩვენი თქვენც ასრე გაუთავეთ, **რა რიგადაც** ამა ჩვენგან ნაბოძებს ფირმანსა შინა ეწეროს (დოკუმენტ. ბერძნ.

1.17,19); რარიგადცა სხვა ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიისა სოფელი და ყმა განთავისუფლებით და მკვიდრად შეწირული იყოს, ისრევე მკვიდრად და სამკვიდრად შეგვიწირავს (იქვე 8,17); რა რიგადაცა გელათის გუჯარშიგან უვნებელ ბატიო ეწეროს, ისრე ამათი დაეწუროს (საეკლ. საბ. 31,10).

ბ

სხვაობითი შედარება

ორ შესადარებელ ერთეულს შორის შესაძლოა მოხდეს შედარება არა მხოლოდ მსგავსების მიხედვით, არამედ რომელიმე განმასხვავებელი ნიშნის საფუძველზედაც. ამ კატეგორიის შედარებას ჩვენ ვუწოდებთ „სხვაობით შედარებას". სხვაობითი შედარება, თავის მხრივ, ორ ქვეჯგუფს გვაძლევს. ერთი მხრივ, გამოიყოფა ისეთი სხვაობითი შედარება, რომელიც დაფუძნებულია დიამეტრალურად საპირისპირო ნიშანზე, ხოლო, მეორე მხრივ, ვღებულობთ ისეთ შედარებას, რომელიც ემყარება ხარისხში განსხვავებას.

კავშირებია:

ვიდრე
ვირე
ვინემ

ავიღოთ მაგალითი:

...შვილთა წმიდისა ეკლესიისათა აღირჩიეს სიკუდილი ქრისტეს-თჳს, ვიდრე-და არა უღმრთოებით ცხორებაჲ... (წარტყუენ, კ. 25).

აქ შედარება გულისხმობს ორი მოვლენის ერთმანეთთან დაპირისპირებას: „ცხორებას" უპირისპირდება „სიკუდილი".

ამავე რიგისაა ნიმუშები:

უმჯობეს არს შენდა შესლვად ცხორებასა მკელობელისაჲ გინა უჴელოჲსაჲ, ვიდრე ორნი ჴელნი და ორნი ფერჴნი თუ გესხნენ და შთაჰვარდე ცეცხლსა მას საუკუნესა (მათე 18,8); უმჯობეს არს შენდა, რაჲთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა ცეცხლისასა (მათე 5,29); უმჯობეს არს ჩემდა ჴელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ (შუშან. 10, III, 26); კეთილ არს შენდა არა აღთქუმაჲ, ვიდრე აღთქუმაჲ და არა მიცემაჲ (ეკლეს. სოლ.

203, ე,4,); ნ. ნიკოლაძე მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო... და სულ სხვა მიმართულების, ვიდრე მე (აკაკი 460, 12); ეგენი ფულს სულ სხვა თვალით უყურებდენ, ვიდრე ჩვენ (აკაკი 448).

ავიღოთ მაგალითი:

ყველას ვაებატონი უფრო უყვარდა, ვიდრე ქალბატონი (აკაკი 402).

აქ სხვაობა ხარისხშია: ვაებატონი უფრო უყვარდათ,— ქალბატონისადმი სიყვარული გამორიცხული არაა.

ამ ტიპის სხვაობითს შედარებას სადიფერენციაციო ფორმალური ნიშანი ახასიათებს. კავშირს მთავარ წინადადებაში უფროობითი ხარისხი ანდა „უფრო"-ზმნიზედადართული შემასმენელი შეესაბამება:

...ტკროსი და სიდონი უმოლხინეს იყვნენ დღესა მას საშჯელისასა, ვიდრე თქუენ (მათე 11.22); ...ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გომორისაჲ უმოლხინეს იყოს დღესა მას საშჯელისასა, ვიდრე შენ (მათე 11,24); უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გომორისაჲ დღესა საშჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი (მათე 10,15); უფალო, სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს, ვიდრე სიცოცხლით... (შუშან. 30,X,3); ...უფროს არს ყოველსა რჩულსა ქრისტეანობაჲ, ვიდრე ულმრთოებაჲ (ევსტ. მცხეთ. 161,30); მე უმეძლებელეს ვარ თქუმად, ვიდრე შენ (თომას აპოკრ. 38,85); ეს ოთხი თვე უფრო ნაყოფიერი იყო ჩემთვის, ვიდრე რვა წელიწადი გიმნაზიაში (აკაკი 444); ხოლო მზე, შეიძლება, გალმითურს უფრო ათბობდა, ვიდრე გამოლმითურს (ვაჟა 57).

საშუალო ქართულში სხვაობითი შედარება ზოგჯერ გამოხატულია ვირე კავშირით.

მაგალითები:

დედანი ნებისაკენ უფრო იზიდვენ, ვირე სახელისაკენ (ვისრ. 65,32); შეცოდებისა ნახვა და მალვა სჯობს, ვირე უნახაობა და წამებაო (108,31); შენთანა სიკვდილი სჯობს, ვირე აწ გარე შექცევასაო (ამირან. II, 162, 11).

ახალ ქართულში შეიძლება შეგვხვდეს ვინემ, რომელსაც ვიდრეს შინაარსი აქვს.

იგულისხმება ამ ტიპის ფაქტები:

მე უფრო მეტი დამიწერია პოლემიკური სტატიები, ვინემ საზოგადო ინტერესისა (ნიკოლაძე); რეზო უფრო მომზადებუ-

ლია არითმეტიკაში, ვინემ ვახტანგი; ეს ოთხი თვე უფრო ნაყოფიერი იყო ჩემთვის, ვინემ რვა წელიწადი გიმნაზიაში, და მისთ.

გ

იგივეობითი შედარება

ახალ სალიტერატურო ქართულში როგორც კავშირმა სპეციალური მნიშვნელობა განივითარა: იგი ფუნქციის აღმნიშვნელია და იმდენად შედარებას არ გამოხატავს, რამდენადაც იგივეობაზე მიუთითებს. ამგვარ შედარებას ჩვენ ვუწოდებთ „იგივეობითს შედარებას", ხოლო სათანადო კავშირს „იგივეობითი შედარების კავშირი" უნდა დავარქვათ.

იგივეობითი შედარება ჩვეულებრივ დანართის სახითაა მოცემული. შესადარებელი ერთეულების გამომხატველი სიტყვები ერთმანეთს ეთანხმებიან ბრუნვასა და რიცხვში:

> მე, როგორც გულმტკივნეული შვილი, ჩავუფიქრდი ამ ჩემის ქვეყნის მწუხარებას (ილია 254,21); იმ დროს, როგორც უხუცესი, ის ითვლებოდა ახალთაობის მეთაურად (აკაკი 483); (ს. მესხი) როგორც საზოგადო საქმეების თანამგრძნობი, უებრო იყო (აკაკი 474); მითხარი დაუფარავად, როგორც მამას (აკაკი 455); ბევრად უკეთესი მიღებული იყვენ ყველაზე ქართველები, როგორც დიდი ოჯახის შვილები და თვალტანადობითაც არჩეულები (აკაკი 453); მას თურმე დარეჯან ბატონიშვილი აგონდებოდა, რომელიც შვილსავით ზრდიდა და ანებივრებდა, როგორც შესანიშნავ ბავშვს (აკაკი 399); ...ნახევარ კვერცხს მიაართმევდა ბატონს, როგორც ბეგარას (აკაკი 411); მკვლელობა მიაწერეს ცოლის ნათესავებს, როგორც ცარეშე მემკვიდრეებს (აკაკი 412); წინ მიუძღოდა ერთი დედაკაცი, როგორც ბელადი (ვაჟა 213); გავიმ, როგორც გამოცდილმა კაცმა, მაწინადდე იფიქრა... (ყაზბ. 16); ...ბერდიამ, როგორც უფროსმა, საჭიროდ დანახა გამოესასალმებელი სიტყვის წარმოთქმა... (ყაზბ. 30); პირველი გამოიწვია თავმჯდომარემ სიმონ ჩოფიკაშვილი, როგორც მომჩივარი (ყაზბ. 53); იმის შემდეგ გამოიწვიეს ელგუჯას შორეული ნათესავები, როგორც დამცველნი იმის გვარეულობის ინტერესისა (ყაზბ. 53). ამავე რიგისაა ნომინალური წინადადებები, როგორიცაა; „იმ-

პერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია", „მელიქიშვილი როგორც მეცნიერი". — „ხორავა როგორც მსახიობი", „რიტმი როგორც დიალექტიკა", „მაჩაბელი როგორც შექსპირის მთარგმნელი", „არსენა ოძელაშვილი როგორც სახალხო გმირი", „პეტრე უმიკაშვილი როგორც ხალხური პოეზიის ნიმუშების შემკრები", „ქავთარაძე როგორც სტახანოველი" და მისთ.

დ .

შეფარდებითი შედარება

„შეფარდებითის შედარებას" ჩვენ ვუწოდებთ ისეთ კონსტრუქციას, როდესაც შესადარებელ ერთეულებს შორის არის შეფარდებითი მიმართება, პროპორციული დამოკიდებულება, — ამგვარი შედარება გამოხატავს ან ხარისხში შეფარდებას, ანდა რაოდენობრივ შეფარდებას. შეფარდებითი შედარების გამომხატველ კავშირს „შეფარდებითი შედარების კავშირი" უნდა ვუწოდოთ.

ავიღოთ მაგალითი:

„რამდენადაც ტყეს ვუახლოვდებოდი, იმდენად შიში მემატებოდა".

აქ ტყესთან დაახლოებასთან პირდაპირპროპორციულია შიშის მომატება. წინადადება გამოხატავს ხარისხში შეფარდებას. ხოლო მაგალითში:

„რამდენ დათვსაც (=რამდენსაც) მოჰკლავდა მოხუცი თედო, იმდენი ღონე აკლდებოდა".

დათვის კვლის რაოდენობასთან პირდაპირპროპორციულია ღონის დაკლება. წინადადება გამოხატავს რაოდენობრივ შეფარდებას.

სათანადო კონსტრუქციის ნიშნები არის ძველ ქართულში, ჩამოყალიბებული და გავრცელებულია საშუალო და ახალ ქართულშიც.

შეფარდებითი შედარების კავშირებია:

რაზომ(ცა)
რაზომიცა
რაოდენ(ცა)
რამდენიც
რაც(ა)

A

რაზომ(ცა)

გამოხატავს ხარისხში მეფარდებას. დამახასიათებელია საშუალო ქართულისათვის. გვხვდება როგორც უნაწილაკო ფორმა, ისე -ც ნაწილაკდართული.

უნაწილაკო კავშირი იშვიათია. უმთავრესად ვადასტურებთ არჩილთან.

მაგალითები:

რაზომ სჯობან ჰაბუკსა ყველასა არაბნი, ეგზომ ფიცხელი ომი იყო... (ამირან. 49,25); **რაზომა** (sic) ცოტათა ხანისა იყო, მას ჩემსა ესრე მყოფობასა ვინღა მეაჯერებს? (ვისრ. 238,21); შენ **რაზომ** სიტყვას ამრავლებ, ჩემი არ არის იქ ნება (არჩ. 534,2); **რაზომ** სიდიდეს გემობდე, თავს ნუ ახვალ სულ დიადსა (არჩ. 596,2);

ჩვეულებრივია საშუალო ქართულისათვის -ცა ნაწილაკდართული ფორმა: **რაზომცა**.

ნიმუშები:

რაზომცა თათბირიანი ვიყავ, ესე არ ვიცოდი, თუ გულსა სიყუარული დაუბერდებისო! (ვისრ. 258,8); **რაზომცა** მისისა მიჯნურობისაგან ჰირი ნახოს, ლხინად უჩს (ვისრ. 55,16); იგი მგზავრობა თამამად უჩნდის, **რაზომცა** დიდი ჰირი ნახის (99,8); **რაზომცა** კელმწიფე და ნებასა ზედა მოვლენილი ვარ, მტერისაგან მოყურისა შექმნა არა შემიძლიაო (ვისრ. 29,33); **რაზომცა** კეკლუცი და კელმწიფე ქმრები უცის, მალვით ეგრეცა მიჯნურობენ და სხუანი შეუყუარდებიან (ვისრ. 64,8; აგრეთვე: 31,23; 221,13; 257,23; 273,3; 128,31; 315,3; 210,10; 280,22; 291,12; 17,24); **რაზომცა** ჯაბანი ვარ, წებმასა ....არა ვღირსვარო? (ამირან. 129,26); **რაზომცა** შვილნი ურჩნი და ცუდგონებელნი იყვნენ, ეგრეთვე მამასა გული დაეწვების (პროზ. მაჰნ. 439); ...**რაზომცა** ტრფიალობა მეტობს, ეზომცა უფრო და უფრო ტურფად ეჩვენება... **რაზომცა** ყმა და ლაშქარნი მეტი ჰყავს, აგრეთვე უმეტესი მოუნდებაო (ქილილ. 155); მტერი **რაზომცა** ძლიერი იყოს, თუცა კაცზედ უაზროდ არის, იგი კაცი მას ხელთ ადვილად იგდებსო (ქილილ. 116); შემინდევ შენსა მონასა, **რაზომცა** არ ფებრალები (არჩ. 623,4); **რაზომცა** თავს აბრალებდა, მან უფრო უიმედო ყვის (არჩ. 488,2);

კავშირი წინადადების თავშია; მეტად იშვიათად ხდება ინვერსია.

B

ᲠᲐᲖᲝᲛᲘᲪ(Ა)

რაოდენობრივი შედარების კონსტრუქციაში საკავშირებელი ერთეული ეთანხმება ბრუნვაში (და რიცხვში) დამოკიდებული წინადადებისავე ქვემდებარეს ან დამატებას, რომელიც, თავის მხრივ, მართულია ბრუნვაში ამავე წინადადების შემასმენლის მიერ. რომელიმე ბრუნვაში დასმულ რაზომ-ს ერთვის -ცა ნაწილაკი ან არ ერთვის:

რაზომი მდინარეთა და ზღუათა შიგან ცუარია, ეგზომსა სურვილსა და თაყუანისცემასა მოგაჴსენებ (ვისრ. 246.36); **რაზომი** თოვლი და წუიმა ამას ღამე ცისაგან ჩამოსრულა, ასი ეგზომი შეჭირვება ჩემსა გულსა ზედა დადგომილა (ვისრ. 279.26); **რაზომნიცა** ციხენი და ქალაქნი ააშენნა, ყოველგან წყაროს თუალნი გამოადინნა (ვისრ. 322,4); **რაზომსაცა** მისისა სიყუარულისათუის ჭირსა ვჰნახავ, ეგზომჯერცა ღმრთისაგან მისსა უჭირველობასა ვითხოვ (ვისრ. 54,35); **რაზომსაცა** ბიჯსა წარსდგამს, ეგზომსაცა დაღსა დამსუამს ჩემსა გულსა ზედა (ვისრ. 299,9); **რაზომსაცა** გზასა ვლიდე, მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდე (რუსთ. 811,2); **რაზომნიცა** დღენი გვესხნეს, საწუთროსა ხელი ვყაროთ (არჩ. 298,1).

C

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲪ

როგორც ნორმა — ნიშანდობლივია ახალი სალიტერატურო ქართულისათვის.

მაგალითები:

რამდენადაც სურათია კარგი, იმოდენად საძაგელია ნამდვილი (ილია 247,7); იმდენად სწამდა საქართველო მხოლოდ, **რამდენადაც** საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის (აკაკი 479); **რამდენადაც** მოხუცი მეტს უყურებდა დაჭრილს ვაჟკაცს, იმდენად მეტის მზრუნველობით ეკიდებოდა (ყაზბ. 43); **რამდენადაც** გაგი აქ იტანჯებოდა, იმდენად გორაზედ მყოფთ ნუგეში ეძლეოდათ (ყაზბ. 24); **რამდენადაც** ქვეშეს უახლოვდებოდა, იმდენად გული ელეოდა (ყაზბ. 69); **რამდენადაც** მარტიას რცხვენოდა გაუბედაობა, იმდენად მტრების სატანჯველში მიცემა არ ეთანხმებოდა იმის შეხედულებას (ყაზბ. 19).

დამოწმებული ნიმუშები ხარისხში შედარების კონსტრუქციისაა.

რაც შეეხება რაოდენობრივი შედარების კონსტრუქციას, ახალ სალიტერატურო ქართულში დაკანონებულია შემდეგი ნორმა: საკავშირებელი ერთეული ეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში დამოკიდებული წინადადებისავე ქვემდებარეს ან დამატებას, ხოლო -(ც) ნაწილაკი დაესმის არა კავშირს, არამედ მასთან შეხამებულ სახელს. იგულისხმება ამ ტიპის კონსტრუქცია:

რამდენ მ გ ე ლ ს ა(ც) ვესროლე, იმდენი მამალი აღმოჩნდა;
რამდენი კ ა ც ი(ც) გამოჩნდა, იმდენი ჩვენი სოფლელი მეგონა: **რამდენმა** ჩ ი ტ მ ა(ც) გადამიქროლა, იმდენია ტყვია მეგონა.

რაკი კავშირი ეთანხმება ბრუნვაში ქვემდებარეს ან დამატებას, ბუნებრივია, იგი მოგვევლინება ქვემდებარე-დამატების ბრუნვებში (სახელობით-მოთხრობით-მიცემითში).

თუ ქვემდებარე-დამატება ნაგულისხმევია, საკავშირებელი სიტყვა ნაწილაკდართულია:

რამდენსაც ვესროლე (მგელს), იმდენი მამალი აღმოჩნდა;
რამდენიც გამოჩნდა (კაცი), იმდენი ჩვენი სოფლელი მეგონა;
რამდენიც გადამიქროლა (ჩიტმა), იმდენი ტყვია მეგონა.

არის შემთხვევები, როდესაც -ც ნაწილაკი დაესმის საკავშირებელ სიტყვას, იმისდა მიუხედავად, რომ მას მოსდევს სახელი.

დავიმოწმოთ მაგალითები ლომოურის ენიდან:

რა? დენიც დ რ ო გადიოდა, იმდენად უფრო და უფრო რგვალდებოდა ბურთივით; **რამდენიც** დღე გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო ცივდებოდა; **რამდენიც** დ რ ო გადიოდა,... იმდენად დედი ჩემის სახე სევდისა და მწუხარების ნისლებით იფარებოდა.

სათანადო კონსტრუქციის — შეფარდებითი შედარების — საწყისები მოცემულია ძველ ქართულშივე: **რაოდენ** კავშირის მაგალითებს გვაწვდის ზოგიერთი ძეგლი ძველი ქართულისა;

რაჲოდენ დიდ იყო, ეგოდენ დაიმდაბლე თავი... (ეკლეს. სოლ. 111,30); და **რაოდენცა** ძალ-გეღდას, თხოვად მისსა ნუ დააცადებ (ანტიოქ, 103,38); რამეთუ **რაოდენცა** აღეშატებოდის ცოდვაჲ, ეგოდენცა ულრმესსა ქუესკნელსა და უმწარესთა სატანჯველთა ჯოჯოხეთისათა მოატყუებს მოქმედთა მისთა (ანტიოქ. 83,8); **რაოდენი** ძალი იყო გონებასა ჩუენსა და მეცნიერებაჲ ქელოვნისაჲ, ეგოდენ შეუძლეთ განშუენებაჲ აპოლონისი (კიმ. 151,6);

შდრ. საშუალო ქართულიდან:

რაოდენ უაღრესად საკადელ არს უსისხლოდ მსხუერპლი, — ჯორცი და სისხლი ღმრთისა კაც-ქმნილისაჲ, — მსხუერპლსა ზროხისასა, რომელი აჩრდილი იყო მომავლისაჲ, ეგოდენ უბრწყინვალეს და უზენაეს არს, რომელი აწ იქმნა და ითქუა (შარავანდ. 117,12).

ამავე მასალის ნაწილაკდართული სიტყვა სათანადო ფუნქციით საშუალო ქართულშიც უაღრესად იშვიათად გვხვდება. გავეცნოთ ზოგიერთ მაგალითს:

მე მიჯნურობამან ესეთი ცეცხლი მომიდგა გულსა, რომელ **რაოდენცა** ვავსებდე, უფრო და უფრო აენთების (ვისრ. 196,5); **რაოდენსაც** თავის მართლებას ეცადა, არავინ უსმინა და ხელთა მოკვეთაზედ მიდგა (ქილილ. 194); **რამდენსაც** მოთმენას ვსცდილობ, მწუხარება და ნაღველი მისის სიკვდილისა უფრო და უმეტეს მომემატება (ქილილ. 180); მე **რამდენიც** მომიჩხრეკია, ვერა ორგულობა და დამწაშაობა, ანუ უკადრისი რამე ხარისაგან ნაქმარი არა მიპოვნია რა... (ქილილ. 180); **რამდენსაც** ზარბაზანს გასტყორციდნენ, იმდენს ჩვენი მენავენი ვაივარელს დაიძახებდნენ (საბა, მოგზ. 5).

უნდა დავასკვნათ: **რაოდენ** ფუძეზე აღმოცენებული კავშირი შეფარდებითი შედარების ფუნქციით ძველსა და საშუალო ქართულს არ ახასიათებს როგორც ნორმა, მაგრამ მათი სპორადული გამოვლენა ზოგიერთ ძეგლში საგულისხმოა ამ კავშირის და, ამავე დროს, სათანადო კონსტრუქციის ისტორიისათვის.

D

რაც

საშუალო და ახალმა ქართულმა **რაც** კავშირი იცის შეფარდებითი შედარების ფუნქციით უაღრესად განსაზღვრულ შემთხვევებში; იგი მნიშვნელობით ეტოლება **რამდენადაც**-ს, როდესაც ეს უკანასკნელი გვევლინება ხარისხში შედარების გამომხატველი საკავშირებელი ერთეულის როლში.

მაგალითები საშუალო ქართულიდან:

რაცა ღონე ვიცი, მივიჩარვებ რამინს თანა (ვისრ. 197,18); **რაც** დაგვეშაებინოს, იმგვარად გარდავიხადოთ (ომაინ. 79,1); ვიარეთ, **რაც** შეგვეძლო (რუსუდ. 773,9); და მისდევს ყმაწვილი, **რაც** მუკლი აქვს (რუსუდ. 749,6,4); **რაც** სოფლურს გაძლებინებას შეეფერება, აზნაურიშვილები და იქიურნი მსახლობელნი გლეხნი გვაძლებინებდეს (იესე ოსეშვ. 15).

მაგალითები ახალი ქართულიდან:

რაც უფრო და უფრო უახლოვდება აუცილებელ სავანეს, თანდათან იჩენს აუჩქარებლობას... (აკაკი 383); სადილი რაც უფრო გრძელდებოდა, უფრო და უფრო ეტყობოდა მხიარულება უველას (აკაკი 397); რაც კი შესაძლო იყო, თავი არ დაუზოგნია ნიკოს გამოზრდაში (აკაკი 475); ძალიან ეფრთხილობდით, რაც-კი შეგეძლო (აკაკი 387); ის გარბოდა გორისაკენ, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდა... (ყაზბ. 20); რაც შეიძლო, ბევრი სისხლი დაანთხიე... (ვაჟა).

ირეალური შედარება

ირეალური შედარების კონსტრუქცია უკვე ჩამოყალიბებულია საშუალო ქართულში.

საშუალო და ახალ სალიტერატურო ქართულში სათანადო კავშირებად გამოყენებულია:

ვითა	ვითომ(ც)
ვითამ	თუ სთქვა
ვითამც(ა)	თითქო(ს)

გავეცნოთ მათ ცალ-ცალკე.

ვითა

გავრცელებია საშუალო ქართულში მეტად იშვიათად.

დავიმოწმოთ მაგალითები:

ვითა მკუდარი გაცოცხლებულ იყო, ეგრე გალხინიანდა (ვისრ. 249,20); იჩქითად სინათლე გამოვიდა ასეთი, ვითა მზე ამოსულიყო (ამირან. 83,24); ასე მოსვენებით ვიყავით, ვითა რბილად ლოგინზე ვწოლილიყავით (რუსუდ. 771,5); ერთი მათ შორის ასე ჩნდა, ვითა მზე ამოსულიყო (არჩ. 687,2); რა იგი ჰაბუკი ველარა ნახა, ეგრე დაშმუნდა, ვითა ძე იგი მოკდომოდა (სიბრ.-სიკრ. 8,19).

ვითამ

არაა ფართოდ გავრცელებული. უმთავრესად ვადასტურებთ არჩილთან:

ასეთის გუნებით ადგა ჯელმწიფის შვილი, ვითამ არა სჭირვებოდა რა (რუსუდ. 771,8); რა გავათ, მე გაგიზარდო, ვითამ

ვჰყოფილვარ ბიძაო (არჩილიანი 1); ასრე ვამბობ სრულ ნაკლულად, ვითამ იყო რამე ჩრდილად (არჩილიანი, I); ბოლოს არაკსა თან ატანს, ვითამ რამ სამგზალიაო (არჩ. 147,1); ლომს ძღგილი დაეაეგდო, შიშით ვითამ უსულობდა (არჩ. 307,2); შენი სამარე მეცა დამარე, ვითამ არს არე-ეს განვიზრახე (ბესიკი 8).

ვითამც(ა)

ფართოდ გავრცელებულია საშუალო ქართულის ადრინდელ ძეგლებში. გავეცნოთ მასალას:

შენ გულსა ესე იმედად უთხარ, ვითამცა შორით კვლავ მოვიდოდის (თამარიანი VI,7); ყმა დაჭმუნდა, ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი გულსა შუა (რუსთ. 845,1); გული დაიამე, ვითამცა არცა მიცნობ... (ვისრ. 254,4); ძილისპირ იქმნა და არავე დაეძინა, ვითამცა საგებელი მისი ქუეშე ეკალი და ბირკი ყოფილ იყო (ვისრ. 248,8); ...ესრე გაეხარნეს, ვითამცა ორნივე უკუდავქმნილ იყვნეს და მეფობა ეხარა (ვისრ. 300,4); აღარაა ჩემთანა კაცობა და გამოსრული ვარ ყოველთა სიხარულთაგან, ვითამცა წამითი-წამ ორთავე თუალთა დანითა ვინმე მჩხულეტდა (ვისრ. 307,34; აგრეთვე: 190,19; 209,16; 247,19; 99,44); ესრე შეიყვარეს, ვითამცა ყოველთა შვილი ყოფილიყო (ამირან. 35,37); ეგზომ გაეხარნეს, ვითამც ყოველი ქვეყანა მისცემოდა (ამირან. 19,35; აგრეთვე; 131,10; 73,15; II,124, 15).

ახალი სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელია ვითომ — ვითომდა სათანადო ფუნქციით:

ერთმანეთს ჰყლეტდ, ვითომ კლდე ბრიყვიაო... (ვაჟა 20); თავი ისე ეჭირა, ვითომ მამლის იქ ყოფნა არ იცოდა (ვაჟა 206); ...და ამისათვის დაიბარა თავისი ერთგული კაცი, გაგზავნა ქალთან და მოაყვანინა, ვითომც ჩვენების ჩამოსართმევად (ყაზბ. 32); სხვები ზარს ააყოლებენ მოთქმით ტირილს, ვითომდა მკვდარიაო... (აკაკი 402); მეულიამაც თვალი მოარიდა, ვითომდა ვერა ხედავდა (ვაჟა 204); მე ისე მეჩვენა, ვითომც საბის მეტყველება შესცვლოდა (ილია 267,27).

თუ სთქუა

საშუალო ქართულის ზოგიერთი ძეგლი გვაწვდის ირიალური შედარების გამოსახატავად თუ კავშირისა და თქმა ზმნის პირიელი ფორმის შეხამების საფუძველზე აღმოცენებულ მთლიანობას, რო-

მეღიც ფუნქციურად უდრის **ვითა** (**ვითამცა...**) და **თითქოს** კავშირებს.

დავიმოწმოთ მაგალითები:

ყუელამან თავისა სიხარული დაივიწყა, **თუ სთქუა** ვიროს სიხარული ანთებული სანთელი იყო და ანაზდად ქარმან დაავსო (ვისრ. 30,31); ზოგსა თავსა აფთი შევიდის, ვითა ტუინი, თუ სთქუა ჯრმალმან იცოდა, თუ ღმერთმან სული კაცისა ტანსა შიგან სადა დაამკუიდრა.. (ვისრ. 24,23); ორთავე ლაშქართა ერთმანერთსა შეუტევეს, **თუ სთქუა** ორნი მთანი ბასრისანი ერთმანერთსა შეეტაკნესო (ვისრ. 24,9); ჯმა იყო, **თუ სთქუა** ეშმათა ჯმა არისო... (ვისრ. 23,8); აბაყარს ჰკრეს, **თუ სთქუა** ჯეონისა წყალი ქოისტანისავე მივაო (ვისრ. 104,10), და ვისისა საუბრისაგან სურნელობისა კუამლი... დადგომილ იყო, **თუ სთქუა** ამბარსა და ალვასა აკუმევდეს (ვისრ. 83,1); ...**თუ სთქუა** შეღამდა, ძარე დაბნელდა ქუეყანი (ვისრ. 14,17); ჩემი გული ნავღლითა სავსე არის, **თუ სთქვა** საწუთროსა ჩემი ქელი და ფერკი შეუცრავს (პროზ. შაჰნ. 386); ...ზედან ჩარდახი მოკაზმული შვენიერი, **თუ სთქვა** ცასა ზედან აგებული არისო (პროზ. შაჰნ. 390); შეიქნა ომი ფიცხელი, **თუ სთქვა** მათი ძახილი ცათამდინს გაიწეოდა ... (პროზ. შაჰნ. 391); ასეთი ომი და ყვირილი შეიქნა, **თუ სთქვა** ცა ჰეხდა და ქვეყანასა ზედან დაეცემოდა (პროზ. შაჰნ. 391); ასრე ელავდა, **თუ სთქვა** ისიცა მზეაო (პროზ. შაჰნ. 413); დაეკაზმნეს ორგნითვე ლაშქარნი საომრად, **თუ სთქვა** მიწა ადუღდა (პროზ. შაჰნ. 433); მთვარემ ფარდა ამოიკრა, გამხდარიყო **თუ სთქვა** მტერად (არჩ. 304,3); ასე გახდა ნემსის კურწსა, **თუ სთქვა** სიწლოდ გავიდოდა (არჩ. 354,3); ღვარი წავიდა ხვარსნით, **თუ სთქვა** მზეც შეაშინა... (არჩ. 211, 2).

თითქო(ს)

ახალ სალიტერატურო ენაში ირეალური შედარების კავშირად დამკვიდრებულია **თითქოს — თითქო:**

...ხელი თვალებზე მოისო, **თითქო** ცრემლს იწმენდაო (ილია 301,13); ისე მკითხავ, **თითქო** არ იცოდეო (ილია 292,34); ასეთი ფერი და სისუსტე ეტყობოდა, **თითქო** იმისი სიცოცხლე ბეწვზედა ჰკიდიაო (ილია 321,16);... გული ამიტოკდა, **თითქო** ამ ლაპარაკით ჩემი ბედისწერა სწყდებოდა (ილია 278,31; აგრეთვე; 266,3; 266,7; 268,17; 274.17; 276,37; 285,23; 249,1):

სამი დიდი ხელმწიფის მინიჭებულ წყალობას ისე მართმევს და მხდის, თითქო მაგისი შეკერილი ჩოხა ნაბადი იყოს (აკაკი 405); ...შენ კი ისე მიბღვერ, თითქოს შენი მოსისხლე მტერი ვყოფილიყო (აკაკი 405); ერთხელ რაღაც უცნაური ჭყივილის ხმა შემოგვესმა, თითქო პირუტყვების ბრძოა სადმეო (აკაკი 452); გამბანდა, მომრთავდა, თითქოს სადღესასწაულოდ... (აკაკი 390); კისერი აძაბა, აჩიმა ისე, თითქოს ჩამოურჩვია-თო... (ვაჟა 200); ...მამალმა, თითქოს ქანდარაზე მჯდარიყოს, ჩამოფრენა დააპირა (ვაჟა 202); თვალები დასისხლული აქვს. თითქოს კრეჭილის გუბეში ჩამდნარაო (ვაჟა 13); ...წელში გაწორდა, თითქოს მტრის დასახვედრად ემზადებაო (ვაჟა 41); დედამიწას ჰგვიდა, თითქოს სწმენდდა ქვეყანას ცოდვათაგან (ვაჟა 47; აგრეთვე: 51; 35; 77; 138); ერთბაშად ტყიდან მოესმა რაღაცა ფაჩი-ფუჩი, თითქოს ხმელ წიწვებს ვიღაცა ამტვრევდა (ყაზბ. 65); თანდათან ახლოვდებოდნენ იმ ადგილს, ისეთის წყობილებით, თითქო საომრად გამზადებულანო (ყაზბ. 14); წარმოსთქვა იმან ისე, თითქოს ქალის ყვირილს გაეღიზიანებინა (ყაზბ. 7; აგრეთვე: 15; 24; 35); რამდენსამე წუთს დარჩა იგი ისე ხელებ-აშვერილი, მაღლა შემაცქერალი, თითქო გაპყრობილი ხელებით ზეცას შესთხოვს რასმეო (ლომოური); მაგრამ ეშვიცკი კმარა მარტო, ისე მიიქცე, თითქო ნამდვილი იყოს იგი (მაჩაბ. 29,10); ...ისმენდა ხარბად, თითქო შთანთქმა სწყუროდა მისი (მაჩაბ. 21,1).

თითქო წარმოქმნილი ჩანს აღორძინების ხანის ენაში. აი ერთი ადგილი „რუსუდანიანიდან“.

...ასე ლამაზად ეწყო, თითქოო იმ სახლში არა დეგბულიყო, რა (961,8).

თავი მეოთხე

მაძვემდებარებელი კავშირები: ქვემდებარული, დამატებითი და განსაზღვრებითი

ქვემდებარულ, დამატებით და განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებებში მონაწილეობენ მიმართებითი ნაცვალსახელები, მიმართებითი ზმნიზედები და საკუთრივ კავშირები.

კავშირთა საერთო სისტემაში გამოიყოფა განსაკუთრებული კატეგორიის კავშირული სიტყვები, რომლებიც არ განეკუთვნებიან უდეტრებს, კერძოდ, მხლებლებს და თავიანთი მორფოლოგიურ-სინტაქსური ბუნებით წარმოგვიდგებიან, როგორც ნაცვალსახელები, გამოყენებულნი (დამოკიდებული) წინადადების წევრებად — ძირითადად ქვემდებარედ (resp. სუბიექტად) და დამატებად (resp. ობიექტად). ისინი მიმართებითი ნაცვალსახელებია. ამგვარ სიტყვებს წევრ-კავშირებსაც ვუწოდებთ, რაკი ისინი წინადადების წევრებიცაა და კავშირებიც. ამრიგად, მიმართებითი ნაცვალსახელი ისეთი კავშირია (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), რომელსაც ენაში ორგვარი ფუნქცია აქვს დაკისრებული. ამ ძირითადი ნიშნით განსხვავდებიან ისინი წმინდა კავშირებისაგან (როგორიცაა კავშირები — სივრცითი, დროულობის, მიზეზობითი, მიზნობითი, ვითარებით-შედეგობითი, ვითარებით-შედარებითი, პირობითი, პირობით-შედეგობითი, დამორიცხვითი).

მიმართებითი ნაცვალსახელი მონაწილეობს სამ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში. ესენია: ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება, დამატებითი დამოკიდებული წინადადება და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება. ამის შესაბამისად გამოიყოფა: სუბიექტური (resp. ქვემდებარული), ობიექტური (resp. დამატებითი) და განსაზღვრებითი კავშირები.

1. ქვემდებარული კავშირები

რთული წინადადების კომპლექსში ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ქვემდებარის ანუ სუბიექტის მოვალეობას ასრულებს. ამ ტიპის წინადადებაში მოცემულია ქვემდებარული (სუბიექტური) კავშირები.

სუბიექტური კავშირებია:

რომელი	რომ
რომელიც(ა)	რომ
რომელი-იგი	რაც(ა)
რომელი-ეგე	ვინც(ა)

A

რომელიც

ეგ სიტყვა, როგორც მიმართებითი ნაცვალსახელი, მართულ ბრუნვაში დამოკიდებული წინადადებისავე ზმნა-შემასმენლის მიერ, და რამდენადაც იგი ქვემდებარის მოვალეობასაც ასრულებს (ე. ი. წინადადების წევრ-კავშირია), ბუნებრივია, მოგვევლინება ქვემდებარისათვის დამახასიათებელ ბრუნვებში: სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში:

რომელი(ცა)
რომელმან(ცა)
რომელსა(ცა)

დაისმის მრავლობით რიცხვშიც:

რომელნი(ცა)
რომელთა(ცა)

ძველ ქართულში ჩვეულებრივია უნაწილაკო ფორმები. თუ დაირთავს ნაწილაკს, ისიც უმთავრესად -ცა ნაწილაკს, მეტად იშვიათად — იგი ნაწილაკს. საშუალო ქართულში ბატონდება ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელი, ხოლო ახალ ქართულში აბსოლუტურად გაბატონებულია რომელიც ფორმა.

კავშირის ადგილი წინადადებაში განსაზღვრულია: წინადადების თავშია.

ქვემდებარული resp. სუბიექტური დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ წინ უსწრებს მთავარ წინადადებას ძველ სალიტერატურო ენაში. ახალ ქართულში ჩვეულებრივია წინადადებათა ინვერსია; ფაკულტატურობა აიხსნება სტილისტიკური სხვაობის საფუძველზე.

ძველ ქართულში ამ მხრივ განსაკუთრებული მდგომარეობაა იმ

შემთხვევაში, როდესაც მთავარ წინადადებაში წევრ-კავშირის კორელაციას ეწევა განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **ყოველი**: დამოკიდებული წინადადება, ჩვეულებრივ, განკვეთს მთავარს და ჩაერთვის კორელატ-სიტყვის შემდეგ.

საილუსტრაციო მასალაში ჩვენ შეგვხვდება ისეთი მაგალითებიც, სადაც ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ეკვივალენტს წარმოადგენს.

ჯერ გავეცნოთ უნაწილაკო წევრ-კავშირის მაგალითებს:

რომელი შეჰკრა ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა (მათე 16,19); და ნეტარ არს, **რომელი** არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ (მათე 11,6); **რომელმან**-იგი მზჱ და ყოველნი დაბადებულნი შექმნნა, მან თჳსი იგი ბრწყინვალებაჲ ზეცას დაუტევა (მრავალთ. 266,6); **რომელმან** შესძინოს ცნობად. შესძინოს მან სალმობაჲ (ეკლეს. სოლომ. 184,18); და **რომელთა** ხესმოდა. ხუკჳრდა სიტყუაჲ იგი მწყემსთაჲ მათ მათა მიმართ (ხანმ.: ლუკა 2,18); **რომელთა** შეახჳს, ცხონდეს (მათე 14,36); და **რომელთა** იხილეს, განკჳრებულნი აღიდებდეს ღმერთსა (ზარზმ. 171,31); და **რომელთა** იხილეს სჯსწაული ესჱ, აღიდებდეს ღმერთსა (ბანძთ. გგ, ჲა, 16); ...**რომელთა** სლვაჲ ძალ ედვა, ერთობით მიიწინეს ყოველნი შატბერდს ძიებად წმიდისა მის (ხანძთ. ო, ობ, 4); წყეულ იყავნ, **რომელმან** მისცეს ცოლი ბენიამენს! (მსაჯულ. 21, 18).

ძალზე იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს უნაწილაკო კავშირ-სიტყვა საშუალო ქართულში. მაგალითები „ამირანდარეჯანიანიდან".

რომელნი იყვნენ მცველნი კარისანი მის სასიძოსა გუშაგნი: მის მეფისა ასულისათჳს მდგომარენი, მიეგებნეს იგინიცა (II, 165,18); **რომელნი** მოარჩეს, იქით და აქათ წაძვრეს (116, 26); **რომელი** ხუთასსა კაცსა შეებმის, ძას, ღმერთო, ეგეთის კაცისა ომი შეუძლია (99,10); **რომელთა** დამკოდეს, ისინი მის ქარაგნისა უფროსნი და თავადნი იყვნეს (133,30).

გავეცნოთ ისეთ ნიმუშებსაც, საიდანაც ჩანს, რომ კავშირ-სიტყვა უშუალოდ მისდევს **ყოველ**-სიტყვას;

ყოველთა, **რომელნი** იყვნეს საპყრობილესა მას შინა, ჩემ თანა ესმა ჴმაჲ-იგი და იხილეს ნათელიცა იგი (რავახ. 92,22); ...ყოველთა, **რომელნი** იყვნეს ნავსა მას შინა, წარიწირნეს თავნი თჳსნი ცხორებისა-გან (კიმ. 333,13); და ყოველნი, **რომელნი** ხედვიდეს და ესმოდა, აღივსებოდეს საკჳრველებითა (კიმ. 268,7).

ძველ ქართულში **რომელი** დაირთავს -**ი**გი ნაწილაკს.

მოუჯდეს მათ, **რომელნი-იგი** ხარკსა შეჰკრებდეს (მათე 17,24); და **რომელთა-იგი** ღმერთი ვერ იცნეს, მათ მიზეზი გონიერი ყოველთა დაბადებისაჲ ვერმცა გულისკმა ყვეს (ბასილი 2,32); **რომელთა-იგი** გშვეს შენ, იგინი ზესკნელ ზეგარდმო შობილ იქმნნეს აზნაურებითა მით საღმრთოჲთა-კერძო... (ქიმ. 138,10). შეიძლება დაირთოს **ეგე** ნაწილაკიც:

ვინ ხარ, **რომელი-ეგე** შემოხუედ? (მრავალთ. 262,36).

ც(ა) ნაწილაკოვანი კავშირ-სიტყვა დამახასიათებელია სამუალო ქარტულისათვის:

რომელსაცა გწადდეს იგი, შეებუნითო (ამირან-დარეჯანიანი); **რომელთაცა** გაეზარდე, დიდებულნი ამიტირდეს, ჩემგან ხრმლითა განაკვეთი ნახეს, მეტად გაუკვირდეს (რუსთ. 454;3); **რომელმაც** სიტყუა მართლისა გასამართლებლად, ანუ სასიკვდილოდ დასჯისათვის თქუან, სწორი უნდა გამოიკვლიონ. მტკიცისა პირით იმოწმონ (ქილილ. 211); **რომელსაცა** ებარა, მან შინ შეიწუვა (ქილილ. 167); **რომელნიცა** დიდთა სახელთა ეძებენ, დიდს ჭირთა და ძნელს შიშებს გამოივლიან (ქილილ. 208); **რომელთაცა** შეებეზღა, მათ გალესეს მისთვის დანა (შაჰნ. 3096,4); **რომელიც** შინ დარჩომილიყოს, საერთოდ იყოს (დოკუმენტ. ბერძენ. 627,28); **რომელნიც** გამოვიდნენ, თავ-თავის ალაგას დადგნენ თუ არა? (დოკუმენტ. თაყაიშვ. 59,17).

ახალ ქართულში გაბატონებულია -ც(ა) ნაწილაკიანი ფორმა. აი ტიპობრივი მაგალითები:

რომელიც უფრო ღონიერია, შემეჭიდოს; დასწყევლა, **რომელმან** ვარდი მოუტანა; **რომელსაც** ეტრფის, მან მოულოცა, და მისთ.; **რომლებიც||რომელნიც** უფრო ღონიერებია, შემეჭიდონ და მისთ.

ამრიგად, ვღებულობთ:

რომელიც
რომელმაც
რომელსაც
რომლებიც||რომელნიც
რომლებმაც||რომელთაც
რომლებსაც||რომელთაც

B

რომე

გვხვდება საშუალო ქართულში.
მაგალითებია:

ამოა, **რომე** კაცი კაცს ამოსა ეუბნებოდეს (რუსთ. 924,1); აწე წესია, **რომე** ავნაქმართა ქვეყანის ხელმწიფეთაცა დიდითა სამსახურითა უნდა შენდობა (ომაინ. 71); აწ შენთვის სამჯობინარო ესეა, **რომე** შენი შეცოდება შენითავე პირითა აღიარო (ქილილ. 217); საცხადო ნიშანია, **რომე** სიკეთე და გაძლიერება შენთვის გამოჩენით დაუმტკიცებია (ქილილ. 223): ბრძანებულია, **რომე** ცოცხალი არ გაგვიშვათ (ქილილ. 242); მათგანცა ჯერ არს, **რომე** მეფეთა წადილი ღვთის გზაზედ ვიდოდეს (ქილილ. 195); ნეტარება ეს არის, **რომე** კაცი ასე კეთილის საქმით იყოს, **რომე** არა აკლდეს რა... (ვახტ. ტი, რიბ).

C

რომ

იშვიათად ახასიათებს საშუალო ქართულს, ისიც მოგვიანო ხანის ძეგლებს:

სჯობია, **რომ** აღასრულო ეგ ბრძანება (გურამ. 87,1); მაგრამ ის ცმარა, **რომ** სულს ლხენას ვისცემენ (ვახტ. სვე, იზ).

სამაგიეროდ, ფართოდ დამახასიათებელია ახალი ქართულისათვის:

ეს არის საწუხარ, **რომ** ბოლო თვით სიხარულსაც ჰქონიან (გრ. ორბელ. 20); ხოლო ის ცხადია, **რომ** მეფემ უბრძანა თეკლა-ბიძს (ვაჟა 53); ხოლო ვერხვისათვის ეს იყო გულსაკლავი, **რომ** დიდი ხნის სიცოცხლე არც ამ საბრალოთა ჰქონდათ (ვაჟა 39); მაგრამ უბედურება ესაა, **რომ** კაცები ხაფანგს უგებენ მტაცებელთ (ვაჟა 17), და მისთ.

D

რაც(ა)

იცის საშუალო და ახალმა ქართულმა.

გავეცნოთ მაგალითებს:

ესე რაცა მე მწირს, არ სიყვარულია... (ვისრ. 306,25); რასაცა ვასცემ — შენია (რუსთ. 50,4); რაც გასმია — მართალია (შაჰნ. 3095,2); დავითს რაც უთქვამს, სწორია (გურამ. 211); რასაც ვწერ, ნაკლებია (საბა, მოგზ. 30); ახლა ცხადად სჩანდა, რასაც აქამომდე წუვდიადი ჰფარავდა (ვაჟა 97); რასაც არ მოელოდენ, ის მოხდა (ვაჟა 9).

ახლა განვიხილოთ ისეთი ფაქტები, როდესაც რაც(ა) დაკავშირებულია წინადადებაში სახელთან:

კმაა, რაცა აქამდის შენგან აუგი დამმართებია (ვისრ. 281,37); რაცა დიდებული იყო, უუელა მისად სამსახურად მოვიდეს (ვისრ. 316,7); რასაც ვალს დაზდებ შენს კელმწიფესა და ბატონიშვილს იულონს, ის შენის ოჯახისათვის საუკუნო განძია (დოკუმენტ. თაყაიშვ. 79,17); რაც ბეჭდები მჭდარიყო, სულ ამოხეული იყო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 12,29).

თანამედროვე მეტყველებაში ეგევე კონსტრუქცია იხმარება, ოღონდ -ც(ა) ნაწილაკი კავშირს კი არ ერთვის, არამედ მასთან შეხამებულ სახელს. ზემომოყვანილი მაგალითები რომ გადავაკეთოთ თანამედროვე ნორმის მიხედვით, მივიღებთ:

კმაა, რა აუგიც დამმართებია; რა ვალსაც დაზდებ...; რა ბეჭდებიც მჭდარიყო...

E

ვინ(ცა)

მიმართებითი ნაცვალსახელი ვინცა ქვემდებარულ წინადადებაში გამოყენებულია კავშირ-სიტყვად საშუალო და ახალ ქართულში.

საშუალო ქართულში არაიშვიათია უნაწილაკო სიტყვა (ვინ), -ცა ნაწილაკიანი ფორმის გვერდით. ახალ ქართულში გაბატონებულია ნაწილაკიანი ფორმა.

ვინ გვხვდება ქვემდებარის ბრუნვებში: სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში.

მრავლობითი რიცხვი არა აქვს.

ამრიგად, მიღებულია:

სახ.	ვინ	სახ.	ვინც(ა)
მოთ.	ვინ	მოთ.	კინც(ა)
მიც.	ვის	მიც.	ვისცა‖ვისაცა

დამოკიდებული წინადადება ძველ ენაში ჩვეულებრივ წინ უსწრებს მთავარ წინადადებას, მაგრამ არაიშვიათია ინვერსიის შემთხვევებიც.

ჯერ განვიხილოთ უნაწილაკო სიტყვის მაგალითები:

კმა ჰყოს, ვინ სჯვრიტოს (თამარიანი VII, 24); კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა (რუსთ: 26,4); რად იგდებ

ზღვაში სიყმესა, **ვინ** ხმელად არ გარდიქცევის? (არჩ. 577,2); მის თმისებრმც დაიგრიხება, **ვინ** მისი იწყოს მტეროპა (არჩ. 449.2). მაშინღა გამოჩნდების, **ვინ** მოყუარეა... (ქილილ. 256): გამშარჯვეა კელ-აპყრობით, ვინ მორჩილობს ბრძანებასა (შაჰნ. 3195,2); **ვინ** დაგბადა, მასვე ჰნებავს ბადება შენებარისა (შარავანდ. 56,2); **ვის** შიში ჰქონდის უფლისა, ევედრის ტურფა ბაგითა (შაჰნავაზ. 35,3); **ვის** ჰკონდის მკლავთა იმედი, სრულად დაჰკარგნეს მცნებანი (ბესიკი 25); **ვინ** ტეტრფის, ტირსა (ბესიკი 62); **ვინ**... კელყოს, წყეულ და შეჩვენებულმც არს (ჴყონდ. სიგელი 132,28).

ფართოდ გავრცელებულია საშუალო ქართულში -ცა ნაწილაკიანი მომართ. ნაცვალსახელი **ვინცა**. მიცემით ბრუნვაში -ცა ნაწილაკი ერთვის წინამავალი ას გარეშე: **ვისცა**.

გავეცნოთ მაგალითებს:

ძე ადამისი მსგავსად ამისა **ვისცა** ეხილვონ, მამცნონ, სად არი? (აბდულმესია 3,1); **ვინცა** მნახავს, ველარ მიცნობს (ვისრ. 230,8); ...დალრეჯით იგი ზახ. **ვინცა** შენ აგრე დავლრიჯა (ვისრ. 69,31); **ვისცა** მკლავი ძლიერი ჰქონდა, მოიკმარა კრმალი თავისა წადილისამებრ (ვისრ. 24,18); **ვინცა** ნახა, ეგრე თქვა... (ამირან. 121,15); ...ტყუის, **ვინცა** დაიყებედნა (რუსთ. 61,4); **ვინცა** გინდა, ეპატრონოს ინდოეთსა (რუსთ. 527,1); **ვინცა** ხელმწიფეთა თავ-დადებით მსახურებს, ზედაზედა მწუხარებისა ხარისხთა აღხდებისო (ქილილ. 186); **ვისაც** ჩოდოლო და მდღეგარი საზრდელი ეპოვება, მან მეტის ნდომის ფერხი მოთმინების საზღვრიდამ არ გარდადგას (ქილილ. 263); ტყუის, **ვინცა** გეფერება (არრ. 599,2); **ვინცა** ეგეთსა ნახევდა, მისებრივ ატირდებოდა (არჩ.353,1); **ვისცა** შერისხვების, გულწყლულად გაჰკდის... (პროზ. შაჰნ. 438); **ვისცა** იკითხავ, თქვენსა ნებასა ზედა ცოცხლებით არიან... (პროზ. შაჰნ. 404); **ვინცა** არ გარდაიხვეწა, ყველაი დაიკოცა (პროზ. შაჰნ. 438); **ვინცა** მაგისთანა კაცი იყოს, წიგნის სყიდვა არ შეეძლოს, იქ მივიდეს... (საბა, მოგზ. 27): **ვინცა** ესე ასრე არ გამითაოს და მომიშალოს, შემაიცილების სჯულისა და ყოვლისა ქრისტიანობისაგან (საეკლ. სიგ. 33,31).

ვინცა-ში თანდათანობით იკვეცება ნაწილაკისეული ა: XVII-XVIII საუკ. ენაში **ვინც** ხშირად გვხვდება **ვინცა**-ს გვერდით:

ვინც ხედავდა ბოლოს საქმეს, იმათ არად განიხარეს (გურამ. 55,3); **ვინც** რომ ძრახვას თაკილობდეს, ნურასა იქს საძრახავსა (გურამ. 29,1); **ვინც** პირველად საქმე გაამრუდა, მანვე გა-

მართოს (ომაინ. 77.28); სულად მოვიდენ ყუელანი, ვინც იყო გარდაყოფილი (შაჰნავაზ. 51,3); ვინც ქართველნი და კახნი ყაენს ახლდნენ, დაუწყეს ყაენს ხვეწნა (ფარსად. 229); ვინც თურმე რასმე ამბობს, ტყუიან (დოკუმენტ. თაყაიშვ. 146,15).

ძალზე იშვიათად -ც(ა) ნაწილაკი ემატება ა-დართულ სიტყვას: **ვისაც(ა)**:

ვისაცა თავსა შინა სიავე და უგუნურება დაემკვიდრების და დაიდგილებს, მერმე გაცუდებული მიწათა ზედა დართურგნების (ქილილ. 139); ვისაც მათი წახდენა უნდოდა, იმათ კიდევ უფრო დააფრთხეს (ფარსად. 228);

ახალი ქართულისათვის ამგვარი ფორმა დაკანონებულია, ისევე როგორც -ცა ნაწილაკში ა გაუჩინარებულია.

გავეცნოთ ახალი სალიტერატურო ენის ნიმუშებს:

ვინც გაიცლის, მკითხავს... (გრ. ორბელ. 57); **ვინც** შეიტყობს, რას იტყვის? (ილია 277,23); ვისაც არ გამოუცდია ეს დღე, იმან არ იცის... (ილია 310, 30); ვისაც უნდა რუსეთში წასვლა, იმან ლათინური უნდა ისწავლოს (აკაკი 442); **ვინც** კაცს გააჯავრებს, ის ღმერთს გააჯავრებს (ვაჟა 73); **ვისაც** იარაღი არ ეჭირა ხელში, იგი სინანულს აცხადებდა (ვაჟა 124).

შესაძლოა შეგვხვდეს **ვინაც**, ე. ი. ისეთი ფორმა, როდესაც -ც ნაწილაკის წინ გამოვლენილია მავრცობი ა.

იდიდოს, **ვინაც** მტერს არ ეშვება (ირ. აბაშიძე: „სალუტი“).

შდრ.:

ვინაც ბერები და ხუცები იყო, ყველა დახოცილა (საეკლ. საბ.)

კავშირის ადგილი წინადადებაში განსაზღვრულია, პირველ ადგილზეა, მაგრამ მისი ინვერსია მაინც შესაძლებელია (უმთავრესად ლექსში);

ვერ განეწიოს, ურჩი **ვინც** იყოს ტახტის თქვენისა (აბდულმესია 104,3):

ვინც მიმართებით ნაცვალსახელს ახალ ქართულში შეიძლება გვერდში ამოუდგეს **რომ** კავშირი და, ამრიგად, მივიღოთ გაორმაგებული დაკავშირება: **ვინც რომ**: „ის მხდალია, **ვინც რომ** შიშით გაინაბა, დაიძინა“ (ევდოშვილი).

2. დამატებითი კავშირები

რთული წინადადების კომპლექსში დამატებითი დამოკიდებული წინადადება დამატების ანუ ობიექტის მოვალეობას ასრულებს. ამ-

გვარ კონსტრუქციაში მონაწილეობენ დამატებითი ანუ ობიექტური კავშირები.

ობიექტური კავშირებია:

რამეთუ	უკუეთუ
ვითარმედ	თუმცა
რათა	რა(დ)
რომელ	რაჲ-იგი
რომე	რაჲ-ესე
რომ	რაჲცა
ვითა	რაც(ა)
ვითომ	ვინ(ცა)
თითქოს	რომელი(ცა)
თუ	რაჲოდენი(ცა) — რავდენი(ცა)

ჩამოთვლილი ერთეულები სამ ძირითად ჯგუფს ქმნიან. ამ დაყოფის საფუძველია, ერთი მხრივ, მთავარი წინადადების შემასმენლის სემანტიკა და, მეორე მხრივ, დამოკიდებული წინადადების კონსტრუქცია. მთავარ წინადადებაში შეიძლება მოცემული იყოს სუბიექტური სემანტიკის ზმნები, ე. ი. ისეთი სემანტიკის სიტყვები, რომლებიც გრძნობის (verba sentiendi), თქმის (verba declarandi), ფიქრის, ცოდნის... გამომხატველი ზმნებია. ამგვარი სემანტიკის ზმნებთან დამატება მოსალოდნელია, დამატებად ივარაუდება მოქმედების, აქტის გამომხატველი სიტყვები. ამ ტიპის დამატება, ასე ვთქვათ, „მოსალოდნელი დამატებაა“, ხოლო სათანადო ყალიბის დამოკიდებული წინადადება — „მოსალოდნელ-დამატებითი დამოკიდებული წინადადება“. შდრ.: **„ბრძანა აშენება სახლისა“ — „ბრძანა, რომ ააშენოს სახლი“**. მთავარი წინადადების ზმნა-შემოსმენელი შეპირობებულია დამოკიდებული წინადადების პრედიკაციასთან. ასეთი დამოკიდებული წინადადება დაკავშირებულია მთავართან შემდეგი საკავშირებელი ერთეულებით: **რამეთუ, ვითარმედ, ვითა, რათა, თუ, რომელ, რომე, რომ.**

მეორე მხრივ, მთავარ წინადადებაში შეიძლება მონაწილეობდნენ ისეთი ზმნები, რომელთა დამატებად სახელი ივარაუდება. ამ ტიპის დამატება, ასე ვთქვათ, „სუბსტანციური დამატებაა“, ხოლო სათანადო ყალიბის დამოკიდებული წინადადება — „სუბსტანციურ-დამატებითი დამოკიდებული წინადადება“. შდრ.: „ვანომ **მოკლა ცალთვალა დათვი**“ — „ვანომ **მოკლა**, რომელიც [დათვი: რომელი დათვიც] ცალთვალაა“. ასეთი დამოკიდებული წინადადება

დაკავშირებულია მთავართან მიმართებითი ნაცვალსახელით (**რაც, ვინც, რომელიც, რადროდენიცა...**).

მესამე მხრით ექცევა ისეთი კავშირები, რომლებიც მონაწილეობენ კითხვით დამოკიდებულ (დამატებით) წინადადებაში და ეხამებიან კითხვითს სიტყვებს. ესენია: თუ, უკეთუ, თუმცა.

ჯერ განვიხილოთ „მასდარულ-დამატებითი დამოკიდებული წინადადების“ კავშირები, ე. ი. სუბიექტური სემანტიკის ზმნებთან შეხამებული საკავშირებელი ერთეულები; ცალკე გამოვყოფთ verba declarandi-ს შემცველ კონსტრუქციას [1].

რაჲთუ

დამახასიათებელია ძველი სალიტერატურო ენისათვის.

ჰე, უფალო, შენ ხიც, **რამეთუ** მიყუარ შენ (იოვ. 21,15); იცოდეს, **რამეთუ** უფალი თჳთ იგი არს (იოვ. 21,12); უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს არჲ (მათე 24,32); უწყი, **რამეთუ** შენ გამო შემემთხჳა მე ძჲრი ესე (კიმ. 138,24); გაუწყოთქუენ..., **რამეთუ** ვიყავ მე პირველად წარმართ... (რავახ. 81,5); და უწყით, **რამეთუ** სიტყუაჲ თქუენი უფლისა-მიერ იყო წარტყუენ. ია, 32); თქუენ უწყით, **რამეთუ** ადგილი სამსახურებელი და სალოცველი ამას ქალაქსა შინა ბეთელოე არს (არიმათ. 51,1); უწყოდე ჰეშმარიტად, **რამეთუ** ნაყოფიერებაჲ არს ადგილისა მის (ზარზმ. 169,15); აწ უწყი, **რამეთუ** არა დამიტევე მე.. (აბო 72,22): უწყოდეთ, **რამეთუ** ესჲ... არიან კორციელად განწესებულთა ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი... (ხანძთ. ლბ, კზ, 53); ვცანთ, **რამეთუ** ყოვლად წმიდაჲ სული შენი სოფელსა ნუგეშინის მცემელად მოუვლინე... (ჯ. -ეტრ. 197,5); ...ცნან, **რამეთუ** შენხარ ღმერთი მხოლოჲ... (კიმ. 293.35); და ესმა, **რამეთუ** იესუ ნაზარეველი არს (მარკოზ. 10,47); და ესმა ჰეროდეს მეფესა, **რამეთუ** განცხადნა სახელი მისი (მარკოზ 6,14); აჰა, ესერა, ვჰხედავ, **რამეთუ** სიტყუანი შენნი საქმე არიან (ზარზმ. 164.6); აჰა, ესერა, ჰხედავ, **რამეთუ** ცოდვათა ჩუენთათჳს მიგუცნა უფალმან კელთა შენთა სასწაულელად (წარტყუენნა. 28); არა ჰხედავ, **რამეთუ** ზედა პილენძი არს (კიძ. 155,15) :ყოველთა ჰრწმენეს, **რამეთუ** ჰეშმარიტად იესუ ქრისტჱს... მარტჳლი არს (აბო 76,20); და გრწმენიან,

---

[1] ქვემოთ ვაანალიზებთ პირდაპირ-ირიბი დამატების შემცველ წინადადებებს. არსებითად ივიქცა უბრალო დამატების შემცველი კონსტრუქციაც.

ძმანო ჩემნო, **რამეთუ** ყოფად ჩემი მათ თანა უმძიმს იყო ჩემ ზედა უფროჲს ყ~ისა გუემისა და სატანჯველთა (რაკან. 93,12); რაჲსათჳს დ ა ი ვ ი წ ყ ე თ, **რამეთუ** შამამან მრომაელი-ნა (არიმათ 23,8).

გარდა ამისა, **რამეთუ** იხმარება verba declarandi-სთან (მაგალითები იხ. ქვემოთ). კაუშირს წინადადებაში პირველი ადგილი უკავია.

ვითარჳდ

ეს კავშირი იმავე ფუნქციით გვეცლინება, რა ფუნქციითაც ცნობილია **რამეთუ** და გუხვდება ძირითადად იმავე სემანტიკის ზმნებთან.

ჰ გ ო ნ ე ბ დ ე ს, **ვითარმედ** უფროჲსი მიიღოს (მათე 20,10); ნუ ჰ გ ო ნ ე ბ თ, **ვითარმედ** მოველ მე მიფენად მშჯობისა ქუეყანასა ზედა (მათე, 10,34); მ ე ც ნ ო ნ ა მე, **ვითარმედ** იგი ჩემდა მოვაქციო... (შუშან. 14, V, 8); ...ჰ გ ო ნ ე ბ დ ე ს, **ვითარმედ** შიშითა სიკუდილისაჲთა განაშორონ იგი ქრისტესა (აბო 73,37); ხოლო მას ე გ ო ნ ა, **ვითარმედ** კურთხევისა და ლოცვისა მონიჭებად ითხოვს (ანტიოქ. 85,27); ...და ჰ გ ო ნ ე ბ დ ა, **ვითარმედ** მოკუდა იგიცა სხუათა თანა (ქიმ. 219,23); მე ესრე მ ე გ ო ნ ი ე ს, **ვითარმედ** ესე წყლით რღჳნისა მის წინა ნოევსა ყოფილ არს (თომას აპოკრ. 39,103); და ჳ~ნა ე ს მ ა ესე კრებულსა მართლმადიდებელთასა, **ვითარმედ** წმიდაჲ საბა მიექცა არიოზეანთა და შეერთო მწვალებელთა, წარეკუეთა სასოებაჲ მათი... (ასურ. 14,37); ხოლო მას, ე ს მ ა რ ა, **ვითარმედ** მოწაფენი მიქელისნი არიან, ირწმუნა ჰ ე შ მ არიტებაჲ სიტყუათა მათთაჲ (ზარზმ. 156,9): ...ე ს მ ა მუნ მყოფთა გან კაცთა. **ვითარმედ** აწოტ კურაპალატი მოიკლა... (ხანძთ. ით, იგ, 1); ...ე ს მ ი ნ წმიდათა მათ გან, **ვითარმედ** ჰრცხუენისმცა სოფელსა ქცევათა გან ჩუენთა კეთილთა (ხანძთ. ზ, უ, 46); და ვითარცა ე ს მ ა ჯოჯიას, **ვითარმედ** მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაჲ შუშანიკ სიკუდილდ, წარვიდა... (შუშან. 40, XVI,1); უ წ ყ ი **ვითარმედ** დაჲ ვარ და ერთგან განზრდილნი... (შუშან. 16.V, 21); შენ უ წ ყ ი, **ვითარმედ** მე გულითად სიკუდილდ მიჳალ (შუშან. 17,V,26); და ამის გამო უ წ ყ ი, **ვითარმედ** სუეტი იყო მტკიცე ანტიოქელთა ეკლესიისაჲ დაცემულ არს (ციმ. 250,7); უ წ ყ ე ბ ულ ი ყ ა ვ, **ვითარმედ** ჰ ე შ მ არიტად ვერცა ამით

განისუენო მრავალჟამ... (ანტიოქ. 101,29); ჴეშმარიტად მრწამს, **ვითარმედ** იქმნას იგი დიდ და საუნჯე მადლთა და სათნოებათა (ანტიოქ. 51,6); ...გურწმენეს, **ვითარმედ** შენ ღმერთი ხარ (კომ. 144,21); და ჰრწმენა, **ვითარმედ** მოძღუარი აღდგომილ არს (არიმათ. 18,4); ხოლო ტიმოთე ვითარცა აგრძნა, **ვითარმედ** მისი არს დაბაჲ იგი, უშორეს ადრე ენება თანაწარსლვაჲ მისი (ანტიოქ. 62,41).

ინვერსიული ზმნის შემცველი წინადადებები შეიძლებოდა მოგვექცია ქვემდებარულ წინადადებათა ფარგალში.

ვითარმედ-რამეთუ-ს მონაცვლეობა ნათლად ჩანს ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქციაში. აი ზოგიერთი მაგალითი:

არიმათ. 51,1:

თქუენ უწყით, **რამეთუ** ადგილი სამსახურებელი და სალოცველი... ბეთელოეს არს.

შდრ. ვარიანტი:

თქუენ უწყით, **ვითარმედ** ადგილი სამსახურებელი და სალოცველი... ბეთელოე არს.

ეკლეს. სოლ. 217, თ. 5:

რ~ცხოველთა უწყიან, **ვითარმედ** მოწყდენ.

შდრ. პეტრიწის თარგმანი:

რ~ცოცხალნი სცნობენ, **რამეთუ** მოკუდებიან.

ეკლეს. სოლ. 188, თ. 14:

და ვცან ესეცა, **რამეთუ** შემთხუევაჲ ერთი შეემთხჳოს მათ ყოველთა.

შდრ. პეტრიწის თარგმანი:

და ვცან მე, **ვითარმედ** შემთხუევაჲ ერთი შეემთხუევის ყოველთავე მათ.

ეკლეს. სოლ. 187, თ. 13:

და ვიხილე მე, **რამეთუ** არს უმეტჳს სიბრძნჱ უფროჲს უგუნურებისა...

და ვიხილე მე, ვითარმედ უმეტესობაჲ არს სიბრძნისაჲ უფროჲს უგუნურებისასა...

ვითარმედ, როგორც ობიექტური კავშირი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე პირდაპირ-ირიბი მეტყველების კონსტრუქციაში. მასალას გაეცნობით ქვემოთ.

თუ

თუ, როგორც ობიექტური კავშირი, გვხვდება სამ ვითარებაში:

1. იგი შეხამებულია კითხვითს სიტყვასთან; დამოკიდებულ წინადადებაში მას მოსდევს კითხვითი სიტყვა; ამგვარი წინადადება კონსტრუქციულად კითხვითია:

...ისმინე, თუ რაჲ ესე მითხრა კაცმან... (წარტყუენ. Ø, 3): და აწ არაჲ უწყი, თუ რაჲ ვყო (ხანძთ. ნე, ნე, 33); მოვიკსენოთ, თუ ვინაჲ იქმნა შენებაჲ მათი (ზარზმ. 150,16); არა უწყოდეს, თუ ვინაჲ აღაშენონ ტაძარი უფლისათჳს (არიმათ. 45,2); ვისმინოთ, თუ ვითარ მოიწივნეს სანახებთა ქუეყანისა სამცხისათა (ზარზმ. 151,22; აგრეთვე: 159,23; 168,19); განიზრახვიდეს ძმანი იგი, თუ ვითარ სახით აღიღონ თავი სუეტისა მის (ქიმ. 265,25); და განიზრახვიდა, თუ ვითარ არწმუნოს მათ... (ანტიოქ. 59,25); ...არა უწყი, თუ ვითარ უფალმან მოგხედოს თქუენ (წარტყუენ. ნთ. 21); ესე ამისთჳს წარმოვთქჳ, რათა უწყოდით, თუ ვითარნი კაცნი კჳდრ იყვნეს ქუეყანასა ჩუენსა... (წარტყუენ. Ø, 21): ხოლო ამიერითგან მოვიკსენოთ, თუ ვითარსა მადლსა ღირს ქმნილ იყო წინაჲსწარმეტყუელებისასა (ზარზმ. 177,34): და უჩუენებდა ნიშთა რათმე და სახეთა, თუ რომელსა მივიდენ ადგილსა (ზარზმ. 151,28); ...და მყის წარმოუთხრა..., თუ რომლისა მიზეზისათჳს მოიწინეს ადგილსა მას (ზარზმ. 155,8); არა უწყით..., თუ რომელი აღმოსცენდეს (მიტროფ. 162,23); ...და ყოვლადვე გულსა მადგს და ვიგონებ, თუ რომელსა ადგილსა წარვიდე ვედრებად ღმრთისა მრავლითა გულსმოდგინებითა (ასურ. 15,31); აწ იხილეთ ღა, ძმანო, თუ რავდენი კეთილი მოიწევის ჩუენ ზედა... (ბოლნ. 50,3); რამეთუ გუასმიეს ძუელთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენი კუეთებანი თავს-ისხნეს საღმრთოთა სჯულთათჳს ტომმან ებრაელთამან არტარქსერქსისზე (შარა-

ვანდ. 59,1); აწამე თავსა ღვაწლი, ვინ უწყის, თუ რაოდენი (აბდულმესია 26,4); ჰხედავ, თუ რა წამეკიდა! (ვისრ. 279,18); აწ ნახეთ, თუ გოლიათი გული ვითა ამაგარა! (რუსთ. 1597,4); თუ რა გესმის, გაიგონე (რუსთ. 932,1); მიკვირს, თუ მზე და რაიდ ნათობს, რაიდ არა დაუჭვნია? (რუსთ. 1593,2); მიკვირს, თუ გული ალმასი შავმან წამწამმან დაღა რად! (რუსთ. 714,3); ხედავ, თუ რა წამეკიდა! (რუსთ. 279,18); თქვით, თუ ნეტარ ვინ ვით მოიძაგენ (ბესიკი 63): ყველაი შენთვის დაბრუნდა, თუ ვინ სად რბოდა ქმენითა (ბესიკი 26); მეფემ იცოდა თუ რას იტყვის (ფარსად. 224): ყოველთა იცით სიდიდით, თუ რა ქნა იმან და ვითა (შაჰნავაზ. 31,1): არავინ უწყოდა, თუ ვისი საძვალე ყოფილიყო (საეკლ. საბუთი. 120,18).

თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივია ასეთი მაგალითები: კარგად ვიცოდი, თუ როდის და როგორ უნდოდა ხვნათესვა (აკაკი 387); აქედან შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუ რა უნდა ყოფილიყო მამაჩემის დახურდავებული ენა (აკაკი 403): ხალხს ჯერ კიდევ ვერ გამოერკვიათ, თუ რა მომავალი მოელოდა ახალ შემთხვევათა გამო (ყაზბ. 11); შეატყო, თუ ვინაა დამნაშავე: მეცოდინება, თუ სად გამითხრიან საფლავსა; გაიგე, თუ რამდენჯერ გადაზომა, და მისთ..

თუ ამ კატეგორიის ფორმებს შევადარებთ **ვითარმედ-რამეთუ**-ს შემცველ წინადადებათ, აღმოჩნდება, რომ **ვითარმედ-რამეთუ** კავშირებისთვის შეუფერებელია ისეთი დამატებითი წინადადებები, რომლებშიც კითხვითი სიტყვა მოიპოვება [1], — **თუ**-სათვის ეს პირობა ერთ-ერთი აუცილებელი შემთხვევაა. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია მკვეთრად გავმიჯნოთ **ვითარმედ-რამეთუ**-სა და **თუ**-ს საზღვრები კითხვითი სიტყვის შემცველ ობიექტურ წინადადებაში.

2. **თუ**, როგორც ობიექტური კავშირი, გვევლინება პირდაპირირიბი მეტყველების კონსტრუქციაში (ამაზე ქვემოთ).

3. არის სპეციალური შემთხვევები, როდესაც **თუ** გვევლინება, როგორც ობიექტური კავშირი. ეს ის კონსტრუქციაა, როდესაც მთავარი წინადადების შემასმენელი საეგებიო, შესაძლებელ შინაარსს გამოხატავს. საამისო ზმნად ჰგონია გვევლინება ჩვეულებრივ:

და პკონებედ, მფრინველნი **თუ** მომკუდარ არის... (სახისმეტყ.

---

[1] აქ არა პიღებული მხედველობაში პირდაპირ-ირიბი მეტყველების კონსტრუქცია.

23, იწ. 11); მამაო, ნუ ჰგონებ, **თუ** უცებლია იყო (კიმ. 144,12); ნუ თუ შენ გეგონოს, **თუ** ვისის ამა ციხისაგან ცოცხალსა ჩამოვიყვანო, ანუ მოვიკელებ (ვისრ. 28,31); გულ ასრე დაუყენოს, ეგონოს, **თუ** თოკი აბას (არჩ. 17,2); მგონიეს, **თუ** დაბადებად არს (შარავანდ. 81,9); აღარ მეგონა, მე **თუ**-ღა გული-ღა მეგულებოდა (გურამ. 215,3); იმათ ეგონათ, **თუ** მე ეს სტუმართმოყვარეობით მომდიოდა. (აკაკი 425); იმას ეგონა, **თუ** რაც ევროპაში ითესებოდა და იმკებოდა, ის უნდა ყოფილიყო ჩვენშიც (აკაკი 475).

ამ შინაარსს უახლოვდება ჰგავს ზმნის შინაარსი:

ჰგავს, **თუ** ტყუბი მარგალიტი ზის ბროლისა ხარხაჩოსა (რუსთ. 1589,4); ჰგავს, **თუ** ცა მოდრკა ქვეყანად, შეყრილან ორნი მზენია (რუსთ. 1549,4).

ეს ეგებისობა ჩაქსოვილია გამოთქმებში: „ვინ უწყის", „არ ვიცი", „ვინ იცის":

ვ ი ნ უ წ ყ ი ს, **თუ** მუნ კეთილსა რასმე შევემთხჳო და ბოროტსა ამას განვერე (შუშან. 36,XIII,5); ვ ი ნ უ წ ყ ი ს, **თუ** ანგელოზსამცა უდებ ეყო გამოცხადებაჲ ყოვლისაჲ (კიმ. 181,39); — ...ესე ა რ ი ც ო დ ე ს, **თუ** მოაბადის ციხე-დარბაზი მტერითა სავსეაო (ვისრ. 313,2); ...ა რ ვ ი ც ი, **თუ** ჩემი ჭირი ვის მოვაჯსენო... (ვისრ. 27,9); ა რ ვ ი ც ი, **თუ** ცხენი დამცემს, თუ ნავი (რუსთ. 938,2); ნავი წინა მომეგება, ა რ ა ვ ი ც ი, იყო **თუ** რვა (რუსთ. 614,2); აწვე მოვა, ა რ ა ვ ი ც ი, **თუ** დაჰყოფნის დიდსა ხანსა (რუსთ. 261,4).

მაგრამ ვაღმსტურებთ ისეთ შემთხვევებსაც (თუმცა იშვიათად). როდესაც ჰ გ ო ნ ი ა ზმნასთან იხმარება **ვითარმედ** საკავშირებელი ერთეული:

ეგრე გ გ ო ნ ი ე ს ა, **ვითარმედ** გალილეველნი იგი უფროჲს ყოველთა გალილეველთა იყვნეს ცოდვილ... (ლუკა 13,2); ...და რომელღა-იგი ჰ გ ო ნ ი ე ს, **ვითარმედ** აქუს, მო-ვე-ეღოს მას (ლუკა 8,18); ე გ ო ნ ა, **ვითარმედ** საუცარ რაჲმე იხილეს (ლუკა, 24,37); მას ე გ ო ნ ა, **ვითარმედ** მემტილწ იგი არს (იოვ. 20,15).

რაკი გარკვეულ შემთხვევებში **თუ** იხმარება ისეთი სემანტიკის ზმნებთან, რომლებიც ს ა ვ ა რ ა უ დ ო, ს ა ე გ ე ბ ი ო შინაარსს შეიცავენ, ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი მოგვევლინება -**მცა** ნაწილაკის დართვითაც, თუ გავითვალისწინებთ -**მცა** ნაწილაკის ცნობილ კონიუნქტიურ ფუნქციას. საამისო საყურადღებო მაგალითებს გვაწვდიან „ამირანდარეჯანიანი" და „ვისრამიანი":

ესე არა გვეგონა, თუმცა მისდა კაცი ჯობნილ იყო (ამირან. II,17,31); ნუ გგონია, თუმცა ესე ჭირი და ზახილი საჩემოდ მეადვილებოდა (ვისრ. 138,10); იბრძოდენ და ესე უნდოდათ, თუმცა ერთმანერთი დაეჭრათ (ამირან. II, 177,20); ლამდა იამანთა მეფეცა, თუმცა არ წასულიყო იგი ძე მეფისა (ამირან. II, 63,19); ვლამოდით, თუმცა გამოსრულ იყო იგი ბაყბაყ დევი... (ამირან. II, 38,17).

არის თითო-ოროლა მაგალითი, როდესაც თუმცა ავლენს თუ კავშირის ძირითად ფუნქციას — კითხვითს სიტყვას ეხმარება:

არცა იცოდეს, თუმცა სადა წარსულიყვნენ (ამირან. II, 4, 21); და ვერც ეს ვცანით, თუმცა რომელი სჯობდა (ამირან. II,203,13).

უკუეთუ

1. გვხვდება კითხვითს სიტყვასთან შეხამებაში და ეს უმთავრესად ხდება „თქმის ზმნებთან“:

... უბრძანებდეთ, უკუეთუ რაჲ გუენების მის მიერ (ზარზმ. 160,34); ...ვცნა, უკუეთუ რაჲ არს ესოდენი ესე მდუღარებაჲ სულისა თქუენისაჲ (ზარზმ. 162,21); რათა არა დაუფარონ მას, უკუეთუ რაჲ უწყიან ძმისა მისისა-თჳს (ანტიოქ. 63,40).

2. გვხვდება ისეთ დამოკიდებულ წინადადებაში, რომელიც მთავარს დამატებად მოუდის, ხოლო შინაარსობრივად პირობით-კითხვითია:

... იხილოს, უკუეთუ აქუს მას სასწაული იგი მიშუებისაჲ მონასტერსა მას ზედა (ქიმ. 279,14); ... ამას ოდენ იქუეულ ვარ, უკუეთუ თავს-იდვამცა მეფემან სავედრებელისა წიგნისა მიწერად პაპაჲსა და თავსა თჳსსა ბრალეულ ყოფად (ქიმ. 82,2); არა ჰგონებდა, უკუეთუ მოსცეს პასუხი (ანტიოქ. 90,25); და ვიკითხო, უკუეთუ ეპისკოპოსი იორდანისაჲ შინ არს? (რავახ. 89,3); ...რათა მითხრა მე, უკუეთუ ხარ შენ იერუსალჱმელი წმიდისა მის ქალაქისაჲ და ძე იოანე წარჩინებულისაჲ (წარტყუენ. მგ., 23); და ჰკითხვიდეს მას, უკუეთუ ჯერ-არს კაცისა ცოლისა თჳსისა განტევებაჲ (მარკოზ 10,2).

თუმცა-უკუეთუ ობიექტური კავშირის ფუნქციით იშვიათია.

რომელ—რომე—რომ

იმავე კონსტრუქციაში, რომელშიც მონაწილეობს რამეთუ-ვითარმედ, გვხვდება რომელ — რომე — რომ, და ეს საკავშირებელი

ერთეული, როგორც ნორმა, დამახასიათებელია საშუალო და ახალი სალიტერატურო ენისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ **რომელ** არაა სულ უცხო ძველი ენისათვის. **რამეთუ-ვითარმედ**-ის გვერდით ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ რამდენიმე ნიმუში ისეთი კონსტრუქციისა, რომელშიც საკავშირებელ ერთეულად მოცემულია **რომელ**.

აი ზოგიერთი, ძალიან იშვიათი, მაგალითი:

რამეთუ ვჰგონებ, **რომელ** არცაღა თუ კუალი იპოოს ადგილისა მის (ზარზმ. 164,12); ხოლო აწ, ძმანო, გეტყჳ თქუენ ყოველნი ეგე, **რომელ** შემოკლებულ ხართ, საყუარელნო და სასურველნო ქრისტჱსნო (ბოლნ. 7,7); ამას უქადებდა, **რომელ** იგი არა აქუნდა ჴელთა შუშანიკისგან (შუშან. 4,1,28); ვიცით, **რომელ** ღმერთი შეგეწევის... (გ. მთაწმიდ. 21,1); დაუმოწმე **რომელ** უჟამოდ არა მოვიდოდინ (გ. მთაწმიდ. 95,4).

ოთხთავის DE რედაქციაში (მათე 6,32) ვკითხულობთ:

... იცის მამამან თქუენმან, **რომელი** გიჴმს ამათ ყოველთაგანი.

შესაბამის ადგილას C-ში არის:

... უწყის მამამან თქუენმან ზეცათამან, **რამეთუ** გიჴმს თქუენ ესე ყოველი.

საშუალო ქართულში კი, ნამეტურ „ვისრამიან"-„ამირან-დარეჯანიანში", **რომელ** გავრცელებული საკავშირებელი ერთეულთაგანია სათანადო კონსტრუქციაში.

აი მაგალითები:

ნახა, **რომელ** ძიძა მხიარულობდა (ვისრ. 68,3); ნახა, **რომელ** თავ-ჩამოგდებულივე ჯდა (ვისრ. 69,26); ... ჰმართებს, **რომელ** მოყურისა ნახვისაგან იმედგარდაწყუედილი იყო (ვისრ. 219, 5); არ დავიჯერებ, **რომელ** შენ არცა მისი მცოდნე ხარ (55,10); იცოდი, **რომელ** მას კაცნი დაემტერებიან (ვისრ. 47,24); იცოდი, **რომელ** საუკუნო არის სამკუიდრო კაცისა (ვისრ. 33,2); შენცა იცი, **რომელ** აწ შენს გუერდით ვერცა დევი გასძლებს (ვისრ. 80,26); იცი, **რომელ** დღენი ჩუენნი ნათხოვნია (ვისრ. 70,15); — ვიცი, **რომელ** მექენებიან ბერძენთა მეფისა ასული, ინდოთ მეფისა ასული... (ამირან. II,71,1); ვიცი, **რომელ** დიდსა კადნიერებასა ვიკადრებ... (ამირან. 4,35); ვიცი, **რომელ** უბადოსა ვიქ... (ამირან. 5,17); მე ესე ვიცი, **რომე** ასეთი რამე გიყო... (პროზ. შაჰნ. 371): რა ნახა, **რომე** ეს გმირივით კაცი ყმაწვილურად ტიროდა და ჯავრობდა, იწყინა ქელმწიფემა (რუსუდ. 742,10); შეუტყვიათ, **რომე** წარსულისა და სიკვდილის ბაკიდამ გამოსელა შეუძლებელია (ქილილ. 201).

ასევე დამახასიათებელია საშუალო ქართულის ადრინდელი პერიოდისათვის **რომე** ამავე კონსტრუქციაში:

ვიცი, **რომე** გაუწყვედლად თვალთათ ცრემლი გისეტყვია (რუსთ. 129,3); ვიცი, **რომე** აღარა გცალს (რუსთ. 1017,2); ვიცი, **რომე** არ დასდგები, მაგას გიშლი ამად არა (რუსთ. 160,4); იცოდა, **რომე** შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა (რუსთ. 891,2); გვმართებს, **რომე** მადლი მივსცეთ (რუსთ. 1626,4); აწ ვეჰვ, **რომე** ჩემად ნაცვლად თანა მკვდართა მიიტანდით (რუსთ. 293,4); ვეჰვ, **რომე** ჩემთა ცოდვათა შენცა აგაესონ ჭირითა (რუსთ. 1108,3); — ვიცი, **რომე** დიდად სამძიმარია სამეფოსა ჩუენისათვის (ამირან. II, 70,28); ვიცი, **რომე** გეშინიანთ მეკობრეთაგან... (ამირან. II, 7.12), ვნახეთ, **რომე** არ ნახულა კაცისა თვალითა (ამირან. 16,12).

ამავე პერიოდის ქართულის მოგვიანო ხანისათვის **რომე**, როგორც ლიტერატურული ნორმა, არ გვხვდება, ვადასტურებთ ზოგიერთ ძეგლში, რომელთაც უფრო ატყვიათ ხალხური ენის გავლენა:

იცოდა, **რომე** სიცოცხლისათვის მოიგონა ენათა ცოდნა (სიბრძ.-სიცრ. 31,14); ...გახსოვს, **რომე** თამაშობდი? (ბესიკი 52).

ჩანს, **რომელ-რომე** ნამეტურ 'ვიცი' ზმნასთან იხმარება.

გამარტივებული **რომ** გზას იკაფავს საშუალო ქართულის ძეგლებიდან:

არა სჭირდა, არ ინანეს, **რომ** აბჯარი არ გაითხეს (რუსთ. 1424,3); ვფიცავ მე მაღლით, **რომ** თქვენის გაყრით ჰკლებოდეს ჟამსა დღეთა ჩემთასა (აბდულმესია 106,1); ვხედავთ, **რომ** ღონე გიცდიათ... (ამირან. II,67,16); ვხედავდი, **რომ** ის კვერცხი მიგორევდა და ჯიმშედ მისდევდა (რუსუდ. 749,11); მე ვიცი, **რომ** მძინარეა (არჩ. 675,1); ... ვიცი **რომ** არსად არისა (არჩ. 491,1); მე მგონია, **რომ** რამდენიმე დღე კიდევ თქვენ მანდ მოგიგვიანდებათ (დოკუმენტ. თაყაიშვ. 98,2).

ახალი სალიტერატურო ენისათვის — სათანადო კონსტრუქციაში — **რომ** ნორმაა.

აი ზოგიერთი მაგალითიც:

იცოდე, **რომ** ეს დიდი სიცრუეა (გრ. ორბელ.); ვხედავ, **რომ** ტყუილ-უბრალოდ წახალისდა ჩემი წადილი (ილია 272,37); შეეიქა, ნახა, **რომ** ყურადღება არავინ მიაქცია (აკაკი 404); ვიცოდი, **რომ** ისენი ბატონები იყვნენ... (აკაკი 390); იცის ეშმაკმა, **რომ** ერს იმედი არ გაუცრუვდება (ვაჟა 187); შენიშნა,

რომ წუწიანს თვალებზე ორი ცრემლი მიჰკრობოდა (ვაჟა 7); ვიცით, **რომ** მანდა ხარ დამალული... (ყაზბ. 22); ...იცნო, **რომ** მომავალი მთიული უნდა ყოფილიყო (ყაზბ. 21); დაინახა, **რომ** ქალის თვალები ელგუჯასაკენ იყვნენ მოქცეულები (ყაზბ. 6).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სუბიექტური შინაარსის ზმნებთან ძველი ქართულის **ვითარმედ — რამეთუ**-ს ადგილას საშუალო და ახალ ქართულში გამოყენებულია **რომელ — რომე — რომ**.

ახლა განვიხილოთ ისეთი კონსტრუქცია, რომელსაც ქმნის მთავარ წინადადებაში წარმოდგენელი თქმის ზმნები (verba declarandi) და ფიქრის ზმნები, და, ამავე დროს, ამ ტიპის დამოკიდებულ წინადადებაში მონაწილეობენ სპეციალური ნაწილაკები, შეხამებულნი საკავშირებელ ერთეულებთან. ესაა პირდაპირი მეტყველების და ირიბი მეტყველების კონსტრუქციები (oratio recta, oratio obliqua), რომელთა კავშირებია: **რამეთუ, ვითარმედ, ვითა, თუ, რომ(ე) რა(ჲ)თა**. მთავარ წინადადებაში მოცემულია ზმნები: ვთქვი, ვიფიქრე, შევატყვე, მოვახსენე, ვკითხე, ვუპასუხე, გამოვუცხადე, ვუბრძანე, შევუთვალე, დავუყვირე, დავუძახე და მისთ.

რამეთუ

დამახასიათებელია ძველი სალიტერატურო ენისათვის:

და ვითარცა ესმა, **რამეთუ** არქელაოს მეფობს ჰურიასტანს ჰეროდეს წილ, მამისა თჳსისა, შეეშინა მისლვად მუნ... (მათე 2,22); და ჰრქუა მათ, **რამეთუ** კეთილად თქუა ესაია წინაწარმეტყუელმან თქუენ ორგულთათჳს (მარკოზ 7,6); და ყოველადვე გალობნ და იტყჳნ, რამეთუ ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი... (ასურ. 5,23); ... ვითარცა იტყჳს სოლომონ, **რამეთუ** სიბერისა პატიოსნებაჲ არა მრავალი ჟამი არს (ხანძთ. დ. გ. 40); ...აუწყა წმიდასა გრიგოლს დიდსა მას მოხუცებულსა..., **რამეთუ** იყო იგი სასწაულთ-მოქმედ და პატივცემულ ღმრთისა და კაცთა გან (ხანძთ. ვ, ნე, 9).

ვითარმედ

გვხვდება ძველ სალიტერატურო ენაში და ფრიად გავრცელებულია საანალიზო ტიპის წინადადებაში:

...იტყოდეს, **ვითარმედ** შენ ხარ ქრისტჱ ძჱ ღმერთისაჲ და ცხოველისაჲ (ჰაემ. ტექსტ. IV, 16); უთხართ მოწაფეთა მისთა, **ვითარმედ** აღდგა და აჰა წინაგიძღუს თქუენ (მათე 28,7);

...ქადაგებდა უდაბნოსა ზედა, ვითარმედ შეინანეთ მეუფისაჲ ესე ახოვანი წინამორბედი ნათლისაჲ (ჭ.-ერტ.); და ვარქუ, **ვითარმედ** „რაჲ გინებს“? (შუშან. VII, 31); ...ახარა მარიამს მაგდანელსა მთავარ ანგელოზმან, **ვითარმედ** „აღდგა უფალი“ (ბოლნ. 2,32); ...მრავალნი ეტყოდეს მას, **ვითარმედ** მიიყვანე ეგე მთად საკვრველად სნეულთა მკურნალისა მის და განიკურნოს (კიმ. 310,26); ...აუწყეს, **ვითარმედ** ნუ მოხუალ აქა, არა შეგიწყნარებთ, მწვალებელო (კიმ. 95,34); წარვიდა ერთი მკედართა მათგანი და ქადაგა მხედრობასა შინა, **ვითარმედ** მონაზონი იგი მგმობარი ღმრთის-მშობლისაჲ ესერა მოგუყავს (კიმ. 86,2); და თქუეს, **ვითარმედ** მონაზონი წმიდაა საბა ეზაარა სარწმუნოებასა მათსა (ასურ. 14,36); ...ხოლო კაცი იგი ეტყოდა მათ, **ვითარმედ** „კაცნი მინახვან · ყოვლად კორცითა მყოფნი...“ (ზარზმ. 155,16); და მერმე სთქუთ, **ვითარმედ** მიცემულ არს იგი ოკრებად (წარტყუენ, ია, 32); ...ესრჱთ ჰრქუან მათ, **ვითარმედ** თქუენ შვილნი ხართ მეკერპეთანი... (კოლ. 56,32); თქუა იოსებ, **ვითარმედ** შემდგომად აღრაჲდგა უფალი ჩუენი იესუ ქრისტჱ მკუდრეთით გამომეცხადა მე იოსებს პირველად, რაჟამს ვიყავ საპყრობილესა შინა (არიმათ. 4,1): ...მიაგებს მისაგებელსა მართალსა **ვითარმედ** საკედარსა მას ჩემსა გამსგავსე შენ ეტლთა მათ ფარაოჲსა მოახლებული ჩემდა (იპოლიტე ლა, 118); ...ჩემ მიერ არქუთ, **ვითარმედ** გიწესს შენ მამაჲ გრიგოლ (ხანძთ. ჲგ, ჲა, 7); ...აუწყეს კურაპალატსა, **ვითარმედ** არა ჰნებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსლვაჲ აქა (ხანძთ. კთ, კვ, 5): ...კმა ყო, **ვითარმედ** „ცეცხლი აღდებულ არს სენაკსა“ შინა მამისასა (ხანძთ. ნგ, ნ, 6); მაშინ იკითხა ნეტარმან გრიგოლ, **ვითარმედ** სადა არს ყრმაჲ ბასილი (ხანძთ. ჲგ, ჲა, 4); და ვთქუთ, **ვითარმედ** ამათისა ლოცვისა სმენაჲ უაღრეს არს ყოვლისა შესაძინელისა (ანტიოქ. 115,36).

ვითა

გეხვდება საშუალო ქართულში. განსაკუთრებით დამახასიათებელია „ვისრამიან“-„ამირან-დარეჯანიანისა“ და „შაჰნამეს“ პროზაული ვერსიის ენისათვის:

მოაკსენა პასუხი ბადრი იამანისძემან, **ვითა** ჰაბუკობისა ძებნად წამოვსულვარ სახლით ჩემით (ამირან, 17,13; აგრეთვე: 36,32; 19,33; 91,17); უბრძანა, **ვითა**... დაეკაზმენით (ვისრ.

298,24); ... ე უ ბ ნ ე ბ ო დ ა..., ვითა ეგზომი ხანი მაჰისა ქუეყანასა დაჰყავ... (ვისრ. 107,6); ეგრე უ ბ რ ძ ა ნ ა, ვითა უკეთესი ცხენნი დამიკაზმენ (ვისრ. 110,4); მ ო ა კ ს ე ნ ეს ფრიდონს შარიერს, ვითა გორჯასპიანთა ნარიმანის შვილი ... ინდოეთით მოსულა... (პროზ. შაჰნ. 442); უ ბ რ ძ ა ნ ა მოციქულსა, ვითა ჩემმაგიერ ეგრე მოაკსენე მათ უსამართლოთა... (პროზ. შაჰნ. 419); სალიმ თ ქ ვა, ვითა ესე ჩვენი ლაშქარნი სრულნი ერაჯს ხედვენ შარიერად და გული ლაშქართა შაზედან დაუც (პროზ. შაჰნ. 409); შ ე ა გ ო ნ ე ბ დ ა, ვითა ფრთხილად და მღვიძარედ იყვენით... (პროზ. შაჰნ. 398); შაშინღა გ ვ კ ი თ ხ ვ ე ნ, ვითა ამა ქალაქთაგან უფროსი და ანუ უმცროსნი რომელნი არიან? (პროზ. შაჰნ. 398; აგრეთვე: 440).

თუ

ძველ ქართულში მისი გავრცელების არე verba declarandi-სთან ვიწროა. ვადასტურებთ თითო-ოროლა მაგალითს ზოგიერთ ძეგლში:

ჰ რ ქ უ ა, თუ მტკიცედ დეგ! (შუშან. 28, IX, 3); მ ი უ გე და ა რ ქ უ მას, თუ ოდეს წარიტყუნა წმიდაჲ ქალაქი ი ე რ უ ს ლ ი მ სპარსთაგან, მაშინვე წარიტყუნა პატიოსანი ძელი ჯ ვ ა, რომელსა ზედა დაემსჭუალა ძე ღმრთისაჲ ჴორცითა (ბოლნ. 2,32); ხოლო მან ჰ რ ქ უ ა მათ, თუ ვპოვე მე ყოველი საფასე ჩემი და არს იგი საუნჯესა შინა ჩემსა (ქიმ. 304,28).

საშუალო ქართულში თუ გავრცელებული საკავშირებელი ერთეულია სათანადო კონსტრუქციაში:

ვთქვით, თუ მზეა ნუთუ ზეცით ჩამოჭრილი ზედა ხმელსა (რუსთ. 1225,3); აწ მ ი თ ხ ა რ, თუ რას იტყოდი (რუსთ. 815,4); დ ა ჰ ვ ე დ რ ე ს, თუ ნუ აყოვნებთ, მოდით ჩვენად ნაბრძანებად (რუსთ. 516,2); ვ ჰ კ ა დ რ ე, თუ მზეო, დაგიწვავ, ჩემიცა დაწვი მზე ბარე (რუსთ. 530,3); შ ე ვ ს თ ვ ა ლ ე, თუ შეცა ვიცი, რაცა ჩემთვის ბაგიგია (რუსთ. 443,1); გ ულო, გ ე ტ ყ ო დ ი, თუ შეიქეც გზასა (ვისრ. 278,19); ... მ ო ა კ ს ე ნ ე ჩემმაგიერ რამინს, თუ უმისოდ მე რას ყოფნასა ვარ (ვისრ. 299,15); უ ბ რ ძ ა ნ ა, თუ კელაცა დამიშოწებია. შენ ნუ მივაზირებ, ესე მ ი თ ხ ა რ, თუ გზა რა რიგი არის (ამირან. 59,16); ეგრე მ ე ტ ყ უ ი ა ნ, თუ ნუ სტირ, მეტითა ტირილითა დასნეულებულ ხარ... (ვისრ. 219,3); ...და ასრე მ ო ა კ ს ე ნ ა, თუ ეგე საქმე შენს თავსა გაგებული იყო... (პროზ. შაჰნ. 372); და ასრე უ ბ რ ძ ა ნ ა, თუ ჩემგან შენ არა ვინდა (პროზ. შაჰნ.

372); უბრძანა, თუ წინ წამოდეგ (პროზ. შაჰნ. 396); ...მათ ესე უთქვამს, თუ შენი დღენი ადრე გათავდებიან (პროზ. შაჰნ. 394); დაუძახა, თუ ფილასონ, გინდი სულთა დასაწველად (შაჰნ. 3165,1); თქვა, თუ ცოცხალი ვზი ვითა (შაჰნ. 3139,1); უბრძანა, თუ არა მძინავს, გამიმწარა დღე ნათელმან (შაჰნ. 3115,2); უბრძანა, თუ ვაშად მოხუელ, აწ მიამბე სით ხარ მველი (შაჰნავაზ. 58,1); თქუეს, თუ გარდაჴდენ მეფენი (შაჰნავაზ. 37,3); ჰკადრეს, თუ ზღუათა პატრონსო ისმინე ჩუენგან თქმულია (შაჰნავაზ. 125); უთხრა, თუ მართალს იტყოდი (არჩ. 645,1); თქვა, თუ არ მმართებს აყოლა ამ სოფლის, ერთის პრულისა (არჩ.. 646,2); ვსთქვი, თუ ჰე, ღმერთო, შენა ხარ ჩემებრ ცთომილთა მჴსნელია (გურამ. 220,1); ვსთქვი, თუ აგების უფალმან აქ მიჴსნას საკანკალოსა (გურამ. 228,9).

რომ(ე)

გვხვდება საშუალო ქართულში (იშვიათად).
ნიმუშები:

მაგრა აწეევე გითხრობ, **რომე** მოყვანება არა ეგების (ამირან. 58,4); ძე ამისთვის ვიტყვი, **რომე** მათითა ჴელითა აწყვეტილა სამეფო შენი და მოოკრებულა ქალაქი (ამირან. 36,17); უსიბისა ესე მოგაჴსენო, **რომე** უსუსური იყო... (ამირან. 24,32); ვსთქვი გულსა შინა, **რომე** ეშმაური რამე არის და ყური არ მიუპყარ (ამირან. 71,18); აგრეე ესეც ამას უბნობს, **რომე** ღმრთისაგან არის ყოველი ჴელმწიფება იმაბ ღმრთის მიმზგავსებულობით (ვახტ.); ვეხვეწე მამულაიშვილს, **რომ** ეს ჩემი კაცი ან გამარიგე, ან ნაწყენი მომეცი (დოკუმენტ. ბერძნ. 675,66).

საშუალო ქართულში პროდუქტიულია სპეციალური ნაწილაკები (პირდაპირ მეტყველების კონსტრუქციაში), რომლებიც ეხამებიან საკავშირებელ ერთეულებს. ესენია: **მეთჴი, თჴო** და ო. ამ ნაწილაკებს „სხვათა სიტყვის ნაწილაკებს“ უწოდებენ.

მეთჴი პირველ პირთან იხმარება. მასთან გამოყენებულია კავშირები: **ვითა, თუ რომ(ე)**; ამის პარალელურია ასინდეტური დაკავშირება—როცა კავშირი გაუჩინარებულია და კონსტრუქციას ქმნის მარტოდენ ნაწილაკი.

საშუალო ქართულის მოგვიანო პერიოდის ენა გვაწვდის **მეთჴი**-ს ხმარების მეტად განსაზღვრულ ნიმუშებს, როცა ნაწილაკი კავშირთან ერთადაა გამოყენებული, მაგრამ გაცილებით მეტია ასინდეტუ-

რი კონსტრუქციის შემთხვევები, ე. ი. როდესაც მხოლოდ **მეთქი** იხმარება.

ვითა+მეთქი გვხვდება, მაგალ., „ამირანდარეჯანიანის“ ენაში:

მე აგრე უთხარ, **ვითა** კარგი ვინმე ჰაბუკი ხარ, მე და შენ ომისაგან კიდე სხვა არა გვეწევის **მეთქი** (103,34); მე ეგრე მოვაკსენე, **ვითა** დასტურ წამოგყვები **მეთქი** (110,36).

თუ+მეთქი დადასტურებულია იმავე ძეგლში:

...არა ვჰკითხე, **თუ** რომელსა ჭუეყანასა შინა არის **მეთქი** (II,100,1); მე ვჰკითხე მათ კაცთა, **თუ** ვინ ხართ **მეთქი** (104,33).

რომ+მეთქი-სათვის დავიმოწმოთ „რუსუდანიანის“ ენა:

შევევხვეწე ღმერთსა, **რომ** ცოცხალი იყოს... მომკალ **მეთქი**.

ახალ ქართულში **რომ+მეთქი** სალიტერატურო ენის ნორმაა. ზოგ ავტორთან **მეთქი** დეფისით უერთდება წინამავალ სიტყვას. აი ზოგიერთი დამახასიათებელი მაგალითი:

...მივხვდი, **რომ** აქ კარგი არა არის რა-**მეთქი** (აკაკი 392); ზემოთაც მოვიხსენიე, **რომ** ქართველებს ურიცხვი და უთვალავი სათამაშოები გვაქვს-**მეთქი** (აკაკი 391); მაშინ მივხვდი, **რომ** ალბად ჩვენც ასე გვეალერსებოდა-**მეთქი** (აკაკი 435); ...მოვიგონე, **რომ** ერთი მსახიობი მაკლდა და, რომ ის იკისრებდეს, არ იქნება ურიგო-**მეთქი** (აკაკი 477); აი მოგახსენეთ, ბატონებო, **რომ** წარღვნა უნდა მოვიდეს **მეთქი** (ილია 345,9); შევფიცე ღმერთსა, **რომ** მე მოვკვდები და იმას კი არავის წავაქელვინებ-**მეთქი** (ილია).

როგორც ზემოთ ვთქვით, საშუალო ქართულში გაცილებით მეტია ასინდეტური კონსტრუქციის ფაქტები (განსაკუთრებით ხშირია „ამირან-დარეჯანიანში“).

გავეცნოთ ნიმუშებს:

მე მოვაკსენე, მგონივარ, მკარი მომტეხე **მეთქი** (ამირან. 110,29); მე ეგრე უთხარ, ომად ვარ მადის ძე **მეთქი** (ამირან. 109,4); მოვაკსენე, მო-**მეთქი** (ამირან. 71,11); მე ეგრე ვსთქვი, ისი მგოსანნი წინარემცა მოდგენ **მეთქი** (ამირან. 88,31); მე ეგრე ვარქვი, შევნიერო ჰაბუკო **მეთქი** (ამირან. 103,11); ღამით უთხარ მოქალაქეთა, შეეკაზმენით **მეთქი** (ამირან. 102,20); ...ვსთქვი, ნეტარ ვინ ყოფილან ესე ჰაბუკნი **მეთქი** (ამირან. II, 8, 1); გარდვიფიცე, ისე ვიცი-**მეთქი**, ისე ცუდად ვთქვი-**მეთქი** (რუსუდ. 742,1); ასე ვთქვი, ცა ქუხს და მიწა იქცევა-**მეთქი** (რუსუდ.

763,4); ვახტანგის კარის ეკლესიად დავნატრე, მე მიმაძღნობინა **მეთჟი** (საბა, მოგზ. 42); მე მოვახსენე, წმიდავ მამავ **მეთჟი** (საბა, მოგზ.) მე ვარქვი, ჭე, მართალსა იტყვი **მეთჟი** (ქილილ. 259); მე ვუთხარ, ეგე რა სათქმელია, რომელსა იტყვი **მეთჟი**? (ქილილ. 257); მე ვუთხარ, ... უქონელობა მეფობისა უაღრესია, რომელსაცა გვირგვინი პატიოსნობისა ადგს **მეთჟი** (ქილილ. 257); მე შეუთვალე, საქმე მიჭირს, ვერ ვიყიდი **მეთჟი** (იესე ოსეშვ. 56,); ... ახე მეგონა, მკუდართ აღდგომა დღეს არის **მეთჟი** (იესე ოსეშვ. 10); კიდევ შევეხვეწე, მეჯინიბედ მიმსახურე,... სხვაგან არსად დავიკარგო **მეთჟი** (იესე ოსეშვ. 41); მიველ და შამოგეხვეწე, ნუ ამყრი **მეთჟი** (დოკუმენტ. ბერძენ. 183,10); ... ეს ვიფიქრე, ... რა უნდა ვქნა **მეთჟი**? (დოკუმენტ.თაყაიშვ.137,24).

ფაკულტატიურია იგი ახალ სალიტერატურო ენაშიც:

... ვწერ შენზედ დიდს განგაშს. ზურაბიანთ გაგვასწრეს **მეთჟი** (ორბელ. წერილ. 52,193); ... გითხარი, სანთელსაკმელი თავის ცხას არ დაჰკარგავს-**მეთჟი** (ილია 319,28); სჩანს, ჩემი ფიქრი ჰქონია-**მეთჟი** — ვიფიქრე გულში (ილია 318,40); აკი მოგახსენეთ, გაგიიდვილებთ-**მეთჟი** სამეცნიერო სიტყვის გაგებასა (ილია 253,6); ...მე მეგონა, ...ვარსკვლავები ჩემს ბედს შეჰნატრიან-**მეთჟი** (ილია 304,19); ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ვუშველო ამ საქმეს-**მეთჟი** (ილია 254,25); აკი გითხარ, კაი ბიჭი ხარ-**მეთჟი** (ილია 280,4); ვიფიქრე, ეს მჭადი მე ხეირს არ დამაყრის-**მეთჟი** (აკაკი 439); ... დიახ, მე **მეთჟი**, ვუპასუხე (აკაკი 437); მეც რომ შევატყვე, აღარ წყურება-**მეთჟი**, გავთამამდი (აკაკი 433); ვსთქვი, სწორედ მერცხლის ბუდეა აქა და ის ზის-**მეთჟი** (აკაკი 398); ვიფიქრე, ეს ცუგუული სად შემოფრენილა-**მეთჟი** (აკაკი 398); ... ქორმაც მე გამიტაცა **მეთჟი**, — ვუპასუხე სიცილით (აკაკი 392); ... ვკითხე, რა გატირებს-**მეთჟი**? (აკაკი 392); საჩქაროდ მივაძახე, ხუთასი მანეთი **მეთჟი** (აკაკი 448); მე ხომ გითხარი, ვერაფერს გაუბედავ-**მეთჟი** (ვაჟა 7); ... მომაგონდა, ... ვერ უპოვნიათ მშობელი დედა და ტირიან-**მეთჟი**... (ყაზბ. 15); ... აი ვეუბნებოდი, თავი დაანებე მაგ ყაყას **მეთჟი** (ლომოური); ასე მეგონა, ერთი რამ საშინელი ისასაცილო საქმე ვქენი **მეთჟი** (ლომოური); ...გამოგიცხადე, ვერ მოგცემ-**მეთჟი** ჩემსა ასულსა (მაჩაბ. 8,1).

აღსანიშნავია, რომ ასინდეტური კონსტრუქციები სავალდებულო ა, როცა დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარ წინადადებას. იგულისხმება ამგვარი მაგალითები:

კარგი-მეთქი, ვუთხარ მე (აკაკი); ...არ ივარგებს-მეთქი, ვიფიქრე გუნებაში (აკაკი); ...მძიმე საქმე მაქვს-მეთქი... ეუთხარი მე (ილიაწ); სჩანს ჩემი ფიქრი ჰქონია-მეთქი, ვიფიქრე გულში' (ილია).

მეთქი დაესმის ყოველგვარ მეტყველების ნაწილს: ზმნას, სახელს, თანდებულიან სახელს...

მაგალითები:

მე კი მეგონა, აღზევანსაც წავალ-მეთქი კიდევ მარილზედ (ილია); საჩქაროდ მივაძახე, ხუთასი მანეთი-მეთქი (აკაკი); აი, ამისთანა კაცები ვართ კახეთში-მეთქი (ილია), და მისთ.

პირდაპირი მეტყველების კონსტრუქციაში II პირთან გამოყენებულია-თქო ნაწილაკი, რომელიც ეხამება რომ კავშირს, თუმცა იშვიათად. ჩვეულებრივია მისი მონაწილეობა ასინდეტურ კონსტრუქციაში.

არსებითად დამახასიათებელია ახალი სალიტერატურო ქართულისათვის.

საშუალო ქართულში გვხვდება აქა-იქ და, ჩანს, იგი ხალხური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, იშვიათად რომ წამოყოფს თავს სალიტერატურო ენაში:

მიკითხოს, ჰკადრე, იყო-თქო აქა ერთისა წამითა (რუსთ. 103,4); აცნობე ჩემი სიკვდილი, იყავ მართ ვითა მთრვალია; მიჰხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლთათვის გარდუვალია (რუსთ. 158,2); ეს შენათვალი მიუწინარე, მეცა ვიყავ-თქო თავსაჩინარე (ბესიკი 6).

ახალი ქართულის ნიმუშებია:

ასე შეუთვალე ჩემმაგიერ, სირცხვილია-თქო, თუ ემსახურები? (გრ. ორბელ. წერილ. 43,186); ჩემი საყვარელი ქეთევან დიდად უნდა მომიკითხოთ და უთხრათ, ალექსანდრე და ბარბარე გრიგოლობას ვერ გიზმენ-თქო (გრ. ორბელ. წერილ. 44,186); უთხარი შენს ქმარს, შეც დილაზედ ვინახულებ, ღმერთია მოწყალე-თქო, ყველანი მშვიდობით ვიქნებით-თქო (ილია 286,15); უთხარი, რომ, როცა პეპია კვდებოდა-თქო, შენა გლოცავდა-თქო (ილია 315,39); ბიჭებში კი ხმა გააგდეთ, რომ ტყუილია-თქო, ურჩია ლუარსაბმა (ილია 345,41); უთხარ, რომ ცოცხალი ვარ, ისევ ისე მიყ-

ვარხარ-თქო, თუ ღმერთმა გადამარჩინა, თავს არ დაგანებებ--თქო... (ყაზბ. 49).

დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერლებთან, განსაკუთრებით აკაკისთან, თქო ზოგჯერ I პირთანაც იხმარება, მეთქი-ს ადგილას, და ეს ნორმა ხალხური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი.

მაგალითები აკაკის ენიდან:

დავიბარე შინ, რომ დავბრუნდები, ფოსტიდან გამოვიტანთქო (404); ...ღმერთს ვეხვეწებოდი, ღმერთო, სტუმრებს ნუ გამოგვილევ-თქო (425); ... კიჟინას ვაყრი, ვერ წამოხვალ, შე წუწკო, შე ფრთხილო-თქო (423); ... გამევლო გულში, არავინ მიყურებდეს-თქო (420); ... თავი მითი ვიმართლე, რომ ფეხები მტკივა-თქო (424); ... და მეც სწორედ დავრწმუნდი, რომ კურდღელს ფეხდაფეხ მოვწვდი და დავიჭირე-თქო (424); მივიჭერი და შევეხვეწე, ანა, გენაცვალე, ერთი მტევანი მეც მომიწყვიტე-თქო (421).

პირდაპირი მეტყველების კონსტრუქციაში ზმნის III პ. ფორმასთან, თანახმად სალიტერატურო ენაში დაკანონებული ნორმისა, ქართულში გამოყენებულია ო ნაწილაკი. იგი ეხამება კავშირებს — ვითა, თუ რომ(ე) და მონაწილეობს ასინდეტურ კონსტრუქციაში უამკავშირებოდ.

„სხვათა სიტყვის“ ო დამახასიათებელია საშუალო და ახალი ქართული ენისათვის, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ძველ სალიტერატურო ენაში იგი არ გვხვდება. ამის მაგალითებს გვაწვდიან ძველი ენის ტექსტები.

დავიმოწმოთ ზოგიერთი მაგალითი:

... მან მაცთურმან თქუა, ... ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო (მათე 27,63 DE); რამეთუ რიცხუსა მას იტყჳს, ვითარმედ სამასნი მელნი შეიკუიცუნა ურთიერთსაო რომელთა უკუანაჲსკნელ ცეცხლი აღგზებული დასწუვიდესო, ამას გჳჩუენებს, ვითარმედ მწვალებელ იყუნესო (იპოლიტე შდ. 42); აწ ამისთჳს იტყჳს სული იგი: გჳპყრენით მელნი მცირენიო... (იპოლიტე, მე, 58); არამედ ეუწყა ღმრთისა გან, ვითარმედ უმჯობჱს მისსა აწ იყო სხუაჲ მღდელი მწყსად თქუენდაო (ხანძთ. მა, ლზ, 3); ვითარცა იტყჳს მოციქული: „მოუკლებლად ილოცევდიო“ (ხანძთ ა, ა, 14); რამეთუ დავით იტყჳს: „აღუთქუთ და აღუსრულეთ უფალსა ღმერთსა თქუენსაო“ (ხანძთ. თ, ვ, 87); ამის თჳსცა ქრისტემან უბრძანა პეტრე მოციქულსა: „არა თუ შჳდ გზის ოდენ შეუნ-

დო ძმათა დღესა შინა, არამედ სამეოც და ათ შჯდ ცზისაო“ (ხანძთ. ია, ზ, 67).

ვით+ო გვხვდება „ვისრამიან“-„ამირან-დარეჯანიანში“; უმთავრესად ამ უკანასკნელში. მოგვიანო ხანის ძეგლებიდან ვადასტურებთ „შაჰნამეს“ პროზაულ ვერსიაში:

...ვისის დედასა არ ქუეს შაჰროს, ვითა სულისა დაღება ქალისაგან ნდომისა ნიშანი არისო (ვისრ. 13,6); მუნ ეტიმან იყივლა ღმრთისა განგებისაგან მათ ზედა, ვითა ვაამანის საქონელი — ვაამანისა არისო (ვისრ. 20,18); ...შესჩივლა შაჰროსაგან, ვითა რჯული დააგდო შაჰრომან და ზენაარი გატეხაო (ვისრ. 20,27); ზოგნი ეგრე იტყოდეს, ვითა ღა უჯობს, თუმცა რამინის ნაცულად ათასი ბერძენთა მეფეთაებრი უჩნდაო (ვისრამიანი); ...ეგრე არქუა, ვითა შენ სით მოხუალ, სახელი და გუარი შენი რა არსო? (ვისრ. 17,2): ...მოეწერა. ვითა მოვალ და ასულსა შენსა შევირთაო (ამირან. 22,19); მოაკვენეს, ვითა ბრალი არავისი ყოფილა, ცთომით უთხრა კაცმან ვინმეო (ამირან. 44,8); და უბრძანა მის სამეფოსა კაცთა ვითა ყველანი იმა უმცროსსა ვეშაპსა შეებენითო (ამირან. 92,5); უთხრა აბუ-ტალიბს ღარიბსა, ვითა წამომყევ და მიმიყვანე მუნაო (ამირან. 59,21); ...ეგრე თქუა, ვითა მთვრალი ვიყავო (32,21); ...ყიოდა, ვითა გარდიხვეწენითო (16,8); თქვა უსიბ ინდოსა ჰაბუკსა, ვითა აქა დგომა არა კარგი არსო (ამირან. II, 27, 18); ჩვენთვინს შემოგეთვალა, ვითა გული ჯავრისაგან ამოირეცხეთო და შეცოდება შეგვინდოსო (პროზ. შაჰნ. 419).

მეტი გავრცელება აქვს სამუალო ქართულში თუ+ო-ს. გავეცნოთ მაგალითებს:

მაშინ აღარ მითხრა, თუ ესრევე იყოსო (ვისრ. 50,28); ესეცა დაგეყუედრა ჩემდა, თუ შენი დედა გუარად შენსა მამასა სჯობდაო (ვისრ. 105,21); ...ვისის ეგრე ეთქუა, თუ ჯერეთ ჩემგან ძმასა გულის-ნება ვერ უპოვნიაო (ვისრ. 30,11); ესე ვერავინ ჰკითხის, თუ რაის ჭირისაგან ხარ ეგრეო (ვისრ. 52,26); ...გულსა შიგან იგონებდა, თუ აწ რა ტკბილად დაეწყო ლაპარაკი და საუბარიო (ვისრ. 71,32); გვეგონა, თუ აღარ არის გზა საჭირო ჩვენიო (ამირან. 17,6); უბძანა მეფემან, თუ რა გვარი არის იგი ნადირიო (ამირან. 3,21); მაგრა ესე ვერ უთხრეს, თუ გზა ვერა გავსცეთ, თავებსა დაგვჭრისო (ამირან. 57,31); თქვეს, თუ აბა გარდახედითო (ამირან. II, 34,13); თქვეს, თუ

წავიდეთ და ვნახოთ და მათ წინაშე დავიჭოცნეთო (ამირან. 91,15); ეგონა, თუ დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ-ბაკმული (რუსთ. 230,4); ...ან თქვას, თუ აქ რა გრჯიდაო (არჩ. 571,3); ეთქვა, თუ ასე ცოტასა რას ვაქნევ, არ ვარ ძიძაო (არჩილიანი, 1); თქუა, თუ მოგცაო მნათობი, რისაცა იყავ მძებნელი (შაჰნავაზ. 131,3); თქვეს, თუ უფრო წავჭდებითო (გურამ. 55,4); ებძანა, თუ მობძანდიო (გურ. 299,2).

ახალი ქართულისათვის თუ+ო არაა დამახასიათებელი. შესაძლოა შეგვხვდეს ზოგიერთ მწერალთან უაღრესად იშვიათად.

მაგალ.:

არავის უთქვამს, თუ ეგ საშიში, სახიფათო და ურიგო საქმეაო (აკაკი 422).

რომ(ე)+ო საშუალო ქართულშივე იხმარება, ოღონდ ის არაა ფართოდ გავრცელებული.

აი ზოგიერთი მაგალითი:

ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა (აბდულმესია 105,3); ...იტყოდეს, რომე სამი ათასი კაცი მოკლესო (ამირან. II, 133,13); ...ეგრე არქვა, რომე წასვლასა მიშლი, აკლე თვარეო? (ამირან. 72, 37); თქვეს, რომ დღეს, თურმე აღარ მოვაო (საბა, მოგზ. 17); ...ლექსადაც იმისთვის უბნობს, რომ სპარსის ლექსის ბაძზედ რომ სთქვა სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო (ვახტ. სქე, ივ); ...მითხრა მამა თქვენმა, რომ ეგ წიგნი შეინახე, ჩემიც გამოსაყენებელია და შენიცაო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 12, 18); შენვე შემოგეხვეწა, რომე მიყიდეო (დოკუმენტ. ბერძენ. 62,7).

ახალი სალიტერატურო ენის ნიმუშებია:

ის დალოცვილი მღვდელი ხშირად მარიგებდა ხოლმე, რომ მტერსაც პატივება უნდაო (ილია 304,31); ჩემმა ნათლიმამამ მითხრა, რომ არა მგონია მღვდელი ეხლა შენ გამოგყვესო (ილია 321,6); ბოლოს მითხრეს, რომ შენი გაგზავნის დრო მოვიდაო (ილია 311,20); შეუტყვიათ, რომ შპიონი არისო (აკაკი 460).

საყურადღებოა, რომ „სხვათა სიტყვის“ ო ეხამება თითქო(ს) კავშირს, და ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ ამ საკავშირებელი ერთეულის ეტიმოლოგიურ ბუნებას („თუ ითქვას“); რადგანაც

გენეტურად ივარაუდება oratio recta-ს კონსტრუქცია, ბუნებრივია ამ ვითარებაში ო-ს გამოვლენა.

ნიმუშები:

ერთად-ერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაპნათიდა, ერთს ალაგს გაჩერებული, **თითქო** მყინვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო (ილია 255,36); ...მუშტები თავისთავად დამეკუმშენ, **თითქო** ჩემი გზის ამრევი ხელში უნდა გამეწურაო (ილია 305,6); მოუბრუნდა გიტოს და გულ-დადინჯებულად, **თითქოს** კაი საქმეს შერებაო, უთხრა... (ილია 300,35); ასე იდგნენ კიდევ რაოდენიმე ხანს, **თითქოს** გაბუტულები არიანო (ყაზბ. 71); მიიხედ-მოიხედა, **თითქოს** ეძებს რასმეო (ლომოური); მისი ... თვალები ისე დალონებით და რაღაც სასოებით იცქირებოდნენ სასაფლაოსაკენ, **თითქო** მათი პატრონი იქ დამარხულ გვათმ შენატრისო (ლომოური).

საშუალო ქართულის ზოგიერთ ძეგლში და მეტად იშვიათად მე-20 საუკ. მწერლებთანაც ო I პირის ფორმებთან იხმარება და იგი **მეთქი**-ს ადგილასაა.

აი რამდენიმე მაგალითი:

ვ ს თ ქ ვ ი თ მ ცა, **თუ** ზურმუხტისანი არიანო (ამირან. 83,15); მე ეგრეთ მ ო ვ ა კ ს ე ნ ე. **ვითა** ცხოვნდი უკუნისამდე, ამირან-დარეჯანისძეო (ამირან. 25,30); მე ეგრე მ ო ვ ა კ ს ე ნ ე, თუ რა მოგაკსენო, დაგიმძიმებისო (ამირან. 72,1); მაგრა კვლაცა მ ო გ ა კ ს ე ნ ე ბ, თუ ვით ეგების, დაეკსენ მაგა საქმესაო (ამირან. 59,14); პირველად ესე გ ი თ ხ რ ა მე, **რომ** თვით სეფედავლისებრი ჰაბუკი არა არს პირსა ზედან ქვეყანისასაო (ამირან. II, 149,7); ...უ თ ხ ა რ, ის კაცნი საყდარში შესულნი არიან, სანთლები ხელში უჭირამთ, მოდით და დააფიცეთო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 213,48); ჩაეედი, შ ე ვ ე ხ ვ ე წ ე, ან გამარიგე და შემარჩინე. თვარა მომეც და ორს მჯარჩილს მოგცემო (დოკუმენტ. ბერძენ. 475); ასე უ თ ხ ა რ ი. დოსითეოსის დიაკვანიაო (კალმას. 6,26); დედაჩემს შ ა ე ხ ვ ე წ ე, ტყავია-წამალი მიყიდე და დამბაჩა მიყიდეო (ვაჟა, „პატარა მწყემსის ფიქრები“); მაშინ გულდამშვიდებულმა ვ ს თ ქ ვ ი, არა ვარ გამშრალი, არაო (ვაჟა, „მთის წყარო“).

რა მდგომარეობაა მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ რ ი ც ხ ვ შ ი I პირის ფორმასთან? როცა მთავარ წინადადებაში ზმნა I პირში და მრავალობით რიცხვშია მოცემული, დამოკიდებულ წინადადებაში საშუალო ქართულში ო იხმარება.

მაგალითები:

და ჩვენ მოვახსენეთ, არ ყოფნა ამა საქმეთა ყმათა უმძიმსო (ამირან. II,126,22); ვსთქვით ყოველთაევე, ჭაბუკი ერთი იმას ვერ სჯობსო (ამირან. II); ჩვენ ვჰკითხეთ, თუ რა გეჭირსო? (ამირან. 29,5); ვთქვით თუ მოდარბაზენიო (ამირან. 27,22); ვთქვით თუ აბუტარ ყოფილაო (ამირან. 45,13); ეგრე ვთქვით, ვითა მას გვერდით იგი გარეგანნი სახლნი აღარ არიანო (ამირან. 86,3); ვთქვით-მცა, თუ არა არს ჭაბუკი ამისებრიო და ვსთქვით, თუ დღესა არს სიკვდილი რომელსამეო (ამირან. 46,26); გვეგონა, ვითა იგი სინათლე იყო ხვარაშან ქალისაო (ამირან. 83,25); ასე გვეგონა, სულ ნადიმად ვმსხდარვართო (რუსუდ. 771,3); ...იმას ვკითხეთ, რომ ეს თამაზ ერისთავის ყმა იყო, შენ რატომ მიყიდე მეითარსაო (დოკუმენტ. ბურძენ. 134,5).

ახალ სალიტერატურო ენაში იშვიათია ო-ს გამოყენება I პირის შრავლობითთან. ასე, მაგალითად, ახალი ნორმების მიხედვით შეუსაბამო კონსტრუქციაა:

... ილიას ვუთხარით, ... ვაჟა-ფშაველა... გავგზავნოთ გავითარებლადო (მაგალ. მოგონ. 133).

მაშ, რა არის დამახასიათებელი სათანადო კონსტრუქციისათვის ახალი სალიტერატურო ენის სინამდვილეში?

როდესაც მთ. წინადადებაში წარმოდგენილია ზმნა I პირის ფორმით მრავლობით რიცხვში, დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენებულია არა მეთქი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო (მხოლ. რიცხვის მიხედვით), არამედ მოცემულია ჩვენთვის ცნობილი-თქო ნაწილაკი, რომელიც, როგორც ვიცით, ენაში გვხვდება მხოლ. რიცხვის I პირის ფორმასთანაც, მაგრამ სალიტერატურო ენისათვის ნორმა კია II პირის ფორმასთან მისი გამოყენება. მაგალ., არ ვამბობთ: „შევეხვეწეთ, (რომ) წიგნები გვიყიდე-მეთქი", არამედ „შევეხვეწეთ, (რომ) წიგნები გვიყიდე-თქო", და ეს ალბათ იმიტომ, რომ ენაში ეკრ კიდევ ალიქმება მეთქი ნაწილაკის ეტიმოლოგიური დასაბამი: მეთქი-ს საფუძველია მხოლ. რიცხვი: მე ვთქვი, და მრავლობითის კონსტრუქციაში მისი ხმარება გაუმართლებელი იქნებოდა.

უალრესად იშვიათად იმავ საშუალო ქართულში ო II პირთანაა გამოვლენილი:

... ეგრე იტყუი, რამინ მინდა და მოაბად არ მინდაო (ვისრ. 90,6); მიბრძანეთ თუ რა არს აჯა თქვენი ჩემთანაო (ამირან. 57,28); თუ ამას იტყვი, ვითა ეშმაკმან მამატყუაო

და ხიკვდილი კაცსა თავსა აცო (პროზ. შაჰნ. 419); ...ვ ს თ ქ ვ ი, თუ ვიშვილებ ამასო (გურამ. 337,4); მამა შენს ასრე მ ი ს წ ე რ ე, მე გაჰატანეო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 137,36).

„სხვათა ხიტყვის“ ო უმთავრესად ხინდეტურ კონსტრუქციაში მონაწილეობს.

გავეცნოთ ჯერ საშუალო ქართულის ფაქტებს:

...ეგრე თ ქ უ ი ს, ქელმწიფობითა შენ უკეკლუცე ხარ ყოველთა კეკლუცთა ზედაო (ვისრ. 54,8); კვლა უ ბ რ ძ ა ნ ა, თავსა ჩემსა, რას იცინი, რად დამგმეო? (რუსთ. 65,1); ...ასრე ე გ ო ნ ა, უღონიოდ მტერიანი იყო რამინ და აწ მტერმან დასცაო (ვისრ. 39,27); მათ გ ვ ი თ ხ რ ე ს, ინდოეთისა ნაპირისანი ვართო (ამირან. 107,35); და ჩვენ გ ვ ი ბ ძ ა ნ ა, აწ ნახოთ ძალი და ჰაბუკობა ჩემიო (ამირან. 115,4); უ ბ ძ ა ნ ა დედოფალმან დიდებულთა მისთა, მოაკსენეთო (ამირან. 90, 28); უსიბ მ ო ა კ ს ე ნ ა, ვიცით (ამირან. 14,21); იგავთა შინა უ თ ქ ვ ა მ ს თ, უსაყვარლო კაცი მიწყივ სწეულიაო (ქილილ. 235); და ეგრე მ ი თ ხ რ ა, ესე სანადირო ჩემია და ესე ტყე ჩემი სამკვიდროო (ქილილ. 115); ბრჭემ ჰ კ ი თ ხ ა, როგორ ყოფილაო? (ქილილ. 219); ბ რ ძ ა ნ ა, ნეტავი ერთი წყალი დამალევინაო (რუსუდ ;755,7); და მერე ჯიმშედ ეგრე მ ი ბ ძ ა ნ ა, ამას მაშინც ვერ დაიწუნებო (რუსუდ; 918,5); უ თ ხ რ ა, მე ამით მაძღარვარ, ჰე, ჩემო სიხარულოო (არჩილიანი, 1); თ ქ ვ ა, რა ქალს კაცი ხელთ იგდებს, სახეებს დაუთვლისაო (არჩ. 561,1); მ ო ა ხ ს ე ნ ე ს მოულოდნელი რამე ლაშქარნი გამოჩნდაო (ფარსად. 211); ასრე შ ე ს თ ვ ა ლ ა, იმერელთ მიმუხანათესო (ფარსად. 222); ა.ავის კაცს დ ა ა რ ი გ ა, გულნებურად აჩვენეო (საბა, მოგზ. 39); მ ი ბ რ ძ ა ნ ა, ვიცი მართლა ვერა გასინჯე რაო (საბა, მოგზ. 39); ი ტ ყ ვ ი ს კაცი დადიანი:.., ნუ მიხმობთო... (ბესიკი); ქმარს უ თ ხ რ ა, ადრე ვისწრაფოთ, სახლს ვეპატრონოთ ჩქარაო (ბესიკი 61); დიონოსე ი ტ ყ ჳ ს, ღმერთს ყველა კეთილად დაუბადებიაო (ვახტ. ტნა, ჩუპბ); და ახლა უ ბ ნ ო ბ ს, ჩვენ კარგს მოლექსეებს სუფრის შაირობაც კარგად გვიამებთო (ვახტ. სჟთ. კდ); და გ ე ხ ვ ე წ ე ბ ა თ, ამ ჩემს ნათქვამს წიგნს სოფლის სამიჯნუროდ ნურვინ გახდიო (ვახტ, სუგ, თ); ბ ძ ა ნ ა, შენისთანა ყმაწვილს აგრე მოატყუებენო (იესე ოსეშვ. 24); ხოლო წმიდამან მოწამემან ჰ რ ქ უ ა, შთადეგ, ბასილი და განზომე ეგე, რაოდენი არსო (აბუს. ტბ. 62,101); ბატონიშვილმაც დიდად

იკვირვა, ამის მეტად არ შემიტყვიაო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 101,9); მაშინ მიშკარბაშმან უთხრა, ღმერთმანი, ტყვილი არის ეგეო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 138,14); ნანია ჩიოდა, მამა ჩემი ბერძნისშვილის ზავრადას შვილი იყოო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 225,2); ასრე მითხრეს, ფულარიანის ცაგერლის ხელშიდ გავრიგებულვართ და საზღვარიც ასვიანო (საეკლ. საბ. 73,4).

ახალი ქართულის ნიმუშებია:

ასე სწერია, ორისა და სამისა მოწამითა დაემტკიცოს ყოველიო (ქალმას. 40,15); მკითხავდა, გესმისო? (ილია 284,23); ...უპასუხნია, ჩემი გახლავთო. (ილია 299,22); ...გითოს უთხრა, მე და გაბრიელ მოვრიგდებითო (ილია 305,3); მეურმემ დამძახა, ურემი გატყდაო (ილია 312,23); მომგვარეთ მოურავიო, დაიყვირა (აკაკი 409); თანაც ასე იძახოდა: ასე დაიჩეჩოს ბაბუას წვერებიო (აკაკი 387); ძიძის შვილმა მითხრა, მოდი ერთი ბაბუას წვერები დავუჩეჩოთო (აკაკი 387); და თურმე იმას ფიქრობდა, საიდან სად მოვედიო (აკაკი 384); დღეს ბატონები გამობრძანდებიანო, იტყოდა ხოლმე ჩემი ძიძა (აკაკი 390); ცხადად ვინ უშლიდაო, იფიქრებს კაცი (აკაკი 435); იფიქრა, ეგ არის, უნდა გამოვესალმო წუთისოფელსაო (ვაჟა 197); ერთმა სთქვა, ვერხვი მოვჭრათო (ვაჟა 40); ...ღმერთს ევედრებოდენ, ...დიდხანს გვაცოცხლეო (ვაჟა 40); იქნება კიდევ შევჯავრდეო, ჰფიქრობს (ვაჟა 44); ...სულ მართალიაო ამბობს იგი (ვაჟა 69): და თან ფიცით მეუბნებოდა, უცნაური რამ შევიტყეო... (მაჩაბ. 22,9).

„სხვათა სიტყვის“ ნაწილაკები ყოველთვის არ არიან დაკავშირებული verba declarandi-სთან; იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით სალიტერატურო ენაში სხვა ტიპის ნიმუშებს. ამ შემთხვევაში სათანადო ნაწილაკების შემცველი მარტივი წინადადება ან ჰიპოტაქსურადაა დაკავშირებული მასთან მდგომ წინადადებასთან ან კიდევ პარატაქსულად. ორსავე კონსტრუქციაში იგულისხმება ლოგიკურად სათანადო ტიპის ზმნა, მაგრამ არა ჩანს; ნაწილაკები დამოუკიდებლად გამოხატავენ პირდაპირი მეტყველების კონსტრუქციას. ზოგჯერ **მეთქი** ცალკე არსებულ მარტივ წინადადებაშიც იჩენს თავს.

ნიმუშები:

მივართვი: ეს მაქვს-მეთქი (რუსუდ. 727,4); კმალი წინ დაუდე, შემცოდე ვარ და სიკვდილის მეტი აღარა გამეწყობა რა-მეთქი

(რუსულ. 756,6); მრავალი ვიტირე, ასრე დამაქცევინა ოჯახი ამანა-**მეთქი** (დოკუმენტ. თაყაიშვ. 137,21); მე ძალიან გამიკვირდა, ვინ ბიჭი-**მეთქი** და ვინ წიგნის კითხვა (ილია 271,4); გამიკვირდა: ეს რა გიმნაზიის საკადრისია—**მეთქი** (აკაკი 432); ...ხომ ილოცეო? როგორ არა-**მეთქი** (აკაკი 435); არა **მეთქი**, არა! (ლომოური); როდერიგო, სად ნახე იგი? სად ნახე-**მეთქი** ჩემი ქალი? (მაჩაბ. II, 12); არიქა, მალე, ოჰ, ქურდები! ქურდები-**მეთქი** (მაჩაბ. 8,6); ადექით-**მეთქი** და სასწრაფოდ ნაბათის ცემით ხერინვა დაუფრთხეთ მოქალაქეთ... (მაჩაბ. 8,14);—იოსებ ბარათაშვილი მომიკითხე, გინდოდა ჩვენი დაკარგვა და აღასრულე-**თქო** (დოკუმენტ. თაყაიშვ. 54,20); შენ არა მყვანდე, ამისთანა კაის სამსახურს არ გამომირჩევენ-**თქო** (დოკუმენტ. თაყაიშვ. 76,15); ტკივილს ისე არ შევუწუხებივარ, როგორც შიშს; ვაი თუ გამიწყრენ-**თქო** (აკაკი 421); — თაყვანი ვეც და მიკმო: მოდი, მაკლეო (ამირან. 109,2) გამოგზავნეს მათ ბუმბარაზთა მოციქული, **ვითა** მარტო გამოდიო და ჩვენიცა მარტო გამოვაო (ამირან 40,4); მეორესა დღესა მიუგზავნეს მათ ორთავე კელმწიფეთა კაცი ასფაან მეფესა, **ვითა** აწ კვლავ მიზეზი აღარა არს, მოგვცემენ ასულნი შენნიო ცოლად (ამირან. 69,14); ჩვენთან ცდილობს და კაცს გაგზავნის, **რომ** თქვენი შვილი ვარ და შემირიგეთო (დოკუმენტ. თაყაიშვ, 23,6); ...მომიტანა რაპორტი, **რომ** შანცოვის ინსტრუმენტები დამემტვრა მუშაობაზედაო (გრ. ორბელ. წერილ. 72,209); დღეს რომ ვჰკითხე, დაღალულობისაგან მეძინაო (გრ. ორბელ. წერილ. 58,199); ძალიან ჯავრობს, რატომ ივანე წიგნს არა მწერსო (გრ. ორბელ. წერილ . 51,191); რომ დაინახეს, მღვდელი მოდისო, ერთობ სიხარულით დაიგრიალეს (ილია 288,9); ორ მტერსავით ერთმანეთს ველოდით, — აბა წინ ვინ დაიწყებს ომსაო (ილია 307,29); ...ბავშვებს მაშინაც არ ასმევდენ: ცხელი წყალი შიგნეულს გაუფუჭებსო და კბილებს წაუხდენსო (აკაკი 425); შვილებმა რომ დაინახეს — თავადი ჯიბეში იყოფს ხელს საბუთის ამოსაღებადო, მკვდრის ფერი დაედევათ (აკაკი 450); შეშინებოდა: ვაი თუ რამე დაემართაო (აკაკი 452); როცა დაინახავდნენ — კლდე ლაპარაკობსო, მთლად სმენად გადაიქცეოდენ (ვაჟა 22).

ამავე რიგისაა ისეთი ფაქტები, როდესაც მოლაპარაკეს მოჰყავს ანდაზა-გამოცანა, ანდა სენტენცია-აფორიზმი, საყოველთაოდ ცნობილი:

ხომ გაგიგონია: მთა მთას არ მოხვდება, კაცი კი კაცსაო (ილია

280,42); ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“ (აკაკი 429); ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო“ (აკაკი 457); ნათქვამია: კაცია და გუნებაო“ (აკაკი 448); ხომ გაგიგონია: „რა ქვეყანაშიაც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო“ (აკაკი 447); არა ცოდნა არა ცოდეაო, ნათქვამია (ვაჟა 198); კვიცი ჯიშზე ხტისო, ხომ გაგიგონია (ვაჟა 197); თავის ქება კიტრადა ღირსო, გამიგონია (ვაჟა 197); ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია (ვაჟა 94); ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსო, ხომ გაგიგია (ვაჟა 209).

პირდაპირი მეტყველების ნაწილაკთა ა დ გ ი ლ ი განსაზღვრულია: ისინი ფრაზის ბოლო სიტყვას დაერთვიან, ჩვეულებრივ ეს ბოლო სიტყვაა, მაგრამ შესაძლოა სხვა მეტყველების ნაწილიც მოგვევლინოს წინადადების დამამთავრებლად.

ეს წესი შეიძლება ჩაითვალოს ნორმად სალიტერატურო ენისათვის როგორც საშუალო, ისე ახალ ქართულში.

ვადასტურებთ თითო-ოროლა შემთხვევებს, როცა ეს წესი დარღვეულია და ფრაზაში სხვა სიტყვებსაც ერთვის ო ნაწილაკი. გარკვეული კანონზომიერების დადგენა ამ მხრივ არ ხერხდება, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ ო უფრო რთულ წინადადებაში (პერიოდში) შემავალ მარტივ წინადადებებს მოუდის:

... შ ე მ ო ე თ ვ ა ლ ა, მე არა ცნობა მაქო ნახვისა, მაგრამ მამისა ჩემისაგან დიდი ქება მასმიაო მამაშენისაო და აწ ჩვენ მათნი შვილნი ვართო, როგორც მათ ჰყვარებიათ ერთმანერთი და ნდომებიათო, ისევე ჩვენ შევიტკბოთო, და შევითვისოთო ერთმანერთიო (რუსუდ. 725,2); შაჰისმეილ აჩქარდა, არამც ქურთისა ლაშქარი შემოეყაროსო და საქმე გაგვიჭირდესო (ფარსად. 210); ასრე უ თ ხ რ ა ქართველთა, მამაცმანო, კაცმანო, უნდა თავის თავი მგელს ამგზავსო (ფარსად. 216); ასრე უ თ ხ რ ა, დღევანდლამდისინო ჯონთქარსა და ყაენს პირი არ დავრიდეო (ფარსად. 217); ასე ბ რ ძ ა ნ ა, ამის-შეტს კაცისაგან ეს არა ქნილაო, რომ ხუთი ჟამი ძალ მიცემით გასაჭირ ბრძოლა გარდეხადოსო და დამარცხებულსა და ლაშქარ ამოწყვეტილსა და თვითცხენიან თალახში ((sic) ჩაფლული კიდევ მშვილდს ეზიდებისო (ფარსად. 223); ე ს უ ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ა. დავბერებულვარო, ღმერთისა წინამე ჩემთან ავნაქმართა შენდობასა მოვითხოვო (ომაინ. 73); მან უ თ ხ რ ა, მამა ჩემი ლაშქართაგან გამოდგესო, რომ ვიცნაო და პასუხს ვეტყვიო (ომაინ. 68); ტირილითა ე ხ ვ ე წ ე ბ ო დ ე ს, ნუ

წახვალო, დიდის ფიცით შეგიჯერებთო, რომე ჩვენი საპატრონოც შენთვის იყოსო (ომაინ. 68); უთხრა, მაჩვენე ის ანგელოსიო და მეცა ქრისტიანი შევიქნებიო (საბა, მოგზ., 44); მიბძანა, მე შენთვის ღმერთს ვეხვეწებიო, დიდი დღე მოგეცესო, შენით მრავალი საქმე მინდა გავაკეთოო (საბა, მოგზ. 20); და დედოფალს ებძანა, გრწამდესო, თუ შაჰყულიხან არ მოსლოდათ შუა და უწინ შენ გეთხოა, შენ მოგცემდი, ახლა რადგან სყიდულობ, დასტური მომიცია, იყიდეო (იესე ოსეშვ. 20); ბახტამაშვილმა სთქვა, ამისთანა ღვთის რისხვა იქნება, რომ ჩვენ დაგვემართოო და ასრე დავიღუპენითო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 138,9); მის უმაღლესობას შეფესთან ეჩივლათ..., რომ ჩვენს ბიძას ტეტის ოცდახუთი თუმანი ემართა ესიტაშვილის ზაზასიო და გირაოდ ვენახი ჰქონდაო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 230,2).

ვადასტურებთ ზოგჯერ ასეთ ფაქტებს: ოესმის არა ბოლო სიტყვას, არამედ მხოლოდ შემასმენელს, რომელსაც წინადადებაში სხვა პოზიცია უკავია.

და იტყოდა, ვხედავდიო წარსულსა ჩემთა (აბუსერ. ტბ. 58,60); უთხრა მსახურსა, გასინჯეო ადგილები აქაურნი (ს. გუგუნავა, თამარიანი, გვ. 14, ტაეპი 4); შემდეგ უწყო საუბარი, მაქვსო რამე საკითხავი (იქვე, გვ. 12, ტაეპი 1); გარსევანმა მოახსენა, მისმინეო აწ თხრობილი (იქვე გვ. 8, ტაეპი 2).

თანამედროვე მწერალთაგან ამგვარი ფორმა ხშირია კ. გამსახურდიასთან. ერთი მაგალითი:

შენ ხარჯიხვი იყავიო სულო და ტურებმა როგორ შეგებედესო, შენ მთის მგელი იყავიო და მელიებს რა ხელი ჰქონდათო შენთან? შენ შევარდენი იყავიო და წუნკალმა ყორნებმა როგორ გაბედესო შენი ხელყოფა (II, 1948 წ., გვ. 51).

ჩვენ განვიხილეთ პირდაპირი მეტყველების (oratio recta) კონსტრუქციული თავისებურებანი ქართულ ენაში.

ძველ ქართულშივე ჩამოყალიბებულია ირიბი მეტყველების (oratio obliqua) კონსტრუქცია.

ერთი მხრით, კონსტრუქცია: „ბრძანა, **რომ** მოდიო", „შეოგითვალა, **რომ** რეული იყიდეო" და, მეორე მხრით, კონსტრუქცია: „ბრძანა, **რომ (რათა)** მოხვიდე", „შეოგითვალა **რომ (რათა)** რეული იყიდო" სინონიმური კონსტრუქციე-

ბია ქართულ ენაში; პირველი — „პირდაპირი მეტყველებაა“, მეორე — „ირიბი მეტყველება“.

რა მსგავსება და განსხვავებაა სტრუქტურულად ამ ორი ტიპის წინადადებათა შორის?

საერთო მათ შორის ისაა, რომ ორივე წინადადება დამატებითი დამოკიდებული წინადადებაა, აგებული verba declarandi-ს საფუძველზე. მაგრამ ერთ სიბრტყეზე არ შეიძლება მაინც მოვაქციოთ, ერთი მხრით, დამატებითი წინადადება: „რომ რეული იყიდეო“ და, მეორე მხრით, დამატებითი წინადადება: „რომ რეული იყიდო“. მთავარი წინადადების პრედიკაციის საფუძველზე გამომუშავებული ორი კონსტრუქცია ერთმანეთისაგან გამიჯნულია რამდენადმე სემანტიკურად resp. ლოგიკურად, ხოლო არსებითად ემიჯნებიან ისინი ერთმანეთს სტრუქტურულად: მეორე ტიპის წინადადება („რომ რეული იყიდო“) გამოკვეთილად ატარებს მიზნითი წინადადების სემანტიკას, — პირველი ტიპის წინადადებისათვის („რომ რეული იყიდეო“) ფინალური შინაარსი არაა ეგზომ ნიშანდობლივი. გრამატიკული სხვაობა მათ შორის თვალსაჩინოა: პირველ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელი უთუოდ 2 პირში ივარაუდება, და, ამავე დროს, ის იგუებს საგანგებო ნაწილაკს **(ო)**, რომელსაც „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკი ეწოდება, იმისათვის, რომ მივიღოთ მეორე ტიპის წინადადება, აუცილებელია ზმნის 2 პირის ფორმა გადაკეთდეს 3 პირის ფორმად, და, ამავე დროს, ის ვერ იგუებს ამ საგანგებო ნაწილაკს (ო-ს).

ეს — ერთი მხრით.

მაგრამ ჩვენთვის აქ საინტერესოა კავშირის ჩვენება. თუ პირველი კონსტრუქციის (oratio recta) შემადგენლობაში მონაწილეობს ტიპური ობიექტური კავშირი, **რომ**, მეორე კონსტრუქციაში (oratio obliqua) მიზნითი კავშირია გამოყენებული ობიექტური კავშირის ფუნქციით: **რომ** აქ მიზნითი კავშირია. და ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ მას შეიძლება შეენაცვლოს **რათა** — ტიპური საკავშირებელი ერთეული ფინალური წინადადებისა („**რომ**||**რათა** რეული იყიდო“). მაშინ როდესაც oratio recta-ს კონსტრუქცია **რათა**-ს ვერ იგუებს (ნორმალური ქართული მეტყველებისათვის უჩვეულოა „**რათა** იყიდო“, თუმცა ენაში ამგვარი ფორმა შეიძლება შეგეხვედეს, რაც აღრევის ნიადაგზეა წარმოშობილი).

ამრიგად, ირკვევა, რომ „ირიბი მეტყველების“ კონსტრუქცია აღნაგობით მიზნითი წინადადებაა; მისთვის, როგორც ფინალური

წინადადებისათვის, ნიშანდობლივია კავშირი **რათა** და ზმნა-შემასმენლის კონიუნქტიური მწკრივი.

მაგრამ ეს კონსტრუქცია მაინც განსხვავდება ჩვეულებრივი ტიპის მიზნითი დამოკიდებული წინადადებისაგან. ამ სხვაობას ქმნის მთავარი წინადადების პრედიკაცია: oratio recta-ს ტიპის მიზნითი დამოკიდებული წინადადებისათვის აუცილებელი პირობაა მთავარ წინადადებაში წარმოდგენილი იყოს გარკვეული სემანტიკისა და სტრუქტურის ზმნა-შემასმენელი, სახელდობრ, უნდა იყოს უთუოდ „თქმის"... შინაარსის ზმნა (verba declarandi) და, ამავე დროს, უთუოდ ორპირიან-სამპირიანი სტრუქტურისა, ხოლო ზმნის სტრუქტურით ნავარაუდევი ობიექტი მთავარ წინადადებაში არ უნდა იყოს მოცემული, იგი დამოკიდებული წინადადების სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. არა oratio recta-ს ტიპის ფინალური წინადადება კი გულისხმობს მთავარ წინადადებაში ყოველგვარი სტრუქტურისა და სემანტიკის ზმნა-შემასმენელს. შდრ. ერთპირიანი პრედიკაციის ნიმუში: „ვანო წავიდა, **რომ (რათა)** რეული იყიდოს": აქ დამოკიდ. წინადადება მხოლოდ მიზნითია, — დამატებითი წინადადება ის არ შეიძლება იყოს, თუ გავითვალისწინებთ მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის სტრუქტურას.

მათი ურთიერთისაგან გამიჯვნა კითხვითი მეთოდის მომარჯვებითაც შეიძლება. ამ კონსტრუქციაში: „შემოგითვალა, რომ რეული იყიდო" დამოკიდ. წინად ება უპასუხებს კითხვაზე: **რა?** ხოლო კონსტრუქციაში: „ვანო წავიდა, რომ რეული იყიდოს" დამოკიდ. წინადადება უპასუხებს კითხვაზე: **რისთვის? რა მიზნით?**

გარდა ამისა, შეგვიძლია სხვა სადიფერენციაციო ნიშანიც დავძებნოთ ამ ორი ტიპის ფინალური წინადადების განსასხვავებლად. ეს ნიშანია შემდეგი: „ირიბი მეტყველების" ტიპის წინადადების სინონიმური კონსტრუქციაა მასდარული კონსტრუქციის ის სახეობა, რომელსაც მე „დამატებით-მასდარულ კონსტრუქციას" ვუწოდებ და რომლის ნიშანდობლივი თვისებაა მასდარის მიერ პირდაპირი დამატების მართვა („ბრძანა, რათა ააშენოს ეკლესიაჲ || „ბრძანა შენებად ეკლესიაჲ), ხოლო ტიპობრივ ფინალურ წინადადებას ენაცვლება „გარემოებით-მასდარული კონსტრუქცია", როდესაც დამატება კონსტრუქციაში არ მონაწილეობს („დასხდეს, რათა ჭამონ" || „დასხდეს ჭამად").[1]

---

[1] „მასდარული კონსტრუქცია" განხილულია ქვემოთ.

ამის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ირიბი მეტყველების“ ტიპის დამოკიდებული წინადადება დამატებით-მიზნითი დამოკიდებული წინადადებაა.

verba declarandi-ს გვერდით სათანადო კონსტრუქციაში მონაწილეობს ნებელობის, სურვილის გამომხატველი ზმნები (ე ნ ე ბ ა, უ ნ დ ა, ს უ რ ს...).

საანალიზო კონსტრუქციის საკავშირებელი ერთეულია, როგორც აღვნიშნეთ, მიზნითი კავშირი — **რა(დ)თა, რომ**; შემასმენლის მწკრივი კავშირებითია ანდა თურმეობითი.

გავეცნოთ ფაქტობრივ მასალას.

რაჲთა

და ზ რ ა ხ ვ ა-ყ ვ ე ს, **რაჲთა** იესუ ზაკუვით შეიპყრან (მათე 26,4); და არა უნდა, **რაჲთამცა** აგრძნა ვინ (მარკოზ 9,30); და ა ი ძ უ ლ ე ბ დ ა მას, **რაჲთამცა** იგი ხოლო შესუა (შუშან. 19, VI, 10); და შ ე ა ჯ ე რ ე ბ დ ე ს მას, **რაჲთამცა** მიჰრიდა... (აბო 69,6); ...ე ვ ე დ რ ე ბ ოდეს მას, **რაჲთა** უბრძანოს მათ... (ასურ. 6,33); რამეთუ უ ნ დ ა, **რაჲთა** ამით განათლდეს გონებაჲ ჭაბუკისაჲ მის სარგებელად მრავალთა სულთა თჳს (ასურ. 11,5); მ ნ ე ბ ა ვ ს უკუე, **რაჲთა** მაუწყო... (ასურ. 8,37); ...ე ნ ე ბ ვ ა, **რაჲთა** წარვიდეს კესარიად (არიმათ. 45,42); და ე ტ ყ ო დ ე ს ძმანი იგი, **რაჲთა** ავედროს ღმერთსა.. (არიმათ. 46,5); და ვ ა ი ძ უ ლ ე თ მათ, **რაჲთა** წარმოვიდენ ჩუენთანა ლუდიად (არიმათ. 59,76); და მ ნ ე ბ ა ვ ს მე, **რაჲთა** ვემსგავსო მათე მახარებელსა... (წარტყუენ. ა, 13); გ ნ ე ბ ა ვ ს, **რაჲთა** შევმუსრნე ყოველნი ესე... (კიმ. 154,29); მ ი ნ დ ა, **რაჲთა** განსრულდეს წელიწადი ესე მსწრაფლ (კიმ. 210,29); და ამით გუასწავა, **რაჲთა** არა ვიძლინეთ გულის-თქუმითა დედათაჲთა... (კიმ. 226,36); და მერმე გ ა ნ ი ზ რ ა ხ ა, **რაჲთა** ყოვლითავე ნიჭითა და ქველის-საქმითა განამდიდროს მიზეზი იგი სიხარულისა მისისაჲ (ანტიოქ. 106,23); ...ი თ ხ ო ვ ა ღმრთისა-გან, **რაჲთა** მივიწიენეთ მისსა მე და-ორნი სხუანი შეყენებულნი (ანტიოქ. 91,37); მ ს უ რ ს, **რაჲთა** მესმას რაჲმე თქუენ-გან სიტყუაჲ ნუგეშინის-ცემისაჲ (ანტიოქ. 63,30); და ე ვ ე დ რ ა ტიმოთეს, **რაჲთა** იჴჯართოს სიბერე მისი და წარჰყვეს მას (ანტიოქ. 60,33); აწ ი ნ ე ბ ო, **რაჲთა** მოვიდე შენ თანა (ანას. ქ. ცხ. 15,29); ესრეთ გ უ ლ ი ს ჯ მ ა-ყ ა ვ ი თ, **რაჲთა** გრძელად მეტყველებითა არღა საწყინო იქმ-

ნას... (აბუსერ. ტბ. 59,65); ... თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ, **რათა** თქვენიცა ფაგებული მტკიცე იყოს (დოკუმენტ. თაყაიშვ. 8, 21).

რომ

ახლა მინდა, **რომ** ქალაქს წავიდე (დოკუმენტ. თაყაიშვ. 9,6); გთხოვ, **რომ** საკუთარი მეგობარი შეიქნა ჩემი (კალმას. 23, 14); ... ბრძანა, რომ ხელშეკრული გაეყვანათ წყალგალმა (აკაკი 415); მოვიდომე, **რომ** მივპაროდი და ქუდი დამეხურა ზედ (აკაკი 398); მინდა, რომ გასწყდეს მთელი ფრინველთა სახსენებელი... (ვაჟა 102); ყველა თავისთვის ევედრებოდა ღმერთს, **რომ** ლეში არ მოეკლო მისთვის (ვაჟა 102); ...გამოუცხადა, **რომ** მას მაგისთვის მუშაკაცი გაეგზავნა... (ყაზბ. 12); მხოლოდ ამას-კი მოწიწებით ვითხოვ მე თქვენგან, **რომ** ჩემს მეუღლეს მისცეთ სარჩოსაცხოვრებელი... (მაჩაბ. 24,14).

საეგებიო, დაეჭვების, შესაძლებელი შინაარსის გამომხატველია ობიექტური კავშირები **ვითომ||ვითომც, თითქოს**, რომლებიც გავრცელებულია ახალ ქართულში. ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან.

იგულისხმება ამგვარი ფაქტები:

ცოტა ხანს უკან ჩავაწვეთებ ყურში ოტელოს, **ვითომ** კასიო თავისუფლად მის ცოლს ეპყრობა (მაჩაბ.); ნუ გჯერათ, **ვითომ** ზრდილობაზე ამეღოს ხელი (მაჩაბ.; ...დავარწმუნო, **ვითომც** მიყვარდეს (მაჩაბ.); ამბობდნენ, **ვითომც** მამა ჩემი პირიანი ქვის სროლით ალს მოეკლას (ლომოური); ამათ მითხრეს, **ვითომ** ყაჩაღები აპირებენ დაცემას.

არაფერი შეიცვლება, თუ ამ მაგალითებში **ვითომ(ც)**-ის ადგილას ჩავსვამთ **თითქოს** კავშირს:

ნუ გჯერათ, **თითქოს** ზრდილობაზე ამეღოს ხელი, და ა. შ.

ეს სემანტიკა ენაში დაკისრებული აქვს აგრეთვე **რომ**-ს. ამ მაგალითს — „არ იფიქროთ, **რომ** მე იმის მტრობა მჭირვებოდეს და შურისძიება მდომებოდეს“ (აკაკი) თუ გადავაკეთებთ, მივიღებთ: „არ იფიქროთ, **ვითომც** (||თითქოს) მე იმის მტრობა მჭირვებოდეს და შურისძიება მდომებოდეს“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დამატებითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქციაში მონაწილეობენ, აგრეთვე, მიმართებითი ნაცვალსახელები: **რომელი..., რა..., რაოდენ..., ვინ...**

გავეცნოთ მათ ცალ-ცალკე.

A

რ თ ე ლ ი...

ძველ ქართულში გვხვდება უმთავრესად უნაწილაკო ფორმა; დაირთავს -იგი ნაწილაკს, იშვიათად -ცა-ს.

მაგალითები:

და მიმოდაისტუანვიდა იესუ, რაჲთამცა იხილა, **რომელმან** ესე ყო (მარკოზ 5,32=C); **რომელსა** აქუსდეს, მიეცეს მას (მარკოზ 4,25=DE); და **რომელი** გთხოვდეს შენ, მიეც (მათე 5,24); და მიეცით მას, **რომელსა** აქუს ათი ქანქარი (მათე 25,28);... ვიხილო, **რომელი** აღესრულების ეკლესიასა შინა (ბოლნ. 34,3); და ყოველივე ქმენ, **რომელი** შუენის წმიდათა (ანტიოქ. 123,36); ვიხილენ ყოვლითურთ, **რომელნი** ქმნულ არიან მზესა ამას ქუეშე... (ეკლეს. სოლომ. 182, § 14); — **რომელსა-იგი** აქუნდეს, მოეცეს მას (მარკოზ 4,25); და მიმოიხედვიდა იესუ, რაჲთა იხილოს, **რომელმან-იგი** ესე ყო (მარკოზ 5,32=DE); და შეწირა მათა, **რომელნი-იგი** შურებოდეს ეკლესიისა შჱნებასა (არიმათ. 70,2); — **რომელიცა** შენ ზაკუვით აღმითქჳ,... ესე აწ აღმისრულა ქრისტემან... (სას. პოეზია სჯთ, 252); ყოველი, **რომელიცა** ინებოს, ქმნას (ეკლეს. სოლ. 213, § 3).

საშუალო ქართულში უფრო **რომელიც(ა)** გვხვდება.

რომელიცა დაჰჯეროს ჰაბუკობამან შენმან, იგივე ქმენ (ამირან. II); **რომელიცა** ვიცოდი, კიდეც მომიხსენებიაო (ამირან. II, 110,21); **რომელიცა** მთხოვო, მოგცეო (სიბრ.-სიცრ. 18,2); **რომელსაც** თქვენ მიბრძანებთ, იმას ვეცდებიო (ფარსად. 230); **რომელიც** მამა თქვენს თქვენ სახელოთ ქონებოდეს, არც ის მოგიშალოთ (დოკუმენტ. ბერძენ. 621,11); **რომელიც** ჴეშმარიტებით იცოდენ, ის იფიცონ (დოკუმენტ. თაყაიშვ. 225,15).

B

რ ა...

ფართო გამოყენება აქვს ქართულში **რა**...-ს ობიექტური კავშირის ფუნქციით, იგი ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდის მკვიდრი საკავშირებელი სიტყვაა.

უნაწილაკო **რა** იშვიათია ძველ ქართულში:

იხილე, **რასა** ჰზომენ მოწაფენი შენნი შაბათსა შინა... (მარკოზ 2,24); ნუ სცნობენ მარცხენჱ შენი, **რასა** იქმოდის მარჯუენჱ

შენი (მათე 6,3); ...იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, **რაჲ** გიჴმს თქუენ... (მათე 6,8); ... მე ვასწაო მაგას, **რაჲ** წეს იყოს სწავლად მაგისა (თომას აპოკრ. 38,78); ...გაუწყებდნენ შენ, **რაჲ** უზრახავს უფალსა საბაოთს ეგუპტესა ზედა (ესაია 19,12).

დაირთავს- **იგი,-ესე** ნაწილაკებს:

...იყიდონ თავისა მათისა, **რაჲ-იგი** ჰამონ (მარკოზ 6,36); უწყოდა, **რაჲ-იგი** იქმნა მის ზედა (მარკოზ 5,33); ჰკითხვიდა მათ, **რასა-იგი** იცილობდეს გზასა ზედა (მარკოზ 9,33); იხილეთ, **რაჲ-ესე** გესმის (მარკოზ 4,24); და არა უწყი, **რაჲ-ესე** იქმნა მას შინა ამათ დღეთა? (ლუკა 24,18); ...და შეაგდო, **რაჲ-იგი** აქუნდა ჴელთსაკოცელსა შინა გამოკრულ (ზარზმ. 179,3); ...წარუღონ, **რაჲ-იგი** აქუნდა (ზარზმ. 179,2); ... მიეც მას, **რასა-იგი** ბრძანებს შჯული სარწმუნოებისაჲ (ანტიოქ. 81,11); და აწ ვიწყო და მიგითხრა, **რაჲ-იგი** იქმნა (წარტყუენ. თ. 4); და ვის-მე არა ესმა, **რაჲ-იგი** იქმნა ანტიოქიასშინა ქალაქსა მას დიდსა (წარტყუენ. ზ, 20); ნუ დაჰფარავ ჩემგან, **რაჲ-იგი** შეგემთხჳა შენ (მრავალთ. 259,1).

ფაკულტატიურად იხმარება **-ცა** ნაწილაკიანი ნაცვალსახელიც: მთხოვე, **რაჲცა** გნებავს (მარკოზ 6,22); და განყიდა ყოველი, **რაჲცა** აქუნდა (მათე 13,44); მომეც შე. **რაჲცა** თანა გაც (მათე 18,25); მივედ და მომართუ იგი ყოველივე, **რაჲცა** რაჲ არს (შუშან. 25, VII, 36); თქუთ, **რაჲცა** გწებავს (ევსტ. მცხ. გვ. 163. სტრ. 33); ბრძანეთ. **რაჲცა** გნებავს (ხანძთ. კზ, კგ, 61); ... შეწირეს თითოეულად, **რაჲცა** საკმარი მონასტერსა მისსა უკმდა ყოველი უხუებით (ხანძთ. იზ, ია. 54); რამეთუ განყიდა მან ყოველი, **რაჲცა** აქუნდა მას... (აბო 70,15); იქმოდე, რაიცა გნებავს (კიმ. 140,8); **რაჲცა** აქუნდა საკმარად კორცთა, ყოველივე იავარყუეს (კიმ. 93,35); **რაჲცა** გნებავს, ქმენით (კიმ. 92,37); ...ითხოვოს, **რაჲცა** ჴერ-უჩნს (ანტიოქ. 107,27).

რაც(ა) ჩვეულებრივია საშუალო ქართულში.

აი ზოგიერთი მაგალითი:

აწ **რაცა** დაგეაჴეროს ბრძანებამან თქვენმან, იგივე გვიქმენითო (ამირან-დარეჯანიანი); შენ მიყავ, რაცა გწადიან (ვისრ. 264,34); **რაცა** დაგითესავს, შენვე მოიმკი, (ვისრ. 261,18. აგრეთვე: 247,25; 90,27; 218,4; 11,4); **რაცა** იცოდა ყველაი ჰკადრა მოშიშრად ენითა (რუსთ. 755,1); გიყავ, **რაცა** შემოგფიცე (რუსთ. 873,1); **რაცა** არ გწადდეს, იგი ქმენ... (რუსთ. 880,3); მან იგივე კვლა მიამბო, **რაცა** მუნით მომესმინა (რუსთ. 1237,3); **რაც** გეწადოსო, ჩაიცვი (რუსთ. 1255,4); **რაც**

გინდა, ფიცით აღგითქვამ (არჩილიანი. 1); **რაც** მახსოვს, ყველას გიამბობ (არჩილიანი, I); **რაც** ჩემთან ესაქმებოდა, ყველა აღვასრულე (სიბრ.-სიცრ. 17, 23); მხატუარმა ჰკადრა ყუელაი, **რაც** იყო მისგან ნახული (შაჰნავაზ. 64,1); მენიშნენი მიართუემდენ, **რაც** მეფესა დაებარნეს (შაჰნავაზ. 142,4); **რაცა** თქვიან ბრძენთა კაცთა, საუკუნოდ მას იქმოდით (შაჰნ. 3192, 2); **რაც** ქვეყანასა უცხო და კარგი რამე გამოჩნდის, ყველასა მას მოართმევდეს (ომაინ. 67); **რაცა** მამისაგან გამოტანებული მქონდა, ის ცალკე დავაწყე... (რუსუდ. 727,1); თქვენ გაიგონეთ ყურითა, **რაც** მე მოგითხრა პირითა (გურამ. 319,2).

ჩვეულებრივია ახალ სალიტერატურო ენაში ისეთი მაგალითები, როგორიცაა:

ყველა ვერ შესძლებს იმას, **რაც** მე მოულოდნელმა, უცაბედმა შემთხვევამ შემაძლებინა (ვაჟა 128); მისცეს, **რაც** უნდა ურჩვათი სთხოვონ (ყაზბ. 10); მხოლოდ ის იცოდა, **რაც** დედამისს ესწავლებინა (აკაკი 400) და მისთ.

ახალ ქართულში ჩვეულებრივია -ცა ნაწილაკში ა-ს მოკვეცა: **რაც**.

ჩვენ ვხვდებით ისეთი ტიპის წინადადებებს, სადაც მიმართებითი ნაცვალსახელი შეხამებულია დამოკიდებულ წინადადებაში სახელთან:

რაცა ტანისამოსი ეცუა, ყუელა ლუსმარსა ზედა ჩამოეკიდა (ვისრ. 159,37); წადით გახსენით, **რაცა სად საჭურჭლენია** (რუსთ. 54,1); აწ **რაცა ქაჯთა საჭურჭლე** ქაჯებით ამიკიდია, მომიცემია... (რუსთ. 1443,3); **რაც** მანდაური ამბავი იყოს, ნუ დაგვაკლებ (დოკუმენტ. თაყაიშვ. 27,12); **რასაც ამბავს** გაიგონებდე, გვაცოდინებდე (დოკუმენტ. თაყაიშვ. 60,8); მანდაური **ამბავი რაც ხატი და ჯვარი** ყოფილიყო, თქვენს ტაზარში დაესვენებინათ (დოკუმენტ. ბერძენ. 38,7); **რაც** სხვა **წიგნი და სიგელი**... **გქონდეს**, არც ის მოგიშალოთ (საეკლ. საბ. 35,16); ამ შვაზედ **რაც მიწა ადგილია, ყველა უკლებლად** და ჯელშეუვალად ვიყიდე (საეკლ. საბ. 69,18).

ახალ ქართულში-ც ნაწილაკი გადადის **რა**-სთან შეხამებულ სახელზე და, ამგვარად, ზემომოყვანილი მაგალითები ახალი ნორმის მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

რა ტანისამოსიც ეცვა, ყველა ლურსმანზე ჩამოეკიდა; **რა ამბავსაც** გაიგონებდე, გვაცოდინებდე და ა. შ.

იგივე მდგომარეობაა, როცა საკავშირებელ სიტყვასთან შეხამებულია სახელი, რომელიც სულიერ საგანს აღნიშნავს:

რაცა მონა და მკევალი ჰყვა ნასყიდი, ყუელა ათავისუფლა და გააზატა (ვისრამიანი); **რასაც კაცს** მოერეოდა, უსიკვდილოს არ დაარჩენდა (ამირან. II); **რასაც მოძღვარს** აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიც დაემართებაო (სიბრ.-სიცრ. 26,18); **რაც** მასთან დაჭირულნი **თავადნი და აზნაურნი** იყვნენ, მოასხმევინა (ფარსად, 219).

აქ **რა** ნაცვალსახელი **რომელ**-ს ცვლის. ახალი ქართულის მიხედვით იქნებოდა:

რომელ კაცსაც მოერეოდა, უსიკვდილოს არ დაარჩენდა; **რომელ მოძღვარსაც** აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიც დაემართება და ა. შ.

საკავშირებელ სიტყვასთან სახელის გამოვლენა არაა სულ უცხო ძველი ქართულისთვისაც.

შდრ.:

...და მათცა იხილონ **რადიგი** შეეწირა **ევლოგიად** კაცსა მას (ზარზმ. 179,6).

ახალ ქართულში **რაც** მიმართებით ნაცვალსახელს შეიძლება გვერდში ამოუდგეს **რომ** კავშირი და, ამრიგად, მივიღოთ ორმაგი დაკავშირება; **რაც რომ**: „ერთ ბებერ დედაკაცს კატომ სულ ერთიანად დაახოცინა, **რაც რომ** მამლები და ყვინჩილები ჰყავდა“ (ლოთ-მოური).

C

რა(დ) ოდენი... რავდენი...

მეტად იშვიათად — ძველ ქართულში — იხმარება ობიექტური კავშირის ფუნქციით. შესაძლოა დაირთოს **-ესე**,**-ცა** ნაწილაკები.

მაგალითები:

და უთხრეს მათ ყოველი, **რაოდენი** ქმნეს და **რაოდენი** ასწავეს (მარკოზ 6,30=DE); ვცან მე ყოველი, **რადოდენ** ქმნა ღმერთმან (ეკლეს. სოლ. 194, ც. 14); არა გესმისა, **რაოდენსა-ესე** შეგწამებენ შენ? (მათე 27,13); და განცხადებულად მიუთხრეს მას ყოველივე, **რაოდენიცა** ესმა და იხილეს (ანტიოქ. 135,25).

რა(დ)ოდენ — რადცა-ს ფაკულტატურობისათვის შევუდაროთ ერთმანეთს ერთი და იმავე ძეგლის ვარიანტები:

მთ. 21,22: DE:

და ყოველსა, **რაოდენსა** ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ.

შდრ. C:

და ყოველი, **რაჲცა** ითხოოთ თაყუანის-ცემასა სარწმუნოებით, მოგეცეს თქუენ.

მთ. 23,3: DE:

და ყოველსა, **რავდენსა** გეტყოდიან თქუენ, დაიმარხეთ და უყავთ.

შდრ. C:

ყოველი **რაჲცა** გრქუან თქუენ, ჰყოფდით და იმარხევდით.

ეკლეს. სოლ. 218, თ. 10:

ყოველივე, **რაჲცა** პოვოს კელმან შენმან ყოფად... ქმენ.

შდრ. პეტრიწის თარგმ.:

ყოველნი, **რაჲოდენნიცა** იპოვნეს კელმან შენმან ქმნად..., ქმენ.

D

ვ ი ნ ც (ა)

ვინც(ა), როგორც განზოგადებული მნიშვნელობის ობიექტური კავშირი, საშუალო ქართულში ყალიბდება. ძველ ქართულში, როგორც ვნახეთ, **რომელი**... იხმარება ამავე ფუნქციით.

რამდენადაც იგი დამატებით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან, ბუნებრივია, მოგვევლინება სახელობითსა და მიცემითში: **ვინც(ა)**, **ვისც(ა)** || **ვისაც(ა)**.

გავეცნოთ მაგალითებს:

„ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი დ ა ნ“:

ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული (4,4); **ვინცა** გწადდეს, ქმრად შეირთე (1650,1); ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხვრიდე (566,3); ვაქებ, ჯრმალო, **ვინცა**

გლესა (446,4); არ მინდოდეს, **ვისცა** ვუნდი (566,2); ქება რად უნდა მას, **ვინცა** თქვენთანა ხანდაზმულია (1323,3); მაგრა ბოლოდ ლხინსა მისცემს, **ვინცა** პირველ ჭირსა გასძლებს (915,1); მას ვაქებ, **ვინცა** მიქია (19,1).

„ვისრამიანიდან“:

ვინცა ვარდსა დასთესავს და მოჰკრებს, ჭელსა ეკალიც დაესობის (170,22); **ვინცა** კაცთა უპატიოდ ნახავს, იცოდი, რომელ მას კაცნი დაემტერებიან (47,23); **ვინცა** გივის, მათთა თუალთა წინა და ჩემთანა ასუბუქდი (88,24); **ვისცა** რამინის ჰურეტა განცდით მოუნდის, მასვე წამსა საკუთრად გული შემოსწირის (54,3); **ვისცა** გამოსცდიდე, თუალი პატიოსანი მიეც (283,16); **ვისცა** წაეკიდებოდე, გულსა შიგან საზავოსა ადგილსაცა დაუგდებდი (265,24); ფრთხილი კაცი მას უფრო აქებს, **ვინცა** თავისა ხუაშიადსა შეინახავს (281,38); თუით იგი უფრო გეწყალებოდეს, **ვინცა** შენი უფრო საკუთარი იყოს (221,28); არცა სიტყუა თუით თქუის და არცა პასუხი გასცის, **ვინცა** რას ეუბნებოდის (43,6); ვერავინ მოერევის მტერთაგანი, **ვისცა** ღმერთი სცუიდეს (94,13).

სხვა ძეგლთაგან:

ვისაც ეს სთხოვს, მეც მას ვსთხოვ (სიბრ.-სიცრ. 35,2); **ვისცა** გული დაეწვის, მე ვიცი (სიბრ.-სიცრ. 51,1); **ვინც** იყოს ხელად, ეტრფე... (ბესიკი, 9); მას დავნატრი, **ვინცა** სწორედ სვლად საწუთროს გზას გაჰკვალავს (გურამ. 341,4); **ვინცა** შენი მტერი იყოს, ქვეყნისაგან დავსცალო (პროზ. შაჰნ. 444); **ვინც** არ გათათრდა, თავები დააყრევინეს (ფარსად. 212); **ვინც** მოვიდეს, აჰმევდენ (საეკლ. საბუთ. 42,21).

საშუალო ქართულში იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით უნაწილაკო ფორმას.

აი მაგალითებიც:

მოდით და აქა მომგვარეთ, **ვინ** არის იქი მჯდომარე (რუსთ. 91,4); მას უშმაგო ვით მიენდოს, **ვინ** მოყვარე გაამჭღავნოს (რუსთ. 29,1); **ვინ** მოგკვეთა, არ ვიცი (რუსთ. 309,3); ვინ მაღირსა, ის ვაკურთხე (არჩილიანი, I); **ვის** კარგად ეთქვას, ვაქებდეთ (არჩილიანი, I); პირველ **ვინ** ჰკლა, ის ტვინა (ბესიკი 22); მას ვშორავ გულ-სევდიანი, **ვის** მოლოდნა მაქვს გვიანი (ბესიკი 24); არ დააკლდების სიმაღლე, **ვინ** გზა მართალსა ვლიდესა (შაჰნავაზ. 20,1).

მეორე მხრით, გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც კავშირი ეზამება არა შემასმენელს, არამედ სახელს, და ამ ვითარებაში იგი

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელის როლში გვეელინება. ეს ეხება ნათესაობით ბრუნვას.

მას ვმსახუროთ **ვისი პირი** მზისა პირად გაგვიცდია (რუსთ. 1059,4); მას ადრე ვჰპოვებთ **ვისიცა** მოგვკლავს ალვისა მო-ტანი (რუსთ. 1387,4); **ვისი ბედი** იყოს, ვიცნაო (სიბრძ.-სიცრ. 10,7) **ვისიც ცხენს** შეძლება ჰქონდა, მეფეს თან გაჰყვა (ფარსად. 222); **ვისიც კელით** წიგნი გამოეგზავნა, იმას ჰკითხე (დოკუმენტ. თაყაიშვ. 83,19).

აქ გვხვდება როგორც ნაწილაკიანი, ისე უნაწილაკო ფორმები. ახალ ქართულში ნაწილაკი (-ც) სათანადო კონსტრუქციაში ერთვის არა კავშირს, არამედ მასთან დაკავშირებულ სახელს. ზემომოყვანილი მაგალითები ახალი ქართულის ნორმის მიხედვით შემდეგნაირად გადაკეთდება:

ვისი ბედიც იყოს, ვიცნო; მას ვმსახუროთ, **ვისი პირიც** მზისა პირად გაგვიცდია; **ვის ცხენსაც** შეძლება ჰქონდა, მეფეს თან გაჰყვა; **ვისი ხელითაც** წიგნი გამოეგზავნა, იმას ჰკითხე და მისთ.

ამგვარად, ნათესაობით ბრუნვაში დასმული **ვინ**, ე. ი. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი არ იმართვის შემასმენლის მიერ, არამედ ეთანხმება დამოკიდებული წინადადებისავე სახელს; ნაწილაკი მას დაერთვის სშ. ქართულში, ხოლო ახალ ქართულში ნაწილაკი გადადის მასთან დაკავშირებულ სახელზე.

ვინ...ს წინადადებაში პირველი ადგილი უჭირავს ჩვეულებრივ. აშვიათია ინვერსიის შემთხვევები:

ვისის სული **ვისაც** ეცემოდა, მკუდარსა გააცოცხლებდა და წყლულსა გაამთელებდა (ვისრ. 82,27); ...მიეგებოს, აქა მყოფი **ვინც** ვინ არი (შაჰნავაზ. 95,1).

ყოველ შემთხვევაში, ის კი სავალდებულოა, რომ შემასმენლის წინ ისმებოდეს: არასოდეს არ მოხდევს მას.

ახალ სალიტერატურო ენაში **ვინც** ჩვეულებრივი კავშირია საანალიზო კონსტრუქციაში (ზოგჯერ იგუეებს კი ნაწილაკს).

შდრ., მაგალ.:

ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდნენ ხელში... (აკაკი); გზა-გზა ყველას, **ვინც-კი** შეჰხვდა, დავჭრით და ჩავკემსავთ (ვაჟა);... დავარჩობ, **ვინც** იტყვის (ილია); პატიოსანს უწოდებს, **ვინც-კი** პატიოსნის სახეს იკეთებს (მაჩაბ.).

ავიღოთ წინადადება:

განა არ იცი, თუ **ვინ** არის შენი სიყვარულის ღირსი?

კავშირის შეცვლით ეგევე წინადადება შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

განა არ იცი, ვ ი ნ ც არის შენი სიყვარულის ღირსი?

აქ საქმე გვაქვს სინონიმურ კონსტრუქციებთან; ამ ორ წინადადებას შორის სხვაობას ვერ ამყარებს ქართულ ენაზე მოლაპარაკე.

შდრ., აგრეთვე:

გეტყვი, თუ ვ ი ნ არის || გეტყვი, ვ ი ნ ც არის.

ესაა კითხვითი წინადადების კონსტრუქცია, სადაც მოცემულია კითხვითი ნაცვალსახელი **ვინ**. პირველ შემთხვევაში კავშირია **თუ**, შეხამებული **ვინ**-თან, მეორე შემთხვევაში **ვინ**-ც(ა) ნაწილაკის დართვით უკვე კავშირად ქცეულა.

ასევე, შდრ.:

გიორგი ნაკაძიშეც ხომ ვიცით, **თუ** რა ცხენოსანია||გიორგი ნაკაშიძეც ხომ ვიცით, **რაც** ცხენოსანია (||...**რა** ცხენოსანიცაა).

უძველესი ქართული-**ძი** ნაწილაკი, უკვე გადაშენებული ძველ სალიტერატურო ენაში, მაგრამ დადასტურებული უაღრესად განსაზღვრულ შემთხვევაში, მონაწილეობს საანალიზო კონსტრუქციაში, და მისი ბადალია **თუ** კავშირის შემცველი კონსტრუქცია:

...რ ა ა თ ა ი ხ ი ლ ო ს, **რაძი** შეემთხვოს მას (გამოსლვათაჲ 2,4); ...და ჰ კ ი თ ხ ა მას, **რასაძი** ჰხედავს (მარკოზ 8,23: ტბ.).

თუ-ს ჩასმით მივიღებდით:

...რაჲთა იხილოს, **თუ** რაჲ შეემთხვოს მას; ...და ჰკითხა მას, **თუ** რ ა ს ა ჰხედავს.

3. განსაზღვრებითი კავშირები

განსაზღვრებითი კავშირები მონაწილეობენ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქციაში. ამგვარი წინადადება მთავარი წინადადების რომელიმე წევრის გაშლილ განსაზღვრებას წარმოადგენს, — ეს წევრი მისამართი სიტყვაა, ხოლო საკავშირებელი სიტყვა მასთან მიმართებაში იმყოფება.

ჩვეულებრივ მიმართებითი ნაცვალსახელი ეთანხმება მთავარ წინადადებაში მოქცეულ მისამართ სიტყვას რიცხვში (გრამატიკული სქესის მქონე ენებში — სქესშიც) და იმართვის ბრუნვაში დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენილს მიერ.

განსაზღვრებითი კავშირებია:

რომელ	**რომელი(ცა)**
რომელ-იგი (|| **ეგე** || **ესე**)	**რომე**
რომელი-იგი (|| **ეგე** || **ესე**)	**რომ**

A

რომელ...

1. რომელ

ნაცვალსახელი **რომელ**, მხოლოდ ფუძით წარმოდგენილი, ასრულებს სახელობითი ბრუნვის ფუნქციას. იგი გვევლინება როგორც ქვემდებარის მაგივრად, ისე დამატების მონაცვლედ დამოკიდებულ წინადადებაში, წარმოგვიდგენს რა რომელიმე წევრს მთავარი წინადადებისას. რადგანაც იგი ფუნქციურად სახელობითს ეთანაბრება, გასაგებია, რომ, როგორც დამატება, გარდამავალ ზმნას მოუდის და იხმარება მაშინ, როდესაც შემასმენელი მეორე ან მესამე სერიაშია. მაშასადამე, იგი პირდაპირი დამატების გამოხატულებაა.

ნიმუშები ძველი ქართულიდან:

...გამოითრევდა ბადესა მას ქუეყანად, სავსესა დიდ-დიდითა თევზითა, **რომელ** ხიყო ას ერგასის და სამ (ხანმ. იოვ. 21,11); ლოდი, **რომელ** შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ საკიდურთა (მათე 21,42); მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ მარცუალსა მდოგჳსასა, **რომელ** მიიღო კაცმან... (მათე 13,31=C; ... განცხადნეს მათი იგი ცოდვაჲ, **რომელ** ცოდეს მას შინა (ლევიტ. 4,14); და ჴაჭჳ იგი, **რომელ** ედვა ქედსა მისსა, ზედა ეგრეთვე ედვა (შუშან. IX, 24); და ევლოგიაჲ, **რომელ** განგიმზადებიეს, ფრიად რაჲმე ეკმაროს (ზარზმ. 178,14); ... დღეს აღესრულა სიტყუაჲ, **რომელ** თქუა დავით წინაჲსწარმეტყუელმან (სას. პოეზია, რთ, 202); ...სასუმელი ვენაკისა მის, **რომელ** იწნიხა ჴუარსა ზედა (სას. პოეზია, რკა, 30); ...ტალანტი სიბრძნისაჲ, **რომელ** სიყრმით ჩემით განმომეც, განვამრავლე იგი... (ხანძთ. ობ, ოგ, 9); ...ძმათა შჯულად საუკუნოდ სიტყჳსა ებრ უფლისა, **რომელ** ჰრქუა მოციქულთა... (ხანძთ. ოა, ობ, 55); შემდგომად ამისა კუალად განახლდა მწუხარებაჲ იგი მათი, **რომელ** დაშრეტილ იყო (წარტყუენ. მგ, 9); მოიჯსენე, უფალო, სიტყუაჲ იგი, **რომელ** არქუ მოწაფეთა შენთა (წარტყუენ., მმ, 6): დაამტკიცებდეს, ვითარმედ ყრმაჲ იგი, **რომელ** აქუნდა ქალსა მას, მისგანი არს (წარტყუენ. ნდ. 27); აწ გეტყჳ შენ, ვითარმედ იხილო საელჩო ეგე, **რომელ** აწ

მდევარ არს არა შემდგომად მრავალთა დღეთა.... (არიმათ. 31,2); ზეთი იგი, **რომელ** დაასხა, ესე არს დიდი იგი მოწყალებაჲ მისი, **რომელ** მოჰფინა ჩუენ ზედა..... (ბოლნ. 63); ...კელი იგი, **რომელ** განკმელ ედგა, განკურნა... (კიმ. 288,2); ბერი ესე, **რომელ** იხილე... მამასახლისი არს ამათ ყოველთაჲ... (კიმ. 212,29); სიტყუაჲ იგი, **რომელ** თქუა შემდგომად მოკითხვისა მის, გამოაჩინებს... (მრავალთ. 264,19).

ხაზგასასმელია, რომ **რომელ** ჩვეულებრივ გვხვდება არს ზმნასთან ამ შეხამებით: **რომელ არს**.

აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძჱ, და უწოდიან სახელი მისი ემანუელ, **რომელ არს** გამოთარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი (მათე 1,23); ხოლო თქუენ ჰსთქჳთ: უკეთუ ჰრქუას კაცმან მამასა და დედასა კურბან, **რომელ არს** ნიში... (მარკოზ. 7,11); შეირტყ მახჳლი იგი სოფლისაჲ, **რომელ არს** სიტყუაჲ ღმრთისაჲ (სასულიერო პოეზია); ...იზრახა წაცემაჲ ჩემი მეფისა მათისა, **რომელ არს** ამირა მუმნი (რავახ. 93,33); ... შემოსილ იყო სამოსლითა სამეუფოჲთა პორფირითა, **რომელ არს** იის-ფერი (რავახ. 88,11); ...რათა წარგჳძღუე ვიდრე მდინარემდე, **რომელ არს** ჩრდილოჲთ ჩუენსა (ზარზმ. 162,15); და რაჟამს განთენა მეათჱ იგი დღჱ დღესასწაულისა მის მაცხოვრისა ნათლის-ღებისაჲ, **რომელ არს** თთუესა იანვარსა ექუსსა... (აბო 71,15. იხ. აგრეთვე: ლევიტ. 3,10; 4,7; 4,9).

მისამართი სიტყვის მრავლობითი რიცხვი არ არის გამოხატული **რომელ** წევრ-კავშირით, ე. ი. **რომელ** ნაცვალსახელს, როდესაც იგი მხოლოდ ფუძით ასრულებს სათანადო სინტაქსურ ფუნქციას, ბუნებრივია, მრავლობით რიცხვში არ ვხვდებით; **რომელ** არ ეთანხმება რიცხვში მისამართ სიტყვას მთავარ წინადადებაში.

მაგალითები:

ეგრეცა ა ვ ა ზ ა კ ნ ი იგი, **რომელ** ჯუარ-ცუმულ იყვნეს მის თანა, აყუედრებდეს მას (მათე 27,44); და იპოვებიან თუალნი ესე შინაგან ადგილთა მათ წ ა რ მ ა რ თ თ ა ს ა, **რომელ** არიან სკჳთელნი (თუალთაჲ 40,10); იპოვების ადგილთა მათ კ ა რ ქ ე დ ო ნ ე ლ თ ა ს ა, **რომელ** არიან ლიბიელნი (თუალთაჲ 30,21); ქ მ ა ნ ი იგი, **რომელ** გესმნეს შენ... ესე არს ძალი მათი და უწყებაჲ (ანტიოქ. 134,4); კ ა ც ნ ი იგი, **რომელ** მცირედ შეურვებულ იყვნეს მისა მიმართ, მოიქცეს იგინიცა სარწმუნოებად... (კიმ. 278,12); წარვიდე ოპიზას და მსწრაფლ ხოლო მოვიდჱ ძ მ ა თ ა ჩემთა თანა, **რომელ** დაუტევენ მუნ... (ხანძთ. თ. ვ, 65); და მამამანცა გრიგოლ თჳსნი წ ი გ ნ ნ ი,

რომელ აქუნდეს, დავეუტევნა მონასტერსა მას (ხანძთ. კგ, კა, 5); ... ყოველთა მათ მახლობელთა უ დ ა ბ ნ ო თ ა, **რომელ** არიან ოპიზაჲ და ფრთენი ძისი ბერთაჲ (ხანძთ. ოვ, ოზ 5-7); რამეთუ ყოველთა დღეთა შეკრბებიან და კრებასა ჰყოფენ იგინი შ ე ს ა კ რ ე ბ ე ლ თ ა მათ შინა, **რომელ** არიედ მუნ (არიმათ. 29,3); არამედ უფროჲს გამოუთქუმელ არიან მ ო წ ყ ა ლ ე ბ ა ნ ი იგი, **რომელ** არიან კაცთა ზედა (მრავალთ. 262,1); მოუწდის მეგობართა თჳსთა, **რომელ** არიან... (ბოლნ. 31,20); ...შეიწყნარე ც ხ ო ვ ა რ ნ ი იგი, **რომელ** არა ბაკისა შ~ანი არიან (ბოლნ. 7,30).

რომელ, როგორც წევრ-კავშირი, მარტოდენ ამ სახით არ გუხვდება. მხოლოდ **რომელ** რომ იხმარება, ესაა უძველესი სახეობა ამ კავშირის გამოყენებისა. ენა ქვეწყობილ წინადადებაში იყენებს **იგი** ნაცვალსახელსაც ამ შეხამებით: **რომელ-იგი**. ეს უკვე შიმართებითი ნაცვალსახელის ჩამოკვეთილი სახეა, შედარებით იმ მდგომარეობასთან, როდესაც ამავე როლში გამოდის მხოლოდ **რომელ**:

მოაპკურონ სისხლი იგი მისი გარემო საკურთხეველსა მას, **რომელ-იგი** არს კართა მათ თანა კარვისა საწამებელისათა (ლევიტ. 1,5); ... და ნუგეშინის საცემელი შეიწირვის ეპისკოპოსისა მიერ, **რომელ-იგი** ხ ე ვ ე დ რ ე ბ ი ნ სახიერსა და მოწყალესა ღ~ა შენთჳს (ხანმ. მრავალთ. 1,1); ...სახელითა იესუ ქრისტჱ ნაზორეველისაჲთა, **რომელ-იგი** თქუენ ჯუარსაცუთ (საქმე მოციქ. 4,10) [1]; რამეთუ დედაკაცი ვინმე მოუკდა წმიდასა მას დაბისა მისგან ზემოჴსენებულისა, რომელ არს კაპუსტაჲ, **რომელ-იგი** ჰგოდებდა თავსა თჳსსა (ანტიოქ. 120,8); რამეთუ სძულდა მას კაცობრივი დიდებაჲ და არა ენება თხრობაჲ სხუათა, **რომელ-იგი** მხოლომან იხილა (ანტიოქ. 84, 27); და იყო... ნეტარი ლონგინოზ განწესებულ ასის-თავად, **რომელ-იგი** მახლობელად თანადგა ჯამს მას ჯუარცმისასა (კიმ. 188,11); ...ჰხადოდე აპოლონს ღმერთსა, **რომელ-იგი** გუშინდლად დღემდე დიდებულ იყო შენ-გან (კიმ. 143,6); და მომციან წლითი-წლად საკმრად გლახაკთათჳს ას ოდენ დრაჰკან, **რომელ-იგი** მოვიღი და განუყვი გლახაკთა (კიმ. 189,13): გრწმენინ ჩუენი, რამეთუ არა-რაჲ სხუაჲ შევწირეთ თჳნიერ მისსა, **რომელ-იგი** სხუათა მათ დღეთა შევწირით (რავახ. 84,27); და შემდგომად მისსა გამოუცხადე საიდუმლოჲ იგი ჩემი წინამძღუარსა ქრისტიანეთასა, **რომელ-იგი** იყო მათ

---

1 შდრ. ბ რედ.: რომელი-იგი.

ჟამთა პატრიაქად იერუსალჱმისა საყდარსა ზედა (რავახ. 87,9): მივედ შენ უდაბნოდ ადგილსა, რომელსა ჰრქჳან უდაბნოჲ ზღუა მკუდრისაჲ, **რომელ-იგი** არს იორდანესა მდინარესა (რავახ. 87,28); და მივედ ეკლესიასა წმიდისა მოწამისსა გიორგისსა, **რომელ-იგი** არს გარეშე ქალაქსა (წარტყუენ. ჲბ, 13); ჴდა მუნ კაცი ერთი, დაჴსნილი კელით და ფერკით, **რომელ-იგი** ვალნ ძრომით ჰუცლითა (ასურ. 18.30):...შთავარდა იგი ლაკუასა ფრიად ღრმასა, **რომელ-იგი** იყო მახლობელად მათსა (ასურ. 17,4).

რომელ-ს -ცა ნაწილაკი არ ერთვის საზოგადოდ, მაგრამ შეიძლება შეგვხვდეს ისეთი თითო-ოროლა მაგალითი, როგორიცაა:

მაშინ მამაჲ ეპიფანე ძმათა მათ დაუბრკოლდა არა სმენისა მის თჳს, **რომელცა-იგი** პირველ მოევლინა კაცი, რამეთუ ჰეშმარიტად იყო ქრისტჱს მონაჲ და არა უნდა შფოთისა ხილვაჲ (ხანძთ. ნა, მზ, 13).

მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როდესაც -ცა ერთვის ნაცვალსახელ **იგი**-ს, რომლის დანიშნულებაც იდენტურია მასთან:

... მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიაჲთ, სახელით იოსებ, **რომელ-იგიცა** მოწაფე ყოფილიყო იესუჲსა (მათე 27, 57: DE).

თუ **რომელ** კავშირი, ე. ი. ფუძის სახით წარმოდგენილი ნაცვალსახელი, რომელიც გამოყენებულია მიმართებით ნაცვალსახელად და განსაზღვრავს მთავარი წინადადების რომელსამე წევრს, ძველ ქართულში ხშირად გვხვდება, სამაგიეროდ, **საშუალო ქართულში** იგი იშვიათია. შეიძლება ითქვას, რომ ფუძის სახით წარმოდგენილი მიმართებითი ნაცვალსახელი კვდომის გზას ადგას და ჩვეულებრივი გამოყენება აქვს მის გარკვეულ ბრუნვაში გამოვლენას, რისი პროცესიც ძველ ქართულშივე დაიწყო. საშუალო ქართულში **რომელ** უმთავრესად იმგვარ ტექსტებში იჩენს თავს, რომლებიც, საერთოდ, არქაიზაციისაკენ ისწრაფვიან, ასეთებია, უმეტესწილ, საისტორიო თუ, საზოგადოდ, მეცნიერული ხასიათის თხზულებები. მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში იგი ან სულ არ გვხვდება, ან მეტად იშვიათად. „ვისრამიანში", მაგალითად, **რომელ** (განსაზღვრების ფუნქციით) ყველაზე მეტადაა, თითო-ოროლა მაგალითებია „ამირან-დარეჯანიანში" და „ვეფხისტყაოსანში". ძალზე იშვიათია, აგრეთვე, აღორძინების ხანის პოეტებთან, უნდა ვიფიქროთ, რომ ლექსებში მისი გამოვლენა ზოგჯერ მარცვლის რაოდენობის საჭიროებითაა გამოწვეული.

მაგალითები საშუალო ქართულიდან:

ა) სამეცნიერო ძეგლები:

მისცა არაგვითგან, ვიდრე ჰერეთამდე, **რომელ** არს კახეთი (ანას. ქ. ცხ, 17,20); სპანი, **რომელ** დარჩეს ვერღარა მიენდო მათ (იქვე, 16,18); შემდგომად ამისსა შეიყარა დიდძალითა ლაშქრითა და მიჰმართა გელაქუნად, **რომელ** ძნელ იყო შესამართებლად... (შარავანდ. 83,32); ხოლო ცხენის ჯოგისა და აქლემებისა სიმრავლე, **რომელ** დაყარეს, ვინმე აღრაცხნეს (იქვე, 128,13); და მას უთქს ერთი კერძო-კარაული, **რომელ** არს ჯორი (აბუსერ. 57,40); და დადგა ბალაჰვარად კარსა დასავლისასა, **რომელ** არს მცირედღა უნაკლულოვანეს ათერთმეტისა მტკავლისა (იქვე, 59,72).

ბ) მხატვრული ლიტერატურის ძეგლები:

იგი ღრუბელი, **რომელ** უგულოთა ზედა სწუიმს, ქვათაცა ზედა იგივე დასწუიმს (ვისრ. 231,9); შენ იგი ქარი არა ხარ, **რომელ** მალვით ვისისაგან სურნელობასა იპარავდი... (ვისრ. 155,1. აგრეთვე 191,15; 51,4); და მას სახლსა მიეყდით, **რომელ** თქვენ გინახამსთ (ამირან. II, 110,7); ...დედოფალსა უძღვნა შესამოსელი ერთი, **რომელ** მის სეფედავლესა შესამოსლისაგან უმჯობეს იყო (ამირან. II); მტერთ მახვილნი იქმნეს, ვით ცვილნი მახითა მითვე, **რომელ** დაარწუვეს (აბდულმესია 30,1); ექმნა წარმართსა და ერსა მართსა განსახრწნელ, **რომელ** პყრობილ იყვნეს, (აბდულმესია 30,2); მითენოს წუუდიად, **რომელ** სჩანს, „ვარდი თოვნებად“ (თამარიანი IV, 10); დაუგო ტყავი ვეფხისა, **რომელ** კვლა მიწყიე ჰგებოდა (რუსთ. 922,3); შენ სიტყვა-დაუსაბამო, **რომელ** აღმოთქვა მამამა (არჩილ.).

ყველგან **რომელ** სახელობითი ბრუნვის ფუნქციითაა, მაგრამ აქა-იქ ვხვდებით ისეთ მაგალითებს, სადაც **რომელ**-ს მიცემითი ბრუნვის გადმოცემა ეკისრება. ამის ნიმუშებს „ვისრამიანი“ გვაწვდის:

მას მშობელსა ჰგავ, **რომელ** ასული ბრმა ესუა... (284,21); მე ჯერეთ იგივე ვარ, **რომელ** მიცნობდი (281,19); ვირსა ჰგავ, **რომელ** ზურგსა ჯრმალი ეკიდოს... (70,4); მაგრა ჩემი დაჯერება ფრინველსა მახე-შებმულსა ჰგავს, **რომელ** აღარა ღონე აჭუს (211,17).

2. რომელ სხვადასხვა ბრუნვაში

რომელ ძველ ქართულშივე სხვადასხვა ბრუნვაში დაისმის, სახელდობრ, სახელობითში, მოთხრობითში, მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში. სხვადასხვა ბრუნვაში გამოყენება გამოწვეულია დამოკიდებული წინადადებისავე შემასმენლისაგან (გარდა ნათესაობითისა).

მხოლობითი რიცხვი

სახელობითი ბრ.:

იხილა მუნ კაცი, **რომელი** არა მოსილ იყო სამოსლითა საქორწინითა (მათე 22,11); იტკრთე და ჰშენე ორი ბუნებაჲ ერთ ხატად, **რომელი** მოვიდა ვნებად ჯორცითა უვნებელი (სახ. პოეზია, ტბ, 363); ...ლამპარი ცეცხლისაჲ, **რომელი** მყოვარჟამ დგა... (აბო 75,34); და იქმნეს იგი მახარებელ და მორწმუნე ეკლესიისა, **რომელი** აწ მტყუენველ არს და მდევნელ მისა (არიმათ. 31,6); ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: ჰე, მე ვარ, **რომელი** ოდესმე ვიყავ, რავახ (რავახ. 95,34); ... წინამორბედი ყოველთა მეუფისაჲ, **რომელი**... გუაუწყებდა მოსვლას უფლისასა (ჭ.-ეტრ. 200, V, 14).

მოთხრობითი ბრ.:

... იწყო არს ბჭჱ და წულილ გზაჲ, **რომელმან** მიხიყვანის ცხოვრებად... (ხანმ.: მათე 7,13); მიუგო იუდა, **რომელმან** მისცა იგი... (მათე 26,26); იპოოს ვინმე, **რომელმან** განკაფოს იგი (შუშან. 25, VII, 35); განმაძლიერე მე, ქრისტე, **რომელმან** მღვდელთ მოძღუართა საკსენებელი განაბარწყინვე (ჭ.-ეტრ. 12,2); ვინ იყო კაცი იგი, **რომელმან** ყოველივე... კეთილად წარუმართა მათ (ზარზმ. 154,3); და მე ვჰმადლობდი ღმერთსა, **რომელმან** იკსნა მონანი თუისნი (ასურ. 9,13); ...ვიხილე მადლი სალმრთოჲ, **რომელმან** თჳსისა ბრწყინვალებისა წიაღნი განჰმარტნა (ანტიოქ. 55,30).

მიცემითი ბრ.:

და აჰა კაცი ერთი, **რომელსა** სახელი ხერქუა ზქჱ (ხანმ.: ლუკა 19,2); ესე არს ტბაჲ მღრვე ყოველადვე, **რომელსა** ეწოდების სათაჯუე (ზარზმ. 162,26); ისმინეთ უფლისა იგი თქუმული,

რომელსა იტყჳს... (წარტყუენ. ნთ. 16); მაშინ მსაჯულმან მან სიმართლისამან, რომელსა არაჲ ჰნებავს წარწყმედაჲ ცოდვილისაჲ... (წარტყუენ. ვ, 13).

ნათესაობითი ბრ.:

და მოვ დეს იგინი დაბასა, რომლისა სახელი გეთსამანიაჲ (მარკოზ 14,32; ტბ.); ... ქალწული ბუნებით არს ადამის ასულ, რომლისა შობითა განქარდა ყუედრებისა იგი წყევაჲ (სას. პოეზია. რმზ, 112); და შვა მან ყრმაჲ, რომლისა ყოვლადვე სახე თუალთაჲ არა იყო მის თანა (კიმ. 269,2); გამოვიდა მთით ვეშაპი საშინელი, რომლისა პირისა გან გამოვიდა ალი ცეცხლისაჲ (ასურ. 8,8).

მოქმედებითი ბრ.:

რამეთუ ჴმისაგან უფლისა მოუძლურდენ ასურასტანელნი იგი წყლვითა, რომლითა დასცნეს იგინი (ესაია 30,31). ... ნეფსით ჴორცითა მოხუედ ვნებად ჯუარითა, რომლითა განგუათაჳისუფლენ ჩუენ საუკუნოჲსა ბნელისაგან (ჭ.-ეტრ. 147, V, 1), ნეტარ არს, ღირსო მამაო, ტკბილი დაძინებაჲ შენი, რომლითა მიიცვალე (სას. პოეზია, სმე, 147); ... განგებაჲ საიდუმლოთა შენთაჲ, რომლითა მომეც ჩუენ დიდი წყალობაჲ (სას. პოეზია, ტიზ, 261); ამიერითგან არღარა მივიღო სხუაჲ საზრდელი, რომლითა კუალად მშიოდის და არცა სხუაჲ სასუმელი, რომლითა კუალად მწყუროდის (აბო 72,23); ...ბრწყინვალებაჲ ამაოჲ დაუტევე და ზომიერითა ქცევითა იქცეოდე სიმდაბლით, რომლითა გამოაჩინა განყოფილებაჲ ჩუენი მაცხოვარმან წარმართთა-გან (ანტიოქ. 99,30).

მრავლობითი რიცხვი

სახელობითი ბრ.:

რამეთუ არა თქუენ ხართ, რომელნი იტყოდით... (მათე 10,20; C); და მწიგნობარ-ნი იგი, რომელნი იერუსალჵმით შთასრულ იყვნეს, იტყოდეს... (მარკოზ 3,22: E); ...შენდობაჲ ცოდვათაჲ მოგუმადლე სულთა ჩუენთა, რომელნი გაქებთ შენ (ჭ.-ეტრ. 13,6); აჰა ესერა მოვიდეს ვინმე კაცნი უკეთურნი, რომელნი გუეტყოდეს... (ზარზმ. 161,15).

მოთხრობითი ბრ.:

არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, **რომელთა** არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ (მათე 16,28); ...და განვლეს ქუეყანაჲ იგი წარმართთაჲ, **რომელთა** ყოველადვე არა იციან ღმერთი... (ადო 65,21); და ადგილი იგი აღივსო სულნელებითა და ანგელოზთა წმიდათა გალობითა, **რომელთა** წარიყვანეს იგი... (ხანძთ. იბ, ჱ, 14); ...გუნდნი მოწამეთანი, **რომელთა** ნეფსით თჳსით თავნი თჳსნი შეწირნეს მსხუერპლად... (სას. პოეზია, რჯზ. 192).

მიცემითი ბრ.:

და მრავალთა, **რომელთა** ესმოდა, განუკვირდებოდა (მარკოზ 6,2); ხოლო ბოროტნი იგი სპარსნი, **რომელთა** არა აქუნდა... წუალობაჲ... (წარტყუენ. ივ. 26); დღეს განსწმიდე ბუნებაჲ წუალთაჲ... და მათ მიერ მოგუანიჭე მოტევებაჲ ცოდვითაჲ, **რომელთა** ჰრწამს განგებულებაჲ შენი (ჭ.-ეტრ. 21, V, 1); მოვიდეს ვინმე კაცნი კაბადუკიაჲთ, **რომელთა** აქუნდეს მრავალფერი სენი... (კიმ. 309,35); ... და დასამტკიცებლად სიტყუათა ამათ, **რომელთა** ვიტყჳ (მრავალთ. 264,10).

ნათესაობითი ბრ.:

და საქმე განსაკჳრვებელი გუესმა მათ-თჳს, **რომელთა** მობელნი და მახლობელნი იტყოდეს მათ-თჳს, ვითარმე დ... (წარტყუენ. მბ, 4); ემსგავსე შურსა მას პაულესსა, ნეტარო. და კრულებათა მათ შინა ჰშვენ კრებულნი მოწაფეთა ქრისტესთანი, **რომელთა** შორის ჰბრწყინავ მსგავსად ონოსიმესსა... (ს.ას. პოეზია, რჯზ 203); ...ჰეშმარიტთა ქრისტეანეთა საქადულ და მოწესეთა სიხარულ, **რომელთა** შორის იპოვა ძჱ დიდისა ადარნასე კურაპალატისაჲ (ხანძთ.).

საშუალო ქართულში უნაწილაკო **რომელ** სხვადასხვა ბრუნვაში ისეთი სისტემატურობით არ გვხვდება, როგორც ამას ადგილი აქვს ძველ ქართულში, მაგრამ გვაქვს საამისო შემთხვევები:

მოაკსენა მან კაცმან, **რომელი** ამბავსა გვითხრობდა (ამირან. 34,25); აძგერეს ძელი, **რომელსა** ზედა სახნისი ჰგებოდა (რუსთ. 1042,2); იგი მე მომცეხ რიდენი, **რომელნი** წელან გშვენოდეს (რუსთ. 496,1); ვა, წახდეს შუქნი, **რომელნი** მზისაებრ ველთა ჰფენოდეს! (რუსთ. 1212,4); ვაქებ ჰკუასა ბრძენთასა, **რომელნი** ეურჩებიან (რუსთ. 347,3; აგრეთვე: 1113,2; 1063,1;

1177.1; 1570,1); დავით მკნე, ბრძენი, **რომლისა** ზენი ხდად ჰყოფენ ზესთა წარჩინებულად (თამარიანი XII, 33); და იყო იგი დისწული სამარისი, **რომელი** მოსლვასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილ იყო (ანას. ქ. ცხ. 14, 15); ზღუათა ქემწიფე მასმია, ლევანს უკმობენ **რომელსა** (ჰაშნავაზ. 120,2); შივიდეს მას ქალაქსა, **რომელსა** თაზიანი ქვიან (პროზ. შაჰნ. 389); მოიწიფა საქმროდ და გამოჩნდა ნიშანი მისი, **რომელი** იყო ნათესავი ჯიმშედისა... (პროზ. შაჰნ. 414); მას მდინარესა შეევიდა, **რომელი** ტბასა შესდიოდა (ქილილ. 120). შენ იგი ქათამი ხარ, **რომელი** ერთსა პირსა ზედა არ დაადგები... (ქილილ. 132; აგრეთვე: 193, 181, 165, 174, 188, 192, 191, 195, 246, 358, 206, 212, 219, 120, 125, 150); უხმო მწიგნობარს, **რომელი** წერას არ შეუზარდისა (არჩ. 289,2); მივედით ფინს ქალაქსა, **რომელსა** საომარს ქალაქს ეძახიან (საბა, მოგზ. 7); რიდე თავსახვევსა ჰქვიან, **რომელსა** ინდნი და სპარსნი თავსა იხვევენ და არაბნი (ვახტ. ტშ, ოგ).

უნაწილაკო ფორმები შესაძლოა ახალ. ქართულშიც შეგვხვდეს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არაა დამახასიათებელი; იგი პოეტური ენის საჭიროებითაა გამოწვეული, როდესაც ავტორს სტილის არქაული იერით სურს მხატვრული ეფექტის მოხდენა. აქ იგულისხმება ისეთი მაგალითები, როგორიცაა, თუნდაც, ივ. მაჩაბლის თარგმანებიდან:

...მოვალეობა დაუკავშირა ვიღაც ოხერს, კარდაკარ მავალს. **რომელს** ამ ქვეყნად არსად ბინა არ გააჩნია (10,15); ... მშვიდობიანი, **რომელს** თავისვე მიხვრა-მოხვრა სიწითლეს ჰგვრიდა (20,11) და მისთ.

მიმართებითი ნაცვალსახელის სხვადასხვა ბრუნვაში დასმა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოკიდებულია შემასმენელზე, მაგრამ ეს არ ეხება ნათესაობით ბრუნვას; ნათესაობით ბრუნვაში მდგომი მიმართებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად მოუდის დამოკიდებული წინადადების ერთ-ერთ წევრს, და, მაშასადამე, იგი ეთიშება სხვა ბრუნვებში დასმულ იმავე ნაცვალსახელ-კავშირს, რომელსაც დამოკიდებულ წინადადებაში ქვემდებარის ან დამატების დანიშნულება აქვს.

რომლისა, ანდა პარალელურად ჲ-დამატებითი ფორმა **რომლისაჲ** ეხმება (დამოკიდ.) წინადადების ან ქვემდებარეს, ან პ.-ი. დამატებას, ან უბრალო დამატებას, ან კიდევ გარემოებას:

და მოვიდეს დაბასა, **რომლისა სახელი** გესამანიაჲ (მარკოზ 14,32); და ეწოდა მას მკჳდრთა მიერ მის ქუეყნისთა სა-

ხელი საბა, **რომლისა თარგმანებაჲ** არს მოხუცებული (ასურ. 4,16); და მოიყვანეს ვირიცა იგი ნახევარ მომკუდარი, **რომლისა ენაჲ** მოეპრა კაცსა მას და ვერღარა ჰამდა საჭმელსა (კიმ. 289,32); ... ერთი უმრწემეს, **რომლისა კსენებაჲ** მრავალგზის ეგულვების სიტყუასა (ზარზმ. 149,34); ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა **მკჳდრნიცა** მის ადგილისანი სავსენი სენითა... (შუშან. 39, XIV, 22); რამეთუ აწ არს ხანძთას კელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, **რომლისა სიტყუანი** ფრიად კეთილ არიან (ხანძთ., ლთ, ლგ, 11); და ჰმადლობდა ქრისტესა საკჳრველთ მოქმედსა და მონასა მისსა ეპიფანეს, **რომლისა ლოცვითა** სრულიად სიხარული მიეფინა (ხანძთელი, პბ, პე, 25); ჟამსა მას სატფურებისასა ზამთარი იყო დიდისა მის ურწმუნოებისაჲ, **რომლისა ვენაკისაგან** გამონაღები არა იპოვა (ჭ.-ეტრ. 239, V, 12); გამოვიდა მთით ვეშაპი საშინელი, **რომლისა პირისა** გან გამოვიდოდა ალი ცეცხლისაჲ (ასურ. 8,8); ... რაოდენ უფროჲს ზეცისა იგი მეუფჱ, **რომლისა კელთა-შინა** არს სიკუდილი და ცხორებაჲ (წარტყუენ. მთ, 8); რაჲსათჳს არა გითხრეს პირველ ჩემს პატიოსანთა მათ შეყენებულთა სახე იგი ჩუენისა მუნ მისლვისაჲ, **რომლისა ცნობად** წყურიელი მოხუედ ჩემდა კაცისა უღირსისა და ცოდვილისა (ანტიოქ. 96,4); ... მაშინ გამომიბრწყინდა ნათელი დიდად ბრწყინვალჱ, **რომლისა სახჱ** ვერ შესაძლებელ არს მითხრობად (რავახ. 90.21).

ჩვეულებრივ **რომლისაჲს** უშუალოდ მოსდევს მასთან შეხამებული სახელი, მაგრამ არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც ისინი დაშორებული არიან და მათ შორის ჩაისმის წინადადების სხვა წევრები. აღსანიშნავია, რომ ამ პირობებში უფრო დამახასიათებელია ჲ-დართული ფორმის ხმარება (**რომლისაჲ**). ეს ინვერსია ხდება, როდესაც: ა) დამოკიდებულ წინადადებაში შედგენილი შემასმენელია, რომლის ზმნურ ნაწილად **ყოფნა** ზმნა გვევლინება (იგი უშუალოდ მოსდევს კავშირს და ამგვარად აცილებს მას მმართველ სახელს), ბ) მმართველად მასდარია.

გავეცნოთ ნიმუშებს:

•

...უხილავისაგან საყოფლისა სულისა წმიდისა, **რომლისაჲ** არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე ამენ (ხანმ. მრავალთ.); და მთანი გარჱ მუცულ არიან, **რომლისაჲ** არიან თავნი მათნი

კ ლ დ ჲ მყარ და იმიერ მოკსულ (თუალთაჲ 40,16); სარდიონ ამის გამო ერქუმის, რომელ ბაბილოვს, **რომლისაჲ** არს ხ ი ლ ვ ა ჲ მისი მეწამულ (თუალთაჲ 22,1); ფერსა და სახელსა თევზისასა სახელედვა, **რომლისაჲ** არს ფ ე რ ი მისი სარდიონ (თუალთაჲ 22,2); და ვითარცა განთენა, შემოყვანნა წინაშე მეუღლისა თჳსისა, **რომლისაჲ** არს სახელი კრავი (ხანძთ. კე, კგ, 8).

ბ

... და იწყო ალსარებად.., **რომლისა** არა ვინებე თითრეულისა მათისა მ ო კ ს ე ნ ე ბ ა ჲ (კიმ. 323,35); და რაჟამს ყო ესე კაცმან მან, ესუა მას დაწინდებული, **რომლისაჲ** ეგულებოდა შ ე რ თ ვ ა ჲ მისი (კიმ 309,13); არიან ტკბილ და საწადებელ, ვითარცა ესე **რომლისაჲ** აწ გუეგულების ა ღ წ ე რ ა ჲ (ანტიოქ. 111,14); ხოლო საცნაურ მყოფელად სიტყჳსა ამის იყავნ ესე, **რომლისაჲ** ესერა აწ გუეგულების ა ღ წ ე რ ა ჲ (ანტიოქ. 122,10); ვითარცა გაუწყოს სიტყუამან ამან, **რომლისაჲ** გუეგულების თ ქ უ მ ა დ (ანტიოქ. 60,30); და იყვნეს ჟამსა მას მღდელნი და წინამძღუარნი..., **რომლისაჲ** მნებავს ა ღ წ ე რ ა დ ცხორებაჲ მისი (ასურ. 15,4).

იშვიათია, როცა ზემონახსენები პირობები არ არსებობს, მაგრამ ინვერსიას მაინც აქვს ადგილი:

...ესე პირველი ეკლესიაჲ არს, **რომლისაჲ** კელითა ჩემითა დავდევ ს ა ძ ი რ კ უ ე ლ ი ამის ეკლესიისაჲ (არიმათ. 56,3); და შვა მან ყრმაჲ, **რომლისა** ყოველადვე ს ა ხ ე თ უ ა ლ თ ა ჲ არა იყო მის თანა (კიმ. 269,2).

ზოგჯერ **რომლისა** არ უკავშირდება ჩვეულებისამებრ სახელს და პირდაპირ შემასმენელთან არის დაკავშირებული:

...რაჲთა მოსლვასა მას სიძისასა მოწრაფე იქმნე აღფრინვებად ღრუბელთა მყის აერთა ზედა შემთხუევად მისა, **რომლისა** გსუროდა, ღირსო, და სულითა ძლიერითა ღაღად ჰყავ მისსა მიმართ (სას. პოეზია, რიე, 11). მთ. 24,46 ვკითხულობთ: ნეტარ არს მონისაჲ მის, **რომლისაჲ** მოვიდეს უფალი თჳსი და პოვოს იგი ესრჱთ მოქმედი.

რომლისა ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ, როგორც მიმართულებითი ბრუნვის ფორმა.

დავიმოწმოთ საშუალო ქართულის მაგალითები, როდესაც ნათესაობით ბრუნვაშია მოცემული წევრ-კავშირი:

მე ეგეთისა კაცისა მოკლვა ვითამცა შევმართე, **რომლისა** სული მერჩიოს სულსაო? (ვისრამიანი); რად დავეკუშტვი ესეთსა საყუარელსა, **რომლისა** მიჯნურობითა ხელი ვარ? (ვისრამიანი); აჰა, ამირან დარეჯანისძეო, **რომლისა** მგზავსი არა არს პირსა ყოვლისა ქვეყანისასა (ამირან. 32,10); დავით მკნე, ბრძენი, **რომლისა** ზენი ხდად ჰყოფენ ზესთა წარჩინებულად (თამარიანი XII, 33); ... ვეზირის შვილი ვიყავ; **რომლისა** ქება და სიკეთე თვით მამისა შენისაგან გასმია (რუსუდ. 739,6); მისსა სიყვარულსა მოვმართე, **რომლისა** ამბავი ჩემმა მოწყალემ ჭილუავამა თქვენ გიამბოთ (ქილილ. 261); მე მის ხის კიდე, **რომლისა** ძირსა ვეცხლი დამარხულ იყო, სხვა მოწამე არავინ მიეის (ქილილ. 158).

ჲ-დართული **რომლისა** მრავლობითში ასე წარმოგვიდგება: „ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა და პურნი იგი შესაწირავისანი შეჰამნა, **რომელთაჲ** არა ჯერ-იყო ჭამად მისა...(ი. 12,4).

3. ნაწილაკიანი რომელ სხვადასხვა ბრუნვაში

რომელ ნაცვალსახელი ტიპურ კავშირად იქცა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას დაერთო გარკვეული ნაწილაკები. ეს ნაწილაკებია: ერთი მხრით, **იგი—ეგე—ესე** და, მეორე მხრით,-ცა.-ცა ქართულ ენაში გავრცელებული ნაწილაკია, რომელიც საბოლოოდ შეეხორცა **რომელ**-ს მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციის გამოსახატავად. ეს ორი მასალის ნაწილაკები ერთმანეთის გვერდით არსებობენ უძველესი წერილობითი ძეგლებიდანვე და ერთმანეთს ემთხვევიან ფუნქციურად. მხოლოდ მათი მომავალი ბედია სხვადასხვა, რაზედაც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ი. იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ **ესე—ეგე—იგი** ნაწილაკები უფრო ძველია, ვიდრე -ცა; თავდაპირველად **ესე—ეგე—იგი** ნაცვალსახელთან ერთად იბრუნებოდნენ, შემდეგ და შემდეგ გაიყინნენ და გაქვავდნენ კითხვით სიტყვებთან და ნაწილაკად იქცნენ. ავტორი ასახელებს ერთ მაგალითს, რომელიც უნდა ასახავდეს უძველეს ვითარებას: „კეთილსა წამებასა გჩუენებენ, რომელნი-იგი მოციქულ მოციქულთა იქმნებოდეს მოვლინებულ ქრისტჱს მიერ, **რომელთა-მათ** პირველ ანგელოზნი იგი ეტყოდეს“ (იპოლ. 25,89).[1]

---

[1] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 361.

იგი — ეგე — ესე

ამათგან ჩვეულებრივი გავრცელება აქვს იგი-ს, იშვიათია ეგე და კიდევ უფრო იშვიათი ესე. იგი (და სხვანი) დაერთვის ყველა ბრუნვას; ის ნაწილაკია და ამიტომ, ბუნებრივია, უცვლელია სხვადასხვა ბრუნვაში გამოვლენილ რომელ ნაცვალსახელთან. ე. ი. გვაქვს:

მხოლ. რ.:

სახ.	რომელი-იგი
მოთ.	რომელმან-იგი
მიც.	რომელსა-იგი
ნათ.	რომლისა-იგი
მოქ.	რომლითა-იგი

მრავლ. რ.:

სახ.	რომელნი-იგი
მოთ. მიც. ნათ.	რომელთა-იგი

ასევე:

მხოლ. რ.:		მრავლ. რ.:
სახ.	რომელი-ეგე	რომელნი-ეგე
მოთ.	რომელმან-ეგე	
მიც.	რომელსა-ეგე	რომელთა-ეგე
ნათ.	რომლისა-ეგე	
მოქ.	რომლითა-ეგე	

მხოლ. რ.:		მრავლ. რ.:
სახ.	რომელი-ესე	რომელნი-ესე
მოთ.	რომელმან-ესე	
მიც.	რომელსა-ესე	რომელთა-ესე
ნათ.	რომლისა-ესე	
მოქ.	რომლითა-ესე	

გაეცნოთ მაგალითებს:

სახელობითი ბრ.:

... სახელითა იესუ ქრისტჱ ნაზორეველისაჲთა, **რომელი-იგი** თქუენ ჯუარს-აცუთ, **რომელი-იგი** ღმერთმან აღადგინა მკუდრეთით (საქმე მოციქ. 4,10 ბ. რედ.); ...დღითიდღე ხილვითა მისითა იკსენებდეს სიკუდილსა, **რომელი-იგი** სამარადისოდ წინაშე თუალთა აქუნდა (ზარზმ. 177,5); არს მფრინველი..., **რომელი-იგი** მეორესა შჯულსა მოსჱსსა იკსენების (სახისმეტყ. 7, ვ. 1); ...აღშჱნებისათჳს ეკლესიისა, **რომელ-იგი** არს ლუდიას შინა (არიმათ. 25,5); და ჩემ თანა წარვიყვანჱ ნიკოდემოს, **რომელი-იგი** მოწაფჱ იყო ჩემ სახედ ქრისტჱსი... (არიმათ. 6,8); შეკრიბა ლაშქარი ბერძენთაჲ, **რომელი-იგი** იყო იერიქოს (წარტყუენ. ია, 16); ხოლო შენ წარვედ ცეცხლსა მას საუკუნესა, **რომელი-იგი** განმზადებულ არს შენ-თჳს... (წარტყუენ. ლე, 30); ...უფალმან მომცა სიტყუაჲ, **რომელი-იგი** არს ყოველთა კეთილთა მიზეზი (ანტიოქ. 72,5).

მოთხრობითი ბრ.:

ხოლო ამისსა შემდგომად ბასილი მიითუალა წინამძღურობაჲ, **რომელმან-იგი** კეთილად იღუაწა ჟამ რაჲოდენიმე ადგილი იგი ნამუშაკევი მამის ძმისა თჳსისაჲ (ზარზმ. 181,28); ხოლო ღმერთმან, **რომელმან-იგი** ყვის ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ, არა უგულებელს ყო თხოვაჲ მისი (ანტიოქ. 91,38); ...და მომივლინა მე დიდი ტიმოთე ღრუბლითა, რომელსა ჰყვა უხრწნელი ჯორცი და სისხლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, **რომელმან-იგი** ვითარცა მაზიარა... (ანტიოქ. 114,20); ... და მოუწოდე მღდელსა, მას, **რომელმან-იგი** მსხუერპლი დღისაჲ მის აღასრულა (რავახ. 83,22); აჰა ვიხილეთ სურვილი მამისაჲ შვილისა მიმართ, **რომელმან-იგი** იწყო და გამოაჩინა კერპთმსახურებაჲ (კიმ. 135,32).

მიცემითი ბრ.:

ჰრქუა იესუ კაცსა მას, **რომელსა-იგი** კელი განქმელ ჰედგა (ჰაემ.: მარკოზ 3,3); და მას ღამესა მოკუდა იგი ბოროტ დ ვითარცა მეფჱ იგი, რომელმან შეაცთუნა იჱ ლი. რაჟამს იგი მოუელინა ო ნ მამხილებელად ბალაამ ბოსორელი, რომელსა-

იგი კარაული ეზრახა კაცობრივითა სიტყჳთა... (ასურ. 20,32)... ქალსა ვის-მე საწყალობელსა, **რომელსა-იგი** მათ დღეთა ოდენ ეშვა ყრმაჲ, აღუთქუეს ფასი... (წარტყუენ. ნდ. 22); გალატოზნი ქვასა თლიდეს და ეპოვა ქვასა ერთსა შინა, **რომელსა-იგი** თლიდეს (თუალთაჲ 24,3).

ნათესაობითი ბრ.:

... რათა ხვალის-დღე მივიდენ საფლავად მისსა ადგილსა მას ზანავისასა, სადა იგი მონასტერი შუენიერი შენ არს, **რომლისა-იგი** იყუნეს პირველნი აღმაშენებელნი ამასპო და ქურდია (ზარზმ. 172,32); არს ჩუენ შორის წინამძღუარი იგი ქრისტეანეთაჲ, **რომლისა-იგი** საკჳრველთ-მოქმედებაჲ კეთილად გახსოვს (ანტიოქ. 106,3); და გეეცრებით, რათა ლოცვა ჰყო ჩუენთჳს, **რომლისა-იგი** ფრიად მოქენე ვართ და უმეტეს და უფროჲს საჭირვოჲსა მის კორცთა საკმრისა (ანტიოქ. 74,29); და ვითარცა ჰრწმენა მათ, უბრძანა სებასტიანე მოყუანებაჲ დედაკაცისაჲ მის ურაკპარაკსა, **რომლისა-იგი** შვილნი განკურნებულ იყუნეს (კიმ. 148,11).

მოქმედებითი ბრ.:

... ფსალმუნნი დაისწავლნა, **რომლითა-იგი** დღჱ და ღამჱ ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით (შუშან. 35, XII,3); ...ნაესა ჰგუანდა, **რომლითა-იგი** ვიდოდეთ ჩუენ (კიმ. 211.4).

მრავლობითი რიცხვი:

არა ჯერ-იყო თქუენი პირუტყუთა მიმსგავსებაჲ, **რომელნი-იგი** პირმეტყუელნი ხართ (ანტიოქ. 76,14); ხოლო საკჳრველი ტიმოთე უდაბნოდ განვიდა და მუნ მყოფნი მოღუაწენი იხილნა, **რომელნი-იგი** კორცითა უკორკოთა მოქალაქობასა ჰბაძვიდეს (თუალთაჲ 55,15); ... რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხორებაჲ მარტოდ მყოფთაჲ მათ სივრცესა მას შინა უდაბნოჲსასა, **რომელნი-იგი** იზარდებოდეს მძოვართა სახედ მწუანეილითა და ხილითა (ხანძთ. 3, ე, 35); და კაცობრივისა ენისა მიერ შეუძლებელ არს წარმოთქუმაჲ და აღწერაჲ ყოველთა მათ სასწაულთაჲ, **რომელნი-იგი** სარწმუნოთა კაცთა მიერ ფიცით მოგვეთხრნეს ჩუენ (ზარზმ. 177.28); და რომელნი ესრეთ ცხოვნდე-

ბიან. არიან იგინი, ვითარცა ცხოვარნი, **რომელთა-იგი** არა აქუნ მწყემსი... (წარტყუენ. კგ, 9); ხოლო ამას იტყოდა მოწაფეთა მისთა-თჳს, **რომელთა-იგი** ზედა მოეღო მიშუებაჲ... (კიმ. 279,12); ... და ნუ მოიკსენებ წმიდათა მათ მცნებათა შენთა გარდასლვასა, **რომელთა-იგი** გარდავჴედ მე უბადრუკი ესე (ანტიოქ. 103.13).

უფრო ნაკლებად გვხვდება **-ეგე, -ესე** ნაწილაკიანი ფორმა:

... შენდა მიმართ არიან სიტყუანი ესე ჩემნი, **რომელი-ეგე** უკეთურებისა გულის-ხმისა-ყოფასა ხარ სახე... (კიმ. 143, 13); უფალო იესუ ქრისტე, **რომელი-ეგე** ხარ მამაჲ ობოლთაჲ და ზედამდგომელი ქურივთაჲ (ანტიოქ. 53,17); მე დავამჭუა აპოლონი, **რომელსა-ეგე** ღმრთად ჰგონებთ თქუენ (კიმ. 134,37); ჯერ-არს თქუენდა, **რომელნი-ეგე** მორჩილ ხართ შარავანდედობისა ჩუენისა... (ანტიოქ. 106,36); ჰეშმარიტად ჯერ-არს მორჩილებაჲ თქუენი, ვითარცა სულიერთა მშობელთა ჩემთაჲ, **რომელთა-ეგე** უაღრესი სიყუარული აჩუენეთ ჩემ ზედა უფროჲს ჯორციელთა მშობელთაჲსა (ანტიოქ. 53,38);—...სიტყჳსაებრ წმიდისა, **რომელი-ესე** გჳკჳრდა (ზარზმ. 163,10); ვაჲმე უბადრუკსა ამას, **რომელი-ესე** მამისა წილ შერაცხილ ვიყავ ძმისა ჩემისა (ანტიოქ. 61.17); ...შეუძლებელ არს ჩემდა დამორჩილებაჲ ბრძანებისა შენისაჲ, **რომელსა-ესე** დამიყოფიეს ოც და ათი წელი უდაბნოთა შინა (ანტიოქ. 137.6); ... მოვიდა ქუეყანასა ამას, **რომელსა-ესე** აწ თქუენ დამკჳდრებულ ხართ (საქმე მოციქ. 7,4); — ... ყოვლად-სავსემან ქრისტემან აღგავსენინ თქუენ ყოვლითა კეთილითა, **რომელნი-ესე** ჩემთჳს მოშუერით (შუშან. 43, XVII, 15); ...იხილოს სინანული ჩუენი, **რომელნი-ესე** ვართ მსგავს უძღებისა მის შვილისა (კიმ. 241,34).

-ცა

-ცა ნაწილაკიანი **რომელ** ისეთივე ხნოვანებისაა სალიტერატურო ძეგლების მიხედვით, როგორც **-იგი** ნაწილაკიანი ფორმა. მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა მერმინდელი გავრცელების თვალსაზრისით: თუ **-იგი** ნაწილაკდართული **რომელ** ძველი ქართულის კუთვნილებაა მხოლოდ (საშუალო ქართულს იგი არ ახასიათებს, როგორც ნორმა), **-ც(ა)** ნაწილაკდართული **რომელ** ქართული ენის საზოგადო დამახასიათებელი ნორმაა: ძველ ქართულში უკვე ჩამოყალიბებულია და ფაკულტატიურია უნაწილაკო და **-იგი** ნაწილაკიან მიმართებით

ნაცვალსახელთან, საშუალო ქართულში ბატონდება, ხოლო ძველ ქართულში (როგორც სალიტერატურო ენაში, ისე კილოებში) აბსოლუტურად გაბატონებულია.
ცა-დართული რომელ შემდეგ ბრუნვებში წარმოგვიდგება:

მხოლ. რ.:	მრავლ. რ.:
სახ. რომელიცა	რომელნიცა
მოთ. რომელმანცა	რომელთაცა
მიც. რომელსაცა	
ნათ. რომლისაცა	
მოქ. რომლითაცა	

მხოლობითი რიცხვი:

სახელობითი ბრ.:

ხოლო დღესასწაულთა ჩვეულ იყო მთავარი იგი, მიუტევის ერსა მას პყრობილი ერთი, **რომელიცა** უნებებ მათ (მათე 27,15); ნუ დასცხრები ვედრებად ჩუენ თჳს, წინა მორბედო მისა, **რომელიცა** ჰქადაგე შენ კრავად უცოდველად ღმრთისა მაღლისად... (სას. პოეზია, ნთ. 142); ...არამედ იზარდებოდეს სულისა მიერ წმიდისა, **რომელიცა** ნათლისღებასა შეიმოსეს (კოლ. 59,123); ხოლო მათ ისმინეს მოკსენებაჲ წმიდისაჲ მის, **რომელიცა** შერაცხილ იყო პირველთა თანა მოწაფეთა მისთა (ხანძთელი); ხოლო ქრისტემან მონასა თჳსსა გრიგოლს გამოუცხადა ყოველი იგი უსამართლობაჲ, **რომელიცა** შეამთხჳეს უბრალოსა მას დედუფალსა (ხანძთ. ნჱ, ნვ, 5); ...და ღირს იქმნა იგი მისლვად ცხორებასა მას დაუსრულებელსა ღმრთისა თუისისა ...ანა, **რომელიცა** შეიყუარა და ჰმსახურა (ასურ. 21,1).

მოთხრობითი ბრ.:

გიხაროდენ, ყოვლად საგალობელო მამაო, **რომელმანცა** იღუაწე კორციოა სწორად ზეცისა უჴორცოთა... (სას. პოეზია. რიჱ, 100); აჰა კრავი ღმრთისაჲ შორის თქუენსა მდგომარეჲ, მსგავსად კაცთა, რომელმანცა აღიხუნა ცოდვანი სოფლისანი (სას. პოეზია); იგივე თავადი უფალი მკჳდრ არს შენ თანა, ღირსო მამაო, რომელმანცა ლოცვითა შენითა მომანიჭოს ძლევაჲ ეშმაკთაჲ... (ხანძთ. ჱ, ვ. 42).

მიცემითი ბრ.:

... მოვიდა სიმდაბლით შეუხებელი ნათელი დაუსაბამოჲ ნათლის ღებად ჯორცითა იორდანისა წყალთა, **რომელსაცა** ზეცისა უჯორცონი შიშით ადიდებენ (სას. პოეზია); და მო-ვინმე-იყვანეს, რომელსა სახელი ერქუა ფილეკტრმონ, **რომელსაცა** ჰრქუა... (კიმ. 133,6); რამეთუ გაქუს მადლი შეწევნად მორწმუნეთა და მოელით დაუსრულებელსა დიდებასა და **გამოუთქუმელსა** სიხარულსა, რომელსაცა მიწევნად ხართ (ხანძთ. ჲბ, ნ**ჱ**, 21).

ნათესაობითი ბრ.:

... და უფალი ქრისტე ღმერთი ჩუენი იქადაგა შენ მიერ, პატიოსანო მოციქულო, **რომლისაცა** მკერდსა მიეყრდენ... (ჭ.-ეტრ. 18, V, 11).

აღსანიშნავია, რომ **რომლისაცა** ზოგ კონტექსტში მიმართულებითი ბრუნვის ფორმად უნდა გავიგოთ (შდრ. ზემოთ განხილული **რომლისა**).

აი მაგალითები:

აჰა ესერა წარგიყვანებენ წინაშე ბაბილოვნისა ჴელმწიფისა, **რომლისაცა** წარიდგინო და სიკუდილად დაისაჯო (ანტიოქ. 103,30); ... შენ თანაცე ღირს იქმნა შესლვად სასუფეველსა, **რომლისაცა** გსუროდა (სას. პოეზია, რკდ, 100); ... მივიდა უფლისა, **რომლისაცა** სუროდა (ხანძთ. ლე, კთ. 63. ნ. მარის თარგმანით: ...отошла к Господу, к которому стремилась).

მოქმედებითი ბრ.:

...განჰბანე უხრწნელით გუერდით შენით წყაროჲთა მით განმაცხოველებელითა სისხლისა და წყლისაჲთა, **რომლითაცა** აღავსე სულთა ჩუენთა წყურვილი სახიერებით... (სას. პოეზია); ... განწმიდენ სულნი ჩუენნი წყლითა და სულითა წმიდითა, ქრისტ**ჱ**, **რომლითაცა** აღბეჭდენ მოსავნი შენნი (სას. პოეზია); ... ღმერთმან შეგამკო სიბრძნითა, ჰასაკითა და სულითა წმიდითა..., **რომლითაცა** ვრცელ იქმენ ყოველსა ამას ქუეყანასა თანა... (ხანძთ. კ**ჱ**, კდ, 18); ... არა შევაწუხოთ სული წმიდაჲ, **რომლითაცა** აღვიბეჭდენით (კიმ. 241,32).

...ადიდებდეს ძალთა მათ და სასწაულთა..., **რომელნიცა** გაუწყნეთ შემდგომითი-შემდგომად (ანტიოქ. 89,4); მომცენ ძმანი ჩემნი, **რომელნიცა** მოიწინეს შენდა (ხანძთ. კგ, კ, 28); უფალო საუკუნით-განთა წმიდათა შენთა მორწმუნენი შენნი, **რომელნიცა** იყურთხნიან, სიტყუაჲ მათი საქმით აღასრული (ხანძთ. იგ, თ, 43); ...მარტჳლთა და მოწამეთა, **რომელთაცა** კორცნი მახჳლითა დაიჭრებოდეს (ხანძთ. იე, ი, 27); ... მოსლვითა თჳსითა მშჳდობაჲ ახარა კაცთა მტერთა მისთა, **რომელთაცა** სიყუარულისა თჳს სიკუდილი თავს იდვა... (ხანძთ. ოა, ობ, 37); მოციქული ძმა მტყუვარად მათ სახელ სდებს, **რომელთაცა** დრკუთა მათ მოძღუართა მათთა სახელი ჰრქჳან (ხანძთ. ოდ, ოე, 11-12); ...შეამკვე შეუნიერად კრებული მონაზონთაჲ, **რომელთაცა** შორის ჰბრწყინავ, ნეტარო (სას. პოეზია რმთ, 166); ... და წარემართა ხილვად სასწაულთა მათ და ნიშთა და ყოველნი საბრძანებელნი მისნი მისთანა და გარემო სანახებნი მათ არეთანი, **რომელთაცა** ასმოდა დიდი ესე საკჳრველებაჲ (ზარზმ. 164, 27).

ჩვენ ზემოთ დავრწმუნდით, რომ საშუალო ქართულში საკმაოდ გავრცელებულია უნაწილაკო წევრ-კავშირი (**რომელი**), ამის გვერდით აგრეთვე გავრცელებულია **-ცა** ნაწილაკიანი ფორმა: **რომელიცა**. ძეგლების მიხედვით გავრცელებულობა ასეთია: „ამირან-დარეჯანიანში“ ჰარბობს **-ცა** ნაწილაკიანი ფორმა, — შედარებით ნაკლებია უნაწილაკო წევრ-კავშირი, „ქილილა და დამანაში“ ჰარბობს უნაწილაკო წევრ-კავშირი, — შედარებით ნაკლებია ნაწილაკიანი ფორმა; **რომელიც(ა)** ხშირია აგრეთვე საბუთების ენაში.

მოვიყვანოთ ზოგიერთი მაგალითი:

მას მიჯნურსა, **რომელსაცა** ვინ უყუარდეს, ათასი სული და სიცოცხლე არა უჩს (ვისრ. 223,5); ამოიღო იგი ქალისა სახე, **რომელიცა** უბესა შიგან ედვა (ამირან. II, 110,10); და ესე რისა სახეა, **რომელსაცა** ვსჴვრეტო? (ქილილ. 189); ... მათ კაცთა, **რომელთაცა** ხელმწიფეთანა ახლო ყოფისა ნდომა აქუსთ, მაშთ მისი წყრომისა ამბავი არ იციან (ქილილ. 133); მაგრამ ჩვენის ქვეყნის კაცისაგან ის გაკეთებაც სანატრელი იყო, **რომელსაც** მოშლას უპირობდენ (საბა, მოგზ. 40); აფხაზის შვილის დავითის ქალი მითხოეს, **რომელიც** ქისიყის მოურავის ქალთან მისცემოდა (იესე ოსეშვ. 25); მაგრამ ის კაცი, **რომელიც** მანდ

ვამოსაგზავნათ გვინდოდა, აქ არ იყო... (დოკუმენტ. თაყაიშვ. 100.11); ავიღეთ თქუენგან ფასი სრული, რომლითაც ჩუენი გული შეჯერდებოდა (დოკუმენტ. ბერძენ. 43,8).

ახალ სალიტერატურო ენაში **რომელიც** წევრ-კავშირი, ე. ი. ნაწილაკიანი სიტყვა, გაბატონებულია:

... ამ ბნელ ფარდის ქვეშ, **რომელიც** ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნისა სჭედავს ბორკილთა ადამიანთა ბედის შესაჭედად? (ილია); ეს იყო პოლონელი როზდიევიჩი, **რომელიც** ჯერ პროფესორად ყოფილიყო (აკაკი); უთხრა თავის მერანს, **რომელმაც** პატრონის დანახვაზე მოუმატა ხვიხვინს (ვაჟა); ... სიძეს აბრალებდა, **რომელსაც** ქალიშვილთან თავისი ქონება ჩააბარა (კლდიაშვ.).

ნათესაობით ბრუნვაში დასმულ წევრ-კავშირს, როგორც წესი, -ც ნაწილაკი არ ერთვის, — სამაგიეროდ, ერთვის სახელს, რომელიც დაკავშირებულია მასთან:

მაგრამ შვილს, **რომლის გადარჩენაც** უნდოდა, მოჰხვდა ერთი საფანტი (ვაჟა); მგლის სიცოცხლე-კი, **რომლის მოსპობასაც** თქვენ, ადამიანნი, ესწრაფვით, გულს მიწყლავს (ვაჟა); ... ჩაუსვრიმა გეჯაში სხვა და სხვა უწმინდურება, **რომლის სახელის მოყვანასაც** აქ ვერ ვბედავთ მკითხველის პატივისცემით... (ყაზბ.); ეს იმედი იყო სვიმონ ჩოფიკაშვილი, **რომლის სახელიც**... ხელმწიფის კარებზედ იყო დაწერილი (ყაზბ.).

მაგრამ -ც ნაწილაკის დართვა სრულიად არაა სავალდებულო თანამედროვე ენის ნორმის მიხედვით; უნაწილაკობაც ისეევ ჩვეულებრივია, როგორც ნაწილაკის ხმარება.

მაგალ., იმავე ვაჟასთან ვკითხულობთ:

... ერთი გუმბათი შეიკრა, **რომლის თავზე** ცხოველი თაიგული გამოისახა; ჩალხოს ერთი იდეალი ჰქონდა, **რომლის აუსრულებლობა** გულს უკლავდა; ეს იყო... ირემი, **რომლის დანაშაული** არის მხოლოდ.

4. რომელ-ის მიმართება მისამართ სიტყვასთან

როგორც ზემოთ აღინიშნა, **რომელ** უკავშირდება მთავარი წინადადების ერთ-ერთ სიტყვას. ეს მისამართი სიტყვა სახელია:

აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, **რომელი** იყო სისხლისა დინებასა ათორმეტ წელ (მათე 9,10=C);... იგი არს ელია, **რო-**

მელი მისლვად არს (მათე 11,14); გამოჩნდა გალილეაჲთ ქ რ ი ს ტ ე, მზეჲ იგი სიმართლისაჲ, **რომელმანცა** განანათლა ნათლის ღებითა თჳსითა დღეს ყოველი სოფელი... (სას. პოეზია, რვ, 130); და ძ მ ა ჲ ც ა იგი მათი უხუცესი, **რომელი** პირველ ვაჴსენეთ... (ზარზმ. 171,30); ვინ იყო კ ა ც ი იგი, **რომელმან** ყოველივე... კეთილად წარუმართა მათ (ზარზმ. 154,3); ...და გარდააგდო კ ო დ ი იგი, **რომელ** აქუნდა საფარველად წმიდასა მას... (კიმ. 225,32); გიხაროდენ ქრისტეს მოწამეო, სანატრელო ა ნ ტ ო ნ ი, **რომელიცა** შეიჭურე ისრითა მით ღ˘თისა სიყუარულისაჲთა ღირსო... (რავახ. 98,4); და ბ ა ს ი ლ ი მამაჲ ხანძთელი მის გან იშვა, **რომელიცა** ფრიადთა წელიწადთა წინამძღურობდა ხანძთას კეთილად ვიდრე სიკუდიდმდე... (ხანძთ. ლე, კთ, 59); ...დამარხვასა მის თანა იყო ა რ ს ე ნ ი, **რომელიცა** ოც და შჳდ წელს კათალიკოზობდა... (ხანძთ. მთ, მბ, 169); ... ბ ე ჭ ე დ ი იგი სამეუფოჲ, **რომელიცა** აქუს სულსა მორწმუნეთა კაცთასა საფარველად სამარადისოდ და საცხორებელად (ხანძთ. ოზ, ოჱ, 13—14); და შენ ღ მ ე რ თ ი ძილსა შინა ნუ გგონიე, **რომელმან** განუმზადნის სიტყუა·ნი პირსა კაცისასა (შუშან. 37, XIII, 25).

ჩვენ გავეცანით ისეთ მაგალითებს, სადაც მისამართი სიტყვის მონახვა სიძნელეს არ შეიცავს; მთავარ წინადადებაში წარმოდგენილი სახელი ერთადერთი საორიენტაციო სიტყვაა დამოკიდებული წინადადების მასთან დასაკავშირებლად.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მთავარ წინადადებაში რამდენიმე სახელია, და ყველა ისინი შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა გვეყარაუდა მისამართ სიტყვად. არსებობს თუ არა გარეგნული, ფორმალური ნიშნები იმის დასადასტურებლად, თუ რომელ სახელს მივიჩნევთ სავარაუდო სიტყვათაგან მისამართ სიტყვად? შეიძლება გამოინახოს რამდენიმე ფორმალური ნიშანი:

ა) ზ მ ნ ი ს პ ი რ ი ს რ ო მ ე ლ ო ბ ა

საორიენტაციო სახელთაგან ისაა მისამართი სიტყვა, რომელსაც უკავშირდება დამოკიდებული წინადადების შემასმენელი პირის მიხედვით.

აჰა ესერა მე წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რო**მელმან** განმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა (მარკოზ 1,2).

აქ საორიენტაციო სიტყვებია: მ ე, ა ნ გ ე ლ ო ზ ი, შ ე ნ ს ა. ამათგან მისამართი სიტყვაა ა ნ გ ე ლ ო ზ ი, რაც ჩანს დამოკიდ. წინადადების შემასმენლის პირის ფორმიდან: გ ა ნ მ ზ ა დ ნ ე ს.

ივნე, უფალო, ივნე და მოგვძიენ ჩუენ ცხოვარნი ესე შეცთომილნი, **რომელთა** არ გუაქუს მწყემსი (ბოლნ. 7,21).

საორიენტაციო სიტყვებია: ჩ უ ე ნ, ც ხ ო ვ ა რ ნ ი. ამათგან მისამართი სიტყვაა ჩ უ ე ნ. შდრ. გ უ ა ქ უ ს (I პ.).

და მე ვჰმადლობდი ღმერთსა, **რომელმან** იკსნა მონანი თუისნი (ასურ. 9,13).

საორიენტაციო სიტყვებია: მ ე, ღ მ ე რ თ ს ა. ამათგან მისამართი სიტყვაა ღ მ ე რ თ ს. შდრ. ი კ ს ნ ა (3 პ.).

საკმარისია მოყვანილ მაგალითებში შევცვალოთ ზმნის პირი, რომ სხვა სიტყვა წარმოგვიდგეს მისამართ სიტყვად.

სანიმუშოდ ავიღოთ უკანასკნელი მაგალითი:

და მე ვჰმადლობდი ღმერთსა, **რომელმან** ვ ი კ ს ნ ე ნ მონანი ჩემნი.

ამ შემთხვევაში მისამართი სიტყვაა მ ე; ეს გადანაცვლება გამოიწვია დამოკიდებული წინადადების შემასმენლის პირის შეცვლამ.

ამგვარად, მისამართ სიტყვასა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელს შორის გარკვეული ურთიერთობაა დამყარებული ზმნის პირიანობის თვალსაზრისით.

ბ) ზ მ ნ ი ს ლ ე ქ ს ი კ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა

ზმნის (resp. დამოკიდ. წინადადების შემასმენლის) პირის ფორმა არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობისა მაშინ, როდესაც მთავარ წინადადებაში საორიენტაციო სიტყვები ერთი და იმავე პირის ფორმებია. ავიღოთ მაგალითი:

ამისა ქებასა შევსწირვიდეთ, რომელმან აცხოვნნა სულნი ჩუენნი (ჭ.-ეტრ. 148, V, 1).

აქ საორიენტაციო სიტყვებია ა მ ი ს ა, ქ ე ბ ა ს ა. დამოკიდებული წინადადების შემასმენლის მე-3 პირში (ა ც ხ ო ვ ნ ნ ა) დგომა ვერ გამოდგება სადიფერენციაციო ნიშნად, რამდენადაც ა მ ი ს ა და ქ ე ბ ა ს ა მე-3 პ. ფორმებია. ამ ტიპის მაგალითებში მისამართი სიტყვის გამოცნობა შეიძლება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობით. მართლაც: მოყვანილ მაგალითებში დამოკიდებული წინადადების ლექსიკური მნიშვნელობა შეეფერება მთავარ წინადადებაში სიტყვას — ა მ ი ს ა და, მაშასადამე, იგი უნდა მივიჩნიოთ მისამართ სიტყვად.

ხოლო ამისსა შემდგომად ბასილი მიითუალა წინამძღურობაჲ, **რომელმან-იგი** კეთილად იღუაწა ჟამ რაჲოდენიმე ადგილი იგი ნამუშაევი მამის ძმისა თჳსისაჲ (ზარზმ. 181,28).

საორიენტაციო სიტყვებია: ბ ა ს ი ლ ი, წ ი ნ ა მ ძ ღ უ რ ო ბ ა ჲ.

ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა (იღუაწა) შეეფერება სიტყვას ბასილი, და, მაშასადამე, ის არის მისამართი სიტყვა.

...მოუსპენ მას სრულიად ღირსთა მამათა ვედრებითა და მათ თანა ნეტარისა მამისა გრიგოლის მადლითა, **რომელიცა** ქუეყანასა ზედა ცხოვნდებოდა, ვითარცა ანგელოზი (ხანძთ. ჲთ, ო, 50).

საორიენტაციო სიტყვებია: გრიგოლის, მადლითა. ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა (ცხოვნდებოდ:) მიგვითითებს, რომ მისამართი სიტყვაა გრიგოლის.

და სათნო იყო ნუგეშინის-ცემაჲ მათი სასწაულთა მათ და ნიშთა მიერ, **რომელთა** ეგულებოდა მის მიერ აღსრულებაჲ... (ანტიოქ. 58,31).

საორიენტაციო სიტყვებია: მათი, სასწაულთა, ნიშთა: ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა (ეგულებოდა) მიგვითითებს, რომ მისამართი სიტყვაა მათი.

ამგვარად, მისამართ სიტყვასა და დამოკიდებული წინადადების შემასმენელს შორის ურთიერთობაა დამყარებული ზმნის ფუძის მნიშვნელობის თვალსაზრისით.

გ) მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვი

როდესაც მთავარ წინადადებაში საორიენტაციო სიტყვათაგან ერთი მხოლობით რიცხვშია და მეორე მრავლობითში, სადიფერენციაციო ნიშნის როლს ასრულებს მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვი. თუ მხოლობითშია, მიეკუთვნება მთავარი წინადადების მხოლობითში მდგომ სახელს, ხოლო თუ მრავლობითში, მაშინ მრავლობით რიცხვში მდგომი საორიენტაციო სიტყვა იქნება მისამართი სიტყვა და არა მხოლობითი რიცხვის ფორმა.

ხოლო იყო ვინმე ბარაბა მეჰომეთა თანა კრული, **რომელთა** შფოთსა შინა კაცი ეკლა (მარკოზ 15,7).

საორიენტაციო სიტყვებია: ბარაბა, მეჰომეთა. ამათგან მისამართი სიტყვაა მეჰომეთა, რამდენადაც მიმართებითი ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვშია.

...უჩუენე ყოველთა კაცთა დიდებაჲ, **რომელთა** შენ თჳს იღუაწონ (სას. პოეზია).

საორიენტაციო სიტყვებია: კაცთა, დიდებაჲ. ამათგან მისამართი სიტყვაა კაცთა: შდრ. **რომელთა**.

გამოჰსნად ჩუენდა მოხუედ, დამბადებელო, **რომელნი** შთავენოქენით მძლავრებით მტერსა ვეშაპსა... (სას. პოეზია).

საორიენტაციო სიტყვებია: ჩ უ ე ნ დ ა, დ ა მ ბ ა დ ე ბ ე ლ ო. ამათგან მისამართი სიტყვაა ჩ უ ე ნ დ ა: შდრ. **რომელნი** (შდრ., აგრეთვე, ზმნის პირი: შ თ ა ე ნ თ ქ ე ნ ი თ).

... აღვედ მე ბორცუსა ერთსა მცირესა მახლობელად მთათა სარკინოზთასა, **რომელნი** იყვნეს შორის სპარსთა და ბერძენთა... (კიმ. 307,14).

საორიენტაციო სიტყვებია: ბ ო რ ც უ ს ა, მ თ ა თ ა, ს ა რ კ ი ნ ო ზ თ ა ს ა. ამათგან მისამართი სიტყვაა მ თ ა თ ა: შდრ. **რომელნი**.

შეიწირე ვედრებაჲ მათი, **რომელნი** წინაშე შენსა დგანან და ითხოვენ წყალობასა შენგან (წარტყუენ. მზ, 29).

საორიენტაციო სიტყვებია: ვ ე დ რ ე ბ ა ჲ, მ ა თ ი. ამათგან მისამართი სიტყვაა მ ა თ ი: შდრ. **რომელნი**.

... და განვლეს ქუეყანაჲ იგი წარმართთაჲ, **რომელთა** ყოვლადვე არა იციან ღმერთი (აბო 65,21).

საორიენტაციო სიტყვებია: ქ უ ე ყ ა ნ ა ჲ, წ ა რ მ ა რ თ თ ა ჲ. ამათგან მისამართი სიტყვაა წ ა რ მ ა რ თ თ ა ჲ: შდრ. **რომელთა** (შდრ., აგრეთვე, ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა: ი ც ი ა ნ).

და კაცობრივისა ენისა მიერ შეუძლებელ არს წარმოთქუმაჲ და და აღწერაჲ ყოველთა მათ სასწაულთაჲ, **რომელნი-იგი** სარწმუნოთა კაცთა მიერ ფიცით მოგვეთხრნეს ჩუენ (ზარზმ. 177,28).

საორიენტაციო სიტყვებია: ა ღ წ ე რ ა ჲ, ს ა ს წ ა უ ლ თ ა ჲ. ამათგან მისამართი სიტყვაა ს ა ს წ ა უ ლ თ ა ჲ: შდრ. **რომელნი-იგი**.

და ადგილი იგი აღივსო სულნელებითა და ანგელოზთა წმიდათა გალობითა, **რომელთა** წარიყვანეს იგი სიხარულით წინაშე ქრისტჱსა (ხანძთ. იბ, ჱ, 14).

საორიენტაციო სიტყვებია: ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა, გ ა ლ ო ბ ი თ ა. ამათგან მისამართი სიტყვაა ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა: შდრ. **რომელთა**.

... რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხორებაჲ მარტოდ მყოფთაჲ მათ სივრცესა მას შინა უდაბნოჲსასა, **რომელნი-იგი** იზარდებოდეს მძოვრთა სახედ მწუანვილითა და ხილითა (ხანძთ. ვ, ე, 35).

საორიენტაციო სიტყვებია: ც ხ ო რ ე ბ ა ჲ, მ ა რ ტ ო დ მ ყ ო ფ თ ა ჲ, ს ი ვ რ ც ე ს ა, უ დ ა ბ ნ ო ჲ ს ა ს ა. ამათგან მისამართი სიტყვაა მ ა რ ტ ო დ მ ყ ო ფ თ ა ჲ: შდრ. **რომელნი-იგი** (შდრ., აგრეთვე, ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა: ი ზ ა რ დ ე ბ ო დ ე ს).

და იგივე ზაქარია სთულისა ჟამთა ჯდა ოდეს-მე ტბას თჳსთა

ბაბილოთა მწიფეთა ქუეშე, **რომელთა** მრავალ გზის შაშჳ ჰამდა (ხანძთ. ჲე, ჲე, 1).

საორიენტაციო სიტყვებია: ზ ა ქ ა რ ი ა, ტ ბ ა ს, ბ ა ბ ი ლ ო თ ა. ამათგან მისამართი სიტყვაა ბ ა ბ ი ლ ო თ ა: შდრ. **რომელთა**. ხოლო საკჳრველი ტიმოთე უდაბნოდ განვიდა და მუნ მყოფნი მოღუაწენი იხილნა, **რომელნი-იგი** კორცითა უკორცოთა მოქალაქობასა ჰბაძვიდეს (ანტიოქ. 55,15).

საორიენტაციო სიტყვებია: ტ ი მ ო თ ე, მ ო ღ უ ა წ ე ნ ი. ამათგან მისამართი სიტყვაა მ ო ღ უ ა წ ე ნ ი: შდრ. **რომელნი-იგი**.

ჩვენ გავეცანით ისეთ მაგალითებს, სადაც მიმართებითი ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში დგას და იგი ეფარდება მრავლობითშივე მდგომ მისამართ სიტყვას.

ახლა გავეცნოთ ისეთ მაგალითებს, სადაც მიმართებითი ნაცვალსახელი მხოლობით რიცხვშია და იგი ეფარდება მხოლობითშივე მდგომ მისამართ სიტყვას.

აჰა კრავი ღმრთისაჲ შორის თქუენსა მდგომარეჲ, მსგავსად კაცთა, **რომელმანცა** აღიხუნა ცოდვანი სოფლისანი (სას. პოეზია).

საორიენტაციო სიტყვებია: კ რ ა ვ ი, კ ა ც თ ა. ამათგან მისამართი სიტყვაა კ რ ა ვ ი, რომელიც ერთადერთი მიმართებითი ნაცვალსახელი მხოლობით რიცხვშია: **რომელმანცა**.

ხოლო ჩუენ ეჰმსახურებთ ქრისტესა, **რომელმან-იგი** დამუსრა აპოლონი (ციმ. 136,32).

საორიენტაციო სიტყვებია: ჩ უ ე ნ, ქ რ ი ს ტ ე ს ა. ამათგან მისამართი სიტყვაა ქ რ ი ს ტ ე ს ა: შდრ. **რომელმან-იგი** (შდრ., აგრეთვე, ზმნის პირი: დ ა მ უ ს რ ა).

ხოლო მათ ისმინეს მოჯსენებაჲ წმიდისა მის, **რომელიცა** წინა წარმოუძღუა მთავართა მათ... (ხანძთ. ლა, კზ, 8).

საორიენტაციო სიტყვებია: მ ა თ, მ ო ჯ ს ე ნ ე ბ ა ჲ, წ მ ი დ ი ს ა. ამათგან მისამართი სიტყვაა წმიდისა: შდრ. **რომელიცა** (შდრ., აგრეთვე, ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა: წ ა რ მ ო უ ძ ღ უ ა).

და უფროჲს შენსა ჯერ არს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ, **რომელმანცა** ბრძანა... (ხანძთ. ლ, კვ, 22).

საორიენტაციო სიტყვებია: ს მ ე ნ ა ჲ, ს ი ტ ყ უ ა თ ა, მ ი ს თ ა ჲ. ამათგან მისამართი სიტყვაა: მ ი ს თ ა ჲ: შდრ. **რომელმანცა** (შდრ., აგრეთვე, ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა: ბ რ ძ ა ნ ა).

დ) ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მიმართებით ნაცვალსახელთან შეხამებული სახელის ლექსიკური მნიშვნელობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიმართებითი ნაცვალსახელის ნათესაობით ბრუნვაში გამოვლენა დაკავშირებულია არა (დამოკიდებული წინადადების) შემასმენელთან (სხვა ბრუნვების მსგავსად), არამედ იმავე წინადადების სახელთან, რომელიც ეხამება კავშირს, resp. მართავს ბრუნვაში. ამ შეხამებული სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ერთ-ერთი მანიშნებელია მისამართი სიტყვის რომელობისა.

> და კუალად დაიპყრა ჰრომთა მეფობაჲ კაცმან ვინმე, **რომლისა** სახელი ვალის (ასურ. 14,8).

აქ საორიენტაციო სიტყვებია: მ ე ფ ო ბ ა ჲ, კ ა ც მ ა ნ. ამათგან მისამართი სიტყვაა კ ა ც მ ა ნ, რამდენადაც ამაზე მიუთითებს კავშირთან შეხამებული სახელის ლექსიკური მნიშვნელობა: ს ა ხ ე ლ ი. და მართლაც: ს ა ხ ე ლ ი შეეფერება სიტყვას — კ ა ც მ ა ნ და არა სიტყვას — მ ე ფ ო ბ ა ჲ. მაშასადამე, სავარაუდო მისამართი სიტყვების რომელობა ირკვევა ამ გზითაც.

> და ეწოდა მას მკჳდრთა მიერ მის ქუეყნისთა სახელი საბა, **რომლისა** თარგმანებაჲ არს მოხუცებული (ასურ. 4,16).

საორიენტაციო სიტყვებია: მ ა ს, მ კ ჳ დ რ თ ა, ს ა ბ ა. ამათგან მისმართი სიტყვაა ს ა ბ ა: შდრ. თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა ჲ.

> ... იხილვების ზედა საკურთხეველსა მელქიზედეკისსა, **რომლისა** შუენიერებაჲ თუალთ შეუდგამ არს (სას. პოეზია).

საორიენტაციო სიტყვებია: ს ა კ ურ თ ხ ე ვ ე ლ ს ა, მ ე ლ ქ ი ზ ე დ ე კ ი ს ს ა. ამათგან მისამართი სიტყვაა მ ე ლ ქ ი ზ ე დ ე კ ი ს ს ა: შდრ. შ უ ე ნ ი ე რ ე ბ ა ჲ.

> ტევანი ტკბილი აღმოსცენდა ცხოველს მყოფელი დღეს ქუაბსა ბეთლემისასა ვენაკისა გან სიწმიდისა, **რომლისა** გუმოჲს ხილვითა განცხოველდა ურჩებით მომწყდარი ადამ შვილითურთ მისით (სას. პოეზია).

საორიენტაციო სიტყვებია: ტ ე ვ ა ნ ი, ქ უ ა ბ ს ა, ვ ე ნ ა კ ი ს ა გ ა ნ. ამათგან მისამართი სიტყვაა ტ ე ვ ა ნ ი: შდრ. გ ე მ ო ჲ ს (ხილვითა).

ე) საორიენტაციო მისამართი სიტყვის სიახლოვე მიმართებით ნაცვალსახელთან

ძველ ქართულში მისამართი სიტყვის ადგილი (მთავარ) წინადადებაში განსაზღვრული არ არის, ე. ი. მის პოზიციას მიმართებითი ნაცვალსახელის მიმართ არ ენიჭება მნიშვნელობა. მაგრამ ძველ ქართულშივე შეიმჩნევა ტენდენცია — მისამართი სიტყვა მიუახლოვდეს კავშირს, მოექცეს იგი სხვა საორიენტაციო სიტყვის შემდეგ, და ამ გზით მისამართი სიტყვის ადგილს მიენიჭოს განმსაზღვრელი მნიშვნელობა. ეს ტენდენცია თანდათან ძლიერდება ენაში და ახალ ქართულში ეს წესი იქცევა მისამართი სიტყვის ამოცნობის ერთერთ უმთავრეს კრიტერიუმად.

გავეცნოთ ძველი ქართულიდან მაგალითებს, სადაც მისამართი სიტყვა მოქცეულია სხვა საორიენტაციო სიტყვების შემდეგ და ახლო დგას დამოკიდებულ წინადადებასთან resp. მიმართებით ნაცვალსახელთან:

> ამისთჳს ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა, **რომელმან** ინება სიტყჳსა განგებაჲ მონათა თჳსთა თანა (მათე 18,23); ხოლო წმიდაჲ იგი კაცთ-მოყუარესა მას უფალსა თჳსსა მიემსგავსა, **რომელსა-იგი** ყოველთა კაცთა ცხორებაჲ ჰნებაეს... (კიმ. 322,25); ...მისცეს დიდებაჲ ღმერთსა, **რომელმან** მისცა ესე ვ˙რი კელმწიფებაჲ კაცთა (კიმ. 319,31); ხოლო წელსა მეოთხესა ამათ საქმეთასა განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღდელთმოძღუარი გიორგი შუარტყელელი, **რომელმან** დაიპყრა საყდარი აწყურისაჲ (ზარზმ. 173,33); ...შატბერდი აღეშჱნა სალმრთოჲთა შეწევნითა და ლოცვითა ნეტარისა მის კაციսაჲთა, **რომელმანცა** შეაერთნა ორნივე იგი უდაბნონი ერთად შენაწევრებულნი და შემტკიცებულნი ძმობრივსა ზედა სიყუარულსა ვიდრე ჟამთა აღსასრულამდე (ხანძთ., კთ, კე, 23); დედამან ფებრონია შეაწყნარა წმიდასა მას უმანკოჲ იგი კრავი მწყემსსა მას კეთილსა, **რომელმანცა** მოიყუანა ხანძთად, ადგილსა მას მწუანვილსა ღმრთისა მადლისასა დაამკჳდრა... (ხანძთ. იშ, იბ, 25); და ემსგავსებოდეს მოძღუარსა კეთილსა, ვითარცა მოძღუარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა, **რომელიცა** იტყჳს... (ხანძთ. იბ, ჱ, 26); ხოლო ქრისტემან მონასა თჳსსა გრიგოლს გამოუცხადა ყოველი იგი უსამართლობაჲ, **რომელიცა** შეამთხჳეს უბრალოსა მას დედუფალსა (ხანძთ. ნშ. ნვ, 5); ვითარცა უფალმან მომცა

სიტყუაჲ, **რომელი-იგი** არს ყოველთა კეთილთა მიზეზი (ანტიოქ. 72,5).

მაგრამ შეგვეძლო მოგვეყვანა ისეთი მაგალითებიც, როდესაც მისამართი სიტყვა წინ უსწრებს სხვა საორიენტაციო სიტყვას, და, მაშასადამე, ადგილით დაშორებულია მიმართებით ნაცვალსახელთან, როგორიცაა, მაგალითად:

არამედ ადარნერსე კელმწიფესა უფროჲსი ვნებაჲ შეამთხჳა მტერმან, **რომელიცა** იყო ძმა აშოტ კურაპალატისაჲ (ხანძთ., ნშ, ნვ, 1).

აქ ობიექტი წამოწეულია პირველ ადგილზე და ალბათ ეს გამოწვეულია იმით, რომ მას დაესმის ლოგიკური მახვილი.

ახალ ქართულში, როგორც ვთქვით, მისამართი სიტყვის ადგილმდებარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ვ) მსაზღვრელ-საზღვრულთაგან მისამართი სიტყვა საზღვრულია

როდესაც (მთავარ) წინადადებაში მოცემულია მსაზღვრელ-საზღვრული, მაშინაც როდესაც მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს (ძვ. ქართულის ძირითადი ნორმა) და ამით ახლო დგას მიმართებით ნაცვალსახელთან, მისამართ სიტყვად ჩვეულებრივ ივარაუდება საზღვრული.

... და იზრახეს ზრახვაჲ ურჩულოებისაჲ, **რომელი** ვერ დაამტკიცეს (ჭ.-ეტრ. 148,2); შეკრიბა ლაშქარი ბერძენთაჲ, **რომელი-იგი** იყო იერიქოს (წარტყუენ. ია, 16); ...ლამპარი ცეცხლისაჲ, **რომელი** მყოვარ-ყამ დგა... (აბო, 75,34); ...აღიღო ანდრია სატლი ვერცხლისაჲ დიდი, **რომლითა** წყალსა ტფილსა და გრილსა აღმოასხმიდეს (კიმ. 96,4); ...მომცა ჩუენ სასუმელი ცხოვრებისაჲ, **რომლითა** დაჰკსნა პირველი განსაზღვრებული იგი პატიჟი მოკუდავებისაჲ უკუდავებისა მფლობელმან ღმერთმან (სას. პოეზია); ესე არს კრავი ღმრთისა მაღლისაჲ, **რომელმანცა** უხრწნელებაჲ მოგუანიჭა ჩუენ (სას. პოეზია); ...რამეთუ ანგელოზი იყო ღმრთისაჲ, **რომელი-იგი** სახითა არწივისაჲთა იხილე (ანტიოქ. 92,4).

ეს წესი მყარი არ არის, აქვს გამონაკლისი:

... იხილვების ზედა საკურთხეველსა მელქიზედეკისსა, **რომლისა** შუენიერებაჲ თუალთ შეუდგამ არს (სას. პოეზია).

აქ მისამართი სიტყვაა მელქიზედეკისა, რაც კარგად ჩანს მიმართებით ნაცვალსახელთან შეხამებული სიტყვის (შუენიერებად) ლექსიკური მნიშვნელობიდან.

ან კიდევ:

...შეამკვე შუენიერად კრებული მონაზონთად, რომელთაცა შორის ჰბრწყინავ, ნეტარო (იქვე).

მისამართი სიტყვაა მონაზონთად, რაც ნათელია მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვის მიხედვით (რომელთაცა).

ზ) მისამართი სიტყვა შერწყმულ წინადადებაში

როდესაც მთავარი წინადადება შერწყმულ წინადადებას წარმოადგენს, მისამართი სიტყვაა ერთნაირ წევრთაგან ის სიტყვა, რომელიც უფრო ახლოა დამოკიდებულ წინადადებასთან resp. მიმართებით ნაცვალსახელთან:

... მომცა ჩუენ ქალაქი იგი დიდი ქრისტეანეთად იერუსალჱმი და ჯუარი იგი მათი, რომელსა ესვენ და თაყუანის-სცემენ (წარტყუენ.); ...მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მის ოანა (ხანძთ. იზ, იბ, 10).

თ) კორელაცია

მისამართი სიტყვის ამოსაცნობად დიდი მნიშვნელობა აქვს კორელაციას: საორიენტაციო სიტყვათაგან ისაა მისამართი სიტყვა, რომელსაც ახლავს კორელატი ანუ მიმართებითი ნაცვალსახელის ფარდი სიტყვა მთავარ წინადადებაში. ეს წესი არსებითია ახალი ქართულისათვის (ნიმუშები დასახელებულია თავში: „კორელაციის სისტემა“).

ამრიგად: მიმართებითი ნაცვალსახელის ურთიერთობა (მთავარი წინადადების) მისამართ სიტყვასთან გარკვეული ფორმალური ნიშნებით გამოიხატება. ამ ნიშნებს სადიფერენციაციო ღირებულება აქვთ იმ შემთხვევაში, როდესაც მთავარ წინადადებაში ერთზე მეტი სავარაუდო მისამართი სიტყვაა, რომელთაც ჩვენ საორიენტაციო მისამართ სიტყვებს ვეძახით. ეს ნიშნებია: 1. ზმნის resp. დამოკიდებული წინადადების შე-

მასმენლის პირის რომელობა, 2. ზმნის, ე. ი. დამოკიდებული წინადადების შემასმენლის ლექსიკური მნიშვნელობა, 3. მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვი, 4. ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მიმართებით ნაცვალსახელთან შეხამებული სახელის ლექსიკური მნიშვნელობა, 5. საორიენტაციო მისამართი სიტყვის სიახლოვე მიმართებით ნაცვალსახელთან, 6. მსაზღვრელ-საზღვრულთაგან უმთავრესად საზღვრულის მიჩნევა მისამართ სიტყვად, 7. შერწყმულ წინადადებაში რამდენიმე ერთნაირ წევრთაგან მიმართებით ნაცვალსახელთან უფრო ახლო მდგომის მიჩნევა მისამართ სიტყვად და 8. კორელაცია.

ცალკეულ შემთხვევებში ზოგჯერ თავს იყრის რამდენიმე ნიშანი. ზოგჯერ კი ერთ-ერთი მათგანია მისამართი სიტყვის განმსაზღვრელი საშუალება.

5. **რომელ**-ის შეთანხმება რიცხვში მისამართ სიტყვასთან

მიმართებითი ნაცვალსახელი **რომელ**, თუ იგი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, არ ეთანხმება რიცხვში მისამართ სიტყვას, როგორც ეს აღნიშნულია ზემოთ, სათანადო ადგილას. მაგრამ ბრუნვებში გამოვლენილი **რომელ**, როგორც წესი, ეთანხმება რიცხვში მისამართ სიტყვას; მრავლობითი რიცხვი მისამართი სიტყვისა აღბეჭდილია მიმართებით ნაცვალსახელზე:

> რამეთუ არიან საჭურისნი, **რომელნი** მუცლითგან დედისა თჳსისაჲთ საჭურისნი იშვნეს (მათე 19,12); და მწიგნობარნი იგი, **რომელნი** იერუსალჵმით შთასრულ იყვნეს, იტყოდეს... (მარკოზ 3,22); ... და მისცეს მათ ცოლები, **რომელნი** იყვნეს... (მსაჯულ. 21,14); და იყვნეს ქალაქსა შინა ჰალაბისსა კაცნი მრავალნი, **რომელთა** ქრისტიანე ეწოდა (ასურ. 11,19); ხ~ აწ მიგითხრნე სასწაულნი იგი, **რომელნი** მაღლმან ღმრთისამან აჩუენნა კელითა წმიდისა საბაჲსითა ჟამსა მას (ასურ. 14,20); ... არიან იგინი, ვითარცა ცხოვარნი, **რომელთა-იგი** არა აქუნ მწყემსი... (წარტყუენ. კგ. 9); ხოლო ბოროტნი იგი სპარსნი, **რომელთა** არა აქუნდა... წყალობაჲ, რბიოდეს... (წარტყუენ. ივ. 26); მოვიდეს ვინმე კაცნი კაპადუკიაჲთ, **რომელთა** აქუნდეს მრავალფერი სენი... (ქიმ. 309,35); და იხილნა საკვირველებანი დიდნი, **რომელთა** იქმოდა ღმერთი კელითა წმიდისა პეტრჵსითა (არიმათ 56,67); და გამოქანდაკნა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდდიდთა, **რომელნი-იგი** იხილვებიან ვიდრე დღენდე-

ლად-დღემდე (ზარზმ. 160,21); ...მოვიდეს ვინმე კაცნი უკეთურნი, **რომელნი** გუეტყოდეს... (ზარზმ. 161,15); მომცენ ძმანი ჩემი, **რომელნიცა** მოიწინეს შენდა (ხანძთ. კგ, კ, 28); ... არსენი და ეფრემ, მოწაფენი და აღზრდილნი გრიგოლისნი, მოვიკსენნეთ, **რომელნიცა** სათნო იყვნა ნებამან ღმრთისამან მწყემსთ-მთავრად სამწყსოთა მათ თჳსთა პირმეტყუელთა (ხანძთ. მე, მბ, 1); ჩვენ კავგზავნეთ მენავენი, **რომელთაცა** კვლა უვლია (რუსთ. 638,1); ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, **რომელნი** ეურჩებიან (რუსთ. 347,3); იგი მე მომცენ რიდენი, **რომელნი** წეღან გშვენოდეს (რუსთ. 496,1); ვა წახდეს შუქნი, **რომელნი** მზისაებრ ველთა ჰფენოდეს (რუსთ. 1212,4); ჩვენი ლაშქარნი, **რომელნი** წამომეტანნეს მე არა... (რუსთ. 450,1).

ამ ძირითადი ნორმის გვერდით აღსანიშნავია შემდეგი ურთიერთობა კავშირსა და მისამართ სიტყვას შორის რიცხვში:

1. შესაძლოა მისამართ სიტყვას არ ეთანხმებოდეს რიცხვში მიმართებითი ნაცვალსახელი (მეტად იშვიათად):

წინაჲსწარმეტყუელთა კმანი, **რომელსა** ქადაგებდეს დღეს, შეიყვნეს და შეირწუნეს იორდანესა ზედა (სას. პოეზია).

2. -ებ-იან მრავლობითში მდგომ მისამართ სიტყვას არ ეთანხმება მიმართ. ნაცვალსახელი:

ზედა მოუკდეს მას კუერთხებითა და ქვებითა, **რომელი** აქუნდა მათ (კიმ. 106,9); და დაუტევეს... სხუაჲცა ნავები, **რომელი** იყო მის თანა (მარკოზ 4,36); ... შეჰმუსრე თავები ვეშაპისაჲ, **რომელი** დიდებულ არს (სასულიერო პოეზია); ... იმგვარის წერილებით, **რომელიც** შენიცი (დოკუმენტ. თაყაიშვ. 115,7); ...მოვახსენე ის სიტყვები, **რომელიც** შენ მოგეწერა (იქვე, 70,5).

ძველ ქართულში არის მაგალითები, როდესაც შეთანხმება სრულია:

მოწყჳდა ყოველი ყრმები, **რომელნი** იყვნეს ბეთლემს (მათე 2.16=C); აღასრულა სასწაულები, **რომელთა** არა არს რიცხუ (კიმ. 298,30); იწყეს ... აღმართებად კერპებისა, **რომელნიცა** იქმნნეს... (კიმ. 51,28).

3. ზოგჯერ მხოლ. რ. მოქმედებით ბრუნვაში დასმული მიმართებითი ნაცვალსახელი შეეხამება ნარ-თანიან მრავლ. მდგომ მისამართ სიტყვას:

ფსალმუნნი დაისწავლნა, **რომლითა-იგი** დღჱ და ღამჱ ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოჲსა მას გალობასა შეს-

წირვიდა ცრემლით (შუშან. 35, XII, 3); შერცხუენილ იყავნ ძალი ზრახვათა მისთაჲ. **რომლითა** აზრზენს კაცთა და მოუვლენს გულის-სიტყუათა ბოროტთა (კიმ. 225,11); ...განახლებითა ემბაზითა მით განმაცხოველებელითა იორდანისა წყალთაჲთა, **რომლითა** განიბანა განმწმედელი ყოველთაჲ პირველ საუკუნეთა ღმერთი მაღალი... (სას. პოეზია, სიბ. 12).

4. თუ მისამართი სიტყვა კრებითი სიტყვაა, ზოგჯერ მიმართებითი ნაცვალსახელი მრავლ. რიცხვში გვეელინება.

იხილეს... სიმრავლე სპარსთა ლაშქრისაჲ, **რომელთა** დაებანაკა... (წარტყუენ. იე, 10); და მოუკდა მას ერი მრავალი, **რომელთა** ჰყვანდა მათ თანა მკელობრები, ბრმები, ყრუნი... (მათე 15,30); შდრ.: ხოლო ერი იგი, **რომელი** წინაუძღოდა და **რომელი** უკუანა შეუდგეს, ღაღადებდეს და იტყოდეს... (მათე 21,9:EC.D-შია: **რომელნი**).

მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვას შორის რიცხვში შეთანხმება სავალდებულოა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მიხედვითაც.

აღსანიშნავია, რომ ნამეტურ მე-19 საუკუნის ენაში მიმართებითი ნაცვალსახელი რჩეობს, ნარ-თანიან მრავლობითში იყოს წარმოდგენილი, მაშინ როდესაც მისამართი სიტყვა შესაძლოა -ებ-იან მრავლობითში გვეელინებოდეს.

იგულისხმება ამ ტიპის ფაქტები:

იგონებდა... ტოლ-ამხანაგებს, **რომელნიც** გავიდნენ ამ სოფლიდგან (ვაჟა 119); ველ-ბუჩქებიდან მინდორს გარს შემორტყმოდა ტყიანი მთები, **რომელნიც** აქა-იქ მთიულებს გაეჩეხათ... (ყაზბ. 14); ამ სიტყვების შემდეგ გამოიწვიეს მოწმეები, **რომელთაც** ჩამოართვეს ჩვენება (ყაზბ. 54).

შესაძლოა მისამართი სიტყვა ძველი მრავლობითის ნიშნით იყოს წარმოდგენილი:

... მყიდველ-გამყიდველნი, **რომელნიც** სუნით დაეძებდნენ საქონელს (ვაჟა); არიან სხვანიც..., **რომელნიც** ზრუნვენ (მაჩაბ.).

შეთანხმების კანონი ვრცელდება იმ შემთხვევებზედაც, როცა მისამართი სიტყვა კრებითი მნიშვნელობის სიტყვაა, და მიმართებითი ნაცვალსახელიც მას ეთანხმება მხოლ. რიცხვში.

ნიმუშები ყაზბეგისა და ვაჟას ენიდან:

ეს ხმები უფრო ამღელვარებდა ხალხს, **რომელიც** დაჩვეული იყო საქვეყნო საქმის ერთის დაკითხვით გადაწყვეტას

(ყაზბ. 46); შემორტყმია გარშემო აუარებელი ხალხი, რომელიც სულგანაბული შესჩერებია მას (ვაჟა 188).

მაგრამ ეს წესი აბსოლუტური არ არის, — იგულისხმება ამგვარი მაგალითები:

ამ ლაპარაკში მოახლოვდა გორას გაგი თავის ხალხით, რომელთაც გარდაწყვიტეს... (ყაზბ. 22); მაგრამ რა შეეძლო იმას იმდენ ბედის მძებნელ ხალხთან, რომელთაც ხელი აეღოთ სინიდისზე... (ყაზბ. 46); (ნინიკა) ალერსით გაყურებდა თავის საჭონელს, რომელნიც დამაძღარ-ფერდებ-ამოღებულნი იქვე ახლო დაბლა ვაკეზე დაყრილიყვნენ (ერისთავ-ხოშტარია).

ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვშია მიმართებითი ნაცვალსახელი მაშინაც, თუ მისამართი სიტყვა მხოლ. რიცხვშია და მსაზღვრელად მოუდის რაოდენობის გამომხატველი სიტყვა.

დავიმოწმოთ ორიოდე მაგალითი ყაზბეგის ენიდან:

ცოტა სიარულის შემდეგ ისინი შეხვდნენ სამს შეკაზმულს ცხენს, რომელნიც დამშვიდებული ფრუტუნით სძოვდნენ ბალახს (21); ...იმის საკითხავად ორი კაცი გაგზავნეს, რომელთაც მოუტანეს შემდეგი პასუხი (54); ... სამი მსხვერპლი დაეცა დედამიწაზედ, რომელთაც სისხლი თქრიალით გასდიოდათ იარებიდან (23); ამ სიტყვებზე შემოვიდა ორი დეკანოზი, რომელთაგანაც ერთს ეჭირა ხელში მერდინის დროშა... (54); ... ის იყო დამსწრე ორი მთიულის მათრახებით მოკვლისა, რომლებსაც ყაზახებმა უწყალოდ სცემეს გზის კეთებაში (19); ამ უკანასკნელ სიტყვებზედ კიდევ რამდენიმე მთიული შემოვიდა, რომელნიც ავადმყოფის სანახავად მოსულიყვნენ (45).

6. თანდებულდართული რომელ

რომელ-ს ერთვის სხვადასხვა თანდებული: გან, თვის, ზედა, შინა, თანა, გამო, მიერ, მიმართ.

თანდებულიანი მიმართებითი ნაცვალსახელები სხვადასხვა სემანტიკას ამჟღავნებენ: ლოკალობას, კაუზალობას, ინსტრუმენტალობას, დანიშნულებას... და თუ ისინი შესატყვისი ტიპის კავშირებთან არ გავაერთიანეთ (ლოკალობის, კაუზალობის... კავშირებთან), ეს იმიტომ, რომ თავისი ბუნებით ასეთი კავშირ-სიტყვები რელაციის ხასიათისანია (მთავარი წინადადების ერთ გარკვეულ წევრს განსაზღვრავენ ანდა მთელ წინადადებას). ამდენად, მთავ. წინადადების

გარკვეულ წევრთან (ანდა წინადადებასთან) დაკავშირებული თანდებულიანი მიმართებითი ნაცვალსახელი ენათესავება სემანტიკურად სხვადასხვა ტიპოლოგიის კავშირებს იმ მხრივ, რომ ისინი მიუთითებენ ერთსა და იმავე კატეგორიებზე (კაუზალობისა, ლოკალობისა თუ სხვათა), მაგრამ ეთიშება მათ იმ მხრივ, რომ სხვადასხვაგვარია ამ კავშირ-სიტყვათა მიმართება მთავარ წინადადებასთან. ამ შემთხვევაში კლასიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეორე მომენტს — მიმართების მომენტს.

-გან თანდებულიანი რომელ

-გან თანდებული მართავს **რომელ**-ს ნათესაობით ბრუნვაში და მას სხვადასხვა ფუნქცია აქვს:

ა) ჩვეულებრივია აბლატივის ფუნქციით; მთავარ წინადადებაში მისამართ სიტყვად ადგილის აღმნიშვნელი სიტყვა (ადგილის გარემოება) მოუდის ჩვეულებრივ (სავალდებულო არ არის):

> ... წმიდისა ქალაქისა, **რომლისა-გან** ტყუე იქმნეს შვილნი მისნი... (წარტყუენ. ნვ, 14); და შეიყვანეს იგი სიონად ბჭისა მის-გან, **რომლისა-გან** შევიდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე... (წარტყუენ. კვ, 5); მაშინ განვიდა ნეტარი ესე მწყემსი ერით-ურთ ბჭესა მას,... **რომლისა-განცა** შემოვიდა მაცხოვარი ვნებად (წარტყუენ. კზ, 5); ... იხილეს ... ღრუბელი ნათლისაჲ ზრქელი ფრიად და ბრწყინვალე, **რომლისა-გან** გამოვიდოდა, ვითარცა ორთქლი... (ანტიოქ. 111,26); ... მნათობთა სოფლისათა, წყაროთა სამარადისოთა, **რომელთაგან** აღმოგუიცენდების... თმანი ღრუბლად აუჩნდეს, **რომლისაგან** წუიმა მუშკისა გამოვიდოდა... (ვისრ. 189,15); შამილა მოსულა ჭოხთან ჯარითა, **რომლისაგანაც** ერთი ნაწილით ცხენოსანის ჯარითა გაუგზავნია სალტის ნაიბი (ორბელ. წერილ. 13,62).

ბ) ფართო გამოყენება აქვს -გან თანდებულიან **რომელ**-ს „ჩამდენობის“ ფუნქციით; იგი მოქმედების ჩამდენობის გამომხატველია. მთავარ წინადადებაში მისამართი სიტყვა სულიერი საგნის აღმნიშვნელია:

> ხოლო ვაჲ არს მის კაცისა, **რომლისაგან** ძეს კაცისაჲ მიეცემის (მარკოზ 14,21); ხოლო ვაჲ მის კაცისაჲ, **რომლისაგან** მოვიდეს საცთური იგი (მათე 18,7); ... მოვალს დღეს ნათლის ღებად სიმდაბლით იორდანეს. **რომლისაგან** შიშით ძრწიან უსხეულო-

ნი ზეცისანი (სას. პოეზია); ...ითხოვდა ეშმაკისა მის-თჳს, **რომლისა-გან** იგუემებოდა აბანოთა შინა განწმედასა (კიმ. 265,29); ... პოოს დედაკაცი იგი უცალოებასა რასმე შინა, **რომლისა-გან** მიჰვიწყდეს სახელი წმიდისაჲ მის ... (ანტიოქ. 122,10): ... ტომნი დიდის ეფრემ მაწყუერელ ეპისკოპოსისნი. **რომელთა-გან** მოწერილ იყო ესჳ ეპისტოლჳ ... (ხანძთ., ჲგ. ჲბ, 5); არამედ აკურთხენ ქრისტემან ამონა სიბრძნით სრულიად მაშჳნებელი და შემწენი ყოველნი, **რომელთაგან** კეთილად განემარჯუებოდა შჳნებაჲ ეკლესიისაჲ მის (ხანძთ. ლგ. კჳ, 25); ...კურთხეულმცაა უკუნისამდი გუარი შენი და მშობელნი შენი, **რომლისაგან** შენებრი გამოვა (ვისრ. 84,13).

ახალ ქართულში გაბატონებულია -ც თანდებულიანი ფორმა:

შემდეგ დაიბარეს მზაღვე, როგორც ერთი უმთავრესი მოწმე, **რომლისაგანაც** გაგება უნდოდათ — ძალით იყო გატაცებული თუ თავის საქმროს ნებით გაჰყვა (ყაზბ. 54).

გ) ზოგჯერ **რომლისაგან**-ს ინსტრუმენტალისის მნიშვნელობა აქვს:

და იხილა კლდესა მას ზედა ფერჯთა ქუეშე უფლისათა მზე ბრწყინვალე, **რომლისა-გან** დიდებულ იყო მთაჲ იგი (კიმ. 247,21); და სიყმილი ძლიერი მოიწევის ძმათა მათ ზედა და განსაცდელი, **რომლისა-გან** შეემთხუევის სივლტოლაჲ გინა სიკუდილი (კიმ. 274,8); სალამსა მოაკსენებს მას ვარდსა მოცინარესა, **რომლისა-გან** მე ნიადაგ მტირალი და თუალცრემლიანი ვარ (ვისრ. 226,23); არ იცნობ მისსა გუნება-საკუირველობასა, **რომლისა-გან** თუით იგივე მიწყით იშირვის (ვისრ. 58,28); ვაი ეგზომი გულწყლულობა ჩემი, **რომლისაგან** ულხინო და უნაყოფო დავრჩი (ვისრ. 196,15); ...ლხინად ვლი სჯათა, **რომლისაგან** ვსჩანთ ნათელღებულად (თაბარიანი XII, 55).

დ) ზოგჯერ კაუზალობის შინაარსს გამოხატავს:

და სთნდა ჰეროდეს როკვაჲ იგი მისი, **რომლისაგან** ფიცით აღუთქუა მას მიცემად, რაჲცა სთხოვოს (მათე 14, 6-7: C. შდრ. DE: ... **რომლისათჳს** ფიცით აღუთქუა მას მიცემად...): ვგოდებ და ვსტირ საქმისა ამის-თჳს, **რომლისაგან** მიახლებულ ვიქმენ მე დაცემასა... (კიმ. 233,26); ხოლო მართალნი მათ თჳს იგლოვდენ, რამეთუ არს უბიწოთაცა შეძრწუნება ზარი შენი, **რომლისაგან** მე ვძრწი... (ხანძთ. ი, ზ, 10).

ე) როდესაც მთავარ წინადადებაში მისამართი სიტყვა მრავლობით რიცხვშია, მასთან შეხამებული **-გან** თანდებულიანი მიმართები-

თრ ნაცვალსახელი, მრავლობითშივე დასმული, ერთზე მიუთითებს (: **რომელთაგან**):

და მოსრნა ყოველნი ოვსნი და ლეკნი, **რომელთაგან** მცირედნი დაურჩეს (ანას. ჭ. ცხ. 29,7); სალამსა მოაკსენებს მათ ნარგისთა, **რომელთაგან** მიწყით ძილ-მკრთალი ვარ (ვისრ. 226,18).

თანა თანდებული რომელ

თანა თანდებული ძველ ქართულში **რომელ**-ს ნათესაობით ბრუნვაში მართავს. ფუნქცია: ლოკალობა.

მეყსეულად მოჰეგებოდა მას საფლავებისა კაცი, **რომლისა თანა** ჰიყო არა წმიდაჲ სული (ჰაემ.: მარკოზ. 5,2); ვიყავ მე, ვითარცა კაცი უსმი, **რომლისა თანა** არა არს პირსა მისსა სიტყუაჲ (აბო 70,30); ხოლო წმიდაჲ იგი, **რომლისა თანა** დამკჳდრებულ იყო ქრისტე... (კიმ. 254,30); მოვიდა წმიდისა მის ქალი ერთი, **რომლისა თანა** იყო სალმობაჲ ბოროტი ეშმაკისა აღძრვითა ... (კიმ. 313,13); და იყო ვინმე სხუაჲ კაცი, **რომლისა თანა** იყუნეს სამნი ეშმაკნი, ფრიად ბოროტნი (კიმ. 153,24); და მოიყვანა მან დედაკაცი სიძვისაჲ ციხესა მას შინა, **რომლისა თანა** იმრუშებდა (ხანძთ. ნუ, ნე, 4).

ახალ ქართულში პარალელურად **თანა** მიცემით ბრუნვაში მართავს **რომელ**-ს და დაირთავს -ც ნაწილაკს:

გაგიმ მაშინვე იცნო მახამეთა, **რომელთანაც** არა ერთხელ ჰქონია ამგვარი ვაჭრობა (ყაზბ. 5).

შინა თანდებული რომელ

შინა თანდებული მართავს **რომელ**-ს მიცემით ბრუნვაში. ფუნქცია: ლოკალობა.

და ვითარცა განკსნეს მანდილი, **რომელსა შინა** გამოკრულ იქმნა ... (ზარზმ. 180,6); ... და აქუნდა ბრძანებაჲ მეფისაჲ, **რომელსა შინა** ესრეთ წერილ იყო... (კიმ. 82,19); ხოლო მან ასწავა მათ სიტყუაჲ ცხორებისაჲ, **რომელსა შინა** იყო კსნაჲ მათი (კიმ. 309,30); ...ვიყავ რაჲ საპყრობილესა შინა ადგილსა, **რომელსა შინა** ვიყავ... (არიმათ.); მკურვალე სურვილი აღძრულ არს ჩემ შორის თაყუანისცემისათჳს წმიდათა მათ ადგილთაჲსა, **რომელთა შინა** უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან ცხოველსმყოფელნი ენებანი თავს-ისხნა (ანტიოქ. 53,31); და წარვიდა იერუსალემს და მოიღოცნა წმიდანი იგი და თაყუანის-საცემელნი ადგილნი, **რომელთა შინა** უფალი ჩუენი იესუ ქრისტე

კორციელად გამოჩნდა (ანტიოქ. 93,2); ...უფალი ჩუენ თანა ხარ, განმმზადებელი ჩუენ თჳს ადგილსა ამას კეთილსა განსასუენებელსა ნებისა შენისასა, **რომელსა შინა** მარადის ვედრებასა შევსწირავთ... (ხანძთ. ი. ზ, 2); არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირიცხების, **რომელსაცა შინა** ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების (ხანძთ. მთ, მგ. 5).

მაგალითებიდან ჩანს, რომ გვხვდება როგორც უნაწილაკო (ჩვეულებრივ) ფორმები (**რომელსა შინა**), ისე ნაწილაკიანიც: **-ცა** ნაწილაკი ერთვის უშუალოდ მიმართებით ნაცვალსახელს, რომელსაც მოსდევს თანდებული: **რომელსაცა შინა**.

ახალ ქართულში თანდათან ბატონდება ნაწილაკდართული **-ში** თანდებულიანი **რომელ: რომელშიაც || რომელშიც**.

მაგალითები:

სწორედ იმ ხელზე დამაჯდა, **რომელშიაც** კურდღლის ტყავი მეჭირა (ვაჟა 32); მიაღწევს საპყრობილეს, **რომელშიაც** შეაგდეს (ყაზბ. 35); შევიდა სახლში, **რომელშიც** ბორკილებგაყრილი გლახუა ეგულვებოდა.

ზედა თანდებულიანი რომელ

ზედა თანდებული მართავს **რომელ**-ს მიცემით ბრუნვაში. ფუნქცია: ლოკალობა.

კაცებად პირველ ხისაგან დაცემული აწ აღსდგა ძელისა მის აღმართებითა, **რომელსა ზედა** ივნო მკსნელმან ჯორცითა... (სას. პოეზია, ივ, 38); და უჩუენეს ადგილი, **რომელსა ზედა** იხილვნეს ნიშნი იგი ბრძანებისაებრ დიდისა მიქელისა (ზარზმ. 172,5); ჴ სანატრელისა ცხედრისა, **რომელსა ზედა** აბრაჰამს ინაკუდგამს, **რომელსა ზედა** ისაკი შეიწირვის, **რომელსა ზედა** იაკობი განდიდნების, ...**რომელსა ზედა** აჰრონ ლოცვის შემწირველ (იპოლიტე, ჲგ, 2); იხილენით პირად პირადნი ცხედარნი, **რომელსა ზედა** სამეოცნი ძალნი გამოჩინებულ (იქვე, ჲნ, 70); შემდგომად მისსა აღმაროეს სუეტი იგი, **რომელსა ზედა** უძლიერესი სიმკნე და უფიცხელესი შრომაჲ აჩუენა წმიდამან მ[ა]ნ... (ციმ. 266,11); ... ხოლო ჩუენ საიდუმლოჲ მზისა მის სიმართლისა, **რომელსა ზედა** ბოროტი ესე ყოველი მოიწია (წარტყუენ. დ, 14); და ესრეთ გალობითა და ლოცვითა აღიყვანეს მას ზედა ტიმოთე, **რომელსა ზედა** იღუაწა ვიდრე სიბერედმდე (ანტიოქ. 68,35).

საშუალო ქართულში არის რომელზედაც, რომელიც ახალ ქართულში ბატონდება.

მაგალითები;

რომელზედაც გინახივარ, მასვე საქმეთა ზედა ვსდგევარო (ქილილ. 190); სწორედ იმ ხის ძირას ვაიხარეს, **რომელზედაც** კოდალა და მისი მეგობარი განისვენებდნენ (ვაჟა 209); ბოლოს მიიტანა ქალი იქვე ტახტთან, **რომელზედაც** დასვა. (ყაზბ. 34).

თვის თანდებულიანი რომელ

ძველ ქართულში გვხვდება -თვის თანდებულიანი ფორმა: **რომლისთჳსცა**; საშუალო ქართულში ვადასტურებთ როგორც ნაწილაკიან ფორმას, ისე უნაწილაკოს: ახალ ქართულში გაბატონებულია **რომლის(ა)თვისაც.**

მაგალითები:

...და ფრიად ძლით შეეედით მას შინა, ვინაჲცა სიკჳშოჲსა მისგან მყოვარეამ ვერღარა ვიხილეთ ცაჲ ანუ მზისა შარავანდედი, **რომლისათჳსცა** ჭირით და შრომით დაყოვნებულნი... აღვედით თავსა მის კევისასა (ზარზმ. 159,31); ...„მიმადლებულო" უცხოჲ არს, უფროჲსღა რომელთა-იგი აღთქუმაჲ აქუს ღმრთისმსახურებით ცხონებისაჲ ქებულად, **რომლისათჳსცა** ფიცხლითა პირითა, რისხულითა თუალთა მცირედ მივხედნე... (მრავალთ. 256,5); და უწოდა სახელი აკოვნისა მის მამისა თჳსისაჲ, **რომლისათჳსცა** ყუავილი უკუდავთა ნაწილისაჲ აღმოგუეყუავლა (შარავანდ. 96,35); მიჩვენეთ იგი მკეცი, **რომლისათვის** მოსრულვარ (ამირან. 108,12): რა უქმნია შენთუის საწუთროსა ესეთი, **რომლისათუის** ეგზომი ტირილი გინდეს? (ვისრ. 45,28); ვერხვს ერთი დარდი აქვს კიდევ, **რომლისათვისაც** თავი ვერ დაუღწევია... (ვაჟა 39); ...ისინი იცნობენ სიმონს მთის ცაცად, **რომლისთვისაც** თავისუფლება ყველაზედ უმაღლესი ჯილდო არის (ყაზბ. 38).

მიერ თანდებულიანი რომელ

მიერ თანდებული მართავს **რომელ**-ს ნათესაობით ბრუნვაში. ფუნქცია: ა) „ჩამდენობა", ბ) ლოკალობა: აბლატივის შინაარსი.

ა

ხოლო წმიდამან მან განაჩინნა წესნი და კანონნი საეკლესიონი, **რომლისა მიერ** ირწყუებოდეს საღმრთოჲთა მადლითა (ზარზმ.

167,32); ...ესმაკი ეგე, **რომლისა მიერ** ზრახევდ, იგი საჩინო არს... (კიმ. 273,27); კნინ არს და უნდოდ სიწმინდის-მოყუარისა მის იოსების-თჳს თქმული უწყებად, **რომლისა მიერ** იქმნა სამკჳდრებელ ღმრთისად (ანტიოქ. 71,12); ...აღესრულებიან სამეოც ჯერ ათასეულნი იგი ცხელარსა მას ზედა განსუენებულნი, **რომელთა მიერ** სიტკჳად იგი მიფენილ (იპოლიტე, ად, 92); ...და გონიერ ჰყოფს ჩჩკლთა, **რომელთა მიერ** დაემტკიცოს ქებად ქრისტჱსი (ხანძთ. კვ, კგ. 32); ...დაჰკსენ ძლიერებად უცეთურისა მტერისად, **რომლისა მიერ** მიჴსნენ ჩუენ (ჴ.-ეტრ. 159,2).

ამ ფუნქციით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, -**გან** თანდებულიანი **რომელ-იც (რომლისა გან) გვხვდება. რომლისაგან-ისა და რომლისა მიერ-ის** თანაბარფუნქციურობა კარგად ჩანს ამ დაპირისპირებიდან:

მთ. 26,24: C:

ვად მას კაცსა, **რომლისაგან** ძე კაცისად მიეცემის.

შდრ. DE:

ვად კაცისა მის, **რომლისა მიერ** ძჱ კაცისად მიეცემის.

ბ

...და აღვაღე საფლავსა მისსა, **რომლისა მიერ** გამოვიდა სული სულნელებისად მიუწდომელი (ზარზმ. 181,1); განეღო ლახურითა.. უხრწნელი გუერდი შენი, მაცხოვარ, **რომლისა მიერ** სისხლისა შენისა დათხევითა გუირგუინოსან იქმნეს მოციქულნი... (ჴ. -ეტრ. 246 V, 6); კეთილად მობუედ, ჳ შვილო, ვითარ არს შამად ალექსანდრიელთა პონტატრისად, **რომლისა მიერ** ჩუენდა მოიწიე (ანტიოქ. 95,9).

დავასახელოთ ერთი მაგალითი -**მდე** თანდებულიანი ფორმისა (მიმართ. ნაცვალსახელი ვითარებითშია):

...იწყო იესუ ყოფად და სწავლად, ვიდრე დღედ, **რომელადმდე** ამცნებდა მოციქულთა სულითა წმიდითა... (საქმე მოციქ. 1,1-2; შდრ. გ. რედ.: **რომლადმდე**).

B

რომე—რომ

გამარტივებული **რომელ**: **რომე—რომ** საშუალო და ახალ სალიტერატურო ქართულში იხმარება, როგორც განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების კავშირი.

რომე-ს ვადასტურებთ საშუალო ქართულში:

აქა მოგვესმის ა მ ბ ა ვ ი, შენ **რომე** დაუწვაკ ალთა (რუსთ.

637,3); ვცანო ამბავი, შენ რომე გეამებოდა (რუსთ. 1337,3); ამაზედა შეგვექნა სიხარული და ისი კაცი ჰარმაგოსანი, რომე თქვენ წინა მოგეგება, ამისთვის გამოვგზავნეთ... (ამირან. 75,20); ...მივმართე ტყესა, რომე არა ავი ალაგი იყო (პროზ. შაჰნ. 385); იგი გამორჩეული მეომარი რა იქნა, რომე რაზმთა შუა იარებოდა... (პროზ. შაჰნ. 434); ...ისი ბადე, რომე დაეგო გულსა შინა, მოშალა... (პროზ. შაჰნ. 399); შენ მის ყურდგელის ამბავი არ გასმიაო, რომე მელის დაჭერას ეცადა (ქილილ. 110); ვნახე ედემს ალვა რგული რომე მზეებრ შუქსა შუქდა (არჩ.).

ცხადია, როცა მისამართი სიტყვა მრავლობით რიცხვშია, ეს არ აღიბეჭდება კავშირზე.

იგი მტერნი გამილომდეს, აქამდისცა რომე ვითხენ (რუსთ. 596,3); ქურდნი ვნახენ, რომე თქვენთვის სიტყვა რამე გაემცვახა (რუსთ. 291,2); ვნახე ინდონი..., რომე სჩნდეს ზანგანი ალაღებულად (თამარიანი XII, 12); ...იგი სავნი კაცნი, რომე ლომთა ზედა სხდეს, მკვდარნი იყვნეს (ამირან. 24,6).

რომ — განსაზღვრების ფუნქციით — ძალიან იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს განახლების ხანის სალიტერატურო ენაში, როგორიცაა, მაგალითად:

მას საჰურპილე გამოუჩნდა, აქანამდის რომ ეძება (შაჰნ. 3204,2); პირველადვე რომ ენახა, იგ სიზმარი მოეგონა (შაჰნ. 3070,4); მერმე ადგა უფროსი კარდინალი, დეკანოზს რომ უძახდენ (საბა, მოგზ. 34).

არსებითად დამახასიათებელია ახალი სალიტერატურო ენისათვის.

ან ზოგიერთი მაგალითიც:

ეს ორი ოჯახი იყო, რომ მამხნევებდა (აკაკი 466); ამბიონზე შემდგარიყო ნეცლიუდოვი, მერე რომ სენატის პროკურორად და მინისტრის ამხანაგად იყო (აკაკი 460); იქნება ეს ის მელა არ იყო, ჩემს დიასახლისებს რომ იტაცებდაო (ვაჟა 205); ეს ვინღა ოხერი მოთრეულა, რომ ჩვენს ბინას გვეცილებაო (ვაჟა 130); ...აგერ ზევით ფარეხთან დაჰრილი, ხულთამებრძოლი რომ წევს (ვაჟა 99); ერთი ხე აღარ არის, რომ მაგის ნაჩიჩქნი და ნაჯიჯგნი არ იყოს (ვაჟა 215).

რომ შეესაბამება მისამართი სიტყვის მრავლობით რიცხვსაც: ვერხვს უყვარს ყვავილები, იმის ჩრდილის ქვეშ, მის ახლო-მახლო რომ იშლებიან და იზრდებიან (ვაჟა 39).

ჩვენ ვხედავთ, რომ რომ-ისათვის ინვერსია ნიშანდობლივია. შდრ.:

ერთი ხე აღარ არის, რომ მავის ნაჩიჩქნი და ნაჯიჯგნი არ იყოს||ერთი ხე აღარ არის, მაგის ნაჩიჩქნი და ნაჯიჯგნი რომ არ იყოს.

ორიენ პოზიცია რომ საკავშირებელი ერთეულისა ბუნებრივია თანამედროვე ენის თვალსაზრისით.

ახალ ქართულში ამგვარ კონსტრუქციაში შესაძლოა როდესაც კავშირმა წამოყოს თავი. იგულისხმება ამ ტიპის ფაქტები: „არის ხოლმე ისეთი წამები, რომელსაც სიტყვას ადგილი აღარ აქვს კაცის მწუხარებაში“ (ყაზბეგი).

რაცა—რაც

საშუალო ქართულში იშვიათად ახალ სალიტერატურო ენაშიც, რომელიც წევრ-კავშირის გვერდით, მისი ფუნქციით, ვადასტურებთ რაცა — რაც საკავშირებელ სიტყვას.

დავიმოწმოთ ზოგიერთი მაგალითი:

ღმერთსა შეესმა ნაკადი, რაცა თქვენ თვალთა ცდენია (რუსთ. 1055,2); დავბოცეთ მხეცი, მფრინველი, რაცა ზე გარდაგვფრენია (რუსთ. 203,4); რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია! (რუსთ. 36,3); თვალ-მარგალიტი ავიღე, რაც ოდენ ამეღებოდა (რუსთ. 1177,2); ისი სიზმარი უამბა, რაცა მოენახა უცხებად (პროზ. შაჰნ. 377); აუკიდა თვალგუარი, რაცა ოდენ წამოიღო (შაჰნ. 3129,3); ყოველი ნივთი გაცვდება, რაც სოფელს დანათესია (არჩ. 19,3); ესეთი საქმე, რაც მე მომიხდა, პირობისა, დანდობის და სიმართლის დაგდებითა და დაუნდებელობისა წესითა მოვა (ქილილ. 169); ავიღევით ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი ფული შესჯერდებოდა (დოკუმენტ. ბერძენ. 225,17).

ახალი სალიტერატურო ენის მაგალითებია:

ჭალა სავსე იყო კრიკინით, რასაც სიამოვნებით შეექცეოდა (ვაჟა); ჩემთვის მინდა მე ყველა ფრინველები, რაც ჩემს სამფლობელოში აღიზარდა (ვაჟა); ...თითქოს ბოდიშს იხდიდა იმ გრძნობისათვის, რამაც დღეს მოულოდნელად იმის გულში გაიღვიძა (ვაჟა); ის ტახი იყო თურმე ქურდი სისხლით გაუმაძღარი, რამაც ყანები, ვენახები გაგრნადგურათ... (მაჩაბ.).

რაც-ს ზმირად ეხმება კი ნაწილაკი:

ყოველი ფიქრი, სიტყვა და აზრი, რაც კი რომელიმე ანდაზას

არ ეთანხმება, ფუჭია (ვაჟა); ყველა ნიკოლაძის სტატიები წამიკითხავს, **რაც კი** იმას ქართულათ დაუწერია (ნიკოლაძე). მრავლობითი რიცხვის ფორმაა **რანიც**:

მოქალაქე და ქართველნი, **რანიც** ქალაქიდამ ხლებოდენ, ისევ ქალაქს იახლნენ (იესე ოსეშვ. 15); არიან ზოგნი, **რანიც** მხოლოდ დღიურ ლუკმისათვის მუხლმოდრეკილნი მორჩილობენ... (მაჩაბ. 6).

განსაზღვრებითი წევრ-კავშირი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაკავშირებულია მთავარი წინადადების ერთ რომელიმე წევრთან, მისამართ სიტყვასთან, რომელიც ჩვეულებრივ სახელია. სხვანაირად რომ ვთქვათ, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, როგორც ვიცით, გაშლილი განსაზღვრებაა მთავარი წინადადების ერთი რომელიმე წევრისა.

მაგრამ, ამის გვერდით, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მიმართებაშია მთავარი წინადადების არა ერთ რომელიმე წევრთან resp. სახელთან, არამედ განსაზღვრებაა მთელი მთავარი წინადადებისა, — ყველაზე მჭიდროდ იგი მთავარი წინადადების შემასმენელს უკავშირდება, რამდენადაც ზმნა-შემასმენელი წინადადების ბერკეტს წარმოადგენს. ავიღოთ წინადადება: „ხმის უფლება ახლავე უნდა მივცეთ, **რაც კანონს ეწინააღმდეგება**“ (აკაკი). აქ ხაზგასმული წინადადება განსაზღვრებაა მთელი მთავარი წინადადებისა: კანონს ეწინააღმდეგება ხმის უფლების მიცემა.

მთელი წინადადების განსაზღვრების გამოხატვა ქართულში დაკისრებული აქვს **რა(ი)**ც საკავშირებელ სიტყვას.

დავიმოწმოთ მაგალითები:

მაშინვე გამოვედი სასწავლებლიდან, **რითაც** ყველა გავაკვირვე (აკაკი 444); ელ. ერ-ვი სულ უბრალო რამეზე გარიგდა, **რისაც** სრული უფლება ჰქონდა (აკაკი 464); და თვით ვერხვიც ელვა-მეხის ნაპერწკლებში იყო გახვეული, **რაიც** ხშირად ხდებოდა (ვაჟა 38); ...ერთავად ყივის, **რითაც** ძლიერ მოსწონს თავი (ვაჟა 214); საქართველოს მცენარეულობა მრავალფეროვანია, რაც აიხსნება საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობით; განსაკომმა შეამოწმა საქართველოს ისტორიის კურსის სწავლების დაყენება სამუალო სკოლებში, **რამაც** ცხადყო...

D

ვინ(ცა)

ვინ(ცა) კავშირ-სიტყვა, განსაზღვრების ფუნქციით, დამახასიათებელია საშუალო და ახალი ენისათვის, იგი **რომელიც**-ს ცვლის;

იხმარება იშვიათად; დაირთავს -ცა ნაწილაკს; საშუალო ქართულში უნაწილაკო და ნაწილაკიანი ფორმები ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ; ახალ ქართულში გვხვდება ნაწილაკიანი ვინც.

უნაწილაკო წევრ-კავშირის ნიმუშებია:

ვიტყვი მას მზესა, **ვინ** განუწესა ღმერთსა ღვთისაებრ შეყვარებულად (თამარიანი XII, 37); ღმერთმან ღმერთთამან ძველმან დღეთამან, **ვინ** თანასწორად სულსა ავლენდა... (აბდულმესია 89,2); მან უამბო დავარ ქაჯსა, **ვინ** გრძნებითა ცაცა იცის (რუსთ. 575,4); რამაზის კაცი მემთხვია, **ვინ** ხატაეთის ხანია (რუსთ. 421,2; ღმერთსა მადლი, **ვინ** ალვისა ხენი ასხნა (რუსთ. 619,4); მეფე ცოტათ მოგეგებვის, **ვის** მჭვრეტნი ვერ გელევიან (რუსთ. 435,1); ქართველთა ღმრთისა დავითის, **ვის** მზე მსახურებს სარებლად (რუსთ. 1666,1); მეფეს მოვგუაროთ იგი მზე, **ვინ** არს ჩამდგმელი სულისა (შაჰნავაზ. 123,4); მოცუცენ ასული დედოფლად, **ვინ** ნათლად შემკობარია (შაჰნავაზ. 124,3); რად მოჰკლავ კაცსა ესეთსა, **ვის** ცრემლი შენთვის მიწყი სდის (არჩ. 476,1); მერე უთხრა კათალიკოზს, **ვის** სახელად მალაქია (არჩილიანი, 1); ტან სარო და გულად ლომი, **ვის** ბაგეთგან თაფლი მიზდის? (არჩ. 578,2).

ნაწილაკიანი კავშირის ნიმუშებია.

არსნი მზედ გკმობენ, შვიდნი გამკობენ, **ვინცა** შეგცოდა თავის საქნარი? (თამარიანი II,14); სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ, **ვისცა** ვინატრიდე (რუსთ. 566,4); მოვიდეს ჯარი მრავალი, **ვინც** იყო უზედესია (შაჰნავაზ. 153,2).

ვინც(ა) იხმარება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისამართი სიტყვა მრავლობითშია:

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი, **ვინცა** მას წინაშე იყვნეს, შეჰირვებითა ყუელანი კბილითა იღრჭენდეს და იტყოდეს... (ვისრ. 20,3); ქვე დაუყრია მ ო ყ მ ე ბ ი, **ვინც** უფრო ცულოვანია (რუსთ. 1241,3); ...ბ ა ნ ო ა ნ ნ ი და მ ო ყ მ ე ნ ი, **ვინც** იყო უფლის წულები (შაჰნავაზ. 138,3); მარით მძეველად შვილი თ ა ვ დ თ ა, **ვინც** იყოს საჭელდებული (შაჰნავაზ.).

ნათესაობითი ბრუნვის ფორმამ შეიძლება გამოავლინოს რიცხვის ნიშანი:

თვით ბიძასა ჩემსა მიჰხვდა, **ვისთა** შვილთა აწ დამკოდეს (რუსთ. 601,3).

კავშირს შეიძლება დაერთოს ნაწილაკი: **გან, თვის...**

მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან:“

ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, **ვისგან** მზე საწუნელია (36,4);

სჯობს სიმორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის (1081,1); ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია (508,3); მოგვინახონ იგი მთვარე, ვისთვის ჭირი არ გვაკლია (638,2); პირის-პირ მიჯდა იგი მზე, გული ვისთვისცა კვდებოდა (482,2).

როგორც საშუალო, ისე ახალ ქართულშიც ვინც(ა)-ს გამოყენების არე შემოზღუდულია (განსაზღვრების ფუნქციით), — მის ადგილას ჩვეულებრივ **რომელიც(ა)** იხმარება.

ახალ ქართულში კიდევ უფრო იშვიათია იგი, და უმთავრესად მაშინ იხმარება, როცა მისამართი სიტყვა განზოგადებული შინაარსის მატარებელია, ანდა განუსაზღვრელობის სემანტიკას ამყარებს:

შეუჯდა ერთ ვიღაცა ურიას, ვისიც თქვენ რალაც ფული გმართებდათ (ლომოური); აქ გაიხსენებ ჩვენს მოღვაწეებს ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში, ვინც ყოფილან და ვისთანაც, ასე თუ ისე, შეც მჭონია პირადი დამოკიდებულება (აკაკი); დიდმა, პატარამ, ვინც კი ოჯახში იყო, თავი მოიყარა (აკაკი); განგვშორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყვარდნენ (გრ. ორბელ.).

E

როგორიც

როგორიც კავშირს ქართულში განსაზღვრებითი წევრ-კავშირის დანიშნულება აქვს. იგი მინაარსობლივად განსხვავდება **რომელიც**-ისაგან: როგორობას გამოხატავს, მისამართი სიტყვის რაგვარობაზე მიუთითებს. მისამართ სიტყვას მსაზღვრელად ჩვეულებრივ მოუდის **ისეთი**. იგულისხმება ამ ტიპის წინადადებები:

ისეთი ტყე დავინახე, **როგორიც** წარმოდგენილი მქონდა; ისეთმა ფურმა დამწიხლოს, **როგორიც** ჩემზე უკეთესად იწველებაო: ისეთ სახლს აგიგებ, **როგორსაც** სიზმრად ვერ წარმოიდგენ; ისეთი თვითმფრინავით იმგზავრა, **როგორითაც** მე არა ერთხელ მიფრენია; ისეთ დევ-გმირად მოგეჩვენა, **როგორადაც** ზღაპრებში აქვთ წარმოდგენილი.

ამრიგად, ეს კავშირი წარმოგვიდგება სხვადასხვა ბრუნვაში: **სახ.**: როგორიც, **მოთ.**: როგორმაც, **მიც.**: როგორსაც, **მოქ.**: როგორითაც, **ვით.**: როგორადაც.

ამ ტიპის წინადადება შეიძლება დადმოვცეთ **რომელ** ფუძის კავ-

შირ-სიტყვით, ოღონდ მას უნდა შეეხამოს შედარების გამომხატველი სიტყვა: მსგავსი, მსგავსად, და ეს იმას ნიშნავს, რომ სათანადო კონსტრუქციას საერთო აქვს შედარებითი წინადადების კონსტრუქციასთან. მართლაც: წინადადება — „ისეთი ტყე დავინახე, როგორიც წარმოდგენილი მქონდა“ სხვანაირად ასე შეიძლება ითქვას: „ისეთი ტყე დავინახე, რომლის მ ს გ ა ვ ს ი წარმოდგენილი მქონდა“.

F

სადა(-იგი), სადაც(ა)

ფართო გამოყენება აქვს ქართულში განსაზღვრებით კავშირად სადა-ს. იგი უკავშირდება მთავარი წინადადების გარკვეულ წევრს და გამოხატავს ლოკალობას დამოკიდებული წინადადების ფარგალში. სადა ცნობილია, აგრეთვე, როგორც ტიპობრივი ლოკალობის კავშირი, როდესაც იგი მთელ მთავარ წინადადებასთან იმყოფება მიმართებაში.

ძველ ქართულში სადა იხმარება როგორც უნაწილაკოდ, ისე ნაწილაკდართულად. ნაწილაკებად გამოყენებულია იგივე მასალა (-იგი, -ცა), რომელიც კითხვითი ნაცვალსახელებისა თუ ზმნიზედების მიმართებით ნაცვალსახელად გადამქცევი საშუალებაა.

ჯერ გავეცნოთ უნაწილაკო კავშირ-სიტყვის მაგალითებს:

და სხუად დავარდა კლდესა ზედა, სადა არა იყო მიწაჲ ფრიად (მათე 13,5); აჰა ესერა მოვიწიენით ადგილსა ამას, სადა იყო საჯუმილი ცეცხლისაჲ აღგზნებულ სამთა მათ ყრმათა-თჳს (წარტყუენ. მთ. 17); მიერითგან იწყეს ძიებად ადგილსა, სადა უშენონ ღმერთსა სადიდებელად ეკლესიაჲ (ზარზმ. 166,1); და უბრძანა, რათა მოიძიონ ადგილი, სადა ჰნებაჲს აღშენებად ეკლესიაჲ (ზარზმ. 165,33); ...რომელი მყოვარ-ქამ დგა ადგილსა მას, სადა დაწუეს ნეტარი იგი მოწამჱ ქრისტჱსი (აბო 75,34); და დაგადგინოთ ჩუენ თანა ადგილსა მას, სადა მეფენი დადგებიან (ქიმ. 83,19); დღე მოვიდა სიმრავლე ერისაჲ მონასტერსა მას, სადა იყოფოდა პირველ (ქიმ. 248,12); წარვედ ადგილსა მას, სადა ლომი წევს... (ქიმ. 305,22); მოვიდა კანცელსა მას გარეშესა, სადა იყო სუეტი წმიდისა მის... (ქიმ. 285,17); ...სრბით შევიდეს სენაკსა მას, სადა იყო მამაჲ გრიგოლ მჯდომარე (ხანძთ. ჲბ, ჲ, 2).

საკმაოდ გავრცელებულია -იგი ნაწილაკდართული სადა: სადა-იგი.

მაგალითად:

და სხუაჲ დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა-იგი არა იყო მიწაჲ ფრიად (მარკოზ 4,5: DE. შდრ. მათე 13,5); მაშინ იწყო იესუ ყუედრებად ქალაქებისა მის, სადა-იგი ექმნნეს უმრავლესნი ძალნი მისნი (მათე 11,20); გძულდა ფრიად საწუთროჲ ესე წარმავალი და გიყუარდა საუკუნოჲ სადა-იგი აწ მკჳდრ ხარ და სუფევ უკუნისამდე (სას. პოეზია, რჲა, 76); ...აღდგეს მუნ-თქუესვე და მოიქცეს ადგილადვე თჳსა, სადა-იგი მკჳდრ იყვ-ნეს (ასურ. 9,15); ...და მოვიდეს თავსა მასზედა წყაროჲსასა სადა-იგი ნათელ ეღო წმიდათა მათ ყრმათა (კოლ. 60, 158), ...შეკრბა ადგილსა მას, სადა-იგი იყვნეს წმიდანი იგი (ზარზმ. 164,30); ...ადგილსა მას ზანავისასა სადა-იგი მონასტერი შუე-ნიერი შენ არს (ზარზმ. 172,33); ...შევიდა ქუეყანასა მას ჩრდილოისასა, სადა-იგი არს სადგური და საბანაკჱ ძეთა მაგო-გისთაჲ (აბო 64,31); მაშინ მოვედ მე იორდანედ ადგილსა მას, სადა-იგი უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან ნათელ იღო იო-ვანჱს მიერ (რავახ. 89,5); და აწ ვთქუათ მთისა მისთჳს. სადა იგი ზმური თუალი იპოვების... (თუალთაჲ 30,7); და მო-ვიდეს სპარსნი იგი და მოეახლნეს ადგილსა მას, სადა-იგი იყო მონაჲ ღმრთისაჲ წმიდაჲ სჳმიონ (კიმ. 244,37); ხოლო გლახა-კი იგი შევიდა ქალაქად ადგილსა მას, სადა-იგი ითხოვნ ქვე-ლის საქმარსა (კიმ. 295, 26); ხოლო ყრმაჲ იგი მისი აღდგა და დადგა კედელსა ზედა უმარჯუად, სადა-იგი იყო თმაჲ წმიდი-სა მის (კიმ. 311,36); რამეთუ იყო მახლობლად დაბისა მის ქუაბი, სადა-იგი მივიდის ორთა მათ თანა... (ანტიოქ. 50,10); ...კევსა მას შინა, სადა-იგი დიდისა მოწამისა გიორგის ტაძა-რი შენ არს (ანტიოქ. 68,24); და ვიდრე არღა მიწევნულ იყო დაბასა მას, სადა-იგი იყო ბილწი იგი... (ანტიოქ. 73,7).

განვიხილოთ -ცა ნაწილაკიანი ფორმა:

ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეას მთა-სა მას, სადაცა უბრძანა მათ იესუ (მათე, 28,16); ...და დაადგ-რა ადგილსა მას, სადაცა იყო ყრმაჲ იგი (მათე 2,9). ...და გან-ვიდოდეს ყოველნივე ადგილსა მას, სადაცა დაწუნეს კორცნი იგი წმიდისა მოწამისანი (აბო 75,18); ადგილსა, სადაცა დაე-ცეს ხჱ იგი, მუნვე იყოს (ეკლეს. სოლ. 223, ია, 4); წარვიდა დაბასა მას, სადაცა აღიზარდა (ანტიოქ. 61,10); და ვითარ მი-იწია მოციქული იგი ადარნერსჱსი ფერსათს, სადაცა არს აწ საფლავი მისი... (ხანძთ. ნთ, ნვ, 29); მაშინღა მიიღეს მკუდარი იგი თჳსსა მას პირველსა ადგილსა, სადაცა სამ გზის დადებულ

იყო... (ხანძთ. ჲბ, ნჱ, 26); მაშინ ნეტარმან გრიგოლ ძლიერად სცა კელითა თჳსითა ადგილსა მას, სადაცა იყო მჯდომი იგი (ხანძთ. ჲგ, ჲა, 12); და ხვალისა დღე მოუგონებელსა ადგილსა, სადაცა ჰრქუა წმიდამან მან, მუნ მყარად იდვა (ხანძთ. ჲე, ჲდ, 7).

მეტად იშვიათად გვხვდება კომპრომისული ფორმები: ორივე ნაწილაკი — იგი, ცა — ეხამება ერთმანეთს: სადაცა-იგი.

მაგალითები:

ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეად, მთასა მას, სადაცა-იგი უბრძანა მათ იესუ (მათე 28,16:DE. შდრ.: ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეას, მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესუ: C); და წარმოვიდა... გოლგოთად, სადაცა-იგი ჯუარი პატიოსანი იყო (არიმათ. 14,5).

სადა-ს შეიძლება დაერთოს -მცა ნაწილაკი.

...და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოიღო ნათელი ქრისტჱსი (აბო 64,26); არ არს მიწაჲ, არცა წყალი ქუეყანასა ამას, სადამცა მონასტერი აღეშჱნა (ხანძთ. კგ. კბ, 41); ...სიტყუას უგებდეს ადგილისა თჳსა სადამცა ვის-მე ჰმარხუდა (ხანძთ. ლზ. ლ, 52).

საშუალო ქართულში ვადასტურებთ როგორც უნაწილაკო, ისე ნაწილაკდართულ ფორმებს. ამ პერიოდის ქართულ ენაში -იგი დართული მიმართებითი ნაცვალსახელი იშვიათია და უმთავრესად იხმარება -ცა ნაწილაკიანი ფორმა, იშვიათად, აგრეთვე უნაწილაკო მიმართ. ნაცვალსახელი.

უნაწილაკო ფორმის (სადა) მაგალითებია:

არაა ქუეყანათა ზედა ეგეთი ადგილი, სადა თქუენი ამბავი არ იყოს... (ვისრ. 185,28); ...მიაპყრა პირი მას ციხესა, სადა ვისი ჯდა (ვისრ. 140,2); წავედით მას სახლსა, სადა პური ეგო (ამირან. 88,3); წავედით და მივედით მას მინდორსა, სადა სულიერი არა იყო სიცხითა უსაჭმლობითა (ამირან. 74,4); მომივლია ყოველი ქვეყანა, სადა ოდენ კმელი არის (ამირან. 57,33); აჰა იგი ადგილი, სადა შეიპყრეს ნოსარ ნისრელიო (ამირან. 27.11); ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია (რუსთ. 78,3); ამიგდო ქალმან ფარდაგი..., სადა დგას კუბო შემკული ბადახშითა და ლალითა (რუსთ. 394,1); თუ ჰპოვოთ მუნ სახლსა, სადა მე ვარი... (რუსთ. 1202,3); მიუხდა ზააქ მას ალაგსა, სადა ფრიდონისა ძიძა — ფურა იყო (პრომ. შაჰნ. 384); და მას ქვევით დიდი ქალაქი საონა, სად აკეთებენ უმჯობეს ფარფურსა და ჩინურებს (საბა, მოგზ. 7); კრულ არს მისი

საფლავი, სადა დაეფლვის (საეკლ. საბ. 95,8); კრულ არს იგი ადგილი მისთჳს, სადა დადგენ ფერკნი მისნი (საეკლ. საბ. 95,2).

-ცა ნაწილაქართული კავშირის ნიმუშებია:

მინდორს თხა მოკლის, სადაცა ადგილი დაჰხვდის კლდიანი (რუსთ. 841,2); უჩინეთ სადგომი, სადაცა იყოს სხუისანი (შაჰნავაზ. 152,3); წავედით წმიდა ბრანოს მონასტერში, სადაც კლიტიანეს სახლი ყოფილიყო (საბა, მოგზ. 25); იმავ სახლში, სადაც ყოფილიყო, იქავ ეწამებინათ და ეკლესიად აეშენებინათ (საბა, მოგზ. 43).

ახალ ქართულში გაბატონებულია ნაწილაკიანი ფორმა: სადაც. მე-19 საუკ. პირველი ნახევრის მწერლებთან ჯერ კიდევ გვხვდება სადაცა, ე. ი. ა-მოუკვეცელი ფორმა. დავიმოწმოთ მაგალითები გრ. ორბელიანის ენიდან:

დაფრთხენ მურიდები და შეუდგნენ დიდს მთას შენშრეკისას, სადაცა კიდევ ორი როტა დახვდა (წერილ. 48,189); აქაურმა საზოგადოებამ ყველიერში გამიკეთა ბალი, სადაცა მნათობდენ... (34,180); მერე მიეყვედით ჩვენს სატახტო ზაქათალას, სადაცა ჩვეულებრივ დამხვდა შრომა... (34,180); ამ როტამ დაუშინა თოფი და ისინიც გაიქცნენ ბეჟანიანის გზისაკენ, სადაცა ერთი მომავალი ქართველი გზაზედ მოკლეს (13,162).

სადაც-ის ნიმუშებია:

მე მეორე ოთახში შევარდი, სადაც მესამე კლასი იყო (აკაკი 428); გამაჩერა სარკის წინ, სადაც თავიდან ფეხებამდე ნათლად გამოვჩნდი (აკაკი 392); აღგილი, სადაც შავარდენი დავაბინავე, წინათ ქათმებისაგან დაქექილი იყო (ვაჟა 130); იმ ბანში მზაღვე მიიყვანეს ქვეშეთში, სადაც იდგა ნაჩალნიკი... (ყაზბ. 30); ჰკითხა გაგიმ და გაუშვირა ხელი იმ მთისაკენ, სადაც აქა-იქ გვერდოებზე მთიულების სახლები მოჩანდა (ყაზბ. 15); ...დაეშვებოდა ჩალურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ (ილია 329); დავხედე აღგილს, სადაც თითი დამიდო (ილია 284).

სადაც-ის გვერდით ახ. ქართულისათვის დამახასიათებელია შეკვეცილი სახეობა საცა.

დავიმოწმოთ ილია:

ის სოფელი, საცა იმ ღამეს ჩვენ უნდა შეგვესვენა, ჯერ კიდევ შორს იყო (312); ...მე დიდ სატუსაღოში გამგზავნეს ჩვენ პატარა ქალაქს, საცა ნაჩალნიკი და სასამართლო იმყოფებოდა (311);

მე უფრო იმ ადგილებში ვისაფრებოდი საცა უწინ დათიკო სანადიროდ დაიარებოდა ხოლმე (318).

მხოლოდ პოეტური ენისთვის — ლექსისთვისაა დამახასიათებელი ზოგჯერ ახ. ქართულში სადა-ს გამოყენება ასე: სად. ამ შემთხვევაში მარცვლის რაოდენობაა განმსაზღვრელი შეკვეცისა, რამდენადაც -ც(ა) ნაწილაკს წინ უძღვის -ა: სად-ა(ა).

გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ორი კავშირია შეხამებული სათანადო ფუნქციის გადმოსაცემად სად(აც)+რომ:

ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულთა (აბდულმესია 105,4); ბაღთა შიგან ვყმაწვილობდით, სად რომ გვედგა ტურფა სარა (არჩილიანი, I); მეორე დასდგეს თოხთის მთაზედ, რომელ აწ უღელტეხილად იწოდება, სადაც რომ მირიან მეფეს დღე დაუბნელდა... (ქალმას. 60,23).

სადა-ს მიმართება მისამართ სიტყვასთან

სადა მიმართებით მზნიზედას გარკვეული ტიპის მისამართი სიტყვა ეფარდება მთავარ წინადადებაში. ესაა განსაზღვრული სემანტიკური კატეგორიის სიტყვები, რომელთაც ლოკატიური შინაარსი აქვთ: გამოხატავენ სივრცეს, გეოგრაფიულ ადგილებს, შენობას (ამ სიტყვის ზოგადი მნიშვნელობით)... ამ ყალიბის სიტყვები კარგად ჩანს ზემომოყვანილ მაგალითებშიც, მაგრამ აქ გავხაზავთ სანიმუშოდ ზოგიერთ მათგანს.

ქვეყანა

ნუ იუნჯებთ თქუენ საფასეთა თქუენთა ქუეყანასაზედა, სადა-იგი მღილმან და მჭამელმან განრყუნეს... (მათე 6,19); არა არს მიწაჲ, არცა წყალი ქუეყანასა ამას, სადამცა მონასტერი აღეშენა.. (ხანძთ. კგ, 41); ხოლო ნერსე.... შევიდა ქუეყანასა მას ჩრდილოჲსასა, სადა-იგი არს სადგური... (აბო 64,35); მომიველია ყოველი ქვეყანა, სადა ოდენ ჴმელი არის (ამირან. 57,38).

ქალაქი, სოფელი, დაბა...

მაშინ იწყო იესუ ყუედრებად ქალაქებისა მის, სადა-იგი ექმნნეს უმრავლესნი ძალიანი მისნი (მათე 11,20); ..მე დიდ სატუსაღოში გამგზავნეს ჩვენ პატარა ქალაქს, საცა ნაჩალიკი და სასამართლო იმყოფებოდა (ილია 311); ის სოფელი, საცა იმ ღამეს ჩვენ უნდა შეგვესვენა, ჯერ კიდევ შორს

იყო (ილია 312); წარვიდა დაბასა მას, სადაცა აღიზარდა (ანტიოქ. 61,10); ...და ვიდრე არღა მიწევნულ იყო დაბასა მას, სადა-იგი იყო ბილწი იგი და არა წმიდაჲ დედაკაცი (ანტიოქ. 73,7).

გეოგრაფიული სახელწოდება

გასცდნენ სოფ. კობს, სადაც ყველაზედ მეტად ეშინოდათ (ყაზბ.); ამ ხანში მზალვე მიიყვანეს ქვეშეთში, სადაც იდგა ნაჩალნიკი და კიდევ რამდენიმე ჯარის უფროსები (ყაზბ.).

კლდე, მთა, მინდორი, ტყე...

და სხუაჲ დავარდა კლდესა ზედა, სადა არა იყო მიწაჲ ფრიად (მათე 13,5); ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეად, მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესუ (მათე 28,16); მეორე დასდგეს თოხთის მთაზედ..., სადაც რომ მირიან მეფეს დღე დაუბნელდა... (კალმას. 60,23); მინდორს თხა მოკლის, სადაცა ადგილი დაჰხვდის კლდიანი (რუსთ. 841,2); ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია (რუსთ. 78,3); ბალთა შიგან ვყმაწვილობდით, სად რომ გვედგა ტურფა სარა (არჩილიანი, I); ქვევსა მას შინა, სადა-იგი დიდისა მოწამისა გიორგის, ტაძარი შენ არს... (ანტიოქ. 68,24).

სენაკი, სახლი...

ხოლო იგინი სრბით შევიდეს სენაკსა მას, სადა იყო მამაჲ გრიგოლ მჯდომარე (ხანძთ. ლბ, ა, 2); დღე მოვიდა სიმრავლე ერისაჲ მონასტერსა მას, სადა იყოფვოდა პირველ (კიმ. 248,12); წავედით მას სახლსა, სადა პური ეგო (ამირან. 88,3); თუ ჰპოვოთ მუნ სახლსა, სადა მე ვარი... (რუსთ. 1202,3); ... მიაპყრა პირი მას ციხესა, სადა ვისი ჯდა (ვისრ. 140,2); შევიდა სახლსა შინა, სადაცა რეკტორი იმყოფებოდა (კალმას. 68,9); უჩინეთ სადგომი, სადაცა იყოს სხუისანი (შაჰნავაზ. 152,3).

ჩვეულებრივ სადა-ს მისამართ სიტყვად მოუდის ადგილი;

მაშინ მოვედ მე იორდანედ ადგილსა მას, სადა-იგი უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან ნათელ იღო იოვანესს მიერ

(რავახ. 89,5); ...მივიდა მსაჯული იგი ადგილსა მას. სადაიგი ისხნეს ჯორცნი წდისანი მის (კიმ. 192,20): ...რომელი მყოვარ-ჟამ დგა ადგილსა მას, სადა დაწუეს... მოწამჱ ქრისტჱსი (აბო 75,34); მაშინ ნეტარმან გრიგოლ ძლიერად სცა კელითა თჳსითა ადგილსა მას, სადაცა იყო მჯდომი იგი (ხანძთ. ჲგ, ჲა, 12); მივედით მას ადგილს, სადა შეუპყრა... (ამირან. 27,9); დავხედე იმ ადგილს, სადაც თითი დამიდო (ილია 284).

გათვალისწინებული სემანტიკის (მისამართ) სიტყვებს ძველ ქართულში სადა-ს პარალელურად რომელ მიმართებითი ნაცვალსახელი ეხამებოდა:

ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკ (შუშან. 8, III, 9); ...შევამკობდეთ კურთხევისა მიმნიჭებელსა აბრაჰამ მამათ მთავრისასა მსხუერპლთა შემწირველსა ადგილსა ზედა თხემისასა, რომელსა მეწირვად იყო ქრისტე... (სას. პოეზია); ...თანაგზამყევეს ვიდრე პირამდე მდინარისა, რომელსა... მოგუეცებნეს (ზარზმ. 163,5); ხოლო რაჟამს ვიხილე საფლავი მისი ადგილსა ფარულსა, რომელსა ყოველნი უძლურნი მიიღებდეს დღითი-დღედსა კურნებასა... (ზარზმ. 180,34); ...რათა მზაყენენ გზანი, მიმყვანებელნი ადგილსა მას, რომელსაცა იყვნეს წმიდანი იგი (ზარზმ. 156,13); დაჴედ გუერდით ამას კლდესა, რომელსა წყაროჲ გამოდის (კიმ. 211,9); წარვედ და მიჴედ მდინარესა მას, ადგილსა, რომელსა შთავარდა (კიმ. 334,10); და იგი წარვიდა და დაემკჳდრა კლდის ძირსა ქუაბსა მას შინა, რომელსა დამალულ იყო ოდესმე წმიდაჲ პავლე მოკიქული იგი და მოწაფენი მისნი (ასურ. 18,7); მაშინ აღიღეს სარეცლითურთ და მოიღეს ადგილსა მას, რომელსა იყო წმიდაჲ პეტრეჲ (არიმათ. 68,1); ხოლო დედამან მის ყრმისამან წარიყვანა იგი გზასა მას, რომელსაცა წარჰვლიდა მამაჲ ეპიფანე (ხანძთ. ნა, მე, 6).

აქ კავშირს ლოკატივის შინაარსი აქვს და მისამართ სიტყვებად ეხამება, როგორც ვთქვით, ისეთივე შინაარსის სიტყვები, რომლებიც გვაქვს სადა-სთან.

შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართულისათვის სათანადო კატეგორიის სიტყვებთან რომელ-ის შეხამება ნიშანდობლივია და არსებითი, ხოლო ამის გვერდით თავს იჩენს სადა ზმნიზედური წარმოშობის მიმართებითი კავშირი, რომელიც თანდათანობით გზას იკა-

ფაქს და ეკედლება ლოკატორული სემანტიკის მისამართ სიტყვებს, რაც ნორმად იქცევა გვიან, ახალი სალიტერატურო ქართულის სინამდვილეში.

თანდებულდართული სადა

ჩვენ გავეცანით სადა განსაზღვრებით კავშირს, რომელსაც აქვს სადაობითი resp. ლოკატორული ფუნქცია; მას შეესაბამება შინა და ზედა თანდებულდართული რომელ.

ამასთანავე, სადა-ს აბლატივის (გამოსვლითი) დანიშნულება აქვს.

სადას-ს ერთვის მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი ით, რომელიც ძველ ქართულში, საერთოდ, დაწყებითობას გამოხატავდა: სადაით.

სადაით ადგილის ზმნიზედაა:

...სადაით მოგელოდი, კრაო ჩემო (ციმ. 164,31); სადაით ვინაჲვე მიცემაჲ კეთილობისაჲ, არამედ თჳს შორის მჭონებელნი თჳეობისა თჳსისა? (პეტრიწი, I,73,23); რამეთუ სხუაგნით სადაითმცა იყო ესე და ვინაჲმცა ჰქონდა მიზეზი? (იქვე, 94, 27); სადაითმცა უკუე ჰქონდა გათჳთებაჲ. უკუეთუ წარმოაყენებელნი მათნი განუთჳთებელ იყუნენ და თანაშერწყმულ? (იქვე, 106,2); რამეთუ სადაითცა წარმოობაჲ თითოეულისაჲ, მისდადვე და შერაბამებული უკუნქცევაჲ (იქვე 31,15).

მიმართებით კავშირ-სიტყვად სადაით არ განვითარდა ძვ. ქართულში. იშვიათია ასეთი მაგალითები:

მიჳედით ადგილსა იმას ამის იწროჲსა მიერ გზისა და კაცმან მან ადვილად მიგიყუანნეს ადგილსა მას, სადაით იქმნა წიალსლვაჲ თქუენი განთიად (ზარზმ. 161,27).

შდრ. სამ. ქართულში:

ყოველი წარმოჩენილი ვისგანვე არსებით უკან იქცევის მისდადვე, სადაით იწარმოებს (პეტრიწი, I, 26,4).

ამ ფუნქციით ძველი ქართული, როგორც წესი, იყენებს სხვა ფუძის მასალას — ვინაჲ-ს (იხ. ქვემოთ).

სამაგიეროდ, საშუალსა და, განსაკუთრებით, ახალ ქართულში იგი განვითარებულია. მან გაიარა ასეთი გზა: ერთვის -გან თანდებული და ცნობილი ფონეტიკური პერტურბაციის შედეგად ვღებულობთ საიდან-ს; საითგან — საიდგან — საიდან; ერთვის-ც(ა) ნაწილაკი: საიდანაც.

ამავე დროს, ეგევე ფუძე დაირთავს სხვა თანდებულებსაც: -კენ, -მდე, -მდის: საითკენაც, სადამდისაც (||სადამდეც...).

G

ვინაჲ

მთავარი წინადადების იმ წევრს, რომელიც ლოკალობის გამომხატველია, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში შეესაბამება აგრეთვე **ვინაჲ**, ისიც, სადა-სთან და უთანდებულო თუ თანდებულიან რომელ-თან ერთად, „სადაობითობის“ შინაარსისაა. მაგრამ **ვინაჲ** განსხვავდება **სადა-რომელ**-ისაგან იმ მხრივ, რომ სივრცეში მოძრაობის გამოხატვის თვალსაზრისით მისი დანიშნულება უფრო ვიწროა; მხოლოდ აბლატივის ფუნქციის მატარებელია, ე. ი. უდრის „**საიდანაც**“-ს.

ციდრე ენა კავშირად გამოიყენებდა **ვინაჲ**-ს, მას მხოლოდ **ადგილის ზმნიზედის** მნიშვნელობა ჰქონდა.

გავეცნოთ ჯერ **ვინაჲ**-ს როგორც ლოკალობის ზმნიზედას.

ვინაჲ არს ჩუენდა უდაბნოსა ესოდენი პური...? (მათე 15,33); და იტყოდეს: **ვინაჲ** არს ესე ამისა? (მარკოზ 6,2); **ვინაჲ** ანუ ვის-გან ისწავე ქრისტჱსთჳს ესოდენი ცნობაჲ? (აბო 78,23); ხოლო არა უწყოდეთ, თუ **ვინაჲ** იყო ჰმაჲ იგი (ანტიოქ. 115,32); და თუ ვინა არიან, ანუ **ვინაჲ** მოსრულ არიან, ჰკითხვიდა მათ (ანტიოქ. 115,26); ვინ ხარ შენ, ანუ **ვინაჲ**...? (წარტყუენ. ნა, 18); ... არა უწყოდა, თუ **ვინაჲ** მოივლინა... (კიმ. 177, 37); ვინ უწყი, თუ **ვინაჲ** იყო? (კიმ. 249,34); ხოლო მოწაფენი მისნი იყვნეს ზრუნვასა შინა დიდსა, თუ **ვინაჲ** მოიღონ წყალი საქმისა მის საკმარად (კიმ. 259, 19); მაშინ **ვინაჲ** იყოს ჩემდა კსნად ბრალთა პატიჟისაგან... (ხანძთ. ი, ზ, 16).

გათვალისწინებული მაგალითებიდან ჩანს, რომ **ვინაჲ**-ს აბლატივის მნიშვნელობა აქვს, ე. ი. იგივეა, რაც „**საიდან**“, მაგრამ იშვიათად **ვინაჲ**-ს პირდაპირ „სადაობითობის“ გაგება აქვს, ე. ი. უდრის **სადა**-ს:

სადა მივიდე, გინა სადა დავადგრე? var.: სადა მივიდე, გინა **ვინაჲ** დავადგრე?... (არიმათ. 29,1); ხოლო მწუხარჱ იყვნეს ურვითა და არა უწყოდეს, თუ **ვინაჲ** აღაშჱნონ ტაძარი უფლისათჳს (არიმათ, 45,1); მე მარტომან უწყი და თქუენ არა უწყით, **ვინაჲ** ყოფილ ხართ ანუ რავდენ ჟამად ყოფილ ხართ (სიყრმჱ უფლისა ჩუენისა.. 38,62).

ძველ ქართულში ლოკალური ზმნიზედის—**ვინაჲ**-ს საფუძველზე მოუშავდება განსაზღვრებითი კავშირი **ვინაჲ**, რომელსაც მთავარ წინადადებაში მისამართ სიტყვად მოუდის შესატყვისი შინაარსის (ლოკალობის) გამომხატველი სახელი. მისი

ძირითადი დანიშნულებაა, როგორც აღვნიშნეთ, დაწყებითობის გადმოცემა. დაირთავს ჩვეულებრივ -ცა ნაწილაკს; გვხვდება უნაწილაკოდაც.

ვინაჲ-ს ნიმუშებია:

ხოლო ჩუენ გუენება, რათა გარეშეწერით შემოველოთ სიმგრგუნულე მათ ადგილთაჲ, ვინაჲ პირი სამხრით ვიქციეთ თანაალყოლად ერთისა მის მდინარისა (ზარზმ. 159, 16); აღგუხილვან თუალნი ჩუენნი მთათა მიმართ, ვინაჲ მოვიდეს შეწევნით ჩუენი და გამოჴსნაჲ (წარტყუენ. ნზ. 2); რამეთუ არს ადგილი ვერცხლისაჲ, ვინაჲ იქმნების იგი, და ადგილი ოქროჲსაჲ, ვინაჲ გამოვალს (იობ. 28,1).

ვინაცაჲ-ს ნიმუშებია:

..მიხჳდე ჴურჴლად და ჰსუა, ვინაცაჲ სუან მონათა-ჩემთა (რჯუთისი 2,9); მივიქცე საჴიდ ჩემდა, ვინაცაჲ გამოვედ (მათე 12,44; DE); რამეთუ დამდაბლდა და მიკსნა ჩუენ, ალმაღლდა ზეცად, ვინაცაჲ გარდამოჴდა (აბო 59,35); ...განვიდეს ადგილსა მას ვინაცაჲ გარდაჰჴდა საჴედარსა... (ზარზმ. 156,20); აღიყვანა ადამი ნაშობით-ურთ ძემან და ღმერთმან ბუნსა მას სამკჳდრებელსა ედემს მზის აღმოსავალით, ვინაცაჲ გამოვარდა აღწერად იგი მუნ ნაშობით-ურთ თჳსით... (კიმ 186,20); ...და შეჲყვანეთ იგი საჲდიაკონოდ, ვინაცაჲ გამოიყვანეთ (რავაბ. 84,22); ესე არს სულმცირეჲ იგი ღრუბელი ეტლი და საყდარი განსაუენებელი მეუფისაჲ, ვინაცაჲ უფალი საბაოთ მჴდომარე მოვიდა კორცითა (სას. პოეზია სჴმ, 233); და ალმაღლდა ჯუარად, ვინაცაჲ აღკდა მაღალთა (სახისმეტყ. 8,40); ..და წარგზავნა ქუეყანად თჳსად აფხაზეთად, ვინაცაჲ მოეყვანა იგი (ხანძთ. ნჴ, ნვ, 4).

შესაძლებელია შეგვხვდეს ისეთი ნიმუშები, სადაც ორივე ნაწილაკი (-იგი,-ცა) ეხამება ერთმანეთს:

მივიქცე საჴიდ ჩემდა. ვინაჲთცა-იგი გამოვედ (მათე. 12,44: C); და შეჰვედრებდა ნეშტთა მათ ძუალთა მისთასა და უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინაცაჲ-იგი პირველად გამოითხრიეს (მოუშან. 44,XVIII,4).

არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ვინაცაჲ-ს აბლატივური შინაარსი არა აქვს, — უდრის სადა-ს.

ხოლო მე აღვედ წმიდასა გოლგოთასა, ვინაცაჲ დანერგულ იყო ჯუარი ქრისტჱსი (არიმათ. 16,1).

ვინაჲ, როგორც განსაზღვრებითი მიმართებითი კავშირი, ძველი

ქართულისთვისაა ნიშანდობლივი. შემდეგდროინდელ ქართულში იგი აღარ განვითარებულა: მისი ფუნქციის (აბლატივისა) გამოიყენება სადა-რომელ კავშირები, რისი ჩანასახიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველ ქართულშივე გვაქვს.

H

როდესაც

ცალკე უნდა გამოვყოთ ისეთი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავარ წინადადებას უერთდება კავშირით— **როდესაც**. ეს ისეთი განსაზღვრებითი წინადადებაა, რომელიც მიმართებაში იმყოფება მთავარ წინადადებაში წარმოდგენილ დროის გამომხატველ არსებით სახელთან; იგი არ გამოხატავს მთავარი წინადადების შემასმენლით გადმოცემული მოქმედების ტემპორალობას. ჩვეულებრივ ასეთ არსებით სახელს მსაზღვრელად მოუდის **ისეთი.**

იგულისხმება ამ ტიპის წინადადებები:

არის ხოლმე ისეთი წამები, როდესაც სიტყვას ადგილი აღარ აქვს კაცის მწუხარებაში (ყაზბ.); ზალიკი ისეთ დროს არჩევდა, როდესაც მამა ტყის საჩეხად იყო წასული; დადგა ნანატრი თვე, როდესაც თამრო სოფელში წავიდოდა და საყვარელ დედას გულში ჩაეკრობოდა; ეს იყო საშინელი წელი, როდესაც დიმიტრის ზედიზედ ორი შვილი ხელიდან გამოეცალა; საქართველოს ცხოვრებაში იყო საუკუნეები, როდესაც ხალხს უცხოელთა მონობის უღელი ედგა.

ამგვარ კონსტრუქციაში უფრო ჩამოკვეთილია **როდესაც** კავშირი, თორემ შეიძლება ამავე ფუნქციით სხვა დროულობის საკავშირებელი ერთეულებიც შეგვხვდეს.

მაგალითად:

და დღესა ერთსა რაჟამს იყო დღესასწაული მათი. უსტყორცნ ისარი ხუცესსა... (რავახ. 81,29); რამეთუ ესე არს ჟამი, ოდეს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე იშვა (მრავალთ. 267,10); რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ... მიწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილონისა მფლობელისა მის-გან... (აბო 63,4); ხოლო ...გრიგოლ პოვა ჟამი მარჯუჱ, ოდესცა კურაპალატი შორს იყო... (ხანძთ. ნუ, ნე, 15); მახსოვს იგი დრო, როს ნაღელიანი, კლდეე ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოგდიოდი (ბარათ. 6).

განსაზღვრებითი წინადადების სისტემაში გამოიყოფა ერთი სა-

ხის დამოკიდებული წინადადება, რომელიც წარმოგვიდგენს მთავარ წინადადებაში მოცემული ვითარების განმარტებას, ახსნას. ესაა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების. ცალკე სახეობა.

ამგვარი ტიპის განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენებულია კავშირები:

რომელ
რომე
რომ

ამათგან **რომელ—რომე,** აგრეთვე **რომ** საშუალო ქართულში გვხვდება, ხოლო ახალმა სალიტერატურო ენამ გააბატონა **რომ** კავშირი.

ერთი მხრით, გამოიყოფა ისეთი ტიპის წინადადება, რომელიც წარმოადგენს თვისებრივ-რომელობითს განმარტებას; მთავარ წინადადებაში მოცემულია სათანადო კორელატები: **ასეთი, ესეთი, ისეთი, ეგეთი,** მაგალ., „წვიები ისეთი სქელი ჰქონდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანისა თითოში სამი გამოიჭრებოდა“.

მეორე მხრით, არის ისეთი წინადადება, რომელიც რაოდენობრივ განმარტებას წარმოადგენს; მთავარ წინადადებაში მოცემულია სათანადო კორელატები: **ესოდენი, ეგზომი, აზომი, იმდენი.** მაგალ., „მას მებაღესა ყოველთა ზედა ხეთა ესოდენი ნამყენი მოემყნა, **რომე** შვილისათვის ზრუნვით სამუშაო აღარ დაეტევებინა რა“. შეიძლება კორელატი გაუჩინარებულიც იყოს.

გავეცნოთ ამგვარი „განსაზღვრებით-განმარტებითი წინადადების“ ნიმუშებს.

რომელ-კავშირის — ზემოალნიშნული ფუნქციით — უხვად გვაწვდის „ვისრამიანი“, იშვიათად „ამირან-დარეჯანიანიც“.

> გულისა ჩემისა ასეთი ცეცხლი აეგზნა, **რომელ** თმობა და სიხარული ორივე დამიწუა (ვისრ. 306,2); ბედსა შენდა ესეთი სინათლე მოუცემია, **რომელ** უბედურსა ბედისაგან ჯანგსა ამოჰკოცო (ვისრ. 83,25); ...და ეგზომი წუარო გამოცემულა, **რომელ** წყლისაგან ავაზა უნავოდ თხასა ვერ შეიპყრობს (ვისრ. 86,2); დელამი და არაბი ცხენოსანი ეგზომი შეიყარა მისსა, **რომელ** ქუიშისაგანცა უმრავლე იყვნეს (ვისრ. 21,14); მას გზასა ზედა დგა კაცი სპილენძისა დიდი, **რომელ** არა მინახავს სხვა ეზომ დიდი (ამირან. 80,29); და მათ კაცთა ჰყავთ ტაიჩი ზერდაკი, თოხარიკი, **რომელ** არ იყო ცხენი მისებრი ქვეყანასა შიგან (ამირან, II, 43,7); იგი ხაზართა მეფი-

სა ძე მშვილდოსანი იყო ე გ ე თ ი რომელ უკეთესი აღარ ეგებოდა (ამირან. II, 84,21).

უმრავლესობა ტექსტებისა, არსებითად აღორძინების ხანის ძეგლები, გვაძლევს რომე-ს ნიმუშებს.

მაგალითები:

ე გ ზ ო ჲ დიდი იყო, რომე ნიშანი არ მიეცემის (ამირან. 11,21, 28); ადგილი რამე მოგხვდებათ ე გ ე თ ი, რომე ამას იტყვით — ძველადგან წყალი დენილაო (ამირან. II. 161,10); შევედით წალკოტსა შინა ე გ ე თ ს ა, რომე არა დგა ქვეყანასა ზედა წალკოტი სწორი მისი... (ამირან. 93,13); მივედით, მოქალაქეთა ზარი ჩნდა, რომ ზმიდიან (რუსთ. 620,1); ა ს ე თ ი ციცი წყარო გამოდიოდა, რომე მაშვრალის კაცის საამოვნოდ კმა იყო (რუსუდ. 946,10); გალავანი მოდაბლო ეცლო, რომე გარედამ მის ბაღისა ხილნარი და შემკობილი ჩნდა (რუსუდ. 776,4); იგი ტევრი თურმე ბაღი იყო ა ს ე თ ი, რომე ერთის ქვეყნის ოდენი იყო (რუსუდ. 775,5); ოდეს გემო ვნახეთ, ის უსაკვირელესი იყო, რომე იმ გემოსი არც არა მიჭამია და არც რა მინახავს (რუსუდ. 770,11); გამოიღეს მრავალი კარგი დარჩეული ოქრო, თვალი, მარგალიტი... ა ზ ო მ ი, რომე ანგარიში არა იქნებოდა (პროზ. შაჰნ. 418); იყო საშინელი მოთქმა და ტირილი, რომე ყურთა კმა არა ისმოდა (პროზ. შაჰნ. 425); თანა ჰყვანან მრავალი სპილო მოკაზმული, რომე მათითა სიდიდითა მიწა იძვროდა... (პროზ. შაჰნ. 432); მას შებაღესა ყოველთა ზედა ხეთა ე ს ო დ ე ნ ი ნამყენი მოემყნა, რომე შვილისათვის ზრუნვით სამუშაკო აღარა დაეტევებინა რა (ქილილ. 166); და მოტყუებითა ლომი ე ს ე თ ს ა საქმესა ზედა დააყენა, რომე ბედნიერობისა და სიმაღლის ფერხი შემუსრვად მოინება (ქილილ. 172); ე ს ე თ ს ა სამართალს ჰყოფდა, რომე მის ქვეყნისა საქმე უფროსი ერთი მას ეკითხებოდა (ქილილ. 188); დაჭრილთა ოქროთა და ვერცხლთა გორი და გორი იდგა, რომე ბიჯი არა წაიდგმოდა (ომაინ. 66); ე ს რ ე თ დიდი კაცი შევიქენ, რომე მის თემის შეფის თავი ვაზირი შევიქენ (სიბრ.- სიცრ. 39,20); კაცმან შეჰირვებულს და გაჯავრებულს ა ს ე თ ი ბრძენი და ტკბილი სიტყვები უნდა უთხრას, რომე იმითი დააწყნაროს (ვახტ. ტკ, სმე.).

რომე-ს გვერდით საშუალო ქართულში „განსაზღვრებით-განმარტებითი" ფუნქცია დაკისრებული აქვს გამარტივებულ რომ-ს; მისი გავრცელების არე ისე ფართო არ არის, როგორც რომე-სი.

მაგალითები:

თვით უბოძა უსაზომო, **რომ** არ ითქმის კაცთა ენით (რუსთ. 1641,3); წავიდნენ მომნახავნი და ეგზომი ნადირი ჰპოეს, **რომ** ანგარიში არ იქნებოდა (ამირან. 11,3,16); ესეთი ლხინი ნახეს, **რომ** მისთანა ლხინი არაოდეს ენახა კაცის თვალსა (რუსუდ. 921,5); ასეთი ჯარი გამოვიდა ქალაქით, **რომ** ქვეყანა აივსო (რუსუდ. 937,4); ესრეთ ქურდობა დაიწყო, **რომ** არა ეგებოდა რა (სიბრ.-სიცრ. 49,19); კიდევ ყაენის ბრძანება იქნა, **რომ** ჩერქეზი შაქისის სულთანი სარდრათ უჩინეს (ფარსად. 219); თვითო ისფერი მაზარა ესხათ, **რომ** ადგილზე ხუთს ადლს მეტს მიათრევდენ (საბა, მოგზ. 32); თქვენც იმგვარი ფასი მოგვეცით, **რომ** გული შეგვჯერდებოდა (დოკუმენტ. ბერძენ. 634,6).

ახალ ქართულში დამკვიდრებულია **რომ**.

გავეცნოთ ტიპობრივ კონტექსტებს:

მე იმისთანა ხასიათის კაცი ვიყავ, **რომ** გააფთრებულს, გულაფეთქებულს, ცეცხლმოკიდებულს იქნება უეცრად კაცი შემომკვდომოდა (ილია 316,23); წვივები ისეთი სქელი ჰქონდა, **რომ** ჩვეულებრივი ადამიანისა თითო შიგ სამი გამოიჭრებოდა (ვაჟა 111); ხელობა ისეთი ებარა, **რომ** ძლიერ საჭირო იყო ყველას შიში და კრძალვა ჰქონოდა მისი (ვაჟა 24); ...ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, **რომ** კაცი ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდა (ყაზბ.52).

თავი მეხუთე

კავშირები დიალექტებში [1]

ხალხური მეტყველებისათვის ნიშანდობლივია ასინდეტური კონსტრუქციები; ჰარბობს უკავშირო თანწყობის კონსტრუქციები, როდესაც მარტივი წინადადებანი ლოგიკურ საფუძველზე არიან გაერთიანებული გრამატიკული დაკავშირების გარეშე. იშვიათია დიალექტურ მეტყველებაში ქვეწყობის კონსტრუქციები; ჰარბობს წინადადებათა გრამატიკული დაქვემდებარების გარეშე გაერთიანებული ჰიპოტაქსური შეხამებანი.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დიალექტში არ გვქონდეს კავშირიანი კონსტრუქციები. ქართული კილოების ამ თვალსაზრისით

---

[1] შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი:

აჭარ.: ხუბ.: აჭარული ტექსტები, ჩაწერილი მ. ხებუას მიერ: მ. ხუბუა, „ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა", 1932.

გურ.: ჟღ.: გურული ტექსტები, ჩაწერილი ს. ჟღენტის მიერ: სერ. ჟღენტი, „გურული კილო. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი", 1936.

გურ.: ღლ.: გურული ტექსტები, ჩაწერილი ალ. ღლონტის მიერ: ალ. ღლონტი „გურული ფოლკლორი", 1937.

თერჯ.: თერჯოლური ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ (გამოუქვეყნ.).

თუშ.: თუშური ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ (გამოუქვეყნებელი). გამოყენებულია უმთავრესად პ. ხუბუტიას მიერ ჩაწერილი მასალები.

იმერხ.: იმერხეული ტექსტები, ჩაწერილი ნ. მარის მიერ: TP., VII, 1910.

ინგილ.: იმნაიშვ.: ინგილოური ტექსტები, ჩაწერილი გრ. იმნაიშვილის მიერ, გრ. იმნაიშვილი, „ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი" (საკანდიდატო დისერტაცია: ხელნაწერი), 1947.

კახ.: კახური ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ (გამოუქვეყნ.);

მესხ.: მესხური ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ (გამოუქვეყნ.);

მთარაჭ.: ძიძ.: მთარაჭული ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ: შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის მთავარი თავისებურებანი („ენიმკის მოამბე", II, 1937).

შესწავლა გვეუბნება, რომ საკმაოდ ჩამოყალიბებულია გრამატიკული თანწყობა-ქვეწყობის კონსტრუქცია კავშირების დიფერენცირებული სისტემით.

მაერთებელი კავშირი

დიალექტებში ვადასტურებთ მაერთებელი კავშირის ყველა სახეობას: მაჯგუფებელ, მაცალკევებელ, მაპირისპირებელ და მაიგივებელ კავშირებს.

კილოებში საყოველთაოდ გამოყენებულია და კავშირი. თავისებურია მისი გამოყენება მთის კილოებში: და-ში ა ჩამოკვეცილია და დ ეკვრის წინამავალ სიტყვას:

მაშინ ქოლდ ძალიან გადეეკიდნესა-დ მესისხლედ ომს იქერდეს (ხევს.); ჯერ ღრიალი დადგაო-დ მემრავ ნატუსრის სულმ აიარაე (ხევს.); იქავ სამალავიაო-დ ის უნდა ამაიღავ (ხევს.); სუყველა ძირს დაეცაო-დ დადგავ ჯღრიალივ (ხევს); დიდება მზესა-დ მზისყოლთ ანგელოზთა (ხევს.: ბარდაე. 11,6); დიდება-დ გამარჯვება შენდა (ხევს; ბარდავ. 15,1); თავის ლაშქარნ თავის კარსა-დ თავის კამალას მოხკრიფნიდით (ხევს.: ბარდავ. 11,23); ისაუბრესა-დ შაკრის პირობა (თუშ.) ჩაიყვანეთა-დ ქახეთ დავმარხეთ (თუშ.),

---

ფერეიდნ.: ჩიქ.: ფერეიდნული ტექსტები, ჩაწერილი არნ. ჩიქობავას მიერ: არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი („ტფილ. სახელმწ. უნივერსიტეტის მოამბე", VII, 1927).

ქართლ.: ქართლური ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ (გამოუქვეყნ.),

ქვემოიმერ.: ქვემოიმერული ტექსტები, ჩაწერილი შ. ძიძიგურის მიერ (გამოუქვეყნ.).

ხევს.: ანდრ: ხევსურული ანდაზები. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მასალებიდან (პირველი ციფრი აღნიშნავს რეულის ნომერს, მეორე — გვერდს. მაგალ., ხევს.: ანდრ. 34, 402).

ხევს.: ბარდავ.: ხევსურული ტექსტები, ჩაწერილი ვ. ბარდაველიძის მიერ: ვ. ბარდაველიძე. აღმ. საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები („მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", I, 1938).

ხევს.: გაბ.: ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით: „წელიწდეული", I—II, 1923—24.

ხევს.: შან.: ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1. ხევსურული, 1931.

ა-მოკვეცილი და კავშირი შესაძლოა შეგვხვდეს ლექსშიც:

ჩაგაგდეს იწროს ხევჩია,
მთაც ზედ დაგხურეს-დ ბარიო,
მეჯალდურის გორს აგკიდეს,
ქისტო, მოგწყურდა წყალიო
(ხევს.: შან. 189,4).

მოუვა ბაღათურაი
ბერაისშვილსა შინაო:
მე-დ შენ შინ რაადაღ ესხედვართ?
ხალხმ ჩვენზე გაიცინაო
(ხევს.: შან. 198,1).

სხვა კავშირთაგან კილოებში ჩვეულებრივია, და მასალების აქ მოტანა საჭიროდ არ მიგვაჩნია, არც... არც, აღარც... აღარც, ვერც... ვერც, ნურც... ნურც.

არამედ დიალექტებში არ გვხვდება არც დაჯგუფებისა და არც დაპირისპირების ფუნქციით. სათანადო კონსტრუქცია ასინდეტურადაა წარმოდგენილი.

მაგალითები:

საკურველი ეგ კი არ იყო, (არამედ) საკურველი ის იყო... (ქართლ.); ჩვენგან ერგების კი არავ, (არამედ) იმათგან გვერგებისავ საქონის მაცემავ (ხევს.); თეთრ გრლ კი არ გადახორწნილ, (არამედ) მოსული (ინგ.: ჯანაშვ. 196, 16); შეჩლს კი არ, (არამედ) ქუვასაც არ მოგცემ (ინგ.: ჯანაშვ. 182, 13); ნახშირი კ'არა, (არამედ) ხუთი ფუთი ოქრო მქონდაო (ბურ.: ქღ. 105, 17); კაც კ'არა, (არამედ) მხეცი მოკალი შენო (ბურ.: ქღ. 99,35).

გავიხსენოთ:

მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, [არამედ]
დაბლა შემოჰკარ რბილოსა.

ამგვარი ასინდეტური კონსტრუქცია არაა უცხო სალიტერატურო ენისათვის.

მაგალითები:

არა თუ აზრი, (არამედ) ყოველი სიტყვის მნიშვნელობა უნდა გვცოდნოდა და აგვეხსნა (აკაკი 436); სხვებს არა თუ არ ჩამოუვარდებოდი, (არამედ) მეტიც ვიცოდი მათზე (აკაკი 431);

მისი არა თუ ახირებულება, (არამედ) ყოველგვარი მოქმედება ბავშვური იყო (აკაკი 437); სამ-ოთხ თვეზედ არამც თუ წიგნის კითხვა შემეძლო, (არამედ) ლოცვებიც გავიზეპირე (ილია 282); არამც თუ ვინანე, (არამედ) დიდად კმაყოფილიც დავრჩი (ილია 258); მარგია კი არა, (არამედ) ხელსაც მიშლის საზრდოს შოვნაში (ვაჟა 94); საზოგადოება წუხს კი არა, (არამედ) ხარობს (კლდიაშვ. 11,319); ...კიტა მისი მოთაყვანე კი არა (არამედ) მისი შეურიგებელი მტერია... (კლდიაშვ. 11, 327).

მაცალკევებელ კავშირთაგან ფართოა გავრცელება აქვს **ან, ან... ან-(და)** კავშირს:

ან ძაღლი მამაკლეინე, **ან** ეგ ტურაი (ქართლ.); მეკელის გვარისამ რომ მეთაქეთა ვინ გალანძღან **ან** ყმაწვილი, **ან** დიაცი, **ან** კაცი... (ხევს.: გაბ. 140, 27); კლონ სამ ღოჩ, **ან** ერ მოზორ და ორ ყოჩ, **ან** ერ ქათამ და ორ ყოჩ, **ან** ორ ქათამ და ერ ყოჩ (ინგ.; იმნაიშვ. 39); აქანაი **ან** გელს უნდა შიეჭამა, **ან** დათვს და **ან** რაცხა ნადირს (გუშ.: ღლ. 233, 31); **ან** იქით გამეეიყვანოთ, **ანდა** თავის შესაქცევათ არღანი უყიდოთ (გუშ.: ღლ. 194, 25).

გვხვდება აგრეთვე **თუგინდ (ა), თუნდ(ა)**:

თუგინდ წამომყე, **თუგინდ** აქ იყაი (ქართლ.); **თუგინდა** მოი, ბიძია, **თუგინდა** არა (ქვემოქიმერ.); ჩემ ბორჯი არა, **თუნდა** გაჩნდეს, **თუნდა** ნუ (ინგ.: იმნაიშვ. 253); ეგ **თუნდ** იყოს, **თუნდ** არა (ქართლ.); **თუნდა** მომიყვანე ბაღანე და **თუნდა** წყალში გადეისროლე (ქვემოქიმერ.).

მაგრამ უფრო ნიშანდობლივია **გინდ(ა)**:

გინდა წაიყვანონ მეწისქვილე, **გინდა** არა (ქართლ.); შეთე **გინდ** იქ იყოსაჟ, **გინდ** აქაჟ (თუშ.); ქალ **გინდა** წაყვანილ იყოს, **გინდა** ლიშან — მიცემულ... (ხევს.: გაბ. 136, 12).

გავიხსენოთ გამოცანა:

გინდ შეწვი და **გინდ** მოხარშე, **გინდ**
კერიდგან დასძარიო, **გინდ** გასცერი,
გინდ გამტკიცე, ის დარჩება, რაც
არიო.

თუ-ს მაგალითებია:

სად არი, მინდორში თუ სოფელში? (ინგ.: იმნაიშვ. 285); მეზობლებ იქნებისა, თუ ძმები (ხევს.: გაბ. 139,5) და მისთ.

ყველგან გვხვდება **ხან... ხან**:

ხან რძალსა სცემდა, **ხან** სიძესა (ქართლ.); **ხან** ქოსტსა მაბკ-

ლავს, **ხან** ქართველს (ხევს.); **ხან** ეკლესიას შამოუელიდა გრულიაშემო, **ხან** ნიგვზის ხეს (ქვემოქიმერ.) და მისთ.

მაპირისპირებელი კავშირებია: **მაგრამე — მაგრემ — მაგრამ — მარამ — მარა, ოღონდ, ხოლოთ, კი...**

მაგრამ

გავრცელებულია აღმოსავლურ კილოებში:

გაუშვა ნახევარი წყალი იმათკენა, **მაგრამ** პატარა სოფლის საქონელი კიდე ვერა ძღებოდა (ქართლ); კოცენ ქისტებს, **მაგრამ** თაოდაც ბევრი კვდების (ხევს.: გაბ. 166,16); ამით ზოგ ღრიდებს მასაყვანად, **მაგრამ** ზოგ კი არას ჩახედავს... (ხევს.: გაბ. 136,30); ბევრას ცულს ჩადის, **მაგრამ** ორ იმოდენს კასაც ჩადის (ხევს.: გაბ. 124, 3); გამაზდგომივ ამ ქალს, **მაგრამ** ვერ დაუჭერავ (ხევს.: გაბ. 180,22); უსრიავ ლეკებს თოფ, **მაგრამ** ვერ მოუხვედრებავ (თუშ.); სძინავის, **მაგრამ** მთხილად კი არის (თუშ.); ინანა თავის თავზე, **მაგრამ** რალა იქნებოდა (ინგ.: იმნაიშვ. 297).

მაგრამე

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს მთის კილოებში:

ბევრ უძევავ, **მაგრამე** ვეღარ უნახავ (ხევს.); ამის მოქმედი მინდია იყავ, **მაგრამ** მაინც არ გატეხეს (ხევს.); ჩუენ გონთ ვართატ, **მაგრამეუ** ყაჩაღებთ დაგვცვარცვესატ (თუშ.).

მაგრემ

ახასიათებს ხევსურულ კილოს.

არხოტიონთ იცოდეს კი, რომ თათარა იყვ, **მაგრემ** უთბრეს..., დაიქცნეს, **მაგრემ** სოფელშიაც ხალხი ქვაბის კმაზე კარში გამაყრილიყვა-დ...; ბევრ უშალეს ამხანაგებ, **მაგრემ** თათარამ მაინც არ დაიშალ; დადიოდეს არხოტიუნებ, **მაგრემ** საშიშ კი იყვ.

მარამ

დადასტურებულია ზემოიმერულში.

ხუთ წელიწადს შეინახა თავი, **მარამ** მერე გაცეს სვირში; ეს ასე იქნება, **მარამ** მოკლავსო; დაჯედიო, **მარამ** არ მიღალატოო.

ნიშანდობლივია დასავლური კილოებისათვის; გვხვდება მესხურშიც.

ჰინკას გადახტომა მოუნდომებია, **მარა** ამ კაცს მაგრათ მოუჰირებია ხელებში ხელი (ზემოქიმერ.); შეწუხთა, **მარა** რა გეეწყობოდა (ქვემოქიმერ.); უყურა დიდხანს, **მარა** არ გამოჩთა (ქვემოქიმერ.); გუუშინჯენ ფეხი დედრაცვალის ქალიშვილს, **მარა** ჭოკი ჩუუდა შით (გურ.: ყღ. 103, 33); წეიღო ბულთი, **მარა** არ გაატანენ (გურ.: ყღ. 100, 21); პაწია ქე ეცოტავა ფარა, **მარა** რაღას იქდა (გურ.: ღლ. 162,19); ბეჭრი ეძებეს, **მარა** ვერ ნახეს (გურ.: ღლ. 198, 4); მეტყუანეთ, **მარა** არა კაცსაც არ იჯდუმლებს (იმერხ.: მარი 66); ალაგი მქონდა, **მარა** საჯმელ-სასმელი არა მქონდა (მესხ.); მერე კი ავაგეთ, **მარა** დატანჯვით ავაგეთ (მესხ.).

დადასტურებულია ინგილოურ კილოში.

ბევრ ეზახა თავი დაკარგულ შუღს, **ამმა** ჯმაჲ ვერ მიაწდუნა (ჯანაშვ. 190, 11); კაცს მაშინ თებში ჰუცხოვრი, **ამმა** წყალს იქაც არ მოუსწორბი (ჯანაშვ. 208, 24); ზე არ დამიღრტ **ამმა** მიტირნი (იმნაიშვ. 128).

ეგ კავშირი აზერბაიჯნულიდან შემოსულად ივარაუდება, ამავე ენიდანაა შემოსული, აგრეთვე, მაპირისპირებელი კავშირები **ანჯახ თექ**[1]...

გვხვდება **ოღონდ, ოღონც:**

ამ ხმალ გაჩუქეფ, **ოღონდ** მაარჩინეო (ქახ.); შეგირთავ ცოლად, **ოღონდ** დამახოციევო (ქვემოქიმერ.); მიცემ, **ოღონდ** შენ იცოცხლეო (ქართლ.); ემის წამალ გასწავლი, **ოღონც** ამ თავ ნუ მოიმჭრიო (ქართლ.) და მისთ.

ოღონდ-ის მნიშვნელობით ძალიან გავრცელებულია **ხოლოთ** კავშირი:

ეხლა ჯერ უნდა გეეჭცეს ბეჟანი, **ხოლოთ** მიჯნას არ უნდა გადაასცდეს (ქართლ.); ისე გაამდიდრდებიო, რო შენ თავს შენ დანატრიდეო, **ხოლოთ** არ დაგავიწყდეს შენი სიღარიბეო

[1] გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 262 (ხელნაწერი; დისერტაცია).

(ქახ.); გზასავ მე გასწავლი, **ხოლოთ** არავინ გაიგასავ (ხევს.); ზედ გადმააშალ ტყვიამ, **ხოლოთ** კაცს არ შახვდ (ხევს.);... ვოზდავოთხი სოის პესნეფს უკრავს თავისით, **ხოლოთ** საჭირო არის მსურველმა უთხრას... (გურ.: ღლ. 194,16); ცოლმა იყიდა კუბო და ჩაასვენა შით, **ხოლოთ** კუბოს პაწაი ჭიტინა გუუკეთა (გურ.; ღლ. 183, 14).

მაპირისპირებელი კავშირი **კი** ფართოდ გავრცელებული სიტყვაა.

დავიმოწმოთ ზოგიერთი მაგალითი:

თითონ იქ წავიდა, კვიცი **კი** მიატოვა (ქართლ.); წინანდელ დროში სალაჟაზე დევდნენ კდარს, ეხლა **კი** თაბუთს აკეთევენ (ინგბ.: იმნაიშვ. 38); შეთე მოდისატ, შეთე **კი** იქ ხუდატ (თუშ.); ჩემს მოსლამდი აცხოვრეთ ქუხნაში, ლეკვი **კი** ტადაადგეთო (გურ.: ღლ. 233,4). კვტარი, დამარხა, ბზისუნახავი **კი** წამეიყვანა (ქვემოიმერ.).

გავიხსენოთ ძველი ანდაზა:

ბალახი ნაგზაურისა, ქალი **კი** აზნაურისა.

მაიგივებელ კავშირთაგან დამახასიათებელია **ანუ**-ს გამოყენება: მემრ კელოსანი **ანუ** ხუცესი ეტყვის... (ხევს.: გაბ. 144, 10); მაყრებ **ანუ** მყოლნი ორთ მისულნი (ხევს.: გაბ. 200, 19); მაგი უჩიტელია **ანუ** მასტავლებელი (ქვემოიმერ.); და მისთ.

გაქვემდებარებელი კავშირი

დიალექტებში დადასტურებულია ყველა სახის მაქვემდებარებელი კავშირი. ესენია: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, სივრცითი, დროულობის, მიზეზობითი, მიზნით, ვითარებით-შედეგობითი, ვითარებით-შედარებითი, პირობითი, პირობით-შედეგობითი, დათმობითი კავშირები.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ქვემდებარული კავშირები

სუბიექტურ კავშირებად კილოებში გამოყენებულია:

რომელიც	**ვინც**
რომენიც	**რაც**
რემენიც	**რო(მ)**

გვხვდება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში. იგი მოვიდეს, **რომელიც** ერევნელია (ქართლ.); **რომელსაც** მოხვდება, აღებულია (ქახ.); ციხეშიდ **რომლებიც** შეხიზნულებ იყუნესატ, იმათატ ძალიან წყლის მწყურვილმა შეაწუხატ (თუშ.); და წასულან რამოდენიმე, **რომელიც** ყოჩაღი ყოფილან (მთარაშ.: ძიძ. 98); და ერთი, **რომელიც** გაბედული იყო, შესრულა სარკმელზე (მთარაშ.: ძიძ. 98); **რომელმაც** მეტი სიმცრუე ვილაპარაკოთ, იმან შეჭამოს კვერიო (გურ.: ღლ. 228, 21); **რომელმაც** დამიპირდაპირდა, დასტურ კაი ყაძახი იყო (ძველმოიმერ.).

გვხვდება ხევსურულ კილოში.

რომენმაც იღერა, თასში აშველიებს (გაბ. 127, 16); **რომენსაც** დაკარგული აქე რაი, ეტყვის (გაბ. 138, 25); მაშინ მკდართ შასწირავს, **რომენიც** დაასისხლიანებს (გაბ. 137, 24).

დამახასიათებელია ინგილოური კილოსათვის.

რემენიც ამ შეახს არ უყერებდა, აჲ, ემ ღამე იმათა წაასლრლი იქნენ (იმნაიშვ. 286); **რემენსაც** ქეჲფში შეჰდის, ისნები მოვლენ (იმნაიშვ. 257); **რემენსაც** ქარ მოჰპარეს, იმამ იჩივლა (იმნაიშვ. 284).

დამახასიათებელია ქართული კილოებისათვის საზოგადოდ.

ვინცა გვნახავს, ამას გვეტყვის (ქართლ.); მომატყუილა, **ვისაც** ვენდობოდი (ქახ.); ახლა რო გაიგეს, **ვინც** ნასალდათარ ვაჟებ იყვა... (ხევს.: გაბ. 201,9); **ვინაც** ნასალდათარი-ას. სრუ მიუდის (ხევს.: გაბ. 200, 29); წამადგებიან, **ვინც** წინავ მისულები ას ხალხი ან ჯვარიონნი (ხევს.: გაბ. 125, 24); მაშინ წამავლენ, **ვისაც** შაწევა უნდა (ხევს.: გაბ. 129,27); წამაიღით, **ვისაც** გინდათ (ხევს.: გაბ. 188, 18); **ვინც** იმას ხმას ამოალებინებდა, იმას უნდა მიხყოლოდა (მესხ); **ვინც** გაიხიზნაუ ციხეშიგ, შევიდენაუ (თუშ.); **ვისაც** ავცაცობა აბსოვს, ჯოხს ურტყამს (მთარაშ.: ძიძ. 94); **ვისაც** მიერგებოდა აი ტუფლი, უნ-

და მიეყვანენ ხენწიფესან (ბურ.: ელ. 103. 24); კვერის გამოცხობაში ვინც უცეთესი ზღაპარი ქუას, იმან შეჰამოს იგიო (ბურ.: ღლ. 226, 30); ვინც მაზე დაქორწილდება, ერი დღის მეც ვერ ძლეფს (ბურ.: ღლ. 211, 30); ვისაც გული ერჩის. მობძანდეს ერთი (ქვემოიმერ.); იმან დეიტრაბახოს, ვისაც მაგისთანე შვილი გოუზდია (ქვემოიმერ.).

რაც

იხმარება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში. მთის კილოებში -ც ნაწილაკი ერთვის რა-ს სახელობითი ბრუნვის ი-ს ჩამოუცლელად.

ჩვენგან გაცემული გაქვთაე, რაიც ადგილ-მამული გაქვთაე ეგიცაე (ხევს.: ანდრ. 34,402); რაიც თასგანა იყვაე, სუყველა ძირს დაეცაოდ... (ხევს.: ანდრ. 34, 563); რაღიც ნათესავებს მოაკვლია, ის კიდევ ცხვათა (თუშ.); შეიყარნენ, რაც ყოჩაღი კაცი ღებში არი (მთარაშ.: ძიძ. 99); რასაც ხედავთ და კეთდება, ჩვენი შესაქმელია (ბურ.: ღლ. 238, 11).

რო(მ)

სმაი ას ის, რომ წინაე ძველებს სცოდნიეს (ხევს.: გაბ. 125, 12); ვინ ხარაე, რომ ჩემთან საომრად შახოლაე? (ხევს.: გაბ. 181,16); მარტო ეს კი არ ას ანდრეზად, რომ ეს კაც გაბურ ყოფილას (ხევს.: გაბ. 155, 5); გოხებშიგ რო ნაფუძრებია. ეგ როდინდეღია? (თუშ.); წინადღეს რომ ერთი ქეღოღლანი მევიდა, ის ხიზმეთ ურჯება ამ ცხენსა (იმერხ.: მარი 62).

2. დამატებითი კავშირები

კილოებში დამატებით კავშირებად გამოყენებულია:

რაც, რაიც	რომ
ვინც, ვინაც	რო
რომელიც	რომა
რომენიც	რუმე
რომე	რუმ
თუ	

რაც საზოგადო დამახასიათებელია ქართული კილოებისათვის.

შეჰამდა, **რასაც** ინადირებდა (ქართლ.); ჩააწოდა ის, **რაც** გაატანეს (ქახ.); ადგეს და დაიწყვეს, **რაც** უნდოდ ქორცი (ხევს.: გაბ. 196,20); და წამაიღეს, **რაც** უნდოდა ქონება თან (ხევს.: გაბ. 166,20); **რაცღა** გუნდოდა, ვიყიდეთ (ფერეიდნ.: ჩიქ. 225); მაგისთუნ **რაც** საჭირო არი, მე მუამზადებ (ინგ.: იმნაიშვ. 256); **რაც** ფული ეიღო, დაბარჯა (ქვემოიმერ.); ყოლიფერი უთხრა, **რაც** ვაჭარმა დუუბარა (გურ.: ღლ. 194,6).

რაიც გვხვდება მთის კილოებში და ინგილოურში:

თუ უველაი-ვთქვით ის, **რაისაც** კიდე გამასადეგი ას, ეშმა გაგვიწყრების (ხევს.: გაბ. 157, 32); ..გაიგებს, **რაიც** სჭირს (ხევს.: გაბ. 153, 4); **რაიც** მაპარული აქვ, შვიდეულად უნდა ჩააბარას პატრონს (ხევს.: გაბ. 139, 21); კურდღელამაც უამბ, **რაიც** იმათ უთხრეს (ხევს.; **რაღიცაღ** მომივ, მომივ (თუშ.).

მ. ჯანაშვილის ტექსტებიდან ჩანს, ინგილოურში ი დასუსტებულია: **რადც**.

მეშლან **რადც** გინ, აას მიყავ (183,7); **რადც** ქოყანაზე გოლ ეყო. დეეგრუებინაყ (197,9).

ვინც საერთოა კილოებისათვის.

დაუძახე, ვისაც გინდოდეს (ქართლ.); დაითხოვა, **ვინც** იქ იქნებოდნენ (ქახ.); **ვინც** ვაშკაცი ხართ, იმას მოვკლავ (ქვემოიმერ.); ჩემ ბზისუნახავ იმას მივათხოვეფ, **ვინც** ლაპარაკით ჩემს რძიან ქაფს ადღუღეფსო (გურ.: ღლ. 185, 24).

ვინაც გავრცელებულია ხევსურულში.

ვინაც მე შამამაგდ ჯვარის კარში, იმას მიზდიე (გაბ. 139, 10); არხოტივნები **ვინაც** იქ იდგეს, ამათა... თვალ მაბკიდ.

ახასიათებს საერთოდ კილოებს.

გამაუგზავნა, **რომელიც** ლამაზი იყო (ქართლ.); **რომელიც** კარგი შვილი მყამდა, დავკარგე (ქახ.); **რომელიც** კაი ზვინი იყო, იმას წაიღებდნენ (მეხახ.); **რომელიც** ლამაზ იყოტ, ის ქალიტ ბელადმ დიდირჩიატ (თუშ.): **რომელსაც** ხელს მოვკიდეფ, იგი წამეიყვანე (ქვემოიმერ).

დაცულია ხევსურულ კილოში.

და **რომენიც** კაი დიდი ჯიქვის რქანი იქნებიან, შენ შამაგწირავთ (გაბ. 193,19); **რომენიც** მაეწონების, იმ ას შესწირავს ძმასაო (გაბ. 165,13); **რომენიც** ჯიქვი ჟჯობდა, იმ ას ესრივ; **რომენიც** გახუას გახყევებოდა, იმ ხატს ჩაცვეს.

არსებითად დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის.

ამ ქალმა შეაწამა, **რომე** ეს არის ვაშკაციო (ზემოიმერ.); ასრე უთხარ, **რომე** მთაზედაო მამაჩემი ვისმე მოეკლაო (მთარაჭ.: ძიძ. 90,5); ნახეს, **რომე** ბამბას ახოვდა (ქვემოიმერ.); ხალხი ერხმათ შესძახებდა, **რომე** არაა საჭიროვო (გურ.: ჟღ. 100, 7); მებაღემ უუხსნა, **რომე** ასე და ასეა საქმევო (გურ.: ღლ. 194, 1); ბიჭმა უთხრა, **რომე** აი ბეჭედს რა მარიფეთი აქ? (აჭარ.: ხუბ. 30); კითხა, **რომე** სულ კართან ება ის ხმელი ცხენი? (იმერხ. მარი 62).

რომე არ არის უცხო თუშურისთვისაც;

ერთხენ მურთაზმ გიღუ **რომეუ** ერთიუ განთქმულ მეომარი ყოფილიყუ; დაგრ ეთქუ, **რომეუ**... ერთ ამბავს გეტყვითაუ მემრინასეუ გევიგეუ **რომეუ** იმ ალაგ რევაშიგ ორ მომეკლაუ.

აქვე შევნიშნავ: **რომე** ნიშანდობლივია ობიექტურ წინადადებაში, ხოლო პირობითსა და დროის გარემოებით წინადადებებში გვხვდება **რომ**.

გვხვდება საერთოდ კილოებში:

ნახა, **რომ** ჯიხვები მოგროვილან (ქართლ.); უთხრა, **რომ** მოვიყვანო (მესხ.); გაიგეს, **რომ** ეს ქალნი ტყვედ წაასხნესავ (ხევს.: გაბ. 166, 25); მაგრამ ის კი არ იციან ამ მამაძაღლებმა, **რომ** ახლა არხოტის ჯვარი რას ამბობს (ხევს.: გაბ. 165, 21): უნდა, **რომ** გატეხოსა (თუშ.); გავგი, **რომ** შენც გყავ ერ ქალი მოჰსწრობილი (ინგ.: იმნაიშვ. 288); ნახა, **რომ** ერგან ათიშ არი (ინგ.: იმნაიშვ. 237); ახლა მიხთა ხუცესმა, **რომ** ბერიკაცმა ასთე ეშმაკურათ მოატყუა (გურ.: ღლ. 164, 20); როცა უნდა, **რომ** გევდე კარშიო... (აჭარ.: ხუბ. 36).

უმთავრესად გავრცელებულია აღმოსავლურ კილოებში, განსაკუთრებით ბარის კილოებში:

თქო შეხვორემა, **რო** მე წავალო (ქართლ.); გაიგო, **რო** საქრისტიანოში ამოიდა ყარამბოგლი (ქართლ.); ნახეს, **რომ** ყურის ბიბილოები აღარა ჰქონდა (ქართლ.); დაუძახეს, **რო** მოგებული ხარო (კახ.); უნდოდა, **რო** მეეკვლეინებინა ვისთვინმე (კახ.); გაიგა, **რო** თავის ამხანიგები ას (ხევს.: გაბ. 195, 27); ...იტყვი, **რო** სიმთვრალით მამცესავ (ხევს.: გაბ. 130, 15); იმას ეგონ, **რო** სამთავ დახკოცსავ (ხევს.); შამილმ იფიქრ, რო თუშებიტ ისთაფ ხალხიატ... (თუშ.); თქო, **რო** ჩავალ (ფერეიდნ.: ჩიქ. 242).

გვხვდება აღმოსავლურ კილოებში, უმთავრესად ბარისაში:

უთხარი, **რომა** ჩამოვიდეს (ქართლ.); გავიგევით, რომა ქორწილი იქნებოდა (ქართლ.); ნახა, **რომა** ხეირი არ იქნებოდა აქედანა (კახ.); დამიძახა, **რომა** შენთუნ ვიბრძვიო (მესხ.).

შეიმჩნევა შემდეგი ცვლილება: **რომა** მაშინ იხმარება, როდესაც თვალსაჩინო პაუზასთან გვაქვს საქმე: კავშირის მომდევნო ნაწილი ფრაზისა გარკვეული დაყოვნების შემდეგ ითქმის:

გავიგე, **რომა**.. ცხენი გიყიდნია.

დადასტურებულია აჭარულ-გურულში (**რუმე**) და ინგილოურში (**რუმ**).

ძაღლმა უთხრა, **რუმე**... ის ვარ (აჭარ.: ხუბ. 32); ვნახოთ. **რუმე** ერთი კურდღელი ჩასულა შით... (გურ.: ღლ. 229, 19); ი ს ი ც გეყოფა, **რუმ** მამატყუვ (ინგ.: ჯანაშვ. 182, 13); **რუმ** ოთხ შავ გრლს ერთ თეთრ გრლ დაუჭერიაყ (ინგ.: ჯანაშვ. 196, 10); თქო **რუმ** დიდ ზმაჲ ტალყონ (ინგ.: იმნაიშვ. 124); ...ატყოვინევენ, **რუმ** მუან კაც მამკდარ (ინგ.: იმნაიშვ. 37).

თუ

გვხვდება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში.

არ იცოდნენ, **თუ** ნიზნაი იყო (ქართლ.); ახლა იმას ეგონა, თუ დღეს დემეძინაო (კახ.); ამ ყმაწვილმა რა იცის, **თუ** იქ ამ

ეშმაის ფირჩხილები ას (ხევს.: გაბ. 157, 14); კაგამ სრუ არ იფიქრ, თუ ესეები ღილღვლებ იქნებოდესა (ხევს.); უთხრეს მზირთა ერთუცს, თუ „რა უყოთ, რო ვერ ვიცნობთ?“ (ხევს.: გაბ. 177,3); სუყველად გვიამბეტ, თუ რაცგვერ დაკოც ყაჩაღები? (თუშ.).. გამეერცვიენ, თუ ცის მიერგებოდა ტუფლი (გურ.: ყღ. 103, 24); ...ფიქრავს, თუ რას იტყვიან ახლა მისი ამხანაკები (გურ.: ღლ. 237,11); უნდოდა გიეგო, თუ რაით ხდებოდა კაცების ჩიკტილი (გურ.: ღლ. 212, 5); იციც ტეიგონა, თუ რა კიუილ-ჩხიუილით გამუასვენეს (ქვემოიმერ.); ილაპარაკა, თუ რავა დეეკარქა ბეჭედი (ქვემოიმერ.).

ობიექტური კავშირების საკითხთან შინაგან კავშირშია „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკების საკითხი.

პირველ პირთან მეთქი ახასიათებს კილოებსაც, ოღონდ აღსანიშნავია, რომ აღმოსავლურ კილოებში, უმთავრესად კახურში, მას პრეპოზიციური მდგომარეობა აქვს: ზმნა-შემასმენელს წინ უსწრებს; მეთქი არ მიუდიეარ; მეთქი არ გაჯვარდეს და მისთ. გურულ-აჭარულ დიალექტებში მეთქი წარმოდგენილია მეთქინ-ის სახით:

მიორე რომ აეწიე, დავარტყამ მეთქინ, კლავში მეტეკა (გურ.: ყღ. 97, 25); მე ვთქვი... ფულს ყოლიფერი შეუძლია მეთქინ (გურ.: ღლ. 195, 15); გუვუცხადე, დურსუნა მოვა მეთქინ (აჭარ.).

იმავე გურულში მეთქინ-ის პარალელურად. პირველ პირშივე, გვეკლინება თქვა ნაწილაკი. ასეთივე ვითარებაა ქვემოიმერულსა და ზემოიმერულშიც:

...ვეტყვი, დიაკონი მოკლა ვინცხამ და მიშველე-თქვა (გურ.: ღლ. 191, 24); ...გეტყვი, ქვით დახლინდარო თქვა (გურ.: ღლ. 163, 19); დეიკარქე, შე მუნიანო-თქვა, მივაძახე (ქვემოიმერ.); დოუძახე ინანეფ-თქვა (ზემოიმერ.).

მეორე პირთან იგივე თქვა ნაწილაკი იხმარება დასავლურ კილოებში (სალიტერატურო ენისა და აღმოსავლური კილოების თქო-ს ნაცვლად):

...თქვი, ქვით-თქვა (გურ.: ღლ. 163, 19); მე რომ დაგინახე, გულზე შემომეყარა-თქვა, ასე მოახსენე (ქვემოიმერ.); უთხარი, არ მიყვარხარ-თქვა (ქვემოიმერ.);

მთის კილოებში მეთქი—თქო-ს ფუნქცია დაკისრებული აქვს ო-ს (ტ, ვ), რომელიც საერთოდ ქართულ ენაში მე-3 პირის „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკადაა დამკვიდრებული:

მე უთხარ, რამდენ წლის იქნებოდიო? (თუშ.); (შენ) გამაუ-

ცხადე, რომ გველეთ უნდა წავიდათავ (ხევს.;) და მისთ. შდრ. ვაჟადან:

დედაჩემს შავეხვეწე, ტყვია-წამალი მიყიდე და დამბაჩა მიყიდეო („პატარა მწყემსის ფიქრები"), მაშინ გულდამშვიდებულმა ვსთქვი, არა ვარ გამშრალი, არაო („მთის წყაროო").

მესამე პირისათვის კილოები იყენებენ ო-ს. მთის კილოებში და ინგილოურში ო-ს დასუსტების გზით გავრცელებულია უ (თუშურში) და ვ (ხევსურულსა და ინგილოურში). ო-ს დასუსტება გამოწვეულია წინამავალი ხმოვნით, რომელიც შეიძლება იყოს ან საბელობითი ბრუნვის ნიშანი, ან მოთხრობითის ხმოვნითი ნაწილი, ან პირის ნიშანი (ა, ო), ან მწკრივისა:

ეტყვიან: „ჩვენ მეკელამავ ცხენით გაიარავ..." (ხევს.: გაბ. 141, 4); ეტყვის: „აისი-და-ის კაც მამგვარევ" (ხევს.: გაბ. 128, 4); იტყვის: „მაშინ რადაღ მინდავ სიცოცხლეივ..." (ხევს.: გაბ. 134, 18); ჰუთქომ: ქალს არ გაზლევ (ინბ.: ჯანაშვ. 188, 23); იტყვიან: მეშტიდე წელშაე ტყემაე ფოთოლ აღარ გამიღსაე (თუშ.).

ო-ს დასუსტებას იწვევს აგრეთვე უფუნქციო ა, ფრიად გავრცელებული მთის კილოებში:

უთხრ,... მზად ვართაე; გიორგის ეთქე ამხანაგებისად; აბა კარგადაღ უყურეთაე ბელადსაე; ატყობიებენ, რომ მოვდითავ (გაბ. 131, 26); ფიქრობდ: მე ვინ რას მიზამსავ: იმას ეგონ, რო სამთავ დახკოცსავ.

გვხვდება ინგილოურშიც.

ჰუფიქრნი: დერიაში ჩამაგდებსავ (ჯანაშვ. 198, 20); ქალებს ჰუთხრაყ: ქალმებ გამჯადითავ (ჯანაშვ. 192, 1); ამბობს: მე შენ მამაჲ ვარავ (იმნაიშვ. 123).

ეს ა გამოყენებულია მხოლობით რიცხვში: იღებსა, მოხკლავსა, მიგიღესა, უბოძეთა, ამბობა, ეღირსებოდესა, იღებდენა, ვარა და მისთ. იგი ჩვეულებრივია მთის კილოებში. ჩვენ მას „ზმნის მავრცობ ა-ს" ეუწოდებთ.

„სხვათა სიტყვის" ნაწილაკები ჩვეულებრივ ერთვიან კავშირს. მაგალითები:

დაუწყავ გონობა, **რომავ** ამ საწყეს ლიშანმ რაად მითხრაკ? (ხევს.: გაბ. 180, 15); ბაგრ ეთქე, **რომეფ** მომცემთაე (თუშ.); ახლა ის გურგენი ელაპარაკება, **რომაო** შენ ვინა გდიხარო? (ქახ.); ეთერს შაუთვლია, **რომაო** მეც საწყალი ვარო (ქართლ.); ფალიამ მიაძახა კაცს, **რომოო** მაით ძაღლები ხო არ არისო (ზემოიმერ.); უთხარი, **რომე-თქვა** ვინ გდიხარ-თქვა

(ზემოთიმერ.); ღარიბმა უთხრა, **რომევო** მამაჩემს ხაცდა ხუთიათასი ბუკი სკაიო (გუშრ.: ღლ. 229, 1); ...თქვა, **რუმეევო**... მე მაყრათ ვახთიო (გუშრ.: ღლ. 228,23).

სალიტერატურო ენისათვის ნიშანდობლივია „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკების დასმა ფრაზის ბოლოს რდგომ სიტყვასთან. კილოებს ახასიათებთ ამ ნაწილაკების გამოყენება ფრაზის თითქმის ყოველ წევრთან; ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერება არ შეიმჩნევა:

დედამ მითხრისატ: სამჯერატ ჯარ მოგდატ ხისოატ, ძალიან დიდ ჯარ მოგდატ, სუ ყანუანიტ სულ კელთ ეჭირატ, ჩიგლაურთი ცატ ბარგ გავზიდეთატ, კდეებშიცატ ქაქ რა გამოვლენატ (თუშ.); მინდიამაც უთხრ, რო მიავ ტყვეი ორავ გამაპარულიე (ხევს.); ზოგ ეტყვის: არ წამავალავ, არ მინდავ არაყიე, თივას ქვე მიეცემავ (ხევს.: გაბ. 130,3); ქალმა უთხრა; შენაო, მაგნაირად რომ წვებით ჩემთანაო, აქნამდის რა იყოო, რა ვქენითო (ზემოთიმერ.).

არაიშვიათია კილოებში ამგვარი ტიპის შემთხვევებიც: და კავშირიან შერწყმულ წინადადებაში — ერთგვარშემასმენლიანში — verba declárandi ჩავარდნილია და ამგვარად და კავშირი უშუალოდ უკავშირდება პირდაპირი მეტყველების გამომხატველ წინადადებას:

ტაბახმელელი ქოსატყუილაი იქით გარბის და: „ვერ მოგატყუილეო“? (ქართლ.); მივიდა ეს ტროყიაი და: „არ საკურველი რამე ვნახე, რას ვშვრებიო?“ (ქახ.); მივიდა მზეთუნახავი და: „აპა ოქროს ბეჭედი და შენ ჩემი ცოლი ხარ დღეიდანა“ (მესხ.); იმ საწყალმა კაცმა გარახტნა და: „აპა დემეწიე ახლავო“ (ქვემოთიმერ.); მივიდა და: „როგორაა თქვენი საქმეო?“ (მთარაშ.: ძიძ. 95).

დ ა ს კ ვ ნ ა:

1. ალმოსავლური და დასავლური კილოებისათვის საზიაროა **რაც, ვინც, რომელიც, რომ, თუ**.

2. დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია **რომე**; გვხვდება თუშურშიც.

3. ალმოსავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია **რო, რომა**.

4. მთის კილოებისა და ინგლოურისათვის ნიშანდობლივია **რაიც**.

5. ხევსურულისათვის ნიშანდობლივია **რომენიც**...

6. აჭარულ-გურულისათვის და ინგილოურისათვის ნიშანდობლივია **რუმე, რუმ.**

7. კორელატებია: **ის, იგი.**

8. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიარონია **რაც, ვინც, რომელიც, რომე, რომ.**

9. კილოებისათვის არაა ნიშანდობლივი ერთეულები, რომლებიც დადასტურებულია სალიტერატურო ენაში: **რამეთუ, ვითარმედ, რაჲოდენი, რომელ.**

10. სალიტერატურო ენისათვის არაა ნიშანდობლივი: **რომენიც, რო, რომა, ომ, რუმე, რუმ.**

11. აღმოსავლურ კილოებში (ბარისაში) დადასტურებულია „სხვათა სიტყვის ნაწილაკები: **მეთჭი** (1 პ.), **თჭო** (2 პ.), **ო** (3 პ.). მთის კილოებისათვის ნიშანდობლივია **ო**-საგან მიღებული **ჶ-ჳ**, და იგი გამოყენებულია სამსავე პირში. ამათ ინგილოურიც ეცედლება.

12. დასავლურ კილოებში დადასტურებულია **მეთქინ** (1 პ.) (გურულ-აჭარულში), **თქვა** (1 პ.) (გურულში, იმერულში), **თქვა** (2. პ.) **ო** (3 პ.).

3. განსაზღვრებითი კავშირები

ქართულ კილოებში განსაზღვრებითი კავშირებია:

რომელიც	**რომ, რო**
რომენიც	**სადაც**
რემენიც	**საცხა**
ჰემენიც	**ვინცხა**
რომელიცხა, რომელიცახე	

რომელიც

მიმართებითი ნაცვალსახელი **რომელიც** საკმაოდ გავრცელებულია, როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში:

> მე ვიყავი იმის ბიჭიო, **რომელმაც** გამოიტანა ის უკვდავების წყალიო (ქართლ.); წავიდა ეს ბიჭი თავისი მამაჲთან, **რომელმაც** გააგდო წინათი (ქართლ.); შაირთო ის ქალი, **რომელიც** აჩენილი ყვანდა (ქართლ.); ...დაუგვია ნეხვი და გადაუყრია ერთ მეზობლის კარებზე, **რომელთაც** ქორწილი აქვთ (ქართლ.); გავიდა იმის დეიდაჲსთანა, **რომელთანაც** იყო (ქართლ.); **რომელიც** ქუდით გაჩნდა, იმ ბიჭს ხუთკუნჭია ერქო (ქართლ.); ეხლა ის დეიდიძმა, **რომელსაც** ტანტრე ქვიან, ეხლა

ის გაიძახის (ცახ.); ეხლა იმ კაცმა უთხრა, რომელიც შაჰხვდა (ცახ.); იმ საწუალ კაცს, რომელიც ყავს ამხანაგი, იმან გაიგო ის ამბავი (ცახ.); იმ საწუალმა კაცმა უპასუხა, რომელიც გამდიდრდა (ცახ.); იმ ცხენზე შეაჯდუნონ, რომელზედაც ხელშეწიფე იჯდა (მესხ.); ძმას წაულალე უნცროსი, რომელიც ღილღოს სჯობისა (ხევს.: გაბ. 178, 28); მისჯდომივე კლდის ფეკს, რომელზედაც შამაივლიდეს აქვანი (ხევს.: გაბ. 184, 29); ხალხი შაუკრაკს ქისტებს მთას და ჭალას, რომელზედაც გასავალი აქე ქისტებს გზაი (ხევს.: გაბ. 190, 25); მასპინძელს წინავ მამზადებული ხყავ ბიქები , ზედამდეგები, რომლებიც არიგებენ ლუდ-არაყს (ხევს.: გაბ. 132,4): ღიღის კაც, რომელიც ქუმელაურთის ციხეშიგ იყუ შევარდნილ, ყოფილ ლეღო ბერიკაძეზედ (თუშ.); ...არის ადგილ, რომელსაც ხქვიანის ჯვარის უანებ (თუშ.); მოსულიყუ ერთი კაცი, რომელსაც გიორგი ხქვივნებიტ (თუშ.); იყო სახელგანთქმული კაჩაღი, რომელიც არავითარ ძრახს არ ერიდებოდა (ბურ.: ღლ. 248, 8); ერთმა ლარიბმა კაცმა ითხუა ცოლი, რომელიც ძალიან ანჩხლი... გამოდგა (ბურ.: ღლ. 224, 34); ...ჩამოყუა დაბლა ეორი ღერი ლამფა, რომელიც საფსე იყო ეოქრუებით (ბურ.: ღლ. 238, 2); მონაჯა მისი ბაბუაი, რომელიც მოხუცებულობასაც და სიღარიბეს წელჩი მიეტეხა (ბურ.: ღლ. 235,35); ..მაშვინათვე ითხუა ცოლათ იგი დაი, რომელმაც ბაღანაი მოპარა უნცროს დას (ბურ.: ღლ. 233,); ხენწიფის შვილმა, რომელიც ციხეში ედანა, აი ანბაი ყველაყაი გეიგონა (ბურ.: ღლ. 218, 14); ბოლოს მივაგენით იმ კაცისას, რომელსაც თქვენი სკაი დიეჭირა და ზედნიდავო (ბურ.: ღლ. 227, 15).

რომენიც — რემენიც — ჰემენიც

რომენიც რელატიურ წინადადებაში დამახასიათებელია ხევსურული კილოსათვის:

შაუხვდა ტყვია თავის ძმის მეკელე აქდოლას, რომენმაც სროლის დროს უთხრა ქისტებს... (გაბ. 177, 20); ჰა-ო, იძახა მინდიამ, რომენიც წინავ დამზადებულიყო (გაბ. 193, 11); ჩააგდებს სახუცარ კოპობში, რომენიც ას ვერცხლის თასი (გაბ. 133, 18); მაასწვრ ერთ ღილღველს, რომენიც დამჯდარიყუ (გაბ. 168, 14); ეს არხოტის წყალი წითელ წავიდ, რომენიც ჩადის ქისტებზე (გაბ. 169, 27); და გამაუდგეს ისრევ იმ გზას, რომენზედაც მავიდეს (გაბ. 166, 22); აქ ტანჩით მდინარე ჩა-

მადის, **რომენიც** ტანის კარ „ასა"-ს უერთდების (ანდრ. 32, 374); ამ ქალის ძმა იჯდ იქ, **რომენმაც** ამ ოშკაცისათ თქო... (ანდრ. 21, 249); ეს ხალხმ იცოდ, **რომნის** გზისასაც გალლალებდეს იქით წასხმულს კარავანს (ანდრ. 30, 349); მემრაც ბევრ სიმღერეებ უთხრეს, **რომნებსაც** ეეხლადაც იქავ მღერობენ ჯარზე (ანდრ. 30, 352); ამ დროს აქვე იყვნენ თავის საკუთარს საქმეზე მაფიქრალ ხალხიც, **რომნებიც** მარტო თავის საკუთარ საქმეზე ფიქრობდეს (ანდრ. 31, 367); აი ის სიგელებიც მაშინ დაწუღ, **რომნებიც** ერეკლესგან ბქონივ ნაბოძები (ანდრ. 33, 386); ეეხლადაც კარგად ეტყობის ის ნაგზევი, **რომენზედაც** თათხელიონთ შიშით დადიოდ ხალხი (ანდრ. 33, 391); მინდი იმ ლეკისგან იყვ ცამთხილებული, **რომენმაც** გზა ასწავლ (ანდრ. 35, 421); ერთიც მინდიას ძმა იყვ, **რომნის** სახელიც არ ვის აკსონს კარგად (ანდრ. 36,431).

რემენიც დადასტურებულია ინგილოურში:

თოლსაც არ აშორებდა დიდ ირემს, **რემენიც** ქრშ წრულუანში ზოვდა — კაკავდა ცრუან ბალახს (კანაშვ. 208, 8); კეკრუხს ჩონში იმგე კაცს ეზახიან, **რემენსაც** სიქაჩლით თავზე აღარც ერთ ბრწ აღარ დარჩომი (კანაშვ. 187,4); ერ კაც ადგება ფაყზე, **რემენიც** ამ დანასახლებ ბიჭის მარეუნა თარაფზე დგარია (იმნაიშვ. 259); მიდის, აჰყონს ფაჰჩაჲ შულს, **რემენიც** არის თავი კაც (იმნაიშვ. 122); თავთან... ქუას უდებენ, **რემენზედაც** თავი დაბადების დღე.. წერი (იმნაიშვ. 38);

ჰემენიც-ის ორიოდე ნიმუშს ვხვდებით იმავე ინგილოურში (კანაშვილის ტექსტების მიხედვით):

კუციან ცხენ, **ჰემენიც** მამბალ ეყო, შეუკმაზნა (198;21) კეკრუხს ჩონში იმგე კაცს ეზახიან, **ჰემენსაც** სიქაჩლით თავზე აღარც ერთ ბრწ აღარ დარჩომი (187,4).

რომელიცხა

რელაციის ფუნქციით ვადასტურებთ დასავლურ კილოებში — ქვემოიმერულსა და გურულში.

შამოკრა მაყარს, **რომელიცხა** გვერდით მოყობოდა (ძვემოიმერ.); ბოლოს საცხაიდან ქე ცაჰთა აქანაი ი ეშმაკი, **რომელიცხას** ხუცესმა მიყიდა მისი სული (გურ.: ღლ. 180, 38); მეორე, **რომელიცხას** არ შეუძლია მუშაობა, ჯუაროფს (გურ.: ყღ. 95, 12).

რომ რელაციის ფუნქციით გვხვდება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში; ფართო გავრცელება არა აქვს:

დაინახა თავი დედ-მამი ჩახლები, **რომ** შავები ჰქონდა გადაკრული (ქართლ.); ჯიბეში **რო** სისხლი ჰქონდა, იმ სისხლმა მთელი ბორკილი სულ გამოაჭამა ი ბიჭსა (ქართლ.); ბიჭი ის იყო, ტროყიაი, **რო** ორი კამეჩი მოკლაო (ქახ.); საყდარ **რო** არბეინამს, ის კაცია (ქახ.); მაიბრუნავთავივე, ზედ **რო** იწვავ, იმ კბომ (ხევს.: ანდრ. 34, 564); სათიბ მთები ჩქონდ ბევრი..., **რო** მთელს სოფელს ხკმარობს (ხევს.: ანდრ. 33, 389); ქალის ყორმი **რომ** იყო, ის კაცი წავა იმასთან (ინგ.: იმნაშვ. 256); წაე ახლა და დაენაძლავეო ი კაცსაო, ქალი **რომ** წაგართვაო (მთარაშ.: ძიძ. 90, 14); იქინე **რო** იყო გაჩერებული, ი კაცი მოკვეტა (ქვემოიმერ.): შეხედე იმ კაცს, კაცი **რო** მოკლა (ქვემოიმერ.); უწინ ის ხმელი ცხენი ნახა, კართან **რომ** იყო (იმერხ.: მარი 62).

სადაც

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს **სადაც** რელაციის ფუნქციით; დასვენეს ეკლესიაში, **სადაც** ეშმაკებიც მობრძანებულან (ქართლ.); სახლის კაცები წამოვა ლაშქრით და დაეცემის იმ სოფელს, **სადაც** მეკელეიას (ხევს.: გაბ. 140, 5); მიადგნენ იმ სახელმწიფოს, **სადაც** თავიანთ ორმოც ქალ დაუნიშნიაყ (ინგ.: იმნაშვ. 124) მივიდა იმ ქალაქში, **სადაც** მაამისი ცხოვრობდა (გურ.: ღლ. 224, 2); როცა მიაწია შვაგულ ტყეში, საიდანაც გამოსლა გაჭირდებოდა, ქალს თვალები უუხსნა (გურ.: ღლ. 225, 6); დაამწყრიეს ჯორი იმფერ ვოთახში, **სადაც** ხაიერი არ შევიდოდა (გურ.: ღლ. 241, 9); იქიდან კი ანგელოზნეფს უნდა წიეყვანა იმ ქვეყანაში, **სადაც** უმუშიერათ ცხოვრობენ (გურ.: ღლ. 183, 17); მივიდა ერთ თაზე, **სადაც** მისი ძმანები ეგულვებოდა (ქვემოიმერ.); ამუარჩია ერთი ფშვენიერი ტყეი, **სადაც** წყაროც ქე მორაკრაკობდა (ქვემოიმერ).

საცხა

დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის — გურულ-ქვემოიმერულისათვის:

იგი მოგიყვანს იმ ალაგას, **საცხა** მარგალიტის თვალია შენახუ-

ლი (ბურ.: ღლ. 179, 13); მივიდენ იმ წყალთან, საცხა იგინმა ნახეს ერთმანეთი (ბურ.: ღლ. 212, 38); გამეიარენ იმ გზაზე. საცხა ეთერის ტუფლი წაძვრა (ბურ.: ღლ. 103, 19): გეეიდა აი ხმაი იმ სოფელში, საცხა ეთერი ცხოვრობდა (ბურ.: ღლ. 103, 26); მუაკითხა იმ სახლს, საცხა დგანა მისი რძალი (ქვემოთიმერ.); ერთ დიდ მინდორში დეიბარა ე ბაღანე, საცხა არე კაცი არ ჰაჰანობდა (ქვემოთიმერ.).

ვინცხა

ვადასტურებთ ქურულ-ქვემოიმერულში:

ხენწიფემ, ვინცხას ცოლიც აი მონადირე იყო, გამუაწვია თელი მისი საბძანებელი (ბურ.: ღლ. 185, 25); ...ქე დეინახა იი ხუცესი, ვინცხამ მისი ხარები იყიდა (ბურ.: ღლ. 163, 1); გაკუჭებულმა ხუცესმა გეიქცა ისოვლე იმ კაცისას, ვინცხამ აი ქუდი შიყიდა (ბურ.: ღლ. 164, 21); ი კაცი, ვინცხამ ჯობი დოუმალა, თურმე პეტრიი ყოფილა (ქვემოთიმერ.) გარმოუჭიმა თვალები იმ მონადირემ, ვინცხამ ქამარი შამუაძრო (ქვემოთიმერ.): არ მეეწონა ი ქალი, ვინცხამ თვალი ჩოუქნია ი დალოცვილს (ქვემოთიმერ.).

დასასრულ, უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები. როდესაც მიმართებით ნაცვალსახელთან შეხამებულია მისამართი სიტყვა. ტავტოლოგიურად განმეორებული დამოკიდებულ წინადადებაში. ნაწილაკი [-ც(ა)] ეკვრის არა მიმართებით ნაცვალსახელს, არამედ მასთან დაკავშირებულ სახელს, ამგვარი კონსტრუქციის მაგალითებს უხვად ფეაწვდიან ალმოსავლური კილოები:

ორთავენი წავიდნენ იმ ქალთანაც, **რომელ ქალთანაც** მოლაპარაკება ჰქონდათ (ქართლ.); მერე გამოიარეს იმ ვენახთანა, **რომელი** ვენახიც ჰალათ უქცია (ქახ.); მივიდნენ იმ ქალთან, **რომელ** ქალთანაც მიდიოდნენ (ქახ.); მივიდა იმ სასახლეთან, **რომელ** სასახლეში მანიჟა არი (ქახ.): მჭედელმა გააწია, **რომელმა** მჭედელმაც რკინის პალუები შეაგროვა (ქახ.). **რომელი** გზაც მამამისიმა აუკრძალა, ცხორეთ იმ გზაზედ წავიდა (მესხ.); იმ ძელზე ჩამოახრჩობინეს, **რომელი** ძელიც მურთქეთვინ თვითონვე გააკეთებინა (მესხ.); დაკოპვილ ქალს წლით თითო საკლავ... უნდა დროშათ სანათლავად იმ ხთიშვილში, **რომენ** ხთიშვილშიაც დაკოპვილი ას (ხევს.: გაბ. 153, 21); ...დაბერდის ეზში **რომენ** ეზსაც ქისტები მომიჯნედ ხყონ (ხევს.: გაბ. 170, 14); და ამისთანა ხთიშვილში აკოპვიებენ ეშმაკის სულ წა-

მაყრილს ქალს, **რომენ ხთისშვილსაც** ეშმაკთ გაძევების კელობაჲ აქვ (ხევს.: გაბ. 153,19); **რომენ ტყეშიაც** პატარზალ გომოჩენულ, აჲმ ტყეში წანასულ მენადირეჲ აღარ დაბრუნებულ (ინგბ.: ჯანაშვ. 200, 29).

—

ვხვდებით ორმაგი კავშირის ნიმუშებსაც:

ამ დროს შეხთა ერ ღარიბ კაცს ხენწიფესთან წასლა, **რომელსაც რომ** ძაან ეძნელება ხენწიფესან წასლა (გურ.: ეღ. 120, 29); ანახვა იმ კაცს, **რომელიც რომ** ბეჭეტის პატრონი იყო (აბარ.: ხუბ. 31); გზაში შეხთა ერთი ძაღლი, **რომელიც რომ** მან გზაში გადაარჩინა, ის ძაღლი (აბარ.: ხუბ. 31); ჩვენ მხარეზეა ე მოხუცებული, **რომელიც რომ** ნეფე იყო (ქვემოთიმერ.).

4. სივრცითი კავშირები

სივრცითი კავშირებია:

სადაც	**საისკენაც**
საცა	**სადანაც, საანაც**
საცხა	**რომ**
სიდაც, სიაც	

კორელატ-სიტყვებად გამოყენებულია: **იქ, იქინე, იმ ადგილას.**

სადაც

ფართოდ გავრცელებულია კილოებში:

სადაც დილით მზე ამოუა, იქ უნდა ვწიროო (ქართლ.); იქ მისულიყვნენ, სადაც ბოთლები ელაგა (ქართლ.); **სადაც** ბებერი იჯდა, იქ დასვა (კახ.); **სადაც** შენი თქვა, იქ ჩემიც დაიკვეხნეო (კახ.); ჩასულას საძრომთ, **სადაც** უფრო კა ალაგ იყვ (ხევს.: გაბ. 184, 19); **სადაც** ყორნები ჩადიან, ეს ხალხი ძივიდა იმ ალაგში (ხევს.: გაბ. 178, 29); მივიდა ეს ადუა იმ ალაგში, **სადაც** თოფნა (ხევს.: გაბ. 194, 16); **სადაც** ისეებ დადგეს, იქ ცოტაად მოშორებით ერთ წყარო იყვა (ხევს.: ანდრ. 21, 251); ..პური ვარცხლ ალაგევენ იქ, **სადაც** საკმელ ჩააყრელნი (ინგბ.: იმნაიშვ. 38); იქ, სადაც თუთან თავი შულევ გადეეყარა, ტყე აღარ იყო (ინგბ.: იმნაიშვ. 122); იქ წაუდნენ, **სადაც** დეენახა (ინგბ.: იმნაიშვ. 285); **სადაც** წახოლ, ადგილი იცოდინე (ინგბ.: იმნაიშვ. 305); წაალა იქ, **სადაც** დღეს ალაზანი გადნაშობ არი (ინგბ.: ჯანაშვ. 209);

სადაც კაჲ ბალახი, იქ მიდის (ინგ.: ჯანაშვ. 199, 30); ...მიირბინოთ ვაშლის ქვეშ, სადაც ყველრო ყრია (ბურ.: ღლ. 231, 23); ვოქროს ბაღანაი სადაც დამარხეს, იქინე ამევიდა მშვენიერი ალვისხეი (ბურ.: ღლ. 233, 9); გიეშურა იქით, სადაც კივილი ისმოდა (ბურ.: ღლ. 248, 11); იქინე დუუწვა, სადაც ძმა ეგულებოდა (ქვემოთიმერ.); იქინე მინდოდა დასახლება, სადაც იზდორეს ნამოსახლიაო (ქვემოთიმერ.); სადაც ასფურცელამ დოუთქვა, იქინე გაზაა (ქვემოთიმერ.)

საც(ა)

გავრცელებულია აღმოსავლურ კილოებში და დასავლურთაგან–– რაჭულსა და ზემოიმერულში:

მივიდა, საცა თავი დეიდა იყო (ქართლ.); საცა წახვიდე, მოხვიდე (ქართლ.); საცა მზემა შუქი დაჲკრა, იქ გეეღო კარი მისი (ქართლ.); იქ უნდა წავიდე, საცა ბაღი-ბაჩა შაქსო (ქართლ.); საცა წისკვილი აუშენა, იქ დამარხა (ქართლ.); ამოუარა იმის გუთანს, საცა იმის გუთანი აბია (ქახ.); საცა გურგენია ხეზე ასული, იქ გამოიარა (ქახ.); მივიდნენ იმ ადგილას, საცა ბეჟანია დატუსაღებული (ქახ.); საცა ოსმალები იყვნენ, იქ მივიდნენ (მესხ.); საძრომთ ჩავიდა მინდია, საც ალგილას მაგარი (ხევს.: გაბ. 184, 22); საც დაჲნახა, დაადგა დუმა (ინგ.: იმნაშვ., 284); ჩაიწია, საცა მამის ჯარი იდგა (მთარაშ.: ძიძ. 93); საცა თხა იცოხნიდა, იგი რქებშუა ჩადვაო (მთარაშ.: ძიძ. 95); მიეყვანა საცა თვითან ცხოვრობდა (ზემოთიმერ.); გეიქცა, საცა ისინი იყვნენ (ზემოთიმერ.); მიატანა, საცა გერი ცხოვრობდა (ზემოთიმერ.).

საცხა

ლოკალური კავშირი საცხა გვხვდება დასავლურ კილოებში — გურულ-აჭარულ-ქვემოიმერულში:

მივიდა იმ ადგილას, საცხა ძროხის თავია დამარხული (ბურ.: ყღ. 102, 33); რა უჭილარიენ იგენს, საცხა ტრაქტორი უდგება (ბურ.: ყღ. 95, 16); საცხა შენ მიხვალ, მეც იქინე მუალა (ბურ.: ღლ. 185,31); დედას საცხა ხენწიფის ფუხარია, იქინე მისლის უფლება ხომ არა აქ (ბურ.: ღლ. 233, 20); საცხა უნდა მისულიყვენ, იქინეი ველარ მივიდნენ იმ ღამეს (ბურ.: ღლ. 228, 17); დამიხვთა იქინე, საცხა დი-

დი სახლებია (ქვემოიმერ.); იქინე ოღუთქვა, **საცხა** მისი ძვლები განისვენებენ (ქვემოიმერ.); **საცხა** შენ დოუქვირდები, იქინე მეც ამოვჩთები (ქვემოიმერ.).

სიდაც, სიაც

ვადასტურებ თუშურ კილოში:

სიდაც ეგულებოდა ლეკის მეკოპარი, ი ქ დაუყარაულდა; **სიდაც** გინდ დამალულიყუ მაჰმაიუ მოხჯელავდესაუ; — ცხრაჲ ქევსური მოკუდ ი მ ა დ გ ი ლ ს; **სიაც** ჲახლ ქუათემთა ხქუიანი; **სიაც** ქუეყნის ნახირიუ, ჸ ი ქ ა ვ ი ბებრის კბოივუ; **სიაც** ცის ავადმყოფ კაც იწუ, ჸ ი ჸ ი ქ შესრულან ლეკები.

საისკესაც

სპორადულად დამახასიათებელია ხევსურულისათვის „საითკენაც"-ის ფუნქციით:

იმ მკარისკე დაიწყეს ძევა, **საისკესაც** მინდია არ იყვ წასული (ანდრ. 35, 421); ზურგს იქისკე დავდგებივ, **საისკესაც** შენ გზაივ (ანდ. 35, 420).

სადანაც, საანაც

გვხვდება ზემოიმერულში:

სადანაც (||**საანაც**) ება ძროხა, ი ქ ა ნ ა ჩაყარა; ი ქ ა ნ ა წავიდა, **სადანაც** (||**საანაც**) უმალ იყო; წყალი ამეიყვანა, **სადანაც** (||**საანაც**) ბარი დახკრა; ჩაიყვანა ხუთვე შვილი, **სადანაც** (||**საანაც**) კოპერატივია.

რო(მ)

ზოგჯერ გამოყენებულია ქართულ კილოებში ლოკალობის ფუნქციით:

თქვენ **რ ო** დიდი თავები გაქვთო, შიგ უნდა, ჩაჲსხდეთო (ქართლ.); მეღორე ქორწილში გაგზავხა, ღვდელი **რო** იწერს ჯვარსა (ქართლ.); იი ძროხა **რომ** ბალახობს, ი ქ ი ნ ე ორი წყალია (გურ.: ქლ. 101, 18); ი ქ ი ნ ე ი იყო გადატეხილი, ახლა **რომ** ბლუკურტი აქ (გურ.: ქლ. 98, 15); ჩავარდი, წყვარამი **რო** იყო, ი ქ ი ნ ე (ქვემოიმერ.); მე **რო** ფაიტონი გარამიტრიალდა, ი ქ ი ნ ე შემხვთა სტორეთ (ქვემოიმერ.); აშენა სახლები ი ქ ი ნ ე, ეკლესია **რო** იყო წინათ (ქვემოიმერ.).

დასკვნა:

1. აღმოსავლური და დასავლური დიალექტებისათვის საზიაროა ლოკალური კავშირები: სადაც, საცა, რომ.

2. დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია საცხა.

3. თუშური კილოსათვის ნიშანდობლივია სიდაც, სიაც.

4. ხევსურული კილოსათვის ნიშანდობლივია საისკესაც.

5. ზემოიმერული დიალექტისათვის ნიშანდობლივია სადანაც, საანაც.

6. ლოკალობის კორელატ-სიტყვებია: იქ, იქინე, იმ ადგილას. ამათგან იქ, იმ ადგილას საზიაროა აღმოსავლურ-დასავლური კილოებისათვის, იქინე გვხვდება მხოლოდ დასავლურ კილოებში.

7. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა: სადაც. საცა.

8. კილოებისათვის არაა ნიშანდობლივი სალიტერატურო ენაში დადასტურებული ვინაც.

9. სალიტერატურო ენისათვის არაა ნიშანდობლივი: საცხა, სიდაც—სიაც, საისკესაც, სადანაც—სანაც, რომ.

5. დროულობის კავშირები

კილოებში დროულობის კავშირებია:

როცა, როიცა	რახან
როცხა, როიცხა	რამდი
როსაც	რავარც
რომე, რომ, რო, ომ	მანამ, მინამ
რუმ	სანამ... სინამ...
ჰუმ	თუ არა, თუ/ვარა

როცა, როიცა

ფართოდ არ არის გავრცელებული:

როცა დეეძინდათ იმათ სუყველას, შავიდა ეს ქალი (ქართლ); როცა მოკვდა მამა, შვილებმა ვალები გაისტუმრეს (ქართლ.); როცა ლეკებ შემოდენილან აქ, ყიღიმათ უკეთებავის (თუშ.); როცა ქაჩუს ავიდნეს, მურთაზმ უთხრა (თუშ.); როცა რაჲ იქნებად', სუ შენდობას იტყუიან (თუშ.); როცა მეიწყადინა, ქეც უშონა ოთახები (ქვემოიმერ.); როცა ანგარიშების გასტორების დროი შუა, მე გადვიზროფ თავზე ქუდს (ბურ.:

ღლ. 163,18); მამა როცა სამეშიერზე იყო წასული, ეთერის უთხრა დედამ (ბშრ.: ღლ. 205, 3); როცა მოსაღამურელდა, ქმარმა კორშოდან ამოუშუა ქალი (გურ.: ღლ. 225, 36); ქალმა როცა მოუთავა თავისი საქმე, დეიწყო ისევ ხეტიალი (ბშრ.: ღლ. 225, 19); დედამ, როცა ვეილი შინ არ იყო, მოპარა კალტე (ბშრ. ღლ. 223, 21); ამ დროს ბზისუნახავი სტორეთ ამ ადგილზე იყო მოსული, როცა ბერი აბანოში დადაღეო (ბშრ.: ღლ. 224, 19); დედა მისი როცა გეიცლის, უჩთილებს (ბშრ.: ღლ. 233, 13); როცა უნდა, რომ გეუდე კარშიო, იმ დროში გააქანებს ზენჯირს (აბარ.: ხუბ. 36).

როიცა შეიძლება შეგეხვდეს იმერულში:

როიცა ერეკლე ბატონიშვილი დოუნახია, გული შეწუხებია; **როიცა** ცოლთან დარჩა, მაშინ უთხრა; როცა დაბერდება, მერე იკითხე მაგის ამბავი.

შდრ. საბუთების ენიდან:

როცა დასტური მივცეთ, მას უკან გაყიდოს („დოკუმენტები საქართვ. სოციალური ისტორიიდან..." I ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940).

როცხა, როიცხა

დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის:

როიცხა დაღამდა, ქალმა აი კაცი მასან დეიწვინა (ბშრ.: ღლ. 198, 18); **როიცხა** ფულის გადახთის დროი მევიდა, ამ კაცმა მეიზრო ქუდი... (ბშრ.: ღლ. 163, 26); **როიცხა** დალაგებას მორჩა, წამევიდა ისევ ამ წიფლის ძირში (ბშრ.: ღლ. 222, 5); **როიცხა** დაღამდა, ძმანები მევიდენ სახლში (ბშრ.: ღლ. 222. 38); **როიცხა** საქმე საქმეზე მიდგა, მაინც თვითან გამტყუნებდა (ბშრ.: ღლ. 191 , 3); **როცხა** დეეძინა, მიეპარა (ქვემოქიმერ.); **როიცხა** ფულები დაუთავა, მაშინ ქე სტკლიცა ყპაში (ქვემოქიმერ.).

როსაც

ახასიათებს ხევსურულ კილოს; კორელატად მოუდის **მაშინ**:

ნამეტნავ მ ა შ ი ნ უფრო ეყრების ეშმაკი, **როსაც** ბნელობის ხანი ას და თენებისა (გაბ. 152, 26); **როსაც** კაად ხართ, სვით (გაბ. 127,23); **როსაც** მაგარ შუღლ იქნების, მ ა შ ი ნ ქალებმ იციან... (გაბ. 125, 5); არხვატში არხოტიენებს **როსაც**

დღეობაი აქე, ჯვარში შაიყრებიან (გაბ. 124, 25); უნცროსებს **როსაც** თასს მისცემენ, ადგებიან ფეკჯზე... (გაბ. 126, 13); ზაფხულის, **როსაც** სიცხე-დარეზ დადგების, დნების მყინვარი (ანდრ. 34, 405); როსაც ღილღველნი შაყრილან, თავის მკითხავიც თან მაუყვანავ (ანდრ. 34, 561); **როსაც** კმალა იყვ, მ ა შ ი ნ ჯერ აჭოს არაბულის გვარ არ ყოფილ დასახლებული (ანდრ. 35, 570); ამღიონთ მეკარავნეთ მ ა შ ი ნ გაიგეს, **როსაც** ცხენები დაჭერილები ხყვანდა (ანდრ. 30, 349); **როსაც** დაიჭირეს ეს ადგილები, მ ა შ ი ნ ჭიმღივნებმაც დაიწყეს აქ სიარული (ანდრ. 33, 389); **როსაც** აღარც თმენა გავიდოდ, ისენიც კელს უქცევდეს (ანდრ. 21, 245).
ხევსურულში **როსაც** ფართოდ გავრცელებული კავშირია.

რომე, რომ, რო, ომ

რომე დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის:
დილა გათენებული არაა, **რომე** ასტეხა კივილი ხუცესის ცოლმა (ბურ.: ღლ. 191, 27); ის იყო, უნდა დიეწყენ ჭამა, **რომე** მაინძელმა წამოდგა ზეთ... (ბურ.: ღლ. 238, 18); ახლა სიტყვა უნდა თქუან ნეფე-დედუფალმა იი ხანია, **რომე** უცფათე ეიღო არღნის კარები... (ბურ.: ღლ. 195, 8); ერი საათი არ გასულა, **რომე** ქალის პირიდან მიორე უხსენებელმა ამოყო თავი (ბურ.: ღლ. 212, 13); არ გასულა დიდი ხანი, **რომე** გამოჩთა ბზისუნახავი (ბურ.: ღლ. 222,19); არ გასულა ხუთი წელიწადი, **რომე** დეიწყო ისოვლე ჩხუბი-დავიდარაბა (ძვემოიმერ.).

რომ-რო იხმარება უველა კილოში:
საქმე **რომ** მოათავეს, ადგნენ (ქართლ.); ალუდაური გონზე აღარ ას, **რომ** დაიჯერა ძმის სიკვდილი (ხევს.: გაბ. 179, 16); ეს ამბავი **რომ** ქალმ გაიგუ, მეტად გეხარდ (თუშ.); ზალღები **რომ** იმ ქალზე მისცუდნენ, მ ა შ ი ნ ქალმა ყურდგელი კელით გაუშო (ინგ.: იმნაიშვ. 340); ქალის ეზოში **რომ** გაუწვევენ, ერ თოფ ესროან (ინგ.: იმნაიშვ. 256); ხუალ ღამე **რომ** იქნება, იმ კაცს ებნებიან (ინგ.: იმნაიშვ. 256); საქმეს **რომ** გაასწორებენ, ქართულს **რომ** მისცემენ, მ ა შ ი ნ ერ მანათ ბეჭს მისცემს (ინგ.: იმნაიშვ. 256); ზრლ დროში შული ხუთმეტი წლის **რომ** ათავდებოდა,... იფიქრებდნენ (ინგ.: იმნაიშვ. 255); ახლო **რომ** მიხვიდე, დაიბანე ფეხები (მთარაშ.: ძიძ.

94); შიგნები რომ ამევიღე, მაშინ შევატყვე... (გურ.: ენ. 98, 3). ბზეი რომ დაბნელებულა, მაშინ ერი წლის ცუოფილიყაი (გურ.: ენ. 96, 11); ცალი რომ გუუშვი, ცალი ხელით გავჭარი (გურ.: ენ. 98, 1); კიდომ სამი დღეი და ღამე რომ იარენ, მიაწიეს ქალაქთან (გურ.: ღლ. 211, 14); ეს რომ კონტუებმა დეინახეს, კალამ გაგიედენ (გურ.: ღლ. 240, 33); ხენწიფე გაკვირდა, ბუცესი რომ დეინახა (გურ.: ღლ. 181, 32); ამირანმა რომ ამეიარა, მოხკრა თვალი (ქვემოთ.); — რო მუუმარჯვდა ხუთკუნჭიას, გამაჰსროლა დევს ერთი წისქვილი (ქართლ.); რო შევკვდეო, საქათმეში ჩამმარხეო (ქართლ.); სანადიროში რო ჩასულიყვნეს, ეყარ წილი (ხევს.: გაბ. 197, 12); ჯერ დიდა რო გათენდების, მაშიავ უმაწვილებ გაიტაცენ ვაცებს (ხევს.: გაბ. 147, 4); რო დაითვრებიან..., მაშინ სიმთვრალით ხალხს ბევრჯელ მაუვას შუღლი (ხევს.: გაბ. 124, 26); რო დაითვრებით, ერთუცას დაერევით (ხევს.: გაბ. 123, 29); ომამ რო ეს დევი მააკვლივ კოპალას, მაშინ ქოფდ ძალიან გადეეკიდნესად.. (ხევს.: ანდრ. 34,564); ამ ადგილის სიგელები მაშინ დაგვეწვევ, რო წინწინ რუსობა შამავიდ (ხევს.: ანდრ. 33,386); ხალხ რო ვაგაის დანაბარებ გაიგ, მაშიავ მაეშზადნესა... (ხევს.: ანდრ. 32, 378); რო გათენდატ, გავიდ-გამოვიდა ხალხი (თუშ.); მემრ მაჰამამატ ორ ჰედილ დახკლატ, გაპარვა რო გავბუდეთატ (თუშ.); ოთხ დღე რო გაეიდ, ცარევი ამოედითა... (თუშ.: ხუბუტია); ცოტა წინაყენ რო წავდა, ამის ვირი დეეფალა (ინგ.: იმნაიშვ. 305); რო გამოუტდნენ ვარეთ, შაჰაბაზმა უთხრა (ინგ.: იმნაიშვ. 303); შაჰაბაზი რო ალოცებს ხალხს, იმაშინ იმის ფიქირი წავდა ინდოსტანში... (ინგ.: იმნაიშვ. 303); რო წუმა მუა, გაჰკადე ტანსმოსი (ინგ.: იმნაიშვ. 297); თხა-ბოტო რო წამაიშლების, დააყრიან თოფებს (ფერეიდნ.: ჩიქ. 241); სოფელთან რო მოახლოტდებიან, ხალღი მოეხოვის (ფერეიდნ.: ჩიქ. 241); ალობის წიგნი რო მეევდა, გევიგეთ... (გურ.: ენ. 99, 4); ხენწიფე რო გადეიცვალა, უმფროსი დაედა ტახტზე (ქვემოთ.).

დროულობის გადმოსაცემად რომ, განსაკუთრებით გამარტივებული რო, ფართოდ ფეხმოკიდებულია ქართულ დიალექტებში.

კორელატ-სიტყვებად გამოყენებულია მაშინ, მაშვინ (დასავლ. კილ.), მაშიავ-მაშიე (ხევს.), იმაშინ (ინგ.).

რომ-ის ის საბეობა, რომელიც მიღებულია თავკიდური ბგერის

გამარტივებით (ომ), სპორადულად გვხვდება თერჯოლურსა და აჭარულში:

მე ომ შამუარტყი, ხმალი იშიშვლა (თერჯოლ.); მერკვილაძე ომ მარჯვეთ დოუხვთა, პატარა ფერი ქე ეცვალა (თერჯოლ.); იქით ომ გეხვალ, ...ისიც ჩვენია (აჭარ.); „იბერიულ-კავკას. ენათმეცნიერება", 1, 338); ჩვენში ომ გოგო გეეთხუებჸ, ასე შეძღებს თორებს (აჭარ.: იქვე); ახლა გელინი ომ მუა, მის სახლისა ყველას მუუტანს აბრეშუმის წინდას (აჭარ.: იქვე, 339); ხელზე ომ გაქ..., დაგეწვუს ხელი (აჭარ.: იქვე).

რუმ

რუმ განსაკუთრებით გავრცელებულია ინგილოურ კილოში; გვხვდება აგრეთვე გურულ-აჭარულში:

ეეს რუმ თქოა, კაც მაშინავ მოკდო (ინგ.: ჯანაშვ. 199, 22); ერ წელს რუმ ზმაძ იცავსა, ახლა მომავალ წელს დაძ ჰყურობს (ინგ.: ჯანაშვ. 199, 26); ამას სიცივემ რომ მოუჭირაა, ახტადახტა (ინგ.: ჯანაშვ. 205, 12); შინ რუმ მოვდაა, დედაკაცს არაძფერ არ ჰუთხრა (ინგ.: ჯანაშვ. 198, 18); რუმ მაძხედა და მობრუნდაა, წამაიწივა (ინგ.: ჯანაშვ. 186, 9); პიწწა ხან არ გასულ, რუმ გელ მოზუნზულებულ (ინგ.: ჯანაშვ. 189, 24; იხ. აგრეთვე: 192,22; 193, 1; 190 7, 192,4; 184,23; 208,10; 207,1; 205,14; 204,14); ირემ რუმ გადათქა, ყერყანტურში დარჩა (ინგ.: იმნაიშვ. 245); გრლმა ქალ რუმ აძყონა, პატარა ზმას უთხრა (ინგ.: იმნაიშვ. 128); რუმ ჩინარი თავზე აძტანო, იმ დროზე ბექედ ჩააგდ ზეში (ინგ.: იმნაიშვ. 127); ამ ქალმა პატარა ზმა რუმ დაძნახა, მეეწონა (ინგ.: იმნაიშვ. 127); დევმა რუმ შაჰხედა, გამათდა (ინგ. იმნაიშვ. 127); ეს რუმ დაძნახეს, ხუთ ზმამ ერთმანერთს უთხრეს (ინგ.: იმნაიშვ. 126); ჩონში ინსან რუმ კდოვ, ორმოც დღე იმა თავი ადათ აქ (ინგ.: იმნაიშვ. 38); დეკაცევ ოზრძთი რუმ გამოვლენ, ახლა კაცევ შავლენ (ინგ.: იმნაიშვ. 38); გახარებულმა ხუცესმა რუმ ასთე ეფათ იშონა ამფერი ხარები, ხელათ დუუთვალა სამი თუმანი (გურ.: ღლ. 162, 17).

ჰუმ

დროულობის კავშირის ამ სახეობას გვაწვდის ინგილოური კილო. მაგალითები არსებული ტექსტების მიხედვით მეტად განსაზღვრულია:

არდევამ დილლაზე ჰუმ გამაძლუზაა ნახა (ჯანაშვ: 192, 31);

კერკლებთან **ჰუმ** მისულანა, ყოვს დაუჩხავლნი (ჯანაშვ. 183, 14); ორივე წვმალ **ჰუმ** დაულევნებია, წამლებ შეჭიდებულან (ჯანაშვ. 191, 15); ვაშლ **ჰუმ** ჩამოცუვდაა, ქალებ ხალიჩაზე გადახტნენ (ჯანაშვ. 192, 14).

რახან

ვადასტურებთ ხევსურულ კილოში.

ყმაწვილ **რახან** იქნას ერთის წლისა, მ ა შ ი ნ ვადუღებთ ლუდს (გაბ. 130, 24); თაეის საარსოში **რახან** მავიდისავ გიორგიივ, მ ა შ ი ნ ახჯდიანავ ნისლის კოტორნივ (ანდრ. 34, 557); **რახან** საისკე გაემართოსავ, გიორგისავ ნისლის კოტორ გახყვისავ თანავ (ანდრ. 34, 556); **რახან** მავიდისავ გიორგიივ, შორით მაგვედინისავ იმის ცხენის ბიბინი... (ანდრ. 34, 557); მე **რახან** გითხრათავ, მ ა შ ი ნ დასხლტიდითავ (ანდრ. 21, 243); აქად აქ დამმარხიდითავ, **რახან** მავკვდავ (ანდრ. 34, 402).

რამდი

გვხვდება ზემოიმერულის თერჯოლურ დიალექტში:

რამდი არ დაიზამთრდება, სოფელ-სოფელ იარს; **რომდი** ხიდამდი მიხვიდოდი, მოქკლავდა; **რამდი** არ შოუთვლი შენს სიძეს, არც მოგეკარები და არცაო; **რამდი** ი სულგაცებული მამასახლისი ჯიბეს არ გეიტენიდა, მოქცილდებოდა გონია? **რამდი** რაჭას ააწევდი, სული ქვე ამოქხთებოდა.

რავარც

დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის:

ერთი თვეი **რავარც** კი გავავო, შეიხედეთ ოთახში... (გუშ.: ღლ. 241, 5); დევმა ქალი **რავარც** წეიყვანა, ხენწიფე მუუბრუნდა ვეზირეფს (გუშ.: ღლ. 218, 9); შენ, **რავარც** გათენდეს, კივილი დეიწყე (გუშ.: ღლ. 191, 23); მე **რავარც** შევკივლო, შამოუარდი (გუშ.: ღლ. 221, 10); სახში **რავარც** მივიდა, ქალმა ქითხა.. (გუშ.: ღლ. 162, 21); **რავარც** შამოუტრიალდა, იმ წუთში დეეცა (ქვემოიმერ.); **რავარც** გეისტუმრა მისი ცოლი, მ ა შ ი თ ე ვ ე აფრინა კაცი შაინჯასთან (ქვემოიმერ.): **რავარც** დოხტურს დოუძახა, ქიარ გამობრუნდა? (ქვემოიმერ.); **რავარც** პოეზდმა იკივლა, მ ა შ ი ნ თ ე ვ ე ამანაც მორთო ღრიალი (ქვემოიმერ.); **რავარც** ჩხუბი ატყდა, მ ა შ ი ნ თ ვ ე ეყოლა ვაიშვილი (ქვემოიმერ.); **რავარც** დაინახა, იცნო როსტომი (მთარაშ.: ძიძ. 93).

როგორც ჩანს, კორელატ-სიტყვად რავარც მაკავშირებელ სიტყვას ქვემოიმერულში ეხამება **მაშინთვე, მაშთევე.**

მანამ, მინამ

ფართოდ არაა გავრცელებული. ახასიათებს აღმოსავლურ კილოებს:

მანამ თქვენ მახოლთავ, მე არ გავაკეთებიებავ აქავ კორღანსავ (ხევს.: ანდრ. 32, 378); **მანამ** დინ აქანებდეს, **მანამ** სისხლ სრუ არ გამაშრებოდა (ხევს.: ანდრ. 35. 417); **მანამ** წყლის ადიდება იქნებოდ, **მანამდინ** ეშურებოდეს (ხევს.: ანდრ. 32, 373); **მანამ** იარაღს იკმარებდ. დევს გაურტყამ სილაი (ხევს.: ანდრ. 34, 567); **მანამ** მიზიდივად' **მანამ** აკალ თოფ, **მანამ** არ დაიჭცნესა (ხევს.: ანდრ. 30, 360); **მანამ** არ ჩაიჭცავ თათარასავ, კიდევ არ უშობდავ (ხევს.: ანდრ. 20, 230); შენობას არ ვიტყვითავ, **მანამ** ცოცხლები ორთავ (ხევს.: ანდრ. 20, 229); მინდიამ **მინამ** იცად, **მანამ** ყველას არ დაეძინ (ხევს.: ანდრ. 35, 421); **მანამ** ვერ გავიგეთაფ მანამ სოფელშიგ არ შემოიდატ (თუშ.); **მინამ** თვალეფს მაიფშვნეტდა, ამ ბიჭმა კარქა გზა გამაიარა (ქართლ.); **მინამ** მთაზე არ ავალ, **მინამ** არ ამოუშოთ (ქართლ.).

კორელატი სიტყვა **მანამდინ, მანამ** და **მინამ.**

სანამ, სანამდი

გვხვდება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში: **სანამ** იქ მივლენ მიჯნაზე. **სანამ** ჯაჭვი კალთა შეარხია ღორმა (ქახ.); იქიდან გამაქცეული ეს ღორი **სანამ** მიჯნაზე მივიდოდა,' **სანამ** ბეჟანმა ხმალი დაჰკრა და წააქციას (ქახ.): კარში გამოსვლის ნება არ აქვ, **სანამდი** არ გათენდების (ხევს.: გაბ. 151, 3); **სანამდი** მაშუღლარ საკლავს არ მაიყონს, დროშა კარში იქნების (ხევს.: გაბ. 124, 18); მაგრამ **სანამდი** ცოცხალნი ორთ, დედას უტირებთ მტერს (ხევს.: გაბ. 191, 5); **სანამდი** ისები დაიზდებიან, მანამდი ან რა იქნება, ან რა (ხევს.: გაბ.: 171, 23); დაწყებენ სმას, **სანამდი** არ გაუთავდების მასპინძელს ლუდი (ხევს.: გაბ. 131, 4); **სანამდი** არ დაათრობს ხალხს, დაუწყებს სმას (ხევს.: გაბ. 130, 13); **სანამდი** შუღლა — გამჯდელ ჯურუმს ან მაიყონთ, არ დახკლავთ (ხევს.: გაბ. 123, 24); მე **სანამ** დავიძინო, ქთენ წადი, ააცვით... (მესხ.); **სანამ** ხემწიფე არ დაუძახემდა, ვერც ერთი ცოლი ვერ მივიდოდა (მესხ.); **სანამდი** ეს მისულიყო, იქამდი სხვა იყო ხემწიფეთ (მესხ.); **სანამდი** არ დავამ-

თაყრეფ, ვერ მომკლავ (ბურ.: ღლ. 249, 17); სანამდი შიეძლო, ქი არჩენდა მამამისი (ბურ.: ღლ. 229, 31); ...სანამდი კუკუ არ დევიძახო, მანამდი ადგილიდან არ დეინძრაო (ბურ.: ღლ. 225, 7); ...შენ მანამდი არ მომკლავ, სანამდი მე „მამავო ჩვენოს“ არ დავამთავრეფო (ბურ.: ღლ. 248, 13); სანამ მე არ გითხრა, იქამდი არ დეიძრა (ძველმოიმერ.): სანამ ხემწიფე არ მომკვდარა, იქამდი, სულ ქეიფობდა (ძველმოიმერ.).

სანამ-ის კორელატია მესხურსა და ქვემოიმერულში იქამდი.

თუ არა, თუარა — თვარა

ხევსურულში (და აგრეთვე ინგილოურში) უმთავრესად იხმარება თუ არა ბოლო ა-მოკვეცილად:

დალამდებისა თუ არ კარგად, ყველა სახლის პატრონი შასხამს ცეცხლში ხუთ-ხუთს შეშის გალებს (ხევს.: გაბ. 150, 18); წამასულა თუ არ ეს მინდია, შაუყრავ ამ აკვათ ლაშქარი (ხევს.: გაბ. 183,4); დაათავა თუ არ ეს სიტყვა, მაშიავ ქისტებშიგით ორი ქალი გამაერჩივა (ხევს.: გაბ. 172, 23); ამმა გათენდა თუ არ, ზემ გამოაჭყიტა (ინგ.: ჯანაშვ. 205, 21).

დასავლურ კილოებში გვხვდება თუ არა:

შემოდგეს თუ არა ფეხი ხიდზედა, ე ვაჟა დახედა წინ (მთარაშ.: ძიძ. 88,15); მივედი თუ არა, ხარმა გელი ცეცხლისკენ გადმუაგდო (ბურ.: ქღ. 97, 22); მოვიდეს თუ არა, იგი ყმაწვილი ჩქარა მოკალითო! (ბურ.: ღლ. 247, 17); დაინახა თუ არა ვაჭარი იმ კაცმა, გამეცდა კარში (ბურ.: ღლ. 198, 30); მართლაც, ეს თქუა თუ არა, ეთერის დედა გადიქცა ძროხათ (ბურ.: ღლ. 205, 5); გარადგა ფეხი თუ არა, ტყეია უპოვილეს (ძველმოიმერ.); მეღირსა თუ არა ხემწიფის სიკვტილი, ვაფრინე მახარობელი ბიძაჩემთან (ძველმოიმერ.).

იმავე დასავლურ კილოებში უფრო გავრცელებულია თუარა-თვარა; ხუთი წელი გაათავა თუარა, საშუალო სასტავლებელი გაათავა (ბურ.: ქღ; 106, 18); ვტკლიცე თუარა, უკანიდან მრეხვენ თავში (ძველმოიმერ.); მევიდა შინ თვარა ქალმა უყვირა (ბურ.: ღლ. 240, 13); ეს თქუა თვარა, დუუძახა მოკრივე ბიჭეფს (ბურ.: ღლ. 238, 35); დეიბანა ტანი თვარა, ქი გადიქცა კაცათ (ბურ.: ღლ. 185, 18); ძმანები წევიდნენ თვარა ბზისუნახავთან, მევიდა ერთი დედაბერი (ბურ.: ღლ. 222, 31).

ვადასტურებთ თითო-ოროლა შემთხვევებს, როდესაც დროულო-

ბის კავშირებად კილოებში გვევლინება: **რაკი, ვითაიც, სარამ(დი), ვირამდი.**

რაკი—ვითაიც შეიმჩნევა ხევსურულსა და თუშურში:

რაკი კელს არავინ მაეკიდების, **მ ა შ ი ნ** ქურდ თავს ვეღარაით გაიმართლებს (გაბ. 139, 18); ქალს მარტო ძალიან სიწმინდე უნდ, წმიდად ყოფა, **რაკი** ჯვარის დაკოჭვილ იქნების (გაბ. 153, 15); რაკი ცხურებ დასტაცესაჭ, ცხვა სოფლებშიგ წასრულიყუ თუშებსთანაჭ (თ.შ.);—ამ კლდის პირში **ვითაიც** მოსულა, მოუკლავ მინდიას (გაბ. 184, 31).

სარამ(დი) — **ვირამდი** ახასიათებს მესხურს:

სარამ ცოცხალი ვარ, ვერ წაიყვანო; **სარამ** მასთან იყო, შვილივით იყო; **სარამდი** მზეთუნახავს შეეყრებოდა, კარგად გამოიკაზმა; **ვირამდი** გაგზავნე, ტირილი იყო...; **ვირამდი** ხენწიფე დაათვალიერებდა, ცხენი მოუკლა.

შდრ. 1888 წ. ხიზაბავრაში ჩაწერილი ლექსიდან:

სირამდი ვარ, ასე ვიქ... (პ. უმიკაშვილი, „ხალხური სიტყვიერება", გვ. 612).

დ ა ს კ ვ ნ ა:

1. აღმოსავლური და დასავლური დიალექტებისათვის საზიაროა დროულობის შემდეგი კავშირები: **როცა, რომ-რო, სამამ(დი), თუ არა.**

2. აღმოსავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია **მანამ-მინამ.**

3. დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია: **როიცა, როცხა-როიცხა, რომე, რავარც, თვარა.**

4. მთის კილოებისათვის (კერძოდ, ხევსურულისათვის) დამახასიათებელია: **როსაც, რახან,** სპორადულად; **რაკი, ვითაიც.**

5. ინგილოურ-აჭარულისათვის ნიშანდობლივია **რუმ.**

6. ზემოიმერულ (თერჯოლურ)-აჭარულისათვის ნიშანდობლივია **ომ.**

7. ინგილოურისათვის ნიშანდობლივია **ჰუმ.**

8. ზემოიმერულისათვის (თერჯოლურისათვის) ნიშანდობლივია **რამდი.**

9. მესხურისათვის ნიშანდობლივია **სარამ(დი), ვირამდი.**

10. დროულობის კორელატ-სიტყვებია: **მაშინ, მანამდინ — მანამ-მინამ** (აღმ.), **მაშვინ — მაშინ(ა)თვე—მაშთევე** (დასავლ.), **მაშიავ—მაშივ** (ხევს.), **იმაშინ** (ინგ.).

11. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა: **როცა, რომე—რომ, რაკი, მანამ—მინამ, სანამ, თუ არა.**

12. კილოებისათვის არაა ნიშანდობლივი კავშირები, რომლებიც

დადასტურებულია სალიტერატურო ენაში: **რა-რაჲ, როდეს-როდესაც, როს, რომელ, რაჟამს, ოდეს—ოდესცა — ოდესაც, ვინაჲთგან, ვირემ—ვირე, ვინემ.**

13. სალიტერატურო ენისათვის არაა ნიშანდობლივი სახეობანი, რომლებიც დადასტურებულია კილოებში: **როიცა, როცხა—როიცხა, როსაც რო, ომ, რუმ, ჰუმ, რახან, რამდი, რავარც სარამ(დი), ვირამდი, თვარა.**

6. მიზეზობითი კავშირები

მიზეზობით კავშირებად გამოყენებულია:

რადგან(აც)	**რომე, რომ, რო**
რაკი	**ამით რო(მ)**
რახან	**ვინაიდგან**
რალაჲ, რალამც	

რადგან(აც)

ძალზე იშვიათად იხმარება, და თუ გვხვდება, უმთავრესად ბარის კილოებში:

რადგანაც დახედეს, ნახეს მესამეთა (ქართლ.); ამხანაგებმა აღარც შიატყობინეს, **რადგან** ბრაზი მოსდიოდათ (ქართლ.); ოქროს თმები წაჭრილი ჭონდა, **რადგანაც** იქვე ფრძელი დალალები ეყარა (კახ.); **რადგანაც** შენ გადამარჩინე, შენი ვარო (მესხ.); ამ თქმაზე ღვდელმა შეწუხთა, **რადგან** წაკითხვა არ იცოდა (გურ.: ჟღ. 100, 12); მე მას უძახი ომის ციხეს, **რადგანაც** დაბლა იქნე არის „ლხინის წყალი“ (გურ.: ჟღ. 96, 9); **რადგან** დაღალული იყო, ვაჭრის ეზოში დიეძინა (გურ.: ღლ. 247, 14); ... ეს კაცი ვერ იცნეს, **რადგან** მას სახე ახოვილი ჭონდა (გურ.: ღლ. 218, 21); **რადგან** ხარები ქე ყოფილა კარქათ, მოი, ერთ რაცხას ქთხოვ... (გურ.: ღლ. 163, 7); ...ყოლიფერი კარქათ დახთება, **რადგან** მარჯვე მოჯამაგირე ხაეს სახში დატიებული (გურ.: ღლ. 198, 27).

რაკი

ვადასტურებთ აღმოსავლურ კილოებში. განსაკუთრებით გავრცელებულია მთის კილოებში — ხევსურულში:

უნდა გაჩუქოთ, **რაკი** შვილი გამიცოცხლეთო (ქართლ.); ის ბეჟანი **რაკი** გმირი იყო, შურდა იმ ბიძას (ქართლ.); აეგ ფული მიჩუქებია თქვენთვინაო, **რაკი** ამბავი მამიტანეთო (კახ.); ღვდელმა დაიმშვიდა გული, **რაკი** ქალი მოკლა

(ქახ.); **რაკი** ეს საქმეი-ხქენ, აქამდი მაიყვანე, ეხლა ჩვენ ვიცით (ხევს.: გაბ. 172, 25); უსათუოდ მახკლევდავ, **რაკი** ეს ცხრა-ათი თოფის ჯმა მავიდავ (ხევს.: გაბ. 194,11); **რაკი** თქვენს კელში ჩავვარდნივ, „სული ტკბილიავ" (ხევს.: ანდრ. 20,229); კაცს არა მახვდ, **რაკი** სანგალში ისხდეს (ხევს.: ანდრ. 21, 243); არხოტიონთ გუდანის ჯვარ არ ხყვარებივ, რაკი იმის დროშაით უდენავ არხოტიონთ დახალაშქრავად (ხევს.: ანდრ. 34, 562); იქ არავინ არ ცხოვრობს ზამთრამდინ, **რაკი** ეს ადგილი ღილღველთ ახლოს ას (ხევს.: ანდრ. 30, 353); **რაკი** ძალიან მთა ალაგი იყვ, არ მასწონებივ ეს ალაგი (ხევს.: ანდრ. 33, 385); ტყვია კი არც იმათ მახვდად' არც კაგას, **რაკი** თოფებს ვერც ღლიშნებდეს სიბნელით ერთუცს (ხევს.: ანდრ. 30, 360).

რახან

დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის:

რახან ეგრეა, მე დავიწყებ (ჭართლ.); **რახან** მდევი მოიშორეს, ამირანმა უთხრა... (ქახ.); დედანიმც ნუ მიტირებენ, **რახან** ეგ ქალები თქვენ ღილღოს წაგაყვანივათ (ხევს.: გაბ. 167,5); მაშინ რაიღ მინდია ვიქნები, **რახან** მარტო ვერ გაუძღვა აქვათ (ხევს.: გაბ. 183, 24); აქ **რახან** ქარმ დაღბერნის, ნაცრის ბუქვი ნისლივიდ გაწვის მთებზე (ხევს.: ანდრ. 35,422).

აღსანიშნავია, რომ „აღორძინების ხანის" სალიტერატურო ენაში **რახან**-ს ზოგ ავტორთან უპოვია ლიტერატურული გამოხატულება: ვითამც არ დავკარგულვარო, **რახან** შენ შეგეყარეო (რუსუდანიანი 757, 10); **რახან** რომ დია კარგნი კაცნი და ფიცხნი მოწიფულნი იყავით.., ბაღში შეგიწვიათ... (რუსუდ. 782, 1); **რახან** კვიროს მამა მკვდარი ნახა, არქვა (არჩ. 227,1).

რაღაც

დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის:

რაღაც მასე ქენი, არ გელაპარაკები აწე; **რაღაც** არ მიიღეს, წიფის ტუნელი დახერგეს რაზმელებმა; **რაღაც** გადავრჩი, არ დავეძეფ არაფელს და მისთ.

გურულში უმთავრესად -მცა ნაწილაკდართულად იხმარება: **რაღამც.**

მაგალითები:

რაღამც მასეა საქმე, კაი აპავო (ღლ. 196, 29) და მისთ. შდრ. ზემოიმერული.

რაღამც გევიგე, რა მადარდეფს აწე.

შდრ. საბუთების ენიდან:

რაღა ბეგი მოკვდა, მერმე ქვეით გაყიდეს (ბერძენ. 474).

აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთელთან, როგორც ზემო იმერეთიდან გამოსულ მწერალთან, თავს იჩენს **რაღაი** მიზეზობითი კავშირი:

რაღაი შეგვატყო..., სუ ლხვა რამეებზე გვესაუბრებოდა (442); **რაღაი** კი იმას ჩაიგდებენ ხელში, შედიან სამსახურში (473); **რაღაი** კი ერთხელეე სხვა გზა მქონდა ამორჩეული, არა ვქენი სამსახურში შესვლა (466); იმ დღიდან **რაღაი** კი დას გადასცა ჩემმა ცოლმა უფლება და ვექილობა, ის და გახდებოდა მემკვიდრედ... (464).

რომე—რომ—რო

რომე დაუცავს დასავლურ კილოებს:

იმიზა არ წამევედი, **რომე** ყაროული მყავდა დაყენებული (ქვემოთიმერ.); იმისთვინ მოვედი, **რომე** ჩემთან ერთი სტუმარი არი (იმერხ.: 58), და მისთ.

რომ-რო ნიშანდობლივია აღმ. კილოებისათვის:

დაიძინა, დაღული **რო(მ)** იყო (ქართლ.); სახელმწიფო დაიპატიჟა ხემწიფემ, **რო(მ)** გაიმარჯვა ომში (კახ.); შენდ კი უშველავ დიდ არხოტის ჯვარს, **რო** არ მაუკლიხარ აქვათ (ხევს.: გაბ. 185, 28); მადლობელი-ორ შენი, ოჩოპინტეო, **რო** ჯიქვი მამაკვლიე (ხევს.: გაბ. 154, 8).

იმით რო(მ)

ნიშანდობლივია ხევსურული კილოსათვის:

ისენ მაინც წავიდოდეს ზამთრის, **იმით რო** იქ ზაფხულის არა-ი ძოვდა (ანდრ. 30, 354); ჩემ სატირლადავ ნანას ნუ მაუტევთავ, **იმითავ რო** ქება-დიდებით ტირილ იცისაო-დ... (ანდრ. 20, 238); ძალიან გაახარნ ეს ძმან. **იმით რო** ძალიან ჯავრი შეჰირდა (ანდრ. 36, 429); კაცებს იმოდნად ვერ სწონენ, **იმით რომ** ხალხ იარაღიან დადის (გაბ. 152, 23); თქვენ უფრო გინდათ მაგრა დაჭერა მგელთ უქმისა, **იმით რომ** თქვენ ჯერ ქვე არა გყავთ (გაბ. 149, 2); ზოგს ერთ თიკანიც არ ხყავ მგლისაგნივ მაკლული, **იმით რომ** ის ხალხნ ყველაზე მაგრად უქმობენ (გაბ. 148, 28); უფრო კევსურთა არვინ მამკვდარას ომში, **იმით რომ** კევსურთ სრუ ყველას ჯაჭვი სცმივ (გაბ. 164, 11); არხოტივნებს არ

უნდა ნების-ნებას იმათ დაჰოცა, **იმით რომ** ტყვის მოკვლა ჩვენში დიდ სირცხვილი ას (გაბ. 169, 18); ...არ შასწირავს, **იმით რომ** ისიც შასწირავს რა სწორ-სწორნ იქნებიან (გაბ. 137, 26).

ვინაიდგან

დამახასიათებელია გურულ-იმერულისათვის:

ვინაიდგან მასთეა, ქი ამოყევი პოეზდს (ბურ.); **ვინაიდგან** უფრო ჭკვიერია, ქე გოუძღვეს ამ ბოქშებს (იმერ.).

დ ა ს კ ვ ნ ა:

1. ბარის კილოებში გვხვდება **რადგან(აც);**
2. აღმოსავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია **რაკი, რახან;**
3. **რომე—რომ—რო** დადასტურებულია აღმ. და დასავლ. კილოებში;
4. **რაღა(მც)** ნიშანდობლივია იმერულ-გურულისათვის;
5. **იმით რომ** ნიშანდობლივია ხევსურულისათვის;
6. კილოებისა და სალიტ. ენისთვის საზიაროა: **რადგან(აც), იმით რომ, ვინაიდან, რომე-რომ, რაკი;**
7. კილოებს არ ახასიათებთ: **რამეთუ, ამით რომე, ამად რომე, რომელ.**
8. სალიტ. ენისთვის არაა ნიშანდობლივი: **რაღა, რახან.**

7. მიზნითი კავშირები

მიზნითი კავშირებია:

რომე—რომ—რო
რუმ

რომე

ახასიათებს დასავლურ კილოებს:

შეღება დანა და მუუტანა მამას, **რომე** დააჯეროს დაის ნამდვილათ სიკტილში (ბურ.: ღლ. 221, 34); წევიდა ცხუნკურში, **რომე** რამეფერათ დეითანხმიოს (ქვემოიმერ.); იქინე დგანარიენ, **რომე** დეინახონ ამომავალი (ქვემოიმერ.); **იმიზ გულიზა** გაბარეფ, **რომე** სწორი მითხრა (ქვემოიმერ.).

გავრცელებულია მთის კილოებში, ინგილოურში და დასავლურ კილოებში:

წაიყვანეს თავის შინ, **რომ** ეს სამის თვის ყმაწვილი აღარავის მეეკლა... (ხევს.: გაბ. 172, 3); სრუ მუდამ უნდა სთხოვას გამარჯვება, **რომ** კელ მაუმართას მენადირეს (ხევს. გაბ. 154, 2); ჩონ აქე წავკიდნოთ, **რომ** მეცუცქულე გარე გამოტდეს (ინგბ. იმნაიშვ. 283);... დროზე კელევ გატჰწორას გულზე... **რომ** კდარ ლამაზ იყოს (ინგბ.: იმნაიშვ. 37); ქალი **რომ** დიერწმუნებია, სახლის ნაბუსავიდან პაწაი ისრიც ჩამიეღლიტა (გურ.: ღლ. 226, 1); გამუარდა გარდამ, **რომ** მოკლას მოჯამაგირე (გურ.: ღლ. 198, 36); გააკეთებია დიდი პწკალე, **რომ** ფუხარის კალამთან ასულიყო (გურ.: ჟღ. 107, 13); იაშიკს ჰუჰრუტანა გოუკეთა, **რომ** სულის მოთქმა შეძლებოდა (ქვემოთიმერ.); მე **იმიზა** მივდივარ, **რომ** დავარწმუნო (ქვემოთიმერ.).

რო

საერთო დამახასიათებელია:

ეს მიმირთვით ავჟანდელსა, **რო** მიიყვანოთ შინაო (ქართლ.). ხინკლის წვენს ახვრეტიებდეს, **რო** ძალიან გასუქებულყვა (ხევს.); ორ უპატრონო ადგილი გვიბოძეე, **რო** დავსახლდათავ (ხევს.); ღილღველნი ქრისტიანის კელით დაკლულის საკლავის კორცს არ ჭამდესა-დ **იმის გულისად**, **რო** ღილღველებივ უნდა დავხპატიჯათავ (ხევს.: ა. ოჩიაურის მასალებიდან); ერთი მორწყავმა წავიდა სარწყავზე, **რო** გოლი გამოვშოს (ფერეიდნ.: ჩიქ. 242); იმასთან **რო** არ გეიგულავო, ამიზა გეჩხუბებიენ (ქვემოთიმერ.).

რუმ

ნიშანდობლივია ინგილოურისათვის:

უგე **იმიბე** შემინახი, **რუმ** ამ შენ პატარა ზმი დეკაც მემეც (იმნაიშვ. 124); ჩონ ჟუღაბ წოორ **რუმ** იყოს, **ებიბე** საჭიროჲს ერთმანერთს ბელგაჲ მივცეთ (იმნაიშვ. 123); **რუმ** შარ რაჲმ მოტდეს, ადგა დევ... (იმნაიშვ. 127).

დასკვნა:

1. აღმოსავლური და დასავლური კილოებისათვის საზიაროა **რომ, რო.**

2. დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია **რომე**.

3. ინგილოურისათვის ნიშანდობლივია **რუმ**.

4. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა **რომე, რომ**.

5. კილოებისათვის არაა ნიშანდობლივი **რათა-რაჲთა, რომელ**.

6. სალიტერატურო ენისათვის არაა ნიშანდობლივი **რო, რუმ**.

7. კორელატებია: **იმიზა, იმიზ გულიზა, იმის გულისად, იმიბე, ემიბე**.

8. ვითარებით-შედეგობითი კავშირები

ვითარებით-შედეგობითი კავშირებია:

რუმე—რომ—რო

რუმე—რუმ

ისრ რომ, ას(თ)ე რომ(ე)

კორელატებია: **ისე, ისეთი, იმისანაჲ, ისთე, ისრ, ისით, ისთაღ აგე, იგრ, ინგე, იმფერი, იმხელა, ამთონ, იმუურაჲთი.**

რუმე

ახასიათებს დასავლურ კილოებს და აღმოსავლურთაგან — თუშურს.

საქმე ი ს თ ე მუახერხე, **რომე** შენ ამასობაში გეიპარე სახშიო (ბურ.: ღლ. 241, 26); ი ს თ ე შეჲდა ჯორზე, **რომე** არც ფული გადუუხთია და არც აფერი (ბურ.: ღლ. 240, 24); ბერი გაკუჭტა, ი ს თ ე გადელდა, **რომე** კაღამ შიამტრია კარებიც (ბურ.: ღლ. 221, 2); ... ი მ ხ ე ლ ა ნიგოზი გეიზარდა იმ კისერზე, **რომე** სამ დესეტინა მიწაზე აღარ ეტევოდაო (ბურ.: ღლ. 229, 9); ფასიც ი ს ე ძვირი იყო გამოცხადებული, **რომე** ახირებული კაცი იმას ვერ იყიდდა (ბურ.: ღლ. 194, 18); ქალმა ი მ ფ ე რ ა თ შეუჩთა, ი მ ფ ე რ ა თ, **რომე** ბოლოს დეიყოლია ქმარი (ბურ.: ღლ. 194, 28); მე ი მ ფ ე რ ი ქსოვა ვიცი, **რომე** ქოყანას გავაკვირეფ (აბარ.).

რომ—რო

დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის.

ი ს ე თ ი საქმელი გააკეთა, **რომ** ყველას მოეწონა (ქართლ.); თან ჯუთელნი ი ს რ ცოტანია, **რომ** ზღვასთან წვიმის ცვარი

ას (ხევს.: გაბ. 166,17); ი ს თ ა ღ ძაღლებ იყუნესატ, რომ ...მოკელავდესატ (თუშ.); ა გ ე ა ჰწყურტები, ...რომ ბერ გელ ბრული ზირზე გადაკუნტულებული (ინგ.: ჯანაშვ. 183, 31); ი ს ე შაჰამეთო, რო წვეთი სისხლი არ გადავარდესო (ქართლ.); ი ს ე თ ი მჭამელი იყო, რო ერთი ხარი არ ყოფნიდა (ქახ.); ე გ ე თ ი გაიცინა, რო ხარო სუ შეინძრა (ქახ.); ერთმანეთშიავ ი მ თ ვ ე ნ იყვავ ხატებივ, რო ბუზვერივით გადიგამოდიოდავ (ხევს.); ი ს ი თ სატკივარ გამჩინდავ, რო ველარ გაუძალი (ხევს.); ი ს ი თ ჯღარ-ჯღურ გაიღ, რო მთელ სოფელ გამაღვიძ (ხევს.); ეს ღილღველ ი ს ი თ გაბრიყვებულ იყვ, რო შინ წირებდ იარაღსა (ხევს.).

რომე, რუმ

ვადასტურებთ გურულ-აჭარულში (რუმე) და ინგილოურში (რუმ);

ი მ ი ს ა ნ ა ი სანახავი პური იყო, რუმე მეტი არ შეიძლებოდა... (გურ.: ღლ. 229, 17); ი ს თ ე ხეთქა თავში, რუმე შეგეცოდებოდა (აჭარ.); ა გ ე ჰუკრავს, რუმ სმენელს ატირებს (ინგ.: ჯანაშვ. 195, 23); ა მ თ ო ნ ჰუტარები, რუმ ეს ფინ ზაღლებიან კაცისა წატყონი (ინგ.: ჯანაშვ. 183, 12); კდარ ჩადევასუკან ტყელ ქუევს აწყოვენ ზედთი ი მ ე უ რ ა ჲ თ ი, რუმ კდარს მიწაჲ არ ეყრევ (ინგ.: იმნაიშვ. 38); ქაჩალ ი ნ გ ე ლამაზ გადაჲ ყოფილ, რუმ ქალს აჲქავ უყურდევის ამითავ (ინგ.: იმნაიშვ. 131); ა ჲ მ ა გ სუქდევ, რუმ ტყავშიაც აღარ ეტევისდაა (ინგ.: იმნაიშვ. 129).

ისრ რომ, ის(თ)ე რომ(ე)

გავრცელებულია მთის კილოებში (ხევსურეთში) და დასავლურ კილოებში:

მეკვლე რო შავა, ის წყალთ დასაპარავად გამავარდების კარში, **ისრ რომ** ვინც წყალს პირველად ამაიღებს, ის იქნება დავლათიანი (ხევს.: გაბ. 144, 17); დაიწყებენ სოფლის ქალები ბოთლების ზიდვას, **ისრ რომ**, რაც სიძის სოფელში ქალი ას, ყველა, დიდი და ცოტა, მაიღებს ერთს არაყიან ბოთლას... (ხევს.: გაბ. 132, 16); რომენ სათოფეზედაც ბევრი-ბყენავ, მეთოფე წინწინ იმას ესრევს, **ისრ რომ** ეს ხალხი რიგით, ჩამაყოლებით, ამ სათოფეებს სრუ აიღებენ (ხევს.: გაბ. 147, 23); ...დედუფალი მიაბძანეს მორე ვოთახში, **ისე რომ** ამ ამბავს ქ ე ყუროფს (გურ.: ღლ. 235, 8); მუუსვა უხსენებელს თავზე და უკან

ჩააბრუნა ქალის მუცელში, **ისთე რომე** ეს ანბავი არც ქალს და არც ბიჭს არ შუუტყვიენ (ბურ.: ღლ. 212, 11); ჩემ ქალიშვილს მოკლული ხავს 99 კაცი, **ასე რომ** ვინც მაზე დაქორწილდება, ერი დღის მეც ვერ ძლეფს... (ბურ.: ღლ. 211, 30); თვითან მიდის მეზობლისას, **ისთე რომე** ქმარს არაფელს არ ელაპარაკება (ჭვემოიმერ.).

დასკვნა:

1. დასავლური კილოებისა და თუშურისათვის საზიაროა **რომე**.
2. გურულ-აჭარულისა და ინგილოურისათვის საზიაროა **რუმ(ე)**.
3. აღმოსავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია **რომ, რო**.
4. კორელატებია: **ისთუ, ისე, იმხელა, იმფერი** (დასავლ.), **ისეთი, ისე** (აღმოსავლ.: ბარის კილ.), **ისრ, ისით, ისთაღ, იმთვენ** (აღმოსავლ.: მთის კილ.), **აგე, იგრ, ინგე, ამთონ, იმუურადთი** (აღმოსავლ.: ინგ.).

9. ვითარებით-შედარებითი კავშირები

ვითარებით-შედარებითი კავშირებია:

როგორ(ა)ც	**რავარც**
რაღგვერც	**რაფერაც**
რაკელც	**რამთვენ...**
	რაც

როგორ(ა)ც

იხმარება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში. ისევ ი ს ე თ ი იყო, **როგორც** წინაზე იყო (ქართლ.); **როგორც** იმას უყურა, ი გ რ ე გააკეთა იმანაც (კახ.); ი გ რ ე უყვარხარ იმასა, **როგორც** საკუთარ შვილია (კახ.); ეს ხთიშვილი, **როგორც** წყემსი ცხვარს, ი ს რ თან-ყოლას დაუწყებს, პატრონობას (ხევს.: გაბ. 153, 13); **როგორც** დაინდობ, ა ი ს რ დაგინდვასავ ხთიშვილმავ (ხევს.: გაბ. 138, 14); ეეს თას **როგორც** ჩემ კელთ ას, ი ს რ სულსამც იმისას მაეკმარების (ხევს.: გაბ. 127, 5); **როგორც** თუთან დეემბა, ეგრე დამბულია (ინგ.: იმნაიშვ. 465); **როგორც** კაცმა დაასწავლა, იმჟურა წატდა ტაჲ (ინგ.: იმნაიშვ. 73); სახში საკმელს უყრიან, **როგორც** არხოტ და ჯევსურეთში (ხევს.: გაბ. 138, 20); **როგორაც** ვიტყუ, ა იგრე კეჰტება (ინგ.: იმნაიშვ. 400); ვცხოვრობ, **როგორც** შეე-

ფერება ჩემისთანა კატა-მატას (ინგ.: ჯანაშვ. 185, ბ); ვაჭარმა, **როგორც** თავისი კაი მეგობარი და სურიელი მამა, დაბაიჯა ჩვენი ნაცნობი ბერიც (ბურ.: ღლ. 224, 10); **როგორც** მელია, ისთე მიეპარა (ქვემოთიმერ.); **როგორც** ხენწიფე, ისთე დეიშიმება (ქვემოთიმერ.).

რავა(რ)ც

იხმარება დასავლურ კილოებში:

რავაც ამ სახარებაში წერია, ისთე მეიქეციოთო (ბურ.: ქღ. 100, 4); ახლა ბიჭი და გოგო **რავარც** მეინდომებენ, ისე შობიენ (ბურ.: ქღ. 99, 20); მარა მისი ამბავი ისე წინ არ წევიდა, **რავარც** არსენა ოძელაშვილის ლექსი (ბურ.: ქღ. 99, 32); დამასაფლავე, **რავარც** მე შემეფერებაო (ბურ.: ქღ. 106, 13); ჯერემ **რავარც** წესია, ნეფე-დედუფლის სადღინძელო უნდა დიელიენ (ბურ.: ღლ. 195); **რავარც** შეიძლო, ისე გააკეთა სადილი (ბურ.: ღლ. 196. 2); **რავარც** ბატონი ბრძანდება, ისთე აკეთებდა (ქვემოთიმერ.); ისთე გავლახე, **რავარც** ჩემი შვილი (ქვემოთიმერ.); მეეხმარა ავანტყოფს, **რავარც** რიგი იყო (ქვემოთიმერ.).

რაღგვერც

ახასიათებს თუშურ კილოს:

ჩემ მუცელ ამტანია, **რაღგვერც** მეწვრილმანის ცხენი; ფარსმანელებს, **რაღგვერც** ძმაჲ, ჲეგრ მიეღტ; ლეკებ დამთხვენ, **რაღგვერც** ცხტარი; ისიცამ ისთაღ ყოჩაღ იქნებოდ, **რაღგვერც** შეთე: **რაღვერც** ვატყობ, მეტღ კარგა ყოფილ (პ. ხუბუტიას მასალებიდან).

რაკელ(ა)ც

ახასიათებს ხევსურულ კილოს:

რაკელაც შენ მაგიჯდების ჭკვაში. ისრ ვქნათ (გაბ. 165, 16) **რაკელც** გაბურ იქამს, ეს ეშმაიც საჯვაროდ ისრ იქამს (გაბ. 155, 13); **რაკელც** ცოლის წართმაზე, ისრ მკვდართ შაწირვაზედ მარჯვედ მადის მამაკლავ-მამკვდრობა (გაბ. 138,20); **რაკელც** იქნების, ბევრაის ხვეწნით შაარიგებენ (გაბ. 138, 15); ამ მკვდარს მაუვლიან, **რაკელც** კევსურეთის წესი ას (გაბ. 136.

16); **რაკელც** წესია, ი ს რ ვიომათ (გაბ. 181, 21); განა ჩვენაც ი ს რ მაგექცევითავ, **რაკელც** სხვა ქისტებივ (გაბ. 182, 14); **რაკელც** გწადისავ. ი ს რ აბრუნებთავ საქმესავ (ანდრ. 31, 364).

რაფერ(ა)ც

გვხვდება გურულ-აჭარულში:

წევიდა სახტარზე ეთერმა და მეიქცა ი ს თ ე, **რაფერც** დუუბარა ბუდუამისმა (გშრ.: ყღ. 103, 4); ქალმა შეასრულა ეს, **რაფერაც** დუუბარა (გშრ.: ღლ. 196, 36).

რამტვენ..., რამტ(ვ)ენ..., რამდელ..., რამტელ.::

დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის:

რამტვენიც დავიძახოო—დავიწვიო, ი მ ტ ვ ე ნ ი ძირ დამიშვითო (ქართლ.); და ადუღებს ლუდს, **რამთვენიც** შაუძლავ (ხევს.: გაბ. 131, 16); **რამთვენიც** თოფ გავარდების, ი მ თ ვ ე ნ ი ც გორავს ხალხი (ხევს.: გაბ. 146, 25); **რამთვენიც** მარცვალ დაედების, ი მ თ ვ ე ნ ძროხაი-ას (ხევს.: გაბ. 141, 20); **რამთვენიც** ვაჟის ნახარჯ შადგების, ი მ თ ვ ე ნ ს დაადებენ გადასაკდელად ქალს (ხევს.: გაბ. 135, 16); **რამთვენიც** შაგვიძლავ, ი მ თ ვ ე ნ ს დავიბრუნებთ მაკეთე-მაკიდულს (ხევს.: გაბ. 130, 25); ი მ თ ვ ე ნ უნდა შასვას კაცმ, **რამთვენსაც** მაინელებს (ხევს.: გაბ. 123, 30); **რამდელ** ხატებსაც მიაჭედებდა, ი მ ტ ე ლ საფეხურს აკეთებდა (ქახ.); **რამტელ** სახრესაც გაჲსცხებდა, ი მ ტ ე ლ ოქრო-ვერცხლს ჰყრიდა (ქახ.); **რამტელიც** დაატრიალა, ი მ ტ ე ლ ი კატლეტ-კუტლეტები გადმადის (ქახ.).

შდრ. იმერხეულიდან:

რამტენიც გინდა, მოგცე ფული (მარი 64, 32).

რა(ი)ც

ვადასტურებთ ყველგან:

დასცა მათრახი, **რაც** ძალაჲ ქონდა (ქართლ.); ჩვენ კი **რაიც** შეგვიძლავაე, ვიბრძოლებთავ (ხევს.: ანდრ. 21, 254); ზოგ ბევრს იტყვის, ზოგ ცოტას, **რაიც** ვის შაუძლავ (ხევს.: გაბ. 130, 16); **რაც** ძალა და ღონე ქონდა, დაჭრა მძინარე დიაკონს (გშრ.: ღლ. 191, 14); ...გადასწყვიტა, ეცა ამიზა პატივი, რაც

კი შიეძლო (გურ.: ღლ. 211, 25); **რაც** შემიძლია, პატივს ქცემო (ქვემოიმერ.).

დ ა ს კ ვ ნ ა:

1. აღმოსავლური და დასავლური კილოებისათვის საზიაროა **რო-გორც, რაც.**

2. დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია **რავარც.**

3. აღმოსავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია **რამთვენ..., რამტ(ვ)ენ..., რამდელ..., რამტელ.**

4. თუშური კილოსათვის ნიშანდობლივია **რაღგვერც.**

5. ხევსურული კილოსათვის ნიშანდობლივია **რაქელც.**

6. გურულ-აჭარულისათვის ნიშანდობლივია **რაფერ(ა)ც.**

7. კორელატ-სიტყვებია: **იგრე, ისრ, ისე, ისთე ცეგრ, ისთაღ, იმთვენ..., იმტელ...** ამათგან **ისე** საზიაროა აღმოსავლური და დასავლური კილოებისათვის; **იგრე, ისრ, ცეგრ, ისთაღ, იმთვენ..., იმტელ...** ნიშანდობლივია აღმოსავლური კილოებისათვის, **ისთე** — დასავლური კილოებისათვის.

8. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა: **რო-გორც, რაც.**

9. კილოებისათვის არაა ნიშანდობლივი ერთეულები, რომლებიც დადასტურებულია სალიტერატურო ენაში: **ვითარცა, ვითარ..., ვითა, ვით, ვიდრე, რაგვარ..., რაოდენ..., რამდენ..., რაზომ..., ვითა, თუ სთქვა.**

10. სალიტერატურო ენისათვის არაა ნიშანდობლივი: **რაღგვერც. რაქელც, რავარც, რაფერაც, რამთვენ...**

10. პირობითი კავშირები

კილოებში გამოყენებულია:

თუ
რო(მ)
რუმ

თუ

საყოველთაო კავშირია კილოებში:

თუ საღამოზე მოსულიყო, წამალ მივცემდ (ქართლ.); თუ მარტო დარჩა, თვალს ამაუღებს (ქახ.); თუ არ შახტომოდეს სახში რაჲმი, **იმაშინ** წიგს აზლევდა ახალთიბეჲ (ინგ.:

იმნაიშვ. 253); თუ კდარ იმარხევის ოთხშაბათს ან ჯუმას, მ ა შ ი ნ ის მარხულ იმარხევის (ინგ.: იმნაიშვ. 39); თუ იმიზა არ მოგიჭრია თავი, შენ მოგჭრიო (გურ.: ღლ. 221, 23); თუ ფეხეფთან ვიქდე, მაშინ ავათმყოფი მოსარჩენია (გურ.: ღლ. 249, 25); თუ ვინმეა გვარიანი, ქე მეიყვანე მაშვინ (ქვემოიმერ.).

პირობითი წინადადება როცა უარყოფითია, ე. ი. თუ კავშირს მოსდევს არ, ვერ ნაწილაკები, ისინი ერთმანეთს ერწყმიან გურულ-ქვემოიმერულში და ვღებულობთ თვარ-ს (←თუ არ←თუ არ) და თვერ-ს (უ-ს ჩავარდნით):

ასთე თვარ მეიქცევით, ამდონ ვაშს დაღუპავთო (გურ.: ღლ. 231, 23); მართლა აბდალი თვარ ვარ, რას ვერჩი ამ კაცსო (გურ.: ღლ. 189, 3); თვარ მოგიცია სული, ახლავე ვირათ გაქცევ (გურ.: ღლ. 179, 9); ამას თვარ გოუწყვე ხელი, ქეც მომკლავენ (ქვემოიმერ.); შენს დანაქადს თვერ აასრულეფ, თავ მოგჭრიო (გურ.: ღლ. 193, 14); მე თვერ მოვალ, კისერი მოჭერით მაგას (ქვემოიმერ.).

რო(მ)

დამახასიათებელია საერთოდ კილოებისათვის:

ვანუას რო(მ) ექორწილა, მეც ქალს მოვიყვანდი (ქართლ.); შენისთანა დედაკაცი ასი რომ იქნოს, მე კაცი ვარ, ვერ დამაჭარბებ (ინგ.: იმნაიშვ. 442); სამზღვარგალმა რომ არ გაპარვოდა, თავს მოშჭრიდა (ქვემოიმერ.); შენ რომ გითხრას, ქვეყანას მოზდოფ (გურ.: ღლ. 188, 7).

რუმ

ახასიათებს ინგილოურს:

შენ თავ რუმ ყაჲაჲთი გედმეგდა, შენ ჰათაას გრმრხრლი (იმნაიშვ. 181).

დ ა ს კ ვ ნ ა:

1. აღმოსავლურ-დასავლური კილოებისათვის საზიაროა თუ, რომ.
2. ინგილოურისათვის ნიშანდობლივია რუმ.
3. გურულ-ქვემოიმერულისათვის ნიშანდობლივია თუ-ს შერწყმა მომდევნო არ-ვერ ნაწილაკებთან: თვარ, თვერ.
4. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა თუ, რომ.
5. კილოებისათვის არაა დამახასიათებელი ერთეულები, რომლე-

ბიც ნიშანდობლივია, სალიტერატურო ენისათვის: **უკუეთუ, თუცა, თუცალა, თუმცა, ღათუ, დაღათუ, დაღაცათუ.**

6. სალიტერატურო ენისათვის არაა დამახასიათებელი კილოებში დადასტურებული **რუმ.**

7. კორელატებია: **მაშინ-მაშვინ, აიმაშინ.**

11. პირობით-შედეგობითი კავშირები

კილოებში დადასტურებულია:

თუარ	**თვარემ**
თვარა	**თორემ(ა)**
თვარამ	**თორე**

თუარ

ვადასტურებთ ინგილოურსა და თუშურში:

ერ მინამს არ გააჩავო შენ თავზე მანასულ-მანაქდომ, **თუარ** მაშინავ მოჰქდრბ (ინბ.: ჯანაშვ. 198, 3); ჰეეგ შენბეჲ ემ არ გასაჩენელს ჰუსწვალები, **თუარ** შენ საჲთი გეცოდინებოდა ჰემგე რაჲმ (ინბ.: ჯანაშვ: 197); გოდნაო არ შემარცხუნო, **თუარ** დაგდაღავ (ინბ.: ჯანაშვ. 192, 27); აქე ერ ბიჟობა არის, **თუარ** ამ მინდორში ეგე დუმა არ იქნებოდა (ინბ.: იმნაიშვ. 284); უღრიეოდ' იღსთაღ შესვიტ, **თუარ** მოგკლავსატ (თუშ.); ეეხლა წავიდათავ, **თუარ** შუღლ იქნების (თუშ.).

თვარა(და)

დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის; აღმოსავლურ კილოთაგან იცის თუშურმა:

ძალუმი ბიჭია, **თვარა** ვერ გადიტანდა (ზემოიმერ.); ბოქში მომეცი, **თვარა** წაკწყვიტე კისერი (ქვემოიმერ.); საქმელი ახლა მჭირდება, **თვარა** დაღამებულში მეც ქე მომიტანებენ (ქვემოიმერ.); წადი, **თვარა** ინანეფ (ქვემოიმერ.); კტარი იყო, **თვარა** უნდა ენუგეშებია (ბურ.: ღლ. 183, 21); შენი უნცროსი ქალიშვილი უნდა მომცე, **თვარა** შენ სახენწიფოს სოსორკოროთ ვაქცევო (ბურ.: ღლ. 218, 6); ახლა მე არ მცალია, **თვარა** შენზა დახმარება წამალიავო (ბურ.: ღლ. 196, 16); თუ იქ შესვლით ვერ გვიპოვნიანატ, **თვარაც** ცხვარკეტ მაინც მოგვკლევენეატ ჩვენ ძაღლებიტ (თუშ.); საფლავი კარგი ამიგონ, **თვარა** ჩამომიეა წყალია (თუშ.).

შესაძლოა თვარა-ს და ემატებოდეს:

გადაწყვიტე ეს საქმე, თვარადა ქე დაბრუნდი სახში (ზემო-იმერ.).

თვარამ

დაუცავს თუშურს, იშვიათად გამოყენებულია ქვემოიმერულშიც: ერთ კვირაღშია კვამლზედ მაჴათ შაღგროვი, თვარამ თავის ჯარით მანდ ვარი (თუშ.); გირჩიავის ჴახლავი აზდგედ' შემოხვიდ ჩუენთან, თვარამ ბოლოს კი ინანებ (თუშ.); არ გეექანო, თვარამ დაქკარი თავში (ქვემოიმერ.); მაგან მიქნა ყოლისფერი, თვარამ მე რა მიჭირდა (ქვემოიმერ.).

თვარემ

გეხვდება მესხურში:

არ აიხედო, თვარემ მოკვდებიო; შეხედამ, თვარემ შენ უქე გაქვავდებიო; ჰიმსნის შვილი მოიყვანე, თვარემ შექჭამო.

თორემ(ა)

თორემ(ა) იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარება აღმოსავლურ კილოებში:

კაც მამ-პაპის რჯულს არ უნდა გარდახკდას, თორემ ვერ იხაირებს (ხევს.: გაბ. 149, 25); გავეპარნეთაჳ თორემ ეს ძაღლებ არ მომშორდებიანაჳ (თუშ.); გონთ იყოჳ, თორემაჳ შეოე მოდისაჳ (თუშ.); დღეს სადღობელი მაქო შაადღობელი, თორემ მე მუალდი (ინგ.: იმნაიშვ. 268); წამაიღე ეგ შეშა, თორემა მოკვდები სიცივითა (ქართლ.); ჭკუაზე მოდი, თორემა ცოლ-შვილ დაგიხოცამენ (ქართლ.).

აღსანიშნავია, რომ ა-დართული ფორმა (თორემა) იხმარება პაუზის თანხლებით: ,,წამაიღე ეგ შეშა, თორემა... მოკვდები სიცივითა».

თორე

ფართოდ გავრცელებულია აღმოსავლურ კილოებში:

ამიყვანეთ, თორე დევიწვიო (ქართლ.); აღარ აჴრეკოო, თორე ძალიან ღონიერია, გაგაფუჭებსო (ქახ.); ნუ გვაწუხებთავ, თორე სრუ ვერ მაგითმენთავ (ხევს.); სალუდეს ქვაბს თავს დაანებებთავ, თორე კმა გაგიტყდების... (ხევს.); ნუ წამიყვანთავ, თორე გამეცინებისავ (ხევს.: გაბ. 156, 24); არიქათ, შავარიგნათ, თორე ერთუცს დახკოცნავ (ხევს.: გაბ. 138, 8); კიდე კა ალაგში სჴდომიხარ, თორე შენც არ გაგიშობდეს ცოცხალს (ხევს.: გაბ. 185, 17).

პირობით-შედეგობითი კავშირის გამოყენებას კილოებში, და საერთოდ სასაუბრო ენაში. ასეთი თავისებურება ახასიათებს: როდესაც პირობით-შედეგობითი წინადადება დ ა მ უ ქ რ ე ბ ა ს გამოხატავს, შესაძლოა წინადადება მთლიანად შეიკვეცოს და კავშირს დაეკისროს — რიტმო-მელოდიის საფუძველზე — ლოგიკურად ნაგულისხმევი წინადადების გადმოცემა:

თავი დამანებე, **თორემა**...; ხელს ნუ მიქნევ, **თორე**...; ხმა დაიდაბლე, **თორე**... და მისთ.

დ ა ს კ ვ ნ ა:

1. აღმოსავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია **თორე** (უმთავრესად), **თორემ(ა)**.

2. დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივია **თვარა** (უმთავრესად), იშვიათად — თუშურისთვისაც.

3. ინგილოურისა და თუშურისათვის ნიშანდობლივია **თუარ**.

4. თუშურის, მესხურისა და ქვემოიმერულისათვის ნიშანდობლივია **თვარემ**.

5. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა: **თვარა, თვარემ, თვარამ, თორემ**.

12. გამორიცხვითი კავშირები

გამოყენებულია:

თუმც(ა)	**გინდ(აც)**
თუნდ(აც)	**რომც**

თუმც(ა) — **თუნდ(აც)** — **გინდ(აც)** საყოველთაოდ გავრცელებულია.

მაგალითები:

თუმც ცუდ-კაცობა შეგნიშნე, შეგიბრალეფ მაინცა (ჭართლ.); **თუმცა** წვერი ხუცეს უგავდა, დაქრა გუდას ნაჯახაი (გურ.: ღლ. 191, 32); **თუმცა** ჯერ ვახშამის დრო არ იყო, მარა ამ ბიჭს გამოუტანენ საჭმელი (ქვემოიმერ.); **თუნდ(აც)** თავი მამჭრან, ტყუილს ვერ მათქმევინებთო (ჭართლ.); **თუნდა** ფაიტონი გადამიბრუნო, მაინც გესვრიო (ქვემოიმერ.); **გინდაც** მენახოს, არ გამოვტყდები (ჭართლ.); **გინდაც** გადეეტეხა, რავა, ეტყოდი რამეს თუ? (ქვემოიმერ.); მაშინ ეს ქალი, **გინდა** ის კაც არ მასწონდას, ვერას იტყვის ჯვარის შიშით (ხევს.: გაბ. 133, 23); რომენსაც ქალ კელს გააბომს მაშუღლარს, ის კაც ჩუჩუნს ვეღარ იქს, **გინდა** ძალიანაც სირცხვილ-დადებულ იყვას მეპირდაპირისგან (ხევს.: გაბ. 124, 31).

რომც გურულ-ქვემოიმერულში გვხვდება. ჩვეულებრივია ასეთი ფაქტები:

რომც გამეგზავნა, მაინც დავრჩებოდი; **რომც** მინდოდეს, მაინც არ მოვკლავ და მისთ.

დ ა ს კ ვ ნ ა:

1. კილოებისათვის საზიაროა: **თუმც(ა), თუნდ(აც), გინდ(აც);**
2. გურულ-ქვემოიმერულისათვის ნიშანდობლივია **რომც;**
3. კილოებისა და სალიტერატურო ენისათვის საზიაროა: **თუმცა, თუნდ(აც), გინდ(აც), რომ(ც).**
4. კილოებში არაა დადასტურებული **დაღათუ — დაღაცათუ, თუცა.**

თავი მეოცე

კორელაციის სისტემა

დამოკიდებული წინადადების ფარგალში მოქცეულ კავშირს მთავარ წინადადებაში ეხამება სიტყვა (ნაცვალსახელი, ზმნიზედა), რომელიც მასთან გარკვეულ მიმართებაში იმყოფება, — კავშირის მისამართი სიტყვაა, და ეს კორელაცია შედის კავშირის კატეგორიის საერთო სისტემაში, როგორც დაკავშირების უმთავრესი კომპონენტთაგანი.

კორელაცია ნიშანდობლივია ქვეწყობის კონსტრუქციისათვის, — თანწყობის კონსტრუქციას იგი არ ახასიათებს.

კორელაციის სისტემა მტკიცედ ჩამოყალიბებულია ქართულ სალიტერატურო ენაში — მოყოლებული ძველი პერიოდიდან დღევანდლამდის.

განვიხილოთ ეს საკითხი დაქვემდებარების ცალკეული ტიპების მიხედვით.

1. ქვემდებარული კავშირების კორელატები

ქვემდებარულ კავშირებს კორელატ-სიტყვად ეხამება ნაცვალსახელები: პირთა — **იგი, ის,** ჩვენებითი — **ეს(ე)** და განსაზღვრებითი— **ყოველი, ყველა.**

A

სახელ. ბრ.:

იგი

და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს **იგი** ცათა შინა (მთ. 16, 19; DE. შდრ. C: და **რომელი** შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს ცათა შინა); **რომელი** განჰკსნეთ ქუე-

უანასა ზედა, ჰსნილ იყოს **იგი** ცათა შინა (მთ. 18, 18); აწ შენცა **იგი** წაგეკიდების, რ ა ც ა ღმერთსა გაუგია (ვისრ. 66,36); რ ა ც ა ღმრთისა დაბადებული სურნელი იყო, **იგი** და ყოველი ფერი ხილი შიგან იყო (ამირან. 93,16); რ ო მ ე ლ ს ა ც ა ჩემდა მოყვრად ვიცნობ, **იგი** შენიცა მოყვარე იყოს (ქილილ. 247); რ ა ც ა გვაქვს, **იგი** შენია (რუსთ. 1054,3); რ ო მ ე ლ ი ც შენის საწადლის მქმნელი იქმნება და რ ო მ ე ლ ი ც შენ გაგითვისდება, **იგი** ჩემიცა თვისი იქმნება (ქილილ. 247); რ ო მ ე ლ მ ა ც შეიძლოს ..., **იგი** მოჩხუბრისა და უწყალოს ამხანაგი იქმნების (ქილილ. 210); **იგი** სიხარბისა გარდარევაა, რ ო მ ე ლ ს ა ც ა პატიოსანთა პირთა სიხარბის მტევრი ზედ დაედება (ქილილ. 260); ბედისგანმც მიწყი დაღრეჯით **იგიმც** ზის, ვ ი ნ ც დაგღრიჯაო (არჩ. 571,1); ვისაც იარაღი არ ეჭირა ხელში, **იგი** სინანულს აცხადებდა (ვაჟა 124).

ის

დამახასიათებელია უმთავრესად ახალი ქართულისათვის. გვხვდება აღორძინების ხანის ენაშიც:

ის შეჰრისხდება, ვ ი ნ ფიცავს (არჩ. 169,3); **ის** კაცად არ ჩაგდებულა, ვ ი ნ ც ტყუილს არ ეკრძალება (არჩ. 199,3); ვ ი ნ მაშის სისხლსა არ ეძებს, **ის** კაცად არ ჩაგდებულა (არჩ. 230,4); ვ ი ნ ც რომ ისრე უკუღმართად, მრუდად ხნას და თესოს, ფარცხოს, **ის** მე პურსა ნუღარ მაჭმევს (გურამ. 34,1); სხუა რ ა ც გარდარჩეს, **ის** დეკანოზის იყოს (საეკლ. საბ. 24,11); ვ ი ნ ც ასე გაზრდილა პატარობითვე..., **ის** შინ არ დადგება (ილია 33, 9,41); ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოცემულიო, **ის** ბედნიერიაო (ილია 328,26); რ ა ს ა ც არ მოელოდნენ, **ის** მოხდა (ვაჟა 9); ვ ი ნ ც კაცს გააჯავრებს, **ის** ღმერთს გააჯავრებს (ვაჟა 73).

ეს(ე)

ეს(ე) იხმარება ა რ ს ზმნასთან შეხამებით, ე. ი. მაშინ, როდესაც მთავარ წინადადებაში შედგენილ შემასმენელში ა რ ს ზმნა მონაწილეობს:

ამა არაკისა სარგებელი **ესე** არის, რ ო მ უნდა იცოდეს... (ქილილ. 140); ... პირველად კაცისათვის ღვთისაგან წყალობა **ესე** არის, ვ ი ს ც ა შვილს მისცემს (ომაინ. 72,9); ნეტარება **ესე** არის, რ ო მ ე კაცი ასე კეთილის საქმით იყოს... (ვახტ. ტი,

რიბ.); ეს არს საწუხარ, რომ ბოლო თვით სიხარულსაც ჰქონიან (ორბელ. 20); ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემ სიცოცხლეში, რომ მარტო დავრჩენილიყავი (აკაკი 397); საშვილიშვილო ვალდებულება რომ მე მოვსხო ძროხის გულისთვის, ეს ღორმუცელობა იქნება (აკაკი 411); მაგრამ უბედურება ესაა, რომ კაცები ხაფანგს უგებენ მტაცებელთ (ვაჟა 17); აი ეს იყო მიზეზი, რომ ელგუჯამ შორიდგან მაინც ვეღარ მოჰკრა თვალი... (ყაზბ. 9).

B

მოთხრ. ბრ.:

რომელი პირველ ზეცით გარდამოვარდა.., მან დამაბნელნა და დამცნა ედემს (სას. პოეზია, ივ, XXVI); რომელმან შესძინოს ცნობად, შესძინოს მან სალმობაჲ (ეკლეს. სოლომ. 184, § 18); რომელმან იგი მზჱ და ყოველნი დაბადებულნი შექმნნა, მან თჳსი იგი ბრწყინვალებაჲ ზეცას დაუტევა... (მრავალთ. 266,6); ვინცა ჯავრისა თესლი დასთესოს, მან არა კარგი დღე ნახოს (პროზ. შაჰნ. 420); ვინცა ავი ქნას, მან ტფრო შეჭირვება და ავი მოინახოს (პროზ. შაჰნ. 417); რომელსაცა ებარა, მან შინ შეიწვევა (ქილილ. 167); ვისცა ჩოდოლო და მდღეგარი საზრდელი ეპოვება, მან მეტის ნდობის ფერკი მოთმინების საზღვრიდამ არ გარდადგას (ქილილ. 263); ვინც პირველად საქმე გაამრუდა, მანვე გამართოს (ომაინ. 77,28); ვისაც მხოლოდ გიმნაზიის გათავება უნდა, იმან სჯულის კანონი უნდა შეისწავლოს (აკაკი 442); ვისაც უნდა რუსეთში წასვლა, იმან ლათინური უნდა ისწავლოსო (აკაკი 442); ვისაც ჩვენი შვერლობისათვის თვალი უდევნებია, იმან კარგათ იცის... (ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწ., II, 177).

შესაძლოა კორელატს ერთვოდეს -ცა ნაწილაკი:

რაცა ღა ისწადდეს, იგიცა მოჰკვდეს (ვისრ. 310,9); ვინცა მჳვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან (რუსთ. 1394,4); რომელნიცა ჩემისა მოყვარისა მტერსა დაემოყვრების, იგიცა ჩემი მტერი შეიქმნების (ქილილ. 247); ვინ მის წყალობას მოელის, იგიცა ცად აელისა (არჩ. 7,4); ვინცა იოსებს გამოუცხადა თხოვილისათჳს, მანცა ამათ ვარსკულავთ გამოუცხადა (მრავალთ. 278,32); ვისცა მიმცეს საყვარელსა, მანც ნება ვერ შეითავსა (არჩ. 254,1).

კორელატი გვეულინება მრავლობით რიცხვშიც:

და რომელთა-იგი ღმერთი ვერ იცნეს, მათ მიზეზი გონიერი ყოველთა დაბადებისაჲ ვერმცა გულისკმა ყვეს (ექუსთა დღეთაჲ 2,32); რომელთა-იგი გშვეს შენ, იგინი ზესკნელ ზეგარდამო შობილ იქმნენეს... (კიმ. 138.10); რომელთა დამკოდეს, ისინი მის ქარავნისა უფროსნი და თავადნი იყვნეს (ამირან. 133,30); რომელთაცა შეებეზღა, მათ გალესეს მისთვის დანა (შაჰნ. 3096,4); ვისაც მათი წახდენა უნდოდა, იმათ კიდევ უფრო დააფრთხეს (ფარსად. 228); ძოღან რომელთა ვაჭართა მოეცათ, იგინი მუნ დახვდეს (სიბრ.-სიცრ 13,16); ვინც ხედავდა ბოლოს საქმეს, იმათ არად განიხარეს (გურამ. 55, 3); მათ უკან მიჰყვეს, ვინ მათსა საქმესა გამოეკიდოს (არჩ. 421,4); ვისაც კარგი ხმა ჰქონდა.., ისენი ვითომ მეძებრები იყვნენ ხოლმე (აკაკი 423); ...სად იმალებიან ისინი, ვისაც ისე დღის გამწარებას უპირებდა (ყაზბ. 21); აწ სად არიან ისინი, მას ჟამსა ლხინში ვინც იყვნენ? (გრ. ორბელ. 102).

ყოველი, ყუელა (ყველა).

გვხვდება როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში:

მაშინ, რომელთა სლვაჲ ძალ ედვა, ერთობით მიიწინეს ყოველნი შატბერდს ძიებად წმიდისა მის (ბანძთ. ო, ობ, 4); და ყოველნი, რომელნი ხედვიდეს და ეშოდა, აღივსებოდეს საკჳრველებითა (კიმ. 268,7); ყოველთა, რომელნი იყვნეს ნაესა მას შინა, წარიწირნეს თავნი თჳსნი ცხორებისაგან (კიმ. 333,13); რაცა თავადნი და სახელდებულნი ფალავანნი არიან, ყველა ჩემკენ მოდის (პროზ. შაჰნ. 388); ვინცა არ გარდაიხვეწა, ყველაი დაიკოცა (პროზ. შაჰნ. 438); შიგან რაცა კარგი იდვა, ყუელა შეჱსო იყო (ვისრ. 228, 21); რაც ავი კაცსა დაემართება, ყოველივე სიხარბისაგან იქმნება (ქილილ. 138); ვისაც იმისი ცარიელი მუშტი მოხვედრია, ყველა იძახოდა... (ვაჟა 111); ვისაც დაენუკვა მფარველობას, ყველამ მოკვლა დაუპირა (ვაჟა 124); ყველანი, ვინც წინა მხედებოდნენ, ქუდებს შიხდიდენ (ვაჟა 147).

2. დამატებითი კავშირების კორელატები

ობიექტურ კავშირთაგან კორელაცია ახასიათებს რაც, ვინც, რომელიც, რაჲოდენ სიტყვებს, — დანარჩენ საკავშირებელ ერ-

თეულებს (რამეთუ, ვითარმედ, რომელ—რომე—რომ,თუ, უკუეთუ) მთავარ წინადადებაში კორელატები ჩვეულებრივ არ მოუდით.

ობიექტური კავშირების კორელატებია ნაცვალსახელები: პირთა—იგი, ის(ი), ჩვენებითი — ეს(ე) და განსაზღვრებითი — ყოველი, უველა.

A

პირთა ნაცვალსახელი გვევლინება სახელობითსა და მიცემით ბრუნვებში და ეს გასაგებია, რამდენადაც ესენი ობიექტის ბრუნვებია.

გავეცნოთ მასალას:

სახელ. ბრ.:

იგი

...რაცა ცხადად გინახავს, იგი მიამბეო (ვისრ. 19,19); რაცა სჯობს, ღმერთმან იგი გაჰმნევინოსო (ვისრ. 312,18); და მე რაცა მინახავს, იგი მოგიჯსენებია (ვისრ. 19,35); მე იგი მტკივის, რაცა ჩემსა თავსა ზედა შენგან გარდამჯდარა (ვისრ. 254,7); ან კვლა ჰმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერებოს (რუსთ. 1298,4); იგი პოვეს, რაცა ძებნეს (რუსთ. 1535,2); იგი იქმნას, რაცა გინდა (რუსთ. 298,2); მე ღმერთმან იგი ნუ მომცეს, რაც არა შენი ფერია! (რუსთ. 381,3); რაცა გინდა, იგი ქმენო! (რუსთ. 237,4; აგრეთვე: 1357,3; 880,3; 1059,3); რაცა გინდეს, იგი ქენი (ამირან. II, 32,29); რომელიცა გინდეს, იგი გამოირჩიეო (ამირან. II, 52,6); რომელი უმალე და უმჯობესია, იგი ვსცნაო (ქილილ. 182); თითო თქვენგანმა რაც მისის სიბრძნისაგან იცოდეს, იგი თქვას (ქილილ. 210); რაცა შეგობრობისა და სიყვარულის წესია, იგი აღგისრულოო (ქილილ. 130); რაცა ზეპირად იცოდა, იგი მოაჯსენა (პროზ. შაჰნ. 404); იგი სჯობს, რომე ავი მოგონება და საქმე გაუშოთ... (პროზ. შაჰნ. 405); ღმერთმან იგი შენ დაგმართოს, რასაც ჩემთვის განიგულავ (არჩ.); რაც მოქენისა ესმოდა, იგი გულს იდასტურებდა (არჩ.); რაც გინდა, იგი ქენ (არჩ.); რომელი ამჯობინონ, იგი დაასკვნან (სიბრ. სიცრ. 48,29).

იგი კორელატს ზოგჯერ შესაძლოა დაერთოს ნაწილაკები: -ცა, -ვე:

რ ო მ ე ლ ი ც უბადო არის, იგიცა გკადრო (ამირან. II, 137, 28); რ ა ც ა ბძანოს, იგიცა ვქნათო (ამირან. 37,5); მან იგივე კვლა მიამბო, რ ა ც ა მუნით მომესმინა (რუსთ. 1237,3); აწ რ ა ც ა დაგვაჯეროს ბრძანებამან თქუენმან, იგივე გვიქმენითო(ამირან. II, 152,17); რ ო მ ე ლ ი ც ენებოს, იგივე გვიქნასო (ამირან. 74,8); რ ა ც ა რამინს ვისის წიგნისათუის ეჭმნა, იგივე ვისმან რამინის წიგნსა ზედა ქმნა (ვისრ. 247,25).

ის(ი)

რ ა ც ა მას აჭლემსა უყოს, ისი თქვენცა ნახოთ (ამირან. 76, 15); ვ ი ნ მაღირსა, ის ვაკურთხე (არჩ.); რ ა ც შენ გინდა, მეც ის მინდა (არჩ.); ვ ი ნ ც გამოთქვა, ის იშვილა (გურამ. 347,4); რ ო მ პორფირის ქვა აღარ ჰქონიათ, ის უქნიათ (საბა, მოგზ. 26); ჩემგან რ ა ც მადლი მოეხსენებოდა, ის შევუთვალე (საბა, მოგზ. 3); პირველ ვ ი ნ ჰკლა, ის ტვინა (ბესიკი 22); რ ო მ ე ლ ი ც გინდოდეს, ის ქენო (ვახტ. ტგ, ლმ); რ ა ც სხუას წეველს კაცსა მართებს, ისი ამათ მართებს (საეკლ. საბ. 24,7); რ ო მ ე ლ ი ც შამა თქვენს საბელოთ ქონებოდეს, არც ის მოგიშალოთ (დოკუმენტ. ბერძენ. 621,11); ...რ ო მ ე ლ ი ც კეთილია, ის მოვახსენო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 150,4); და დღეს ვ ი ნ ც ვეღარ დაბრუნდეს, ის ცრემლით მოვიხსენიოთ (გრ. ორბელ. 102); რ ა ს ა ც ვიკისრებთ, ის უნდა ავასრულოთ კიდეც (ილია 278,18); მხოლოდ ის იცოდა, რ ა ც დედამისს ესწავლებინა (აკაკი 400); იმ ღამეს გავიგე ის, რ ა ც ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია (ვაჟა 21); შემდეგ გადაიშალა მის წინ ყველა ის, რაც ზაქარია დიაკვანმა დაუხატა ყარაიაზე (ლომოური).

ეს(ე)

რ ო მ ე ლ ი ც ა შენ ზაკუვით აღმითქვ..., ესე აწ აღმისრულა ქრისტემან... (სას. პოეზია); კმა არის ჩემდამი ესე, რ ა ც ა გიქმნია (ვისრ, 260,2); მართლად გითხრობ, მომისმინე ესე, რ ა ც ა მოგახსენე (რუსთ. 379,1); დღეს რ ა ც საზარელი სიტყვა მოისმინა ჩემმა ყურმა, ეს სულ წყალში ჯდომამ მიყო, სიარულმა ბაყაყურმა (გურამ. 274,1).

მიცემ. ბრ.:

ევედრებოდა მას რ ო მ ე ლ ი-ი გ ი იყო პირველ ეშმაკეულ... (მარკოზ 5,18); რამეთუ რ ო მ ე ლ ს ა აქუნდეს, მიე-

ცეს მას და მიემატოს (მათე 13,12); რ ო მ ე ლ ი-ი გ ი მისგან იშვა, მეუფემ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, მას ვხედავთ (მრავალთ. 265,30); მას უშმაგო ვინ მეინდოს, ვ ი ნ მოყვარე გაამეღავნოს? (რუსთ. 29,1); მას ნახავს. ვ ი ს თ ა ქამთაგან ცრემლი მრავალჯერ სდენოდა (რუსთ. 122,2); მას ვაქებ, ვ ი ნ ც ა მიქია (რუსთ. 91,1), მაგრამ მე გული არა მას მემოწმების, რ ა ს ა ც ა იგინი მეტყუიან (ვისრ. 307, 10); ...რ ა ც ა ეტლსა გიწერია, მას ვერ დაეკსნებიო(ვისრ.); რ ა ც ა უნახავთ, მას იტყვიანო (ქილილ. 222); რ ა ც ა გიჯობს, იმას ვიტყვი... (შაჰნ. 3060,1); რ ა ც ა გითხრა, მას იქმოდი (შაჰნ. 3121,2); მას ეჰმადლობდე, ვ ი ნ ქვეყანა დაამყარა. შექმნა რამ ცა (არჩ.); ვ ი ნ უარჰყო ფიცი სრული, მას შიგა უც გულსა დანა (შაჰნავაზ. 192,4); მას დავნატრი, ვ ი ნ ც ა სწორედ სელად საწუთროს გზას გაჰკვალავს (გურამ. 341,4); მას ვშორავ გულსევდიანი, ვ ი ს მოლოდნა მაქვს გვიანი! (ბესიკი 24); ვ ი ს ც ა შენ სთხოვდი, მეც იმას ვსთხოვეო (სიბრ.-სიცრ. 35,12); ...რ ო მ უ ლ მ ა ნ გაასუქა. მას გაჰყვეს, ორგულ არს (სიბრ.-სიცრ. 7,29); რ ა ც უცხო ენახე, იმას ვწერ (საბა, მოგზ. 41); რ ო მ ე ლ ს ა ც თქვენ გიბრძანებთ. იმას ვეცდებიო (ფარსად. 230); ვ ი ს ი ც ქელით წიგნი გამომეგზავნა, იმას ჰკითხე (დოკუმენტ. თაყაიშვ. 83. 19); სირცხვილი იმას, ვ ი ნ ც საძრახისი ინდომოს (ილია 298,10); რ ა ც შენდვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო (აკაკი 439); ყველა ვერ შესძლებს იმას, რ ა ც მოულოდნელმა, უცაბედმა, შემთხვევამ შემაძლებინა (ვაჟა 128).

გვხვდება ზოგჯერ -ვე, -ცა ნაწილაკიანი ფორმაც:

ვ ი ს ც ა რამინის ჰურეტა განცდით მოუნდეს, მასვე წამსა საკუთრად გული შემოსწიროს (ვისრ. 54.3); რ ა ც ა ქარავანისათვის შენ და შენთა ლაშქართა გიყოფია, მასვე თქვენ გიზამო (ამირან. II, 184,5); ვ ი ნ ც უყვარდა, გული მასვე გარდაუდოს (არჩ. 647,1); — რ ა ც ა ვთქვი, მასცა ვინანი (რუსთ. 817,4); ვ ი ნ ც ა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხვრიდე (რუსთ. 566,3); ვ ი ს ა ც იბრიყვებს შენს ამხანაგს, მასაც წაჰგვრიო (სიბრ.-სიცრ. 25,16): ჩემი სახელი რ ო მ მთხოვო..., იმასაც მოგცემო (საბა. მოგზ. 20).

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს კორელატად მაგას. დავიმოწმოთ ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“:

მაგას რა ვჰკადრებ მეფესა, რ ა ც ა ბ თქვენგან მსმენია (742,3); შენ რ ა ც ა გითქვამს, მაგას ვიქმ (940,3).

ყოველი ხშირად გვხვდება **-ვე** ნაწილაკდართულად: **ყოველივე, ყუელა(ი)**—**ყველა** საშუალო ქართულშია დადასტურებული.

მაგალითები:

და უთხრეს მას **ყოველი, რაოდენი** ქმნეს... (მარკოზ 6,30); ...და განყიდა **ყოველი**, რაჲცა ედვა (მათე 13,46); ...და განყიდა **ყოველივე, რაჲცა** აქუნდა (მათე 13,46: DE); ...აქუნდა მას **ყოველი, რასაცა** ეძიებდეს მის-გან (კიმ. 332,10); და **ყოველივე** ქმენ, **რომელი** შეუნის წმიდათა (ანტიოქ. 123, 36); ვცან მე **ყოველი, რაჲოდენ** ქმნა ღმერთმან (ეკლეს. სოლ. 194, გ, 14); ....ოპიზელთა მამათა მოსცეს **ყოველი, რომელი** ჰპოვა ქელთა მათთა (ხანძთ. ცა, ზ, 40); **რაცა** იმისი მეცნიერება იყო, **ყუელა** მოიკმარა და დალია (ვისრ. 227,6); **რასაცა** ჰნახავ, სისუბუქითა **ყუელა** სწორად მოგინდების (ვისრ. 233,28); **რაცაღა** დანარჩომნი თევზნი იყუნეს, **ყოველივე** აუწყა (ქილილ. 110); **რაცა** ექნა და მოენახა. **ყველა** წვრილად მოაკსენა (პროზ. შაჰნ. 441); **რაცა** შენი საუბარი იყოს, **ყოველივე** გაგითაოთ... (პროზ. შაჰნ. 369); **რაც** უთხრა, **ყველა** ჰყუეს (სიბრ.-სიცრ. 50,6); გვიამბე **ყველაჲ რაც** იცი მათგან თქმულია (შაჰნავაზ. 128,2); **ყუელას** ვკადრებ, **რაცა** მჭირსა (შაჰნავაზ. 79,4); **რაც** მახსოვს, **ყველას** გიამბობ (არჩ.); **რაც** გაგეგონოს, **ყველა** მაცოდინე (დოკუმენტ. თაყაიშვ. 90,11).

დამატებითი დამოკიდებული წინადადება ხშირად განკვეთს მთავარს და საკავშირებელი სიტყვა უშუალო მეზობლობაშია კორელატთან:

...და **ყოველნი, რომელნი** ბოროტად სნეულ იყუნეს, განკურნნა (მათე 8,16); რამეთუ **ყოველი, რომელი** ითხოვნ. მოიღოს... (მათე 7,8); **ყოველი, რომელი** უნდეს, ყოს (ეკლეს. სოლ. 213, § 3). **ყოველივე, რაჲცა** პოვოს ქელმან შენმან ყოფად..., ქმენ (ეკლეს. სიცილ. 218, § 10).

ვადასტურებთ „სინტაქსური ასიმილაციის" ზოგიერთ ნიმუშს: კორელატი ეთანხმება ბრუნვაში (მიცემითში) მასთან მეზობლობაში მყოფ კავშირს, მაშინ როდესაც იგი უნდა იდგეს საჭირობით ბრუნვაში, რამდენადაც ამას მოითხოვდა მთავარი წინადადების შემასმენელი:

მათე 23,3: DE:

და ყოველსა, რაოდენსა გეტყოდიან თქუენ, დაიმარხეთ და ყავთ.

უნდა ყოფილიყო:

და ყოველი, რაოდენსა გეტყოდიან თქუენ, დაიმარხეთ და ყავთ.

შდრ. C:

ყოველი რაჲცა გრქუან თქუენ, ჰყოფდით და იმარხევდით.

მათე 21,22; DE:

და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვაჲსა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ.

უნდა ყოფილიყო:

და ყოველი, რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ.

შდრ. C:

და ყოველი, რაჲცა ითხოოთ თაყუანის-ცემაჲსა სარწმუნოებით, მოგეცეს თქუენ.

ამგვარად, ირკვევა, რომ ძველ ქართულში ობიექტურ კავშირთა კორელატ-სიტყვად სახელობით ბრუნვაში გამოყენებულია განსაზღვრებითი ნაცვალსახელი, ხოლო მიცემით ბრუნვაში — პირთა ნაცვალსახელი. საშუალო ქართულში განსაზღვრებით ნაცვალსახელს გვერდში ამოუდგება იგი პირთა ნაცვალსახელი, პარალელურად ის(ი) -ც, რომელიც თანდათან გზას იკაფავს ენაში და საბოლოოდ დამკვიდრდება ახალ სალიტერატურო ქართულში.

3. განსაზღვრებითი კავშირების კორელატები

განსაზღვრებით წინადადებაში წარმოდგენილ კავშირს მთავარ წინადადებაში ის სიტყვა შეეხმიანება მისამართ სიტყვად, რომელსაც ნაცვალსახელური კორელატი უკავშირდება. ძველი ქართულისა და საშუალო ქართულის გარკვეული ხანისათვის ნაცვალსახელურ

კორელაცია გამოკვეთილი არ არის, რამდენადაც თანხვდენილობაა ნაწევართან: ნაწევრად ხომ იგივე ნაცვალსახელი (პირთა) იყო გამოყენებული. თანდათანობით ხდება პირთა ნაცვალსახელის განსტაიცება კორელატ-სიტყვად.

შესაძლოა ეს გარდამავალი საფეხური ჩანდეს მაგალითებში:

იგი ვარდი შემიყვარდა, რომე თოვლსა არ ეხეწა (რუსთ. 627,2); იგი მტერნი გამილომდეს, აქამდისცა რომე ვითხენ (რუსთ. 596,3); ...იგი სამნი კაცნი, რომე ლომთა ზედა სხდეს, მკვდარნი იყვნეს (ამირან. 24,6); იგი წამალი, რომე ფერჯთა მოსასმელათ მოსცა დიაცმან, იგი წამალი მეცა მიბოძა (ამირან. 114,19); დარბაზო, შენ აღარა იგი დარბაზი ხარ, რომელ ყოვლითა ფერითა უკლები იყავ! (ვისრ.); იგი თაგვნი, რომელნიცა ჩემისა ტაბლათა გარდამონაცვივითა იზრდებოდეს... (ქილილ. 255); შენ იგი ქათამი ხარ, რომელი ერთსა პირსა ზედა არ დაადგები... (ქილილ. 132); და იგი ფური, რომე ძიძა და გამდელი იყო ჩემი, მომიკლა (პროზ. შაჰნ. 393).

კორელატ-სიტყვად საშუალო ქართულის მოგვიანო პერიოდში (აღორძინების ხანის ენაში) გარკვევით ისახება ის(ი), იმ(ა), ამ(ა) ნაცვალსახელი:

...ისი ბადე, რომე დაეგო გულსა შინა, მოშალა... (პროზ. შაჰნ. 399); ...ისი სიზმარი უამბა, რაცა მოენახა უკლებლად (პროზ. შაჰნ. 377); წყეულმცაა ის ადგილი, რასაც ქვეყნით გამოხველო (არჩ. 620,4); მაგრამ ის კაცი, რომელიც მანდ გამოსაგზავნათ გვინდოდა, აქ არ იყო.. (დოკუმენტ. თაყაიშვ. 100, 11); მერე ომან ლაშქარნიცისათვის რომ ერთი პატარა წიგნი მოგწერა, ის წიგნი ჩვენ ვნახეთ (დოკუმენტ. თაყაიშვ. 45,2); მე ვხედამ იმა კაცთა, რომე ვერ მივლენო (ამირან. II, 130, 15); ამავ სახლში, სადაც ყოფილიყო, იქავ ეწამებინათ.. (საბა, მოგზ. 43); სწორეთ იმ გზაზედ წავიდნენ, საითაც იყო სნებაო (გურამ. 355,3).

ახალი სალიტერატურო ენისათვის ჩვეულებრივია ნაცვალსახელური კორელაცია.

მაგალითები:

...თუ ის მიმინო, რომელსაც გაჩენის დღიდგან კაცის ხელი არ მოჰხვედრია (ილია 292,17); რაღაც ნაყოფს გამოიტანდი ის სამსჯავრო, სადაც ხალხის ენა აკრძალული იყო (აკაკი 465); იქნება ეს ის შელა არ იყოს, ჩემს დიასახლისებს რომ იტაცებდაო (ვაჟა 205); ...ის პატარა ბეშტი ლეშისა,

რომელსაც თქვენ გულს ეძახით (ვაჟა 23); ამას ებარა ...ის სიმაგრეები, რომელსაც კავკასიის კარს უწოდებდნენ — დარიელა (ყაზბ. 36); იგი თვალ-ყურ-მადევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარშემო ბედს შემოეხაზა... (ილია 258,5); ..იმ ბაზილევსკის მკვდარი ძმა, დღეს რომ სიმდიდრით არის განთქმული (აკაკი 463); ...სწორედ იმ ხელზე დამაჯდა, რომელშიც კურდღელის ტყავი მეჭირა (ვაჟა 132); იმან დანატრა იმ ბედნიერებას, რომლითაც თავისუფლად შეეძლოთ ამ ადგილების მშვენიერებით დატკბობა (ყაზბ. 14).

4. სივრცითი კავშირების კორელატები

სათანადო კორელატებია:

მუნ (მუნით, მუნითკენ)
იქ (იქით, იქითკენ)
უველგან

სადა საკავშირებელი ერთეულის კორელატია მუნ.
გავეცნოთ მასალას:

ძველი ქართული:

სადა არიან ორნი ანუ სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მე მუნ ვარ შორის მათსა (მთ. 18,20); სადა ზაკუვაჲ არა ხიპოვებინ, მუნ ხიქცევინ და სადა შური არა არს. მუნ ხიხარებენ (ხანმ. მრავალთ.); სადა განმრავლდის ცოდვაჲ, მუნ უფროჲს განმრავლდიან ჰირნი და განსაცდელნი რისხვისა-გან... (წარტყუენ. კა, 25)... სადა განსუენებაჲ არს, მუნ არს მტერისა იგი საყოფელი, სადა შუებაჲ და განცხრომაჲ არს, მუნ ნაყოფი სულისაჲ არა ყუავის (წარტყუენ. ლბ, 8); სადა განმრავლდიან სატანჯველნი, მუნ უფროჲსად გარდაემატის განსუენებაჲ მოღუაწებითა (წარტყუენ. მე, 26); სადა არს პატივი მთავრობისაჲ, მუნ არს მსგავსებაჲ ღმრთეებისაჲ (ხანძთ. ივ, ია, 22).

საშუალო ქართული:

მუნ მივალ, სადა ყოფილვარ, მჭირდა სადამდის ხელობა (რუსთ. 1496,2); წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღისა ჰიპია (რუსთ. 581,1); წავიდის ჰმელსა, იონთა ველსა — მუნ,

სადა მეფედ ზის კეისარი (თამარიანი VI, 11); მუნ დაიჯოცნეს, სადა ეოცნეს... (თამარიანი IV, 4); მუნ შეიყარნენ, სად იმათ ვერავინ მიუხვდებისა (არჩ. 535,1); სადა მას თაგვსა სორო ჰქონდა, მუნ დასხდენ... (ქილილ. 230); სადაა საქმე შეუძლებელი, იგი მუნ არის გამარჯვებული (ბესიკი 13).

მუნ კორელატი ძალიან იშვიათად დაირთავს -ცა ნაწილაკს. დამახასიათებელია, რომ მუნცა გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც საკავშირებელი ერთეული ნაწილაკდართულია: სადაცა.

რამეთუ სადაცა არს საფასჲ თქუენი, მუნცა იყვნენ გულნი თქუენნი (მთ. 6,21: DE); სადაცა არს მამაჲ მუნცა ძჱ და სული წმიდაჲ ...(კიმ. 88,5); სადაცა სიტყუა საჭურისისა გავიდეს, მუნცა ცოლი არა იყოს ცოლად ქმრისა თვისისა (სიბრძ. სიკრ. 15,10); სადაც გიჯობდეს, მუნცა იყავ (ამირან. 120,33).

ძირითადად კი მუნ (ე. ჯ. უნაწილაკო ფორმა) ეხამება ნაწილაკდართულ კავშირს, ისევე როგორც ჩვეულებრივია მუნ-ის მიმართება უნაწილაკო კავშირთან.

გავეცნოთ ისეთ მაგალითებს, სადაც უნაწილაკო მუნ დაკავშირებულია ნაწილაკიან საკავშირებელ ერთეულთან:

განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს თუალღებაჲ... (წუშან. 41,XVI,28); სადა-იგი ორასი კაცი იდგა, მუნ მოვედით (ამირან. 117,8); სადა-იგი სამნი კაცნი დგეს, მუნ მოვედით (ამირან. 117,2); მუნ მოვიდა, სადა-იგი მისნი სპანი დაეყარნეს (რუსთ. 673,1);—სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე მათ შორის (ზარზმ. 167,28); სადაცა არს მამაჲ... და სადაცა ძე, მუნ მამაჲცა და სული წმიდაჲ და სადაცა სული წმიდაჲ მუნ მამაჲცა და ძჱ (კიმ. 88,5); სადაცა გწადდეს, მუნ იყავ... (რუსთ. 935,1); თქვენცა მუნ მოდით სადაცა გესმას ზრიალი ზარისა (რუსთ. 1396,4); სადაცა კრულ იყვნეთ მტერთაგან, მუნ ღმერთიმც თქვენი მჯსნელია (გურამ. 315,4).

ამგვარად, ჩანს, მუნ კორელატად მოუდის როგორც ნაწილაკდართულ კავშირს (სადა-იგი-ს სადაცა-ს), ისევე უნაწილაკოდაც. ნაწილაკდართული კორელატი კი (მუნცა) იშვიათია და სიმპტომატურია, ეხამება -ცა ნაწილაკდართულსავე კავშირს (სადაცა-ს).

ჩვენ განვიხილეთ მუნ-ის კორელაცია „სადაობითი" ფუნქციით

გამოყენებულ **სადა**-სთან. ამისდა მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ **მუნ**-ს „სადაობითი“ დანიშნულება ჰქონია.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ლოკალური კავშირი (**სით**) იხმარება დაწყებითისა („საიდან“) და მიმართულებითის („საითკენ“, „საით“) ფუნქციითაც, ამ შემთხვევაში **სადა**-ს შეეხამება, როგორც კორელატი, **მუნ-მუნით-მუნითკენ**:

> აწ **სით** წამოსულ ხარ, **მუნვე** წაედ (ვისრ. 17,19); **მუნ არა** არიან ჰაბუკნი, **სით** შენ მოხვალ... (ამირან. 104, 15); **სითაც** ბრძანოთ, **მუნით** წავიდეთ მეთქი (ამირან. II,29,8); ამისგან კიდე ღონე ვეღარა მოიგონეს, რომელ რამინ **მუნითვე** ქუე ჩაუშვეს, **სით** ამოუყვანა (ვისრ. 148,8); **სითცა** გამოჩნდის, იქმოდეს ჯარნი **მუნითკენ** რბენასა (რუსთ. 1538,3).

კავშირს სადაობითი ფუნქცია აქვს, ხოლო მის კორელატს დაწყებითისა (გამოსვლითისა). ეს კარგად ჩანს მაგალითიდან:

> ...**სადა-იგი** ვეშაპი დავკოცნით, **მუნითცა** გამოვლეთ და მოვედით მას ციხესა... (ამირან.).

მუნ-ს შესაძლოა, იშვიათად, დაერთოს **-ვე** ნაწილაკი (**მუნვე**): **მუნვე** წყნარად კითხვა დაიწყო, **სადა** საეჭვო ჰქონდა (ვისრ. 105,31);... მივიდა **მუნვე** ძიძა, **სადა** ვისის პასუხსა მოელოდა რამინ (ვისრ. 74,3); ან **სით** წამოსულხარ, **მუნვე** წაედ (ვისრ. 17,19).

ახალი სალიტერატურო ქართულისათვის **მუნ** დამახასიათებელი არ არის. თუ რომელიმე ავტორთან შეიძლება ზოგჯერ შეგვხვდეს ეს კორელატი, რასაკვირველია, იგი ნახმარია სტილიზაციის მოთხოვნილებით და ნორმად მისი მიჩნევა არ შეიძლება.

აი ზოგიერთი ნიმუში გრ. ორბელიანის ენიდან:

> **სადაც** იყლვა მახვილმა მისმა, **მუნ** მტრის სიცოცხლე განქარდა მსწრაფლად (89); **სადაც** შესძახე, **მუნ** იყო მტერთ სრვა (89); და ზაქარია, მიწისა მგელი, ანაზდეულად **მუნ** აღჩნდებოდა, **სადაცა** მტერი გალალებული, მისგან შემუსვრას არ მოელოდა (89); **საცა** შენ იყავ, **მუნცა** მე ვრბოდი (55); **საცა** შენ იყავ, **მუნცა** ყვავილნი უმეტეს სუნნელთ აღმოფშვინვიდენ (55); და **სად** დასთხიეს გმირთ სისხლი... **მუნით** მოისმის ლხინის ხმა... (90).

ახალ ქართულში ლოკალური კავშირის კორელატია **იქ**, რომელიც **მუნ**-ის ბადალია, მისი შემცვლელია.

იქ(ი) კორელატი შესაძლოა შეგვხვდეს საშუალო ქართულის მოგვიანო პერიოდში — უადრესად იშვიათად:

სადა ქელმწიფე იბანებოდა, იქ ორმო ჩასთხარა და შიგან შიშველი ჯრმალი დაარჭო (პროზ. შაჰნ. 371); იქი მიიყვანა, სადა ფრიდონის ძიძა ფური დაბადებულიყო (პროზ. შაჰნ. 383); სადაცა მსგავსნი ჩემნი მეფისა მოკელენი მკვიდრობდენ, იქ დავემკვიდრე (იესე ოსეშვ. 27).

ჩვეულებრივია ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში:

წადი და შენ **იქვე** დაიჩოქე, სადაც იყავი (აკაკი 438); იქ გადასახლდეს, სადაც... გაისტუმრა.. საყვარელი ქალთამზე (ვაჟა 209); წავედი **იქითკენ**, საიდამაც ეს ხმა მოისმოდა (ვაჟა 186); **იქ** რა უნდა..., საცა ქენჯნა და მხილებაა სინიდისისა? (ვაჟა 50); **იქ** შურს რა უნდა, საცა სიყვარული და სიბრალულია (ვაჟა 57); საცა სხვა მკვდარი ბარტყი დამალა, **იქ** მიიტანა (ვაჟა 27).

იქით-იქითკენ-ის ნიმუშებია:

...დაეშვა **იქით**, საცა შავარდენი და მისი მსხვერპლი ჩაეფარნენ (ვაჟა 84); ...იწევდა **იქით**, საითაც ქორი გაფრინდა და გაჰკიოდა (ვაჟა 131); საითაც გვინდა, **იქით** წავიდეთ (ვაჟა 209); წავედი **იქითკენ**, საიდამაც ეს ხმა მოისმოდა (ვაჟა 146); ...გასწია **იქითკენ**, საითაც მამლის ყივილი ესმოდა (ვაჟა 204).

უველგან-ის ნიმუშებია:

სადაც შევდივარ, **უველგან** დაბძანდის მეუბნებიან (აკაკი 404); საცა ფეხი დავდგი, **უველგან** გლოვის და ტირილის ხმა შემომესმა (ვაჟა 58).

5. დროულობის კავშირების კორელატები

დროულობის კავშირებს მთავარ წინადადებაში ეფარდება შემდეგი კორელატები:

მაშინ, მაშინვე	**მუნითგან**
მეყსეულად	**მარამდი(ს)**
მუნ(თ)ჟუესვე	**მანამდი(ს)**
მყის	**მანამ**
მას ჟამსა	

მაშინ კორელატი უკავშირდება (რა(ჲ). ვითარ, ვითარცა, ვითა. რაჟამს, ოდეს, რომე — რომ, როდეს, როცა — როდესაც, როს საკავშირებელ ერთეულებს.

ნიმუშები ძველი ქართულიდან:

მაშინ მეჩუენა ბერი იგი, ვიყავ რაჲ მწუხარებასა შინა დიდსა ამის საქმისათჳს (კიმ. 214, 18); **მაშინ** შევიდა წმიდად ეკლესიად.., მშჯდობაჲ მდუმრიად რაჲ დაუტევა და გამოსლვასა ბერთა ჰამბორის-ყოფაჲ მისცა (ხანძთ. ობ, ობ, 77);—ვითარ მომცეს მე ნათელი წმიდათა მათ კაცთა სახელითა მამისაჲთა... **მაშინ** გამომიბრწყინდა მე ნათელი დიდად ბრწყინვალეჲ... (რავახ. 90,18); და ვითარ მიიწრინეს და შევიდეს წინაშე დედოფლისა..., **მაშინ** წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მათ... (შუშან. 14, V,5); და ვითარ ჩჩჳლნი იგი იტყოდეს კირიელეჲსონსა, **მაშინ** ჩუენ ყოველნი ვეეჳდრებოდეთ ღმერთსა შიშით და ძრწოლით... (წარტყუენ, მჲ, 17); და ვითარ მივიდა კარსა ტაძრისა მათისასა, **მაშინ** კურაპალატი ზე აღდგა... (ხანძთ. იე, ია, 17); და ვითარ მოეგო გონებასა, **მაშინ** მივიდა წინაშე დედისა ფებრონიაჲსსა საწყალობელი იგი (ხანძთ. ნთ, ნე; 58); — და ვითარცა დასცხრა სიმძაფრე გულის-წყრომისა მათისაჲ, **მაშინ** ბრძანა მთავარმან მათმან... (წარტყუენ. იჲ, 21);—რაჟამს მოვიდეს ძჲ კაცისაჲ დიდებითა თჳსითა..., **მაშინ** დაჯდეს საყდართა დიდებისა თჳსისათა (მათე 25.31); და რაჟამს იხილოთ საძაგელი და მოოკრებისაჲ მდგომარჲ, **მაშინ** რომელნი იყვნენ ჰურიაჲსტანს, ივლტოდედ მთად (მარკოზ 13,14); რაჟამს კელაყონ კელოვანთა მუშაკთა. **მაშინ** იხილოს თუალმან მხილველთამან შუენიერებაჲ ადგილისა ამის (ზარზმ. 157,28); ...ოდეს ჰგონებდეს..., **მაშინ** განეშორნეს საუკუნოდ დაწყლულნი გონებითა (წარტყუენ. მდ., 28); ხოლო ოდეს მოიწიოს ზაფხული..., **მაშინ** იცნობოს თითოეული მათი... (კიმ. 300, 14); ხოლო ოდეს საათნო იყო..., **მაშინ** დაუტევე.შე... (აბო 69, 21); რამეთუ ოდეს დეკანოზმან ჳამისწირვისა თჳს ჳამსა ჰრეკოს, მაშინ ყოველნი მღვდელნი მუნ არა მიჳდენ (ხანძთ. ჲთ, ო, 57).

ჩვენ გავითვალისწინეთ **მაშინ** კორელატის გამოყენება ძველი ქართულის დროულობის საკავშირებელ ერთეულებთან — **რა(ი), ვითარ, ვითარცა, რაჟამს, ოდეს** — შებამებით.

ნიმუშები საშუალო ქართულიდან:

მაგრამ რა მათსა ქვეყანას მიხვალ, **მაშინ** ომნი დიდნი გინდანო (ამირან.); რა მისჭირდეს, **მაშინ** უნდან გონებანი გონიერსა (რუსთ. 1191,4); **მაშინ** საქმე გააცხადეთ. რა ხელმწიფე გარდიცვალოს (არჩ. 600,4); **მაშინ** რჩევა გარდიცვლება, რა ყელი ყელს გარდაიდოს (არჩ. 647,4); — ვითა გვესროდეს და შეგვაჭირვებდეს, **მაშინ** გვიყიელა ბადრი იამანისძემან (ამირან. 16,5); — ოდეს კაცსა დაეჭიროს, **მაშინ** უნდა ძმა და თვისი (რუსთ. 773,4): იადონი **მაშინ** მოკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჭნაროს (რუსთ. 767,2); — კაცის სიცრუე **მაშინ** გამოჩნდების, რომე მძინარსა შუღლით და ბრძოლით რიგებასა ცდილობდესო (ქილილ. 152); მერმე ჩვენი ოჯახი რაშ აიკლეს..., **მაშინ** სისხლის წიგნი ჭონდა ბებიაჩემსა (დოკუმენტ. თაყაიშვ. 12,2); — ...როდეს უკანა მოგვეწივა ამბრი არაბი აბუტარისთვის, **მაშინ** მომკვდარიყო სამასი კაცი (ამირან. 35,33); როდესაც სიუხვისა და წყალობასა ჟამნი ერთად შეიყრებიან, **მაშინ** ხამს სიკეთისა ქმნა (ქილილ. 252); რას შესა მესთა..., **მაშინ** გალხინოს... (აბდულმესია ჲგ, 94,1); **მაშინ** სცნობ ჩემსა ანდერძსა, რას ეგე გარდაგხდებისა (არჩ. 554,3).

ამგვარად, **მაშინ** კორელატი ეხამება საშუალო ქართულის დროულობის კავშირებს — რა, ვითა, რომე — რომ, ოდეს, როდეს, როდესაც, როს.

მაშინ, მაშინვე, მაშინათვე ეხამება დროულობის კავშირებს ახალ სალიტერატურო ენაშიც:

ამის ანგარიშს, როცა მოვალ, **მაშინ** მოგთხოვ (გრ. ორბელ. წერილ. 51,192); როცა გიჭირს, **მაშინ** გემალება (ილია 267,3); როცა იმათ უშლებოდა, **მაშინ** ვაქნევდი თავს (აკაკი 433); **მაშინ** კი, როცა ბულბულის მღერას ვუგდებდი ყურს, ჩემმა გულმა ფეთქა დაიწყო (ვაჟა 4); როცა შინ მშვიდობით დაებრუნდებით, **მაშინ** ვითხოვ გაგისგან იმ ქალს... (ყაზბ. 10).

მაშინ-ს ზოგჯერ ემატება ნაწილაკები; -ცა, -ღა.

მაგალითები:

რა მზე ნათობდეს, **მაშინცა** ეთქმის დაბნელებულად (თამარიანი XII,4); ხოლო მღელი იგი შემწირველი ვითარცა შეეიდა შესაწირავითა მით საკურთხეველად..., **მაშინღა** აღმაღლდა ტრედი იგი (რავახ. 82,34); **მაშინღა** შეჭნათ აჯაბნი, რა

ნახოთ ჩემგან ქნილია (შაჰნავაზ. 111,2); ოდესცა მაგას ვჰშორავ, ჩემი სიხარული **მაშინღაა** (ვისრ. 116,22); როდესაც თვალით ვნახავ, **მაშინღა** დავიჯერებთ (ქილილ. 244).

მყის—მეყსეულად კორელატი ეხამება **რაჟა, ვითარ, ვითარცა, რაჟამს** კავშირებს. იგი იშვიათია ქართულ ენაში. უმთავრესად გვხვდება ძველ ქართულში; შესაძლოა შეგვხვდეს საშუალოსა და ახალ ქართულშიც:

ხოლო მიიწინეს **რაჟა** ქუეყანასა მას მეგრელთასა, **მეყსეულად** განყვნეს იგინი ურთი-ერთას (ქიმ. 93,34); ხოლო **ვითარცა** დახედნა მანკიერმან მან საკედარმან, **მყის** განჰკრთა... (გმთაწმიდ. 112,9); და **ვითარ** დასწერა ჯუარი ყრმასა წმიდამან მან, **მყის** განეშორა ვნებაჟი მის-გან... (ქიმ. 316,27); და **ვითარ** გამოიდენ-ვიდოდეს მიერ ნავით, **მეყსეულად** იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა (მარკ. 6,54); და **ვითარ** ესრჱთ ვიყვენით ჩუენ, **მყის** გამობრწყინდა სახლსა შინა.... (არიმათ. 21,1); **ვითარცა** ცნა..., **მეყსეულად** იწყო წმიდამან სერაპიონ... (ზარზმ. 155,6); და **ვითარცა** ესე თქუა **მყის** დასცხრა ფრიადი იგი სასტიკებაჟ ენისა მისაჟა (ზარზმ 171, 11); და **ვითარცა** მივიდა მისსა ქმარი მისი, **მეყსეულად** ითხოვა მისგან... (ანტიოქ. 105,15); ...და **მეყსეულად** დაიკსნების და განიბნევის მათვე ნივთთა მიმართ,... **რაჟამს** იგი თჳთოეული შეერთებულთა მათ ნივთთაჟ თჳსთა ადგილთა წარვიდის (ექუსთა დღეთაჟ 13,28);.. **რაჟამს** წუმის მძაფრიად სიცხესა, **მყის** ყანისა თაგუთა მიერ აღივსის ქუეყანაჟ იგი (ექუსთა დღეთაჟ 105,15); რომ მოგიხილე, **მყის** შევიქენ თავისა მტერი (ბესიკი 11); რომ გაშალეს წიგნი მძახალთ **მყის** შეექმნათ ჴმუნვა-ურვა (ბესიკი 59); აწ რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, **მყის** ფიქრნი შენდა მოისწრაფიან (ბარათ. 6).

მუნჭუესვე — **მუნთჭუესვე** კორელატს ვადასტურებთ **ვითარცა, ვითარ** კავშირებთან; გვხვდება ძველ ქართულში.

ნიმუშები:

და **ვითარცა** შეიხო იგი მან კორცთა თჳსთა, **მუნჭუესვე** განიკურნა და წარვიდა იგი სახიდ თჳსა... (ქიმ. 239;3); მაშინ **ვითარცა** აღასრულეს ლოცვაჟ მათი წმიდამან საბა და ყოველთა მოქალაქეთა, გარდამოჴდა **მუნთჭუესვე** რისხვაჟ (ასურ. 20,25); **მუნჭუესვე**, **ვითარცა** დაიდგნეს ცხედარნი, კელი უპყრა ყრმასა მას (პოლიტე ჟბ, 45); და **ვითარ** ესმა ესე მათ მისგან, **მუნჭუესვე** მოიყუანეს იესუ და აღიყვა-

ნეს იგი ადგილსა მას სამღდელოსა... (აღსარებაჲ თევდოსისი ჰურიათა მთავარისაჲ, ყუბანეიშვილით: 24,45).

ასევე იშვიათია **მას ჟამსა რაჟამს, ვითარ, როდეს — როდესაც** კავშირებთან:

დარაჟამს იგი ჰჴმობდი ჩუენდა მომართ და არარაჲ მიგიგე, **მას ჟამსა** წმიდისა მის კაცისა თანა ვიყუენით... (ანტიოქ, 92,5); **ვითარ** კამდა ეგრეთსა, **მას ჟამსა** მოვიდნეს კაცნი ინდონი (ამირან. II, 43,6); **ოდეს** ერთად სხდეს ამირან და სეფედავლე, **მას ჟამსა** ადგა ქოროს ქოსიძე... (ამირან. II,175, 20); **მას ჟამსა, როდეს** მაკურთხეთ, თქუენის ბრძანებისა მორჩილნი ვიყუენით (ქართლ-კახეთის სააბუთ. 204,155); ...ყოველთავე **მას ჟამსა, როდეს** მოგუიდექით კარსა და სააბარათაშეილოშიგა მამულს გუიაჯენით (დოკუმენტ. თაყაიშვ. 165,5); **მას ჟამსა, როდესაც** მოგვიდეგით კართა დარბაზისა ჩუენისასა..., ჩუენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი (დოკუმენტ. თაყაიშვ. 129,9); **მას ჟამსა, როდესაც** სამცხიდამ ქართლით გარდმოვედით..., დავრჩი მარტო (დოკუმენტ. თაყაიშვ. 63,5).

ვიდრე კავშირს ძველ ქართულში უკორელატობა ახასიათებს. საშუალო ქართულში **ვიდრე—ვირე**-ს აქვს კორელაცია. კორელატებია: **მანამდი(ს), მარამდი(ს), მუნამდი(ს).**

ნიმუშები:

ვიდრე დარევდეს სიფიცხე გულსა მი-და მო ლმობასა, **მანამდი** პასუხს არ ვიტყვი, შევეპყრა დიდს სალმობასა (არჩ.); ძებნე **მანამდის** ქუეყანასა შიგან, **ვირე** მისგან უკეკლუცესიცა არა ჰპოო (ვისრ. 172,6); ...**მუნამდის** არ მოვკუდე, **ვირე** შენი პირი კულა არ ვნახო (ვისრ. 149,13); ....**მუნამდის** მოვიჭირვებ სამსახურისათუის, **ვირე** თავსა არ მოვიკლავ (ვისრ. 252,13); **ვირე** ასაში ტაიჭი დაელეოდა, **მარამდის** ზოგჯერ მან აჯობოს და ზოგჯერ მან (ამირან. 124,34); ჩემი ლხინი **მუნამდის** ა, **ვირე** ვიყო შენი მჭვრეტი (რუსთ. 1501,4); **მანამდის** იტირა, **ვირე** ორნივე თვალნი დაუდგნეს და ველარას ხედვიდა (პროზ. შაჰნ. 413); **მუნამდის** მგზავრნი ვართ, **ვირემდის** ვისსა რამინისაგან დავსცუიდეთ... (ვისრ. 146,9); **ვირემდის** ჩვენ თითოსა მოვჰკლევდით, **მარამდის** მან სამნი ძმანი ივი აშტრაბისძენი დაჰკოცნა (ამირან. 76,22); **მუნამდის** ფემუდარები და გექენები, **ვირემდი** გულისა შენისაგან წყრომა არ გაქარდეს (ვისრ. 252, 16);

ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, ვ ი რ მეფე იყო ცნობილი (რუსთ. 1476,4).

სათანადო კორელატებს -ცა ნაწილაკი არ ახასიათებთ. გვაქვს ორიოდე საამისო ნიმუში და დამახასიათებელია, რომ -ცა ნაწილაკიანი ფორმა ეხამება -ცა ნაწილაკიანსავე ვირე კავშირს, ხოლო ვირეცა აგრეთვე იშვიათი გამონაკლისია საშუალო ქართულში. მაგალითებს გვაწვდის „ვისრამიანი“;

ვ ი რ ე ც ა მზე და მთუარე ალმოვალს, მუნამდინცა მე შენგან იმედგარდაწყუედილი არა ვარ (216,10); ვ ი რ ე ც ა ქუეყანასა შიგან კაცი იპოების, მუნამდინცა დაიდების ესე სირცხუილად ჩემი ამბავი (162,10).

ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში ვიდრე კავშირს კორელატად მოუდის მანამ, მანამდე.

უთანდებულო ფორმა (მანამ) მეტად იშვიათად, შესაძლოა, საშუალო ქართულის მოგვიანო პერიოდშიც შეგეხვდეს. დავიმოწმოთ ორიოდე მაგალითი:

ვ ი რ ნებას არ აღგისრულებ, მანამ სად მოევშვებია? (არჩ. 569,4); ვ ი რ ე მ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვკვდების (გურამ, 57,4).

უნდა ვიფიქროთ, რომ სასაუბრო ენაში უთანდებულო ფორმა ამ დროიდან გავრცელებულია, ხოლო სალიტერატურო ენაში ის თავს წამოყოფს ლექსში, მარცვალთა რაოდენობის მოთხოვნილებასთან დაკავშირებით.

ახალი ენისათვის ჩვეულებრივია ამ ტიპის ნიმუშები:

ვ ი რ ე სკოლაში წახვიდოდე, მანამ(დე) გაკვეთილები კიდევ ერთხელ გაიმეორე; ვ ი დ რ ე მამა დაბრუნდებოდა, მანამ(დე) თოხი გავლესე და მისთ.

სანამდი(ს) კავშირს საშუალო ქართულში (აღორძინების ხანის ენაში) კორელატად ეხამება მანამდი.

მაგალითად:

მანამდი ვიტირე, ს ა ნ ა მ დ ი სკვდილზე შივარდი (რუსუდ. 759,4); ს ა ნ ა მ დ ი თავის ნებისად საქმეს გაარიგებდეს კელმწიფეო,.. მანამდი ამისი შენახვა გამომივა კელითაო (რუსუდ. 935,6); მანამდი ის ბაღში შეაქცევს კელმწიფის შვილსა, ს ა ნ ა მ დ ი მე ალმასის გველთან შივიდოდე (რუსუდ. 783,1); სანამდი ყმაწვილი იყვნენ, მანამდი უნდა ცდილობდენ (ვახტ. სეგ ი.).

ახალ სალიტერატურო ენაში სანამ-ს შეეხამება მანამ:

ს ა ნ ა მ გაგროზგავდნენ, მანამ მოინანიე შენი შეცდომებიო;

სანამ ფერხულს ჩააბამდნენ, **მანამ** მხედრული დააგუგუნეს და მისთ.

დროითი ინტერვალის გადმოცემის კავშირებთან შემდეგი მდგომარეობაა: **რა** კავშირთან შეხამებულია საშუალო ქართულში **მუნითგან.**

ნიმუშები:

რა მოყუარემან ჩემმან თმანი დამიგრუზნა **მუნითგან** მით სურნელითა ტოილოითა გული ჩემი დაუბამს მაგრად (ვისრ. 158,28); **რა** განახე და შეგისწავლე, **მუნითგან** ...ვით გავკე (ვისრ. 191,14); **რა** გული დავაგე შენად **სარებლად, მუნითგან** ვარდს გიფენ მითამ არებით (ბესიკი 18).

ძველ ქართულში **ვინაჲთგან**-ს, ზოლო ახალ ქართულში რაც კავშირს (იმავე ფუნქციით), მთავარ წინადადებაში შეეფარდება დროის აღმნიშვნელი სიტყვები (**დღე, წელიწადი, თვე, საუკუნე**...).

გავეცნოთ მასალას:

A

სამი დღჱ არს, **ვინაჲთგან** მელიან მე (ჰაემ.: მარკოზ 8,2); **ხუთდღე** არს, **ვინაჲთგან** შემემთხუა მე ესე (კიმ. 299,30); და **მიერ დღითგან, ვინაჲთგან** პყრობილ ყვეს იგი ციხესა მას შინა, სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის... (შუშან. 38, XIV, 16); **რაოდენი ჟამი** არს, **ვინაჲთგან** ყოფილ არს ეგე მაგის თანა? (მარკოზ 9,21); **ორი წელი** მაქუს ჩუენ, **ვინაჲთგან** გამოსრულ ვართ ქუეყანით ჩუენით.. (კიმ. 334.3); ...და დაეყო მას უმრავლჱს **ორმეოცისა წლისა. ვინაჲთგან** სართულსა ქუეშე არა შესრულ იყო იგი და არცა ენახა პირი დედაკაცისაჲ (ასურ. 16,32); ...ესე **მეექუსჱ** თთოვეჲ არს, **ვინაჲთგან** წესსა შინა არს მიდგომილებისასა (კიმ. 180,37).

B

ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისათვის იგზავნებიან ციმბირში (აკაკი 484); ეს **თვე-ნახევარია, რაც** გიახელი (ილია 278,9); **ხუთი წელი** იქნება, რაც სამუდამოდ დამაკარგვინეს ჩემი მიწა-წყალი (ილია 267, 39): **სულ რამდენი წელიწადია, რაც** რუსეთი აქ შემოვიდა (ილია 254,5); **ერთი წელიწადია, რაც** მთელი დუნია მავაზე ლაპარაკობს (ლომოური); ეს **რამდენიმე დღე** იყო, რაც მა-

თიას ეს ჩვეულება დასჩემდა... (ყაზბ. 59): დიდი ხანია, რაც ამ მხარესა ხარ? (ილია 267,37); კარგა ხანია, რაც ესეც მოჰსხლტა თავის საყვარელ მეგობრებს და ამხანაგებს (ვაჟა 19): თუმცა დიდი ხანი გავიდა მას აქეთ. რაც ის მოკვდა... (აკაკი 474).

დროულობის კორელატთა ადგილი განსაზღვრულია: წინადადების თავშია მოქცეული. უპირესად იშვიათია ინვერსიის შემთხვევები. ეს ეხება **მაშინ**-ს:

ოდესცა მაგას ეჰშორავ, ჩემი სიხარული **მაშინღაა** (ვისრ. 116,22); ოდესცა ყურდგელი გალომდეს, რამინის გული ვისისაგან **მაშინღა** გაძღეს (ვისრ. 101,7); იადონი **მაშინ** მოკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჭნარის (რუსთ. 767,2); კაცის სიცრუეე **მაშინ** გამოჩნდების, რომე მძინარისა შუღლით და ბრძოლით რიგებასა ცდილობდესო (ქილილ. 152).

თუ არა-ს კორელატია **მაშინვე**. -ვე ნაწილაკი **მაშინ**-ს ანიჭებს ერთდროულობის, ერთი მოქმედების მეორე მოქმედებასთან სწრაფი მიმდევრობის ნიუანსს, რაც სწორედ ნიშანდობლივია **თუ არა** კავშირისათვის.

მაგალითები:

მაქსიმოვიჩი ჩამოვიდა **თუ არა**. **მაშინვე** ბრძანება გამოსცა... (აკაკი 431); დაიცლებოდა **თუ არა** ვისიმე ჭიქა, **მაშინვე** აავსებდნენ (აკაკი 397); ვაჩვენებდი **თუ არა** ხორცს, **მაშინვე** მოფრინდებოდა და ხელზე დამაჯდებოდა (ვაჟა 130); **ამოფრინდებოდა თუ არა** კალია..., **მაშინვე** დაექანებოდნენ (მგალობლიშვილი); დედა ჩემი დაინახა **თუ არა** მამასახლისმა, **მაშინვე** ანება თავი ნინიკას (ლომოური).

მაშინვე ეხამება აგრეთვე **თუ არა**-ს ფუნქციურ ბადალს — **როგორც კი**-ს. ზემომოყვანილი მაგალითები ამნაირად გადაკეთდება: როგორც კი ჩამოვიდა მაქსიმოვიჩი, **მაშინვე** ბრძანება გასცა: როგორც კი დაიცლებოდა ვისიმე ჭიქა, **მაშინვე** აავსებდნენ; როგორც კი ვაჩვენებდი ხორცს, **მაშინვე** მოფრინდებოდა..., და ა. შ.

მაშინვე-სთან ახლოს დგას მნიშვნელობით **ის, ეს ნაცვალსახელისა** და **იყო** ზმნის შეხამება: **ის იყო, ის-ის იყო, ეს-ეს იყო**, რომელსაც ენის განვითარების თანამედროვე საფეხურზე კორელატის ფუნქცია აქვს მიღებული.

მაგალითები:

ის იყო კერძებს აწყობდნენ ჯამებში, როდესაც ცულ მხარზედ გადებული ერთი მთიბავი მოვიდა და შესძახა

(ყაზბ. 11); **ის იყო** ფეხი გადაადგა იქ მისასვლელად, რ ო დ ე ს ა ც დაინახა იმისკენ მომავალი ორი ქალი... (ყაზბ. 61); **ის იყო** სოფ. №-ის საზღვარს უახლოვდებოდნენ, რ ო მ გადმოხტა მუნჯი ბაჩუა.

ჩვეულებრივ ამგვარი კონსტრუქციისათვის დამახასიათებელია ასინდეტური დაკავშირება: დროის კავშირი გაუჩინარებულია.

ნიმუშები:

ის იყო ცხვარი გადავფინე თხილიანს ვაკეზე, ზევიდანაც ხმა მომესმა (ვაჟა); **ის-ის იყო**, კაცის გულის სიკეთეზედ მელაპარაკებოდა, ღრმერთმა ისე მოიწადინა, თვალით დამანახვა ის, რაც სიტყვით მღვდელმა ჩამაგონა (ილია 287,25).

მაგრამ არ არის ერთადერთი ვარიუდი — აქ დროის გარემოებითი წინადადების კონსტრუქცია დავინახოთ, — შესაძლოა თანწყობის კონსტრუქცია გვქონდეს.

შდრ. მაგალითები:

ის იყო დაიფრინდა ყველის ნაჭერს, **და** დიამბეგმაც სწორედ ამ დროს არ შეასწრო თვალი! (ვაჟა 25);

აქ კონსტრუქცია პარატაქსულია, მაგრამ დროულობის მომენტი მაინც წარმოდგენილია დროის გარემოებითი სიტყვით: **ამ დროს** („...დიამბეგმაც სწორედ **ამ დროს** არ შეასწრო თვალი!“).

ის-იყოს-ს შემცველი წინადადება, როგორც წესი, წინ უსწრებს მასთან დაკავშირებულ წინადადებას.

ის იყო... დღევანდელ ქართულში დროის გარემოებით სიტყვად იხმარება ზოგჯერ. — იგი **მაშინვე**-ს ბადალია, ამიტომ, ბუნებრივია, ეგ სიტყვა-გამოთქმა უნდა შეგვხვდეს მარტივ წინადადებაში.

ამის მაგალითებია:

ეს-ეს იყო გაათავეს ღვინის ამოღება კარაპეტამ და დემეტრემ (ვაჟა 103); **ის იყო**, მზეც დაეწვერა (ვაჟა 132); ქალმა **ის იყო** დააპირა, კითხვით მიემართნა... (კლდიაშვ. 1,317); **ის-იყო**, უნდა გაეცილებინა ვერხვისათვის, მაგრამ ვერხვი მთელი თავის სიგრძე-სიგანით გადაიზნიქა (ვაჟა 38,2).

ავიღოთ მაგალითი:

...უთხრა მოამბეს ხანშიშესულმა გლეხმა, რომელიც **ის-იყო** მიუახლოვდა მხიარულად მოლაპარაკე ჯგუფს (კლდიაშვ. I, 5,9).

აქ შეიძლება ჩავსვათ **მაშინვე**, ნაცვლად სიტყვისა **ის-იყო** და მივიღებთ:

...უთხრა მოამბეს ხანშიშესულმა გლეხმა, რომელიც **მაშინვე** მიუახლოვდა მხიარულად მოლაპარაკე ჯგუფს.

6. მიზეზობითი კავშირების კორელატები

მიზეზობითი კავშირების კორელატებია:

ამად.	**ამით, მით**
ამისთვის, მისთვის	**ამიტომ, მიტომ**

რომელ-რომე-რომ კავშირთან, როგორც სათანადო ადგილას დავრწმუნდით, კორელატი დროთა ვითარებაში თავის შემადგენელ ნაწილად იქცა. ძალზე იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც კორელატი დაშორებულია კავშირთან და მოქცეულია მთავარი წინადადების ფარგალში, ე. ი. თავისი ნიშანდობლივი ადგილი უპირავს.

გავეცნოთ მაგალითებს:

შენ სხუა ცოლი **მით** შეგირთავს, **რომელ** მრჩვალი კაცი, რაცა მიჰხუდეს, ყუელასა მოეციდების (ვისრ. 221,3); ცალკერძ **ამით** გვიმძიმდა, **რომე** მათ უსწოროთა ჰაბუკთა ომსა და ფათერაკსა მოვინაბევდით (ამირან. II, 176,22); უქმად **ამად** არ ჩავიგდებ, **რომ** ესენი არ უქმობდეს (არჩ. 13,1); **რომელ** მიძღვენ ძღვენი დიდი და საკვირველი, **ამისთვის** მადლს არ გარდავიკდი (ამირან. 56,11). ჩვენ **ამისთვის** მოსრულვართ თქვენსა წინაშე, **რომე** სიკეთე და ჰაბუკობა გვასმია შენი (ამირან. 108,1); შენი სწავლება ჩემს გულსა შინა ამისათვის არ შევიდა, **რომე** ზიანიც დამენახა, მაშინც მის საქმისა უსეთი უსაზღვრო ნდომა მქონდა (ქილილ. 207).

ახალ ქართულში **რომ**-თან ნიშანდობლივია **იმიტომ, მიტომ** კორელატი:

...**იმიტომ** ეჯავრებოდა, **რომ** უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაეცვა (ილია 329,9); ამ გზით **მიტომ** გამისტუმრეს, **რომ** იქ ვორონცოვის ქვრივი ეგულებოდათ (აკაკი 445); **იმიტომ** მენანება.., **რომ**, ჯერ ერთი, ბარტყია, ჯეელია (ვაჟა 205).

ამიტომ — იმიტომ კორელატი დროთა ვითარებაში უახლოვდება კავშირს ადგილის მიხედვით და მისი შემადგენელი ნაწილი ხდება: **ამიტომ (იმიტომ) რომ**. შესაძლოა **ამიტომ — იმიტომ** კავშირის გვერდით იდგეს, მაგრამ იგი არ მივიჩნიოთ კავშირის კომპონენტად, მას კორელატის მნიშვნელობა ჰქონდეს შენარჩუნებული. ამ ვითარებაში მას ფრაზაში ლოგიკური მახვილი ესმის და წერაში მძიმითაა გამოყოფილი კავშირისაგან. მაგალ., წინადადებაში — „ეს თავისუფლება მე გამოვგლიჯე ძალით, გამოვგლიჯე **იმიტომ რომ** უხასიათოა“ (ყაზბ.) **იმიტომ** კორელატია, იგი სამახვილო ცენტრია. ამას

მოწმობს აგრეთვე, ზმნის ტავტოლოგიური განმეორება: „...გააოცგლიჯე, გამოვგლიჯე იმიტომ, რომ...“ ანდა ავიღოთ მაგალითი ჰოლა ლომთათიძის ნაწერებიდან:

> ჩვენ არ გადავეხვევით ერთმანეთს **იმიტომ, რომ** თავის თავს კაცი ვერ გადაეხვევა, ჩვენ არ ვაკოცებთ **იმიტომ, რომ** თავის თავს ვერ აკოცებს კაცი..., არ ვსაუბრობთ **იმიტომ, რომ** არ არის საჭირო ენით ილაპარაკო, როცა გული ლაპარაკობს... და არ დავწვებით ამღამ ერთად **იმიტომ, რომ** ჩვენ ისედაც ერთათ ვართ... (II, 99,8).

აქ ფრაზის საერთო ტონი და თხრობის ექსპრესია შინაგანი აუცილებლობით ვარაუდობს ლოგიკურ აქცენტს **მიზეზის** მომენტზე და ეს გარემოება იწვევს **იმიტომ**-ის ინტონაციურ გამოყოფას **რომ**-ისაგან; **იმიტომ** და **რომ** თუ ერთ ინტონაციურ მთლიანობაში არ არის მოცემული, მთლიან კავშირად მათი მიჩნევა შეუძლებელია.

ეს შენიშვნა ეხება ყველა კავშირს, რომლებიც მიღებულია კორელატისა და ნამდვილი კავშირის გაერთიანების საფუძველზე.

საქმე ისაა, რომ ზეპირ მეტყველებაში ეს რიტმო-მელოდიკური ფაქტი ადვილად აღიქმება, — სხვა მდგომარეობაა, როდესაც საქმე გვაქვს დაწერილთან. მართალია, ამ შემთხვევაში მძიმის დასმა საკმარისი სადიფერენციაციო საშუალებაა (**იმიტომ რომ**, შდრ. **იმიტომ, რომ**; **ამისთვის, რომელ**, შდრ. **ამისთვის რომელ** და სხვ.), მაგრამ, ჯერ-ერთი, ახალ სალიტერატურო ქართულში ეს ვითარება ნორმირებული არ არის, — შესაძლოა ავტორი ლოგიკურ მახვილს აკეთებდეს **იმიტომ**-ზე და მაინც მძიმით არ გამოაცალკევოს იგი **რომ**-ისაგან, და პირიქით, და, მეორე მხრივ, საქმე უფრო გართულებულია ძველი წერილობითი ძეგლების მიმართ, როდესაც პუნქტუაციის არადიფერენცირებულ სისტემას არ ძალუძს გადმოსცეს ფრაზის ინტონაციური თავისებურება.

ზემოთქმულის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, რომ იმ საილუსტრაციო მასალაში, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ კორელატის კავშირის კომპონენტად ქცევის დასახასიათებლად (**ამით რომელ, ამისათვის, რომელ, ამად რომე და სხვ.**), ყველა მაგალითი როდი უნდა იქნეს გაგებული, როგორც მაჩვენებელი კორელატ-კავშირის შედეგების დასრულებულ მდგომარეობისა. ზოგჯერ ხერხდება იმის გაგება — კორელატი კავშირის ნაწილია თუ არა, მაგრამ ზოგჯერ ტექსტი არავითარ სემანტიკურ ანდა ფორმალურ ნიშნებს არ შეიცავს გარკვეული დასკვნის გამოსატანად.

რადგან(აც) კავშირთან კორელატი, საერთოდ, დამახასიათებელი

არ არის, მაგრამ იშვიათად მაინც შეიძლება მას შეეხამოს **ამის(ა)თვის, იმიტომ** კორელატები.

მაგალითები „ჭილილა და დამანადან“;

და რადგან კაცისა სამჯობინარად უპოვნიათ, **ამისთვის** საფუძველად დაუმყარებიათ (181); აწ ჩემგან რადგან მართლის თქმა მართებულია, **ამისთვის** შეშინებულან (196); რადგან ქვეყნისა კაცნი ამა მოსავლისათვის ავ-კაცად და საგმობრად მდებენ, **ამისთვის** ესე უმჯობესია... (261); მაგა ბაზიერმა.. რადგან თავისი ბოროტი საწადელი ჩემგან ვერ აღისრულა, **ამისთვის** თვისითა უგუნურითა გონებითა... (222).

მაგალითები ყაზბეგის ენიდან:

რადგან ცოტა ადრე იყო.., **ამისათვის** დაიმალა ტყეში: რადგანაც სახლის პატრონები დასაფლავების დღეს დიდს მზადებაში იყვნენ.., **ამისთვის** მათი პატივისცემა და დახვედრა მეზობელთა ვალი იყო; რადგანაც ცოტა ადრე იყო და არ უნდოდა ვისმე შეჰხვედროდა, **ამისათვის** დაიმალა იქვე ტყეში...; რადგანაც მწყემსებს შუქი პირდაპირ სახეში სცემდა, **ამისათვის** იმათაც ხელებით მოეჩრდილებინათ თვალებისათვის...

შეიძლებოდა **ამის(ა)თვის** კორელატის ადგილას **ამიტომ** ჩაგვეს-ვა და ეს სრულიად ნორმალური იქნებოდა თანამედროვე ენისათვის:

რადგანაც მწყემსებს შუქი პირდაპირ სახეში სცემდა, **ამიტომ** იმათაც ხელებით მოეჩრდილებინათ თვალებისათვის... და ა. შ.

რადგან(აც) კავშირთან კორელაცია ხშირად მაშინაა შესაძლებელი, როდესაც დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს.

7. მიზნითი კავშირების კორელატები

მიზნითი წინადადების კონსტრუქციას ახასიათებს სიღარიბე კორელატებისა. კორელაცია ამ ტიპის წინადადებისათვის, საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, არ არის დამახასიათებელი.

ასე, მაგალ., **რა(ჲ)თა**-სთან უაღრესად იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს **ამისათჳს(ცა)**;

და **ამისთჳს** გამოგეცხადე უპირატჱს ყოველთა მოწაფეთასა. რათა გამოგიყვანო ამიერ ადგილისაგან (არიმათ. 13,1); ...მოაყოლინა გაბრიელ მახარებელად მოსელისა თჳსისა **ამის-**

თჳს, რათა არაჲ შეძრწუნდეს დედაჲ ქალწული... (კიმ. 177. 22); **ამისთჳსცა** განვიდეს უდაბნოდ, რაჲთა უუედრებაჲ იგი ქრისტჱსი დაითმინონ (სას. პოეზია, რლთ. 85).

(ა)მისთვის — იმისთვის მოუდის კორელატად რომე—რომ კავშირს:

აწ **ამისთვის** გამოგზავნილი ვართ, რომე შენმცა მიგიყვანე წინაშე იამანთა მეფისა (ამირან. 46,16); აწ **ამისთვის** გეხვეწებოდი, რომე სიჩქარით ცეცხლში არ ჩასჭრილიყავ (რუსუდ. 747,8); ესე არაკი **ამისთვის** მოგიყვანე, რომე სცნა... (ქილილ. 239); **ამისთვის** შეუსწორეთ, რომე როდესაც კოზა ოდიშს მობრძანდებოდეს, ხატსა... დაასვენებდენ (საეკლ. საბ. 62,1); ეზარა **ამისთვის**, რომ კვლავ დევი არ ენახა (რუსუდ. 807,4); აწ **ამისთვის** მოსრულვარო, რომ ბატონისშვილი ალექსანდრე წავიყვანო (ფარსად. 230); ჩეჩნელს თუ შეუყვარდა ქალი, **იმისთვის** შეუყვარდება, რომ შეირთოს (ყაზბ.); კობა საჩქაროდ **იმისთვის** გამობრუნდა რომ უნდოდა... (ყაზბ.): **მისთვის** არ ვმღერ, რომ ვიმღეროო... (ილია); **მისთვის** არ გვედრით, რომ მოუპოვო საზრდოება ჩემთა გულისთქმათ... (მაჩაბ. 25,16).

თანამედროვე ქართულში **რომ**-ს შესაძლოა შეეფარდოს **(ი)მიტომ**:

იმიტომ ვუთვლი, რომ გადავახდევინო; მიტომ ვამბობ, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა იგულისხმონ (აკაკი).

ჩვენ ვხედავთ, რომ მიზეზობით-მიზნით წინადადებებს კორელაცია საერთო აქვთ: **(ა)მისთვის, იმიტომ.**

შეიძლება ამ ფაქტს ახსნა მოეძებნოს.

საქმე ისაა, რომ მიზნით წინადადებას ერთგვარი სემანტიკური სიახლოვე აქვს მიზეზობით წინადადებასთან, — მიზნისა და კაუზალობის კატეგორიას საერთო ლოგიკური საფუძველი მოეპოვება. დავუკვირდეთ მიზნითი წინადადების შინაარსს: „ვანო წავიდა მდინარეზე, **რომ(რათა)** ითევზაოს“. აქ მდინარეზე წასვლის მიზეზია თევზაობის უცილობლობა. მოქმედების ორი აქტი — წასვლა მდინარეზე და თევზაობა — ურთიერთშეპირობებულია ლოგიკურ საფუძველზე: მიზანი თავისთავად მიზეზია გარკვეული მოქმედებისა, ტრომლისოდაც ეს მიზნის აქტი არ შესრულდება.

ეს ლოგიკური მიმართება კარგად ჩანს კორელატ-სიტყვების მაგალითზედაც.

ზოგჯერ მთავარ წინადადებაში მოცემულია **იმ მიზნით: „იმ მიზნით ვუთვლი, რომ გადავახდევინო“.**

8. ვითარებით-შედეგობრივი კავშირების კორელატები

ვითარებით-შედეგობით კავშირებს **(რომელ-რომე-რომ)** მთავარ წინადადებაში, როგორც წესი, ახლავს მისამართი სიტყვები: **ასრე — ესრე, ეზომი** (საშ. ქართ.), **ასე—ისე, იმდენი** (ახ. ქართ.). იშვიათად, ძალიან იშვიათად შეიძლება დავადასტუროთ უკორელაციო კონსტრუქციის ნიმუშები.

კორელაციის მაგალითებს აქ არ დავიმოწმებთ, — მკითხველს შეუძლია მიმართოს ვითარებით-შედეგობითი კავშირებისათვის დასახელებულ წინადადებებს.

დროთა ვითარებაში კორელატი ექცევა მთავარი წინადადების ბოლოს და პოზიციურად უახლოვდება კავშირს, რომელსაც დამოკიდებულ წინადადებაში წინა პოზიცია უკავია; მიეკერის მას და კავშირის კომპონენტი ხდება: **ასრე (ესრე) რომელ, ასე რომელ, ასრე რომე, ასე რომე, ასე რომ, ისე რომ.**

თუ კავშირთან პოზიციურად ახლო მყოფ კორელატს წინადადებაში ესმის ლოგიკური მახვილი, მაშინ მას ვერ მივიჩნევთ კავშირის ნაწილად. ხოლო თუ ეს ლოგიკური მახვილი არ არის, მაშინ კორელატი კარგავს თავისთავადობას და კავშირის ნაწილად წარმოგვიდგება. მაგალ., ავიღოთ წინადადება: „დავალება შესრულდა **ისე**, რომ ჩვენს ბრიგადას გამოეცხადა მადლობა“. აქ ლოგიკური აქცენტი კორელატზეა — **ისე**. წინადადების შინაარსი ასეთია: ლაპარაკია შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს ხ ა რ ი ს ხ ზ ე. რამაც გამოიწვია სათანადო შეფასება (ესაა შედეგი მაღალხარისხოვანი მუშაობისა). ხოლო წინადადებაში: „დავალება შესრულდა, **ისე რომ** ჩვენს ბრიგადას გამოეცხადა მადლობა“ **ისე რომ** ერთ ი ნ ტ ო ნ ა ც ი უ რ მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ს ქმნის, იგი უკვე კავშირია: წინადადება წარმოადგენს ამოცანის შესრულებისა და მისგან გამომდინარე შედეგის ფაქტის კონსტატაციას. პირველ შემთხვევაში **ისე** მძიმით გამოიყოფა. მეორე შემთხვევაში **ისე რომ**, როგორც მთლიანობა, მძიმით არ შეიძლება ერთმანეთისაგან გაეცალკევოთ.

9. ვითარებით-შედარებითი კავშირების კორელატები

ვითარცა-ვითარ კავშირს ძველ ქართულში ეხამება:

A	B
ეგრე	**ესრე**
ეგრეცა	**ესრცა**
ეგრცა	**ესრეთ**
ეგრცათვე	**ესრეთვე**
ეგრეთვე	
ეგრცთცა	

ეგრე...

...და ჰოვეს **ეგრე**, *ვითარცა* დედათა მათ თქუეს... (ლ. 24, 24: ხანმ. ლექც.); ...და ყო **ეგრე**,, *ვითარცა* უბრძანა მას ანგელოზმან უფლისამან... (მთ. 1,24); *ვითარცა-იგი* დღეთა მათ ნოვესთა, **ეგრე** იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ (მთ. 24,37); *ვითარცა* ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, **ეგრე** ჰხედვიდა თჳსსა მას გუამსა (აბო 72,38); ...არა ყო **ეგრე**, *ვითარცა* უბრძანა მას წმიდამან სჳმეონ... (კიმ. 311, 11); ...და *ვითარცა* ცეცხლნი, **ეგრე** ეტყინებოდეს (წარტყუენ. ვ, 27); — *ვითარცა* კაცმან... დაუტევის თჳსი სოფელი..., **ეგრე** მისრულ იყვნეს იგინი ნაზარეთა... (მრავალთ. 268,29); — და *ვითარცა* შენ შემოქმედი შენი ჟუარ ჰყავ, **ეგრეცა** მე შენ შეურაცხ გყავ, (შუშან. 13,VI,26); *ვითარცა* ვინ მიხუდებინ და *ვითარცა* ვის ჰმარჯუნ, **ეგრეცა** აღასრულებედ... (ბოლნ. 2,9); *ვითარცა* ჩჩჳლნი, რომელნი, გამოსწოვენ ძუძუთაგან გამოწოვად სძისა, **ეგრეცა** სახედ ყოველნი გამოსწოვდეს შჯულისა და სახარებისაგან მცნებათა (იპოლიტე, ი, 31); *ვითარცა* სახედ ასპიტმან მამა-დედაჲ მოკლის, **ეგრეცა** ფარისეველთა მამაჲ საგონებელი... (სახისმეტყ. 17, იგ, 29); — ...და ყვეს **ეგრეთ**, *ვითარცა* ისწავეს მათგან (მთ. 28,15); *ვითარცა* სამჴედური მატლსა შინა, ეგრეთ კორკოთა შინა თჳსთა დაფარა... (აბო 62,5); *ვითარცა* აღმოსავალი დასავალთა, **ეგრეთ** შორის ხართ ურთიერთას (კიმ. 151,35); ...და ყვეს **ეგრეთ**, *ვითარცა-იგი* ებრძანა კელმწიფისაგან... (არიმათ. 88,5); — და *ვითარცა* ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზისა აღმოსავალით და ჩანნ, ვიდრე დასავალადმდე, **ეგრეთ** იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ (მთ. 24,27); ...ჰოვეს **ეგრეთ**, *ვითარ-იგი* ჰრქუა მათ (კიმ. 300,3); და *ვითარცა* სძალსა დაქურივებულსა, **ეგრეთ** ეგლოვდა იგი წმიდასა ეკლესიასა (წარტყუენ. კზ, 7); ხოლო ამიერითგან, *ვითარცა* ჯერ-გიჩნს და გნებავს, **ეგრეთ** განაგო ცხორებაჲ ჩემი (ანტიოქ. 100,34); — *ვითარცა* მთანი გარემოჲს იჱრუსალემისა, **ეგრეჲთვე** დიდებული ეკლესიაჲ შენ მოციქულთა გარემოჲს შემოკრებულ არიან წმიდასა ეკლესიასა შენსა (ჴ.-ეტრ. 244, V, 7); და **ვითარცა-იგი** კორციელად-მშობელთა მონაგები შვილთა განუყვიან, **ეგრეთვე** ხანძთაჲ სულიერად-მშობელი არს ჩუენ ყოველთაჲ (ხანძთ. ლვ, ლ, 34);

და ვითარცა კორციელად შეიმატებოდა, **ეგრეთვე** სულიერად შეეძინებოდა რიცხუსა მას წმიდათა კაცთასა (ხანძთ. იზ. იბ, 1); — და ვითარცა სოფელსა ამას წმიდისა მოძღურებისა შენისა მოწაფედ წოდებულ ვართ, **ეგრეთვე** ზიარ მყუენ მერმესა მას უკუანაკნელსა დღესა... (ზარზმ. 182,22); ...ვითარცა მთიებნი რაჲ ჰნათობენ სამყაროსა ცათასა, **ეგრეთვე** თქუენცა გამოჰბრწყინდით სივრცესა შინა უდაბნოჲსასა... (სას. პოეზია, რმა, 146); და ვითარცა საცხოვარნი კლვად განჩინებულნი, **ეგრეთვე** ერი მორწმუნეთაჲ დაკლვად განემზადებოდა... (წარტყუენ. ით, 15); და ვითარცა იგი თქმული არს იოსებისათჳს..., **ეგრეთვე** აქა იხილვებოდა... (ანტიოქ. 64,5); — ვითარცა სათნო უჩნს სიწმიდესა შენსა, **ეგრწთცა** ქმენ (ხანძთ. კვ, კგ, 23).

B

ესრე...

ვითარცა სახედ ნაძჯ არა დალპეს, **ესრე** სახედ დბ˘ჲ იგი მამათაჲ არა დაფარულ (იპოლიტე, ლწ. 16,3); და ვითარ იყო, **ესრე** იწყო სიტყუად კაცისა მის მიმართ... (კიმ. 323,5); — ვითარცა სიტყუაჲ პირისა მისისაგან გამოეცემოდა, **ესრწთ** ქრისტემან გამოსცა სულნელებაჲ თჳსი (იპოლიტე, ლდ, 20); — რომელმან ყოველივე მსოფლიოჲ საქმე, ვითარცა სიზმარი და აჩრდილი, **ესრეთ** დაუტევა (ანტიოქ. 91,21); ვითარ-იგი პირველ მოიყიდეს უფალი ოდაჲსა-გან ვეცხლითა, **ესრეთ** მოიყიდდეს ქრისტეანეთა ბირქისა მის-გან (წარტყუენ. კა, 2): — და ვითარ-იგი თანააც წმიდათა სიყუარული ღმრთისაჲ..., **ესრეთვე** მადლმან ღმრთისამან შეიწყნარა ნეტარი ესე... (კიმ. 239,19); ვითარ-იგი თქუა დავით წინაჲსწარმეტყუელმან, **ესრეთვე** მე დღე და ღამე ვიტყჳ და ვიწურთი... (წარტყუენ. ნვ. 26).

ეგრე... უფრო გავრცელებულია ძველ ქართულში, ვიდრე **ესრე**...

გათვალისწინებული კორელატების გამოყენება არაა აუცილებელი. ძველი ქართული სალიტერატურო ენა უხვად გვაწვდის ისეთ მაგალითებს, სადაც კორელაცია ვითარცა — ვითარ ქავშირებს არ ახასიათებს.

რაკი უკორელატო წინადადებები კონსტრუქციულად თავისებურებას არ შეიცავენ. ამიტომ მათ აქ არ დავიმოწმებთ, — მივუთი-

თებთ მხოლოდ ძეგლებზე, რათა დაახლოებით მაინც წარმოდგენა ვიქონიოთ ამგვარი კონსტრუქციების ხვედრითს წონაზე;

მთ. 7,29; 26,39; 6,28; 6,5; 6.2; 6.16; 13.43; 20.40; **მარკ.** 9,13; 4,27; **ზარზმ.** 174,32; 188.21; 158,13. **ჰ.-ეტრ.** 208. V, I; **სას. პოეზია,** რი, 232; კა, IX,3; რიზ. 50; რიბ. 288; რია, 259; ქა, 4; ჟთ, 17; **აბო** 55,23; 66.18; **შუშან.** 20, VI, 20,35, X11, 10; 20, VI, 17; 4,1, 16; **რავახ.** 96,11; **კიმ.** 236,30; 238, 18; 134, 13; 245,10; 291,19; 292,5; 306,7; 241,25; 273,29; 211,5; **წარტყუენ,** ივ, 3; ივ, 11; იზ. 30; გ, 21; კე, 11; **ანტიოქ.** 108; 18; **ხანძთ.** ჲ, ნზ., 3; ლ, კვ, 8; ჲმ, ჲთ, 39; მგ, 34; ოვ, ოვ. 3; კ, ოვ, 2; ლე, კთ, 48; ოგ, ოგ. 12; ო, ობ, 10; ნმ, ნე, 85, ზ, ვ, 8; ვ. ე, 5; ოა, ობ, 46; ვ, ე, 32; ჲა, ნზ, 21; **ასურ.** 19,9.

სათანადო კორელატთა ფორმების ფაკულტატიურობა კარგად ჩანს რედაქციების შეპირისპირებიდანაც:

მთ. 12, 40:E:

რამეთუ ვითარცა-იგი იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე. **ეგრმთ** იყოს **ძმ** კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე.

შდრ. D

...ეგრეთ...

შდრ. C:

...ეგრე...

მთ. 13,40:E

ვითარცა-იგი შეკრბიან ღუარძლი და ცეხლითა დაწვან. **ეგრმთ** იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ.

შდრ. D:

...ეგრეთ...

შდრ. C:

...ეგრე...

მთ. 24,37:DE:

ვითარცა-იგი დღეთა მათ ნოვესთა, **ეგრეთ** იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ.

შდრ. C:

...ეგრე...

მარკ. 4,26:DE:

ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი კაცმან რაჲ დასთესის თესლი ქუეყანასა.

შდრ. C:

...ესრე...

ეკლეს. სოლ. 196, გ, 19;

ვითარცა მისი სიკუდილი, **ეგრეცა** ამის სიკუდილი.

შდრ. პეტრიწის თარგმ.:

ვითარცა სიკუდილი მისი, **ეგრეთვე** სიკუდილი ამისი.

ეკლეს. სოლ. 205, ე, 15:

ვითარცა მოვიდეს, **ეგრეცა** წარვიდეს.

შდრ. პეტრიწის თარგმ.:

ვითარცა მოვიდა, **ეგრეთვე** წარვიდესცა.

ეკლეს. სოლ. 218, თ, 12:

...ვითარცა თევზნი მონადირებულ არიან სათხეველითა ბოროტითა..., **ეგრეცა** ძენი კაცთანი მოინადირებიან ჟამსა ბოროტსა...

შდრ. პეტრიწის თარგმ.:

...ვითარცა თევზნი მონადირებულნი სათხეველითა ბოროტითა..., **ეგრეთ** მოიმსახურებიან ძენი კაცთანი ჟამსა შინა ბოროტისასა...

ბოლნ. 46,6:

ვითარცა მკუდარნი (და) ვითარცა შენ ასდეგ მკუდრეთით ჯუარსა შემჭუალული, **ეგრეთვე** ჩუენ აღმადგინენ მკუდრეთით.

შდრ. var.:

...ეგრეცა...

არიმათ. 84,7:

ხოლო ეგე კაცნი, ვითა ჩუენ, **ეგრჱთვე** ხარკსა მისცემენ კაისარსა.

შდრ. var.:

...ეგრეთვე...., || ...ეგრევე...

ჩანს, რომ ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქცია სხვაობს კორელატთა სახეობების გამოყენებაში; ისინი (ეს სახეობები) ფაკულტატიური ფორმებია. ოთხთავის E ხელნაწერი უფრო მხარს უჭერს **ეგრჱთ**-ს, D **ეგრეთ**-ს, ხოლო C — **ეგრე**-ს.

საშუალო ქართულში ვითარ-ვით(ა) კავშირს კორელატად მოუდის:

A	B
ეგრე	**ესრე**
ეგრეთ	**ასრე**
აგრე	

ამათ გარდა, გვხვდება: **ეგრევე, აგრევე, ასე.**

ეგრე-ს ნიმუშებია:

ვითა მაჰისა ქუეყანისაგან მარავი უამესია, **ეგრე** მე ვიროსაგან უფრო ვარ (ვისრ. 93,20); ვითა გული მოსცემდა, **ეგრე** მოსთქუამდა (ვისრ. 301,16); ვითა დამივსო სახმილი, **ეგრე** მისიცა კმა დება (რუსთ. 1470,4); ვითა მნუკევს, **ეგრე** დავჰრთო გული ცეცხლთა მოსადებლად (რუსთ. 750,2) ვითა შენგან იმედი მაქვს, ეგრე ჰქენო (ამირან. 49,13); ვითა შვენოდა ჭაბუკობასა შენსა, ეგრე შეჰკაზმე საქმე ჩვენიო (ამირან. 78,17); პირველ **ეგრე**, ვითა მართებდა, ღმერთი ადიდა და მისი ყოველი არსება (პროზ. შაჰნ.); ვითა ეშ-

მათა ხმა ესმათ, **ეგრე** ურთმანერთს მტერებდეს (არჩ. 218,2); ვითა მეფეთა წესია, **ეგრე** მზრდიდნენ (სიბრ.-სიკრ. 41,21).

ეგრეთ იშვიათია და უმთავრესად ვხვდება საშუალო ქართულის მოგვიანო პერიოდში. ნიმუშები:

ვით მზე ღალიად, **ეგრეთ** მალიად მოჰბედად შავსა ტაიჭს ზე ზისა (აბდულმესია 49,4); ვითა ნოსარ ნისრელი, **ეგრეთ** მოჰკვეთეს ქვეყანა (ამირან. II, 38,8); ვითა ველური თხა-ვაცი ფიცხს ვეფხსა დაერიდოდეს, **ეგრეთ** გაექცნენ მას ყმასა, ველარ ამაყად ყიოდეს (არჩ. 233,1); ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს..., **ეგრეთ** ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს (გურამ. 20);

აგრეს-ს ნიმუშებს გვაწვდის ზოგიერთი ძეგლი:

ვითა ცეცხლსა ზედა ცეცხლი მოემატა, **აგრე** უძნელე იყო ყოვლისა ჟამისასა (ვისრ. 301,32); ვით მოყუარეთა და მზახალთა ჰხუდების, **აგრე** იურვოდი მასპინძლობისათუის (ვისრ.); ვითა მე შენთვის დამწვარ ვარ, **აგრე** შენ ჩემთვის ჰბნდებოდი (რუსთ. 1571,4); ვითა მე მიჭახედი წადილსა, ჩემის გულისა ნებასა, **აგრემცა** ღმერთი ნურას იქმს ძმისა თქვენისა ვნებასა! (რუსთ. 213,1); ვით მიბრძანე, **აგრე** ვნახე (არჩ. 187,1).

ესრე-ს ნიმუშებს უხვად გვაწვდის „ვისრამიანი";

საწუთრო **ესრე** ამწლია, ვითა უთავო ლაშქარი (209, 17); შეჰირვებასა ჭუეშე **ესრე** შემილამდების დღე, ვითა ველურსა თხასა ავაზისა შიშითა (29,18. აგრეთვე: 56,12; 69,1; 315, 24; 318,13; 300,36; 298,20; 298,16; 297,16; 173,25; 157,24; 193 28; 18,25; 242,2; 248,14).

ასრე-ს ნიმუშებია:

...**ასრე** დასნეულებულ ვარ, ვითა მზედავ (ვისრ. 203, 6); ჩემისა ნახვისათუის **ასრე** გსურდა, ვითა წყაროსათუის ირემსა (ვისრ. 220,20; აგრეთვე: 100,3; 74,16; 76,35; 159,28; 147,13; 164,18; 21,23; 238,4; 177,9; 278,27; 285,6; 287,2; 292,1; 16,29; 51,13; 49,11; 46,5; 302,26); მზესა **ასრე** ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მზრდელი (რუსთ. 710,2); მით ერთითა მათრახითა თავი **ასრე** გარდაჰფრიწა, ვითა მკვდარი უსულო ქმნა... (რუსთ. 209,1); ჩემს ძმას კვიროსაც **ასრე** ჰგავს, ზედ გამოჰრილი ვით თარსა (არჩ. 645,3); **ასრე** გახშირდა ბინიში, ვით რიყე წითლად მსხდომია (ბესიკი 27);

ზოგიერთი ძეგლი გვაწვდის **აგრევე** — **ეგრევე**-ს ნიმუშებსაც:

ვითა დაბერებითა გუელი ვეშაპად შეიქმნების, **აგრევე**

მიჯნურობა, რა გახანიერდეს, გაძნელდების (ვისრ. 32, 20); ვითა აწ შენ ჩემგან გწყენია, აგრევე და კულა უფრო მე შენგან მიმძიმდა (ვისრ. 280,23); ვითა გაგულისებული ზღვა მუქით არ დაიჭირვის, აგრევე მას სხვის კაცისაგან არა ევნების რა (ომაინ. 80,83); — ვითა მზე არ დაიმალვის, ეგრევე მე და ჩემი სახელი დამალული არ ვეგებით (ვისრ. 185,3); ვითა მე შენებრსა უხანოსა ვერ ვპოებ, ეგრევე შენ ჩემებრ ხანიერსა მოყუარესა სიყუარულიანსა (ვისრ. 221, 18); ვითა მან პოვნა მიზეზნი ჩემისა სულთა დგმისანი, ეგრევე მანცა სამისოდ ნახნეს ძალ-გულნი ძმისანი (რუსთ. 1480,3).

თითო-ოროლა მაგალითს ვადასტურებთ ეგრეთვე კორელატისას:

ვით ქვიშა ზღვისა, ცვარი წვიმისა ვერავინ აღრიცხოს თვითოეულად, ეგრეთვე ქება, მსგავსად კსენება მისი ვერ უძლონ თვითოეულად (აბდულმესია, 86,1,2); ვითა ვისსა შუენება ჰმატებოდა, ეგრეთვე მოაბადს სიყუარული მოემატა (ვისრ. 120,2); ვითა მამა, ეგრეთვე პატივითა დაგიჭიროთ (ამირან. II, 10,10); ზენაარმან ღვთისამან ვითაც მე თქვენ მოგერივე, ეგრეთვე ჩემი პატრონი თქვენსავე პატრონსა მოერევისო (ამირან. II, 15,8).

არ შეიძლება სალიტერატურო ნორმად ჩაითვალოს ისრე(ვე). შეიძლება რამდენიმე მაგალითის დასახელება:

ვითა შვილსა, ისრე მიყურებდა (რუსუდ. 728.8); ...და ლაშქარი მისი, ვითაც მგელი ცხვართა შიგან გარეული, ისრევე ესენი გაერივნეს და გაიმარჯვეს (ფარსად. 210); ვითაც თქუენთუის ბეითალმნად დადებული იყო და სხუას ერისკაცს არას ეხელყოდა, ისრევ თქუენ გკადრეთ და მოგახსენეთ მოუწესელად (დოკუმენტ. ბერძენ. 38,18).

აღორძინების ეპოქის ზოგიერთ ძეგლში ვადასტურებთ ასე კორელატ სიტყვას:

ვისს ყველა რამ ასე ესმა, ვით ქარის ხმა გაეგონა (არჩ. 379,1); ერთი მათ შორის ასე ჩნდა, ვითა მზე ამოსულიყო (არჩ. 687,2. აგრეთვე: 212,1; 310,2); გული ასე დაუკაწრავს, ვით გალესილს დანას ხმი (გურამ).

„ვისრამიან"-„ამირან-დარეჯანიან"ში" გვხვდება, ორიოდე მაგალითი არქაული ესრეთ-ეგრეცა-სი:

ჰკრა კობალი და წამსვე დალეწა ესრეთ, ვითაცა ხრილი (ამირან. II, 111, 16); ვითაც მხედამთ, ესრეთ გამხადეს

(ამირან. II, 189,17); — ...ვითაცა ვჰმალავ, **ეგრეცა** უარე და უარე ვარ ამა ჰირისა მალვასა შიგან (ვისრ. 239,10); ვითაცა შენ იცი და ჰამს, **ეგრეცა** შეინახე ისი ორნი გრძელულნი (ვისრ. 131,35).

ვითარ—ვით(ა) კავშირთან საშუალო ქართულში კორელაცია აუცილებელი არ არის. უკორელატო მაგალითებისათვის მივუთითებთ ძეგლებზე:

ვისრ. 88,2; 93,27; 298,20; 298,26; 107,21; 107,24; 109,34; 119,32; 146,17; 151,9; 76,32; 80,18; 159,30; 18,3; 18,23; 22,5; 24,20; 184,21; 225,7; 225,10; 225.11; 230,10; 243, 13; 257,25; 51,7; 91,34; 48,12; 241,19; 295,4; **აბდულმესია** 33,4; 34,2; **რუსთ.** 838,1; 214,2; 231,3; 232,2; 235,4; 160,2; 553,1; 544,4; 332,1; 348,4; 101,2; 82,1; 55,1; 1045,1; 1219,1; 321,2; 280,3; 730,3; 698,3; 701,2; 1370,3; **თამარიანი** VI.2; IX. 25; **ამირან.** II, 173,26; 118,5; **ფარს.** 216; **შაჰნამე** 4936,2; **არჩ.** 406,2; 684,1; 660,1; 514,3; 424,3; **ქილ.** 165; **გურამ.** 340; **ბესიკი** 340, 82,52.

რაგვარ..., როგორ... კავშირთან საშუალო ქართულში შეიძლება შეგვხვდეს კორელატები:

A	B
ეგრე	**ასრე**
აგრე	**ისრე**
	ასე, ისე

ნიმუშები:

A

...მას **ეგრე** მოუვა, **როგორათაც** მას მებაღეს მოუვიდაო (ქილილ. 164); ...მას **ეგრე** დაემართების, **როგორათაც** მათ თევზთა დაემართაო (ქილილ. 109); — **როგორაცა** მხიარული და გონიარი კელმწიფე ხარ, **აგრე** მართალი გიბრძანებია (პროზ. შაჰნ. 402); ნახეს, იცნეს; **რაგვარადცა** ჰმართებს, **აგრე** გაეხარნეს (რუსთ. 673,2); **რაგვარა** მე სულითა და ჴორცითა ვიწვები, **აგრე** მათ დასწვი გული... (პროზ. შაჰნ. 412).

რ ო გ ო რ ც ამ წიგნში ეწერა, ჩვენ ასრე დაგვიმტკიცებია (საეკლ. საბ. 37,24); ბრძანება და ნიშანი ესე ჩვენი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ, რ ო გ ო რ ა თ ა ც ამა ჩვენგან ნაწყალობევსა სიგელში ეწეროს (დოკუმენტ. ბერძენ. 226,15); — რ ო გ ო რ ც ხელმწიფეს ეკადრებოდეს, ისრე ვაარიგოსო (რუსუდ. 945,11); რ ო გ ო რ ა ც ა ყმანი და მონა ტახტის თქვენისა ყოფილვართ, ისრე ვმსახუროთ (პროზ. შაჰნ. 333; აგრეთვე: 388; 390; 396); რ ო გ ო რ ა თ ა ც თქუენ მოგვახსენოთ, ისრე ვქნათ (საეკლ. საბ. 75,22); — რ ო გ ო რ ც ზღვას შესდის და გაედინებისო, ისე შემოგდის... (ვახტ. ტე, მთ; აგრეთვე; ტია, რკე; სეფ, კა; სედ, იგ); რ ო გ ო რ ა დ ა ც შენგან ციკოდეთ, ისე უნდა... (დოკუმენტ. თაყაიშვ. 220,11); რ ო გ ო რ ც ყოფილა, ისევ იყოს (საბა, მოგზ. 25); რ ო გ ო რ ც იმ ურიის მართებული იყოს, იმდენი კაცი ასე შეაფიცოს პაპუნამ... (დოკუმენტ. ბერძენ. 627,49).

სათანადო ტიპის კორელატები უმთავრესად გვხვდება იმგვარ ძეგლებში, რომელთაც ატყვიათ ხალხური მეტყველების გავლენა.

ახალ სალიტერატურო ქართულში როგორც კავშირს ეხმიანება ისე კორელატი და იგი ნორმადაა ქცეული.

ნიმუშები:

ისე არა სწვიმს, რ ო გ ო რ ც ჰქუხს (ილია 303,1): რ ო გ ო რ ც თოფის წამალი ნაპერწკლისაგან, ისე ავფეთქდი სიყვარულისა და ნატვრისაგან (ილია 296,22); ისე მეხვეოდნენ გარს, რ ო გ ო რ ც ჩიხიკვები ბუს (აკაკი 392); მისი ისე ეშინოდათ, რ ო გ ო რ ც სულთამხუთავისა (აკაკი 430); ეკვროდა ისე, რ ო გ ო რ ც ქორის კლანჭები მისგან შეპყრობილს კაკაბს (ვაჟა 139); ბოლსა და ჰვარტლს ისე ვაუშავებია, რ ო გ ო რ ც ყორნის ბოლო (ყაზბ. 120).

შეფარდებითი შედარების კავშირებიდან **რაზომ**-ს მოუდის კორელატები:

ეგრეცა
ეგზომ...

ეგრეცა-ს ნიმუშებია:

ღარიბი რ ა ზ ო მ ც ა გაკელმწიფდეს, ეგრეცა დაილრეჯს... (ვისრ. 235,31); თუალი რ ა ზ ო მ ც ა ძუელი იყოს, ეგრეცა სჯობს (ვისრ. 221, 13); რ ა ზ ო მ ც ა ნათობს სინათლე, ჩემთ-

ვის ეგრეცა ბნელია (რუსთ. 1294,2).

ეგზომ-ის ნიმუშებია:

საჭურჭლე რაზომი უნდოდა, **ეგზომი** დაუგდო... (ვისრ. 132,30); რაზომსაცა ბიჯსა წასდგამს, **ეგზომსაცა** დაღსა დამსჭამს ჩემსა გულსა ზედა (ვისრ. 299,9); რაზომი მდინარეთა და ზღუათა შიგან ცუარია, **ეგზომსა** სურვილსა და თაყუანისცემასა მოგაჯსენებ (ვისრ. 246,36); ...რაზომცა ტრფიალობა მეტობს, **ეზომცა** უფრო და უფრო ტურფად ეჩვენება (ქილილ. 155).

რაოდენ შეფარდებით კავშირს ძველ ქართულში ეხამება ეგოდენ კორელატი:

რაოდენი ძალი იყო გონებასა ჩუენსა და მეცნიერებაჲ კელოვნისაჲ, **ეგოდენ** შეუძლეთ განშუენებაჲ აპოლონისი (ქომ. 151,6); რამეთუ რაოდენცა აღემატებოდის ცოდვაჲ, **ეგოდენცა** უღრმესსა ქუესკნელსა... მოატყუებს მოქმედთა მისთა (ანტიოქ. 83,8); რაჲ ოდენ დიდ იყო, **ეგოდენ** დაიმდაბლე თავი შენი წინაშე ღმრთისა (ეკლეს. სოლომ. 111, 30).

შდრ. შარავანდ.:

რაოდენ უალრესად საკადელ არს უსისხლოჲ მსხუერპლი.— კორცი და სისხლი ღმრთისა კაც-ქმნილისაჲ,... **ეგოდენ** უბრწყინვალეს და უზენაეს არს, რომელი აწ იქმნა და ითქუა (117,12).

რამდენ... კავშირს ახალ სალიტერატურო ქართულში კორელატად მოუდის იმდენ...

ნიმუშები:

იმდენად სწამდა საქართველო მხოლოდ, რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის (აკაკი 479); რამდენადაც მოხუცი მეტს უყურებდა დაჭრილს ვაჟკაცს, იმდენად მეტის მზრუნველობით ეკიდებოდა (ყაზბ. 43); რამდენიც დღე გადიოდა, **იმდენი** უფრო და უფრო ციოდებოდა (ლომოური).

თითქო(ს)-ის კორელატია;

ისე
ისეთი...

...**ისე** მრისხანედ შემომიბღვერა, **თითქო** მემუქრებოდა (ილია 248,18); პეტრე კი **ისე** სახტად თვალებდაჭყეტილი

დარჩა, თითქო თავბრუ დაესხაო (ილია 276,37); ...შენ კი ისე მიბღვერ, თითქოს შენი მოსისხლე მტერი ვყოფილიყო (აკაკი 405); სამი დიდი ხელმწიფის მონიშებულ წყალობას ისე მართმევს და მხდის, თითქო მაგისი შეკერილი ჩოხანაბადი იყოს (აკაკი 405); ნიავი ისე მცემდა, თითქოს უხილავი ხელი ყინულს მისვამდა შუბლზე (ვაჟა 129); კისერი აძაბა, აშიმა ისე, თითქოს ჩამოურჩეიათო... (ვაჟა 200); ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახებდა ისე, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა (ყაზბ. 15); — ტუჩებზედ ისეთი ღიმი შერჩა, თითქო დაიცინებაო (ილია 319,41); ეს ისეთ ჭოჭმანობით და შესვენებით შითხრა, თითქო სიტყვა არ დაათავაო... (ილია 282,19); და ისეთის სახით უყურებდნენ, თითქოს იმათაც ეგრძნოთ მოხევის გულის მოძრაობა (ყაზბ. 6); ისეთის თვალით შეხედა..., თითქოს იქვე გაჭრობას უპირებდა (ყაზბ. 28).

სხვაობითი შედარებისა და იგივეობითი შედარების კავშირებს კორელაცია არ ახასიათებთ.

10. პირობითი კავშირების კორელატები

პირობით კავშირებს კორელატად მოუდის **მაშინ, მაშ(ა)**. ძველ ქართულს იგი საერთოდ არ ახასიათებს. ვადასტურებთ ორიოდე ნიმუშს:

უკუეთუ მოიქცე შენ, ერო, მაშინ შეგრაცხო შენ თავისა ჩემისაო (იპოლიტე კჳ, 5); ვითარმედ ტჳროსს თუმცა დიდონს იქმნნეს ძალნი, მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს (მთ. 11,21).

გავეცნოთ საშუალო ქართულის მაგალითებს. კორელატ-სიტყვამ შეიძლება დაირთოს ნაწილაკები -ვე, -ღა:

თუ მიბრძანოს და მაწუიოს, მაშინ ეგების მიზეზისა შემოღება (ვისრ. 299,34); და თუ ამარტა ღაწუთა და ბაგეთა მოსდვის ვინ, მაშინვე წითლად იაგუნდად შექმნის (ვისრ. 48,7); თუღა ოდეს შე-ღა-გცოდო, მაშინ მომკალ მცა განა (რუსთ. 472,3); ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყო ცნობასა (რუსთ. 886,2); თუცა უბადოსა ვიკადრებ, იდუმალმცა მაშინც გავიხარებდი (ქილილ. 211); თუ აშორვიდე ჩემებრი, მაშინ სულთქმასა მართალ ხარ (არჩ. 433,4).

ახალი ქართულის მაგალითებია;

და თუ სხვებ გამოიჩენ როგორმე თავს ერთგულებით, მაშინ კი შეიძლებაო (აკაკი 411); თუ ამიერიდან არ დავისწავლეთ, მაშინ შეგიძლიან დაგვსაჯო (ვაჟა 198); ...უკეთუ სვიმონ არ დამორჩილდებოდა, მაშინ ემუქრებოდა სარჩო-საბადებელის გადაწვას (ყაზბ. 37); ელგუჯა რომ მკვდარი იყოს, მაშინ იმისი გვარიდან უნდა მომეკლა ვინმე (ყაზბ. 42); თუკი თქვენს უნებურად თქვენი ქალი ასე მოიქცა, დიდია მაშინ თქვენს წინაშე იმის დანაშაული (მაჩაბ. 10,12) [1].

არის შემთხვევები, როდესაც სათანადო კონსტრუქციაში კორელატად გვევლინება მაშ(ა):

და უკუე თუ არა, მაშა სული ჩემი მის წილ მიიღე (ანტიოქ. 118,11); უკუე თუ ნანდვილვე ესე იგინი არიან ნიშებშემოსილი მამანი..., მაშა უეჭველად დიდი რაჲმე ბოროტი მოწევნულ არს ქუეყანასა ჩუენსა.. (ანტიოქ. 93,28); აწ თუ ესე იცი... მაშ შენგან ჩემი წყევა და გინება არა პირიანია (ვისრ. 72,27); თუცა წავიდეთ და ვნახოთ, მაშა მათ წინ დავიხოცნეთო (ამირან. II,128,26); თუმცა შენ დამიჭერ, მზეო ჩემო, მაშა ვეშაპთა ომი ვითარ შემიძლიანო? (ამირან. II, 130,13); თუცა ეგე შენი ნათქვამი ნიშნები სწორია და დასაჯერებელია,... მაშა ქვეყანასა ზედა ანდა მოწამედ და ფიცი, ანდა ბრძენი და მოსამართლენი რადღა სახსრად არს? (ჭილილ. 213); ეს სიტყვა შენთან რომ არ გამოვიდეს, მაშ ვისთან გამოვიდეს მეთქი (იესე ოსეშვ. 97,12); ამა შენთანაც რო არ დაებარებინა-რა, მაშ ვისთან-ღა დამაბარებდა (ყაზბ. 60); თუ ენაც დასაწუნია, მაშ აღარაფერი ყოფილა... (დ. კლდიაშვ. II, 322).

11. გამორიცხვითი კავშირების კორელატები

რეალური გამორიცხვის კავშირებს კორელაცია არ ახასიათებთ,— და ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ სათანადო კონსტრუქციის თავისებურებას: ამგვარი წინადადება ხომ ჰიპოტაქსურ-პარატაქსულია; გამორიცხვითი კავშირის შემცველი წინადადება დაკავშირებულია არა „მთავარ წინადადებასთან", არამედ ეხამება

---

[1] თანამედროვე მწერლობის ნიმუშები საქმაო რაოდენობით დამოწმებულია ნ. ბასილაიას საყურადღებო შრომაში. იხ. სოხუმის პედინსტიტუტის შრომები, VII, 1955.

თანასწორუფლებიან წინადადებას. კორელატი სიტყვა კი, როგორც ვიცით, მთავარი წინადადების შემადგენელი ნაწილია.

კორელაცია დამახასიათებელი უნდა იყოს გამორიცხვითი წინადადების ირეალური სახეობისათვის, რამდენადაც ირეალური გამორიცხვითი წინადადება ქვეწყობის კონსტრუქციისაა.

ირეალური გამორიცხვის კავშირს მთავარ წინადადებაში კორელატად მოუდის **მაინც, მაშინცა — მაშინ(აც),**

> თ უ მ ც ა წლისა ერთისა სავალი იყოს, **მაინცა** ვნახამ მეთქი (ამირან. II, 153,26); რ ა გ ი ნ დ რ ო მ ბერი იყო, **მაინც** თქვენვე სჯობიხართ სხვას (ვახტ. ტგ, ლზ,); გ ი ნ დ მეძინოს, **მაინც** სულში მიზიხარ (გრ. ორბელ. ლექს. 59); რაა გ ი ნ დ მოვკვდე, **მაინც** შენდამი სულს სიყვარული თანა წარჰყვება! (გრ. ორბელ. ლექს. 100); ადრე რ ო მ მონდომებოდა სადილი, **მაინც** არა სჭამდა (აკაკი 402); თ უ ორმოცისა დღისა სავალიც არის, მაშინცა წავალო (ამირან. 136,25); მთელი ქვეყანა მტრად რ ო მ გადამეკიდოს, **მაშინაც** არავის დაგითმობ (ყაზბ. 27); თ უ ნ დ ა რომელისამე მიზეზით ტყვია დასცდენოდა და მახამეთას გაქცევა მოეწადინა, **მაშინ მაინც** ადვილად წინ მოექცეოდა ელგუჯა (ყაზბ. 5).

*

პირობით-შედეგობითი წინადადების კონსტრუქციაში კორელაცია არ გვხვდება, რამდენადაც ეს წინადადება თანწყობა-ქვეწყობის კონსტრუქციულ ნაზავს წარმოადგენს გენეტურად. (იხ. თავი: „ქვეწყობის გენეზისის საკითხისათვის კავშირის ჩვენებათა მიხედვით“).

*

ამრიგად, კორელაციის საკითხის შესწავლამ გამოარკვია შემდეგი:

1. ქართულ სალიტერატურო ენაში კორელაციის სისტემა მტკიცედ ჩამოყალიბებულია, მოყოლებული ძველი პერიოდიდან დღემდის.

2. ყოველ ჰიპოტაქსურ კავშირს მოეპოვება თავისი კორელატი მთავარ წინადადებაში. ამის შესაბამისად გამოიყოფა კორელატები: დროისა (**მყის, მაშინ, მუნითგან...**), შედარებისა (**ეგრე..., ესრე...**), მიზეზისა (**ამისათჳს, ამად, ამიტომ...**), მიზნისა (**ამისთჳს...**), ადგილისა (**მუნ, იქ...**), პირობისა (**მაშინ...**) და სხვ.

3. მიმართებითს ნაცვალსახელს ეფარდება ნაცვალსახელოვანი

კორელატი, ხოლო დანარჩენი ტიპოლოგიის კავშირებს — გარემოებითი კორელატი: დროულობის კავშირებს — დროის გარემოება, სივრცითის კავშირს — ადგილის გარემოება, მიზეზობითის კავშირებს — მიზეზის გარემოება, მიზნითის კავშირს — მიზნის გარემოება, ვითარებით-შედეგობითის კავშირს — ვითარების გარემოება, ვითარებით-შედარებითის კავშირს — ვითარების გარემოება.

4. ერთი და იმავე მასალის კორელატ-სიტყვების გამოყენების თვალსაზრისით გვეუფლებიან: ა) სუბიექტურ-ობიექტურ-განსაზღვრებითი კავშირები (მიმართებითი ნაცვალსახელი), ბ) მიზეზობით-მიზნითი კავშირები, გ) ვითარებით-შედეგობითი და ვითარებით-შედარებითი კავშირები.

5. გარკვეული ტიპის კონსტრუქციებში კორელატი მთავარი წინადადებიდან გადმოინაცვლებს დამოკიდებულ წინადადებაში და იქცევა კავშირის კომპონენტად, კავშირის შემადგენელ ნაწილად გვევლინება. ამ გზით მიღებულია კავშირები:

ასრე (ესრე) რომელ	(ა)მით რომე
ასე რომელ	ამად რომე
ასრე რომე	ამისთვის რომ
ასე რომე	იმიტომ რომ
ასე რომ	ამიტომ რომ
ისე რომ	მაშინ როდესაც
ამის(ა)თჳს რომელ	ისე(ვე) როგორც
(ა)მით რომელ	

გარდამავალი საფეხურია კორელატის მოქცევა მთავარი წინადადების ბოლოს და პოზიციურად დაახლოება დამოკიდებული წინადადების თავში მდგომ კავშირთან. სადიფერენციაციო ნიშნად — ამ პოზიციაში მოცემული სიტყვა კორელატია თუ უკვე შესული კავშირის შემადგენლობაში — უნდა მივიჩნიოთ რიტმო-მელოდიკა: თუ მას დაესმის ფრაზაში ლოგიკური მახვილი, კორელატია, თუ ინტონაციურად ერთ სიბრტყეზე ექცევა კავშირთან ერთად, კავშირის შემადგენელი ნაწილია. წერაში ეს სხვაობა აღიბეჭდება მძიმის დასმა-არდასმით.

6. კორელატების შეხამების თვალსაზრისით კავშირთა ურთიერთშედარება გვეუბნება, რომ მათ შორის თვალსაჩინო სხვაობაა.

თითქმის არ ახასიათებს კორელაცია მიზნით რა(ჲ)თა-ს, მიზეზობით რამეთუ — ვინაჲთგან — რადგან-ს, სამაგიეროდ, ფართოდ ახასიათებს ვითარებით-შედარებით, ვითარებით-შედეგობით, სივრ-

ცით და დროულობის კავშირებს, მიზეზობითთაგან — **რომელ — რომე — რომ** კავშირებს.

ამ მოვლენის ახსნისათვის საფუძველია კორელაციის ისტორიულობა, კორელატების გამომუშავების გზა.

ენის ძველ საფეხურებზე, როცა ქვეწყობა არ იყო მტკიცედ ჩამოყალიბებული, არცაა მოსალოდნელი კორელატ-სიტყვების სიუხვე და ჩამოკვეთილობა. კორელატი თანდათან გზას იკაფავს, თანდათან ყალიბდება რთული სისტემა კორელატური სიტყვებისა, იგი ხდება შემკრავი, შემაჯამებელი საშუალება რთული წინადადების კომპლექსში შემავალი წინადადებებისა, — მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ერთობლიობის ხელის შემწყობი ხერხთაგანია. ამიტომაა, რომ ძველ ქართულში უფრო სუსტადაა განვითარებული ეს სისტემა, ხოლო შემდეგ და შემდეგ ფართო ხასიათს იღებს. აქედან გასაგებია, რომ სულ არ, ანდა ნაკლებად ახასიათებს კორელატები ისეთ კავშირებს, რომლებიც ტიპობრივი კავშირებია რომელიმე კონსტრუქციისათვის. მაგალ., **რა(ჲ)თა** ტიპობრივი მიზნითი კავშირია, **რადგან** ტიპობრივი მიზეზობითი კავშირია; ასევე **ვინაჲთგან — რამეთუ** არ ჩაითვლებიან პოლისემანტურ კავშირებად. ამ შემთხვევაში კავშირები საკმარისია სათანადო დაქვემდებარების გადმოსაცემად. **რა(ჲ)თა**-ს სპეციალურ მნიშვნელობას ემატება წინადადების კონსტრუქციული თავისებურებაც: შემასმენელი მიზნითს წინადადებაში უთუოდ კავშირებითშია... რაც შეეხება ისეთ კავშირებს, რომელნიც პოლისემანტური არიან, ისინი სხვადასხვა ტიპის წინადადებებს აკავშირებენ და ამიტომ მათ სჭირდებათ მტკიცე სადიფერენციაციო საყრდენი კორელატების სახით, კორელატებისა, რომლებიც მიუთითებენ — რა სახის დაქვემდებარებასთან გვაქვს საქმე: თუ **რომელ**-ს ევალება, ერთ შემთხვევაში, კაუზალობის კატეგორიის გადმოცემა, მაშინ მას შეეხამება მთავარ წინადადებაში კაუზალობის აღმნიშვნელი კორელატ-სიტყვა, — თუ მეორე შემთხვევაში მან შედარება უნდა აღნიშნოს, მაშინ მას შეეხამება შედარების გამომხატველი გარემოებითი სიტყვა და ა. შ. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ კორელატი ენის განვითარების შემდგომს ეტაპებზე სწორედ ისეთ კავშირებს მიეტმასნა და ისეთი კავშირების კომპონენტი გახდა, რომლებიც ყველაზე მეტად პოლისემანტური არიან (**ამიტომ რომ, ამად რომელ, ისე რომ...**, ე. ი. **რომელ — რომე — რომ**-ს

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ძველ ქართულში შედარებით უფრო ჩამოყალიბებულია დროისა და ადგილის კორელაცია.

ამ ფაქტის ახახსნელად უნდა მივმართოთ დროისა და სივრცის ცნებათა და კატეგორიათა ისტორიას.

სივრცისა და დროის ცნებები ენაში უძველესი ცნებებია. ამის შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, ქართულშიც დროისა და ადგილის წინადადებები ხნოვანებით უძველესი ფორმაციისაა,— ძველმა სალიტერატურო ქართულმაც მემკვიდრეობით მიიღო შედარებით მზა კონსტრუქციები, რომელთაც მეტი გზა გაიარეს განვითარებისა. ბუნებრივია, ამ შედარებით უფრო განვითარებულ კონსტრუქციებში კორელაცია უფრო მძლავრად იქნება წარმოდგენილი, ვიდრე უფრო ახალი ფორმაციის კონსტრუქციებში. სხვათა შორის, ამ კონსტრუქციების სიძველეზე მიუთითებს, გარდა კორელაციის მომენტისა, ის ფაქტიც, რომ, მაგალ., დროულობის წინადადებას მრავალი კავშირი ახასიათებს ჯერ კიდევ ძველ ქართულში, რაც იმას მოწმობს, რომ სათანადო კონსტრუქცია უფრო განვითარებულია.

თავი მეშვიდე

კავშირისა და შემასმენლის თანამიმართება

ზმნა-შემასმენელი წინადადების სახეობის ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტთაგანია. ისე როგორც კავშირი, შემასმენელიც დამოკიდებული წინადადების მიმართების ფორმების მანიშნებელია. არის გარკვეული კანონზომიერი დამოკიდებულება თვით შემასმენელსა და კავშირს შორის, მაგრამ მას (შემასმენელს) რთული წინადადების კომპლექსში დამოუკიდებელი, თავისთავადი მნიშვნელობაც აქვს, — გარკვეულ შემთხვევებში მისი ფორმების ვარიაციები ერთადერთი და საკმარისი პირობაა წინადადებათა რაგვარობის განსასაზღვრავად. ეს ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, მწკრივების სხვადასხვაობაში. ზმნის გამოვლენა ინდიკატივისა თუ კონიუნქტივის მწკრივებში გარკვეული სადიფერენციაციო მნიშვნელობის მატარებელია.

ცნობილია, რომ ძველი სალიტერატურო ქართულისათვის ნორმაა კავშირებითის გამოყენება მომავლის გადმოსაცემად. მაგალ.: „რომელი პირველად აღმოკდეს თევზი, მოიღე და აღაღე პირი მისი და ჰპოო მას შინა სასწორი“; „...იცვალე ამიერ და მუნ იცვალოს“; „შენ ხარ კლდე და მაგას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი...“; „და ჰრქუა მას იესუ: მე მოვიდე და განვკურნო“.

ავიღოთ მიზნითი წინადადების კონსტრუქცია. ამ კონსტრუქციისათვის კონიუნქტივი ნიშანდობლივი უნდა იყოს, რამდენადაც მიზანი რეალური აქტი არ არის, ვიდრე ის შესრულდებოდეს, — იგი ირეალურია მისი დასახვის მომენტში, საეგებოა მისი შესრულება, რა მტკიცეც არ იყოს ეს მიზანი თავდაპირველად. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ქართულ ენაში კავშირებითი ერთადერთი და აუცილებელი მწკრივია მიზნის გარემოებითს წინადადებაში.

უნდა გავარჩიოთ ორი კონსტრუქცია მიზნითი წინადადებისა:

ერთია „მიზანი მომავალში“, როდესაც გამიზნული აქტი მომავალშია შესასრულებელი. ამ შემთხვევაში ამოსავალია აწმყოს თვალსაზრისი; მეორეა „მიზანი წარსულში“, როდესაც გამიზნული აქტის შესრულება-არშესრულება შესაძლოა ცნობილიც იყოს ამჟამად. ავიღოთ მაგალითი: „ვანო უკანვე ბრუნდება ტყეში, რომ დაკარგული საათი იპოვოს“, ამოსავალია აწმყო — „ბრუნდება“, მიზანი მომავლის აქტია — „იპოვოს“, — შედეგი ცნობილი არაა და არც შეიძლება ცნობილი იყოს მთავარი წინადადების კონსტრუქციის მიხედვით. დავუშვათ, რომ მთავარი წინადადების მიხედვით აქტი შესრულებულია: „ვანო უკანვე გაბრუნდა ტყეში“. დამოკიდებული წინადადება, შესაძლებელია, იგივე დარჩეს: „რომ დაკარგული საათი იპოვოს“ („ვანო უკანვე გაბრუნდა ტყეში, რომ დაკარგული საათი იპოვოს“). გამიზნული მოქმედება მომავალშია შესასრულებელი. გადავაკეთოთ მოცემული წინადადება ამგვარად: „ვანო უკანვე გაბრუნდა ტყეში, რომ დაკარგული საათი ეპოვა“. გამიზნული აქტი აწმყოს თვალსაზრისით შესრულებულია, მოუბარმა შეიძლება იცოდეს შედეგიც: იპოვა თუ ვერ იპოვა ვანომ დაკარგული საათი („ვანო უკანვე გაბრუნდა ტყეში, რომ დაკარგული საათი ეპოვა, მაგრამ ვერ იპოვა“. შდრ.: „ვანო უკანვე გაბრუნდა ტყეში, რომ დაკარგული საათი ეპოვა, და იპოვა კიდევაც“).

ისეთ მიზნით წინადადებაში, რომელშიც მიზანი მომავლის აქტია, კავშირს ეხამება შემასმენლის კონიუნქტიური მწკრივი. როგორც წესი, გამოყენებულია II კავშირებითი. ესაა ნორმა ქართული ენისა:

> ხოლო ერმან შეჰრისხნა მათ, **რაჲთა** დაადუმნეს (ჰაემ.: მათე 20,31); ...გარდამოიღე ეგე ჭეშეყანად, **რაჲთა** ვჰამო აწვე წინაშე შენსა (ასურ. 12,13); ვაფიცებ თქუენ ძალსა ჭრისტჱსსა, **რაჲთა** მაუწყოთ მე... (რავახ. 83, 28); ასული შენი შემრთე, **რომელ** ნაყოფი თესლისაებრ იქმნას ვისრ. 7,6); მოკალ, **რომე** შენი გზა გაიმართოს (პროზ. შაჰნ. 370); მე მოვსულვარ იმისათვის, **რომ** შენთვის ჩემი თავი დავდო (ილია 302,7); მისთვის არ გვეღრით, **რომ** მოვუპოვო საზრდოება ჩემთა გულისთქმათ... (მაჩაბ. 25, 16); დაუყვირე მაინც, **რომ** ხმა ამოიღოს (ვაჟა 6).

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს სათანადო კონსტრუქციაში I კავშირებითი:

> უფალო, აცხოვნე სული ჩემი, **რათა** გაქებდე შენ (ბოლნ. 28,13); აწ გეევედრებით, მეოხებითა მათითა მოგუმადლე

მშვიდობაჲ და წყალობაჲ შენ მიერი, **რაჲთა** მარადის უგალობდეთ სახელსა შენსა (სას. პოეზია რომ, 40); ...მასწავე სიტყუაჲ სიბრძნისაჲ უღირსსა ამას, **რაჲთა** ღირსად შევამკობდე დღესასწაულსა ამას... (იქვე, სვ, 59).

როგორია საქმის ვითარება ახლა კონსტრუქციაში, რომელიც გადმოსცემს მიზანს წარსულში?

ძველი სალიტერატურო ქართული ამ შემთხვევაში მიჰმართავს -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციას: კავშირს დაერთვის -მცა ნაწილაკი და ამის შესაბამისად შემასმენელი უთუოდ ინდიკატივში ივარაუდება. ამგვარად, კონიუნქტივის შინაარსი გამოხატულია არა ზმნის შესაბამისი მწკრივით, არამედ თვით კავშირი იძლევა სათანადო გაგებას ნაწილაკის გამოყენებით:

...და იყენებდეს მას, **რაჲთამცა** არა წარვიდა მათგან (ჰაემ.: ლუკა 4,42); ...ეძიებდეს ცრუ მოწამეთა იესუჲსთჳს, **რაჲთამცა** მოკლეს იგი (მათე 26,59); ...მაშინ უშენა საკურთხეველი დავით უფალსა, **რაჲთამცა** დააცხრო რისხვაჲ იგი (ჭ. -ეტრ. 239,5); ...აღიღეს ტჳრთი მათი, **რაჲთამცა** წარვიდეს (კიმ. 310,1); და კუალად მძლავრებით დაიპყრა ანჩისა საყდარი, **რაჲთამცა** შურა იგო მამისა გრიგოლის ზედა (ხანძთ. ჲწ, ჲთ, 44); მაშინ იწყო ნუგეშინის ცემად მათა, **რაჲთამცა** დააცხრო მცირედ სიმძაფრე იგი მწუხარებისა მათისაჲ (წარტყუენ, კზ. 13).

საშუალო ქართულში თანდათან გზას იკაფავს II თურმეობითი დამოკიდებულ წინადადებაში. ამგვარად, კავშირი+II თურმეობითი გამოხატავს მიზნითობას წარსულში, — ყალიბდება ახალი კონსტრუქცია:

ამა სიტყჳსა ზედა არაბთა მეფისა ძემან ცხენი გამოიგზდო, **რომე** სიძედ მოჳყვანა (ამირან. 118,30); ...და ამისთჳს გეხვეწებოდიო, **რომე** სიჩქარით ცეცხლში არ ჩასჭრილიყავ (რუსუდ. 747,8); მას ქალაქსა გამოგზავნა, **რომ** საეკლედ გასრულიყო (შაჰნ. 3129,4); მალვით დიდი კლდე მოგლიჯეს და დაუგორვეს,**რომე** იმით მოეკლა (პროზ. შაჰნ. 389); ხელმწიფის თვალთა წინაშე მე მის ნაკლებად არ მიჩნეულ ვარ, **რომე** ხელმწიფის წყალობა შემშურევებოდა (ქილილ. 195); ვეღარ გარიგდენ, **რომე** სწორეთ გაეყოთ (ქილილ. 203); ნადირ შაჰს ტუსაღივით გაეხარდა, **რომ** ბორჩალოს ხანობა ებოძებინა... (იესე ოსეშვ. 12).

ახალ სალიტერატურო ქართულში აბსოლუტურ ნორმად იქცა

სათანადო კონსტრუქციაში II თურმეობითის შეხამება მიზნის კავშირთან:

> ვე წავედი მისთვის, **რომ** მთები გამეშინჯა (ორბელ. წერილ.); მეორე დილას მღვდელი ვიკითხე, **რომ** ის უპატრონო კაცი მეზიარებინა... (ილია); პირობა შევკარით, **რომ** მოგვეკლა (აკაკი); უყარაულა ტყიანს მაღლობებზე, **რომ** სადმე გაეგონა ირმის ყვირილი (ვაჟა): ხეები ასულიყვნენ გორის თავამდის და იქ გაჩერებულიყვნენ, **რომ** კაცის თვალისთვის საედემო წალკოტი არ დაეფარათ (ყაზბ.); თვალ-გაუუჭუნებული გოგოები „საგულოს“ დაეძებდნენ, **რომ** კეკლუცის გაღიმებით მოეხიბლათ (ყაზბ.); ონისემ სიტყვა მისცა თავის თავს, **რომ** ქალისკენ არ მიეხედნა (ყაზბ.); იაგო წაიყვანეს ისე შეკრული, **რათა** შეეგდოთ იმ ოთახში... (ყაზბ.); ...და გაიშვირა წინ ხელები, **რომ** დედა ჩემი აქეთ გამოეგდო (ლომოური).

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება კონსტრუქციულად იყოფა ორ კატეგორიად: ერთი მხრით, გამოიყოფა ისეთი მიზნითი წინადადება, რომელიც გამოხატავს „მიზანს მომავალში“, ხოლო, მეორე მხრით, ექცევა ისეთი მიზნითი წინადადება, რომელიც გამოხატავს „მიზანს წარსულში“. პირველი სახეობის კონსტრუქციული ნიშანია: კავშირი + კონიუნქტივი (II); მეორე სახეობის კი: ა) კავშირი + მცა ნაწილაკი + ინდიკატივი (ძვ. ქართ.), ბ) კავშირი + II თურმეობითი (საშ. და ახ. ქართ.).

ვიდრე გავარკვევდეთ ამ კონსტრუქციის ისტორიულ განვითარებას, საჭიროა გავეცნოთ პირობითი წინადადების კონსტრუქციულ თავისებურებას, — პირობითი წინადადებისა, რომელიც ორგანულად დაკავშირებულია მიზნითი წინადადების აღნაგობასთან.

ისევე როგორც მიზნითი წინადადება გადაჯაჭვულია დროულობის კატეგორიასთან, პირობითი წინადადებაც გარკვეულ მიმართებაში იმყოფება მასთან.

ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს პირობითი წინადადების კონსტრუქცია, რომელიც დაკავშირებულია, ერთი მხრით, მომავალთან და, მეორე მხრით, ისეთი კონსტრუქცია, რომელიც წარსულის მიმართებათა გამომხატველია. პირველის ნიმუშია: „თუ წერილს მომწერ, მეც გიპასუხებ“, მეორისა: „წერილი **რომ** მოგეწერა, მეც გიპასუხებდი“. ეს მეორე ტიპის წინადადება მწკრივების მიხედვით შემდეგ ჩვენებას იძლევა: დამოკიდებული წინადადების შემასმენელი (მოგეწერა) პირობითია, ხოლო მთავარ წინადა-

დებაში მოცემულია შედეგობითი (გიპასუხებდი), თანასმად ა. შანიძის კვალიფიკაციისა[1]. აღსანიშნავია, რომ პირობითსა და შედეგობითს საკუთარი მწკრივის ფორმა არა აქვთ. პირობითისთვის თანამედროვე ქართული II თურმეობითს იყენებს, შედეგობითისთვის — I ხოლმეობითს.

პირობითი წინადადების ორსავე რიგს შეეფერება ზმნის კონიუნქტიური მწკრივი. რამდენადაც სათანადო მოქმედება ირეალური შინაარსისაა.

ძველ და სამუალო სალიტერატურო ქართულში მომავლის პირობითობის გადმოსაცემად გამოყენებულია II კავშირებითი:

> უკუეთუ უფალსა ჩემსა ენებოს ტაძარი..., გამოჩნდეს... (არიმათ. 91,2); უკუეთუ მოიქცე შენ, ერო, მაშინ შეგრაცხო შენ თავისა ჩემისაო (იპოლიტე, კზ. 5); უკუეთუ შენ აღაშჱნო ეგუტერი, ყოველთა ძმათა აღაშჱნონ (ხანძთ. ოდ, ოდ, 3); თუ მიბრძანოს და მაწვიოს, მაშინ ეგების მიზეზისა შემოღება (ვისრ. 299,34); მტერმა თუცა რჩევა გკითხოს, სწავლის რიგი ხელით არ დაადგო (ქილილ. 108); თუ ესე სიზმარი თქვენ გიამბო, ...გარდასწყვეტთ (პროზ. შაჰნ. 377).

ამ კონსტრუქციაში ძველი ქართულიდანვე იწყება II კავშირებითის შეცვლა ინდიკატიური ფორმით — მყოფადით.

ა. შანიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ ძველი ქართულის ძეგლებში კანტიკუნტად მოიპოვება ახალი სისტემის ნიმუშები. მაგალ., მათესა და მარკოზის თავებში ვკითხულობთ: „წერილ არს: დ'ავსცე მწყემსი, და განიბნინენ ცხოვარნი“ (მათე 26,31; მარკოზ 14,27). ასეა ზოგ რედაქციაში. ზოგში კი იკითხება: „დავსცემ მწყემსსა და განიბნინენ ცხოვარნი“ (ტბეთურში ორგანვე, ჯრუჭისა და პარხალისაში — მარკოზთან). ა. შანიძე აღნიშნავს, რომ არავითარი ეჭვი არ არის, აქ მომავლის მნიშვნელობით არის ნახმარი როგორც „დავსცე“, ისე „დავსცემ“ ფორმა. ბერძნულში შესაბამის ადგილას მყოფადია: *πατάξω τὸν ποιμένα*, ასევეა სომხურშიც: *հարից զհովիւն*. ავტორი დაასკვნის: ეჭვი არ არის არც იმაში, რომ ერთ შემთხვევაში მომავლის ფორმა ძველი სისტემით არის გამოხატული („დავსცე მწყემსი“ — II სერია, II კავშ.), მეორე შემთხვევაში კი — ახალი

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, § 257 ა, 1953.

სისტემით („დავსცემ მწყემსსა“ — I სერია, მყოფადი). XI საუკუნიდან რიცხვი ახალი სისტემით ნაწარმოები ფორმებისა თანდათან მატულობს.

„ვეფხისტყაოსანში“ ეკითხულობთ: „თუ მიჩვენებ, ვნახავ“; „თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები“; „ვისრამიანიდან“: „მე თუ ამა შეპირვებასა შიგან მყოფი მოვკუდები, ჩემის გულისა კუამლი ქუეყანასა დააბნელებს და ცას დაამჭუარტლებს“. მეტ მაგალითს გვაწვდის აღორძინების ხანის ენა. მაგალ.: „ლეკვსა, თუ გავზრდი, ნადირსა მოეტევისა“ (შაჰნ. 3126,3); „თუ ავცნობობას შევუტყობ, თავს მოვჰკვეთ“ (შაჰნ. 3117,2); „თუ შეამოწმებენ, კიდეც დამოყვრდებიან“ (სიბრ.-სიცრ. 49,1).

ახალ სალიტერატურო ენაში მომავლის გადმოსაცემად კავშირს ეხამება: ა) მყოფადი, ბ) წყვეტილი, გ) კავშირებითი. ესენი ფაკულტატიური კონსტრუქციებია.

ა

. თუ გაბრუშკას არ გამატანთ, მე ქალაქში წამსვლელი არა ვარ (ილია 270,4); თუ მოგიტანს, აუდგები ფეხზედ (ილია 280,4); თუ სხვას ვეღარას მოვიგდებთ გარეთ, ძაღლები მაინც მოვიტაცოთ (ვაჟა 8); შვილებს აღარც კი მოვიგონებ, თუ სარდიონს დაღონებულსა ვნახავ (ვაჟა 29); რად მინდა ბასრი კლანჭები და გაფხაეებული ნისკარტი, თუ მაგისთანა ვერაგებს ვერ მოვაჭკვიანებ (ვაჟა 95).

ბ

თუ მოვიწადინე, ათასს და ათი-ათასს არ ვიშოვი? (ვაჟა 86); ...და თუ მოგეწონათ, ჩაწერეთ და თეორია იქნებაო (აკაკი 407); თუ თავი გაუყადრებობოს, პირს შეგაჩვევს (აკაკი 399).

წყვეტილის მწკრივი კავშირს ეხამება უფრო ადრეული პერიოდიდანაც. მაგალითები:

ივლისსა და აგვისტოში თუ იმ წყალში დაიძინა კაცმა, აწყენს (საბა, მოგზ. 16); თუცა ერთმანერთში შუღლი მოხდა, ხვაშიადი გამეღავნდების (სიბრ.-სიცრ.).

გ

ხუთი კაცი რომ ჩამოიყვანოს, ისიც ღიდი ამბავია (ორბელ. წერილ. 15,164); რომ მოვკვდე. რა კინანოს?

(ორბელ. 65); **რომ გითხრათ...** არ დაიჯერებთ (ილია 280,7); **რომ მოშორდეთ**, კარგი იქნება (მაჩაბ. 13,9).

კავშირსა და ზმნას შორის მყარდება გარკვეული კანონზომიერება: კონიუნქტივი ეხამება **რომ** მასალის კავშირს, **თუ**-ს იგი არ იგუებს. ე. ი. თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმაა: „**რომ ვითხრათ**, არ დაიჯერებთ“ და არა „**თუ გითხრათ**, არ დაიჯერებთ“. ამგვარად: **რომ+კავშირებითი=პირობითი წინადადება.** სამაგიეროდ, მყოფადი და წყვეტილი ეხამება **თუ**-ს და არა **რომ**-ს. ამგვარად: **თუ+მყოფადი=პირობითი წინად., თუ+წყვეტილი = პირობითი წინადადება.** ადგილი შევცვალოთ, **თუ**-ს ნაცვლად **რომ** ვიხმაროთ, — წინადადების ხასიათი შეიცვლება: დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მივიღებთ. მართლაც, „**თუ წერილს მომწერ, მეც გიპასუხებ**“ — პირობითი წინადადების კონსტრუქციაა; თუ-ს ადგილას ჩავსვათ **რომ**: „**რომ წერილს მომწერ** (var. წერილს **რომ** მომწერ), მეც გიპასუხებ“ — ვღებულობთ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქციას. ამრიგად, შეუძლებელია ფორმულა: **რომ+მყოფადი = პირობ. წინად.** ასევე იცვლება კონსტრუქციის ხასიათი, თუ წყვეტილს შევუხამებთ **რომ**-ს: **რომ+წყვეტილი=დრ. წინად.** ამგვარად შეუძლებელია ფორმულა: **რომ+წყვეტილი=პირობ. წინად.**

ზმნის რომელ ფორმას ეგუება **რომ** მასალის კავშირი? მხოლოდ და მხოლოდ კონიუნქტიურს: „**რომ მომწერდე** წერილს (var. წერილს **რომ მომწერდე**), მეც გიპასუხებდი“, ამრიგად, ვღებულობთ ფორმულას: **რომ+კავშირებითი=პირობ. წინად.**

დავაჯგუფოთ ყველა ფორმულა:

თუ + მყოფადი = პირობ. წინად.
თუ+წყვეტილი=პირობ. წინად.
რომ+კავშირებითი=პირობ. წინად.

ჩვენ განვიხილეთ პირობითი წინადადება მომავალთან მიმართებაში.

როგორია კავშირისა და შემასმენლის მიმართება ისეთ კონსტრუქციაში, რომელიც გადმოგვცემს პირობითობას წარსულში?

მსგავსად მიზნითი წინადადების კონსტრუქციისა, ძველი ქართულისათვის (და, აგრეთვე, საშუალო ქართულის ადრინდელი ძეგლებისათვის) დამახასიათებელია -**მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქცია; კავშირს ერთვის -**მცა** ნაწილაკი, შემასმენელი გვევლინება თხრობითი კილოს ფორმით:

უკუეთუმცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა. არამცა ვიყვენით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთა-სა (მათე 23,30:DE. შდრ. ვიყვენით თუმცა ჩუენ დღეთა მათ მამათა ჩუენთასა...: C).

საშუალო ქართულის მოგვიანო ძეგლებში კავშირს ეხამება II თურმეობითი, — ამრიგად, ყალიბდება სხვა კონსტრუქცია:

თუ ისე გრძნებით სავსე არ ყოფილიყო, მისი სიკუდი-ლი დიდი მუღაბანა იყო (რუსუდ. 79Ე, 11); თუცა.. მას სიკუ-დილი არ მოეწადა, თვის ტკბილსა სულსა არ გააქარებ-დაო (ქილილ. 101); თუ არ შეეტყო მას ჯობნა, არას მოგცემდა ნებითა (შაჰნ. 3023,4); მაგრამ თუ ნადირ შას ჯა-რი მოსულიყო, წავკდებოდით (იესე ოსეშვ. 14).

ახალი სალიტერატურო ენისათვის ნორმაა სათანადო კონსტ-რუქციაში II თურმეობითი, ოღონდ იგი ეხამება არა თუ-ს, არამედ რომ-ს. ფორმულა: **რომ + II თურმ. = პირობ. წინად.**.

ზემომოყვანილი მაგალითები ასე გადაკეთდება:

რომ ისე გრძნებით არ ყოფილიყო...; რომ შენ ესეთი საქმე გენახა,...; რომ ნადირ შას ჯარი მოსულიყო... დავიმოწმოთ მაგალითები:

შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვის..., ნა-ხევარი უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა (ილია 257,11); ისე ატაცებულსავით დიდხანს იქნებოდა, რომ მღვდლის სიტყვებს არ გამოეფხიზლებინათ (ილია 276,38); ჩემი შესაფერი ხელსაწყო რომ მქონოდა, უვე-ლაფერს მოვახერხებდი (აკაკი 387); რომ გენახა, თვალს ვერ მოაშორებდი (ვაჟა 128); ...დიდს ცოდვას იზამდა, რომ მოეკლა (ვაჟა 137); შენ რომ ყოფილიყავი ჩემს ალაგას, ხმას ვერ ამოიღებდი (ვაჟა 6); მარტო რომ ყოფი-ლიყო, ბევრს ფიქრს არ გამოუდგებოდა (ყაზბ. 15).

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის ზოგიერთ მწე-რალთან იშვიათად სათანადო კონსტრუქციაში თავს იჩენს თუ კავ-შირი, რომ-ის ნაცვლად, რაც არქაიზმია, ფორმულა: **თუ + II თურმ. = პირობ. წინად.**

მაგალითები:

თუ ყოველს მეცნიერება ესწავლა,... ნახევარი ქართლი მეცნიერი იქნებოდა (ქალმას. 61,19); შენ როგორ დაეწეოდი, თუ უცაბედად ხიმეში არ გაკვეხებულიყო (აკაკი 424); გამოგდებული, თუ კარგი ყოფილიყო, ისევ სამსა-ხურში იქნებოდა (აკაკი 442); იმათ, თუ გარემოებას ხელი

არ შ ე ე შ ა ლ ა მათთვის, თვისი საკუთარი რაფაელები და მიქელ-ანჯელოები ეყოლებოდათ (აკაკი 446); ... და თუ შეორე რუსს არ დაეჭირა, ღორღებში გადავარდებოდა (ყაზბ. 28); თუ ის ყმაწვილი ბიჭი დროზე არ შემოს უ ლ ი ყო, უთუოდ მომკლავდა (ყაზბ. 8); ...ჩემს ცხოვრებას... არ შევხუთავდი..., თუ დეზდემონას ტრფობა მკერდქვეშ არ ჩამსახვოდა (მაჩაბ. 13,2).

თანამედროვე ქართული ენის ნორმის თანახმად, უნდა ყოფილიყო:

რომ ყოველს მეცნიერს ესწავლა,...; რომ უცაბედად ხიმეში არ გაკვეხებულიყო; რომ ის ყმაწვილი ბიჭი დროზე არ შემოსულიყო...; ...რომ დეზდემონას ტრფობა მკერდქვეშ არ ჩამსახვოდა და ა. შ.

როგორც გამოირკვა, მიზან-პირობას მომავალში შეესაბამება შემასმენლის კონიუნქტიური მწკრივი, ხოლო იმავე კატეგორიას წარსულში ინდიკატიური მწკრივი ეხამება; კონიუნქტივის შინაარსი გამოხატულია ძველ ქართულში კავშირს დართული -მცა ნაწილაკით.

ოთხთავის ტექსტების შედარებიდან ჩანს, რომ შესატყვის ადგილებში ბერძნულსა და სომხურში სწორედ კონიუნქტივია მოცემული:

მრკ. 3,12; „და ფრიად შეჰრისხნის მათ, რაჲთამცა არა გამოაცხადეს იგი“;

ბერძნ. καὶ πολλὰ ἐπετίμα αὐτοῖς ἵνα μὴ φανερὸν ποιήσωσι

სომხ.: *եւ նա յոյժ սաստէր նոցա զի մի յայտնի առնիցեն զնա.*

მრკ. 9,22; „და მრავალ გზის ცეცხლსა შთააგდო ეგე და წყალსა, რაჲთამცა წარწყმიდა ეგე“;

ბერძნ. καὶ πολλάκις αὐτὸν, καὶ εἰς πῦρ ἔβαλε καὶ εἰς ὕδατα, ἵνα ἀπολέσῃ αὐτόν.

სომხ.: *բազում անգամ ի հուր արկանէ եւ ի ջուր զի կորուսցէ զդա*

მთ. 18,14: „ეგრეევე არა ნება არს მამისა ჩემისა ზეცათაჲსა, რაჲთამცა წარწყმიდა ერთი კნინაკთა ამათგანი“;

სომხ.: *Այսպէս ոչ են կամք առաջին Հօր վմոյ որ յերկինս է, եթէ կորցէ մի ի փոքրկանցս յայսցանէ.*

ლ. 4,42; „და იყენებდეს მას, რაჲთამცა არ წარვიდა მათგან“;

სომხ.: *եւ արելոին զնա, զի մի գնասցէ ի նոցանէ*

მიზან-პირობა მომავალში, როგორც ვნახეთ, გამოხატულია ქართულში II კავშირებითის მწკრივით. ამავე კონსტრუქციაში, როცა იგი წარსულის მწკრივებთანაა დაკავშირებული, ჩვენ მოველოდით აგრეთვე კავშირებითს, ოღონდ III კავშირებითს, რომელიც II კავშირებითის ნამყოა და III სერიას განეკუთვნება. ისტორიულ ქართულში კი ამ ადგილას II თურმეობითია გაბატონებული.

შეიძლება დავუშვათ, რომ სათანადო კონსტრუქცია უძველეს ქართულში გამოიყენებდა მისთვის შესაფერის მწკრივს — III კავშირებითს. შემდეგ მომხდარა გარდატეხა ენაში: III კავშირებითს II თურმეობითი შენაცვლებია. პრინციპულად აქ უჩვეულო არა არის რა: ენებში დადასტურებულია საზოგადო ტენდენცია — კონიუნქტივის თანდათანობითი კვდომა და ინდიკატიური ფორმებით შენაცვლება[1], და ქართული ენის ზემოხსენებული მოვლენაც შეიძლებოდა ამ პროცესის კერძოობით გამოხატულებად მიგვეჩნია.

არ შეიძლება ითქვას, თითქოს III კავშირებითი პირობითი წინადადების კონსტრუქციაში არ გვხვდებოდეს ქართულ სალიტერატურო ენაში. საამისო მაგალითებს გვაწვდიან საშუალო ქართული და ახალი ქართული. მაგალ., „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ:

> კვლაცა ვჰკადრე: მე თუ, მზეო, შენთვის ფიცი გამეტეხოს, ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთვის გაამეხოს! (532,1).

საბუთების ენაში არაიშვიათია ასეთი კონსტრუქციები:

> საკანონო თუ რამ იყოს, რაც ზევით დაგვეწეროს, ის გამოართვით (საისტ. მოამბე, II, 15,25); თუ ღვდელს დაეშავებინოს და არ ეზიარებინოს, ხარი ერთი! იქვე 17,31).

ვახტანგ VI-ის ..ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში გვხვდება ასეთი ადგილები:

> თუ საბოზრად დაეწეროს ეს წიგნი, რატომ ზეით იმ გვარად ამბობს და აქ ამას ასე ურიგოთ იხსენებს (ტმზ, ჩპა); თუ ქალის მიჯნურობისათვის ეთქვას, ქალის მიჯნურობასა და სიძვაში რა დიდი მზღვარი ძეს (სჟბ, თ); თუ ქალის მიჯნურობაზედ ეთქვას, ხანიერად რომ იმიჯნურონ, ქალი დაბერდება და კაცი (სჟგ, ი).

ამავე რიგისაა ახალი სალიტერატურო ენის ფაქტებიც:

---

[1] იხ. მაგალითად, Э. Иогансен-Гегель и Л. Зиндер, Конъюнктив (Вопросы немецкой грамматики в историческом освещении): Сборник статей под редакцией проф. В. М. Жирмунского, 1935.

...ჩემს ვინაობას არ გეტყოდი, **თუ** ჩემი აღსასრული არ მოახლოებულიყოს (ილია 268,18); ...**თუ** მისი წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია (ილია, „მგზავრის წერილ.“); მაშ სიკვდილს **რომ** გადარჩენილიყოს, რას უზამ? (ყაზბ. 41.).

ამგვარად, ვღებულობთ ფორმულას:

თუ||რომ + III კავშირებითი = პირობ. წინად.

III კავშირებითი გამოყენებულია ახალ სალიტერატურო ენაში სხვა კონსტრუქციებშიც. აღსანიშნავია, რომ იგი იხმარება ყველა იმ შემთხვევაში, სადაც შეიძლება ვიხმაროთ II თურმეობითი. ეს ფაქტი კი საყურადღებოა III კავშირებითისა და II თურმეობითის ურთიერთობის გამოსარკვევად სალიტერატურო ენის განვითარების ძველ საფეხურებზე.

III კავშირებითი ახალ სალიტერატურო ენაში იხმარება შემდეგს კონსტრუქციებში:

ა) მთავარი წინადადება უარყოფითია (**არ—ვერ** ნაწილაკების გამოყენებით), დამოკიდებული წინადადება გამოხატავს მოქმედებას წარსულში და მთლიანად პირობითია შინაარსობლივად, მაგალ., „არ მახსოვს, **რომ** ვინმეს ეთქვას“, ეს უდრის: „**თუ** ვინმეს ეთქვა (|| ეთქვას), არ მახსოვს“; სტრუქტურულად აქ დამოკიდებული წინადადება დამატებითია, — მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის გახაზვა, რომ სათანადო კონსტრუქციას ერთგვარი სიახლოვე აქვს პირობითი წინადადების კონსტრუქციასთან.

გავეცნოთ ნიმუშებს:

არ გვყოლია ასპირანტი, **რომ** (|| **რომელსაც**) დისერტაცია არ დაეწეროს; ჩვენ არ ვიცნობთ ისეთ ავტორს, **რომ** (**რომელსაც**) შეესწავლოს ეს საკითხი; შეიძლება არც მოიძებნებოდეს მსოფლიოში მეორე ისეთი **მხარე**, **რომელსაც** იმდენი შემოსევა-დაპყრობა... განეცადოს, რამდენიც საქართველომ; არ არის კაცი, რომელსაც დაეწეროს წერილი; თითქმის არ დარჩენილა არავინ, **რომ** (|| **რომელსაც**) მონაწილეობა არ მიეღოს კამათში; არ დაუწერია არც ერთი სტრიქონი, **რომ** (**რომელსაც**) შეურაცხმყოფელი მნიშვნელობა ჰქონებოდეს მისთვის; არ ყოფილა სტუმარი, მე **რომ** (|| **რომლისთვისაც**) პატივი არ მეცეს.

აქ ჩვენ ფორმალურად გვაქვს განსაზღვრებითი წინადადებები, — სემანტიკურად ისინი პირობითობის გაგებას იძლევიან.

მასალებიდან ძე თითქმის არა დაძიტოვებია რა, რომ ტექსტში ან შენიშვნებში არ შემეტანოს ან არ აღმენიშნოს; მაგალითი არა ყოფილა, რომ ეს ავაზაკი პირდაპირ დახვედრილიყოს იარაღიანს მოპირდაპირეს; არა ყოფილა შემთხვევა, რომ გაკვეთილი დამესწავლოს.

ბ) მთავარი წინადადების შემასმენელი საეგებიო, არარეალურ გაგებას იძლევა, — დამოკიდებული წინადადების შემასმენელი III კავშირებითის მწკრივითაა მოცემული. კავშირად გამოყენებულია: **რომ || თითქოს || ვითომც.**

არ გაგიგონია, რომ ძველად ვინმე გაფრენილიყოს? ასე გავიგონეთ, რომ იბრეიმ-ხანს ალინალი ომარხანთან გამოეგზავნოს და დაეპატიმრებინოს; ... ისე ჰგონია, თითქოს „სკამი" საქართველოში... XIII—XIV სს. შემოსულიყოს; ამბობენ, თითქოს რომელიღაც ქართველს პარიზის გაზეთში დაებეჭდოს განმარტება საოცარი დეპეშისა; საეჭვოა, ვითომც ბარათაშვილს თავისი თარგმანი შეეტანოს პირველ ნომერში.

აი ერთი მაგალითი აკაკი წერეთლის ენიდან:

გამიგონია, ვითომც ლერწამი ობლის საფლავზე ამოსულიყოს და თავის ქნევით დამუქრებული მაღლა ზეცისკენის წასულიყოს, რომ მიეტანოს იქ ჩვენი ქვეყნის მწარე ამბავი და საჩივარი, მაგრამ იმავ დროს ეშმაკის სული დასტაკებოდეს გრიგალი ქარი, გადაეღუნოს, გადმოეღუნოს.

რომ — თითქოს — ვითომც პარალელური ფორმებია ამ კონსტრუქციაში. შდრ.:

არ გაგიგონია, **რომ || თითქოს || ვითომც** ძველად ვინმე გაფრენილიყოს? საეჭვოა, **რომ || თითქოს || ვითომც** ბარათაშვილს თავისი თარგმანი შეეტანოს პირველ ნომერში.

გ) პოტენციალისის თუ ოპტატივის გამომხატველ სიტყვებს ეხამება III კავშირებითი; დაკავშირება ასინდეტურია:

ამ კომენტარებიდან ჩანს, რომ მას უნდა დაეწეროს სოლომონის „იგავთა" განმარტება: ...ასურული ფორმებია, რომელთაც სომხეთზე უნდა გამოევლოს...; შეიძლება სხვაც ეთარგმნოს მას; შეიძლება ქვაც კი დაეშინოს; გისურვებ, (რომ) კარგი ძ'ი ვაჟე-

ტარებინოს; გისურვებ, (რომ) კარგად ყოფილიყო.

ანალოგიურ შემთხვევებში III კავშირებითი დასტურდება საშუალო ქართულშიც. აი ზოგიერთი მაგალითი:

ჩემის შობის დღით აქომამდე არ ვეპოვ, ჩემგან მუხთლობა ქმნილიყოს, ან რასაც კაცზედ მე ავი რამე მექმნას (ქილილ. 153); ...ერთგულობაა არ მომიკლია, ერთსა რომელსამე ზედა მართებულის ნაკლებობა არ მექმნას და სიკეთე და რიგი გარდამეტებით მის ადგილს მომეყვანოს (ქილილ. 131); რად გგონია ესე, რომე ომაინისებრი ჭაბუკი ქვეყანასა ზედან დაბადებულიყოს? (ომაინ. 78, 8).

ასეთია III კავშირებითის ხმარების ძირითადი კონტექსტები ახალ სალიტერატურო ენაში. ხაზგასასმელია, რომ ამ კონსტრუქციებში III კავშირებითი არაა ერთადერთი მწკრივი: მის ადგილას რომ II თურმეობითი ჩავსვათ, ეს იქნება სრულიად ნორმალური კონსტრუქცია თანამედროვე მეტყველების თვალსაზრისით. მართლაც, ფაკულტატიური ფორმებია:

არ გვყოლია ასპირანტი, რომ დისერტაცია არ დაეწეროს || არ გვყოლია ასპირანტი, რომ დისერტაცია არ დაეწერა; გამიგონია, ვითომც ლერწამი ობლის საფლავზე ამოსულიყოს || გამიგონია, ვითომც ლერწამი ობლის საფლავზე ამოსულიყო და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში გაცილებით მეტი ხვედრითი წონა აქვს სათანადო კონსტრუქციებში II თურმეობითის შემცველ ფორმებს, — იგი თითქმის გაბატონებულია. განვითარების თვალსაზრისით საყურადღებო ფაქტია, რომ რთული წინადადების კომპლექსში ინდიკატიური ფორმა resp. II თურმეობითი ფუნქციურად ასრულებს კონიუნქტიური ფორმის resp. III კავშირებითის მოვალეობას. ამას მკაფიოდ ასახავს შემასმენლის მიმართება გარკვეული მასალის კავშირთანაც. ჩვენ ზემოთ დავადგინეთ ფორმულები: **თუ + მყოფადი = პირობ. წინად.**, ე. ი. თუ-მასალის კავშირი ეხამება (ახალ სალიტერატურო ქართულში) ინდიკატიურ ფორმებს, რომ მასალისა კი — კონიუნქტიურს (მომავლის მნიშვნელობით). მაგრამ იგივე რომ ეხამება II თურმეობითს და ეს იმას ნიშნავს, რომ II თურმეობითს კონიუნქტიური სემანტიკა აქვს შეძენილი, სხვაგვარად რომ მასალის კავშირს იგი ვერ დაუკავშირდებოდა.

სხვანაირად რომ ვთქვათ:

თუ + ინდიკატივი = პირობ. წინად., რომ + კონიუნქტივი = პი-

რომ. წინად., შეუძლებელია ფორმულა: **რომ + ინდიკატივი = პირობ. წინად.**, მაგრამ **რომ + II თურმეობითი = პირობ. წინად.**, მაშასადამე: **II თურმ. = კონიუნქტ.** resp. **III კავშ.**

ასეთი გარდატეხა ენაში უნდა მომხდარიყო ძალიან ადრე. ყოველ შემთხვევაში, ძველ სალიტერატურო ქართულ ენას III კავშ. უნდა დაეკარგა რთული წინადადების ფარგლებში და სათანადო გაგება კონიუნქტიობისა დაჰკისრებოდა ენაში არსებულ **-მცა** ნაწილაკს, რომელიც დართვია კავშირს და ზმნა-შემასმენელი თხრობითად გადაუქეთებია. ეს **-მცა** ნაწილაკის ნიშანდობლივი სინტაქსური თვისებაა. დიალექტურად III კავშირებითი უეჭველად არსებობდა და როდესაც თანდათანობით წაიშალა **-მცა** ნაწილაკის ფუნქცია, შეიზღუდა და გადავარდნის გზას დაადგა, სალიტერატურო ენამ მიჰმართა II თურმეობითს, რომელიც თანდათან გზას იკაფავს ენაში საშუალო ქართულის სინამდვილეში, — მიჰმართა II თურმეობითს, რომელიც მორფოლოგიური წარმოებით ძალიან ახლოს დგას III კავშირებითთან. მაგრამ კილოების გავლენას საშუალო ქართული ვერ ასცდა და III კავშირებითი პარალელურად გამოიყენა II თურმეობითის გვერდით. ეს ჰიდიალი ორ სისტემას შორის, როგორც დავინახეთ, ჩვენ დრომდე გრძელდება.

რომ III კავშირებითი ორგანული ფორმაა ქართული ენისა რთული წინადადების კომპლექსში, ეს ნათლად ჩანს თანამედროვე ცოცხალი მეტყველებიდან, კილოებიდან, რომელთა მონაცემებს გვერდს ვერ ავუვლით ქართული ენის ისტორიული საკითხების გარკვევის დროს.

ჩვენ გვქონდა შემთხვევა გვეჩვენებინა, რომ რაჭულ კილოში III კავშირებითია გამოყენებული II თურმეობითის ადგილას რთულ წინადადებაში[1]. ეს მონაცვლეობა დადასტურებულია პირობითსა და მიზნითს წინადადებაში და **უნდა** ნაწილაკთან. როცა მიზნითსა და პირობითს წინადადებებში წარსული ივარაუდება, რაჭულში III კავშირებითი იხმარება. ნაცვლად სალიტერატურო ენაში და სხვა კილოებში გაბატონებული II თურმეობითისა. მაგალ., „ვანო წავიდა ტყეში, **რომ** დაკარგული საათი **ენახა**" რაჭულად იქნება: „ვანო წავიდა ტყეში, რომ დაკარგული საათი **ენახოს**". (=მიზნ. წინად. კონსტრ.); „ვანო **რომ წასულიყო** ტყეში, დაკარგულ საათს ნახავდა" რაჭულად იქნება: „ვანო **რომ წასულიყოს** ტყეში, დაკარგულ საათს ნახავდა" (=პირობ. წინად. კონსტრ.); „ვა-

[1] „კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძვ. ქართულის III პ. სუბ. სუფიქსის პრობლემასთან დაკავშირებით": ენიმკის მოამბე, V—VI, 1940.

ნო ტყეში უნდა წასულიყო“, რაჭულად იქნება: „ვანო ტყეში უნდა წასულიყოს“. **უნდა** ნაწილაკთან კავშირებითის შეხამება სრულიად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ უნდა-სთვის პოტენციალისის სემანტიკაა ნიშანდობლივი. შდრ. კავშირებითის გამოვლენა მომავლის შინაარსით; „უნდა გავაკეთო“.

ჩვენ ვხედავთ, რომ რაჭული კილო წარმოგვიდგენს ისტორიული ქართულის ვითარებას, რამდენადაც ჩვენი თვალსაზრისი გულისხმობს კავშირებითის აუცილებლობას მიზან-პირობითი წინადადებების კონსტრუქციაში.

რაჭული არ არის ერთადერთი დიალექტური სინამდვილე, სადაც დაცულია ეს არქაიზმი. მართალია, რაჭულში III კავშირებითის გამოყენება II თურმეობითის ადგილას სისტემაა, — მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ სხვა კილოებზედაც, სადაც აღნიშნული მოვლენა სპორადულად მაინც იჩენს თავს. თავი რომ დავანებოთ ზემოიმერულს, რომელიც (ქვემო) რაჭულთან ახლოს დგას და სადაც ეს მოვლენა, ზოგჯერ, დასტურდება, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ III კავშირებით-II თურმეობითის მონაცვლეობა საანალიზო კონსტრუქციაში რაჭულისაგან გეოგრაფიულად დაშორებულ დიალექტებშიც გვხვდება. სახელდობრ, მისი ნიშნები არის კახურში, — იგი დადასტურებულია, აგრეთვე, ინგილოურში. გრ. იმნაიშვილის მიერ ჩაწერილ ინგილოურ ტექსტებში ვკითხულობთ: „შეეცოდა პატარა ზმაძ, რუმ არ მეეკლას თავი მამას“ (=რომ არ მოეკლა: 127); „ველარც გუთან კნავდა, ველარც შინ პური ჰქონდა, **რომ** ოღლუშაღიბე ეჰმევინებინოს, ზმას წეეყონოს“ (=რომ ეჰმევინებინა,... წაეყვანა: 253); „ხუალ დილამდინ უნდა გეეკეთას, მიეცას იმ ფაშ დანახულს უსტაძზე“ (=უნდა გაეკეთებინა, უნდა მიეცა: 242); „მოკდომაში კტარიც მოლლას უნდა დეემარხას“ (უნდა დაემარხა: 249).

ყოველივე ეს მოწმობს, რომ თანამედროვე ცოცხალ მეტყველებას შემოუნახავს უძველესი კონიუნქტიური კონსტრუქცია, სადაც ძველი სალიტერატურო ენა -მცა ნაწილაკს გამოიყენებდა, ხოლო ენაში მომხდარ გარკვეული გარდატეხის შემდეგ დამკვიდრდა ინდიკატური კონსტრუქცია.

კავშირებით მემასმენელთან მიმართებისა და კონიუნქტივ-ინდიკატივის ურთიერთობისათვის უნდა გავიხსენოთ გამორიცხვითი წინადადების კონსტრუქცია. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ერთმანეთისაგან განსხვავდება „რეალური გამორიცხვითი წინადადება“ და

„ირეალური გამორიცხვითი წინადადება“. რეალური ვითარების გამომხატველი წინადადებისათვის დამახასიათებელია ინდიკატივის მწკრივი, ხოლო ირეალური ვითარების გამომხატველი წინადადებისათვის — კონიუნქტივის მწკრივი.

ამრიგად, მიღებულია ფორმულები:

ღათუ + ინდიკატ. = რეალ. გამორიცხვ.
დაღათუ + ინდიკატ. = რეალ. გამორიცხვ:
დაღაცათუ + ინდიკატ. = რეალ. გამორიცხვ.
თუცა + ინდიკატ. = რეალ. გამორიცხვ.
თუმცა + ინდიკატ. = რეალ. გამორიცხვ.
მართალია + ინდიკატ. = რეალ. გამორიცხვ.
ღათუ + კონიუნქტ. = ირეალ. გამორიცხვ.
დაღათუ + კონიუნქტ. = ირეალ. გამორიცხვ.
დაღაცათუ + კონიუნქტ. = ირეალ. გამორიცხვ.
თუცა + კონიუნქტ. = ირეალ. გამორიცხვ.
თუნდა(ც) + კონიუნქტ. = ირეალ. გამორიცხვ.
გინდ(ა) + კონიუნქტ. = ირეალ. გამორიცხვ.
რომ(ე) + კონიუნქტ. = ირეალ. გამორიცხვ.
თუნდაც რომ + კონიუნქტ. = ირეალ. გამორიცხვ.

განსახილველია ვინც კავშირის მიმართება ზმნა-შემასმენელთან. როგორც თავის ადგილას ვთქვით, **ვინც განზოგადებული** მნიშვნელობის მატარებელია და უპირისპირდება **რომელიც** წევრკავშირს, რომელიც კონკრეტული შინაარსისაა. მაგალ., რომ ავიღოთ წინადადება — „ვინც თქვენ ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება“, შევამჩნევთ, რომ აქ არაა მითითება კონკრეტულ სუბიექტზე, — იგულისხმება, საზოგადოდ, ის სუბიექტი, რომელსაც შეუძლია გარკვეული მოქმედება შეასრულოს. ეს რომ არ იყოს, იქნებოდა: „რომლებიც ჩემს ნაწერებს დახედავენ, გაუკვირდებათ“. განზოგადების გაგება **რომელ**-ს კაც-სიტყვასთან შეხამებით შეიძლება მხოლოდ ჰქონდეს: „რომელი კაციც თქვენს ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება“.

ადვილი შესამჩნევია, რომ განზოგადებული სემანტიკის გადმოცემის დროს მხოლობითი რიცხვია ნიშანდობლივი. **ვინც** კავშირსიტყვას შემასმენელი უთუოდ მხოლობით რიცხვში შეესაბამება, და ეს ვითარება ერთნაირადაა წარმოდგენილი როგორც დამოკიდებულ წინადადებაში, ისე მთავარში („ვინც თქვენს ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება“), მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში

(რომელიც-ის გამოყენებისას) მრავლობითი რიცხვია ნიშანდობლივი („რომლებიც თქვენს ნაწერებს დახედავენ, გაუკვირდებათ)".

ესაა ნორმა სალიტერატურო ენისა.

ამის გვერდით საშუალო და ახალ სალიტერატურო ენაში ზოგჯერ ვადასტურებთ ამ ნორმის დარღვევის შემთხვევებს: ვინც-ს შემასმენელი მრავლობით რიცხვში ეხამება და ეს დარღვევა შეეხება როგორც დამოკიდებულ წინადადებას, ისე მთავარს. ამგვარი ფაქტები უნდა შეფასდეს როგორც ვულგარიზმი სალიტერატურო ენაში.

დავიმოწმოთ ზოგიერთი მაგალითი:

ვინც ხედავდა ბოლოს საქმეს, იმათ არად განიხარეს (გურამ. 55,3); ვინც ქართველნი და კახნი ყაენს ახლდნენ, დაუწყეს ყაენს ხვეწნა (ფარსად. 229); ვინც თურმე რასმე ამბობს, ტყუიან (დოკუმენტ. თაყაიშვ. 146,15); — ვინც რუსული არ იცოდა, ხმის ამოღებას ვერ ბედავდენ და მუნჯდებოდენ, (აკაკი 428); ყველანი, ვინც წინა მხვდებოდნენ ქუდებს მიხდიდნენ (ვაჟა 147); ვინც იყუნენ მოსულნი ქალაქიდამ აქა საჯაროდ და ლეკების სისხლის დასანთხევად, სულ ყველანი წაბძანდნენ (გრ. ორბელ. წერილ. 24,173).

თავი მეორე

კავშირთა და კორელატთა მორფოლოგიური ანალიზი

A. კავშირთა მორფოლოგიური ანალიზი

კავშირთა ეტიმოლოგიურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა გვეუბნება, რომ ზოგი მათგანი კითხვით ნაცვალსახელურ-ზმნიზედური წარმოშობისაა, ზოგი თავის სათავეებს ნაწილაკებში პოულობს და ზოგსაც ზმნური საწყისები აქვს.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ა

ნაცვალსახელურ-ზმნიზედური წარმოშობის კავშირები

ნაცვალსახელურ-ზმნიზედური წარმოშობის კავშირები აგებულია ფუძეებზე: **რა, ვი, სა, მა.**

რა

ძველ ქართულში **რაჲ** იხმარება კითხვით ნაცვალსახელად. თანდათან ჩამოსცილდა მას **ჲ** და დამკვიდრდა ენაში **რა** ნაცვალსახელი.

ფართოდ გამოყენებულია ძველი ქართულის ტექსტებში **რაჲ** კავშირი დროულობის ფუნქციით. საშუალო ქართულში **ჲ** ჩამოცლებულია და ეს **ჲ**-ჩამოცლილი **რა** გავრცელებულია ახალ სალიტერატურო ენაშიც.

-ც ნაწილაკდართულად გაძომუშავებულია **რაც** დროულობის კავშირი ახალ სალიტერატურო ენაში.

რა ნაცვალსახელი მოქმედებით ბრუნვაში ძველ ქართულში გვაძლევს **რაჲთა (რა-ჲთა)** ფორმას. საყურადღებოა, რომ ბრუნვის ნიშნის დართვა ფუძისეული ბოლოკიდური ხმოვნის რედუქციას

არ იწვევს (**რითა**) და ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ იგი გაქვავებული ფორმით შემორჩენილია ენის ძველი საფეხურებიდან. ამის საფუძველს იძლეოდა სიტყვის ფუნქცია: იგი ენაში დამკვიდრებულია კითხვით სიტყვად. ამგვარად, **რაჲთა** კითხვითი სიტყვაა ძველი ქართულის სინამდვილეში. შდრ., მაგალ., „**რაჲთა** ჰმატს კაცი პირუტყუსა?“ (ეკლეს. სოლ. 196, გ, 19: პეტრიწ. რედაქცია. შდრ. აოონის ვერსია: „**რაჲთამე** ჰმატებს კაცი პირუტყუსა“?); „ძენი თქუენნი **რაჲთა** განასხმენ“ (ლუკა 11,19); რაჲ გიყო შენ და **რაჲთა** აღგიხილნა თუალნი შენნი?“ (იოვ. 9,26: C. შდრ. DE: **რაჲ** გიყო შენ? ვითარ აღგიხილნა თუალნი?); ახალ ქართულში (მაგალ., „**რათა** ჰქვიან იმას არწივი?“ ვაჟა, 27), უმთავრესად კილოებში (აღმოსავლურში), **რათა** ჩვეულებრივი კითხვითი სიტყვაა.

აქედან მიღებულია კავშირი **რაჲთა**.

ძველ ქართულ ტექსტებში ეს სიტყვა ქარაგმიანია, მაგრამ იქ, სადაც ქარაგმა გახსნილია, გვაქვს **რაჲთა**: მაგალითად, ოთხთავის შატბერდული რედაქციების გამომცემელი ა. შ ა ნ ი ძ ე შენიშნავს, რომ სიტყვა გახსნილი სახით ნიშვიათად გვხვდება: **რაჲთა** (წინასიტყვაობა, გვ. 045). ჲ-ს არსებობა შეიძლება დავადასტუროთ ზოგჯერ ქარაგმის საფუძველზედაც: გარდა იმისა, რომ სიტყვა ჩვეულებრივ შემოკლებულია ასე: **რ᷾ა**, ამის გვერდით შეიძლება შეგვხვდეს ამგვარი დაწერილობაც: **რ᷾თა**, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ სიტყვაში შემოკლებულია **ა**-სთან ერთად ჲ-ც. მაგალ., **რ᷾თა**-ს ნიმუშებს გვაწვდის სახისმეტყუელის ძეგლი, და უველგან იგი გახსნილია, სრულიად სამართლიანად, **რაჲთა**-ს სახით ძეგლის გამომცემლის, ნ. მ ა რ ი ს, მიერ. ძველ ქართულშივე ვადასტურებთ ჲ-დაკარგულ ფორმას: **რათა**, რომელიც დღევანდლამდის სალიტერატურო ენამ შემოინახა როგორც მიზნობითი კავშირი. ა. შ ა ნ ი ძ ე ს არა ერთხელ გამოუთქვამს მოსაზრება, რომ **რაჲთა**-ში, მიუხედავად დაწერილობისა, ჲ ალბათ არ იკითხებოდა: ყოველ შემთხვევაში, ეს ჲ მოცემულ კავშირში ძველი ქართულის პერიოდიდან იკარგება.

რა-ს საფუძველზეა აღმოცენებული **რათგან—რადგან**. იგი მიღებულია **რა**-ს მოქმედებითი ბრუნვისა და **-გან** თანდებულის დართვის ნიადაგზე. უნდა ყოფილიყო: **რა-ჲთ-გან**. ეს პირვანდელი ვითარება არ დაუცავს ძველ სალიტერატურო ქართულს, ე. ი. **რაჲთგან** კაუზალობის კავშირი დოკუმენტალურად არაა დადასტურებული, — მაგრამ ჲ-ანი ფორმა შეიძლება შეგვხვდეს არა კაუზალობის ფუნქციით. გრ. ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „და იყო წინამძღურისა მათისა სახელი ამბა გიორგი, რამეთუ მესამჱ მამაჲ იყო ოპიზთსაჲ **რაჲთ გან** სამოჳელ და ანდრჱ გარდაცვალებულ იყვნეს“

(ვ, ე, 25). საშუალო ქართულისათვის დამახასიათებელია **რათგან**; ამავე პერიოდის ადრინდელი ძეგლები (მეხოტბეები, სხვა ძეგლები) გვაწვდიან **რადგან**-ის ზოგიერთ ნიმუშს და იგი გავრცელებულია და დამკვიდრებული ახალ ქართულში. **რადგან** მიღებულია **რათგან**-ში მჟღერ **გ**-სთან **თ**-ს გამჟღერების გზით.

რა-ზე მე ნაწილაკისა და **თუ**-ს დართვით მიღებულია **რამეთუ**. ეს სიტყვა ჩვეულებრივ ხელნაწერებში ქარაგმის ქვეშ დგას. ზოგიერთი მკვლევარი მასში ვარაუდობს **ჲ**-ს: **რაჲმეთუ**. მაგალ., ნ. მარი მხარს უჭერს **ჲ**-ან ფორმას [1]. ა. შანიძე ფიქრობს, რომ საეჭვოა იგი ოდესმე ასე წაეკითხათ: **რაჲმეთუ** [2].

კი ნაწილაკის დართვით მიღებულია **რაკი** ახალ ქართულ ენაში.

-მდი თანდებულიანი **რა** დიალექტურად გვაძლევს **რამდი** კავშირს.

რა კითხვითი ნაცვალსახელისა და **ჟამ**-სიტყვის ნაზავი იძლევა ცნობილ კავშირს ძველ ქართულში: **რასჟამს**. უმეტეს შემთხვევაში **რა**-სთან მიცემითის ნიშანი **ს** დაკარგულია და ამრიგად მიღებულია **რაჟამს**. **რასჟამს**, როგორც თავდაპირველი და კანონიერი ფორმა, არაიშვიათია, მაგალ., ხანმეტ ლექციონარში (მთ. 24,32; 24,33; იოვ. 20,24). ბუნებრივია, რომ ამ სიტყვას მავრცობი **ა** არ ახლავს (**რასჟამსა**), რამდენადაც ზმნიზედური ფორმებისათვის იგი არაა ნიშანდობლივი. ზოგიერთ ძეგლში (მაგალ., ოთხთავის C რედაქციაში) გვხვდება **რაჲჟამს**. აქ **ჲ**-ს არავითარი მორფოლოგიური გამართლება არა აქვს. უნდა ვიეჭვაროთ, რომ იგი გაჩენილია გრაფიკულ ნიადაგზე, **ა**-ზე დაბოლოებულ სახელთა ანალოგიით (ა. შანიძე). შეიძლებოდა გვევარაუდა, როგორც ა. შანიძე ფიქრობს, რომ **ს**-მ მომდევნო **ჟ**-ს წინ რედუქციის გზით მოგვცა **ჲ**. უფრო სარწმუნოა პირველი ახსნა.

წამ-სიტყვასთან შეხამებით **რა** ახალ ქართულ ენაში იძლევა **რაწამს** კავშირს. უნდა ვიფიქროთ, რომ უფრო ძველ საფეხურებზე იქნებოდა **რასწამს**.

ხან-სიტყვასთან ერთად **რა**-მ მოგვცა **რახან** დიალექტურად.

რა ნაცვალსახელი ძველ ქართულში ერწყმის **ოდენ** ნაწილაკს, რომელიც შეზღუდვის მნიშვნელობით იხმარება და ნიშნავს 'მხოლოდ', 'მარტო': **რაოდენ**. ეს უკანასკნელი რაოდენობითი ნაცვალსახელის როლში გამოდის. მაგალ., „**რაოდენი** გაქუს პური?" (ძრკ. 6,38: DE). ძველ ქართულშივე ვადასტურებთ ნაწილობრივი რე-

---

[1] Христианский Восток, III, 1912, გვ. 359.

[2] ქართ. ოთხთავის ორი ძველი რედ., წინასიტყვ., გვ. 045.

დუქციით მიღებულ სახეობას — ო-ს დასუსტებით ჩნდება ვ: **რავდენ.** მაგალ., ,,**რავდენი კუეზაჲ** გაქუს?“ (მარკ. 6,38: C). ვ-მ-ს შენაცვლება გვაძლევს **რამდენ** ფუძეს... აქედან -ცა ნაწილაკის დართვით მუშავდება მიმართებითი ნაცვალსახელი **რაოდენცა, რამდენიც.** დიალექტებში ფუძისეული დ ყრუვდება: **რამთენიც,** ან კიდევ ჩაემატება ვ: **რამთვენიც.**

რა+გვარ -ცა ნაწილაკის დართვით გვაძლევს კავშირს **რაგვარცა;** ამის პარალელურია -ც(ა) ნაწილაკის წინ ა-ს გამოვლენა: **რაგვარაც,** ანდა ვითარებით ბრუნვაში დასმა **რაგვარ** ფუძისა + ც-(ა) ნაწილაკი: **რაგვარადაც(ა). რაგვარ** საშუალო ქართულში გამოყენებულია კითხვით სიტყვად. მაგალ., ,,ქალი ომსა **რაგვარ** მაწვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი!“ (რუსთ.). შემდგომს საფეხურზე ენაში მკვიდრდება **როგორც** კავშირი, ამ გზის გავლით: **რაგორ (ვა—ო)—როგორ** (რეგრესული ასიმილაცია). პარალელური ფორმებია: **როგორაცა || როგორცა || როგორც || როგორადაც.** თუ **რაგვარ** ფუძე, ერთი მხრივ, განვითარდა **როგორ**-ფუძის სახით, მეორე გზა ამ ფორმის განვითარებისა ასეთია: გ-ს გაუჩინარებით მუშავდება **რავარ**-ფუძე (**რავარც**)[1]. პირველი პროცესი დამახასიათებელია სალიტერატურო ენისათვის, მეორე სახეობა გამომუშავებულია დიალექტურ სინამდვილეში. **კი** ნაწილაკთან შეხამებით მიღებულია კავშირი: **როგორც კი, რავარც კი.** სხვა დიალექტურ წრეში **რა** ნაცვალსახელი ფერსიტყვასთან შერწყმულია (**რაფერ — როგორ**) და იძლევა საკავშირებელ ერთეულს -ც(ა) ნაწილაკის დართვით: **რაფერაც.**

რა-ს შერწყმა **რიგ**-სიტყვასთან იძლევა **რარიგ**-კითხვით ნაცვალსახელს ქართულში (,,**რარიგ** სამართლიანი იქნებოდა იმათგან მოტანილი სიტყვები?“ ყაზბ.). ამ ნაცვალსახელის ზმნიზედური ფორმა, ვითარებით ბრუნვაში გამოვლენილი, -ც(ა) ნაწილაკის დართვით დაედო საფუძვლად შედარების კავშირს: **რარიგადაც||რარიგადცა,** აქ ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც გვაქვს **რამდენადაც, როგორადაც** კავშირებთან: ნაცვალსახელის ზმნიზედური ფორმა საფუძველია სათანადო კავშირების გამოსამუშავებლად.

რა+ზომ საშუალო ქართულში ჩვეულებრივ იხმარება, როგორც ზმნიზედა. დავიმოწმოთ რუსთაველი: ,,**რაზომ** გინდა საქებარი“. აქედან მიღებულია შეფარდებითი კავშირი **რაზომ,** რომელსაც დროთა ვითარებაში -ცა ნაწილაკიც უჩნდება: **რაზომცა.** ზოგიერთ ძეგლში კავშირი ა-ს შემდეგ გ-ს დაირთავს, უნდა ვიფიქროთ, გრაფიკულ ნიადაგზე აღმოცენებულს: **რაგზომი:** ,,...აღიხუნეს ნაწილი

[1] გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 203.

იგი წმიდათანი... და საფასე, **რაჲზომი უკმდა**“ (ცხორებაჲ პეტრე იბერიელისაჲ, ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემული რედაქციის მიხედვით, ქრესტომათია, 259). გვხვდება ძველ ქართულშიც. შდრ. ბასილ დიდის ,,ექუსთა დღეთაჲ“: ...**რაჲზომი** ჰაერი ეტევის აჩრდილსა ქუეყანისასა ქუეშე-კერძო მისსა. სლვასა მზისასა“ (მ. კახაძის გამოც. 104,16).

რა ნაცვალსახელის შეკავშირება **ჴელ**-სიტყვასთან დიალექტურად (ხევსურულში...) გამოყენებულია კითხვით ნაცვალსახელად და იმავე სემანტიკის გამომხატველია, რაც მოცემულია სიტყვაში — „როგორი“. მაგალ., **„რაჴელ** დარი ას?“ (ბ. გაბუური, ჴევს. მასალ. 193.8). **რაჴელ** გვხვდება ზმნასთანაც, (:როგორ): „შენ არ იცივ, მტერს **რაჴელ** უნდავ დახვედრაივ“ (ჩემი მასალ.). აქედან მიღებულია -ც ნაწილაკის დართვით კაშირი **რაჴელც**.

რა-ს საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული აგრეთვე **რომელ** მიმართებითი ნაცვალსახელი.

გასაზიარებელი ჩანს ნ. მ ა რ ი ს მოსაზრება ისტორიულ ქართულში ცნობილი **-მე** ნაწილაკის წარმომაელობის თაობაზე: მკვლევარი ამოსავალად მიიჩნევს **მელ||მენ||მედ** ელემენტებს. ეს ძველი ვითარება დაცულია, ერთი მხრით, **რომელ** სიტყვაში, მეორე მხრით **რომენ** სიტყვაში და, მესამე მხრით **ვითარ-მედ, ჲრა-მედ** სიტყვებში (ამ ნაწილაკის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ).

მენ-ის შემცველი ნაცვალსახელი ქართულს შემოუნახავს დიალექტურად (ხევსურულში, იმერხეულში). დაცულია საბუთების ენაშიც· იხ., მაგალ., მე-18 საუკ. საბუთები (საეკლ. საბ. 1, 103,2; 130,12). უპოვია ლიტერატურული გამოხატულებაც: ,,...ამად მიყვარდი, **რომენ** შენის ძველის სახლის ზღუდესა ახლის შენობის პირი ედგა“ (ბესიკი).

რა ახსნა უნდა ვუპოვოთ ამ სიტყვის პირველ შემადგენელ ნაწილს: **რო-მელ||რო-მენ**? ნ. მ ა რ ი ფიქრობდა, რომ ამოსავალია **რა** ნაცვალსახელის თავისებური ფორმა **რო**, რომელიც, თავის მხრივ, ადის **რა-ჳ** ფორმამდის[1]. შესაძლებელია სინამდვილესთან ახლოს იყოს სხვა ახსნა: **ო** მიღებული იყოს **ჲ**-ს მომდევნო **მ**-სთან ასიმილაციის პირობებში. ქართულში ჩვენ გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც **მ** ავიწროებს წინამავალ ხმოვანს. მაგალ., მთათუშეთში ჩავიწერე სიტყვა **წომალი**, რომელიც **წამალ**-იდან მოდის: **ა** დავიწროებულია **ო**-დ, უეჭველია, მომდევნო თანხმოვნის გავლე-

[1] H. M a r r, Грамм. древнелит. грузинского языка, § 126; Древнегрузинско-русский словарь к 1-2 главам евангелия Марка, С-Петербург, 1913.

ნით. დიალექტებში გავრცელებულია აგრეთვე ო-ს დავიწროება უ-დ იმავე მ-ს შემწეობით: **რომ→რუმ, ხომ→ხუმ, რატომ→რატუმ (‖რიტუმ)** და მისთ. ამავე რიგისაა **ვითამ** სიტყვაში ა-ს დავიწროება მ-ს გავლენით: **ვითომ.**

ეს ჩვენი ვარაუდი თუ სწორია, მაშინ ვღებულობთ ასეთ პროცესს: **რა-მელ (‖რა-მენ)→რო-მელ (‖რო-მენ)** და უნდა ვიფიქროთ, ეგ ნაცვალსახელი უძველესი ფორმაციისაა; ძველ სალიტერატურო ქართულში უკვე მტკიცედ დამკვიდრებულია ამ ცვლილების გზით მიღებული ფორმა.

სიძველეზე მიუთითებს სხვა გარემოებაც: ძველ სალიტერატურო ენაში როგორც კითხვითი ნაცვალსახელი, ისე მიმართებითი ნაცვალსახელი **რომელ,** როგორც წესი, ფუძეკუმშვადია **(რომლისა, რომლითა),** ფუძეში ე-ს ამოღების პროცესი საბოლოოდ დამთავრებულია [1].

დიალექტური **რომელიცხა** მიღებულია ცა-ღა ნაწილაკების დართვითა და გარკვეული ფონეტიკური პროცესის შედეგად: **რომელი+ცა+ღა→რომელი+ც+ღა→რომელი+ც+ხა: ცა** ნაწილაკში ამოვარდება ა, ხოლო ღა ნაწილაკის თანხმოვნითი ელემენტი ასიმილაციის ძალით ყრუვდება.

რომელ მიმართებითმა ნაცვალსახელმა განიცადა ფონოლოგიური დეფორმაცია: ჯერ ჩამოსცილდა ბოლოკიდური თანხმოვანი ლ: **რომე** (საშუალო ქართულში) და ბოლოს ბოლოკიდური ხმოვანი ე-ც ჩამოსცილდა: **რომ.**

გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები განიცადა **რომე — რომ** კავშირმა კილოებშიც. ერთ დიალექტურ წრეში ფუძისეული ო დავიწროვდა მომდევნო მ-ს ზეგავლენით: **რუმე — რუმ** (როგორც ზემოთ აღინიშნა, მ-ს მეზობლობაში წინამავალი ხმოვანი ვიწროვდება რიგს შემთხვევებში: **ხომ — ხუმ, ვითამ — ვითომ, წამალი — წომალი, ტომარა — ტუმარა, რატომ — რატუმ,** სავარაუდო **რამელ — რომელ** და მისთ.). მეორე მხრივ, **რომ** სიტყვაში იკარგება ბოლოკიდური მ: **რო,** ანდა მავრცობი ა გაიჩინა: **რომა.** მესამე მხრივ, თავკიდური თანხმოვანი **რ** იკარგება: **ომ‖უმ,** ანდა **რ** იცვლება **ბ**-თი: **ბუმ,** სახელდობრ, ინგილოურში, სადაც **რ-ბ** მონაცვლეობის სხვა ფაქტებიც დასტურდება: **ბოგო** — როგორ, **ბემენიც** — რემენიც (: რომელიც).

---

[1] არნ. ჩიქობავა ქართ. **რა-მ(ელ)** სიტყვას მეგრულ-ჭანურ ფორმებს უპირისპირებს: ჭან. **ნა-მუ‖ნა-ჲა** მეგრ. **ნა-მუ** (ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 226).

ოდეს სიტყვასთან შეხამებით რა გვაძლევს როდეს კავშირს: რა + ოდეს—როდეს. თავდაპირველი ფორმა (რა+ოდეს) დაცულია, მაგალ., „ვისრამიანში“: „რა ოდეს გიქმნია კარგი, არავისგან მასმია“ (103,14). ენაში დამკვიდრებულია -ც(ა) ნაწილაკიანი ფორმა როდესაც. როდეს კავშირიდან დე მარცვლის ამოღების გზით ვღებულობთ შემოკლებულ სახეობას: როს, რომელიც ლექსში გვხვდება, და მართალია ნ. მ ა რ ი როდესაც აღნიშნავს: „Стихотворная форма сильно содействовала введению в литературный обиход кратких форм ოს „когда“ вм. ოდეს и роს „когда“ вм. როდეს, როდესაც“ [1]. დაირთავს -ც(ა) ნაწილაკს: როსცა || როსაც. როსცა კავშირი იძლევა — ფონეტიკური გამარტივებით — როცა კავშირს. ცალკე ერთეულად გამოიყენება კავშირი ოდეს იმავე ფუნქციით. ოდეს პარალელურად იხმარება მარტივ წინადადებაში კითხვით სიტყვად: „ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ შენ“? (მთ. 25, 38). კავშირი ოდეს დაირთავს-ც(ა) ნაწილაკს: ოდესცა || ოდესაც.

დიალექტურად -ღა ნაწილაკის მეშვეობით მიღებულია როცხა· როც+ღა—როც+ხა. დიალექტურადვე როდესაც შეცვლილია ე-ს დავიწროებით როდისაც ფორმით. როდის კითხვითი სიტყვა ქვემოიმერულში მარტივდება ასე: როის, — აქედან, -ცა ნაწილაკის დართვით, მიღებულია: როიცა—როისცა. ამის პარალელურად განვითარებულია როიცხა—როიცღა—როიცაღა.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ რა კითხვითი ნაცვალსახელის საფუძველზე გამომუშავებულია კავშირები: რაჲ—რა—რაც რაჲთა—რათა, რათგან—რადგან(აც), რამეთუ, რაკი, რამდი, რახუამს—რაჲჟამს—რაჟამს, რაწამს, რახან, რაოდენ—რაოდენცა—რამდენიც—რამთენიც—რამთვენიც, რაგვარცა—რაგვარაც — რაგვარადაც(ა)—რავარც—რავარც კი—როგორცა—როგორაცა—როგორც—როგორადაც, რაფერაც, რარიგადაც—რარიგადცა, რაზომ—რაზომცა, რაკელც, რომელ (რომელიც)—რომენ—რომე—რომ—რუმე—რუმ—რომ—ჰუმ—რომელიცხა, როდეს—როდესაც—როდისაც—როს—როცა—როსაც—როის—როიცა—როისცა—როიცხა—როცხა.

ჩამოთვლილი ერთეულები გვაძლევენ სხვადასხვა ჯგუფს: ერთი მხრით, ექცევა მარტივი ფუძის კავშირი, რომელიც გვეელინება სხვადასხვა ბრუნვაში: სახელობითსა და მოქმედებითში (რაჲ—რა—რაჲთა—რათგან—რადგან); მეორე მხრით, გვაქვს თანდებულიანი კავშირი (რამდი, რათგან—რადგან); მესამე მხრით, მიღებულია ნაწილაკ-

[1] Н. М а р р, Древнегрузинские одописцы, გვ. 90, ТР, IV.

დართული ფორმა, რომელიც ქმნის ცალკე ერთეულებს (**რაც, რაკი, რამეთუ, რომელ... რომენ**); მეოთხე მხრით, გამომუშავებულია რთული ფუძის კავშირი: **რა** ნაცვალსახელი ერწყმის სხვა ფუძეებს (**რასუამს..., რაოდენ..., რახან, რაწამს, რაოდენ..., რაგვარცა..., რაფერაც, რარიგადაც..., რაზომ..., რაკელც, როდეს...**).

30

ქართულ ენაში **ვინ** გამოყენებულია კითხვით ნაცვალსახელად. ფუძედ გამოყოფენ **ვი**-ს, ხოლო **ნ** მიჩნეულია ბრუნვის ნიშნად: გვხვდება სახელობითსა და მოთხრობითში. ლიტერატურაში აღიარებულია, რომ **ვინ**-ში **ნ** მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტია, ხოლო შემდეგ იგი სახელობითში გადმოსულა. არნ. ჩიქობავა ასაბუთებს, რომ მოთხრობითი და სახელობითი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, — ამოსავალია დებულება: მოთხრობითი ისტორიულად პირველი სახელობითია, — და მხოლოდ ამიტომ იყო შესაძლებელი **-ნ** სახელობითშიც გამოეყენებინა **ვინ** ნაცვალსახელს და არ ესესხებინა ახალი ფუძე სახელობითისათვის [1].

ემფატიკური **ა**-ს დართვით **ვინა-ჲ** ძველ ქართულში ადგილის ზმნიზედის მოვალეობას ასრულებს. ნიშნავს: „სად“ ან „საიდან“. მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი:

> **ვინაჲ** აღმოსცენდა ღუარძლი? (მთ. 13,27); არა ვიცით, **ვინაჲ** იყო (ლ. 20,7); **ვინაჲ** ხარ შენ (ი. 19,9); არა უწყოდეს, თუ **ვინაჲ** აღაშჱნონ ტაძარი... (არიმათ. 45,2. შდრ. სხვა ადგილი: „...და უბრძანოს მათ, თუ **რომელსა ადგილსა** აღაშჱნონ ეკლესიაჲ, სახლი ღმრთისაჲ“: 45,9); არამედ **ვინაჲ** არს მიზეზი მოშრომისა შენისაჲ, მაუწყე მე (ხანძთ. კბ, ით, 20).

ვინ (კითხვითი ნაცვალსახელისა) და **ვინაჲ**-ს (ადგილის ზმნიზედის) დაპირისპირება კარგად ჩანს ერთი კონტექსტის ფარგლებშიც:

> აწ ყრმანო, გჳთხრათ ღა ჩუესცა, **ვინაჲ** თქუენ და ესევითარი გალობაჲ შუენიერი ვინ გასწავა (ხანმ. მრავალთავი 10,5); რომელი ამისსა შემდგომად მოვიდეს, **ვინ** უწყი, თუ **ვინაჲ** იყო (ქიმ. 249,34); ...არა უწყოდა, თუ **ვინაჲ** მოიცლინა და ვერ გულის-ხმა ყო, თუ **ვინ** არს იგი... (ქიმ. 177,37).

თითო-ოროლა მაგალითი თუ შეგვხვდა **ვინ**—**ვინაჲ**-ს აღრევისა,

---

[1] არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: „სტალინის სახელობის თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები“, X, 1939.

ეს ან ლაფსუსია ან კიდევ ლექსის საჭიროებით გამოწვეული. მაგალ., „თამარიანში“ ვკითხულობთ:

ვინ არსე ბანი,
ვინ არს ებანი?
არა არს სათნი
საკელოვნებად! (IV, 1-2).

აქ **ვინ** ადგილის ზმნიზედაა.

ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲ“-ში ვკითხულობთ:

და ესრეთ სცნა, თუ **ვინაჲ** არს პირველი დაწყებაჲ ჟამთაჲ (7,27).

ვარიანტულად მოცემულია:

და ესრეთ სცნა, თუ **ვინ** არს პირველი დაწყებაჲ ჟამთაჲ (გვ. 015).

ვარიანტშიც უნდა იყოს **ვინაჲ**, რადგან კონტექსტით ზმნიზედა ივარაუდება.

ვინაჲ, ნამეტურ -ცა ნაწილაკდართული ფორმა **ვინაჲცა**, ძველი ქართულის მოგვიანო ხანის ენაში (IX—X—XI სს.) მარტივი წინადადების ფარგალში თავისი ძირითადი მნიშვნელობის — ლოკალობის სემანტიკის გადმოცემის გვერდით იძენს მეორე ფუნქციას: ესაა კაუზალობის სემანტიკის გამოხატვა. ამგვარად, იგი მიზეზის ზმნიზედაცაა, უდრის: „ამიტომ“, „ამის გამო“.

დავიმოწმოთ ზოგიერთი მაგალითი:

აწ უკუე არს ადგილი, რომელი მარჯუე არს და მომზავებელ ამათ საქმეთა, **ვინაჲცა** ბრძანენ სიწმიდემან თქუენმან... (ზარზმ. 157,8); ხოლო მას რაჲთურთით დაცადებაჲ ვერ ძალ-ედვა და აღთქმულისა მის აღსრულებასა ეძიებდა. **ვინაჲცა** შემდგომად გალობისა წარავლინნა ძმანი თჳსნი ვედრებად ტიმოთესა (ანტიოქ. 65,8); ...არა ინება ურჩებაჲ ბრძანებისა მათისაჲ. **ვინაჲცა** აღაშენა მონასტერი შუენიერი და ძმანი მრავალნი შეკრიბნა... (გ. მთაწმიდ.); ...ჰრქუა მას, ვითარმედ: „უკუეთუ მოჰკლა მბრძოლი ჩემი ეფთჳმე, ფრიადი კეთილი ვყო შენ თანა“ **ვინაჲცა** შეიმზადა მახჳლი და ენება მოკლვაჲ მისი, არამედ ცუდ ყო ღმერთმან განზრახვაჲ მისი (გ. მთაწმიდ. გვ. 105); ...და მცირედ არიან მას შინა ქუაბოვანნი და ლოდოვანნი შესაეედრებელად. **ვინაჲცა** ადვილად აღსძრევენ მას ძირთაჲთგან ჭარნი იგი სასტიკნი (ექუსთა დღეთაჲ 86,26).

ამრიგად, ვი ფუძე გამოყენებულია: ა) კითხვით ნაცვალსახელად, ბ) ლოკალობის ზმნიზედად, გ) კაუზალობის ზმნიზედად.

კითხვითი ნაცვალსახელის საფუძველზე ენაში მუშავდება მიმარ-

თებითი ნაცვალსახელი (-ცა ნაწილაკის დართვის გზით): [1] **ვინცა||ვინაც; ცა+ღა** ნაწილაკების დართვით მიღებულია დიალექტური **ვინცხა;** ზმნიზედური ფორმა საფუძველია ლოკალობის და კაუზალობის კავშირების მისაღებად: დაქვემდებარების უძველეს საფეხურზე — **ვინაჲ,** შემდეგ -ცა ნაწილაკდართული კავშირი: **ვინაჲცა,** შემდეგ მოქმედებით ბრუნვაში დასმული (resp. გამოსვლითი: კითხვაზე: „საიდან“) **ვინა+ჲთ**-ის გზით გავლით -გან თანდებულიანი ფორმა: **ვინაჲთგან.**

ვინა+ჲთ შეიძლება აქა-იქ შეგვხვდეს ძველ ტექსტებში. მაგალ., „წინაჲსწარმეტყუელმან ამბაკომ გიწოდა მთით ჩრდილოჲთ მაღნართაჲთ, სძალო წმიდაო, **ვინაჲთ** გამოვიდა ღმერთი“ (სას. პოეზია, ობ, 88). შდრ. აგრეთვე **-გან** თანდებულიან **ჟამ**-სიტყვასთან შეხამებით: **ვინაჲთ ჟამითგან** (ექუსთა დღეთაჲ 7,23). **ვინაჲთ** იგუებს -ცა ნაწილაკს: **ვინაჲთცა** (მთ. 12,4; C. შდრ. DE: **ვინაჲცა**). არ არის გამორიცხული **ვინაჲცა**-ს მიღება **ვინაჲთცა**-დან: ც-სთან თ-ს დაკარგვა ფონეტიკურად მოსალოდნელია.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში **-გან** თანდებულიანი მოქმედებითი დროში დაწყებითობის ფუნქციის მქონეა.

ვინაჲთგან(←ვინაითგან)-ის ფონეტიკური განვითარება ორი გზით წარიმართა: ა) დროთა ვითარებაში (უკვე საშუალო ქართულში) დაიკარგა **ჲ** და მივიღეთ: **ვინათგან,** შემდეგ **თ** გამჟღერდა **გ**-სთან: **ვინადგან,** ბ) მოქმ. ბრუნვის ხმოვნითი ნაწილის შენარჩუნებით, **თ** გამჟღერდა მომდევნო **გ**-ს მეოხებით და მივიღეთ: **ვინაიდგან,** — შემდეგ **გ** დაიკარგა და მივიღეთ: **ვინაიდან.** ამ მეორე ფორმას, უნდა ვიფიქროთ, ხალხური მეტყველების სინამდვილის გზით გაუმარჯვია ენაში.

ვინ ფორმა **-მდი(ს)** თანდებულის დართვით იძლევა კავშირს **ვინამდი—ვინემდი** (საგულველია: **ო—ე მ**-ს მეზობლობაში), ფონეტიკური გამარტივებით — **ვინემ** (ბოლო მარცვალი— **დი—შეიკვეცა**).

მკვლევარნი აღნიშნავენ, რომ ვი-ს მოქმედებით ბრუნვაში დასმით მიღებულია ვითა **(←ვი-ითა).**

ვითარ უნდა დაიშალოს ასე: **ვითა+რ (ვ-ით-ა+რ), -რ** წარმოადგენს **-რე** ნაწილაკის გამარტივებულ სახეს [2]: ←**ვითარე.** ე-ს დაკარ-

[1] **ვინ**-ზე „იგი“ ნაწილაკის დართვაც ბუნებრივია ძვ. ქართულის სინამდვილეში. მხედველობაშია მისაღები ისეთი კანტიკუნტი ფაქტები. როგორიცაა, მაგალ., X ს. ერთ სასულიერო რომანში ასეთი ადგილი: „**ვინ-იგი** მწყემსმან პოვის..., ეგრეცა წმიდაჲ იგი... ვიდოდა“ (ლიტ. ქრესტომათია. I. უუბანეიშვილი, გვ. 316). ეს და ორიოდე სხვა მაგალითიც დასახელებულია ი. იმნაიშვილის წიგნში (სახელთა ბრუნება..., გვ. 522).

[2] ნ. მარი, Грамм., § 127.

გვის შემდეგაა, აგრეთვე, მიღებული **ვითარ-ი** (აქედან: **ესე ვითარი, ეგე ვითარი**). **ვითა || ვითარ** ენაში გამოყენებული იყო ზმნიზედად. ზმნიზედური ფორმაა დასაბამი სათანადო კავშირის გამოსამუშავებლად: **ვითა, ვითარ.** ა-ს ჩამოცლით მიღებულია კავშირი **ვით.** -ცა ნაწილაკის შეხორცებით დამკვიდრდა კავშირი **ვითარცა;** იხმარება აგრეთვე **ვითაც;** დაირთავს **-იგი** ნაწილაკსაც: **ვითარ-იგი.**

ვითომ, ნ. მ ა რ ი ს ვარაუდით[1], ასე იშლება: **ვითა-მე** (-მე-ში ე დაკარგულია). **ვითამ** ამჟამად კილოებს დაუცავთ. როგორ უნდა აიხსნას ამ სიტყვაში ა-ს ო-დ შეცვლა? ვფიქრობთ, აქაც მომდევნო მ-ს მაასიმილირებელი გავლენაა: ა—ო (ანალოგიური ფონეტიკური პროცესი განხილული გვაქვს **რა-**ს საფუძველზე აღმოცენებული ზოგიერთი კავშირის ანალიზის დროს). აქედან -ც(ა) ნაწილაკის დართვით მიღებული ჩანს **ვითომც** კავშირი. შეიძლებოდა გვეფიქრა, როგორც ვარაუდობს გ. რ ო გ ა ვ ა, **ვითომც-**ში **-მცა** ნაწილაკი იყოს შეხორცებული[2].

პარალელურად ენაში გავრცელებულია **-და** ნაწილაკიანი ფორმა: **ვითომცდა,** ცდ კომპლექსის გამარტივების გზით მიღებულია **ვითომდა** ანდა (დიალექტური) **ვითამდა** („....მე შენთან გამუუშოფ ტურას. **ვითამდა** სადილის მოსატანათ": ღლ. 241,23).

ვიცით, აგრეთვე, რომ იხმარება **მითამ || მითომ || მითომდა** კავშირი. ცოცხალ მეტყველებაში **ვითამ || ვითომ-**ის ვარიანტია **მითამ || მითომ (მითამც || მითომც).** სხვათა შორის, ეს აძლევს საფუძველს ნ. მ ა რ ს ასეთი დასკვნა გამოიტანოს: ხალხურ მეტყველებაში არსებულა **მი-ნ** ფორმა **ვი-ნ** ფორმის გვერდით[3]. მართლაც, ინგილოური კილოს მონაცემები ამ ვარაუდს ამართლებენ (შდრ. „მინც ამ გზაზე წაჭდა, ერთიც ცოცხალ აღარ დაბრუნდა": მ. ჯ ა ნ ა შ ვ. 206,28). დადასტურებული მაქვს თერჯოლურ კოლოკავშიც[4].

ვი ფუძეზეა, აგრეთვე, აგებული **ვითარმედ** კავშირი: ←***ვი-თ-ა+რე+მედ,** ე. ი. **ვითა-**სთან შეხორცებულია **რე** ნაწილაკის გამარტივებული სახე და **-მედ** ნაწილაკის თავდაპირველი ვარიანტული სახეობა (**მელ || მენ || მედ**); კავშირში გაქვავებული სახით შემონახულია ძველი ქართულის ცნობილი **-მე** ნაწილაკის ძველი ვითარება. სწორედ რომ გაქვავებული სახით, თორემ ძველ ქართულში **ვითარ-**ს ერთვის გამარტივებული **-მე,** როცა სიტყვა კავშირის როლში კი არ

---

[1] ნ. მ ა რ ი, Грамм., § 129.

[2] გ. რ ო გ ა ვ ა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში: „აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები", VIII, გვ. 368.

[3] ნ. მ ა რ ი, იქვე, § 129.

[4] შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი, გვ. 155.

გეველინება, არამედ კითხვითი ზმნიზედაა: **ვითარმე**. მაგალ., „ვითარ-მე განერნეთ სატანჯველსა გეჰენიაჲსასა?“ (მთ. 23,33).

ისტორიულად ლოკალური ფუნქცია უნდა ჰქონოდა **ვიდრე**-ს. თუ **ვინაჲთ** გამოხატავდა მოძრაობას სივრცეში იქიდან აქეთ, ე. ი. აბლატივის ფუნქცია ეკისრებოდა (რამდენადაც დასმულია მოქმედებით resp. გამოსვლით ბრუნვაში), **ვიდრე** იმავე სივრცეში მოძრაობას გამოხატავდა, ოღონდ მოძრაობას აქედან იქით (Locativus exterior). ამიტომ იგი დასმული უნდა იყოს ვითარებით (მიმართულებით) ბრუნვაში. მართლაც, **ვიდრე**-ში გამოიყოფა ვი-ფუძე, რომელიც დასმულია ვითარებითში: **ვი-დ** [1]. მას ერთვის **-რე** ნაწილაკი, ცნობილი სხვა კავშირებშიც [2]. როგორც ცნობილია, **-(ა)დ** ფორმანტს ქართულში მიმართულების აღნიშვნაც ევალება. **ვინაჲ(თ)**—**ვიდრე**-ს ეს დაპირისპირება კარგად ჩანს ამ მაგალითიდან: „არა უწყი, **ვინაჲ** მოვალს და ვიდრე ვალს“ (ი. 3,8: **არ იცი, საიდან** მოდის და **სად** [**საით**] მიდის).

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ **ვიდრე** ეხმაურება **-მდე||მდის** თანდებულს, მისი ფუნქციური ბადალია. ძველ ქართულში ჩვეულებრივია **ვიდრე**-ს დასმა **-მდე||-მდის** თანდებულიანი სახელის წინ.

მოვიყვანოთ ზოგიერთი მაგალითი:

ხოლო პეტრე მისდევდა მას შორით, **ვიდრე** ე ზ ო მ დ ე მღდელთ მოძღურისა (მთ. 26,58); **ვიდრე** ჯ ო ჯ ო ხ ე თ ა დ მ დ ე შთაჰკდე (მთ. 11,23); **ვიდრე** შ ჳ დ გ ზ ი ს ა მ დ ე (მთ. 18,21).

ვიდრე-ს ლოკალური გაგება აქ უეჭველია, გამოხატავს „გარკვეულ პუნქტამდე მიწევნას“ ადგილის (ეზო, ჯოჯოხეთი, გზა) მიხედვით.

ამგვარ ვითარებაში **ვიდრე**-ს ენაცვლება **მი, მო: „მისაზღვრამდე** ქალდიაჲსა“ (აბო 66,3); **მოჭამომდე** (იხ. ქართლ. ცხ. 7) [3].

პარალელიზმი დასტურდება ვარიანტული შეპირისპირებიდანაც:

მთ. 27,45 : DE:

ხოლო ექუს ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა **ვიდრე** მეცხრედ ქ ა მ ა დ მ დ ე.

---

[1] **-დ** ბრუნვის ნიშნად ნ. მ ა რ მ ა მიიჩნია (Древнегрузинско-русский словарь).

[2] **-რე** ნაწილაკი ხშირად ერთვის ვითარებით ბრუნვაში დასმულ სახელს (**ხუაშიადგრე, უშორესადრე, მცირედრე**... შდრ. ა. კ ი ზ ი რ ი ა, ვითარების გარემოება ძველ ქართულში: „იბერიულ-კავკ. ენათმ.“, IX-X 1958, გვ. 142).

[3] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებული ქართულში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, გვ. 235.

შდრ. C:

და მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ზედა **მიცხრა ჟამამდე.**

მთ. 27,51 : DE:

და აჰა კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად **ზჱთგან ვიდრე ქუედმდე.**

შდრ. C:

და აჰა კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის განიპო ორგან **ზენაჲთგან მიქუენამდე.**

ვხვდებით ერთმანეთის გვერდით, ერთი წინადადების ფარგალშიც: „...**ვიდრე მიდღევანდლად** დღედმდე“ (შარავანდ. 69,29).

სივრცეში ორიენტაცია საფუძველია დროში ორიენტაციისა, — **ვიდრე** მარტივი წინადადების ფარგალშივე თანდათანობით ივითარებს დროულობის გაგებას, — ესაა „გარკვეულ პუნქტამდე მიწევნა“ დროის მიხედვით.

ამ გარდატეხის გარკვეული საფეხურია **ვიდრე**-ს შეხამება **-მდე-მდის** თანდებულიან ნაზმნარ სახელთან — მასდართან.

ძველი ქართული სალიტერატურო ენა უხვად გვაწვდის ამ ტიპის მაგალითებს:

...**ვიდრე თხოვამდე** თქუენდა მისგან (მთ. 6,8); ...**ვიდრე პოვნამდე** მისა (ბოლნ. 31); ...**ვიდრე** სისხლთა თქუენთა **დათხევამდე** ქრისტეს-თჳს... (წარტყუენ. ლდ, 15); ...ვიდრე ალილოჲსა **განსრულებამდჱ**... (ხანძთ. კ. იზ, 9).

ამგვარ ფაქტებს ვადასტურებთ საშუალო და ახალ ქართულშიც.

აქ ივარაუდება მიმართება არა ადგილთან, სივრცის რომელიმე მონაკვეთთან (როგორც ეს ზემოთ გვქონდა), არამედ მოქმედების დასრულების მომენტთან. **მიმართულება** აქაცაა, მაგრამ მიმართულებაა არა სივრცობრივ მონაკვეთთან, არამედ დროის გარკვეულ მონაკვეთთან. ამიტომაა, რომ **ვიდრე**-ს ზმნის საწყის ფორმასთან დროული ნიუანსი აქვს. ეს მეორეული მოვლენაა.

ვიდრე საბოლოოდ დაუკავშირდა ზმნის პირიელ ფორმას, ამ რიგის მაგალითებში: „უფალო, **ვიდრე** ხუალ“ — მარტივი წინადადების ფარგალში — **ვიდრე** დროის ზმნიზედად გვევლინება.

ვიდრე-ს შეწყობა მასდართან თუ ზმნის პირიელ ფორმასთან პარალელურად არსებობს ენაში. აი მაგალითი ძველი ქართულიდან: ...**ვიდრე** მოსლვამდე" (ეკლეს. სოლ. იბ. 1). შდრ. პეტრიწის თარგმ.: ,,...**ვიდრე** არა მოიწინენ".

აქედან გამომუშავდა ქვეწყობილ წინადადებაში **ვიდრე** კავშირი დროის კატეგორიის გამომხატველად.

აღსანიშნავია, რომ თუშურ კილოში **ვიდრე** იხმარება 'წინათ' ზმნიზედის მნიშვნელობით: ,,**ვიდრე** კრმალი ხისა იყო" (ზღაპრიდან): ..წინათ ხმალი ხისა იყო" (ჩემი მასალებიდან).

ზემოთ ვნახეთ, რომ **ვიდრე** ეტოლებოდა **-მდე || მდის** თანდებულს ფუნქციურად. ამიტომ სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რომ **ვიდრე** კავშირს დროთა ვითარებაში შეეხორცა **-მდე||-მდის** თანდებული; იგი ამ კონტექსტში ბუნებრივი ჩანს: **ვიდრემდე || ვიდრემდის.**

-მდე || მდის თანდებული ეგუება მხოლოდ ისეთ **ვიდრე**-ს, რომელიც გვევლინება დროისა და ადგილის კავშირად, — შედარების კავშირს **ვიდრე**-ს ეგ თანდებული არ შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ ლიცენცია პოეტიკის რიგისა თუა ერთი ადგილი მაჩაბლის თარგმანში (,,ჰამლეტი"): ,,თავისუფლება კაცს მეტი აქვს, **ვიდრემდე** ქალსა".

ვიდრე დაირთავს აგრეთვე **-ცა** ნაწილაკს: **ვიდრეცა.**

ვიდრე-ს პარალელური კავშირია **ვირე.** უნდა დაიშალოს ასე: **ვი-რე** (**რე** ნაწილაკია). სავარაუდოა, რომ **-რე** ერთვის არა **ვი**-ს, არამედ **ვიდ**-ს, ე. ი. **ვიდრე**-ს გამარტივებული ფორმაა (დამახასიათებელია საშუალო ქართულისათვის).

ვირე დაირთავს (როგორც **ვიდრე**) **-მდე || მდის** თანდებულს: **ვირემდე||ვირემდის,** უფრო კი საშუალო ქართულის **-მდინ**-ს: **ვირემდინ || ვირემდინცა.**

ვირამდი კავშირი შესაძლოა იშლებოდეს ასე: **ვი-რ(ე)-ამდი: ამდი,** სავარაუდოა მიღებულია ანალოგიით **-მდი(ს)** თანდებულის წინამავალი (ვითარებით-ბრუნვისეული) **ა**-ს გამოვლენით, ეგების **ვინამდი**-ს ანალოგიითაა მიღებული! არ ვიცი.

ვი-რე-მე—ვირემ (-მე ნაწილაკი გამარტივდა). **ვიდრე-ვირე -მე** ნაწილაკს დაირთავდა. შდრ. **ვიდრემე**: მთ. 15,24; ი. 7,35. უფრო დამაჯერებელია **ვიდრემე—ვირემე—ვირემ,** ე. ი. გამარტივდა **დრ** კომპლექსი.

ვი ფუძეს, საერთოდ, მრავლ. რ. არ განუვითარებია. აქა-იქ გვხვდება: **ვიეთ, ვიეთცა:** კიმ. II, 48,24; 105,21. გამოიყოფა მრავლობითის **-ეთ,** რომელიც ენაში შემდეგ შეხორცებია ფუძეს და კვლავ დართვია მრავლ. რიცხვის ახალი მაჩვენებლები: **ნ, თა** (მარი): **ვიეთნი,**

ვიეთთა (იქვე, 47,9). ნ. მარი ამბობს, რომ ვიეთნი ამას უდრისო: некоторые (Грамм. древнелит. груз. яз., 102).

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვი ფუძეზე გამომუშავებულია ერთეულები: **ვინც, ვინაჲ, ვინაჲთ, ვინაჲთგან, ვინათგან, ვინაიდან, ვინამდი, ვინემდი, ვინემ, ვითა, ვითარ, ვით, ვითარცა, ვითარიგი, ვითომც, ვითომცდა, ვითამდა, ვითომდა, მითომც, მითამც, ვითარმედ, ვიდრე, ვიდრემდე, ვიდრეცა, ვირე, ვირემდე, ვირამდი, ვირემ.**

ამოსავალია ვი ფუძის სახელობით-მოთხრობითი (ვი-ნ), მოქმედებითი (ვი-თ, ვი-ით-ა) და ვითარებითი (ვი-დ) ბრუნვის ფორმები. კავშირის შედგენილობაში მონაწილეობენ: ნაწილაკები — ცა, იგი, რე, მე და თანდებულები — მდე, მდის, განა.

სა

სა ფუძეზე აგებული სადა—სად კითხვითი ზმნიზედის საფუძველზეა მიღებული სადა კავშირი. იგი იხმარება როგორც უნაწილაკოდ, ისე -ცა, -იგი ნაწილაკების დართვით: სადა-ცა, სადა-იგი.

სადა-ში უნდა გამოვყოთ დ, რომელიც ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს: სა-დ-ა; ა მავრცობია. ვითარებითი ბრუნვა ქართულში გამოყენებულია ლოკატიური მნიშვნელობით (შდრ., მაგალ., ბარად, ჭალაჭად და მისთ.) და, ამდენად, გასაგებია მისი მონაწილეობა ადგილის ზმნიზედის მორფოლოგიურ წარმოებაში. არსებობს სადა-ში დ-ს სხვაგვარი გაგება: არნ. ჩიქობავას აზრით, იგი სვანური მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია [1].

სადა—სად, როგორც ვითარებითი resp. მიმართულებითი ბრუნვის ფორმა, თუ Locativus exterior-ის გამომხატველია Ablativus-ი უნდა ყოფილიყო განხორციელებული მოქმედებითი resp. გამოსვლითი ბრუნვის ნიშნით. მართლაც: სა ფუძეზე ჲთ-ის დართვით ვღებულობთ: საჲთ, რომელმაც ენაში Locativus exterior-ის ფუნქციაც შეიძინა (შდრ. „საჲთ გნებავს სლვაჲ?“ ზარზმ. 159,15). -განა თანდებულის დართვით საჲთ გვაძლევს: საჲთგან („საჲთგან თუალი მხილველობდა, ყოველგან ტყეთა მსგავსი ლაშქარი იხილებოდა ლტოლვილი“: შარავანდ. 127,32). აქედანაა მიღებული საიდან—საიდანაც, ცნობილი ფონეტიკური ცვლილებების გავლით.

---

[1] არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, გვ. 166.

უნდა აღინიშნოს, რომ პარალელურად ძველ ქართულში **ადთ** დართვია არა **სა** ფუძეს, არამედ ამოსავალია **სადა: სადაადთ** (:„**სადაადთ** ვიწყო მითხრობად?“ ექუსთა დღეთაჲ, 2,26).

„საიდან“ გადმოცემულია აგრეთვე **სით** კავშირით, რომელიც მიღებულია რედუქციის ნიადაგზე: **საით—სით.** ირთავს **-ცა** ნაწილაკსაც: **სითცა.** ენაში გავრცელებულია ურედუქციო ფორმა: **საით || საითაც.**

საით ფუძეზე **-კენ** თანდებულის დართვით გამომუშავებულია კავშირი **საითკენაც.**

საცა კავშირი მიღებული უნდა იყოს **სადაცა-**ს ფონეტიკური გამარტივების გზით: **სადაცა→ სადცა→ საცა.** არ არის გამორიცხული **-ცა** ნაწილაკის დართვა უშუალოდ **სა** ფუძეზე.

-ღა ნაწილაკის დართვით **საცა** გვაძლევს **საცხა-**ს: **საცაღა→ საცღა→ საცხა** (ბგერის დაკარგვა და შემდეგ ასიმილაცია).

სემანტიკური სიახლოვე **-მდე || -მდის** თანდებულისა და **სადა** ზმნიზედა-კავშირისა საფუძველს იძლევა მათი გაერთიანებისათვის: **სადამდე — სადამდის || სადამდეც, სადამდისაც || სადამდისცა || სადამდისინ || სადამდინს.**

სადაც-ის ვარიანტია **სიდაც** კავშირი, — აქედან: **სიაც** (**დ-**ს დაკარგვით).

სარამ კავშირი გამომუშავებულია **სა-**ზე **რე** ნაწილაკის დართვით და **-მდის** თანდებულის გამარტივებით. შდრ. **სარამდი(ს). სარამდის-**ში **ა** შეიძლება ახსნილიყო **-მდის** თანდებულთან ორგანული წინამავალი **ა-**ს (ვითარებ. ბრ.) ანალოგიით, მას შემდეგ, რაც **რე-**ს **ე** დაიკარგა. ამგვარად: **სა-რე-მდის → სა-რ-ა-მდის → სა-რ-ა-მ. -რე** ნაწილაკიანი ზმნიზედა ენაში ცნობილია: **სარე** — სად (იმერულში).

სადა-ს გვერდით ენაში ფართოდ გავრცელებულია **სანა-**ს საფუძველზე აღმოცენებული კავშირი. **სა-ნ-ა** სიტყვაში შესაძლოა იგივე **ნ** გვაქვს, რომელიც მოცემულია **ვინ** სიტყვაში [1].

ლიტერატურაში აღნიშნულია ზმნიზედებში ერთმანეთის მონაცვლე **-ნა** და **-და** დეტერმინანტები (**ზედა—ზენა, ქვედა—ქვენა, შიდა—შინა, გარდა—გარნა, ვიდრე—ვინამ...**). ამ სიბრტყეზე დგას **სადა—სანა-**ც [2].

-მდე || -მდის თანდებულის დართვით ვღებულობთ: **სანამდე || სა-**

---

[1] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახელ. ნაშრ., გვ. 176.

[2] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გრამატიკული კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 4, 1944, გვ. 451; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: იბერიულ-კავკ. ენათმ. V, 1953, გვ. 526.

ნამდის || სანამდისინ || სანამდისაც... აქედან — გამარტივებული **სანამ** კავშირი.

სანამ-ის ვარიანტია **სინამ.**

დ-ა და **ნ-ა** თავს იყრიან ერთ ფორმაშიც: **სადანა** („სადანა სწერია ეგენი?" კალმას. 8,24. შემონახულია დიალექტურად). აქედან—კავშირი: **სადანაც; დ-**ს დაკარგვით მიღებული **საანაც** (უფრო ახასიათებს თერჯოლურს, სადაც **დ** განსაკუთრებით იკარგება) [1].

მთლად ნათელი არაა ჩემთვის **-კე(ნ)** თანდებულიანი ხევსურული კავშირის — **საისკესაც** ფონეტიკური სურათი.

სა კავშირი, ცნობილი დიალექტურად, დონ-ჩამოცლილი ფორმაა.

მა

იგი ნაცვალსახელის ფუძე ირიბ ბრუნვებში **მა მან-**ის საფუძველზე გვაძლევს კავშირს **მანამ : მა-ნ-ა-მ.** ბოლო **მ** ნაშთია **-მდის** თანდებულისა. მართლაც **მანამ-**ის ბადალია ფართოდ გავრცელებული თანდებულიანი კავშირი: **მანამდის — მანამდი — მანამდე.** დიალექტურად გვხვდება **მანემდის** (ა→ემ-სთან!).

მანამ-ის ვარიანტია **მინამ.**

ა. შანიძის აზრით, **მანამდის** მომდინარეობს **მუნამდის-ოდან** [2].

ესე ნაცვალსახელისა და **-იგი** ნაწილაკის კომბინაცია გვაძლევს **ესე-იგი** კავშირს. მომდინარეობს ძველი ფორმისაგან: **ესე იგი არს..**

ბ

ნაწილაკური წარმოშობის კავშირები

არამედ კავშირი უნდა დაიშალოს ასე: **არა+მედ. არა** უარყოფითი ნაწილაკია; **მედ** უნდა წარმოადგენდეს ისტორიულ ქართულში ცნობილი **-მე** ნაწილაკის პროტოტიპს (ეგეთ **მედ** გაქვავებული სახით შემონახულია **ვითარმედ** კავშირში).

ძველ ქართულში **არა-**სთან ხშირად გვხვდება **მე: არა-მე** (მაგალ. მთ. 6,26; 12,11; ლ. 6,39; 15,9 და მისთ.), რომელიც კავშირი თუმცა არ არის, მაგრამ ეს შეხამება ჩვენთვის საინტერესოა **არა** ნაწილაკისა და **-მე** ნაწილაკის ურთიერთობის თვალსაზრისით.

არამედ ძველ ქართულში მარტივი წინადადების ფარგალში ნაწი–

---

[1] შ. ძიძიგური, ძიებანი, გვ. 157.

[2] აკაკი შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 627.

ლაკის მოვალეობას ასრულებს. ამაზე ქვემოთ, **გარნა**-სთან დაკავშირებით.

სავსებით ნათელი არ არის, მაგრამ საეჭვო ვარაუდის სახით შეიძლებოდა ამასთან დაკავშირებით გაგვეანალიზებინა **მაგრამ** კავშირი. ჩვენ ნაჩვენები გვაქვს, რომ ეს კავშირი შედარებით ახალია, — თუ ვიმსჯელებთ სალიტერატურო ძეგლების მიხედვით, — საშუალო ქართულში ყალიბდება. ამავე დროს, თავდაპირველი სახეა მისი **მაგრამე**. შეიძლება დავუშვათ, რომ აქ გვაქვს იგივე **არა**-მე, ოღონდ გართულებული **მაგ** ელემენტით, რომელიც შეხორცებია **არამე**-ს. **მაგ-ა** (აქედან: **მაგ**) ძველ ქართულში კარგად ცნობილი ფორმაა: **ეგე** პირის ნაცვალსახელის ანდა **ეგე** ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძეა ირიბ ბრუნვებში. თუ ასეა, მაშინ რედუქციით მივიღებდით: **მაგ-არა-მე—მაგ-რა-მე**. **მაგრამე**-ს ენაში განუცდია გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები: დაკარგულა ბოლო **ე** (**მაგრამ**), დაკარგულა **მ-ც** (**მაგრა**); მეორე მხრივ, **მაგრამ**-ში ჯერ გამარტივებულა **გ** (**მარამ**), შემდეგ — **მ-ც** (**მარა**); **მარა**-ს მიღება შეიძლებოდა **მაგრა**-დანაც. **მაგრამ** აგრეთვე გვაძლევს **მაგრემ**-ს (**ა— ე** მ-თან). აქედან **გ**-ს დაკარგვით მიღებულია **მარემ**, ბოლო ბოლო **მ**-ს დაკარგვით — **მარე**.

ამრიგად, ვღებულობთ ფონეტიკური განვითარების ასეთ სურათს:



ნაწილაკური დასაბამი უნდა ჰქონდეს **და** კავშირსაც.

და-ს ნაწილაკობის შესახებ ჩვენ გარკვეულ მოსაზრებებს გამოვ-

თქვამთ შრომის იმ ნაწილში, სადაც ვეხებით ქვეწყობის გენეზისის კითხვას კავშირის ჩვენებათა მიხედვით. აქ იმას-ღა დავუმატებთ, რომ ამ ვარაუდისათვის მნიშვნელობა აქვს **და**-ს ხმარების გარკვეულ კონტექსტებს, სადაც მისი ნაწილაკური ბუნება ადვილად სარწმუნოა. ეს ის კონტექსტებია, როდესაც ახალ ქართულში **და** მიეკვრის სიტყვებს და გამოხატავს გაკვირვებას, მოწონებას, კმაყოფილებას, საყვედურს.

აი ზოგიერთი ტიპობრივი მაგალითი:

ოჰ, რა არზა დავწერე-და?! (რ. ერისთ.); ჩვენ კი გული გადაგვიტრიალდა-და! (აკაკი); ჰეე, რა სეირია-და! ისმოდა ხმა სოფელში (ვაჟა); ღვინო დალიე-და! (ვაჟა); ბიჭო-და, რა სანახავია **ტყე... (ლომ.).**

ეგევე **და** არის სიტყვაში: **მართლაც-და || მართლა-და** ან კიდევ **ჰო-და**-ში („**ჰო-და**, იმათაც რომ შენსავით გაემარჯვათ, ხომ გეამებოდა!“ აკაკი, 496). ასევე ნაწილაკი ჩანს სიტყვაში: **კნინღა-და:** თითქმის (გ. მთაწმიდ. 48,9; 115,3).

ნაწილაკად გამოიყურება **და** მთელ რიგ კავშირთა შედგენილობაშიც (ამაზე ქვემოთ).

დიალექტურად **და** იკვეცს ბოლოკიდურ ხმოვანს და რჩება მარტო **დ.**

ეტიმოლოგიურად **და**-ს უკავშირებენ **-ცა** ნაწილაკს. ნ. მ ა რ ს **და || ცა** დაკავშირებული აქვს ბასკურ **ედა-თა, ედა-ტა** ფორმასთან [1].

ანუ კითხვით წინადადებაში გვეცლინება. იგულისხმება ამ ტიპის წინადადებანი: „ჯერ არსა ხარკისა მიცემაჲ კეისარსა **ანუ** არა?“ (მათე, 22,17). საინტერესოა აგრეთვე მისი დაპირისპირება **-მე** კითხვით ნაწილაკთან: DE მათე 7,9; „**ანუ** ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძჱ თჳსი პურსა, ქვაჲ ნუ მისცეს მას?“ შდრ. C: „ხოლო იყოს-მე ვინ თქუენთაგანი კაცი...“.

ნუ კარგად ცნობილი ნაწილაკია ქართულ ენაში. ხომ არ დაიშლება **ანუ** ასე: **ა-ნუ**, სადაც **ა** კითხვითი **ა** იყოს? ყოველ შემთხვევაში, **ანუ** კავშირის მჭიდრო ურთიერთობა ნაწილაკთან ეჭვს გარეშეა. **ანუ** ზოგჯერ თუ ნაწილაკითაა გართულებული: **ანუთუ.**

ანუ-ს გამარტივებით მიღებულია **ან. ან**-ს ეკვრის **და** კავშირი, რომელიც გადმოსულია წინა პოზიციიდან **და ან: ანდა.**

ნუ-ს ძველ ქართულში ხშირად ერთვის **უკუე** ნაწილაკი და **ნუ-**

---

[1] ნ. ნ ა რ ო, Термины из абхазско-русских этнических связей: «Лошадь» и «Тризна»: Избр. работы, V, გვ. 130.

უკუე რაჲთა არა-ს ადგილას იხმარება სპეციალურ კონტექსტებში. ე. ი. კავშირია.

-ცა ნაწილაკის დართვით **ნუ** გვაძლევს გარკვეული სემანტიკის კავშირს: **ნუცა... ნუცა. ნუ-რა-ს** საფუძველზე მიღებულია **ნურც(ა).**

არა ნაწილაკი დასაბამია — **ცა** ნაწილაკის შემწეობით — კავშირისა **არც(ა)... არც(ა).** როგორც ვიცით, უამნაწილაკოდაც იხმარება: **არა... არა.**

ვერა ნაწილაკი + **ცა** გვაძლევს კავშირს: **ვერც(ა)...ვერც(ა).**

კი კავშირი იგივე **კი** ნაწილაკია გენეტურად [1]. საინტერესოა, რომ **კი**-კავშირისა და **კი**-ნაწილაკის მჭიდრო ურთიერთობა კარგად ჩანს აქედანაც: **კი** იმდენად ახლოა სიტყვასთან (როგორც ნაწილაკი), რომ ზოგიერთი ავტორი (ნამეტურ მე-19 საუკ. ენაში) დეფისით აკავშირებს მას სახელთან: „მოგეშველები, ქორი-**კი** ვერაფერს დაგაკლებს“ (ვაჟა 210); „დაუძახა დედაკაცს, თვითონ-**კი** ხარებს უშვებდა უღლიდან“ (ვაჟა 217); „ჯერ იუცხოვა, მერე-**კი** ისე შეუჩნდი...“ (აკაკი 477); „თქვენ უფალი ხარ ჩემი, მე-**კი** თქვენი ასული“ (მაჩაბ. 23).

კი ზოგჯერ იხმარება **ან**-თან ერთად კითხვით წინადადებაში: „რა საჭიროა **ან კი** ხეებისათვის სინედლე?“ (ვაჟა 94); „**ან კი** რას ავიდოდა ხეზე?“ (ვაჟა 26); „რა მეთქმის **ან-კი**?“ (ვაჟა 92). ფუნქციურად **ან კი** უდრის **ანდა**-ს. უეჭველია, ამ კონტექსტში **კი** ნაწილაკია. **კი** ნაწილაკი ებამება, აგრეთვე, როგორც ვიცით, **თუ** კავშირს: **თუკი.**

ნაწილაკური წარმოშობისაა აგრეთვე **დაღათუ** და **დაღაცათუ** კავშირები: **და-ღა-თუ, და-ღა-ცა-თუ.**

დაღათუ-ს ორთოგრაფია მოითხოვს განმარტებას.

ოთხთავის ენაში **და ჯერ** კიდევ გამოყოფილია: **და ღათუ,** რასაც ნათლად აჩენს ტმესი: „**და შე-ღათუ-წუხნა**“ (მათე 14,9), ანდა: „**და** უნდა **ღათუ** მისი მოკლვაჲ“ (მათე 14,5) [2]. მომდევნო ხანის ძეგლებში **და** შერწყმულია **ღათუ**-სთან: **დაღათუ.**

გამოსარკვევია **გარნა.**

ძველ ქართულში ეგ სიტყვა იხმარება კავშირად. გარდა ამისა, იგი გვხვდება მარტივ წინადადებაში და არსებითად იმავე შინაარსს გამოხატავს, რაც მოცემულია სიტყვაში — „გარდა“, ანდა: „თუ არ“.

რა მეტყველების ნაწილია **გარნა?**

გარნა არ შეიძლება თანდებულად მივიჩნიოთ, რადგან, როგორც

---

[1] მომდინარეობს **კიდევ**-ისაგან (ა. შანიძე ქართ. გრამატ. საფუძვლ., გვ. 626).

[2] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, წინასიტყვაობა, გვ. 051.

ცნობილია, თანდებული გარკვეულ ბრუნვას მოითხოვს მასთან დაკავშირებული სახელისაგან. **გარნა** ნაწილაკია.

მოვმართოთ **გარნა**-ს შემცველი წინადადების ანალიზს და გამოვარკვიოთ ამ ტიპის წინადადების კონსტრუქციული ნიშნები.

პირველი ნიშანი ისაა, რომ სათანადო წინადადება უარყოფითია: წარმოდგენილია ნაწილაკები: **არავინ, არარაჲ, არღარა**... უარყოფა არ შეეხება მხოლოდ ერთ წევრს, რომელსაც წინ უზის **გარნა** და სწორედ ეს სიტყვა მიუთითებს იმაზე, რომ ეს წევრია გამორიცხული, „გარდა ამისა“, „მხოლოდ გარდა ამისა“. **გარნა** შეიძლებოდა დაგვეხასიათებინა, როგორც გამორიცხვითი ნაწილაკი. აქედან ისიც გასაგებია, რომ **გარნა**-სთან ერთად წინადადებაში შეიძლება მონაწილეობდეს **ხოლო**, **გარნა**-სთან დაკავშირებული სახელი კი სხვადასხვა ბრუნვაში გვევლინება (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, მოქმედებითი), და ეს ბრუნვები გამოწვეულია არა **გარნა**-ს მიერ (და ამიტომ არაა **გარნა** თანდებული), არამედ ზმნა-შემასმენლის მიერ, რომელიც მოცემულია ამ მარტივ წინადადებაში. ავიღოთ, მაგალ., „არავინ იცის ძჳ, **გარნა** მამამან“. სემანტიკურად აქ ნავარაუდევია, რომ ძჳ არავინ იცის, გარდა ამისა, თუ არა, — მხოლოდ მამამ იცის. სხვამ არა. მოთხრობითი ბრუნვა **(მამამან)** კი გამოწვეულია იმით, რომ ზმნა-შემასმენელი **იცის** მოითხოვს ამ ბრუნვას, — მაშასადამე, **მამამან** აქ ქვემდებარეა. შდრ. დადებითი წინადადება: „**იცის მამამან**“ — „არავინ **იცის გარნა მამამან**“. შეიძლებოდა აქ გამორიცხულობის გაძლიერების მიზნით გვქონოდა **ხოლო**: „არავინ იცის გარნა მამამან **ხოლო**“ (შდრ., არავინ იცის... **გარნა** მამამან მხოლომან“: მრ. 13,32). მართლაც, **ხოლო** ხშირად მონაწილეობს ამ კონსტრუქციაში: „არავინ იხილეს, **გარნა** თავადი იესუ **ხოლო**: „არავინ იცის გარნა მამამან **ხოლო**“ (შდრ., „არავინ იცის... ზმნა-შემასმენლის მიერ **(იხილეს)**, მაშასადამე, დამატებაა; **ხოლო** აძლიერებს **გარნა**-ს სემანტიკას. „ესე არარაჲთ განასხამს ეშმაკთა, **გარნა** ბერზებულითა“: აქ მოქმედებითი ბრუნვით გადმოცემული სიტყვა **(ბერზებულითა)** უბრალო დამატებაა, მაშასადამე, ზმნა-შემასმენელთანაა დაკავშირებული.

გავეცნოთ ასეთ მაგალითებს:

არარაჲ არს ჩემ თანა სოფლისა ამის საქმარი..., **გარნა** ძაძაჲ ესე (კიმ. 252,6); ...არა იპოვებოდა მონასტერსა მას შინა, **გარნა** სამი პური საზრდელად ძმათა დღითი-დღედ (კიმ. 273,37); ...ვერარაჲთ შესაძლებელ არს განსლვად, **გარნა** ლოცვითა და მარხვითა (მარკ. 9,29); სხუაჲ ნავი არა იყო მუნ, **გარნა** ერთი

ხოლო (იოვ. 6,22); არა გჳის ჩუენ მეუფეჲ, **გარნა** კეისარი (იოვ. 19,15).

ამრიგად, ნათელია, რომ **გარნა**-ს არავითარი სინტაქსური დანიშნულება არა აქვს, — მისი ფუნქცია მხოლოდ და მხოლოდ სემანტიკის სფეროში ძევს. **გარნა**-ს სემანტიკური ბადალია **გარდა, თჳნიერ**, რომლებიც ემიჯნებიან **გარნა**-ს სინტაქსურად: სახელისაგან ბრუნვებს მოითხოვენ, თანდებულებია.

საინტერესოა, რომ აქა-იქ შეიძლება, შეგვხვდეს ისეთი მაგალითები, როდესაც **თჳნიერ** არ გვევლინება თანდებულის როლში და ცვლის **გარნა**-ს, მის ადგილას იხმარება. მაგალ.: „არა არს კეთილი მათ შინა, **თჳნიერ** გახარებაჲ და ქმნაჲ კეთილისაჲ ცხორებასა შინა თჳსსა“ (ეკლეს. სოლომ. 194, გ. 12: პეტრიწის თარგმ.); „და არა არს კეთილ კაცთა, **თჳნიერ** ჭამაჲ და სუმაჲ...“ (იქვე, 190, § 25: პეტრ. თარგმ.).

გარნა-ს ადგილას იხმარება აგრეთვე **არამედ**. მათ შორის მსგავსებაა შინაარსობლივად (‘გარდა’, ‘თუ არა’, ‘მხოლოდ’) და, ამავე დროს, არა აქვთ სინტაქსური ფუნქცია.

აი ზოგიერთი მაგალითი:

არღარავინ იხილეს, **არამედ** იესუ ხოლო მათ თანა (მრ. 9,8: C); სასწაული არა ეცეს მას, **არამედ** სასწაული იონაჲსი (ლ. 11,29).

და მართლაც: აქ მოვიყვანეთ მაგალითები ოთხთავის C რედაქციიდან, სადაც იხმარება **არამედ**, DE რედაქციაში შესაბამის ადგილას **გარნა** გვხვდება:

არავინ იხილეს, **გარნა** იესუ ხოლო მათ თანა (მრ. 9,8).

ამასთანავე, თუ D რედაქციაში არის **არამედ**, C და E ვარიანტებში მოცემულია **გარნა**:

ღმერთი ვერვინ სადა იხილა, **გარნა** მხოლოდ შობილმან ძემან (იოვ. 1,18).

გარნა—არამედ ნაწილაკების განვითარებაა მათი გამოყენება კავშირებად. **გარნა, არამედ** კავშირებს შერჩათ **გარნა, არამედ** ნაწილაკების სემანტიკური ბუნება: წინადადების კონსტრუქციაც შესაბამისია — უარყოფითი შინაარსისაა.

ეტიმოლოგიურად **გარნა** იშლება ასე: **გა-რ-ნა — გა-რე-ნა**[1]. **გა** უნდა იყოს იგივე მასალა, რაც მოცემულია პრეევრბისეულ **გა**-ში; **-რე** ნაწილაკია; **ნა** ელემენტი ვარიანტია **და**-სი (შდრ. ზე-ნა || ზე-და)

[1] ვ. თოფურია, ძი ნაწილაკი ქართულში: ენიმკის მოამბე, XVI, 1944,

და, ამდენად, სრულიად გასაგებია, რომ **გარნა**-ს ვარიანტია **გარდა** (**გა-რე-ნა** || **გა-რე-და**). **გარ-ნა**—**გარდა** სემანტიკურადაც ერთმანეთს ფარავენ.

ხოლო ძველ ქართულ ენაში დამხმარე სიტყვაა, ნაწილაკის გაგება აქვს. იგი „შეზღუდვითი ნაწილაკია“ ისეთ მაგალითებში, როგორიცაა: „გარნა **ხოლო** ერთი პური აქუნდა ნავსა შინა“ (მრ. 8,14); „განბანილსა მას არა უკმს, გარნა ფერკნი **ხოლო** ბანად“ (ი. 13,10); „**იგი ხოლო** ვთქუა“ (გ. მთაწმიდ. 6,1); „**იგი ხოლო** დაიმჭირე“ (გ. მთაწმიდ. 98,5). **ხოლო** დაისმის, აგრეთვე, მეორე ადგილზე და კი ნაწილაკს უდრის, როგორც ეს შენიშნულია ა. შანიძის[1] მიერ: „უფროჲს **ხოლო**“ (გ. მთაწმიდ. 23,2), ე. ი. უფრო კი; „აწ **ხოლო**“ (გ. მთაწმიდ.), ე. ი. ახლა კი; „მეორესა **ხოლო** წელსა“ (გ. მთაწმიდ.), ე. ი. მეორე წელს კი.

მეგრულში მისი ფარდია **ხვალ-ე**, ჭანურში **ხვალ-ა** (ო—ვა).

ხოლო-მ ენაში კავშირის ფუნქცია განივითარა.

ნაწილაკოვანი დასაბამი უნდა ჰქონდეს **თუ** სიტყვას: კითხვითი ნაწილაკია. ახალ ქართულში მას კითხვითი სიტყვის გაგება აქვს, გარდა იმისა, რომ იგი გამოყენებულია კავშირად. მაგალ.: „მეფერები **თუ**?“ (ილია 282,11); „არა გჯერა **თუ**?“ (ილია 282,11).

ვ. თოფურიამ ამ სიტყვის თანხმოვნითი ნაწილი დ-საგან მომდინარედ მიიჩნია: **ძი** ნაწილაკის თავდაპირველი სახე შესაძლოა **დი** იყოს, ხოლო **თუ** დასაშვებია **დი**-საგან ნაყარად გამოცხადდეს,— ხმოვნითი ნაწილი დაზუსტებას მოითხოვსო; სვანურში **ძი**-ს ბადალია **დო**, რომელიც მეორეული ჩანს და ისიც **დი**-საგან უნდა იყოს წარმომდგარიო[2].

თუ კავშირი დაირთავს **-ცა** ნაწილაკს: **თუცა** იგუებს **-ღა** ნაწილაკსაც როგორც უშუალოდ დართვით — **თუღა**, ისე **ცა**-სთან შეხამებით: **თუცაღა**.

-მცა ნაწილაკის დართვით მიღებულია **თუმცა** კავშირი.

თუ-ს ეხამება **კი** ნაწილაკიც: **თუკი**.

---

[1] ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა: ლექსიკონი („ძველი ქართული ენის ძეგლები“, 3).

[2] ვ. თოფურია, **ძი** ნაწილაკი ქართულში: ენიმკის მოამბე, XVI, 1944, გვ. 175.

წინა პოზიცია უკავია **უკუე** ნაწილაკს: **უკუეთუ**, რომელიც ფონეტიკური გამარტივებით გვაძლევს **უკეთუ**-ს.

თუ და **სთქუა** ზმნის კომბინაცია (**თუ სთქუა, თუ სთქვა**) საშუალო ქართულში (ვისრამიანი, პროზ. შაჰნამე, არჩილი) გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი ზმნიზედა-კავშირია. თუ **სთქუა** საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ენაში — ხალხურ მეტყველებაში — არსებობდა ამგვარი შეხამება: **თუ ითქუას**, საიდანაც შეიძლებოდა წარმოშობილიყო **თითქო(ს)** ზმნიზედა (წინამავალი **უ**-ს გაუჩინარებით და **უა-ჭა-ვა** კომპლექსის **ო**-დ ქცევის გზით. აქ **უი**-ს შეეძლო მოეცა **უ—თუთქოს**, მაგრამ, სავარაუდებელია, მახვილი იქნებოდა **ი**-ზე, ამიტომ წინა **უ** ჩავარდა).

აი ზოგიერთი მაგალითი ახალი სალიტერატურო ქართულიდან, საიდანაც ჩანს, რომ **თითქო(ს)** მარტივი წინადადების ფარგალში ზმნიზედის ფუნქციით გვხვდება:

> ან დავიწყებით, ან შებრალებით წარსულ სიამე **თითქოს** ჩემს გულში სურვით ნაცნობს ძველ კვალს ჰპოებდა (გრ. ორბელ. 35); ეს ჩემი სიტყვა **თითქო** გაუკვირდა (ილია 280,38); ახლო-მახლო წყარო ჩამოჩხრიალებდა და **თითქო** ნანას ეუბნებოდა დაძინებულ ბუნებას (ყაზბ. 51).

თითქოს პოტენციურად ამჟღავნებს თავის ეტიმოლოგიურ ბუნებას და „სხვათა სიტყვის“ **ო**-ს გამოავლენს წინადადებაში შემავალ ერთ-ერთ წევრთან:

> **თითქო** შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მ ო თ ა ვ ს ე ბ უ ლ ა ო (ილია 249); უსურვაზი-კი **თითქოს** აქ ა რ ა ფ ე რ ი ა ო (ვაჟა 139).

აქედან ვღებულობთ **თითქო(ს)** კავშირს, ირთავს **-და** ნაწილაკსაც — **თითქოსდა**.

თუ შეხამებულია აგრეთვე **უნდა**-ზმნასთან: **თუნდა—თუნდაც—თუგინდ**.

არა უარყოფით ნაწილაკთან **თუ** წარმოქმნის კავშირს **თუ არა**. ამ კავშირმა გარკვეული ფონეტიკური ევოლუცია განიცადა. ეს ცვლილებანი შეიძლება წარმოვიდგინოთ ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით; ყველა წევრი გათვალისწინებული ფონეტიკური გრადაციისა, დადასტურებულია სალიტერატურო ენაში თუ დიალექტებში (გარდა ერთისა — ვარსკვლავით აღნიშნულისა).

ს ქ ე მ ა



როგორც ვხედავთ, **თუარა**-ს განვითარების პირველი საფეხურია **-მე** ნაწილაკის დართვა; დროთა ვითარებაში იკარგება ნაწილაკისეული ხმოვანი **ე**, **უა** კომპლექსი და თავისი ბუნებრივი განვითარების გზით მიდის: იჩენს „დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილებას“ (გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი) და **უ** მარცვლიანობას კარგავს [1], **თუარაშ**-ის

[1] შდრ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, 1946 (შესულია წიგნში: „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“, 1954).

ევოლუცია ორი გზით მიიმართება: ერთი გზაა **ჭა** კომპლექსის **ვა**-დ ქცევა, შემდეგ შესაძლოა ნაწილაკისეული თავკიდური თანხმოვანი **(მ)** დაიკარგოს, — კავშირს შესაძლოა **-და** ნაწილაკიც დაერთოს; დაბოლოს იკვეცება ბოლოკიდური **ა**. **თჭარამ**-ის სახეცვალების მეორე გზაა, ნაწილაკისეული **მ**-ს გავლენით, წინამავალი ფართო ხმოვნის **ა**-ს დავიწროება (როგორც ვნახეთ, ქართულში ანალოგიური მაგალითები მოიპოვება); შემდეგ ცვლილება ხდება **ჭა** კომპლექსის **ვა**-დ ცვლის მიმართულებით; შემდგომი პროცესია **ვა**-ს **ო**-დ გადაქცევა (მოვლენა, კარგად ცნობილი ქართულ ენაში); იკარგება ნაწილაკისეული **მ** და ბოლოს იკვეცება ბოლოკიდური **ე**.

ამგვარად, **თუ**-ს საფუძველზე მიღებულია კავშირები; **თუცა, თულა, თუცაღა, ღათუ, უკუეთუ — უკეთუ, თუ სთქუა, თითქოს(და) თუნდა — თუნდაც, თუგინდ, თუარა, თჭარამ, თვარამ, თვარა(და), თვარ, თჭარემ, თვარემ(და), თორემ, თორე, თორ.**

ერთი მხრით, გვაქვს მარტივი ფუძის კავშირი, მეორე მხრით, **თუ**-ს შეხამება ზმნის პირიელ ფორმებთან და, მესამე მხრით, **თუ**-ს შეხამება **არა** უარყოფით ნაწილაკთან.

კავშირის შედგენილობაში მონაწილეობენ ნაწილაკები: **ცა, -ღა, უკუე, -მცა, -და, -მე.**

C

ზმნური წარმოშობის კავშირები

გინა კავშირი წარმოადგენს ნ დ ო მ ა ზმნის მეორე პირის ფორმას **(მინა, გინა, უნა)**. მას **თუ**-ც ერწყმის: **გინათუ.**

აღორძინების ხანის ენაში და, მით უფრო, ახალ ქართულში გვაქვს **გინდ(ა)**, ი შ ვ ი ა თ ა დ **-ც** ნაწილაკდართულადაც: **გინდაც.**

ამ კონსტრუქციას ეხმაურება ზმნის პირველი პირის ფორმიანი კონსტრუქცია: **მინდა... მინდა, გვინდა.. გვინდა.**

ზმნური წარმოშობისაა, აგრეთვე, **მართალია: ←მართალი არის, თუნდა(ც) ←თუ უნდა.**

ამავე წარმოშობისაა **თითქოს ←თუ ითქვას.**

ზმნური შედგენილობისაა საშუალო ქართულში **თუ სთქუა (თუ ხთქვა)**, გამოყენებული კავშირად:

ეგ ნაცვალსახელი **-რე** ნაწილაკის დართვით გვაძლევს **ეგრე**-ს, რომელიც იხმარება კორელატად. მოქმედებითი ბრუნვის **ათ**-ის საშუალებით ნაწარმოებია **ეგრე-ათ** ზმნიზედა, აგრეთვე გამოყენებული კორელატად. ბრუნვისეული ხმოვნის დაკარგვით მიღებულია **ეგრეთ. ეგრე** დაირთავს **-ცა, -ვე** ნაწილაკებსაც: **ეგრეათცა (ეგრეშთცა), ეგრეცა ეგრეათვე (ეგრეშთვე), ეგრევე, ეგრეთვე. ეგ**-ს შეერწყმის **ოდენ, ზომ** სიტყვებიც: **ეგოდენ, ეგზომ.**

მანამ, მანამდის (მინამ, მინამდის) კორელატი, რომელიც აგებულია **მა** ფუძეზე, ამავე დროს, კავშირიცაა, და იგი განხილულია ზემოთ, სათანადო ადგილას.

კორელატ-სიტყვაა ადგილის ზმნიზედა **მანდ(ა)**. იგი ძველ ქართულში გვხვდება და ახალ ქართულშიც გავრცელებულია. მაგალითები ძველი ქართულიდან: „დასხედით **მანდა**:“ მთ. 26,36; „არიან **მანდა** მდგომარეთაგანნი“. ლ. 9,27; „შენ **მანდა** იარები“; ლ. 16; 25:C.

მანდა-ს პარალელურია **მადა** ზმნიზედა: **მანდა** მიღებულია ან **მან||მად**-ის კონტამინაციით ანდა **დ**-ს წინ **ნ**-ს განვითარებით ფონეტიკურ ნიადაგზე[1] (**მა-ნ-დ-ა, მა-დ-ა**). **მანდ(ა)** — **მადა** ცნობილია. როგორც კორელატი.

მუნ ვარიანტი აგრეთვე მონაწილეობს კორელაციაში (**მუნ** ადგილის ზმნიზედაა).**მანდ(ა)**-ს ბადალია **მუნდ**, რომელიც, ნ. მარის დაკვირვებით, ჩანს **მუნთ-ჭუესვე**-ში[2] (**მუნდ**-ში **დ** დაყრუებულა მომდევნო **ჭ**-სთან მეზობლობაში). **მუნ** კორელატი შეიძლება დაირთავდეს ბრუნვის ნიშანს, ნაწილაკებს და თანდებულს: **მუნ-ცა||მუნვე || მუნ-ა-მდის (მუნ-ა-მდინ-ცა) || მუნ-ით || მუნ-ით-ვე || მუნით-გან || მუნ-ით-კენ.** შეიძლება მოგვეველინოს ვითარებითშიც: **მუნ-ად**[3].

კორელატად გამოყენებულია ძველ ქართულში კარგად ცნობილი დროის ზმნიზედა **მუნჭუეს, მუნჭუესვე, მუნთჭუესვე,** (უდრის: მაშინვე, იმ წამსვე, სასწრაფოდ). გამოიყოფა **მუნ,** ხოლო მეორე შემადგენელი ნაწილია **ჭუეს,** რომელშიც უნდა გექონდეს **ჭუ** მასალა და იგი გვაქვს **უ-კუ-ე** ნაწილაკში (აქედან: **უკვე**); იგივე **ჭუ** უნდა დავინახოთ დიალექტურად გავრცელებულ **ჭვე--ჟე** სიტყვებში:

---

[1] არნ. ჩიქობავა, მოთხრ. ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები, X, 1939, გვ. 174.

[2] H. Марр, Древнегрузинско-русский словарь.

[3] ი. პეტრიწის შრომები, II, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, 147,22.

B. კორელატთა მორფოლოგიური ანალიზი

კორელატთა ეტიმოლოგიურ-მორფოლოგიური ანალიზი გვეუბნება, რომ ისინი ნაცვალსახელურ-ზმნიზედური წარმოშობისაა. ამოსავალია ფუძეები: **ის, მა, ამ, იმ, ეს(ე), ას(ე), ეგ(ე), რა, მუნ, იქ, მეყ, ყოველი — ყველა.**

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

პირთა ნაცვალსახელი **ის** გამოყენებულია კორელატად როგორც სახელობით — **ის, ისი,** ისე ირიბ ბრუნვებში — **მას მან!! იმან.**

ეს ნაცვალსახელი ქართულში დაირთავს **-რე** ნაწილაკს: **ესრე,** აქედან მოქმედებით ბრუნვაში: **ესრეჲთ (ეს-რეჲთ);** ასევე **ის-რეჲთ.** შემდეგ ბრუნვისეული **ჲ** იკარგება: **ეს-რეთ.** აქეღან — კორელატები: **ესრეჲთ, ესრეთ (ესრეთვე), ისრ** (გამარტივებით).

ეს-ის ნაცვალსახელს ძველ ქართულშივე ეხამება **ოდენ.** ეღებულობთ ზმნიზედას: **ესოდენ (ისოდენ).** მაგალ., „რაჲსა **ესოდენ** მოშიშ ხარ?“ (მარკოზ. 4,40). რედუქციით მიღებულია **ესდენ,** ხოლო **ს**-ს გავლენით **დ** ყრუვდება **თ-დ**[1]: **ესთენ.** მაგალ., **„ესთენ** ჟამ თქუენ თანა ვარ“ (იოვ. 14,9:C **„ესთენი** სასწაული ექმნა მათ წინაშე“ (იოვ. 12,37:C). **ისდენი**-სათვის მოვიყვანთ მაგალითს: **„ისდენი** მარხვა-წყურვილი კაცთაგან დიაღ ძნელია“ (მე-17 საუკ.: „ალექსიანი“)[2].

ასთე—ისთე კორელატი მიღებული უნდა იყოს სწორედ ამ ფორმიდან: **ისთენ (ასთენ)→ ისთე (ასთე),** ბოლო **ნ**-ს დაკარგვით. მაშ, ეღებულობთ ამ განვითარებას: **ისოდენ→ისდენ→ისთენ→ისთე.**

ისეთი—ასეთი, შესაძლოა, წარმომდგარი იყოს მოქმედებითი ბრუნვის ფორმიდან: **ისრეჲთ — ისეჲთ→ისეთ-ი.**

ისეთ-ის ვარიანტია დიალექტური **ისით, ისთე-**ს ვარიანტი კი — **ისთაყ (ის-თა-ყ).**

კორელატად გამოყენებულია აგრეთვე **იგი** პირთა ნაცვალსახელი, ნაწილაკდართულად: **იგიცა, იგივე. -რე ნაწილაკის** გამარტივებით: **იგრ.**

---

[1] ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა: „ძველი ქართული ენის ძეგლები. 3“. გვ. 69.

[2] ძვ. ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია, I ს. ყუბანეიშვილის გამ., გვ. 404.

ნაწილაკებსაც: **მაშინც(ა), მაშინავე || მაშინვე || მაშინღა. მაშინავე-ს** ფონეტიკური გამარტივებით **(ნ, ე)** ვღებულობთ **მაშიავ, ა-ს** დაკარგვით: **მაშივ. მაშინ(ა)** გეევლინება ვითარებითი ბრუნვის ნიშნით: **მაშინადვე, დ-ს** დაყრუებით: **მაშინათვე || მაშიათვე. მაშინც-**ში **შ-ს** დაკარგვით მიღებულია **მაინც** კორელატი.

მაშინ დროის ზმნიზედა ფართოდ გავრცელებულია როგორც ძველ, ისე ახალ სალიტერატურო ქართულში.

კითხვით ზმნიზედად ქართულში გეევლინება **რა-ს** ვითარებითი ბრუნვის ფორმა: **რად-ა.** მისი პარალელური ფორმაა **რაჲსათჳს** (ახ. ქართ.: **რისთვის**). **რად — რაჲსათჳს** ფაკულტატური ფორმებია:

მთ: 27,46:DE	შდრ. C:
რაჲსათჳს დამიტევებ მე?	**რად** დამაგდებ მე?
მთ. 21,25:DE:	შდრ. C:
რაჲსათჳს არა გრწმენა მისი?	**რად** არა გრწმენა მისი?

გვხვდება აგრეთვე **-თვის**-დაურთველი ფორმაც: **რაჲსა** (მაგალ.. მთ. 26, 10; 26,8; 7,3).

ორიოდე ნიმუში **რად-**ის ხმარებისა საშუალო და ახალი ქართულიდან: **„რად** დამწიფდა სრულ ქვეყანას უქმოდ შენი სიყვარული?“ (არჩ. 361,1); **„რადა** ვარ ცოცხალი, **რადა!“** (ვაჟა 58); **„რად** არ აქის მოზდითატ“ (თუშური); **„რად** შეთეტ, **რად** სჯავრობ?“ (თუშ.).

რადა დაირთავდა **-მე** კითხვით ნაწილაკს: **რადამე.** ამ ფორმას ჩვენ ვხვდებით **ე-**ჩამოცლილად მთის კილოებში. მაგალ., **„რადამ** უშვებდეს, რადამ“ (თუშ.); ვაჟასთან ვკითხულობთ: „ეს ოხერი, ფინთს გუნებაზე **რადამა** ვარ, — იძახის მეორე“ (VI, გვ. 437). აქედან ადვილი საფიქრებელია, **ა** დავიწროებულიყო **მ-**ს მეზობლობაში, **დ** დაყრუებულიყო **თ-**დ და შემდეგ გამკვეთრებულიყო, ისევე როგორც მოხდა **რამდენ — რამთენ — რამტენ** სიტყვაში, და საბოლოოდ მიგვეღო **რატომ** ზმნიზედა.[1].

ძველ სალიტერატურო ენაში ადგილის ზმნიზედაა **იქ(ი).** მაგალ., „აჰა, აქა არს ქრისტე, გინა **იქა**“; მთ. 24,23; „...ვიდრემდე მე მივიღე **იქი** და ვილოცო“: მთ. 26,36. ეგეთ სიტყვა ახასიათებს დღევანდელ ქართულს. აქედან იგი გამოყენებულია კორელატად: **იქ||იქ-ით||იქ-ით-კენ || იქ-ამდი || იქ-ინ-ე,** აღსანიშნავია, რომ **-მდის** თანდებულიანი **იქ** მონაწილეობს როგორც ლოკალობის, ისე ტემ-

[1] ეს ეარაუდი გამორიცხავს **რატომ-**ის მიღებას **ამიტომ||მიტომ-**ის ანალოგიით.

პორალური **ჭუ-ე**, ამგვარად, **ჭუე**-ს ჩვენ ვშლით: **ჭუ-ე-ს** (უფრო ვრცლად ქვემოთ).

კორელატები გამომუშავებულია აგრეთვე **ამა**-ს საფუძველზე. ვითარებით ბრუნვაში ვღებულობთ **ამად** კორელატს. მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა: **ამით** კორელატი (||**მით**).

ამით ხევსურულ მეტყველებაში ნიშნავს „ამიტომ“ (შდრ. ბეს. გაბუურის მასალებში: 150,34; 152,18; 157,2 და სხვ. მრავ. შდრ. ძვ. ქართ. **მით**: „შინა ვიღუძებ და **მით** დამეძინებიან“: გ. მთაწმიდ. 94,4). **ამით**||**მით** გავრცობილი სახით — **ამითა** || **მითა**, სავარაუდოა, დაირთავდა **-მე** ნაწილაკს, რომელიც ცნობილი აუცილებელი ელემენტია კავშირებისა; **ამითამე** || **მითამე**. **ე**-ს დაკარგვით და **მ**-სთან წინამავალი **ა**-ს დავიწროებით მივიღებდით: **ამიტომ**||**მითომ**. **თ**-ს განუცდია გამკვეთრება და, ამრიგად, მივიღეთ **ამიტომ** || **მიტომ** კორელატი. ამ ვითარებაში **თ**-ს გამკვეთრებას ჩვენ ვადასტურებთ სხვა შემთხვევებშიც. მაგალ., **რამდენი** სიტყვა დიალექტურად გვაძლევს: **რამტენი**, ამ გზით: **რამდენი**→ **რამთენი**→**რამტენი**. ამ გზითვეა მიღებული **იმტენი** (←**იმთენი**←**იმდენი**). **ამტენი** და მისთ[1]. უნდა მოვიგონოთ უპირატეს — სიტყვაც: ←**უპირადესი**.

ჩვენს ვარაუდს მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს **რატომ** სიტყვის ანალიზი, რომელსაც ვიძლევით ცოტა ქვემოთ.

ამიტომ-ის შინაარსის გამომხატველია ძველ ქართულში **ამისთჳს** || **მისთვის** („და ვითარცა ცნეს ძმათა, მწუხარე იქმნნეს **ამისთჳს**“; არიმათ. 43,7), რომელიც **ამა**-ს დართული **-თჳს** თანდებულიანი ფორმაა. დაირთავს **-ცა** ნაწილაკს: **ამისთჳსცა**.

იმა-ს საფუძველზე გვაქვს **იმ**, **იმან** კორელატი. **-თვის** თანდებულის დართვით მიღებულია **იმისთვის**: **-ისდა** თანდებული გვაძლევს **იმისდა**-ს, საიდანაც ვღებულობთ **იმიზდა** — **იმიზა** კორელატს: **ს** მეღერდება **დ**-ს მეზობლობაში (**იმიზდა**) და შემდეგ **დ** იკარგება (**იმიზა**). სხვა კილოურ სინამდვილეში **-თვის** თანდებული, საერთოდ, წარმოდგენილია ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმით: **-ისად**, და აქედან: **იმის გულისად** (იმისთვის) კორელატი.

ოდენ სიტყვასთან შეხამებით მიღებულია **იმოდენი**, რომელიც განიცდის ფონეტიკურ ცვლილებებს: **იმდენი**→**იმთენი** (||**იმთვენი**)→ **იმტენი** ||**იმდელი**→**იმთელი**→**იმტელი**.

მას ნაცვალსახელისა და **შინა** თანდებულის ნაზავი გვაძლევს **მაშინ(ა)** კორელატს: **მას შინა** — **მაშინ(ა)** (ნ. მ ა რ ი). დაირთავს

[1] გ. რ ო გ ა ვ ა ვარაუდობს, რომ **ამიტომ** მიღებულია ასე: **ამით რომ**—**ამითომ**—**ამიტომ** (ჰიპოტაქსის საკითხისათვის..., გვ. 373).

კორელაციაში („...იმის დაცემა **იჭამდის** არ უნდოდა, სანამ იმის მოძრაობას არ სცდიდა“: ყაზბ. 37; „სანამდისინ ეს მოსულიყო, **იჭამდი** სხვა იყო ხელმწიფეთ“: მესხური).

დროს კორელატია **მეყსეულად** — **მყის**. მომდინარეობს ზმნიზედისაგან: „ხოლო მათ **მეყსეულად** დაუტევნეს ბადენი მათნი“: მრ. 1,18;—„ნუუკუე მოვიდეს **მყის**“: მრ. 13,36:C; „...მაშინ **მყის** მოიქცა იგი...“: ასურ. 12,17; აქედან **მყისი** — სწრაფი (პეტრიწი, I, გვ. 284). წარმოდგება **მეყ** სიტყვისაგან (ე. ი. თვალის დახამხამება): **მეყ**-ის (ნათეს. ბრ.)← **მყის**. შდრ. **მეყსა შინა**.

კორელატი **ყოველი** — **ყველა** იგივე განსაზღვრებითი ნაცვალსახელია.

C. ნაწილაკებისა და თანდებულების მონაწილეობა კავშირთა და კორელატთა შედგენილობაში

კავშირთა და კორელატთა შედგენილობაში მონაწილეობენ: ნაწილაკები — **იგი, ეგე, ესე, ცა, ძი, მე, მცა, ვე, ღა, კი, უკუე, და, თუ** და თანდებულები — **მდის, გან, კენ, იზდა||იზა** და სხვ.

იგი-ეგე-ესე ნაცვალსახელები, ნაწილაკად ქცეულნი, იხმარება **რომელ, რაჲ, რასუამს, ვითარ, ვიდრე, სადა** კავშირებთან. როგორც ვიცით, ეს ნაწილაკები დაესმის სხვადასხვა ბრუნვის ფორმას და აგრეთვე მრავლობით რიცხვს. გავიხსენოთ: **რომელ-იგი, რომელ-მან-იგი, რომლისა-იგი..., რომელნი-იგი, რომელთა-იგი.**

ა. შ ა ნ ი ძ ე მ აღნიშნა, რომ **ესე-ეგე-იგი** იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა ძველად, როგორც დღეს ნაწილაკი **-ც(ა)**, ე. ი. კითხვით სიტყვას კითხვის ძალას უკარგავდა და მიმართებითად აქცევდა ხოლმე. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ა. შ ა ნ ი ძ ე ს კავშირზე დართული **ესე-ეგე-იგი** ესმის, როგორც ნაწევარი, ე. ი. ეს ნაწილაკები იგივეა, რაც სახელთა განსაზღვრების ნაწევარი [1].

ეს გაგება ჩვენთვის მისაღებია, ამოსავალი დებულებაა. ოღონდ საჭიროა კონკრეტულად წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გაუჩნდა კითხვით ნაცვალსახელს ეს განსაზღვრულობის ნაწევარი და როგორ იქცა ის ნაწილაკად.

ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია წინამდებარე ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია ქვეწყობის წარმოქმნის საკითხებზე კავ-

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“, 1935, § 53.

შირის ჩვენებათა მიხედვით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქვეწყობის კონსტრუქციის გამომუშავების პირველ საფეხურებზე კითხვითი ნაცვალსახელი (ატრიბუტული ნაცვალსახელი — **რომელ**) დაკავშირებული იყო სახელთან, რომლის განსაზღვრებასაც იგი წარმოადგენდა და რომელიც წარმოდგენილი იყო აგრეთვე „მთავარ წინადადებაში". ამ სახელს, ბუნებრივია, ახლდა ნაწევარი; შემდეგ ტავტოლოგიურად განმეორებული სახელი გაუჩინარდა და ნაწევარი მიეკრა კითხვით ნაცვალსახელს, მას კითხვითობა დაუკარგა. მიმართებითად აქცია, ნაწევარი კი ნაწილაკად აქცია და ამით აიხსნება, რომ იგი ბრუნვაში არ ეთანხმება მიმართებით ნაცვალსახელს. რელატიური კონსტრუქციის ეს ვითარება უნდა იყოს საფუძველი სხვა კონსტრუქციებისათვის: **იგი-ეგე-ესე** სტანდარტად იქცა. იგი სხვა კავშირებსაც მიეკრა.

ამიტომ ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ **იგი-ეგე-ესე** ნაწილაკი, როგორც განსაზღვრულობის ნაწევრული წარმოშობისა. არ შეიძლება მოექცეს ერთად **-მე** ნაწილაკთან, რომელიც მონაწილეობს მთელ რიგ კავშირებში, — არ შეიძლება იმიტომ, რომ **-მე** განუსაზღვრელობის ნაწილაკია. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ რამდენიმე ნაწილაკი ხშირად თავს იყრის ერთ კავშირში, **იგი—მე** ნაწილაკების კომბინაცია კი შეუძლებელია. მაგალითად, **რამეთუ-ვითარმედ** (და სხვა) კავშირებს **იგი...** (და აგრეთვე მისი ფუნქციური ბადალი **-ცა**) არ ერთვის.

-ც(ა) ნაწილაკი ერთვის **რომელ, რა, როდეს, როს, რადგან, რარიგ, რაგვარ, როგორ, რაზომ, რაკელ, რაოდენ, რამდენ, ვინ, ვითარ, ვიდრე, ოდეს, სადა, არა, ვერა, ნუ, თუ, თუნდა, გინდა** კავშირებს და **იგი, ეგრე, მუნ, იმდენ, მაშინ** კორელატებს.

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში გაბატონებულია **-ცა**, შემდგომ საფეხურებზე იწყება ნაწილაკისეული ხმოვნის დაკარგვა და ახალ ქართულში გაბატონებულია **-ც**. საშუალო ქართულში ერთგვარი კანონზომიერება მყარდება **-ცა-სა** და **-ც-ს** შორის: იმ კავშირებში, სადაც **-ცა** ნაწილაკის წინ გამოვლენილია ენკლიტიკური **ა**, უმთავრესად გამარტივებული ნაწილაკი (**-ც**) გვხვდება; თუ ეს **ა** გაუჩინარებულია, **-ცა** ნაწილაკი მკვიდრია. შდრ. **როგორადაც— როგორადცა, როგორაც — როგორცა, რარიგადაც — რარიგადცა, როსაც — როსცა, ოდესაც — ოდესცა, ვინაც — ვინცა, სადამდისაც — სადამდისცა.**

-ცა ნაწილაკი იმავე დანიშნულებისაა, რა ფუნქციაც აქვს **იგი-ეგე-ესე** ნაწილაკებს; მისი დართვა **რომელ** ნაცვალსახელზე იმავე პროცესის შედეგია, რაც გათვალისწინებული გვქონდა ამ ჩვენებით

ნაცვალსახელებთან დაკავშირებით (ე. ი. გადმოსულია **რომელ-თან** შეხამებული ნომინალური ნაწილიდან, მისი გაუჩინარების შემდეგ). მაშასადამე, **-ცა** განსაზღვრებითი ნაწილაკია (resp. ნაწევარი).

-ცა ნაწილაკი რომ განსაზღვრულობის სემანტიკისაა, ეს კარგად ჩანს წინადადების ერთი კონსტრუქციიდან, რომელიც ყრუდ გვამცნობს **-ცა**-ს ნაწევრულობის დასაბამს. ვგულისხმობთ დამოკიდებული წინადადების ისეთ კონსტრუქციას, როდესაც მთავარი წინადადება უკუთქმითია, ხოლო დამოკიდებულ წინადადებაში კითხვითი ნაცვალსახელი **(რა, ვინ) -ცა** ნაწილაკს არ დაირთავს; დაირთავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეგევე წინადადება დადებითი შინაარსისაა. მაგალ., „**არა უწყი, რა** იყო“ ნორმალური წინადადებაა ქართული ენის თვალსაზრისით, ხოლო „**არა უწყი, რაცა** იყო“ — არაბუნებრივი. სამაგიეროდ, „**უწყი, რაცა** იყო“ სავსებით კანონზომიერი კონსტრუქციაა (ამის შესახებ უფრო ვრცლად ლაპარაკია თავში: „ქვეწყობის გენეზისის საკითხისათვის კავშირის ჩვენებათა მიხედვით“).

რით აიხსნება ეს ფაქტი? უკუთქმითი წინადადება აქ უპირისპირდება დადებით წინადადებას სწორედ იმით, რომ პირველ შემთხვევაში „განუსაზღვრელია“ ზმნით გადმოცემული შინაარსი („**არა უწყი**“), ხოლო მეორე შემთხვევაში რეალურ ვითარებაზე მითითებაა, „განსაზღვრულობას“ გადმოსცემს ზმნა, პრედიკატული განსაზღვრულობაა („**უწყი**“). ამიტომ, ბუნებრივია, აქ უკუთქმითი წინადადების კონსტრუქციაში **-ცა** ნაწილაკი, როგორც განსაზღვრულობის გადმომცემი, თავის გამართლებას ვერ პოულობს, — დადებითი წინადადების კონსტრუქციაში კი ის თავის ადგილასაა.

რომელ-ის საფუძველზე **-ცა** ნაწილაკი დროთა ვითარებაში ერცელდება სხვა კონსტრუქციებში, სხვა ყალიბის კავშირებსაც ეკვრის, — იგი კავშირის ნიშანდობლივი და მიუცილებელი ელემენტი ხდება; **-ცა** ნაწილაკი იფართოებს თავის ფუნქციებს [1].

მართლაც, კორელატ-სიტყვებში გამოვლენა ამ ნაწილაკისა თუ ისეთ კავშირებში, როგორიცაა, მაგალითად: **არც... არც, ვერც... ვერც, ნუცა... ნუცა** იმის მაუწყებელია, რომ **-ცა**-ს სხვა ფუნქციაც აქვს დაკისრებული. აქ ნაწილაკი იმ შინაარსს გამოხატავს, რაც ჩაქსოვილია სიტყვაში „აგრეთვე“. ეს **-ცა** იმავე რიგისაა, როგორიც

[1] ნაწილაკი რომ ყველაზე უფრო ადრე განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადების კავშირს უნდა დართოდა, ეს აზრი გამოთქმული აქვს გ. როგავას დასახ. შრ., გვ. 378. ოღონდ **ეს-ეგე**-იგი ნაწილაკი ავტორს ესმის. როგორც ჩანს, ეარი წინადადების მისამართ წევრთან მიმართების გასაძლიერებელი საშუალება

მოცემულია ჩამოთვლის დროს: „ესენი გროვდებიან: დევაც, ტურაც, ყურდღელიც, მაშალიც, ვირიც, ყოჩიც" (ინგილოური მასალებიდან). შდრ. ძვ. ქართულში **და** კავშირთან შეხამებით: „და შეკრიბეს ყოველი, რავდენიცა პოვეს **ბოროტნიცა და კეთილნიცა**".

-ცა ნაწილაკი ნ. მარმა დაუკავშირა მეგრულ-ჭანურ-თ(ი) იმავე მნიშვნელობის ნაწილაკს [1]. ეს აზრი გაიზიარა არნ. ჩიქობავამ. მან აღნიშნა, რომ **-თ(ი) ც(ა)** ერთმანეთთან ისეთ მიმართებაში უნდა იყვნენ, როგორც ქართ. **თიკანი** და **ციკანი**, ქართ. **ზარმაცი** და მეგრ. **ზარმათი** [2]. ეგეთ **-თ(ი)** ზანურში იხმარება მიმართებით ნაცვალსახელთან: **ნამუთი**, ე. ი. **რომელი-ცა**, **სოდე-თი**, ე. ი. **სადა-ცა** (მეგრ.). **-თი** მეგრულში აგრეთვე ჩვენებითი ნაცვალსახელის როლში გვევლინება. გ. როგავა ფიქრობს, რომ ქართ. ნაწილაკი **-ცა**—*-**თა** იგივე ჩვენებითი ნაცვალსახელი უნდა ყოფილიყო, სადაც **ა** ისეთივე ელემენტია, როგორიცაა მეგრულ **თი**-ში **ი**, ე. ი. ადგილის ჩვენება (**თი**-ში **ი** გამოიყოფა ადგილის ჩვენების გამოსახატავად). შდრ. **ა** ნაცვალსახელში **ა-მა-ს**. **ცა**—*-**თ-ა** უნდა ყოფილიყო ეს [3]. ამრიგად, ქართ. **-ცა** გვერდში ამოუდგება **ესე-ეგე-იგი** ნაწილაკებს.

რე ნაწილაკი იხმარება **ვი**, **სა**, **ეს**. **ეგ**, **იგ** ფუძეებთან: **ვიდ-რე**. **ვითა-რ(ე)**, **ეს-რე**, **ეგ-რე**; **სა** ფუძესთან გამოყენებულია **-მდის** თანდებულთან შეხამებით, ოღონდ ნაწილაკისეული ხმოვანი მოკვეცილია: **სა-რ-ამდის**, თანდებულის გამარტივებით კი — **სა-რ-ამ**; ამოსავალია დიალექტურად გავრცელებული ზმნიზედა ადგილისა **სა-რე** (ე. ი. სად); ხმოვანი იკვეცება აგრეთვე **იგ** ფუძესთან: **იგ-რ**.

რე ნაწილაკთან, გარდა **-მდის** თანდებულისა, შეხამებულია **-ცა** ნაწილაკიც: **ვიდ-რე-ცა**, **ეგ-რე-ცა**.

რე-ნაწილაკი სიტყვათა სამკაულად, „ლექსთა დამამშვიდებლად" ესმით საბას, ანტონს, ჩუბინაშვილს. ნ. მარი მას განმარტავს ასე: образ, некоторым образом [4]. ს. ყაუხჩიშვილი — პეტრიწის ენის მიხედვით — განიხილავს **რე**-ს ზედსართავებთან და ზმნიზედებთან და მას შედარებითი ხარისხის აღმნიშვნელად მიიჩნევს (**უცხორე** — უფრო უცხო, **შორსრე** — უშორესი და ა. შ.) [5].

---

[1] Термины из абхазско-русских этнических связей, «Лошадь», и «Тризна» Избр. работы, V, გვ. 130.

[2] არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 17.

[3] გ. როგავა, დასახ. შრ., გვ. 377.

[4] TP, IV, რმვ.

[5] იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. IX—XII.

ა. შ ა ნ ი ძ ე ამ მაგალითების მიხედვით: „უკუეთუ უმჯობესი **-რე** იყოს“ (გ. მთაწმ. 70,9), „რომელნი მეტად-**რე** უძლურნი იყვნიან“ (იქვე, 75,3) **რე**-ს განმარტავს: ‘ცოტად’ [1].

ესრე-ეგრე სიტყვებში **რე** ნაირობას გამოხატავს: ‘ამგვარად’, ‘ამრიგად’, ‘ამნაირად’.

აქედან გასაგებია მისი სემანტიკა **ვიდრე**-ში [2].

ვე ნაწილაკის მნიშვნელობათაგან ძირითადია იგივეობის ანდა იდენტურობის გამოხატვა. ერთვის ამათ: **იგი, ეგრე, მუნ, მაშინ.** მართლაც, **იგივე, ეგრევე-ეგრეცათვე, მუნვე-მუნქუეს ვე** კორელატებია და ყველგან **ვე** იგივეობითი ნაწილაკია. **მაშინვე**-ში **ვე** სიტყვას ანიჭებს ერთდროულობის, ერთი მოქმედების მეორე მოქმედებასთან სწრაფი მიმდევრობის ნიუანსს და ეს სემანტიკა შეეფერება **თუ არა, როგორც კი** კავშირებს, რომელთა კორელატსაც **მაშინვე** წარმოადგენს.

ყოველივე-ში **ვე** განუსაზღვრელობის ფუნქციით იხმარება.

კავშირ-კორელატებს ემატება აგრეთვე **ღა** ნაწილაკი: **თუ-ღა, როცხა, საცხა, რომელიცხა, მაშინღა.**

მოხეურ კილოში ჩვენ ვადასტურებთ **ღა**-ს ხშირ ხმარებას კითხვითს წინადადებაში. ამ თავისებურებას გამოხატულება უპოვია ალ. ყაზბეგთანაც: გაუფრინდება-**ღა**? (აკადემიური გამოცემა, I ტ., 1948, გვ. 307); ნახვენ-**ღა** თავის სამშობლოს? (იქვე, 268); დაბრუნდებოდა-**ღა**? (იქვე, 313)[3]. **ღა**-ს კითხვითი ნიუანსი შემჩნეული აქვს ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს: „ესე ღაჲ ჴარს ბოლოდ ართრონი საეჭუთა ზედა გუარიანმყოფელი სიტყუათა. რამეთუ ოდეს საეჭვნი ვიკითხნეთ, დაურთავთ ღ ა ს ა და ვიტყვით წამსელელთათჳს: წ ა ვ ა-ღ ა? ანუ წარსულთათჳს: მ ო ვ ა-ღ ა?... ესრეთ ყოველთა ჴაეჭუთა დასასრულად და ბოლოდ“ (ლექსიკონი, 1928 წ.). დაახლოებით ასე ესმის დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ს ა ც.

ეს კითხვითი შინაარსი უნდა დავინახოთ თუღა კავშირში.

ღა-ს არანაკლებ გავრცელებული ფუნქციაა, ამასთანავე, იმ

---

[1] გიორგი მთაწმიდლის ლექსიკონი: „ძველი ქართული ენის ძეგლები. 3“.

[2] **რე** ცა-სთან და თუ-სთან შეხამებაში (**რეცა თუ**) „თითქოს“-ის გაგებას იძლევა ძვ. ქართულში: „იესუ კვალად რეცა თუ რისხვით თაესა შინა, მოვიდა საფლავად“ (ი. 11, 38); „ხოლო შენაეთა მათ ეგულებოდა სივლტოლაჲ ნავისა მისგან და გარდაუტევეს კუამალდი იგი ზღუად, მიზეზით **რეცა თუ** კაეთა მათ განმარტებად“ (საქმე მოციქ. 55,30, გ. რედ.: მიზეზად **რეცა თუ** თავით კერძო ნავისა მის განჰმარტებენ კაეთა).

[3] შდრ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ალ. ყაზბეგის ლექსიკონი: „ალექსანდრე ყაზბეგი — თხზულებანი“ (აკადემიური გამოცემა), I, 1948 წ. (**ღა** სთან).

შინაარსის გამოხატვა, რაც ჩაქსოვილია სიტყვებში: მხოლოდ, მარტო (ვ. თოფურია [1], ა. შანიძე [2]).

ეს შინაარსი კარგად ჩანს **მაშინღა** კორელატში: 'მხოლოდ მაშინ'-ვუკ. ბერიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ **მაშინღა** ნიშნავს 'მხოლოდ მაშინ' და იხმარება, როდესაც წინასწარ განსაზღვრული პირობა შესრულებულია, უიმისოდ მისი ხმარება უადგილოა, უაზროა: **მაშინღა-ს** შემცველი (დამოკიდებული) წინადადება, როგორც წესი, მოსდევს მთავარს; **მაშინღა-ს** და **მაშინ-ს** შორის დიდი განსხვავებაა [3].

უნდა აღინიშნოს, რომ **ღა-ს მაშინ-**ში დროულობის მომენტიც შეაქვს: **მაშინღა-ს** პირობითობის წინადადებაში სხვა ნიუანსი აქვს და სხვა — დროულობის წინადადებაში. პირველ შემთხვევაში თუ ამ კორელატით წინადადება იპირობება წინასწარი ფაქტით ან მოქმედებით, და ნიშნავს 'მხოლოდ მაშინ', სამაგიეროდ, მეორე კონსტრუქციაში **მაშინღა** მოქმედების სწრაფი მიმდინარეობის, ერთ მოქმედებასთან მეორე მოქმედების სწრაფი მიმდევრობის გამომხატველია და იგი იდენტურია **ვე** ნაწილაკიანი კორელატისა: **მაშინვე** (იხ. ზემოთ).

მესამე მხრით, **ღა-ს** განუსაზღვრელობის ნიუანსი შეაქვს სიტყვაში. Hans Vogt-ი შენიშნავს, რომ **-ცა** ნაწილაკთან შეხამებით **-ღა(ა)** ნაწილობრივ განუსაზღვრელობას ანიჭებს სიტყვას [4].

ამ კომბინაციით **ცა + ღა** ითქოს განუსაზღვრელობის ელფერს ატარებს სიტყვებში: **საცხა, როცხა, რომელიცხა.** გასათვალისწინებელია გარკვეული ფონეტიკური პროცესები: **სად-ცა-ღა→სა-ცა-ღა →სა-ც-ღა→სა-ც-ხა:** ჯერ გამარტივდა **დც** კომპლექსი, შემდეგ—**ცა**, ნაწილაკისეული **ა** შეიკვეცა, შემდეგ **ცღ** კომპლექსში მოხდა ასიმილაცია და გადაიქცა **ცხ** კომპლექსად. ასევე: **რომელი-ცა-ღა→ რომელი-ც-ღა→რომელი-ც-ხა; როს-ცა-ღა→რო-ცა-ღა→რო-ც-ღა→ →როც-ხა** [5]. ამგვარი რიგი: **ცა+ღა** იცის საშუალო ქართულმა — „ვეფხისტყაოსანმა“; დაცულია დასავლურ კილოებში ზემოგანხი-

---

[1] ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი III და IV, 1933, გვ. 30.

[2] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა (სასკოლო), 1941, გვ. 60—62.

[3] ვ. ბერიძე, ვეფხისტყაოსნის პროლოგის ერთი ნაწილის შედგენილობისათვის: სტალინის სახ. თბილ. სახ. უნივ. შრომები, XXX-b 1947 (ა. შანიძისადმი მიძღვნილი), გვ. 406,407.

[4] Esquisse d'une grammaire du gèorgien moderne, ოსლო, 1936, გვ. 84—85.

[5] იცის იმერულმა, გურულმა... (ს. ჯენტი, გურული კილო, 1936).

ლული ფონეტიკური ცვლილებებით [1]. გვხვდება ძველ ქართულშიც და ამას თავი უჩენია კავშირებშიც: **ვითარცაღა** (ხანძთ. **ჲც**, **ჲთ**, 39; სას. პოეზია, რა, 73).

კი ნაწილაკი ერთვის **რა, თუ** კავშირებს: **რაკი, თუკი.**

თუ ნაწილაკი შედის **რამეთუ**-ში.

-მე ნაწილაკის შემცველია კავშირები: **არამედ, ვითარმედ, რომელ, რომენ, რამეთუ, მაგრამ, თორემ.**

ფონეტიკური ცვლილებებიდან აღსანიშნავია, ერთი მხრით, ნაწილაკისეული ხმოვნის ჩამოკვეცა (**მე—მ**) და მეორე მხრით, **მ**-ს მაასიმილაციებელი ძალა: წინამავალ ხმოვანს ავიწროებს: **მაგრამე→ მაგრემ... თვარამ→თვარემ** (იხ. ზემოთ, სათანადო ადგილას). თავდაპირველი სახე კი ამ ნაწილაკისა შემონახულია **ვითარმედ — არამედ** კავშირებში, ერთი მხრით (**მედ**), **რომენ**-ში (**მენ**), მეორე მხრით, და **რომელ**-ში (**მელ**), მესამე მხრით.

არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა მ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს შორის მჭიდრო კავშირია; ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და ლოკატიური ზმნიზედების შედგენილობაში დაიძებნა საერთო ელემენტები: **ნ, ქ, დ: მან, მუნ, მად, მაქ, მუქ, მუნდ** და სხვ. ქართველურ ენებში მოთხრობითის ნიშნად გამოყენებული **-ნ** (ქართ.), **-ქ** (ჭან. -მეგრ.), **-დ** (სვან.) წარმოშობით ნაცვალსახელური ძ ი რ ე ბ ი ა; მოთხრობითის საწარმოებლად გამოყენებული ნაცვალსახელური ნაწილაკები ადგილის ზმნიზედებშიც დასტურდება [2].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამავე სიბრტყეზე უნდა დავაყენოთ ისტორიული ქართულის **-მე** ნაწილაკის პროტოტიპი **მენ, მელ, მედ.**

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ მივიღებდით მ წ ყ ო ბ რ სურათს:

ა-ნიანი ვარიანტი:

მა-ნ

მა-დ

მა-ქ

უ-ნიანი ვარიანტი:

მუ-ნ

მუ-ნ-დ

მუ-ქ

---

[1] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში": „ენიმკის მოამბე", III, 1938, გვ. 218.

[2] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში.

მე-ნ (|| მე-ლ)
მე-დ
***მე-ჭ (შდრ. ე-ჭ)**

უნდა ვიფიქროთ, **მენ-მელ-მედ** ლოკატიური წარმოშობისაა; შემდეგ მიუღია მას როგორც კითხვითობის, ისე განუსაზღვრელობის ფუნქცია; გამარტივებული სახით **მე** ძველ სალიტერატურო ქართულში უკვე ორივე ფუნქციის მატარებელია. კავშირებში (**რომენ — რომელ — ვითარმედ — არამედ**) გაქვავებული სახით შემორჩენილია ამ ელემენტის დერივაციული სახეობები.

სიმ...ჯანაშია კითხვას სვამდა ქართული **მე**-ს ჩერქეზულ კითხვითს ფორმებთან კავშირის შესახებ [1].

ნუუკუე უარყოფითი მნიშვნელობის კავშირია და მთელ რიგ შემთხვევებში იგი **რაჲთა არა**-ს ცვლის, როგორც ეს ნაჩვენებია ამ შრომის იმ ნაწილში, სადაც განხილულია მიზნითი კავშირები [2]. აქ გვაქვს **ნუ+უკუე**- ეს შეხამება ძველ ქართულში ხშირად გამოყენებულია უარყოფითი კითხვითობის მნიშვნელობით და იმავე შინაარსს გადმოსცემს, რაც ჩაქსოვილია **ნუთუ**-ში. მაგალ., „**ნუუკუე** მე ვარ მოძღუარ?“ (მთ. 26,25:DE); „**ნუ უკუე** ცნას და მოკლას მე?“ (შუშან. 21,VII, 11). აქ ამოსავალია **ნუ**-ს მნიშვნელობა და, ბუნებრივია, ვადასტურებთ ისეთ მაგალითებსაც, სადაც სათანადო ნეგატიური შინაარსი გადმოცემულია მხოლოდ **ნუ**-თი, ოღონდ **-მცა** ნაწილაკთან შეხამებით, და ამ კონტექსტში ესეც გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ **-მცა**-ს სემანტიკას. მართლაც, თუ ოთხთავის ერთ რედაქციაში მოცემულია **ნუუკუე**, მეორე რედაქცია გვაწვდის **ნუმცა**-ს ნიმუშებს. შდრ. DE: **ნუუკუე**— C:**ნუმცა** (მთ. 26,22); ED: **ნუუკუე** — C: **ნუმცა** (მთ. 12,23).

ეს პარალელიზმი ძველი ქართულისათვის უჩვეულო არაა.

უკუე ნაწილაკია ძველ ქართულში და დამამტკიცებელი, გამაძ-

---

1 სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები: ენიმკის მოამბე, XII, 1942, გვ. 268.

2 აღსანიშნავია, რომ **ნუუკუე**-კავშირს დროულობის ნიუანსის გადმოცემა ეკისრება, უდრის: **რაჲთა არასოდეს არ**. საგულისხმოა, რომ ბერძნულში მისი ფარდია *μήποτε* სწორედ ამ მნიშვნელობით. შდრ.: ნუ დღესასწაულსა ამას, **ნუუკუე** შფოთი იქმნეს (მრკ. 14,2): *Μὴ ἐν τῇ ἑορτῇ μήποτε θόρυβος ἔσται τοῦ λαοῦ*; და განტევებად მათი უზმათად არა მნებავს. **ნუუკუე** დაცვენ გზასა ზედა (მ. 15,32) *καὶ ἀπολῦσαι αὐτοὺς νήστεις οὐ θέλω, μήποτε ἐκλυθῶσαν ἐν τῇ ὁδῷ*.

ლიერებელი მნიშვნელობა აქვს, რამდენადმე დროულობის გაგებახ შეიცავს (შდრ. თანამედროვე **უკვე**). მაგალ.: „იღჳძებდით **უკუე** თქუენცა“ (მთ. 25,13:DE); „ვიტყჳთ **უკუე** გიორგის ებისკოპოსსა მაწყუერელსა...“ (ზარზმ. 168,9); „**აწ უკუე** რაჲ ჯერ არს ყოფად?“ (ზარზმ. 158,5); „დიდსა **უკუე** ლავრასა მისცეს“ (გ. მთაწმიდ. 31,1); „შენ **უკუე** შეიწირე შეუძრეველი ეგე...“ (ჩარავანდ. 121,14). რაკი ამ ნაწილაკს გამაძლიერებელი მნიშვნელობა აქვს, შესაძლოა იგი არც იყოს წინადადებაში, რამდენადაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. მაგალ. DE—ში არის, C — ში არა (მთ. 15,13; 24; 42), C —: ში არის, DE — ში არა (მთ. 9,8; 24,45) და ა. შ.

უკუე შედის აგრეთვე კავშირში: **უკუეთუ**.

უკუე-ში ძირეულ მასალად გამოიყოფა **კუ**: **უ-კუ-ე**. ნ მ ა რ მ ა ერთმანეთს დაუკავშირა **უ-კუან, კუალ**. ამოსავალად მიჩნეულია (უ)-კუ. მეგრულშია **უკა-ხალე** „უკან“, **კინ** „კვლავ“, **კინ-ოხ** „წინათ“ [1]. ამისდაკვალადაც, **უკუანა** იგივეა, რაც **კუალსა მისსა** [2]. აქვე შემოდის სა-უ-კუ-ნე [3], ანდა: **უკანაჲსად** — შემდეგ, მერმე, **უკანაჲთ** — შემდეგ, მერმე. როგორც ჩანს, ლოკატიური დასაბამი აქვს დროულობის გადმომცემ სიტყვებს (შდრ., ერთი მხრით, **კუალ, უკუან, უკახალე** და, მეორე მხრით, **უკუე, კვლავ, საუკუნე, კინ, უკანაჲსად**).

ეგეთე ძირი უნდა გქონდეს ერთ ნაწილაკში, რომელიც გავრცელებულია დიალექტურად — ხევსურულში, რაჭულსა და იმერულში. ესაა **ჭვე — ჭე**: **ჭუ-ე, ჭ-ე** (გამარტივებული). შინაარსითაც დაბრკოლება არ არის: **ჭვე — ჭე** ნაწილაკს იგივე დადასტურებით-გამაძლიერებელი სემანტიკა აქვს, როგორც **უკუე||უკვე**-ს და დროულობის გაგებას უახლოვდება. იგივე **ჭუ** უნდა გქონდეს კორელატში: **მუნდჭუესვე**. როგორც ვიცით, აქ გამოიყოფა **მუნდ**, ხოლო **-ვე** ნაწილაკის გამოყოფით რჩება **ჭუ-ე**-ს. არ არის შემთხვევითი, რომ ეს ზმნიზედა-კორელატი დროულობის გაგებას იძლევა; დამთხვევაა ფორმალურიც და სემანტიკურიც.

ნაწილაკიანი ნაერთია: **და-ღა-ცა-თუ, და-ღა-თუ, ღა-თუ**. და შედის აგრეთვე **ვითომდა**-ში.

---

1 ნ. მ ა რ ი, Грамм., § 137.

2 ა. შ ა ნ ი ძ ე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: ტფილ. უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 340.

3 არ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვ. ენებში, 1942, გვ. 23.

დაღათუ-ს ორთოგრაფიის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: და ჯერ კიდევ არ არის დართული **ღათუ**-ზე ოთხთავის ტექსტებში. ამას გვარწმუნებს ტმესის ჩვენება —- „და შე-ღათუ-წუხნა“ (მ. 14,9) ანდა ამგვარი შემთხვევები: „და უნდა **ღათუ** მისი მოკლვაჲ (მ. 14,5). ამიტომ აკაკი შ ა ნ ი ძ ე ს, სავსებით სამართლიანად, და და **ღათუ** ცალ-ცალკე აქვს დაბეჭდილი შატბერდული ხელნაწერების გამოცემაში. მერმინდელ ძეგლებში **და** და **ღათუ** უკვე შერწყმულია: **დაღათუ**.

გადავიდეთ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ზ ე.

-მდის || -მდე- || -მდინ || -მდისინ თანდებული ერთვის **ვიდრე, სანა, სადა, მანა, რა, მუნ**-ს ვღებულობთ: **ვიდრემდის || ვიდრემდე || ვიდრემდინ || ვიდრემდისინ, სანამდის || სანამდე || სანამდინ || სანამდისინ, მანამდის || მანამდე || მანამდინ || მანამდისინ, სადამდის || სადამდე || სადამდინ || სადამდისინ, რამდი, მუნამდის || მუნამდინ.** აგრეთვე ეხამება **-ც** ნაწილაკი: **ვიდრემდისაც, სანამდისაც, სადამდისაც || სადამდისცა, მუნამდინცა.** აღსანიშნავია, რომ აღორძინების ხანის ზოგიერთ ძეგლში გვხვდება: **მდინ + ს: სადამდინს...** **-მდის||მდე** თანდებული მარტივდება (ბოლო მარცვალს იკვეცს) და მხოლოდ მ რჩება: **სანამ, მანამ, ვირემ**:

უნდა ითქვას, რომ **-მდე || -მდის** თანდებულის მჭიდრო კავშირი ზემოჩამოთვლილ კავშირებთან, ორგანული შერწყმა მათთან სრულიად გასაგებია: ეს თანდებული გამოხატავს გარკვეულ პუნქტამდე მიწევნას ადგილისა და დროის მიხედვით, და სათანადო კავშირებიც ადგილისა და დროის კავშირებია! თანდებული აქ კავშირის მიუცილებელი კომპონენტია.

-გან თანდებული ერთვის: **ვი, რა, სა, მუნ: ვინაჲთგან — ვინაიდან, რაჲთგან — რადგან(აც), საჲთგან — სადან(აც), მუნითგან.** ესენი გამოსვლითი ბრუნვის შინაარსს ატარებენ.

-კენ თანდებული იხმარება ადგილის კორელატებში: **მუნითკენ, იქითკენ.**

კავშირებს ეხამება აგრეთვე თანდებულები; **-ზე (რომელზედაც), -თვის (რომლისათვისაც), -ში (რომელშიც)** და სხვ. **ისდა→იზდა→იზა** თანდებული მონაწილეობს კორელატებში: **იმიზდა→იმიზა, იმის გულიზა;** ეგეთე შინაარსი გადმოცემულია ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმით: **-ისად: იმის გულისად.**

თავი მეცხრე

კავშირთა სემანტიკურ-ფუნქციური თანამიმართება

კავშირთა ფუნქციური ანალიზის დროს გამოირკვა, რომ ერთსა და იმავე კავშირს სხვადასხვა სემანტიკა აქვს, სხვადასხვა ტიპოლოგიის კავშირია, სხვადასხვა კონსტრუქციაში მონაწილეობს.

ახლა დავალაგოთ ჩვენთვის ცნობილი კავშირები ამ თვალსაზრისით, ვნახოთ — თითოეული კავშირი რა ფუნქციების მატარებელია, ამა თუ იმ კავშირს რა და რა მნიშვნელობა აქვს და, ბოლოს, გავარკვიოთ, რა საფუძველზეა აღმოცენებული ეს სემანტიკურ-ფუნქციური თანამიმართება საკავშირებელი ერთეულებისა.

იმ ნაწილში, სადაც ვუჩვენებთ ცალ-ცალკე სათანადო კავშირის სემანტიკას, მივუთითებთ, აგრეთვე, სიტყვის გავრცელების არეზე ქართული ენის განვითარების პერიოდების მიხედვით (ძველი, საშუალო, ახალი) და ვიძლევით სიტყვის დაშლას მორფოლოგიური ანალიზის დროს ჩატარებული მუშაობის შედეგად.

და

ფუნქცია: 1. მაჯგუფებელი, 2. მაპირისპირებელი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული, 3. ახ. ქართული.
ანალიზი: —

არამედ

ფუნქცია: 1. მაპირისპირებელი, 2. მაჯგუფებელი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული, 3. ახ. ქართული.
ანალიზი: არა-მედ.

ხოლო

ფუნქცია: მაპირისპირებელი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული, 3. ახ. ქართული.
ანალიზი: ხოლ-ო.

მაგრამე—მაგრამ—მაგრა

ფუნქცია: მაპირისპირებელი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული (მაგრამ).
ანალიზი: მაგ-არა-მე.

კი, კიდევ

ფუნქცია: მაპირისპირებელი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული (მოგვ. პერ.), 2. ახ. ქართული.
ანალიზი: —

გარნა

ფუნქცია: მაპირისპირებელი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული.
ანალიზი: გა-რ-ნ-ა.

არც(ა)... არც(ა)

ფუნქცია: მაჯგუფებელი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული, 3. ახ. ქართული.
ანალიზი: არ-ც(ა).

აღარც... აღარც

ფუნქცია: მაჯგუფებელი.
გავრც. არე: ახ. ქართული.
ანალიზი: აღარ-ც.

ვერც(ა)... ვერც(ა)

ფუნქცია: მაჯგუფებელი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.
ანალიზი: ვერც(ა).

ნუცა... ნუცა, ნურც... ნურც

ფუნქცია: მაჯგუფებელი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული (ნუცა... ნუცა). 2. საშ. ქართული, 3. ახ. ქართული (ნურც... ნურც).
ანალიზი: ნუ-ცა, ნუ-რ-ც.

ხან... ხან

ფუნქცია: მაცალკევებელი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.
ანალიზი: —

ან

ფუნქცია: 1. მაცალკევებელი, 2. მაიგივებელი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული (მაცალკ.), 2. საშ. ქართული (მაცალკ.), 3. ახ. ქართული (მაიგივ.).
ანალიზი: ა-ნუ (?)

ან(უ)... ანუ, ანუ... ან(ა)

ფუნქცია: მაცალკევებელი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.
ანალიზი: —

ან

ფუნქცია — მაცალკევებელი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული
ანალიზი. —

ან... ან

ფუნქცია: მაცალკევებელი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.
ანალიზი: —

ანდა

ფუნქცია: მაცალკევებელი.
გავრც. არე: ახ. ქართული.
ანალიზი: ან-და.

ან.. ანდა

ფუნქცია: მაცალკევებელი.
გავრც. არე: ახ. ქართული.
ანალიზი: —

გინა

ფუნქცია: მაცალკევებელი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული.
ანალიზი: გ-ი-ნ-ა.

გინდ(ა)

ფუნქცია: 1. მაცალკევებელი, 2. გამორიცხვითი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული (მაცალკ.), 2. ახ. ქართული.
ანალიზი: გ-ი-ნდ-ა.

გინდ... გინდ

ფუნქცია: მაცალკევებელი.
გავრც. არე: ახ. ქართული.
ანალიზი: —

ესე იგი

ფუნქცია: მაიგივებელი.
გავრც. არე: ახ. ქართული.
ანალიზი: —

რა(ა)

ფუნქცია: 1. ობიექტური, 2. დროულობის.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული (დრ.), 3. ახ. ქართული (დრ.).
ანალიზი: —

რა(ა)-იგი, რაა-ესე

ფუნქცია: ობიექტური.
გავრც. არე: ძვ. ქართული.
ანალიზი: რა-ა-იგი (|| ესე).

რა(ა)ც(ა)

ფუნქცია: 1. სუბიექტური, 2. ობიექტური, 3. ვითარებით-შედარებითი, 4. დროულობისა.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული (ობ.), 2. საშ. ქართული (ობ., სუბ., შედარ.), 3. ახ. ქართული (დრ., ობ.).
ანალიზი: რა-ა-ცა.

რაგელ

ფუნქცია: 1. ობიექტური, 2. განსაზღვრებითი, 3. დროულობის, 4. მიზნითი, 5. ვითარებით-შედეგობითი, 6. მიზეზობითი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, (ობ., განსაზღვ.) 2. საშ. ქართული (ობ.).
ანალიზი: რო-მელ.

რაგელი

ფუნქცია: 1. სუბიექტური, 2 ობიექტური, 3. განსაზღვრებითი.
გავრც. არე: ძვ. ქართული.
ანალიზი: რო-მელ-ი.

რაგელი-იგი (|| ეგე || ესე)

ფუნქცია: 1. სუბიექტური, 2. ობიექტური, 3. განსაზღვრებითი.
გავრც. არე: ძვ. ქართული
ანალიზი: რო-მელ-ი-იგი (ეგე, ესე).

რაგელიც(ა)

ფუნქცია: 1. სუბიექტური, 2. ობიექტური, 3. განსაზღვრებითი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული, 3. ახ. ქართული.
ანალიზი: რო-მელ-ი-ცა.

რაგე

ფუნქცია: 1. სუბიექტური, 2. ობიექტური, 3. განსაზღვრებითი, 4. დროულობის, 5. მიზნითი, 6. ვითარებით-შედეგობითი, 7. მიზეზობითი, 8. გამორიცხვითი, 9. პირობითი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული (დიალექტურად).
ანალიზი: რო-მი

რაგ

ფუნქცია: 1. სუბიექტური. 2. ობიექტური, 3. განსაზღვრებითი, 4. მიზნითი, 5. პირობითი, 6. დროულობის, 7. მიზეზობითი, 8. ვითარებით-შედეგობითი, 9. გამორიცხვითი, 10. სიერცითი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.
ანალიზი: რო-მ.

რა(ა)თა

ფუნქცია: 1. მიზნითი, 2. ობიექტური.

გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2 საშ. ქართული, 3. ახ. ქართული.

ანალიზი: რა_ად-ა.

რათგან || რადგან—რადგანც || რადგანაც

ფუნქცია: მიზეზობითი.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული (რადგან—რადგანაც).

ანალიზი: რა-თ-გან-ა-ც.

რამეთუ

ფუნქცია: 1. ობიექტური, 2. მიზეზობითი, 3. განსაზღვრებითი.

გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: რა-მე-თუ.

რაკი

ფუნქცია: 1. დროულობის, 2. მიზეზობითი.

გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: რა_კი.

რა(ს)ჟამს

ფუნქცია: 1. დროულობის, 2. განსაზღვრებითი.

გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: რა_ს_ჟამ-ს.

რაჟამს(აც)

ფუნქცია: დროულობის.

გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: რა_ჟამ-ს-ა-ც.

რაზომიც

ფუნქცია: ვითარებით-შედარებითი.

გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი: რა-ზომ-ი-ც.

რაზომც(ცა)

ფუნქცია: ვითარებით-შედარებითი.

გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი: რა-ზომ-ცა.

რა(ა)ოდენ(ცა), რა(ა)ოდენი(ცა)

ფუნქცია: 1. ობიექტური, 2. ვითარებით-შედარებითი.

გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული.

ანალიზი: რა-ა-ოდენ-ცა.

რავდენი(ცა)

ფუნქცია: ობიექტური.

გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: რა-ვდენ-ი-ცა.

რამდენიც, რამდენადაც

ფუნქცია: 1. ვითარებით-შედარებითი, 2. ობიექტური.

გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: რა-მდენ-ი-ც, რა-მდენ-ად-ა-ც.

რარიგადაც, რარიგადცა

ფუნქცია: ვითარებით-შედარებითი.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: რა-რიგ-ად-ა-ც, რა-რიგ-ად-ცა.

რაგინდ

ფუნქცია: გამორიცხვითი.

გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: რა_გ-ი-ნდ.

როდეს(აც)

ფუნქცია: 1. დროულობისა, 2. განსაზღვრებითი.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: რ-ოდეს-ა-ც.

როცა

ფუნქცია: 1. დროულობისა, 2. განსაზღვრებითი.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: რ-ო-ცა.

როს

ფუნქცია: დროულობისა.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: რ-ოს.

რაგვარ(ცა), რაგვარადაც(ა)

ფუნქცია: ვითარებით-შედარებითი.

გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი: რა-გვარ-ცა, რა-გვარ-ად-ა-ცა.

როგორც(ა), როგორაც(ა)

ფუნქცია: 1. ვითარებით-შედარებითი, 2. დროულობისა.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: რო-გორ-ცა, რო-გორ-ა-ცა.

როგორც კი

ფუნქცია: დროულობისა.

გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: —

როგორც... ისე

ფუნქცია: მაჯგუფებელი.

გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: —

ვინ(ცა)

ფუნქცია: 1. სუბიექტური, 2. ობიექტური, 3. განსაზღვრებითი.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: ვი-ნ-ცა.

ვინემ(დის)

ფუნქცია: 1. დროულობისა, 2. ვითარებით-შედარებითი.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: ვი-ნ-ე-მდის.

ვინაჲ(ცა)

ფუნქცია: 1. სივრცითი, 2. განსაზღვრებითი.

გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: ვი-ნ-ა-ჲ-ცა.

ვინაჲ(თ)ცა-იგი

ფუნქცია: განსაზღვრებითი.

გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: ვი-ნ-ა-ჲთ-ცა-იგი.

ვინა(ჲ)თგან

ფუნქცია: 1. დროულობისა, 2. მიზეზობითი.

გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული.

ანალიზი: ვი-ნ-ა-ჲთ-გან.

ვინა(ი)დგან—ვინაიდან

ფუნქცია: მიზეზობითი.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: ვი-ნ-ა-იდ-გან, ვი-ნ-ა-იდ-ან.

ვიდრე(ცა)

ფუნქცია: 1. ვითარებით-შედარებითი, 2. დროულობისა.

გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული, 3. ახ. ქართული.

ანალიზი: ვი-დ-რე-ცა.

ვიდრეჲდე (||...ჲდის...)

ფუნქცია: დროულობისა.

გავრც. არე: 1. ად. ქართული, 2. საშ. ქართული, 3. ახ. ქართული.

ანალიზი: ვი-დ-რე-მდე (|| მდის...).

ვირ(ე)(ცა)

ფუნქცია: 1. შედარებითი, 2. დროულობისა.
გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი: ვი-რე-ცა.

ვირეშ(დის)

ფუნქცია: დროულობისა.
გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი: ვი-რე-მდის.

ვითარმედ

ფუნქცია: ობიექტური.
გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: ვი-თ-ა-რ-მედ.

ვითარ-იგი

ფუნქცია: ვითარებით-შედარებითი.
გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: ვი-თ-ა-რ-იგი.

ვითარცა

ფუნქცია: 1. ვითარებით_შედარებითი, 2. დროულობისა.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული.

ანალიზი: ვი_თ-ა-რ-ცა.

ვითარ

ფუნქცია: 1. ვითარებით-შედარებითი, 2. დროულობისა.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული.

ანალიზი: ვი-თ_ა-რ.

ვითა(ცა)

ფუნქცია: 1. ვითარებით-შედარებითი, 2. დროულობისა.
გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი: ვი_თ-ა-ცა.

ვით

ფუნქცია: ვითარებით-შედარებითი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: ვი_თ.

ვითაშ(ცა)

ფუნქცია: ვითარებით-შედარებითი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული (დიალ.).

ანალიზი: ვი_თ-ა-შ_ცა.

ვითომ(ცა)

ფუნქცია: ვითარებით-შედარებითი.
გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: ვი-თ-ო-მ-ცა.

მანამ(დის)

ფუნქცია: დროულობისა.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: მა_ნ-ა_მ.

სადა

ფუნქცია: სივრცითი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული.

ანალიზი: სა-დ-ა.

სადა(ცა)_იგი

ფუნქცია: 1. სივრცითი, 2. განსაზღვრებითი.
გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: სა-დ_ა-იგი.

სადაც(ა)

ფუნქცია: 1. სივრცითი, 2. განსაზღვრებითი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული, 3. ახ. ქართულ.

ანალიზი: სა_დ-ა_ცა.

სადამდის(ცა) (II...მდის)

ფუნქცია: დროულობისა.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: სა-დ-ა-მდის-ცა.

საცა

ფუნქცია: 1. სივრცითი, 2. განსაზღვრებითი.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: სა_ცა.

საიდანაც

ფუნქცია: 1. სივრცითი, 2. განსაზღვრებითი.

გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: სა-იდ-ან-ა-ც.

სით(ცა)

ფუნქცია: სივრცითი.

გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი: ს_ით-ცა.

სანამ(დის) (II... მდინ)

ფუნქცია: დროულობისა.

გავრც. არე. 1. საშ. ქართული. 2. ახ. ქართული.

ანალიზი: სა-ნ-ა-მდის, სა-ნ-ა-მ.

თუ(ცა)

ფუნქცია: 1. მაჯგუფებელი, 2. მაცალკევებელი, 3. ობიექტური. 4. პირობითი, 5. გამორიცხვითი.

გავრც. არე: 1. ძვ. ქართული (ობ., პირ.), 2. საშ. ქართული, 3. ახ. ქართული (გამორიცხვ. გარდა).

ანალიზი: —

თუმცა

ფუნქცია: 1. პირობითი, 2. ობიექტური, 3. გამორიცხვითი.

გავრც. არე: 1. ძვ. ქართული (პირობ.), 2. საშ. ქართული, 3. ახ. ქართული (გამორიცხვ.).

ანალიზი: თუ-მცა.

უკუითუ

ფუნქცია: 1. პირობითი, 2. ობიექტური.

გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული (პირობ.).

ანალიზი: უ-კუ-ე-თუ.

თუნდა(ც)

ფუნქცია: 1. მაცალკევებელი, 2. გამორიცხვითი.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: თუ-ნდ-ა-ც.

თუნდ(ა)... თუნდ(ა)

ფუნქცია: მაცალკევებელი.

გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: —

თუარა, თვარა(და)

ფუნქცია: 1. პირობით-შედეგობითი, 2. დროულობისა.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული (დროულ).

ანალიზი: თუ-არა.

თვარემ, თვარემ(და)

ფუნქცია: პირობით-შედეგობითი.

გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი: თვ-არა-მ, თვ-არე-მ-და.

თორადა, თორე(მ)

ფუნქცია: პირობით-შედეგობითი.

გავრც. არე: 1. საშ. ქართული. 2. ახ. ქართული (თორემ).

ანალიზი: თ-ო-რა-და, თ-ო-რ-ე-მ.

თუ სთქუა

ფუნქცია: ეითარებით-შედარებითი.

გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი —

თითჟო(ს)

ფუნქცია: ვითარებით-შედარებითი.
გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: თ-ი-თქ-ო-ს.

დაღაცათუ

ფუნქცია: 1. პირობითი, 2. გამორიცხვითი.
გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: და-ღა-ცა-თუ.

დაღათუ

ფუნქცია: 1. პირობითი, 2. გამორიცხვითი.
გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: და-ღა-თუ.

ღათუ

ფუნქცია: გამორიცხვითი.
გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: ღა-თუ.

ოდეს

ფუნქცია: 1. დროულობისა, 2. განსაზღვრებითი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული.

ანალიზი: ო-დეს.

ოდეს-იგი

ფუნქცია: დროულობისა.
გავრც. არე: ძვ. ქართული.
ანალიზი: ო-დეს-იგი.

ოდესცა, ოდესაც

ფუნქცია: დროულობისა.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული. 2. საშ. ქართული.

ანალიზი: ო-დეს-ცა, ო-დეს-ა-ც.

ნუუკუე

ფუნქცია: მიზნითი.
გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: ნუ-უ-კუ-ე.

მართალია

ფუნქცია: გამორიცხვითი.
გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: მართალი-ა.

ოლონდ

ფუნქცია: მაპირისპირებელი.
გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: —

(ა)მისთჳს რომელ

ფუნქცია: მიზეზობითი.
გავრც. არე: 1. ძვ. ქართული, 2. საშ. ქართული.

ანალიზი: —

(ა)მით რომ-ლ

ფუნქცია: მიზეზობითი
გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი: —

(ა)მისთჳს რომ

ფუნქცია: მიზეზობითი.
გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი: —

ამად რომე, ამით რომე

ფუნქცია: მიზეზობითი.
გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი: —

ამიტომ (იმიტომ) რომ

ფუნქცია: მიზეზობითი.
გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: —

ასრე (ესრე) რომელ

ფუნქცია: ვით.-შედეგობითი.
გავრც. არე: საშ. ქართული.

ანალიზი: —

ას(რ)ე (ისე) რომე(ე)

ფუნქცია: ვითარებით-შედეგობითი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: —

მაშინ როდესაც

ფუნქცია: დროულობისა.
გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: —

რა რომ

ფუნქცია: დროულობისა.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: —

სად(აც) რომ

ფუნქცია: სივრცითი.
გავრც. არე: 1. საშ. ქართული, 2. ახ. ქართული.

ანალიზი: —

თუ რომ

ფუნქცია: პირობითი.
გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: —

თუნდაც რომ

ფუნქცია: გამორიცხვითი.
გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: —

ანუთუ

ფუნქცია: მაცალკევებელი.
გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: —

გინათუ

ფუნქცია: მაცალკევებელი.
გავრც. არე: ძვ. ქართული.

ანალიზი: —

რაც უნდა

ფუნქცია: გამორიცხვითი.
გავრც. არე: ახ. ქართული.

ანალიზი: —

ამრიგად, ირკვევა, რომ ზოგიერთ კავშირს ერთი მნიშვნელობა აქვს, ზოგიერთს კი — რამდენიმე. პოლისემანტურ კავშირებს შეიძლება ჰქონდეთ ორი მნიშვნელობა, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, ცხრა ან ათი.

ერთი მნიშვნელობა აქვს კავშირებს:

ხოლო
მაგრამ(ე)
კი
გარნა
არც(ა)... არც(ა)
აღარც... აღარც
ვერც(ა)... ვერც(ა)
ნუცა... ნუცა
ნურც... ნურც
ხან... ხან
ანუ... ანუ
ან... ან...
როგორც... ისე
როს
რაგვარცა
როგორც კი
რაგინდ
რარიგადაც
ვინაიდან
ვიდრემდე
ვითარ(იგი)
ვით
ვითამცა
ვითომ(ცა)

მანამ(დის)
სადამდის
სითცა
სანამ(დის)
თვარამ
თორადა, თორე(მ)
თუ სთქუა
თითქოს
ოღონდ
ან
ანდა
გინა
ესე იგი
რათგან — რადგან
რაჴამს(აც)
რაზომ(ცა)
ოდესაც
ნუუკუე
მართალია
თუნდაც
რაც უნდა

ორი მნიშვნელობა აქვს კავშირებს:

და
ანუ
არამედ
გინდ(ა)
რაჲ
რაჲთა
რაკი
რა(ჲ)ოდენცა..
რამდენიც
რამეთუ
როდესაც
როცა
საცა
საიდანაც
ოდეს(იგი)
როგორც
ვინემდის
ვინაჲ(ცა)
ვინა(ჲ)თგან
ვიდრე(ცა)...
ვითარ(ცა)
ვითარმედ
ვითაცა
სადა(ცა)
სადა(იგი)
უკუეთუ
დაღაცათუ
დაღათუ

სამი მნიშვნელობა აქვს კავშირებს:

ვინ(ცა)
რომელი(ცა)
რომელი-იგი (ეგე, ესე)
თუმცა
თუარა — თვარა
რამეთუ

ოთხი მნიშვნელობა აქვს კავშირს:

რა(ჲ)ც(ა)

ხუთი მნიშვნელობა აქვს კავშირს:

თუ(ცა)

ექვსი მნიშვნელობა აქვს კავშირს:

რომელ

ცხრა მნიშვნელობა აქვს კავშირს:

რომე

ათი მნიშვნელობა აქვს კავშირს:

რომ

აღსანიშნავია, რომ ერთმნიშვნელოვანია თანწყობის კავშირები; დაბრკოლებად არ ჩაითვლება ამ დასკვნის მიღებისათვის **და, ანუ, არამედ,** რომელთაც ორი მნიშვნელობა აქვთ. ეს იმიტომ, რომ **და**-ს მეორე, არაძირითადი ფუნქცია — დაპირისპირების გამოხატვა — არსებითად სხვა კონსტრუქციას არ ქმნის: აქაც **და** მაჯგუფებელი კავშირია, ოღონდ აჯგუფებს დაპირისპირებულ წინადადებებს, და ამიტომ **და** მაპირისპირებელი კავშირის რ ო ლ შ ი გვევლინება. რაც შეეხება **ანუ**-ს, უნდა ითქვას, რომ, მართალია, მას ორი შინაარსის გამოხატვა ეკისრება (მაცალკ.-მაიგივ.), მაგრამ, საქმე ისაა, რომ ენის განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე **ანუ** არ გვევლინება ორი ფუნქციით; ძველსა და საშუალო ქართულში იგი მ ხ ო ლ ო დ მაცალკევებელი კავშირია, ახ. ქართულში კი — მ ხ ო ლ ო დ მაიგივებელი კავშირი. არსებითად დაპირისპირებაა **არამედ**-ის ნიშანდობლივი თვისება.

ტიპოლოგიის თვალსაზრისით დალაგება გვაძლევს შემდგომს კომბინაციებს:

მაჯგუფ.—მაპირისპ.
მაჯგუფ. — მაცალკ.
მაჯგუფ. — ობიექტ.
მაჯგუფ. — პირობ.
მაჯგუფ. — გამორიცხვ.
მაცალკ. — გამორიცხვ.
მაცალკ. — ობიექტ.
მაცალკ. — პირობ.
ობიექტ.—სუბიექტ.
ობიექტ. — გამორიცხვ.
ობიექტ. — დროულ.
ობიექტ. — შედარებ.
ობიექტ. — განსაზღვრ.
ობიექტ. — მიზნ.
ობიექტ. — შედეგ.
ობიექტ. — პირობ.
ობიექტ. — მიზეზობ.
პირობ. — დროულ.
პირობ. — შედეგ.
პირობ. — მიზნ.
პირობ. — გამორიცხვ.
პირობ. — მიზნ.
გამორიცხვ. — დროულ.
გამორიცხვ. — მიზნ.
გამორიცხვ. — შედეგ.
სუბიექტ. — შედარებ.
სუბიექტ. — დროულ.
სუბიექტ. — განსაზღვრ.
დროულ. — შედარებ.
დროულ. — განსაზღვრ.

დროულ. — მიზნ.	დროულ. — პირობ. -შედეგ.
დროულ. — შედეგ.	განსაზღვრ. — მიზნ.
დროულ. — გამორიცხვ.	განსაზღვრ. — შედეგ.
დროულ. — მიზეზობ.	განსაზღვრ. — სივრც.
დროულ. — შედარებ.	მიზან. — შედეგ.

კავშირთა პოლისემანტიზმის ერთი ძირითადი ფაქტორთაგანია ერთი ყალიბის კავშირისაგან მეორე ყალიბის კავშირის განვითარება. ეს შინაგანი განვითარება ლოგიკურ საფუძველზეა დაყრდნობილი და გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება.

ირკვევა, რომ კონკრეტული კავშირების საფუძველზე მიღებულია აბსტრაქტულ-ლოგიკური კავშირები.

კონკრეტულ კავშირებად მიჩნეულია სივრცისა და დროის აღმნიშვნელი სიტყვები, ხოლო აბსტრაქტული კავშირებია: მიზეზობითი, შედეგობითი, პირობითი, გამორიცხვითი, მიზნითი...

სივრცითი და დროულობის წარმოდგენები ენაში უძველესი ფორმაციისა. ამ ცნებათა დიფერენციაცია ადრე მომხდარა და ენასაც აღუბეჭდავს ეს დიფერენცირებული წარმოდგენები. ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ადგილისა და დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების რთული და ჩამოყალიბებული კონსტრუქცია — კავშირთა მდიდარი სისტემით — იმის მაჩვენებელია, რომ ამ კონსტრუქციებს განვითარების გრძელი გზა გაუვლიათ. შედარებით გვიან ჩამოყალიბდა აბსტრაქტულ-ლოგიკური მიმართებების კავშირები და, როგორც ვთქვით, მათთვის ამოსავალია კონკრეტული კავშირების მასალა.

ამრიგად, ნათელია, რომ კავშირების ისტორია თავისებურად ასახავს აზროვნების განვლილ საფეხურებს; აზროვნების ისტორიის პრობლემატიკაში კავშირების წარმოქმნასთან დაკავშირებულ საკითხებს გარკვეული წვლილი შეუძლია შეიტანოს.

დრო და ადგილი თავდაპირველად აღიქმებოდა, როგორც ერთი მოვლენის — სივრცის ორი მომენტი. განვითარების პროცესში ეს ცნებები ნაწევრდებიან. ადამიანთა მთელი საქმიანობა მჭიდროდ დაკავშირებულია განსაზღვრულ, კონკრეტულ ადგილთან. კონკრეტული, ლოკალურ წარმოდგენათაგან თანდათანობით ვითარდება განყენებული ცნება სივრცისა. როგორც ვთქვით, განვითარების უძველეს საფეხურებზე ერთი და იგივე სიტყვა იყო გამოყენებული სივრცისა და დროისათვის. ადგილის ზმნიზედები ერთსა და იმავე დროს აღნიშნავდნენ, „აქ“ და „ახლა“. დროთა განმავლობაში სივრ-

ცობრივ წარმოდგენათაგან თანდათანობით გამოიყოფა დროული წარმოდგენები.

დროისა და სივრცის კატეგორიებთან მჭიდრო კავშირშია კაუზალობის კატეგორია.

ფრ. ენგელსი „ბუნების დიალექტიკაში“ ამბობს, რომ ადამიანის მოქმედების წყალობით მუშავდება წარმოდგენა მიზეზობრივობაზე, — წარმოდგენა იმაზე, რომ ერთი მოძრაობა მეორე მოძრაობის მიზეზია. ენგელსი აღნიშნავს, რომ ბუნებისმეტყველნი და ფილოსოფოსები დღემდის უგულებელყოფდნენ ადამიანის მოქმედების, საქმიანობის ზედმოქმედებას მის აზროვნებაზე; ისინი ცნობენ, ერთი მხრით, ბუნებას და, მეორე მხრით, აზრს. მაგრამ არსებითი და ძირითადი საფუძველია ადამიანური აზროვნებისა სწორედ ბუნების შეცნობა, გარდაქმნა ადამიანის მიერ, ხოლო ადამიანის გონება ვითარდებოდა პროპორციულად იმისა, თუ როგორ ისწავლა მან ბუნების შეცნობა. ადამიანის მოქმედება, იძლევა საშუალებას მიზეზობრიობის დამტკიცებისას[1].

აქ საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ კაუზალობის კატეგორია გამომუშავებულია დროის კატეგორიის საფუძველზე: მიზეზობრივი მიმართება, მოვლენათა ურთიერთშეპირობება გაგებულია როგორც დროული თანმიმდევრობა. აზროვნების განვითარების გარკვეული ეტაპისათვის კანონია post hoc —- propter hoc, როგორც ეს კონკრეტულ მასალაზე აჩვენა პირველყოფილი აზროვნების მკვლევარმა ლევი-ბრიულმა[2].

ენის განვითარების უძველეს საფეხურზე ჯერ კიდევ არ არსებობდა დიფერენცირებული სისტემა კავშირებისა, — ერთი კატეგორიის ტერმინი იყო გამოყენებული სხვადასხვა ლოგიკური მიმართების გამოსახატავად, პრიმიტიული აზროვნების ფორმათა შესაბამისად; ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტზე, რომ ძველ სალიტერატურო ქართულ ენაში გეხვდება პოლისემანტური კავშირები. შემდეგ ისინი დიფერენცირდებიან, ოღონდ არა სავსებით; ყოველ შემთხვევაში, რა კავშირი და ნაცვალსახელი აღნიშნაენ საგანს, ნივთს.

ამრიგად, რა ნივთის კატეგორიისაა, რომელიც შემდეგ გამოყენებულ იქნა კავშირად.

„ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ (§ 124) ნ. მარს შენიშნული აქვს, რომ რა ვარიანტია ხა მასალისა, რომელიც ხა-დ(ა)

[1] Фр. Энгельс, Диалектика природы, 1929, გვ. 15—16.

[2] Л. Леви-Брюль, Первобытное мышление, 1930.

ადგილის ზმნიზედაში გვაქვს შემონახული და რომელიც აგრეთვე გამოუყენებია ენას კავშირად: **სა—რა** (შდრ. **სძე — რძე, სძალი — რძალი, სთველი — რთველი** და მისთ).

სა||რა ფუძეზეა დაყრდნობილი ადგილისა და დროის გამომხატველი კავშირები. **რა** დროულობის კავშირია, **სა** გამოყენებულია სივრცისა და დროულობის გამომხატველად: **სა**(და[მდის]), **სა**(ნამ[დის]).

ამ კონკრეტულ კავშირთა შემდგომი განვითარებაა მათი გამოყენება მიზეზობით კავშირებად, — აზროვნების განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც გამომუშავდება კაუზალობის კატეგორია. მართლაც, **რა**-ს საფუძველზე მივიღეთ კაუზალობის გამომხატველი სიტყვები: **რა** (ით-გან) (—რადგან), **რა**-(კი), **რა**-(მე-თუ). ამავე საფუძველზეა გამომუშავებული მიზნის კატეგორია: **რა**(ით-ა).

იმ დროს, როდესაც კაუზალობის გამომხატველი სიტყვები იყენებდნენ ენაში უკვე არსებულ დროულობის აღმნიშვნელ სიტყვებს, ბუნებრივია, გარჩევა კაუზალობა-დროულობისა ძნელი იქნებოდა,— ისინი მკვეთრად გამიჯნული ჯერ კიდევ არ იქნებოდნენ. ამიტომ გასაგებია, რომ ენას შემოენახა ეს გარდამავალი საფეხური დროულობიდან კაუზალობამდის. მაგალითად, თუ დავაკვირდებით **რაკი** კავშირის სემანტიკას, დავრწმუნდებით, რომ ზოგჯერ ძნელი გასარჩევია, დროულობის კავშირია იგი თუ მიზეზობითი. ავიღოთ წინადადება: „**რაკი** ალიას წყნარი ხვრინვა ისევ შემოესმა, სიფრთხილით სანათურისაკენ წავიდა“. აქ **რაკი**-ს როგორც დროული, ისევე მიზეზის გაგება აქვს: ა) „როდესაც ალიას წყნარი ხვრინვა ისევ შემოესმა, სიფრთხილით სანათურისაკენ წავიდა“, ბ) „რადგანაც ალიას წყნარი ხვრინვა ისევ შემოესმა, სიფრთხილით სანათურისაკენ წავიდა“. ნათელია, რომ აქ დროულობა-კაუზალობა მჭიდროდ გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.

კონკრეტულობიდან აბსტრაქტულობისაკენ გზის მშვენიერი ილუსტრაციაა **ვი** ფუძის ისტორია.

ვი ფუძე ქართული ენის არქაულ ძეგლებში გვევლინება **ა დ გ ი ლ ი ს ზმნიზედის როლში (ვინაჲ)**. უნდა ვიფიქროთ, რომ **ვი** ბადალია **სა-რა** ფუძისა; ისინი სხვადასხვა დიალექტური ფენის წარმონაქმნია და მათი თავდაპირველი სემანტიკაა სივრცისა და დროის კატეგორიების გამოხატვა. ენათმეცნიერებამ საკმაო მასალა დააგროვა იმ დებულების საილუსტრაციოდ, რომ საერთოდ ინტელექტუალური, „სულიერი“ პროცესები და მიმართებანი გამოითქმიან სივრცობრივ-მატერიალური მნიშვნელობის სიტყვებით. სივრცობრივი ცნების გამომხატველი სიტყვები გამოყენებულია, ამასთანავე,

თვით **სუბიექტის** გადმოსაცემად. ადგილის ზმნიზედები საფუძვლად დაედო პირთა ნაცვალსახელებს. და თუ ქართულში **ვინაჲ** ადგილის გამომხატველი სიტყვაა, არ არის შემთხვევითი, რომ **ვინ** უკვე ნაცვალსახელია. **ვინ** და **რა** სიტყვების დიფერენციაცია გვიან მომხდარა: **ვინ** ადამიანის კლასის (**ვინ**-კატეგორია) გამომხატველია, **რა** ნივთის კლასისა (**რა**-კატეგორია). ისტორიულად **სა-რა-ვი** ფუძეთა ლოკატიური შინაარსი ეჰქვს გარეშეა.

ვი-ს ფუნქციური განვითარების შემდგომი საფეხურია კავშირად გამოყენება: **ვინაჲ სივრცითი** კავშირია უკვე ძველ სალიტერატურო ქართულში, ამავე დროს იგი **დროულობის** აღმნიშვნელი კავშირიცაა: **ვინაჲ** (თ-გან) [1].

კონკრეტული კავშირი **ვინაჲ** — დროისა და სივრცის შინაარსით — საფუძველია აბსტრაქტულ-ლოგიკური მიმართებების გამომხატველი სიტყვების გამომუშავებისათვის. მართლაც, უკვე ძველ სალიტერატურო ენაში **ვინაჲ** მიზეზის ზმნიზედაა („ამიტომ“) და შემდგომი განვითარების შედეგად — **მიზეზობითი** კავშირი **ვინაჲ(თგან)**.

თანდათანობით ეს ფუძე კარგავს თავის არქაულ (resp. თავდაპირველ) გაგებას, სივრცისა და დროის მნიშვნელობა ეცლება და თანამედროვე ენამ შემოინარჩუნა მისი „შეძენილი“ სემანტიკა: კაუზალობის გაგება. მართლაც, თუ ძველ სალიტერატურო ქართულში **ვინაჲ-ვინაჲთგან** პოლისემანტური კავშირია (1. სივრცითი, 2. დროულობის, 3. მიზეზობითი), ამჟამად იგი (**ვინაიდან**) მხოლოდ მიზეზობითი კავშირია. ჩვენ რომ არ მოგვეპოვებოდეს ისტორიული წერილობითი ძეგლები, არ გვექნებოდა თანამედროვე **ვინაიდან** კავშირის არქაულ მნიშვნელობათა რეალური მაჩვენებლები. ქართული ენა **ვინაჲ**-ს მასალაზე დოკუმენტალურად გვისურათებს სივრცისა და დროის კონკრეტულ კავშირთაგან აბსტრაქტულ-ლოგიკური მიმართებების კავშირის — კაუზალობის სემანტიკის გამომუშავების გზას.

ანალოგიურია **რადგან** კავშირის ბედიც. თავდაპირველად **რაჲთგან** სივრცე-დროული მიმართების გამომხატველი იყო, — შემდეგ მან განივითარა კაუზალობის ფუნქცია, ხოლო დროთა ვითარებაში

---

[1] სივრცისა და დროის კატეგორიათა ურთიერთობის ასპექტში **ვინაიდან, რადგან**... სიტყვების ანალიზი პირველად მოგვცა **არნ. ჩიქობავამ**. იხ. მისი „ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ძველს ქართულში“ („ფსიქოგია“, III, 1945). **ვინაიდან**, როგორც მიზეზობითი კავშირი, წარმოშობით რომ ადგილის ზმნიზედაა, მითითებულია **ნ. მარისა** და **მ. ბრიერის** წიგნში: **La langue géorgienne**, პარიზი, 1931, გვ. 631.

კავშირმა ჩამოიცილა არქაული გაგება და შეინარჩუნა განვითარების მერმინდელ ეტაპზე შეძენილი თვისება — კაუზალობის გამოხატვა; **რადგან** დღეს მხოლოდ მიზეზობითი კავშირია.

ამრიგად, **ვინაიდან-რადგან** კავშირების მაგალითზე ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე კავშირი პოლისემანტური ყოფილა, შემდეგ კი მას მნიშვნელობა დაუვიწროებია და ერთმნიშვნელოვანი გამხდარა.

სა-რა-ვი ფუძეებზე დაყრდნობილ კავშირებს განსაზღვრებითი წინადადების კონსტრუქციის ჩამოყალიბების ხანაში ახალი მნიშვნელობა მიუღიათ — განსაზღვრებით კავშირებადაც ქცეულან **(სადაცა, რაცა, ვინაცა). სადაცა** აერთებს სივრცესა და განსაზღვრებას, **ვინაცა** — სივრცეს, დროს, კაუზალობასა და განსაზღვრებას.

ამ ლოგიკურ დაკავშირებაში გარკვეული ადგილი უკავია შედარების კავშირებს, — შედარება მჭიდროდ უკავშირდება დროის კატეგორიას! **რაცა, როგორც, ვითარცა, ვითარ, ვინემ-(დის)** კავშირები დროსაც გამოხატავენ და შედარებითი კავშირებიცაა.

ეს ერთობლიობა საგულისხმოა დროისა და შედარების კატეგორიათა თანამიმართების კვლევის თვალსაზრისით.

გასათვალისწინებელია ანალოგიები სხვა სისტემის ენებში. ინდოევროპულ ენებში, მაგალ., შედარება-მსგავსება-იგივეობის გამომხატველი სიტყვები, ამავე დროს, დროულობის სემანტიკასაც შეიცავენ. რუსული как, გერმანული so, als, wie ერთსა და იმავე დროს შედარებითი კავშირებიცაა და დროულობისაც.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ჩვენთვის საინტერესო ფუძეები ივითარებენ სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვის უნარსაც, მაშინ მივიღებდით ქართ. ენის ერთი კატეგორიის კავშირთა პოლისემანტიზმის შემდგომს კომპონენტებს: სივრცე, დრო, კაუზალობა, მიზანი, განსაზღვრება, შედარება, სუბიექტი, ობიექტი. ამოსავალია სივრცისა და შემდეგ დროის კატეგორიები.

სხვა კატეგორიის პოლისემანტურ კავშირთა დასაბამია კითხვითი მნიშვნელობის სიტყვა, კითხვითობა. ესაა მეორე გზა აბსტრაქტული მნიშვნელობის კავშირების გამომუშავებისა. ამ გზითაა მიღებული პირობითი, პირობით-შედეგობითი და გამორიცხვითი სემანტიკის კავშირები. ვგულისხმობთ თუ-ს საფუძველზე აღმოცენებულ კავშირებს: თუ(ცა), თუმცა, უკეთუე, დაღათუ, თუნდაც... აღსანიშ-

ნავია, რომ ენის განვითარების შემდგომს ეტაპებზე თუ ობიექტურ ფუნქციასაც იძენს.

უნდა ითქვას, რომ **საშუალება** ამოსავალია მიზეზობრივობის შეცნობისათვის, და სწორედ ენაშიც წარმოდგენა **საშუალებაზე** ზოგჯერ საფუძველია კაუზალობის ცნების შემუშავებისათვის.

საბჭოთა გერმანისტები (ტ. ვ. სტროევა-სოკოლსკაია...)[1] მიუთითებენ, რომ ეს გაგება საფუძვლად დაედო გერმანულ ენაში durch fon, umbe ელემენტების გამოყენებას კაუზალობის ცნების გამოსახატავად. durch (და სხვები) თავდაპირველად გვევლინება მრავალმნიშვნელობის მქონე daz კავშირის კორელატად მთავარ წინადადებაში, — შემდეგ ის მიეკვრის daz-ს და, ამრიგად, durch daz კაუზალობის კავშირია. durch-ს პირველად ადგილის მნიშვნელობა ჰქონდა, შემდეგ პარალელურად მიუღია **საშუალება-მიზეზის** მნიშვნულობა.

ქართულ ენას გამოუყენებია **ამით** სათანადო შ::ნაარსის გამოსახატავად; **ამით საშუალების** მომენტს გამოხატავს და ერთერთი კომპონენტია მიზეზობითი კავშირისა: იგი, მსგავსად გერმ. durch-ისა, კორელატ-სიტყვა იყო და შემდეგ მიჰკვრია **რომელ** კავშირს, რომელიც ისეთივე უნივერსალური კავშირია, როგორც daz. ამგვარად **ამით რომელ**=durch daz. ქართულში მოქმედებითი ბრუნვის ფორმას (ამით) გვერდში უდგას ვითარებითი ბრუნვის ფორმა **ამად.**

მაშასადამე, **ამით** ატარებს **საშუალების** სემანტიკას და მონაწილეობს (ამ შეხმებაში: **ამით რომელ**) კაუზალობის გამომხატველი თავისებური კავშირის ფორმირებაში.

პოლისემანტურ კავშირთა ცალკე კატეგორიად უნდა გამოიყოს ისეთი კავშირები, რომელთა **უნივერსალიზმი** აიხსნება არა ერთი ყალიბის კავშირთაგან მეორე ტიპოლოგიის კავშირთა მიღებით (განვითარების შედეგად). ასეთი კავშირი **დაქვემდებარების საზოგადო ფაქტის** გამომხატველია, გვევლინება სრულიად განსხვავებულ ლოგიკურ მიმართებათა გამომსახველად. ამ ყალიბის კავშირად ქართულში გამოყენებულია **რომელ-რომე-რომ.** გაერთიანებულია: **სუბიექტი, ობიექტი, მიზანი, პირობა, დრო, მიზეზი, შედეგი, გამორიცხულობა, განსაზღვრება.** ამჟამად **რომ** ყველაზე უნივერსალური კავშირია ქართულში. სხვა ენებში მისი ფუნქციური ბადალია: რუს. что, ფრანგ. que, გერმ. daz და სხვ.

---

[1] Развитие сложноподчиненного предложения в немецком языке, 1940. стр. 34.

თავი მეათე

ქვეწყობის გენეზისის საკითხისათვის კავშირის ჩვენებათა მიხედვით

ქვეწყობილი წინადადების გენეზისის დადგენა რთული საკითხია და ამ პრობლემის კვლევა-ძიება სცილდება ამჟამად ჩვენს მიზნებს; მისი გამოკვლევა სხვადასხვა თვალსაზრისით მიდგომას მოითხოვს. მაგრამ ეგ კითხვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს თემასთან— კავშირის კატეგორიასთან. კავშირის კატეგორიის ჩვენებებს კი მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლია შეიტანოს ხსენებულ პრობლემატიკაში.

ამრიგად, იბადება კითხვა: რას გვეუბნება კავშირი ჰიპოტაქსის წარმოქმნისა და განვითარების საკითხების გამოსაკვლევად?

მეცნიერებაში მიღებულია დებულება ჰიპოტაქსის მეორეულობის შესახებ, — დაქვემდებარების კონსტრუქცია მიჩნეულია ენის განვითარების მაღალი საფეხურების შესაბამის სინტაქსურ კონსტრუქციად. იგი მანიშნებელია ლოგიკური აზროვნების განვითარების დონისა. ქვეწყობის საფუძველია თანწყობა, — მთელ რიგ ენებში მარტივი წინადადების საფუძველზედაც შეიძლება გამომუშავდეს დაქვემდებარებული წინადადების კონსტრუქცია.

ჯერ კიდევ ა დ ე ლ უ ნ გ მ ა გამოთქვა აზრი პარატაქსიდან ჰიპოტაქსის გამომუშავების თაობაზე, ა დ ე ლ უ ნ გ ი ს ა თ ვ ი ს ამოსავალი იყო ზოგადი დებულება, რომ „ბუნება ყოველთვის — მიიმართება მარტივიდან... რთულისაკენ“, ენის განვითარების ადრეულ საფეხურებზე მხოლოდ მარტივი წინადადებები იყვნენ ერთმანეთთან შეპირისპირებულნი, შემდეგ და შემდეგ მუშავდება რთული სინტაქსური მიმართებანი, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ჰიპოტაქსის რთული სისტემის ჩამოყალიბებაში [1].

---

[1] J. Adelung, Umständliches Lehrgebäude, 2,571.

დ ე ლ ბ რ ი უ კ მ ა თავის ცნობილ შრომაში[1], შეაჯამა რა ამ საგანზე ადრე გამოთქმული შეხედულებანი, სავსებით კატეგორიულად თქვა, რომ ენის ისტორიული გაგება უნდა გამომდინარეობდეს იმ ჰიპოთეზიდან, რომ იყო დრო, როდესაც ენაში არსებობდა მხოლოდ დამოუკიდებელი (მთავარი) წინადადებანი.

ამ დებულების გაშლის ცდა ირიბი მეტყველების ანალიზის საფუძველზე მოცემულია ბ ე ჰ ა გ ე ლ ი ს მიერ[2]. ამავე აზრს იმეორებენ ვ უ ნ დ ე რ ლ ი ხ ი, ნ ა უ მ ა ნ ი და სხვ. ეგეთ საკითხი გაშუქებულია ვ უ ნ დ ტ ი ს მიერ თავის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის საენათმეცნიერო შრომებში[3]. ჰ ე რ მ ა ნ პ ა უ ლ ი კი ფიქრობდა, რომ „ეს შეხედულება (პარატაქსის ჰიპოტაქსიდან წარმოშობის შესახებ) გამომუშავდა იმის გამო, რომ ჰიპოტაქსის უძველესი სახეობა მოკლებულია ყოველგვარ გრამატიკულ გამოხატულებას და წარმოადგენს დაქვემდებარებას მხოლოდ ლოგიკურ-ფსიქოლოგიურად. ამიტომ ასეთი ლოგიკური დაქვემდებარების მიჩნევა თანწყობად უმართებულოაო[4]. პაულის თვალსაზრისი ამ საგანზე არ ითვალისწინებს ენობრივი სტრუქტურის თავისებურებას და განყენებული ლოგიციზმით ხასიათდება.

საბჭოთა ენათმეცნიერებაში აღსანიშნავია შედეგები, რომლებიც მიღებულია ზემოხსენებული დებულების საფუძველზე ა. რ ი ფ ტ ი ნ ი ს მიერ[5].

როგორია საქმის ვითარება ქართულ ენაში?

ირკვევა, რომ ქვეწყობის კონსტრუქცია ძირითადად მომდინარეობს თანწყობილ წინადადებათაგან. — პარატაქსული შეხამებანი წინადადებათა საფუძველია ჰიპოტაქსის კონსტრუქციისათვის. სხვა რომ არა იყოს, ეს კარგად ჩანს თვით კავშირთა ეტიმოლოგიებიდანაც: ქართული კავშირები ზმნიზედურ-ნაცვალსახელური წარმოშობისაა (იხ. თავი: „კავშირთა და კორელატთა მორფოლოგიური ანალიზი"), და ეს იმას მოწმობს, რომ ეგ სიტყვები თავდაპირველად — პარატაქსის პერიოდში — ცალკეულ წინადადებათა წევრებს წარმოადგენდნენ, — წინადადებათა, რომლებიც ერთმანეთთან ლო-

---

[1] B. D e l b r ü c k, Vergleichende Syntax der indogermanischen Sprachen (Drdr. d. vgl. Gr. d. idg. Spr., B. III), III, გვ. 412, 1893.

[2] O. B e h a g h e l, Enstehung der abhängigen Rede, 1877, გვ. 5.

[3] W. W u n d t, Völkerpsychologie, Die Sprache, Bd. II, 1904, გვ. 303—305.

[4] H. P a u l, Prinzipien der Sprachgeschichte, 1920, გვ. 145.

[5] А. П. Р и ф т и н, О двух путях развития сложного предложения в аккадском языке. «Советское языкознание», 3, 1937.

გიკურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ და, გრამატიკული საშუალებების ნაცვლად, სინტაქსური დაკავშირება განხორციელებული იყო რიტმომელოდიკის საფუძველზე.

დავიწყოთ დამატებითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქციული ნიშნების ანალიზით.

როგორც სათანადო ადგილას გამოვარკვიეთ, ობიექტური კავშირები გამოყენებულია verba declarandi-სთან და ქმნიან პირდაპირი-ირიბი მეტყველების კონსტრუქციას.

ძველ ქართულში საკმაოდ მოიპოვება ისეთი მაგალითები, საიდანაც ჩანს, რომ ამ ტიპის წინადადებები ერთმანეთს ასინდეტურად უკავშირდებიან, და, უნდა ვივარაუდოთ, ეს კომპლექსი წინადადებათა ერთ ინტონაციურ მთლიანობას წარმოადგენდა.

იგულისხმება ისეთი ნიმუშები, როგორიცაა:

. და ჰრქუა მას მსაჯულმან: რაჲ არს, ჭაბუკო... (აბო 73,8); ჰრქუა მას, ნუ მწუხარე ხარ ამისთჳს, შვილო ჩემო (ასურ. 18,19); და ჰრქუა მათ, ჶ მსახურნო... (არიმათ. 49,6); და მან ჰრქუა მათ, ვიჱილე მე საკჳრველი საკჳრველებათაჲ დღეს (ქიმ. 230,37); და ჰრქუა მათ, თქუენ იცით ძალი საღრმთოთა წიგნთაჲ.. (ხანძთ. დ, გ, 13); — და ერთობით იტყოდეს, დიდებაჲ ძალსა შენსა (სას. პოეზია, სნა, 119); და ამას ოდენ იტყოდეს, ჩუენ ქრისტეანენი ვართ... (კოლ. 60,169); ხოლო მან ჰკითხა, რაჲ გევნების (ხანძთ. ჲგ, ჲა, 10); — მიუგო მჴსნელმან ჩუენმან, დამწყუსენ კრავნი და აძოვენ ცხოვარნი ჩემნი (ასურ. 16,2); — ხოლო მე გიღაღადებ, კურთხეულ ხარ შენ, ღმერთო მამათა ჩუენთაო (სას. პოეზია, ჳϑ, LXV, 4).

ასინდეტური დაკავშირების ამგვარი ფაქტები არაა უცხო მერმინდელი პერიოდების სალიტერატურო ენისთვისაც.

ჩვენ ვხედავთ, რომ ერთმანეთს უკავშირდებიან მარტივი წინადადებები ლოგიკური მიმართების საფუძველზე; გრამატიკული დაკავშირება არა ჩანს. ესაა უძველესი ტიპი სათანადო კონსტრუქციისა.

გრამატიკული დაკავშირების ჩანასახია კორელატის გაჩენა მთავარ წინადადებაში, — უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გამოვლენა ვითარების ზმნიზედისა, რომელიც შემდეგ კავშირის მაკორელაციებელი ელემენტია. კორელატი სათანადო ტიპის წინადადებათა გრამატიზაციის პირველი საფეხურია, — იგი კრავს ასინდეტურად დაახლოებულ წინადადებებს, ისინი ერთიანი (რთული) წინადადების გამომუშავებისაკენ მიჰყავს.

იგულისხმება ამგვარი მაგალითები:

ხოლო თქუენ **ესრეთ** ი ლ ო ც ე ვ დ ი თ: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი (მათე 6,9); **ესრეთ** ე ტ უ ო დ ე უფალო, ჰურიათა... (ჭ.-ეტრ. (160,13); ...ჰ რ ქ უ ა მას სულმან წმიდამან **ესრეთ**: ასწავე საქედრებელად ერსა ლოცვაჲ.. (კიმ. 264, 28); ხოლო იოვანე შიშით **ესრეთ** ღ ა ღ ა დ უ ო: დიდებაჲ შენდა... (სას. პოეზია, სკ, 17); და გ უ ე ტ უ ო დ ა **ესრეთ**: რაჲსათჳს დაეცნეს გულნი თქუენნი... (არიმათ. 23,4); ...ე ტ უ ო დ ე ს ნიკოდემოსს **ესრეთ**: ვიდრემდის შეეწევი და სულსა იღებ... (არიმათ. 85,2): ...და უ ბ რ ძ ა ნ ა **ესრეთ**: რაჟამს მოვიქცე აფხაზეთით, თანა წარგიყვანო შენ ხანძთად (ხანძთ. კბ, კ. 10).

შემდგომი საფეხურია კავშირიანი კონსტრუქცია. როგორც ზემოთ გამორკვეულია, უკვე ძველ პერიოდში ენა იყენებს სათანადო კონსტრუქციაში **ვითარმედ** — **რამეთუ**-ს.

ძველ ქართულშივე სათანადო სემანტიკის ზმნებთან (v. sentiendi და v. declarandi) დაკავშირებული იყო კითხვითი წინადადება, რომელიც შედიოდა oratio recta-ს კომპლექსში როგორც დამოკიდებული წინადადება. ამ შემთხვევაში ძველ ქართულში გვხვდება დამატებითი კავშირები — **თუ**, **უკუეთუ**.

მაგალ.:

და ვ ი კ ი თ ხ ო, უკუეთუ ეპისკოპოსი იორდანისაჲ შინა არს? (რავახ. 89,3).

ჩვეულებრივ კითხვითს წინადადებაში მოცემულია კითხვითი სიტყვა.

მაგალ.:

და მ ა უ წ უ ე ჩუენ, თუ რ ა ჲ მ ე არს სახილავი ესე? (ზარზმ. 154, 28); და წმიდაჲ იგი ჰ კ ი თ ხ ვ ი დ ა, **თუ** რ ა ჲ ს ა თ ჳ ს ტირს ანუ რ ა ჲ შეემთხჳა? (ანტიოქ. 120,12).

ამგვარად, კავშირი კითხვითს წინადადებაში ეხამება კითხვითს სიტყვას.

ნათელია, რომ ენის ძველ საფეხურებზე კითხვითი წინადადება ასინდეტურად უკავშირდებოდა გრძნობისა და თქმის სემანტიკის ზმნათა შემცველ წინადადებას, კითხვითი ინტონაცია წარმოადგენდა სინტაქსური დაკავშირების საფუძველს. კითხვითი ნაცვალსახელი თუ ზმნიზედა სამახვილო ცენტრი იყო. ენის განვითარების შემდგომს საფეხურებზე **თუ** კითხვითი სიტყვა იკიდებს ფეხს კითხვითს წინადადებაში, — იგი კავშირის როლში გეველინება, კითხვითი ნაცვალსახელიდან თუ ზმნიზედიდან გადმოინაცვლებს ინტო-

ნაციური ცენტრი კავშირზე, კითხვითი წინადადება კარგავს ინტონაციურ თავისთავადობას და დამოკიდებულ წინადადებად იქცევა.

საინტერესოა საანალიზო კონსტრუქციის მერმინდელი განვითარების გზა. **-ც(ა), -იგი** ნაწილაკები დაერთვიან კითხვითს სიტყვას და ეს კი იწვევს კავშირის გაუჩინარებას, ნაწილაკდართული ნაცვალსახელი კისრულობს კავშირის ფუნქციას:

უ თ ხ რ ე ს..., **რაჲცა** იქმნა (მათე 28,11); ჰ კ ი თ ხ ვ ი დ ა მათ, **რასა-იგი** იცილობდეს გზასა ზედა ურთიერთას (მარკ. 9,33); და კუალადაცა წ ა რ მ ო რ თ ქ უ ა, **რაჲ-იგი** ეთქუა პირველ (ცხ. პეტრე ახლისა, XB, 1915, 47,27); და უ თ ხ რ ა მათ, **რაჲ-იგი** შეემთხჳა მწუხარებაჲ(არიმათ. 69,6); ...და გ რ ქ უ ა შენ, მუნ **რაჲცა** ჯერ იყოს შენდა ყოფად (არიმათ. 61,4).

სხვა სემანტიკის ზმნებთან:

...და განყიდა ყოველი, **რაჲცა** ედვა (მათე 13,46); ...უწყოდა, **რაჲ-იგი** იქმნა მის ზედა (მარკ. 5,33); ...და შეაგდო **რაჲ-იგი** აქუნდა ქელთ-საკოცელსა შინა გამოკრულ (ზარზმ. 179,3); ...მიეც მას, **რასა-იგი** ბრძანებს შჯული სარწმუნოებისაჲ (ანტიოქ. 81, 12).

ფართო გავრცელება აქვს საშუალო ქართულშიც, ოღონდ -ცა ნაწილაკიან კავშირს.

ახალ სალიტერატურო ქართულში **რაც** დამკვიდრებულია; მის გვერდით გვხვდება **თ უ რ ა:**

კოტემ გ ა მ ო ი კ ი თ ხ ა, **თ უ რ ა** იყო მიზეზი.

შდრ.

კოტემ გ ა მ ო ი კ ი თ ხ ა, **თ უ** რაც იყო მიზეზი. ||
კოტემ გ ა მ ო ი კ ი თ ხ ა, **რაც** იყო მიზეზი.

ასეთივე სურათი გვაქვს სხვა შემთხვევაშიც, როდესაც კავშირთან მოცემულია კითხვითი სიტყვა:

დათამ იცოდა, **თ უ რ ა** იყო სიღარიბე.

შდრ.

დათამ იცოდა, **რაც** იყო სიღარიბე.
შეატყო, **თ უ ვ ი ნ** იყო ბოროტების ჩამდენი.

შდრ.

შეატყო, ვინც იყო ბოროტების ჩამდენი;
მეცოდინება, თუ ს ა დ გამითხრიან საფლავს.

შდრ.

მეცოდინება, სადაც გამითხრიან საფლავს.
აუხსნა, თუ რ ა ს ნიშნავდა ყოველივე ეს.

შდრ.

აუხსნა, რასაც ნიშნავდა ყოველივე ეს.

ჩვენ ვხედავთ, რომ -ც ნაწილაკის დართვის გზით ყალიბდება ობიექტურ კავშირები: რაც, ვინც... ეს სიტყვები კი თავდაპირველად წინადადებაში ნაცვალსახელის როლში გვევლინებოდნენ. ამრიგად, ოდესღაც ცალკე მდგომი წინადადებანი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან, ვღებულობთ ერთიან რთულ წინადადებას.

ეს წესი არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მთავარი წინადადება უარყოფითი წინადადებაა. არ შეიძლება ითქვას: „დათამ არ ი ც ო დ ა, რაც იყო მიზეზი“, არამედ აუცილებელია: „დათამ არ ი ც ო დ ა, თუ რ ა იყო მიზეზი“. ეს ნორმაა თანამედროვე სალიტერატურო ენისა. ამრიგად:

დათამ ი ც ო დ ა, რაც იყო მიზეზი.

შდრ.

დათამ არ ი ც ო დ ა, თუ რა იყო მიზეზი:
ა უ ხ ს ნ ა, რასაც ნიშნავდა ყოველივე ეს.

შდრ.

ვ ე რ ა უ ხ ს ნ ა, თუ რ ა ს ნიშნავდა ყოველივე ეს.

ასეთივე ვითარებაა ძველსა და საშუალო სალიტერატურო ენაშიც:

ა რ ა ვ ი ც ი, რასა იტყჳ (მათე 26,70); ა რ ა უ წ ყ ი თ, რაჲ მიგიგოთ (ზარზმ. 175,36); ...ა რ ი ც ო დ ა, რას იქმოდა (რუსთ. 355,3).

დადებითი და უარყოფითი წინადადებების ამგვარი დაპირისპირების ახსნა მოცემულია თავში: „კავშირთა და კორელატთა მორფოლოგიური ანალიზი“.

რთული წინადადების მარტივ წინადადებათა შეერთების გზით წარმოქმნა კარგად ჩანს მეთქი-კონსტრუქციის წინადადების ანალიზითაც.

ზემოთ გამორკვეულია, რომ „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკი მეთქი

თავს იჩენს საშუალო ქართულში, განსაკუთრებით აღორძინების ხანის ენაში. ეტიმოლოგიურად იგი მომდინარეობს პირთა ნაცვალსახელისა და ზმნის პირველი ფორმის შერწყმის გზით: **მე ვთქვი** მეთქი. სავარაუდებელია, რომ მე **ვთქვი**-სთან დაკავშირებული იყო ასინდეტურად მეორე წინადადება: „მე ვთქვი, წავალ“. დროთა ვითარებაში oratio recta-ს კონსტრუქციაში სტანდარტად იქცა „მე ვთქვი“, იგი გაცვდა და ფონეტიკური პერტურბაციის შედეგად მივიღეთ **მეთქი**, რომელიც ენის განვითარების გარკვეულ საფეხურებზე ჯერ კიდევ არ იყო ნაწილაკად ქცეული, მას შენარჩუნებული ჰქონდა თავდაპირველი სემანტიკა. ეს მდგომარეობა ნათლად დაუცავს თანამედროვე ცოცხალ მეტყველებას. მაგალ., კახურ დიალექტში **მეთქი**-ს წინა პოზიცია უკავია და ყრუდ გადმოგვცემს თავის ეტიმოლოგიურ ბუნებას. ასეთი ფრაზები — „**მეთქი** გაეთრიე აქედან“, „**მეთქი** ვინ მოკლა“ და მისთ. ჩვეულებრივია თანამედროვე სიტყვახმარებაში. ეს კონსტრუქცია გარდამავალი კონსტრუქციაა; შემდგომს საფეხურებზე **მეთქი** ნაწილაკად იქცა და მოექცა მასთან დაკავშირებული წინადადების ბოლო სიტყვასთან. **მეთქი**-ს „ფუნქციური დაბნელებისა“ და თავდაპირველი მნიშვნელობის წაშლის საუკეთესო მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მთავარ წინადადებაში მოცემულია ბადალი სემანტიკის ზმნა და, ამავე დროს, დამოკიდებულ წინადადებაში თანდათანობით ფეხს იკიდებს (ობიექტური) კავშირი (შდრ. „მე ვ თ ქ ვ ი, **რომ** წავალ-**მეთქი**“, „მე მ ო ვ ა ხ ს ე ნ ე, **რომ** წავალ-**მეთქი**“). სიმპტომატურია შემდეგი გარემოებაც: **მეთქი** წარმოშობით წყვეტილის მწკრივია („მე ვთქვი“), — ენის თანამედროვე საფეხურზე სათანადო კონსტრუქცია შეიძლება გამოხატავდეს აწმყოს ან მყოფადის მწკრივებსაც (შდრ. „მ ე ვ ა მ ბ ო ბ, მივდივარ-**მეთქი**“, „მ ე ვ ი ტ ყ ვ ი, წავალ-**მეთქი**“).

ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით საგულისხმო ჩვენებას იძლევა პ ი რ ო ბ ი თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს კონსტრუქცია.

სათანადო კავშირის — **თუ**-ს კითხვითი სემანტიკა იმაზე მიგვითითებს, რომ „პირობის“ წინადადება კითხვითს წინადადებას წარმოადგენდა. შესაძლებელია ეს კითხვითი სიტყვა წინადადებაში არ ყოფილიყო, მაგრამ ინტონაციის მომენტი გარკვეულ როლს ასრულებდა. ეს ძველი ვითარება დაახლოებით უნდა გვქონდეს შემონახული სალიტერატურო ენის მთელი რიგი ფაქტების სახით.

მოვიყვანოთ ნიმუშები „ვეფხისტყაოსნიდან“.

ა რ მ ო ვ ბ რ უ ნ დ ე, მომიგლოვე, მიტირე და მივაგლახე (157,4); ა ქ ა თ ს ა მ წ ე ლ ა რ მ ო ვ ი დ ე, მაშინ გმართებს გლოვა, ფლასი (164,3); მ ო ვ კ ვ დ ე, თავსა ნუ მოიკ-

ლავ, (787,3); ვერა ჰპოვებ, დავიჯერებ... (132,3); ჰპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარულად მოუბარი (132,2); შენ მოჰკვდე და იგი წახდეს, ესე შენთვის რა მადლია? (273,4); შენ საყვარელსა გაგყარო, ესე რად გენაცვალების! (299,4); არ დაგმორჩილდენ, შეჰრისხდი რისხვითა კვლა და კვლაცითა (425,4).

გამოყოფილი წინადადებანი პირობითი წინადადებებია, ასინდეტურად დაკავშირებულნი მთავარ წინადადებასთან. მათი კონსტრუქციული ნიშანია შემასმენლის კონიუნქტიური ფორმა. — ინტონაციურად, უნდა ვივარაუდოთ, ასეთი წინადადება გამიჯნულია მთავარისაგან — კითხვითი წინადადებაა. რომ ეს ასეა, კარგად ჩანს ამ ტიპის წინადადების თანამედროვე წარმოთქმიდან: „არ მოვბრუნდე? მომიგლოვე...“; „მოვკვდე? თავსა ნუ მოიკლავ“. ამგვარი შემთხვევები თანამედროვე ცოცხალი მეტყველებისთვის უჩვეულო არ არის.

შდრ. ხალხური ლექსი:

„თუ მოყვარე ხარ, მიმოყვრე,
კალთა გავაბათ კალთასა,
მტერი ხარ? შემატყობინე,
ან ბარს დაგიხვდე, ან მთასა“.

აქ დაბრკოლებად ვერ ჩავთვლით ვარაუდს კავშირის გაუჩინარების შესახებ, გამართლებულს ლექსის საჭიროებით[1]. ამგვარი მაგალითები პროზაული მეტყველებისთვისაც ჩვეულებრივია:

კაცმან თავისა საქონელი მპარავსა შეჰვედროს, უკეთ შეინახავსო (ვისრ. 157,8); დაიკარგოს, შენც დაიკარგე, მოვიდეს, შენც მოდიო! (რუსუდ. 749,2); დავბრუნდე, ჩემს ქვეყანას არ მიმესვლებამეთქი (რუსუდ. 750,8) და მისთ.

მრავლადაა საამისო ნიმუშები ანდაზა-გამოცანებში, სიზმრის ახსნაში და მისთანათა ჟანრის მეტყველებაში („წვერიანი კაცი ნახო, ცუდად შეიქმნები“? „თეთრად ჩაცმული კაცი გამოგეცხადოს, ავად გახდები“ და სხვ.).

არსებითი მნიშვნელობისაა თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში შემორჩენილი ფაქტების მონაცემები: ინგილოურ, გურულ და აჭარულ დიალექტებს დაუცავთ დამოკიდებული წინადადების გენეზისის თვალსაზრისით უაღრესად ანგარიშგასაწევი ფორმა, რო-

[1] საქმე ისაა, რომ ენაში ამგვარი ვითარება შესაძლებელია და ესაა აქ მთავარი.

მელიც პირველ მათგანს დღეს უკვე დავიწყებული აქვს (ვიცნობთ მოსე ჯანაშვილის ტექსტების მიხედვით), ხოლო გურულ-აჭარული ტიპობრივი მეტყველებისათვის იგი ნიშანდობლივია განვითარების თანამედროვე საფეხურზე.

სათანადო კონსტრუქცია პირობითი წინადადებისა მჭიდროდ უკავშირდება დროის გარემოებითს წინადადებას, ორივეში მონაწილეობს **რომ** კავშირი, — ამიტომ მაგალითებში ჩვენ შეგვხვდება ორივე ტიპის წინადადების ნიმუშები.

ინგილოურ კილოში დამოკიდებული წინადადება განხილული ტიპოლოგიისა კითხვითი წინადადების სტრუქტურულ ნიშანს ავლენს: მოცემულია **ა**, კარგად ცნობილი მაჩვენებელი კითხვითობისა ქართულ ენაში. ეს გარემოება კი მანიშნებელია იმ უძველესი ვითარებისა, როდესაც მარტივი წინადადებანი ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდნენ და ერთ-ერთი მათგანი, კითხვითობის მატარებელი, შემდეგ დამოკიდებულ წინადადებად ჩამოყალიბდა, მასში კავშირი გამომუშავდა, კითხვითი ნიშანი მოიშალა და ორი წინადადება ერთმანეთს დაუკავშირდა გრამატიკული საშუალებებით, — დასრულდა დაქვემდებარების პროცესი. უეჭველია, ენის განვითარების დღევანდელ საფეხურზე კავშირისა და კითხვითი ნაწილაკის ერთმანეთის გვერდით არსებობა ანაქრონიზმია, და არ არის შემთხვევითი, რომ ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ, როდესაც მ ო ს ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი იწერდა ინგილოურ მასალებს (იმასაც მოხუცებისაგან, — ყველგან გატარებული ეს არ არის მის ტექსტებში), ეგ მოვლენა ცოცხალი იყო, ხოლო როგორც უკანასკნელი დროის დიალექტოლოგიური ძიებები ადასტურებენ, ამჟამად ეს თავისებურება ინგილოურს აღარ ახასიათებს.

თუ არ მეტყუია, გეგეყრებ (189); **თუ** არ მეტყუია, მაშინავ მოკდო (199,32); ვქ **რუმ** ემგე ბარაქათ ეყოა, ქომოჲთიანა მეზობელს თავ-პირ ჩამოჰნატროდა (204, 14); ხუალ **რუმ** გათენდებისა სახლს ოჲშენებ (205,14); კერკლებთან **ჰუმ** მისულანა, ყოვს დაუჩხავლნი (183,14); კარგა **რუმ** ადუღდაა, ადგა (193, 1); ვაშლ **ჰუმ** ჩამოცუვდაა, ქალებ ხალიჩაზე გადახტნენ (192,14); **რუმ** მაჲხედა და მობრუნდაა წამაჲწივა (186,9); შინ **რუმ** მოვიდაა, დედაკაცს არაჲფერ არ ჰუთხრა (198,18); ამას სიცივემ **რუმ** მოუჩირაა, ახტა-დახტა... (205,12).

აჭარულ-გურულში სათანადო წინადადება აგრეთვე კითხვითი ინტონაციისაა, მაგრამ **ა** ნაწილაკი კი არ ერთვის (რომელიც, ეტყობა, დიდი ხანია დასავლურ კილოებში ხმარებიდან გადავარდნილა),

არამედ კითხვა გამოხატულია წინადადების უკანასკნელი სიტყვის უკანასკნელი მარცვლის გაგრძელებით. ეს წესი მარტივი წინადადების ფარგალშიც ნიშანდობლივია, როდესაც წინადადება კითხვითია.

მაგალითები აჭარულიდან:

მექქეში **რუმ** სიცხეაა, არაფელ ქოყანაშია; მიორე თვეზე **რუმ** მიხუაალ, კტარი არ დაგხთება; აგი **რუმ** ვიცოდიი, **რუმ** სილა დაადნობდა, იმ სილაზე უფრო ცხელი გახთა ჩემი გული; ჩემ გულში **რუმ** ჩაგეხედა, შიგეცოდებოდი; თუ ქალს უნდაა, (დიდარი თუა), კაცს ყიდულობს; ფაითონში **რუმ** ჟის მუჰამედის გუარიი, მას მიზდევენ...; აგი ქალიზა **რუმ** შეგეხედაა, მაშინათვე იტყოდი...; ყუმბარები **რუმ** მოგეტანაა, ვერ მოხკვლიდი [1].

მაგალითები გურულიდან:

თქვენ **რომ** ხელც არ მიშლიდე, ყოლიფერს მუახერხებ; **უმ** გადიარს იქიდან, მერე მიეცემა დიდი გული; გარეთ **უმ** გამეიდა, დუუძახა.. [2]

გურულ-აჭარულის ხმოვნის გაგრძელება და ინგილოურის ა-ს დართვა ერთ სიბრტყეზე ექცევა, რამდენადაც ორიეე მოვლენა ჩვენ მიერ გაგებულია, როგორც კითხვითი წინადადების ნიშანდობლივი ელემენტები.

არსებობს ამ მოვლენის სხვაგვარი ახსნა. ქ. ლომთათიძე ფიქრობს, რომ ინგილოურის ა უნდა წარმოადგენდეს რომელიღაც სიტყვის ნაშთს, ასეთი შეიძლება იყოს ან „არის“ („არს“), ან დამადასტურებელ-ჩაკითხვითი „არა“ ე. წ. განსაზღვრულობის ფუნქციით. ამის მიხედვით: „რომ მოვიდა...“ მომდინარეობს: „რომ მოვიდა არის“ ან „რომ მოვიდა არა“-ს კონსტრუქციიდან. მაგრამ გურულ-აჭარულში ხომ ეს ა არა გვაქვს, იქ ხომ ყოველგვარი ხმოვნის გაგრძელებაა! აეტორი გვეუბნება, რომ იქაც უნდა გექონოდა ეს ა ოდესღაც, შემდეგ დაიკარგა და წინახმოვანი დააგრძელაო [3].

ამ მოსაზრებას, როგორც ხელოვნურს, ვერ გავიზიარებთ; მას

---

[1] შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონით. ურთ 1956. იხ.: 365, 33; 365,39; 366,1; 366,7; 366,21; 366,27; 366,38; 367,4 (ჩემ მიერ ჩაწერილი ქობულეთური მასალებიდან).

[2] ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტებში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ I, გვ. 338—339.

[3] იქვე.

მრავალი დაბრკოლება ელობება. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ სათანადო ტიპის მაგალითებში ყოველთვის არ იგულისხმება იმ ვითარებაზე მითითება, რომელიც თანამოსაუბრისათვის უკვე ცნობილია, წამოყენებული თვალსაზრისი მთლიანად დაფუძნებულია დაშვებებზე: ა) ინგილოურის ა მომდინარეობს ან არის -სიტყვისაგან ან არა-სიტყვისაგან; ბ) გურულ-აჭარულის ფაქტობრივი ვითარება არ ამართლებს ამ ა-ს არსებობას, რომელიც მომდინარეობს სავარაუდო არის-არა-საგან, იგი შ ე ს ა ძ ლ ო ა ყოფილიყო ოდესღაც; გ) ამ თეორიულად სავარაუდო ა-ს შ ე ე ძ ლ ო წინა ხმოვნის გაგრძელება... ყველა დებულება სავარაუდოა, შესაძლებელია.

ჩვენი ახსნა მარტივია: სათანადო კონსტრუქცია, როგორც ეს სხვადასხვა ნიშნით ჩანს, უნდა ყოფილიყო კითხვითი წინადადების შემცველი; კითხვითი ა დაცულია ინგილოურში, — ამავე კონსტრუქციაშიც თავს იჩენს ა შემასმენელთან, — ბუნებრივია, იგი კითხვითი ა არის; იმავე ტიპის წინადადებებში გურულ-აჭარულში უკანასკნელი სიტყვის უკანასკნელი მარცვალი გრძელდება, ინტონაციურად ეს დაგრძელება კითხვითობას გამოხატავს (ე. ი. მარტივ კითხვითს წინადადებაშიც ანალოგიური მდგომარეობაა, — კითხვითი ა ნაწილაკი ამ კილოებს ამჟამად აღარ ახასიათებთ), — მაშასადამე, აქაც კითხვითს წინადადებასთან გვაქვს საქმე.

თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში ჩვენ ვადასტურებთ ისეთ კონსტრუქციას, რომელშიც მონაწილეობს და ელემენტი: „ამ გზას დაადგები-და ინანებ“, „მარჯვნივ წახვალ-და ხიფათს ასცდები“, „გაფრინდება-და გაფრინდეს“ და მისთანანი. იგი ეხამება თუ კავშირსაც: „თუ მომკლავს-და, მომკლას“, „თუ ვერ დაიფიცოს-და, საერთოდ იყოს“ (დოკუმენტ, ბერძენ. 448,38) და მისთ.

ვფიქრობთ, რომ ამგვარ კონსტრუქციებში ვიპერთ და კავშირის უძველეს ფუნქციას: იგი აქ ნაწილაკის შთაბეჭდილებას ახდენს, ალბათ და კავშირს ნაწილაკოვანი დასაბამი აქვს; ამ ნაწილაკში ენის უძველეს საფეხურებზე ჩანასახის სახით მოცემულია დაკავშირების ფუნქცია. ამიტომაა, რომ იგი პირველხანად წინამავალ სიტყვას ეკვროდა; ზემოხსენებული ტიპის წინადადების რიტმო-მელოდიკა ამის უტყუარი დამამტკიცებელია.

ბუნებრივად მოგვაგონდება მეგრული, სადაც პირობითი წინადადება გადმოცემულია და ნაწილაკის მეშვეობით: „ხოშქვერს გიმოჩანქ-და, სუმ შაურს მერჩა“ — „თუ ნახშირს ყიდი, სამ შაურს მოგცემ“. ქართულად შესაბამისი იქნებოდა: „ნახშირს ყიდი-და, სამ შაურს მოგცემ [1]. დღევანდელ სასაუბრო ენაში ამგვარი კონსტრუქ-

[1] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 185.

ცია ბუნებრივია. მეგრული უნდა ასახავდეს უძველეს ვითარებას; დაბრკოლებად არ ჩაითვლება ის გარემოება, რომ მეგრულში და კავშირი დო-ს სახით განვითარებულა.

მნიშვნელოვანია, რომ ეგევე და გამოხატულებას პოულობს პირობითობის გადმომცემ კავშირებში: თუარადა — თვარადა, თითქოს-და.

ამასთან დაკავშირებით განსახილველია ე. წ. პირობით-შედეგობითი წინადადების კონსტრუქციის წარმოქმნის საკითხები.

პირობით-შედეგობითი ტიპის წინადადება, რომელიც სალიტერატურო ენაში საბოლოოდ დამკვიდრდა თორემ კავშირით, როგორც გამორკვეულია, თუ არა-ს საფუძველზეა აღმოცენებული. წინადადების — „იჩქარე, თორემ წვიმა მოგისწრებს" ძველი სახეობაა: „იჩქარე, თუ არა წვიმა მოგისწრებს" [1]. დამოკიდებული წინადადება — „თუ არა წვიმა მოგისწრებს" თავისთავად უნდა წარმოადგენდეს კონსტრუქციულად ორი წინადადების შენაზავს [2]. ამათგან ერთი დამოკიდებული იყო და მეორე — მთავარი: „თუ არ იჩქარებ, წვიმა მოგისწრებს". უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ რთული წინადადების კომპლექსს წინ უსწრებდა ლოგიკურად დაკავშირებული წინადადება, რომლის პრედიკაცია იგივეა, რაც მომდევნო წინადადებისა: „იჩქარე, თუ არ იჩქარებ, წვიმა მოგისწრებს". დროთა ვითარებაში ერთი და იმავე ლექსიკური მასალის პრედიკატთა ტავტოლოგიური განმეორება საფუძველს იძლეოდა ერთ-ერთის გაუჩინარებისათვის: „იჩქარე, თუ არა, წვიმა მოგისწრებს". შემდგომი საფეხურია კავშირისა და უარყოფითი ნაწილაკის შერწყმა და ერთი მთლიანი კავშირის (resp. პირობით — შედეგობითი კავშირის) გამომუშავება (თუ არა→თუარა—თვარა...). ეს ვარაუდი ზათელს ხდის ამ ტიპის წინადადების სემანტიკის თავისებურებასაც: დამოკიდებული წინადადება („...თორემ წვიმა მოგისწრებს") ერთსა და იმავე დროს პირობითობის მომენტსაც შეიცავს და შედეგობითიცაა: პირობითია იმდენად, რამდენადაც გენეტურად მისი უძველესი სახეობის წინადადების ერთ-ერთი კომპონენტი პირობითი დამოკიდებული წინადა-

---

[1] „ზოგჯერ შედეგობითი დამოკიდ. წინადადება გამოხატავს შედეგს არა ერთ წინადადებაში გამოხატული მოქმედებისას, არამედ რამდენიმე წინადადებისას". (ლ. კვაჭაძე, რთული წინადადების სწავლების მეთოდიკა, 1950, გვ. 71).

[2] მართალია გ. როგავა, როდესაც ამბობს, რომ „თორემ კავშირი ამჟამად სცილდება ქვეწყობილი წინადადების ფარგლებს" (ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, გვ 376).

დება იყო („თუ არ იჩქარებ, წვიმა მოგისწრებს"), — შედეგობითია იმდენად, რამდენადაც ყოველი პირობითი წინადადების კონსტრუქციის ერთ-ერთი კომპონენტი შედეგობითი (resp. მთავარი) წინადადებაა („თუ არ იჩქარებ, **წვიმა მოგისწრებს**"). ამგვარად, ორი წინადადების სტრუქტურული გაერთიანების საფუძველზე მივიღეთ მათი სემანტიკური გაერთიანებაც.

პირობით-შედეგობითი წინადადების კონსტრუქციის ჩამოყალიბებას ჩვენ ვერ ვივარაუდებთ ენის განვითარების უძველეს საფეხურებზე, — იმ ხანაში, როდესაც ქვეწყობა ჯერ კიდევ ფორმირებული არ იყო, ეს იმიტომ, რომ ამ კონსტრუქციის საფუძველია რთული წინადადება: პირობითი წინადადების კონსტრუქციის კომპლექსში შემავალ მარტივ წინადადებათა შერწყმამ მოგვცა ახალი ტიპის დამოკიდებული წინადადება. ამ თვალსაზრისს სავსებით ამართლებს პირობით-შედეგობითი წინადადების წარმოჩენის დრო სალიტერატურო ენაში: როგორც ზემოთ გამორკვეულია, ეგ კონსტრუქცია საშუალო ქართულში ჩამოყალიბდა!

ზემოთ აღინიშნა, რომ პირობითი დამოკიდებული წინადადების განვითარების უძველესი საფეხურებისათვის დამახასიათებელია **და** ნაწილაკის გამოვლენა. ეს **და** ნაწილაკი ურდა ვივარაუდოთ პირობით-შედეგობითი წინადადების კონსტრუქციის ძველ საფეხურებზედაც: უარყოფითს პირობითს წინადადებაში, რომელიც საფუძველია ახალი კონსტრუქციისა, **და** ნაწილაკი თავის ადგილას იქნებოდა: „თუ არ იჩქარებ-**და**, წვიმა მოგისწრებს". პრედიკატის გაუჩინარების შემდეგ **და** არ იკარგება, ახალი ფორმაციის კავშირს უერთდება, — ამგვარად ვღებულობთ **თუარადა—თვარადა—თორადა-ს**.

გავიხსენოთ ორიოდე მაგალითი:

> ვა შენი ბრალი, **თვარადა** სიკვდილი ჩემი ლხინია (რუსთ. 918,4); ...გამოგვიგზავნეთო, **თორადა** ჯარს გამოგიძახებთო (ფარსად. 229); გამომიტანე მა ფქვილი, **თუარადა** ქე წავალ სახში (ქვემოიმერ.); მოსხეპე ე ბჟოლა, **თვარადა** ქე იყავი (ქვემოიმერ.).

და ნაწილაკი **თითქოს** კავშირსაც უერთდება და ეს არ არის შემთხვევითი: თითქოს ეტიმოლოგიურად მოდის **თუ ითქვას-იდან**, რომელიც აგრეთვე პირობითი წინადადების კონსტრუქციაა (**→თითქოსდა**).

ამით შეიძლება დავამთავროთ პირობითი დამოკიდებული წინადადების წარმოქმნის კვლევა-ძიება. დავასკვნათ, რომ პირობითი წინადადების კონსტრუქციის ისტორიული საფუძველია შეხამება

მარტივი წინადადებებისა, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურ მიმართებაში იმყოფებოდნენ. პირველი წინადადება ჩამოყალიბდა კითხვით წინადადებად, რომელსაც „უპასუხებდა“ მეორე წინადადება. დროთა ვითარებაში გამომუშავდა გრამატიკული დაქვემდებარება. არ არის შემთხვევითი, რომ, როგორც გამოვარკვიეთ, ძველ სალიტერატურო ენაში პირობითი დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებდა მთავარ წინადადებას; ინვერსია განხორციელებულია ენის განვითარების მომდევნო საფეხურებზე და ამის საფუძველია გრამატიკული დაქვემდებარების განმტკიცებული სისტემა.

რას გვეუბნება მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველი კონსტრუქციების ანალიზი ჰიპოტაქსის ისტორიისათვის?

როგორც ვიცით, მიმართებითი ნაცვალსახელი ისტორიულ ქართულში სამ კონსტრუქციაში მონაწილეობს: სუბიექტურ, ობიექტურ და განსაზღვრებითს წინადადებებში [1].

ენის განვითარების იმ უძველეს საფეხურებზე, როდესაც ჰიპოტაქსური შეხამებანი ჯერ კიდევ არ არსებობდა, მიმართებითნაცვალსახელიანი კონსტრუქციის დასაბამ კონსტრუქციად უნდა მივიჩნიოთ პარატაქსული შეწყობა ორი წინადადებისა, რომელთაგანაც ერთი კითხვითს წინადადებას წარმოადგენდა. კითხვითს წინადადებაში მოცემული იყო კითხვითი ნაცვალსახელი, მისამართი სიტყვა და შემასმენელი, როგორც აუცილებელი ელემენტები; კითხვითი ნაცვალსახელი (რომელი...) ივარაუდება, როგორც მისამართი სიტყვის (სახელის) ატრიბუტი.

საიდან გამომდინარეობს ეს ძირითადი მნიშვნელობის დასკვნა?

ჩვენთვის ამოსავალია მიმართებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობა: რომელ-სიტყვა კითხვითი სიტყვაა, მასთან იგულისხმება სახელი, რომლის ატრიბუტსაც იგი წარმოადგენს. ორი მარტივი წინადადება ერთიანდება ლოგიკურ საფუძველზე და ეს თავდაპირველი დაკავშირება ხორციელდება რიტმო-მელოდიკის საშუალებით. განვითარების შემდგომი საფეხურია ენკლიტიკური ნაწილაკის გაჩენა კითხვითი წინადადების ნომინალურ ელემენტთან და პირთა და მითითებითი ნაცვალსახელის გამოვლენა მეორე წინადადებაში. ესაა გრამატიზაციის ჩანასახი. საბოლოოდ ეგ ნომინალური ელემენტი შეიძლება გაუჩინარდეს, რამდენადაც იგი ლოგიკურად იგულისხმება, ხოლო ენკლიტიკური ნაწილაკი გადაინაცვლებს

---

[1] კვეწყობასთან დაკავშირებით მიმართ. ნაცვალსახელი განხილულია ფ. ერთელიშვილის საყურადღებო ნაშრომში, რომელიც 1957 წ. გამოქვეყნდა (უნივ. შრომები, 65).

კითხვითს ნაცვალსახელთან, იგი უკვე მიმართებითი ნაცვალსახელია, — ინტონაციის მომენტი კარგავს მნიშვნელობას, მოიშალა, მიღებულია ერთი რთული წინადადება resp. ქვეწყობის კონსტრუქცია (იხ. სქემა).

ქართულ ენას შემოუნახავს ძველი ვითარების ამსახველი კონსტრუქცია: კითხვითი ნაცვალსახელი resp. კავშირი დამოკიდებულ წინადადებაში შეხამებულია სახელთან. იგულისხმება ამ ტიპის ნიმუშები:

და რომელ აწ ძენი გესხნენ, იგუემნენ ეშმაკთა გან (ხანძთ. 69, ნვ, 14); ძოღან **რომელთა** ვაჭართა მოეცათ, იგინი მუნ დახვდეს (სიბრ.-სიცრ. 13,16); მე რომე ცეცხლი მედების, არ ნაგზებია კვესითა (რუსთ. 927, 2); შენ რომ ცეცხლი გამოგეგზავნა, კარგს დროს მოგვივიდა (დოკუმენტ. თაყაიშვ. 74,3); მადნებში ასი კაცი **რომ** გავგზავნეთ, ისინი წამოსულან... (დოკუმენტ. თაყაიშვ. 58,9); მელიქს რომ მუშა გამოეგზავნა, მოვიდნენ აქა (დოკუმენტ. თაყაიშვ. 75,8);

თანამედროვე ქართულში განმტკიცებულია ეს ნორმა **რომ** კავშირთან (შდრ. მაგალითები საბუთების ენიდან). ნორმაა, აგრეთვე, ისეთი კონსტრუქცია, სადაც ნაცვალსახელი ეხამება ნაწილაკდართულ სახელს. იგულისხმება ამ ტიპის მაგალითები:

რომელი შვილი(ც) უფრო გამრჯე მყავდა, ის მომიკვდა:

რომელ ხარსა(ც) შეხედავდა, ის უმალ წაიფორხილებდა:

რომელმა ამხანაგმა(ც) მიღალატა, ის დაისაჯა.

ვადასტურებთ კომპრომისულ კონსტრუქციასაც; ენკლიტიკური ნაწილაკი დართულია კითხვითს ნაცვალსახელზე, ე. ი. გამომუშავებულია მიმართებითი ნაცვალსახელი, ხოლო სახელი არაა გაუჩინარებული. ამის მაგალითებს ვხვდებით საშუალო ქართულში:

რომელიც მაგვარი ქეთხუდა სომეხი კაცი იყოს.., გამოუცხადე... (დოკუმენტ. თაყაიშვ. 34,12); **რომელმანც** ნათესავმან ამისად კელ-ყოს, იგიმც შეიშლება თავის სახისაგან (დოკუმენტ. თაყაიშვ. 20,19); — **რაცა** ტანისამოსი ეცუა, ყუელა ლუსმარსა ზედა ჩამოეკიდა (ვისრ. 159,37); **რაცა** აქამდინ ჰირი და მიჯნურობა გარდამიჯდია, მეყოფის (ვისრ. 213,29); წადით, გახსენით, **რაცა** სად საჰურჭლენია (რუსთ. 54, 1); აწ **რაცა** ქაჯთა საჰურჭლე ქაჯეთით ამიკიდია, მომიცემია... (რუსთ. 1443, 3); **რახაც** კაცს მოერეოდა, უსიკვდილოს არ დაარჩენდა (ამირან.); **რახაც** მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია,

სქემა


I.
ატრიბუტ. კითხვ. ნაცვალ.
+
ნომინალ. ელემენტი
+
შემასმენელი
კითხვითი მელოდია
=
თხრობითი წინადადება
II.
ატრიბუტ. კითხვ. ნაცვალ.
+
ნომინალ. ელემენტი
+
ენკლიტ. ნაწილაკი
+
შემასმენელი
კითხვითი მელოდია
=
თხრობითი წინადადება
III.
ატრიბუტ. კითხვ. ნაცვალ.
+
ენკლიტ. ნაწილაკი
+
შემასმენელი
V
თხრობითი წინადადება
+
კორე-ლატი
=
ქვეწყობა

უარესიც დაემართებაო (სიბრ.-სიცრ. 23,16); **რაც ნაქსოვი** გამოსჭრის, ბევრი მოდპარის (სიბრ.-სიცრ. 23,2); **რაც** მანდაური **ამბავი** იყოს, ნუ დაგვაკლებ (დოკუმენტ. თაყაიშვ. 27,12); **რასაც ამბავს** გაიგონებდე, გვაცოდინებდე (დოკუმენტ. თაყაიშვ. 60,8); ამ შვაზედ **რაც მიწა** ადგილია, ყველა უკლებლად და კელშეუვალად ვიყიდე (საეკლ. საბ. 69,18).

ახალი ქართულისათვის, როგორც აღინიშნა, ბუნებრივია, ენკლიტიკური ნაწილაკი სახელთან:

რა ტანისამოსი (ც) ეცვა, ყველა ლურსმანზე ჩამოეკიდა, და მისთ.

ამგვარად, გარდამავალი საფეხურების გათვალისწინებით, დაპოკიდებული წინადადების ფარგლებში ვღებულობთ შემდეგს კომბინაციებს;

I. **კითხვ. ნაცვალსახ.** + **სახელი** ± **შემასმენელი.**

II. **კითხვ. ნაცვალსახ.** + **სახელი ენკლიტ. ნაწ.** + **შემასმენელი.**

III. **კითხვ. ნაცვალსახ.** + **ენკლიტ. ნაწ.** (= **მიმართებითი ნაცვალსახ.**) + **სახელი** + **შემასმენელი.**

IV. **კითხვ. ნაცვალსახ.** + **ენკლიტ. ნაწ.** (= **მიმართებითი ნაცვალსახ.**) + **შემასმენელი.**

განსაზღვრებითი წინადადების კონსტრუქცია რომ მტკიცედ ჩამოყალიბებული არაა ძველ სალიტ. ქართულში და ჯერ კიდევ ძალიშია არქაული ვითარება, ეს კარგად ჩანს სხვა მხრივაც: ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მიმართებით ნაცვალსახელს. რომელიც თავის მხრივ უკავშირდება დამოკიდებული წინადადებისავე სახელს, ეხამება კუთვნილებითი ნაცვალსახელი: **მისი, მათი.** ამ კუთვნილებითი ნაცვალსახელის დანიშნულებაა განამტკიცოს **რომლისა**-ს პოზიცია, — იგი ჯერ კიდევ მკვეთრად ვერ ასრულებს მიმართებითი ნაცვალსახელის resp. წევრ-კავშირის ფუნქციას. ეს მოვლენა დაცულია ძველ სალიტერატურო ენაში, როგორც გადმონაშთი;

ვერ გიცნა მოშურნემან ღმერთი კორცხთა მოსრული, **რომლისა** თავი **მისი**, მჯნელო, შეჰმუსრე წყალთა შინა (სას. პოეზია, სიგ, 32); ესე არს ღმერთი ჩუენი ღმრთისა სიტყუად, **რომლისა** არავინ არს მსგავს **მისსა** (სახ. პოეზია, ჰმ, 345); ხოლო ამან გამოიღო ვაზი, **რომლისა** რტონი **მისნი**, სავსენი ნაყოფითა ტკბილითა, ჰქონან საზრდელად შვილთა თჳსთა მარადის (სას. პოეზია, რკვ, 150); ესე ნაშობი იყო აბრამეანი ძეთა-გან ისმაელისთა.., **რომლისად** მამად **მისი** და

დედაჲ მ ი ს ი და ძმანი და დანი მ ი ს ნ ი იყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილოვნისასა (აბო 63,18); ...ესუა მას დაწინდებული, **რომლისაჲ** ეგულებოდა შერთვაჲ მ ი ს ი (კიმ. 309, 13); კაცი ვინმე, რომლისაჲ კელი მარჯუენე მ ი ს ი დაკსნილ იყო, აღვიდა იგი წმიდისა... (კიმ. 332, 30); და მორწყუინ მით მთაჲ იგი, **რომლისა** ქვანი მ ი ს ნ ი არიან მწუანის ფერ (თუალთაჲ 26,12); ...სახელსა თევზისასა სახელ ედვა, რომლისაჲ არს ფერი მ ი ს ი სარდიონ (თუალთაჲ 22,2); არიან სხუანიცა თუალნი ფრცხილნი, მსგავს ამისსა, **რომელთაჲ** არს ფერი მ ა თ ი (თუალთაჲ 46, 19); და მთანი გარ**შ** მოცეულ არიან, **რომლისაჲ** არიან თავნი მ ა თ ნ ი კლდ**შ** მყარ... ...(თუალთაჲ 40,16); და გამოჩნდა მათ შორის წმიდაჲ აგაკიოს მონაზონი დიდი, **რომლისა** სათნოებანი მ ი ს ნ ი განითქუნეს ყოველსა ქუეყანასა (ასურ. 11,13); ...ქუეყანასა ებრძანა გამოღებად ხე ნაყოფიერი, რომელმან ყოს ნაყოფი, **რომლისა** თესლი მ ი ს ი მის თანავე იყოს (ექუსთა დღეთაჲ 56,24); ...უფალმან, **რომლისაჲ** დიდებულ არს სახელი მ ი ს ი აღთქუმისა-ებრ, აღგაშენენ შენ... (წარტყუენ. ლზ, 5); რამეთუ სახე იყვნეს იგინი ყოველთა მწვალებელთა, **რომელთაჲცა** უკანაჲსკნელ საყოფელი მ ა თ ი ცეცხლი არს საუკუნოჲ (ხანძთ. ოე, ოე, 26,28).

საანალიზო კონსტრუქციაში ნაცვალსახელი **(მისი — მათი)** გ ა დ მ ო ნ ა ყ ო ლ ი ა იმ კონსტრუქციიდან, როდესაც ორი მარტივი წინადადება ერთმანეთთან არაჰიპოტაქსურ მიმართებაში იყო:

ესუა მას დაწინდებული, ეგულებოდა შერთვაჲ **მისი**

ესუა მას დაწინდებული, **რომლისაჲ** ეგულებოდა შერთვაჲ მ ი ს ი.

შდრ. ლუკა 24,13:DE:

და აჰა ორნი მათგანნი მივიდოდეს მასვე დღესა შინა დაბასა, რომელი შორავს ერუსალ**შ**მს ას სამეოც უტევან, **რომლისაჲ** სახელი ემმაუს.

C:

...შორავს იერუსალ**შ**მსა ას სამეოც ასპარეზ, და იყო სახელი **მისი** ემმაუს.

აშკარაა, ენის განვითარების შემდგომს საფეხურზე შეხამება

რომლისა + მისი არაბუნებრივია, რამდენადაც კავშირი **(რომლისა)** ფუნქციურად ენაცვლება კუთვნილებით ნაცვალსახელს **(მისი)**, ისინი ტავტოლოგიურად გადმოსცემენ ერთსა და იმავე გრამატიკულ ვითარებას. მაგრამ ვიდრე მიმართებითი ნაცვალსახელი დამოუკიდებლად შეძლებდეს სათანადო სინტაქსური მიმართების დამყარებას, ჯერ კიდევ სჭირდება მას გამაძლიერებელი საშუალება კუთვნილებითი ნაცვალსახელის სახით, რომელსაც იგი მთლიანად შეცვლის სათანადო კონსტრუქციის ევოლუციის შემდგომს ეტაპზე.

საანალიზო კონსტრუქცია თანამედროვე გრამატიკული კვალიფიკაციის მიხედვით შეფასდება, როგორც ქვემდებარულ და დამატებით წინადადებათა კონსტრუქციები. ამ კვალიფიკაციისათვის ამოსავალია, რა თქმა უნდა, არა ისტორიული თვალსაზრისი, არამედ „მთავარი წინადადების" ზმნა-შემასმენლის მორფოლოგიური სტრუქტურა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ატრიბუტული კითხვითი ნაცვალსახელი ისეთ მარტივ წინადადებაში, რომელიც ლოგიკურ მიმართებაში იმყოფებოდა მეორე მარტივ წინადადებასთან, და ეს მიმართება განხორციელებული იყო რიტმო-მელოდიკის საფუძველზე, მიმართებით ნაცვალსახელად ქცევის გზის გავლით აყალიბებს რთული წინადადების გარკვეულ ტიპებს, რომელთაც ამჟამად ქვემდებარულ და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებს ვუწოდებთ.

ამრიგად, ჩვენ მივიღეთ დასკვნა, რომ სუბიექტური და ობიექტური წინადადებების კონსტრუქციები თავის სათავეებს პოულობენ პარატაქსულად დაკავშირებულ მარტივ წინადადებებში, რომელთაგანაც ერთი კითხვითი წინადადება იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ სალიტერატურო ქართულში სუბიექტურ-ობიექტური დამოკიდებული წინადადებები, როგორც წესი, წინ უსწრებენ მთავარ წინადადებას. ეს გარემოება ჩვენი თვალსაზრისისათვის გარკვეული მნიშვნელობის მქონეა. ძველი სალიტერატურო ენის ფაქტობრივი ვითარება ასახავს სათანადო კონსტრუქციის განვლილი საფეხურებისათვის დამახასიათებელ წყობას და თანმიმდევრობას წინადადებებისას: კ ი თ ხ ვ ი თ ს წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ს წ ი ნ ა პ ო ზ ი ც ი ა უ ნ დ ა ს ჭ ე რ ო დ ა, ეს წესი შესაფერისია იმ სტადიისათვის, როცა ინტონაცია გრამატიკული მიმართების ერთადერთი საშუალება იყო. ენის განვითარების მომდევნო საფეხურებზე ინვერსია ნორმალურ მოვლენად იქცა, და ეს ბუნებრივია, რამდენადაც გრამატიზაციის დასრულებული ფორმა სათანადო კონსტრუქციაში ამის საფუძველს იძლევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საანალიზო კონსტრუქციაში მიმართებითი ნაცვალსახელი ძველ სალიტერატურო ენაში ჯერ კიდევ მტკი-

ცედ ჩამოყალიბებული არ არის. ჩვენ ნაჩვენები გვაქვს. რომ ენკლიტიკური ნაწილაკის დართვა ამ პერიოდის ენაში მთლიანად გატარებული არაა, მრავლად გვხვდება უნაწილაკო ფორმა, რომელიც საკავშირებელი სიტყვის როლში გამოდის.

ის უძველესი კონსტრუქცია, რომელმაც დასაბამი მისცა სუბიექტურ-ობიექტური ტიპის წინადადებებს, ისტორიული საფუძველია ისეთი კონსტრუქციისათვისაც, რომელსაც ამჟამად განსაზღვრებით წინადადებას ვუწოდებთ.

ატრიბუტული ნაცვალსახელისა და სახელის მიმართების ფორმები საწინდარია ახალი კონსტრუქციის ჩამოყალიბებისა. დროთა ვითარებაში ინვერსიის გზით მივიღეთ ასეთი თანმიმდევრობა: სახელი + ატრიბუტული ნაცვალსახელი. თანდათანობით განსაზღვრული სახელი სცილდება კითხვითს წინადადებას, ეკედლება მეორე მარტივ წინადადებას, მისამართ სიტყვად იქცევა, ხოლო ატრიბუტული ნაცვალსახელი ამ სახელთან მიმართების გამომხატველად გვევლინება, მიმართებითი ნაცვალსახელი ხდება.

ამ გარდამავალი საფეხურის ფაქტები საკმაოდ შემოუნახავს ძველ სალიტერატურო ქართულს, როგორც რელიქტური ფორმები; აქა-იქ შეიძლება შეგვხვდეს მომდევნო პერიოდშიც.

ნიმუშები:

> ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას (მათე 7,19); ...და მამაჲ შენი რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად (მათე 6,4); ერი რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი (მათე 4,16); სიტყუათა რომელთა გეტყჳ თქუენ, სულ არიან და ცხოვრება (იოვ. 6, 63); მჯნელი ჩუენი რომელი გარდმოკდა მოძიებად ადამეანთა, აღასრულა ყოველი პირველთქმული წინაჲსწარმეტყუელთაჲ (სას. პოეზია, რიგ 316); ყოველთა რომელთა ესმა, ადიდებდეს ღმერთსა (კიმ. 328,36); ესმა კირომელი მარადის ჰბრძავს სიკუდილად კაცთა ნათესავსა, აღძრა ნათესაი... („ქრონიკები", I, 315); მან უბრალომ რომელმა არა იცოდა, ჰფიცევიდა (ქილილ. 158).

რთული წინადადების განვითარების ამ ეტაპზე კორელატი გვევლინება ისეთ სიტყვად, რომელიც კრავს წინადადებას, ხელს უწყობს რთულ კომპლექსში შემავალი მარტივი წინადადებების მჭიდროდ დაკავშირებას, ერთ წინადადებად ქცევის პროცესს აჩქარებს აი საამისო მაგალითები:

> და ყოველმან რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისათჳს

კაცისა, მიეტევოს მას (მათე 12,32); ყოველმან რომელმან დაუტევოს ცოლი თჳსი თჳნიერად სიტყჳსა სიძჳსა, მან ამრუშა იგი (მათე 2,32); სიტყუასა რომელსა ვიტყოდე, მან საჯოს იგი უკანაჲსკნელსა დღესა (იოვანე 12,48); და მამაჲ შენი რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს მან შენ ცხადად (მათე 6,7); გლახაკი რომელი წარგზავნოს თჳნიერ ქველისსაქმისა, მას არა აქუს კადნიერებაჲ წინაშე ღმრთისა... (კიმ. 299); ....კაცი იგი რომელი უჯეროდ ვიდოდა, პოვა მან ყრმაჲ მცირე ოდესმე... (კიმ. 296, 25); ხოლო სხუანი იგი ძმანი რომელნი დაადგრეს მის თანა, არარაჲ ბოროტი ევნო მათ (კიმ. 244,25); რამეთუ სული რომელი აქა განისწავლოს, მან პოოს წყალობაჲ საუკუნესა (წარტყუენ. კგ. 6); არამედ ღმერთმან რომელმან იკსნნა სამნი ყრმანი ბაბილონს..., იგივე შეგეწიოს და გიკსნას შენ... (ანტიოქ. 103, 31); ყურშავი რომელი ყოველთა უპირველესი წინაშე მდეგია, მან რა იხილა ყოველნი დიდებულნი..., თქვა... (ქილილ. 192).

განხილული ტიპის წინადადება ფილოლოგიურ გამოცემებში[1] გაგებულია სხვაგვარად: სახელი გამოყოფილია მძიმით, მას მოსდევს დამოკიდებული წინადადება ჩართულად, რომლის მომდევნოა განკვეთილი მთავარი წინადადების გაგრძელება: „ერი, რომელი სხდა ბნელესა, იხილა ნათელი“. იმ გამოცემათაგან, სადაც პუნქტუაციის ამჟამინდელი ნორმები დაცულია, ამ ტიპის წინადადება მძიმეებით არაა გამოყოფილი (ე. ი. პუნქტუაცია ასახავს სათანადო კონსტრუქციის ისტორიულ თავისებურებას) პირველად ა. შანიძის მიერ გამოცემულ ოთხთავის რედაქციებში შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (1945 წ.). ამრიგად, ხსენებულ გამოცემაში საქმის ვითარება სწორადაა წარმოდგენილი.

კარპ. დონდუამ თავის გამოკვლევაში[2] ნათელყო, რომ სათანადო კონსტრუქციაში არ უნდა ვხედავდეთ „სინტაქსური ასიმილაციის“ ანუ ატრაქციის მოვლენას. ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს კონსტრუქცია მაჩვენებელია წინადადების ისტორიული განვითარებისა — იგი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გამომუშავების გზაზე.

---

[1] მაგალითად, სას. პოეზია, ანტიოქ., აბო და მრავალი სხვ.

[2] კარპეზ დონდუა, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: ენიმკის მოამბე, V—VI, 1940.

კარპ. დონდუა ჰიპოტაქსური კონსტრუქციის განვითარების გარდამავალ საფეხურად მიიჩნევს მიმართებით ნაცვალსახელთა სემანტიკურ და ფუნქციურ დაუზუსტებლობას, დამოკიდებული წინადადების ინვერსიულად შეთანხმებას მთავარ წინადადებასთან, ჩვენებითი ნაცვალსახელის პლეონასტურად ხმარებას მთავარ წინადადებაში და ასინდეტურობას [1].

ამავე მკვლევარმა მიუთითა ჰიპოტაქსური შინაარსის ძველი, „შეკუმშული", ფორმით გადმოცემის კვალზე ქართველურ ენებში. მან ყურადღება მიაქცია ჭანურისა და მეგრულის სათანადო ფაქტებს. მართლაც, ჭანურში დაქვემდებარებულობა მიმღეობის საშუალებით იწარმოება: „ვითის ხუთ დაკიკე მეკალაფერი", სიტყვასიტყვით: „ათს ხუთ წუთ გასული", ე. ი. „ათი საათის შემდეგ ხუთი წუთი რომ გავიდა" [2]. მივმართოთ მეგრულს. ჯერ კიდევ ი. ყიფშიძემ [3] მიაქცია ყურადღება „განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემოკლებას" („сокращение придаточных определительных предложений"): განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელის როლში მთავარი წინადადების ქვემდებარე გვევლინება: **მუსუ რე, ორთუქი?** სიტყვასიტყვით: „რას არის აკეთებ", ე. ი. „რა არის, რომ აკეთებ?"; **მუქუ რე მუგაწყენესჷ?** სიტყვასიტყვით: „რამ არის მოგაწყინა?"; ე. ი. „რა არის ის, რამაც მოგაწყინა (რამ მოგაწყინა?)". პირველ შემთხვევაში, მიმართ. ნაცვალსახელის შენარჩუნებით, მეგრულში უნდა გვქონოდა: **მუ რე, ნამუსუ ორთუქი**, მეორე შემთხვევაში: **მუ რე, ნამუქუ მუგაწყენესჷ**.

* *

ქვეწყობის საწყისების კვლევის დროს არ გვინდა გვერდი ავუაროთ ძველი ქართული ენის ერთ კონსტრუქციას, რომელსაც ჩვენ „მასდარულ კონსტრუქციას" ვუწოდებთ და რომლის გათვალისწინებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი თემისათვის [4].

---

[1] კარპეზ დონდუა, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში. თსუ შრომები, ტ. 37, 1949.

[2] Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, გვ. 79—80.

[3] И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914, § 151.

[4] „მასდარული კონსტრუქციის" თაობაზე ჩვენ პირველად ვლაპარაკობდით 1942 წელს მოხსენებაში — „წინადადების მასდარული კონსტრუქცია" (მოხსენდა ენის ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებას). უფრო ვრცლად გამოკვლევის შედეგები მოხსენდა პროფ. ი. ყიფშიძისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას 1944 წელს. დაიბეჭდა 1966 წ. პუშკინის სახ. თბ. პედინსტიტუტის შრომებში (ტ. 19).

აქ უადგილო იქნებოდა საკითხის დეტალური განხილვა, — გვაინტერესებს მხოლოდ ზოგიერთი დასკვნა ჰიპოტაქსის ისტორიასთან დაკავშირებით, რამდენადაც ეს კითხვა შინაგან კავშირშია წინამდებარე შრომის საგანთან.

ძველ ქართულში ვხვდებით წინადადების ისეთ ტიპს, როდესაც მასდარი ვითარებით ბრუნვაში გვევლინება. აქ იგულისხმება ამგვარი მაგალითები: „მივიდა **ხილვად** საფლავისა მის“, „დასხდეს სე**რობად**“, „ბრძანა **შენებად** იგი“, ვითხოვთ მონიჭებად წყალობაჲ“, და მისთანანი. ამგვარი სახის წინადადება თავისებური კონსტრუქციაა, იგი გარკვეულ ტიპს წარმოადგენს და რთული წინადადების ისტორიული განვითარების გზაზე თავისებურ ადგილს იჭერს, ამ კონსტრუქციას მე ვუწოდებ წინადადების მასდარულ კონსტრუქციას.

თუ დავაკვირდებით მასდარის შემცველ წინადადებებს, აღმოჩნდება, რომ აქ შინაგანი სხვაობაა. ერთი მხრით მოექცევა ისეთი სახეობა, სადაც ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი მიზნის გარემოებაა მხოლოდ: „დასხდეს **სერობად**“, „მივიდა იგი... მადლისა **გარდახდად**“ და მისთანანი. მეორე მხრით მოექცევა ისეთი სახეობა მასდარული კონსტრუქციისა, სადაც მასდარი არ არის მიზნის გარემოება, იგი დამატებად მოუდის შემასმენელს მარტივი წინადადების ფარგალში: „ვითხოვთ ვედრებით **მონიჭებად**... წყალობაჲ“, „ბრძანა **შენებად** ეკლესიაჲ“, „დაავიწყდა პური **მიღებად**“, „ინება **დაკლვად** კბოჲ იგი უსხი“, „იწყო **გინებად** და **გმობად** ღმრთისა სასტიკად“ და მისთანანი.

პირველ სახეობას, ე. ი. ისეთ სახეობას, სადაც მასდარი გარემოებაა, შეიძლება ვუწოდოთ გარემოებით-მასდარული კონსტრუქცია, ხოლო მეორე სახეობას მასდარული კონსტრუქციისას, ე. ი. ისეთ სახეობას, სადაც მასდარი დამატებად მოუდის შემასმენელს, დამატებით-მასდარულ კონსტრუქციას ვუწოდებთ. ამგვარად: **დასხდეს ჭამად** გარემოებით-მასდარული კონსტრუქცია იქნება. **ბრძანა შენებად** — დამატებით-მასდარული კონსტრუქცია...

ამგვარი დაყოფა მარტოოდენ სტატისტიკური ანალიზით კი არ აიხსნება, არამედ ეს ამ ორი სახეობის პერსპექტიული განვითარების სხვადასხვაობით, მათი შემდგომი ევოლუციის სხვადასხვა გზებითაც არის გამართლებული.

წინადადების აღნაგობის თვალსაზრისით მასდარული კონსტრუქცია მარტივი წინადადებაა. მაგრამ ის განსხვავდება ჩვეულებრივი ტიპის მარტივი წინადადებისაგან: იგი

რთული წინადადების ფუნქციას ასრულებს, უფრო ზედმიწევნით: მასდარი ამ მარტივი წინადადების ვითარებაში დამოკიდებული წინადადების, თუ შეიძლება ითქვას, კონდენსირებული ფორმაა, მისი მონაცვლეა. მართლაც: **ბრძანა შენებად ეკლესიაჲ** იგივეა, რაც **ბრძანა, რაჲთა აშენოს ეკლესიაჲ.** უკანასკნელი კი ქვეწყობილი წინადადებაა, ამგვარად, მასდარული კონსტრუქცია რთული წინადადების კონსტრუქციას უკავშირდება ფუნქციურად და ეს დაგვასმევინებს საკითხს მათი სტრუქტურული ურთიერთობის შესახებაც.

მასდარული კონსტრუქციისა და ქვეწყობილი წინადადების მიმართებისათვის ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქციის შედარებამ საგულისხმო მასალა მოგვცა. ირკვევა: თუ ერთ რედაქციაში მასდარული კონსტრუქცია გვაქვს, მეორე რედაქციაში სათანადო ადგილას რთული წინადადებაა, ან — პირიქით.

განსხვავებულ სურათს გვაძლევს, აგრეთვე, შედარება იმ ზმნებისა, რომლებსაც მოუდის დამატებად მასდარი. მაგალითად, **ბრძანა** ჩვეულებრივ მასდარულ კონსტრუქციას ქმნის („..მაშინ **უბრძანა დადებად** ჯაჭჯ ქედსა მისსა"), ეგეთ **ბრძანა** რთული წინადადების კონსტრუქციასაც ქმნის („და მერმე **ბრძანა** მიმყვანებელმან მან ჩუენმან, რაჲთამცა მიმიყუანოს მე ჰალაბისა ქალაქსა").

ასევე **ჰნებავს-უნდა** ქმნის ორსავე კონსტრუქციას:

მათ... არა **ჰნებავნ შეძრვად** იგი"; ...**უნდეს**... მიღებად კუართი შენი". შდრ. „და ოდეს **ჰნებავნ** რაჲთამცა მიიყვანა იგი ამაბოდ"; „**უნდა** რაჲთა ამით განათლდეს გონებაჲ ჭაბუკისაჲ მის სარგებლად მრავალთა სულთა თჳს".

მიღებულია დასკვნა: მასდარული კონსტრუქცია და ქვეწყობის კონსტრუქცია მონაცვლეობენ, ფაკულტატური ფორმებია, ერთმანეთისაგან იმიჯნებიან სტილისტიკური სხვაობის საფუძველზე. ჩვენთვის აქ მნიშვნელოვანია დადგენა ფაქტისა, რომ ორივე კონსტრუქციის შესაძლებლობა აქვს ძველ ქართულს და ისინი არსებობენ ერთმანეთის გვერდით, თანაარსებობენ. როგორ იქცევა ქართული ენა თარგმნის დროს? დედანს ბრმად არ მისდევს მთარგმნელი: ზოგჯერ დედნის ენის ინფინიტიურ კონსტრუქციას თარგმნის ქვეწყობით, ზოგჯერ — პირიქით: ქვეწყობა მასდარული კონსტრუქციით გადმოაქვს. მაგრამ თითქმის ნორმაა შესატყვისი კონსტრუქციების უცვლელად გადმოტანა. ამგვარად, ენაში არსებულ კონსტრუქციებს თარგმანი იყენებს სტილისტიკური სხვადასხვაობის მიხედვით.

ვამოსარკვევია მასდარული კონსტრუქციისა და ქვეწყობის კონს-

ტრუქციის ისტორიული თანამიმართება... ამ კითხვაზე ძნელია ეჭვმიუტანელი და დაბეჯითებითი პასუხის გაცემა. ჩემს თავს ნებას მივცემ, მხოლოდ საეგებიო მოსაზრება გამოვთქვა.

საფიქრებელია, რომ მასდარული კონსტრუქცია თანწყობის კონსტრუქციიდან მოდის, თანწყობილ წინადადებათაგან გამომუშავებულია, ისევე როგორც ქვეწყობის საფუძველი თანწყობაა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქვეწყობა მასდარული კონსტრუქციიდან მომდინარეობს, რამდენადაც მარტივი წინადადებაა საფუძველი რთული წინადადების გამოსამუშავებლად, მაგრამ ეს ვარაუდი გარკვეულ დაბრკოლებებს ეღობება: ჯერ-ერთი, ქართულში ქვეწყობილი წინადადება არსებითად ერთი მარტივი წინადადების საფუძველზე არ იქმნება, თანწყობილ წინადადებათა ნიადაგზე წარმოიშობა და, მეორეც, მასდარი — როგორც გრამატიკული კატეგორია — შედარებით გვიანდელი ფორმაციისაა, მას ვერ მივიჩნევთ ზმნის პირველი ფორმის შემცვლელ კონსტრუქციაზე უწინარესად. ქვეწყობასა და მასდარულ კონსტრუქციას აქვთ ერთი საწყისი — თანწყობის კონსტრუქცია. ამ უკანასკნელიდან არსებობს განვითარების ორი გზა: ერთი მხრით მუშავდება ქვეწყობა, ე. ი. ორ მარტივ წინადადებათაგან, რომლებიც გრამატიკულად დამოუკიდებელნი არიან, ხოლო ლოგიკურად ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფნი, ერთი იქცევა მთავარ წინადადებად, მეორე — დამოკიდებულად, რამდენადაც თანწყობის საფეხურზე ლოგიკური დაქვემდებარება შემდეგში გრამატიკულ დაქვემდებარებადაც იქცა. ეს არის წინადადების ევოლუციის ერთი გზა. ამის გვერდით არსებობს ენაში მეორე გზა: ესაა წინადადების ნომინალიზაციისაკენ მიდრეკილება: ნაზმნარი სახელის გამოყენება სათანადო კონსტრუქციის შესაბამისად.

ინდოევროპულ ენებში სახელადი ფორმების წყარო იყო იმთავითვე ნაზმნარი სახელი, რომელიც იდგა ირიბ ბრუნვაში და გამოიყენებოდა გარემოებებად, ინდოევროპული ენებისათვის მიმღეობა, გამოყენებული დაქვემდებარებული წინადადების ფუნქციით, უძველესია. მეიე თავის შედარებითს გრამატიკაში მიუთითებს, რომ თანამედროვე ენის ქვეწყობის კონსტრუქციის ბადალია ძველ ინდოევროპულ ენებში სახელადი კონსტრუქციები. ყოველი ზმნის ფუძეს, პირიელი ფორმის გვერდით, მოეპოვებოდა ზედსართავი, რომელსაც ვუწოდებთ მიმღეობას. ეს მიმღეობა სახელადი ფორმაა, — განაგრძობს მეიე, — მაგრამ იგი იგუებს იმავე დამატე-

ბებს. რომლებიც ახლავან პირიელ ფორმას ზმნისას[1]. ამავე სახელადი კონსტრუქციის მეორე ფორმაა ი ნ ფ ი ნ ი ტ ი ვ ი, რომელიც გამომუშავდა ძველი აბსტრაქტული სახელის საფუძველზე და რომელიც აგრეთვე გამოიყენება ძველ ინდოევროპულ ენებში (და ახალშიც) დაქვემდებარებული წინადადების როლში. მიეკედლა რა ინფინიტივი ზმნის სისტემას, ამასთანავე, შეინარჩუნა სახელის თვისება და ჩვენ ვხვდებით გერმანულ ენებში ბ რ უ ნ ე ბ ა დ ინფინიტივს. ძველ გერმანულში ინფინიტივი მიცემით ბრუნვაში დგას და გამოხატავს დამოკიდებულ წინადადებას მარტივი წინადადების ფარგალში. ფრჩხილებში შევნიშნავ, რომ ზოგ ენაში ინფინიტივმა შეინარჩუნა წმინდა სახელური ხასიათი. მაგალ., სპეციალისტები მიუთითებენ ძველ ირლანდიურზე, სადაც ინფინიტივებად გამოყენებულია ნაზმნარი სახელები, რომლებმაც შემოინახეს ნათესაობით ბრუნვაში მართვის ძალა და რომლებიც ხშირად ეტიმოლოგიურად განსხვავებული არიან იმ ზმნის პირიელი ფორმისაგან, რომლის სისტემაში ისინი შედიან, — მაგრამ ეს მხარე საკითხისა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო არ არის.

ამგვარად, როგორც ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან, ინდოევროპულ ენებს განვითარების ძველ საფეხურებზე დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ა გამოხატული აქვთ ორი სახით: ზმნის პირიელი ფორმის შემცველი კონსტრუქციით (ე. ი. ტიპობრივი ქვეწყობით, როდესაც გვაქვს მთავარი და დამოკიდებული წინადადება) და ნომინალური კონსტრუქციით (ე. ი. ინფინიტივური და მიმღეობითი ფორმებით). აქ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ორი კონსტრუქციის თ ა ნ ა ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ფაქტი, თორემ ის გარემოება, რომ ძველ საფეხურებზე ეს ორი კონსტრუქცია ჯერ კიდევ საკმარისად ჩამოყალიბებული არ არის, არსებითი მნიშვნელობის მქონე არაა.

როგორია ინდოევროპული ენების სინამდვილეში ამ ორი კონსტრუქციის შემდგომი განვითარება? ისინი პარალელურად ვითარდებიან და დღევანდელ საფეხურზე ძალაშია როგორც ქვეწყობის, ისე ნომინალური კონსტრუქცია. აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ახალევროპულ ენებში (და აქ უმთავრესად ივარაუდება გერმანული ენები) თანდათანობით ბატონდება ნომინალური კონსტრუქცია, ე. ი. ინფინიტივური თუ გერუნდიალური კონსტრუქცია ამის მიზეზად სპეციალისტები მიიჩნევენ გარდატეხას ინდოევრო-

[1] **А. М е й е, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, 1938, გვ. 377.**

პული ენების სტრუქტურაში, სახელდობრ — ფლექსიურობიდან ანალიზურობისაკენ მისწრაფებას.

აქ არ შევდივართ ამ საკითხის დეტალურ განხილვაში, ჩვენი მიზანია მივუთითოთ, რომ სხვა სისტემის ენებში, როგორიცაა ინდოევროპული ენები, ანალოგონი დაიძებნება ქართული კონსტრუქციების შესაბამისად.

მასდარული კონსტრუქციის მომდინარეობას თანწყობილ წინადადებათაგან, პირველ ყოვლისა, გვაფიქრებინებს მასდარის გამომწვევი ზმნის ტიპის ანალიზი.

ზმნები, რომელთაც დამატებად მოუდით მასდარი, უმთავრესად არიან verba sentiendi და verba declarandi (უბრძანა, უთხრა, სთხოვა, მოაკსენა, ვეუდრე და მისთ.). **ჰრქუა, ბრძანა, ვითხოვთ, ვეუდრებით** ტიპის ზმნები, საგულვებელია, თავდაპირველად მოითხოვდნენ დამოკიდებულ წინადადებაში პირდაპირი მეტყველების კონსტრუქციას. ეს უნდა იყოს უძველესი ფორმა სათანადო კონსტრუქციისა. ძველ ქართულში აქა-იქ ვიპჭერთ ამ უძველესი ვითარების მაჩვენებელ მაგალითებს („კრებული მოწაფეთა შენთაჲ, მამაო, მოსრულნი დღესასწაულსა შენსა წმიდასა, **ვითხოვთ** შენ გან, ღმერთშემოსილო ევთჳმი: **განმარინენ** განსაცდელთა გან ეშმაკისათა ნეტარო"; „მაშინ მოვიდა მათა კაცი ღმრთისაჲ, რომელი **ეტყოდა**: „ევედრენით ღმერთსა ფრიად და მოგცეს თქუენ მწყემსი კეთილი"; „ამის თჳს ყოველთა **გევედრები**: ნუსადა **დამივიწყებთ** ლოცვასა ღმრთისა მიმართ ყოვლადვე მლოცველსა თქუენსა"; „და აწ **გევედრებით** საწყალობელისა მაგის თჳს დედაკაცისა, **იხოვა** ქრისტჱს გან ბრალთა მისთა შენდობაჲ" და მისთანანი).

ეს წინადადებები თანწყობილი წინადადებებია. ამ ტიპის წინადადებების შემდგომი განვითარება შეიძლება წავიდეს ორი გზით. ერთი გზაა მასდარული კონსტრუქციის გზა, ე. ი. პირიელი ფორმა ზმნისა უნდა გადაკეთდეს მასდარად: „ვითხოვთ **განრინებად**...", „უბრძანა **შენებად**". მეორე გზაა ქვეწყობის კონსტრუქცია: ერთი წინადადება დამოკიდებულად იქცევა ამ გზით: ზმნა მესამე პირის ფორმად გადაკეთდება და შემდგომს საფეხურზე კავშირი გამომუშავდება: **უბრძანა, ააშენოს — უბრძანა, რაჲთა ააშენოს**: პირდაპირი მეტყველებიდან ირიბი მეტყველების ფორმა მივიღეთ (შდრ. უბრძანა ააშენე — უბრძანა ააშენოს).

ეს ორი ფორმა დაქვემდებარების გამოხატვისა ბუნებრივია ენის განვითარებაში და ერთმანეთის გვერდით არსებობენ. შესაძლოა ისინი ერთი წინადადების ფარგალშიც შეგ-

ვხვდეს: „ევედრე ღმერთსა ჩემთჳს, რათა არა განმაშოროს წმიდასა კრებულსა შენსა და მარადის ხილვად წმიდასა პირსა ჩემსა“ (ზარზმ.). საგულისხმო მაგალითია: ორივე კონსტრუქციაა ერთმანეთის გვერდით: „ევედრე... რათა არა განმაშოროს“ და „ევედრე ხილვად“.

მასდარი, რომელსაც დაეკისრა დამოკიდებული წინადადების შეკუმშულად გადმოცემა, ენაში აღიქმება, როგორც პირიელი ფორმა ზმნისა, თუმცა იგი ირიბ ბრუნვაში დასმული ნაზმნარი სახელია, ე. ი. ბრძანა, რაჲთა აშენოს იგი-სთან შეპირისპირებით ბრძანა აშენებად იგი ერთ სიბრტყეზე მოსათავსებელია: აშენოს იგი უდრის შენებად იგი-ს, პირიელი ფორმის ფუნქცია აქვს მასდარს. ამიტომ არ არის უცხო და შეუძლებელი, რომ მასთან დაკავშირებულია სახელი გარკვეულ ბრუნვაში, ე. ი. პირდაპირი დამატება ახლავს, მართული სახელი ეხამება: შენებად იგი. ეს ისევე ბუნებრივი ჩანს ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როგორც მისი ბადალი კონსტრუქცია: აშენოს იგი. აქ მჟღავნდება მასდარის ზმნური ძალა ჯერ კიდევ, და ეს სინტაქსური კონსტრუქცია გადმონაყოლია იმ თანწყობის ვითარებიდან, როდესაც პირიელ ფორმასთან დაკავშირებული იყო მართული სიტყვა — პირდაპირი დამატება. ამით აიხსნება, რომ ძველი ქართულის ტექსტებში საკმაო რაოდენობით გვხვდება მასდართან სახელობით ბრუნვაში შეხამებული სახელი. იგულისხმება ამ ტიპის ფაქტები, არაიშვიათი ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში — როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ძეგლებში: „იეზებელს ხეგულებოდა დაყრობად ვენაკი იგი ნაბუთჱსი“. ამის გვერდით, შედარებით იშვიათად, ძველსავე ენაში მასდარს შეეხამება მიცემითი ბრუნვის ფორმაც. იგულისხმება ამ ტიპის ფაქტები, დადასტურებული როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ძეგლებში: „ღირს იქმნნეს მიღებად ჯორცსა და სისხლსა ქრისტჱსსა“ [1].

როგორც ვხედავთ, მასდარი ავლენს მისი ბუნებისათვის უჩვეულო თვისებას: მართვის ძალა აქვს. აშკარაა, ეს აახლოებს მას ინფინიტივთან. და აქ, სრულიად ბუნებრივია, მოგვაგონდება ინდოევროპული ენები, კერძოდ კლასიკური ენები, რომლებთანაც ქართულ ენას მჭიდრო კავშირი ჰქონდა თარგმანებისა თუ უშუალო ურთიერთობის გზებით. მართალია, პირდაპირი დამატების შეხამება

[1] შდრ., აგრეთვე: „რაჲსათჳს აღავსო გული შენი ეშმაკმან... გამოუტებად სასყიდელსა მის დაბისასა“ (საქმე მოციქ. 5, 3)

მასდართან ჩვენ მიერ გაგებულია, როგორც საკუთარ ნიადაგზე მიღებული სინტაქსური კონსტრუქცია, მაგრამ ამ კონსტრუქციის სტაბილიზაციას ენის განვითარების გარკვეულ მონაკვეთში უთუოდ ხელს შეუწყობდა კლასიკური ენები, სადაც შესაბამისი მდგომარეობა გვაქვს. მართალია, ამ მხრივ ჩვენ განსხვავებულ მასალას არ გვაძლევს თარგმნითი და ორიგინალური ძეგლების შედარება (ორივეგან თანაბარი ვითარებაა), მაგრამ ამ ფაქტს ვერ მივანიჭებთ გადამწყვეტ მნიშვნელობას. პრინციპულად აქ არა გვაქვს განსაკუთრებული მდგომარეობა; ცნობილია, რომ ანგლოსაქსურში ან ძველ გერმანულში გამომუშავებულია კონსტრუქციები ბერძნულისა თუ ლათინურის ჩაურევლად, მაგრამ სპეციალისტები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ სათანადო კონსტრუქციების ჩამოყალიბებისათვის თუ სტაბილიზაციისათვის გარკვეული როლი ენიჭება თარგმანს — ბერძნულსა და ლათინურს. ბერძნულსა და სომხურში შესატყვის ადგილებში იგივე კონსტრუქციაა: მასდარს აქ ეფარდება ინფინიტივი, რომელიც აკუზატივში მართავს სახელს.

ყოველ შემთხვევაში, ქართულში მასდარის მიერ მართვის უნარი პირდაპირი დამატებისა უთუოდ ინდოევროპული ენებიდან მომდინარედ რომ მივიჩნიოთ, ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ მთის კავკასიურ ენათა მონაცემებიც. ვლ. ფანჩვიძემ სპეციალურ ნაშრომში — „ინფინიტივის ფორმათა წარმოება და მნიშვნელობა უდიურ ენაში“ ნათელყო, რომ უდიურში გვაქვს თავისებური კატეგორია, გარდამავალი ხასიათის ფორმები, როდესაც მასდარი ინფინიტივის თვისებას ავლენს. უდიურის ეს ანალოგია საინტერესოა არა ქართული შესატყვისი ფორმის გენეზისისა თუ უდიურთან მისი მიმართების მხრივ, არამედ საყურადღებოა პრინციპული თვალსაზრისით.

მასდარული კონსტრუქციისა და ინდოევრობულ ენათა ინფინიტივური კონსტრუქციის ურთიერთობისათვის საჭიროა, გარდა სტრუქტურული შეხვედრებისა, ყურადღება მივაპყროთ მათს სემანტიკურ მხარეს. ინფინიტივს ინდოევროპულ ენებში (სათანადო კონსტრუქციაში) მიზნობითობის ფუნქცია აქვს, მიზნის კატეგორიაზე მიუთითებს. ესაა infinitivus finalis. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შინაარსის გადმომცემია, მისი ნომინალური ბადალია. ინგლისური to თუ გერმანული zu — ინფინიტივის წინ — სათანადო მიზნითი შინაარსის გამომხატველი წინდებულებია. უამათობაც ფინალურ სემანტიკაზე მიგვითითებს.

პირდაპირი ანალოგიაა ქართულშიც: მასდარი მასდარულ კონსტრუქციაში მ ი ზ ნ ი ს კატეგორიას გამოხატავს. ეს ჩანს როგორც გარემოებით-მასდარულ კონსტრუქციაში, როდესაც მასდარი მიზნის გარემოებაა წინადადებაში („დასხდეს **სერობად**"), ისევე დამატებით-მასდარულ კონსტრუქციაში, თუმცა იგი აქ მიზნის გ ა რ ე მ ო ე ბ ა დ არ გვევლინება. მართლაც, ყველა ზმნა, რომელიც ქმნის მასდარულ კონსტრუქციას, მიზნის სემანტიკას შეიცავს, მოქმედება პერსპექტივაშია ნავარაუდევი (**ბრძანა, აიძულა, სურს...**; განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზმნათა ამ მწკრივში **დაწყება**-ს: „იწყო **შენებად** იგი", — მაგრამ მოქმედება თუ მისი შედეგი აქაც მომავლის აქტია). რომ მასდარული კონსტრუქცია infinitivus finalis-ის ბადალია, ეს კარგად ჩანს შემდეგიდანაც: მასდარული კონსტრუქციის შესატყვისი ქვეწყობილი წინადადება ხომ მიზნითია. შდრ. **ბრძანა შენებად იგი — ბრძანა, რაჲთა ააშენოს იგი. შენებად იგი-ს** ფარდია რ ა ჲ თ ა ა ა შ ე ნ ო ს ი გ ი და ეს ხომ მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა! აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ამგვარი წინადადება დამატებითიცაა. ამგვარად, იგი მიზნით-დამატებითია.

მასდარი ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი გვევლინება სათანადო კონსტრუქციებში. ეს იმას მოწმობს, რომ ვითარებით ბრუნვას დაჰკისრებია მიზნის სემანტიკის გადმოცემა. ამავე რიგისაა მომავლის მიმღეობის ვითარებით ბრუნვაში დასმა: **წავიდა გახაკეთებლად (= წავიდა კეთებად)**. ძველ გერმანულში ინფინიტივი — შესატყვის ფორმებში — მიცემით ბრუნვაში დგას. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს სემიტურ ენებში. ქართულში ვითარებითი ბრუნვა და მიცემითი ერთი ყალიბის ბრუნვებად წარმოგვიდგება. არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ძველ ქართულში მასდარულ კონსტრუქციაში მასდარი, გარდა ვითარებითისა, მიცემითშიც გვხვდება, თუმცა მეტად იშვიათად:

> და ვითარცა მიიღეს საზრდელი, კუალად იწყეს სულისა ცხორებისა **ზრახვასა** (ხანძთ. **ჱ**, ვ, 60); სურვიელ იყო **ხილვასა** მათსა (ზარზმ. 156,11); ...შეკრბებოდეს **ლოცვასა** და **ზიარებასა** (არიმათ. 46,44). შდრ. ვარიანტში: ...შეკრბებოდეს **ლოცვისა** და **ზიარებისათჳს**. შდრ. შეკრბებოდეს **ლოცვად** და **ზიარებად**: ...და ეტყოდა მათ **მიცემასა** შენთუის... (ჭ.-ეტრ. 148,4). შდრ. და ეტყოდა მათ **მიცემად** შენთუის.

ზემოთ აღინიშნა, რომ ზმნის პირიელი ფორმის გ ა დ ა კ ე თ ე ბ ა მასდარად — თავისი განვითარების პირველ საფეხურზე — არ არის ჯერ კიდევ სრული ნ ო მ ი ნ ა ლ ი ზ ა ც ი ა წინადადებისა,

რამდენადაც მასდარს ცხოვლად ატყვია ზმნის ნიშნები, მართვის უნარიც აქვს, მაშასადამე — ამ ახალი კატეგორიის ზმნური ხასიათი ჯერ კიდევ საგრძნობია. დროთა ვითარებაში იმარჯვებს მასდარის სახელური საწყისი და ამის შედეგია, რომ იგი თანდათან კარგავს პირდაპირი ობიექტის მართვის უნარს, მსაზღვრელად გვევლინება სახელი. თავდაპირველად მასდარს ეხამება ნანათესაობითარი ვითარებითი და ძველ ქართულში ეს უფრო ხშირია. ამგვარად, ძველ ქართულშივე იჩრდილება მასდართან პირდაპირი ობიექტი და გზას იკაფავს ისეთი ფორმები, საიდანაც ჩანს, რომ მასდარის სახელური ფუნქცია ბატონდება.

ამგვარად, **ბრძანა შენებად იგი**-ს ტიპის წინადადების რღვევა დაწყებულია ადრიდანვე და ძველი ქართულის ტექსტებში ჩვენ ვადასტურებთ ფორმათა რყევას. საშუალო ქართულის მოგვიანო ხანაში და, განსაკუთრებით, ახალ ქართულში საბოლოოდ დამკვიდრდა **ბრძანა მისი (ა)შენება**, პირდაპირი დამატება მსაზღვრელად იქცა. მსაზღვრელად ქცევის პროცესის ხელისშემწყობია მასდარის სახელობით ბრუნვაში გამოვლენა, ნაცვლად ვითარებითისა, როდესაც მასთან შეწყობილი სახელი არ იმართვის სახელობით ბრუნვაში, არამედ შეთანხმებულია მასთან ინვერსიის შემთხვევაში, ხოლო ნათესაობით ბრუნვაში — მართული, როდესაც მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს.

ძველ ქართულში არაიშვიათია სათანადო შემთხვევებში მასდარის დასმა სახელობით ბრუნვაში: იგულისხმება ამ ტიპის ფაქტები: „და უბრძანა ერსა მას **დასხდომად** ქუეყანასა ზედა“.

რყევა სახელობით და ვითარებით ბრუნვებს შორის შესამჩნევი ხდება ერთი წინადადების ფარგალშიც: მაგალ, „...აუწყა ქრისტემან... **ღირსებად** და ...**მიგებად** მისა“.

განსხვავებულ მასალას გვაწვდის შედარება ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა რედაქციისა: შდრ. მთ. 27,64 = DE—C; მთ. 15,26 DE—C; მთ. 16,21 = DE—C; მთ. 28,20 = DE – C; მთ. 7,11 = DE—C; მთ. 19,17 = DE—C და სხვ.

მასდარი რომ ვითარებით ბრუნვაში დგომის თვისებას კარგავს და სახელობითი უმუშავდება სათანადო კონსტრუქციაში, იმის თავდებია, რომ მას უკვე ეცლება ძალა პირდაპირი ობიექტის მართვისა და ეს პირდაპირი ობიექტი თანდათანობით მსაზღვრელად იქცევა. ამ გზაზე კი მასდარის სახელობით ბრუნვაში გამოვლენა კონსტრუქციის გარდატეხის მაუწყებელია. ამგვარად, დამკვიდ-

რდა ამ ტიპის ფორმები: **ბრძანა ეკლესიის აშენება, სთხოვა საქმის გაკეთება** და მისთანანი.

ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი შემოირჩინა მხოლოდ ცოცხალმა მეტყველებამ — მთის კილოებმა:

ჩვენაც **ნადირობად** წავალთავ (ხევს.); იქ იმ ციხის **გატეხად** მოსრულიყვნეს ქისტები (თუშ.); ერთ ქისტ ჩამოსულუყუ გზის **შეკვრად** (იქვე); მოვიდეს **მოშუელებად** (იქვე); წავედიტ **ძახებად** იმ დიაცისატ (იქვე) და მრ. სხვ.

მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი ევოლუცია განიცადა მასდარული კონსტრუქციის დამატებით-მასდარულმა სახეობამ.

სხვა გზით მიდის გარემოებით-მასდარული კონსტრუქციის განვითარება: ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის ნაცვლად ამ კონტექსტში მომავლის მიმღეობა მუშავდება. ამ გარდატეხის საწყისები შეიმჩნევა ძველ ქართულშივე. იგულისხმება ამ ტიპის ფაქტები: „...მოსცა თუისთა მოწაფეთა ჯორცი და სისხლი **მისატევებლად** ცოდვათა". იხილე: მთ. 8,4; შუშან. 40, XV, 12; 45, XIX, 1; 46, XX, 6; ბასილი 233,6; ხანძთ. იე. ია, 33; ზარზმ. 167,1 და სხვ.

ძველ ქართულში მიმღეობითი ფორმების ხვედრითი წონა ნაკლებია, შედარებით მასდართან, სათანადო კონსტრუქციაში; საშუალო ქართულში მისი არე ფართოვდება, ხოლო ახალი ქართულისათვის ის აბსოლუტურ ნორმად ყალიბდება.

ძველ ქართულშივე ამავე კონსტრუქციის გამომხატველია **თვის** თანდებულიანი მასდარი. იგულისხმება ამ ტიპის მაგალითები: „...და მას მოციქულსა **შეწყნარებისათჳს** ვეევედრებოდით". იხ., მაგალ., შუშან. 8. III. 7: არიმათ. 44,2; 71,1; ზარზმ. 149,26; 160,32 და სხვ.

ამგვარი კონსტრუქციის ნიმუშები ძველ ქართულში კანტიკუნტად გვხვდება. -თჳს თანდებულიან მასდარს ძველ ქართულში მიზეზის გარემოების მნიშვნელობა აქვს ჩვეულებრივ.

საამისო პარალელს ვნახულობთ ინდოევროპულ ენებშიც. მაგალ., საშუალინგლისურის ადრინდელ ტექსტებში infinitivus finalis-ის სემანტიკა გამოხატულია for წინდებულით, რომელიც უდრის ქართ. **თვის** თანდებულს.

როგორც ვხედავთ, **თვის** თანდებულიანი მასდარი იმავე შინაარსს გამოხატავს, რასაც ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი: **შეკრებოდეს ზიარებისათჳს-შეკრებოდეს ზიარებად.** ვითარებითი ბრუნვა და თვის თანდებული სემანტიკურ სიახლოვეს ამჟღავნებენ ამით. ეს სიახლოვე სხვა მხრივაც ჩანს: **რაჲსათჳს** და **რად** პარალელური ფორმებია.

კავშირები სალიტერატურო ენის სამივე საფეხურის მიხედვით

ამად რომე(ლ)	ვირ(ე)(ცა)
(ა)მით რომე(ლ)	თვარა
(ა)მისთვის რომ	თვარემ
(ა)მისთვის რომელ	თითქო(ს)
(ა)მიტომ რომ	თორემ
ან	თორემ
ანდა	თუ
ანუ	თუ არა
ან(უ)...ანუ, ანუ..ან(უ)	თუმც(ა)
ანუ ფუ	თუნდ(ა) (ც)
არა (თუ)... არამედ	თუნდ... თუნდ
არა...არცა	თუნდაც რომ
არც(ა)... არც(ა)	თუ რომ
ასრე რომე(ლ)	თუ სთქუა
აღარც.... აღარც	თუცა თუ
გარნა	(ი)მიტომ რომ
გინა(თუ)	ისე რომ
გინდ(აც)	კი(დევე)
გინდა...გინდ	მაგრა
დაღათუ	მაგრამ(ე)
დაღაცათუ	მანამ(დის)
ესრე რომელ	მართალია
ვერც(ა)... -ვერც(ა)	მაშინ როდესაც
ვიდრე(ცა)	მაშინ როცა
ვით	ნუ...ნუცა
ვითარ	ნურც...ნურც
ვითარ-იგი	ნუუკუე
ვითარ(ცა)	ნუცა...ნუცა
ვითარცა-იგი	ოდეს
ვითარცა რაჲ	ოდეს-იგი
ვითარმედ	ოდესცა, ოდესაც
ვითა(ცა)	ოღონდ
ვითომდა	რაგვარ(ცა)
ვითომ(ცა)	რაგვარად(აცა)
ვინადგან	რაგინდ
ვინაიდან	რადგან(აც)
ვინა(ჲ)თგან	რავდენი(ცა)
ვინაჲ(თ)ცა-იგი	რაზომიც
ვინაჲ(ცა)	რაზომ(ცა)
ვინემ(დის)	რათგან
ვინ(ცა)	რაკი
ვინც რომ	რამდენიც, რამდენადაც
ვირემ(დის)	რამეთუ

რა(ჲ)თა
რა(ჲ)
რაჲ-იგი(ესე)
რა(ჲ)ოდენი-იგი
რა(ჲ)ოდენ(ცა)
რა რომ
რი(ს)ჟამს
რაც
რაც რომ
რაც უნდა
როგორიც
როგორც(ა)
როგორც...ისე
როგორც კი
რომელ
რომელი
რომელი-იგი (ეგე, ესე)
როდესაც
როდესაც რომ
რომ

რომელიც(ა)
როს
როცა
როცა რომ
სადა
სადა-იგი
სადამდის(ცა)
სადაც(ა)
სად(აც)რომ
საიდანაც
საითკენაც
სანამ(დის)(აც)
საცა
სით(ცა)
უკ(უ)ეთუ
ღათუ
ხან...ხან
ხოლო

ცხრილი № 2

კავშირები ძველ ქართულში

ამისთჳს რომელ
ანუ(თუ)
არა(თუ) ...არამედ
არ(ც)ა...არცა
გარნა
გინა(თუ)
და
დაღათუ
დაღაცათუ
ვიდრემდე
ვიდრე(ცა)
ვითარ
ვითარ-იგი
ვითარმედ
ვითარცა
ვითარცა-იგი
ვითარცა რაჲ
ვინაჲთგან
ვითარცა-იგი
ვინაჲ(ცა)
თუმცა
თუ(ცა)

ნეუკუე
ნუ(ცა)... ნუცა
ოდეს-იგი
ოდეს(ცა)
რავდენი
რამეთუ
რა(ჲ)
რა(ჲ)თა
რაჲ-იგი(ესე)
რა(ჲ)ოდენი-იგი
რა(ჲ)ოდენიცა
რა(ს)ჟამს
რომელ
რომელი-იგი (ეგე, ესე)
რომელცა
სადა
სადა-იგი
სადაცა
უკუეთუ
ღათუ
ხოლო

კავშირები საშუალო ქართულში

ამად რომე
(ა)მით რომელ
(ა)მისთვის რომ(ელ)
ანუ
ან(უ)... ანუ, ანუ...ან(ე)
არ...არცა
არა(თუ)...არამედ
ასრე(ესრე) რომე(ლ)
გარნა
გინა
გინდ(ა)
და
ვერც(ა)...ვერც(ა)
ვიდრემდე
ვიდრე(ცა)
ვით
ვითარცა
ვითა(ცა)
ვინათგან
ვინემ(დის)
ვინ(ცა)
ვირემ(დის)
ვირ(ე)(ცა)
თვარა
თვარემ(და)
თორადა
თუ არა
თუმცა
თუნდა
თუ სთქუა
თუ(ცა)
თუცა თუ
კი
მაგრა(მე)
მანამ(დის)
ნუ(ცა).. ნუცა
ოდეს(ცა), ოდესაც
რა
რაგვარ(ცა), რაგვარადაცა
რადგან(აც)
რაზომიც
რაზომ(ცა)
რათა
რათგან
რა(ჲ)ოდენ(ცა)
რარიგადაც
რა რომ
რაც(ა)
როგორც(ა)
როდეს(აც)
რომ(ე)
რომელ
რომელიცა
როს
როცა
სად(ა)
სადამდის(ცა)
სადაცა
სად(აც)რომ
სანამ(დის)
საცა
სით(ცა)
უკ(უ)ეთუ
ხან...ხან
ხოლო

კავშირები ახალ ქართულში

(ა)მიტომ რომ
ან
ან...ან(და)
ანდა
ანუ
არათუ (არამცთუ)... არამედ
არც...არც
ასე რომ
აღარც...აღარც
გინდ...გინდ
გინდ(აც)
და
ესე იგი
ვერც...ვერც
ვიდრე
ვიდრემდე
ვით
ვითომდა
ვითომც
ვინაიდან
ვინმე
ვინც
ვინც რომ
თითქო(ს)
თორემ
თუ
თუ არა
თუმცა
თუნდ...თუნდ
თუნდაც
თუნდაც რომ
თუ რომ
(ი)მიტომ რომ
ისე რომ
კი, კიდევ
მაგრამ
მანამ
მართალია
მაშინ როდესაც
მაშინ როცა
ნურც...ნურც
ოღონდ
რა
რაგინდ
რადგან(აც)
რათა
რაკი
რამდენადაც
რამდენიც
რარიგადაც
რა რომ
რაც
რაც რომ
რაც უნდა
რაწამს
როგორიც
როგორც
როგორც...ისე
როგორც კი
როდესაც
რომ
რომელიც
როს
როცა
სადამდისაც
სადაც
სადაც რომ
საიდანაც
საითკენაც
სანამ(დისაც)
საცა
ხან...ხან
ხოლო

ცხრილი № 5

კავშირები, რომლებიც გავრცელებულია ა) მხოლოდ ძველ ქართულში ბ) მხოლოდ საშუალო ქართულში, გ) მხოლოდ ახალ ქართულში

ძვ. ქართული	საშ. ქართული	ახალი ქართული
ანუთუ	ამად რომე	ანდა
გინათუ	(ა)მით რომე(ლ)	ასე რომ
დაღათუ	ამისთვის რომ	აღარც... აღარც
დაღაცათუ	ან(უ)...ანუ,	ესე იგი
ვითარმედ	ანუ...ან(უ)	ვინც რომ
ვითარცა-იგი	ასრე(ესრე) რომელ	თითქო(ს)
ვითარცა რაჲ	ვირემ(დის)	თორემ
ვინაჲთგან	ვირ(ე)(ცა)	თუნდ... თუნდ
ვინაჲთცა-იგი	თვარა	თუნდაც
ვინაჲცა	თვარემ(და)	თუნდაც რომ
ნუუკუე	თორადა	თუ რომ
ოდეს-იგი	თუ სთქუა	(ი)მიტომ რომ
რამეთუ	მაგრა(მე)	ისე რომ
რაჲ	რაგვარ(ცა)	მაგრამ
რაჲთა	რაგვარადაცა	მართალია
რაჲ-იგი	რაზომიც	ოღონდ
რაჲოდენი-იგი	რაზომ(ცა)	რაგინდ
რაჲოდენიცა	რათგან	რამდენადაც
რა(ს)ჟამს	რა(ჲ)ოდენ(ცა)	რამდენიც
რომელი-იგი	რომე	რაც რომ
რომელი-ეგე	სით(ცა)	რაც უნდა
რომელი-ესე		რაწამს
სადა-იგი		როგორიც
ღათუ		საიდანაც
		საითკენაც

ტაბულა № 6

სალიტერატურო ენის საფეხურების (ძვ. — საშ. — ახ.) საერთო კავშირები

ძვ.—საშ. ახ.	ძვ.—საშ.	საშ.—ახ.
ანუ(თუ)	(ა)მისთვის რომელ	ანუ
არა... არამედ	ანუ	არა(თუ)...არამედ
არ(ც)(ა)...არც(ა)	არა...არამედ	არც(ა)...არც(ა)
და	არ(ა)...არცა	გინდ(აც)
ვიდრე(ცა)	და	და
ვით(არ)	გარნა	ვერც(ა)... ვერც(ა)
ვინა(ჲ)თგან	გინა	ვიდრემდე
ვინაიდან	ვიდრემდე	ვიდრე(ცა)
ვინ(აჲ) ც(ა)	ვიდრე(ცა)	ვით
თუმცა	ვითარ	ვინათგან
თუ(ცა)	ვითარცა	ვინაიდგან
ოდეს(ცა)	ვინა(ჲ)თგან	ვინემ(დის)
რა(ჲ)	თუმცა	ვინც(ა)
რა(ჲ)თა	თუ(ცა)	თუ
რომელიც(ა)	ნუ(ცა)... ნუცა	თუ არა
სადაც(ა)	ოდეს(ცა)	თუმცა
ხოლო	რა	კი
	რაჲთა	მაგრამ(ე)
	რა(ჲ)ოდენ(ცა)	მანამ(დის)
	რომელ	რა
	რომელიცა	რადგან(აც)
	სადა(ცა)	რათა
	უკ(უ)ეთუ	რარიგადაც
	ხოლო	რა რომ
		რაც(ა)
		რაც(ა)
		როგორც(ა)
		როდესაც
		რომ
		რომელიც(ა)
		როს
		როცა
		სანამდისაც
		სადაც(ა)
		სანამ(დის)(აც)
		საცა
		ხან...ხან
		ხოლო

ცხრილი № 7

კორელატები სალიტერატურო ენის სამივე საფეხურის მიხედვით

აგრე	ესრეთვე	მაშინვე
ამ(ა)	იგი	მაშინცა
ამად	იმ(ა)	მაშინაც
(ა)მით	იმდენი	მეყსეულად
(ა)მისთვის	ის(ი)	მუნ(ცა)
ამისთუის(ცა)	ისე	მუნ(თ)ქუესვე
(ა)მიტომ	ისეთი	მუნით
ასე	ის-ის იყო	მუნითგან
ასრე	ის-იყო	მუნითკენ
ეგზომი	ისრე	მყის
ეგოდენ	იქ	ყველგან
ეგრე	იქით	ყოველი
ეგრეთ	იქითკენ	ყოველივე
ეგრეთვე	მაინც	ყუელა, ყველა
ეგრეცა	მანამ	
ეგრეთცა	მანამდი(ს)	
ეს(ე)	მარამდი(ს)	
ეს-ეს იყო	მას ჟამსა	
ესრე	მაშ(ა)	
ესრეთ	მაშინ	

Резюме

Вопросы синтаксиса сложного предложения не разработаны с достаточной полнотой.

До сих пор всесторонне, монографически, в историческом плане не изучен, например, такой важный вопрос, как союзы.

В индоевропейской лингвистике природа союзов в основном учитывается при исследовании конструкций сложного предложения. Правда, традиционная наука резко ставила проблему гипотаксиса, но специалисты этой области заостряют внимание в основном на исконных этапах образования гипотактических конструкций; что же касается позднейшего развития подчинения, последнему уделяется мало внимания.

Традиционная наука механически делит сложное предложение на подчинительные, сочинительные и асиндетичные конструкции, но эта классификация встречает много препятствий; содержание понятий паратаксиса и гипотаксиса не определены резко, не очерчены ясно их границы; критического отношения требуют к себе также и методологические основы синтаксиса сложного предложения: классификация предложений по существу производится по принципу логико-семантической точки зрения, однако мало внимания уделяется исследованию его конструктивных элементов.

Всестороннее изучение союзов дало нам возможность произвести наблюдение над конструктивными формами сложного предложения и тем самым несколько облегчить установление формальных признаков структуры главным образом гипотаксиса. Этим путем можно избавиться от традиционной точки зрения, а также поставить на твердую основу грамматическую характеристику строения сложного предложения.

В нашей работе как раз заострено внимание на таких конструктивных формах, какими являются порядок слов,

интонация, морфологическое выражение синтаксической связи (наклонение и время глагола-сказуемого) и др. Необходимо отметить, что анализ других формальных элементов сложного предложения и союзов внес больше ясности в господствующее понимание некоторых видов сложного предложения (имеются в виду установление двух типов уступительного предложения, учет структурного внутреннего различия обстоятельственно-сравнительного предложения, разновидности целевых предложений и пр.). Изучение союзов привело также к установлению конструктивных особенностей прямой и косвенной речи, к определению т. н. «масдарного предложения», к заострению внимания на асиндетичных предложениях, к изучению системы корреляции, к постановке вопросов возникновения сложных предложений и др.

Разумеется, указанные выше узловые вопросы не исследованы в нашей работе со всей полнотой; они затронуты лишь в той степени, в какой подсказывали нам интересы изучения непосредственно нашей темы — союзов. Иначе говоря, выяснение структуры союзов потребовало исследования некоторых конструктивных элементов сложного предложения.

Кроме того, следует обратить внимание на следующее обстоятельство. Из нашего труда явствует, что на древнейших ступенях развития грузинского литературного языка гипотаксис представлял собой вполне законченное явление с многообразными видами связывающих слов. Нельзя допустить, чтобы вместе с возникновением письменности образовались законченные гипотактические конструкции со сложной системой союзов и относительных слов. И это обстоятельство говорит о том, что литературный грузинский язык должен был пройти большой путь развития, что письменный язык V—VI веков должен был иметь свои корни в прошлом.

Работа представляет собой монографическое исследование.

Она построена следующим образом.

Введение содержит постановку проблемы и исходные методологические установки.

Глава I: «Вопросы о союзах в грамматиках грузинского языка». В разрезе союзов рассмотрены все основные работы по грамматике, начиная с XVII века до наших дней.

Глава II: «Сочинительные союзы». Дана дифференцированная характеристика союзов соединительных, разделительных, противительных и союзов тождества на протяжении исторического развития литературного грузинского языка.

Глава III—IV: «Подчинительные союзы». Охарактеризованы подчинительные союзы места, времени, причины, цели, условно-следственные, условные, уступительные, обстоятельственно-следственные, обстоятельственно-сравнительные, подлежащие, дополнительные, определительные — по периодам развития литературного грузинского языка.

Глава V: «Союзы в диалектах грузинского языка». Описаны союзы всех видов в современной живой грузинской речи; под этим углом зрения исследованы все основные грузинские говоры: кахетинский, карталинский, ингилойский, ферейданский, месхский, рачинский, имеретинский, гурийский, аджарский, имерхевский и т. н. «горские говоры» — хевсурский, пшавский, тушский, мохевский, мтиулско-гудамакарский.

Глава VI: «Система корреляция». Дана раздельная характеристика коррелятов или соотносительных форм связи по типам придаточных предложений; установлено, какой союз с каким коррелятом выступает в главном предложении.

Глава VII: «Взаимозависимость союза и сказуемого». Вскрыты конструктивные связи союза с глаголом-сказуемым в предложении в аспекте наклонений и времен.

Глава VIII: «Морфологический анализ союзов и коррелятов». Дана этимология союзов; раздельно анализируются союзы различного происхождения, а именно: союзы местоименно-наречного происхождения, союзы глагольного происхождения и союзы, происшедшие от частиц. Подвергаются анализу также и соотносительные союзам формы (корреляты), вскрывается их структура, прослеживается роль частиц и послелогов в построении союзов и их коррелятов.

Глава IX: «Семантико-функциональные взаимоотношения союзов». Дается классификация союзов по их функциям и устанавливаются закономерности их развития.

Глава X: «Вопрос о генезисе подчинительных предложений по данным союзов». Показано немаловажное значение изучения союзов для истории гипотаксиса в грузинском языке.

В конце даны сводные таблицы, список использованных памятников и литературных текстов (свыше 100 источников).

Исследование построено на изучении литературного грузинского языка на всем протяжении его развития и опирается на анализ грузинских литературных памятников, начиная с V—VI вв. и кончая нашими днями, т. е. опирается на памятники как древнегрузинского языка (V—XI вв.), так и языка средневекового грузинского (XI—XVIII вв.), и новогрузинского (с XVIII века) с учетом современных живых говоров. Иллюстративный материал к каждому союзу берется из всех перечисленных источников последовательно.

გამოყენებული ენობრივი ძეგლები

აბო: მარტვილობა აბო ტფილელისა, იოანე საბანისძე: „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა", ნაკვ. პირველი. პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, 1935.

აბდულმესია: ნ. მარის გამოცემა: „Древнегрузинские одописцы" (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV, 1902).

აბუს(ერ. ტბ.): აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის შშენებლობა შუარტყალშო და აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანე (1233 წლ. ტექსტი). გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, 1941.

აკაკი: აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები. 1940.

ალ. ორბელ. მოგონ: ალ. ორბელიანი, „მოგონებანი", 1914.

ალ. ჭავჭავაძე: ალ. ჭავჭავაძე, „თხზულებანი", ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით და ლექსიკონით, 1940.

ამირან: ზ. ჭიჭინაძის გამოც.: „ამირან-დარეჯანიანი", მოსე ხონელისა, თბილ. 1897 (ამირან, II), „ამირან-დარეჯანიანი" მოსე ხონელისა, სარგის კაკაბაძის რედაქციით, 1939.

ანას ქ. ცხ.: „ქართლის ცხოვრება", ანა დედოფლისეული ნუსხა. სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942.

ან. ერისთავ-ხორშტარია: ან. ერისთავ-ხოშტარია, „მოთხრობები", 1934.

ანტიოქ.: ტიმოთე ანტიოქიელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა. პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით: ენიმკის მოამბე, VII, 1940.

არაგვ.: შიო არაგვისპირელი, „თხზულებათა სრული კრებული", ტ. I, 1947.

არიმათ.: „წიგნი რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან". ნ. მარის გამოც.: „Тексты и разыскания..." II, 1901.

არჩ., არჩილიანი, I: არჩილიანი ტ. I. ალ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედ., 1936. (მითითებულია „ვისრამიანის" სტროფები).

ახურ.: ცხორებაჲ საბა ასურისაჲ". ს. ჯანაშიას გამოც.: „არილი" (ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული), 1925.

აღსარებაჲ თევდოსისი: „აღსარებაჲ თევდოსისი პურიათა მთავრისაჲ..." „ძველი ქართული ლიტერატურის ჭრესტომათია". I. შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, 1946.

ბარათ.: ნიკოლოზ ბარათაშვილი, „თხზულებანი", 1945,

ბასილი: იხ. ექუსთა დღეთაჲ.

ბენეშევ.: „სახარებაჲ ოთხთაჲ" ორთა კალნაწერთაგან შიგ და შეე წელთაისაჲ, გამოსცა ვლადიმირე ბენეშევიჩმან, ნაკეთი ა. ბ. (სპბ, 1911).

ბესიკი: ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი), თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი,

გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი. ალ. ბარამიძისა და ე. თოფურიას რედაქციით, 1932.

ბოლნ.: „იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი“ (X საუკ. ხელნაწერებიდან) საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, 1911.

გამოხლვითა: „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი“, ტ. I, ნაკვ. 1. გამოსცა აკაკი შანიძემ, 1947.

გამსახურდია (II): კონსტანტინე გამსახურდია, „თხზულებანი“, ტომი II, 1948.

გ. მთაწმიდ.: გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა (სერიაში, „ძველი ქართული ენის ძეგლები“, 3), 1946.

გრ. ორბელ. ლექს.: გრიგოლ ორბელიანი, „ლექსები“, 1928.

(გრ.) ორბელ. წერილ.: გრიგოლ ორბელიანი, „წერილები“, ტომი მეორე. აკაკი წერეთლის რედაქციით და შენიშვნებით, 1935.

გურამ.: დავით გურამიშვილი, „დავითიანი“. ალ. ბარამიძის რედაქციით, 1938 („ქართლის ჭირი“).

დოკუმენტ. ბერძენ.: „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.)“ ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940.

დოკუმენტ. თაყაიშ.: „საქართველოს სიძველენი“, ტ. III. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910.

ევსტ. მცხ.: „მარტჳლობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“: „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. V—X საუკუნეების ძეგლები“. გამოსცა და ტაბულები დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, 1953.

ეკლეს. ხოლ.(რედ.): „ეკლესიასტე სოლომონისა“: პროფ. კორნ. კეკელიძე, „თარგმანებაჲ ეკლესიასტესაჲ მეტროფანე ზჳრნელ მიტროპოლიტისაჲ“, 1920.

ეხაია: „წინასწარმეტყუელებაჲ ესაიასი“: „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი. 978 წლის ხელნაწერის მიხედვით“. ტ. I, ნაკვ. 2 (ლევიტელთაჲ. მსჯულთაჲ. რუთისი. იობისი. ესაიასი). გამოსცა აკაკი შანიძემ, 1948.

ეჭუსთა ღღეთაჲ: ბასილი დიდი, „ეჭუსთა ღღეთაჲ“. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ (სერიაში: „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. II), 1947.

ვაჟა: ვაჟა-ფშაველა, „მოთხრობები“, ტომი მეექვსე, ალ. ახალაშელის რედაქციით, 1939.

ვახტ.: ვახტანგ VI, „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა“. შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, 1937.

ვიხრ.: „ვისრამიანი“. ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვასა და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ლექსიკონი ი. აბულაძისა, 1938.

ზარზმ.: „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“: „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“. ნაკვ. პირველი, კორნ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, 1935.

თამარიანი: ნ. მარის გამოცემა: „Древнегрузинские одописцы“ (Тексты и разыскания..., IV, 1902).

თეიმურაზ: თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული. ა. ბარამიძისა და გ. ჯაჯანიძის რედაქციით, 1934.

თიმსარ.: „თიმსარიანი". თარგმ სპარსულიდან თეიმურაზ მეორის მიერ, 1935.

თომას აპოკრ.: თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტები... ა. შანიძე: უნივ. შრომები, 1941, XVIII.

თუალთაჲ: ეპიფანე კვპრელისა თქუმული.... ათორმეტთა მათ თუალთათჳს. მ. ჯანაშვილის გამოცემა (Сборник материалов... Кавказа, 36, 1898).

იესე ოსეშვ.: თაეგადასავალი იესე ოსეშვილისა. ს. კაკაბაძის გამოცემა, 1913.

ილია.: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, I, 1937.

იობ.: „წიგნი მესამეჲ იობისი": „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი". ტ. I, ნაკვ. 2. გამოსცა ა. შანიძემ. 1948.

იოვ. (ი.): სახარებაჲ იოვანჱსი: „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936, 973 წწ.)". გამოსცა ა. შანიძემ (სერიაში: „ძველი ქართული ენის ძეგლები". 2). 1945.

იპოლიტე. ნეტარისა იპოლიტჱს თქუმული თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ. ნ. მარის გამოცემა Тексты и разыскания..., III, 1901).

კალმას.: იოახე ბატონიშვილი, „კალმასობა", ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით.

კიმ.: კიმენი, კ. კეკელიძის გამოცემა (სერიაში: „ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები". I, 1918).

კლდიაშვ. (I): დავით კლდიაშვილი, „მოთხრობები", I, 1933.

კოლ: „Мученичество девяти отроков колайцев". ნ. მარის გამოცემა: (Тексты и разыскания..., V, 1903).

ლევიტ.: „წიგნი მესამეჲ ლევიტელთაჲ": „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი", ტ. I, ნაკვ. 2. გამოსცა აკაკი შანიძემ, 1948.

ლომოური: ნიკო ლომოური, მოთხრობები", 1926.

ლუკა (ლ): სახარებაჲ ლუკაისი: „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია — სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.)". გამოსცა ა. შანიძემ (სერიაში: „ძველი ქართული ენის ძეგლები", 2). 1945.

მათე(მ): სახარებაჲ მათჱსი, „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია — სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936, 973 წწ.)". გამოსცა ა. შანიძემ (სერიაში: „ძველი ქართული ენის ძეგლები", 2), 1945.

მარკოზ (მარკ.): სახარებაჲ მარკოზისი: „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია — სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.)". გამოსცა ა. შანიძემ (სერიაში: „ძველი ქართული ენის ძეგლები", 2), 1945.

მაჩაბ.: უილიამ შექსპირი, „ტრაღედიები", ივანე მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდან, I, 1938, II, 1940.

მგალ. II: სოფრომ მგალობლიშვილი, „რჩეული მოთხრობები", II, 1926.

მიტროფ.: „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე, ზმჳრნელ მიტროპოლიტისაჲ". კ. კეკელიძის გამოცემა, 1920.

მრავალთ.: „მრავალთაეი", ილია აბულაძის გამოცემა: ენიმკის მოამბე, XIV 1944:

მხარჯულ.: „წიგნი მეშჳდეჲ მსაჯულებათაჲ": „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი", ტ. I, ნაკვ. 2. გამოსცა აკაკი შანიძემ, 1948.

ნ. ნიკოლაძე (რჩ. ნაწ. II): ნიკო ნიკოლაძე, „რჩეული ნაწერები", სიმონ ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. ტომი მეორე, 1932.

ომაიან.: „ომაიანიანი", გ. ჯაკობიას რედაქციით, 1937.

პეტრიწი (I, II): იოანე პეტრიწის შრომები. ტ. I. ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა. 1940; ტ. II: ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, 1973.

პროზ. შაქნ.: პროზაული შაქნამე: „შაქნამე", II, 1934.

რავახ.: „ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმინდისა ანტონი რავახისი". იოს. ყიფშიძის გამოცემა (Христианский Восток, II).

რუთ: „წიგნი მერვეჲ რუთისი": „წიგნნი ძველისა აღთქუმისანი" ტ. I, ნაკვ. 2. გამოსცა აკაკი შანიძემ, 1948.

რუსთ.: შოთა რუსთაველი, „ვეფხის-ტყაოსანი". 1957.

რუსუდ.: „რუსუდანიანი". დამზადებული დასაბეჭდად ილია აბულაძისა და იგივე გიგინეიშვილის მიერ (ამჟამად ძეგლი გამოცემულია).

ხაბა, მოგზ.: სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში". ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1940.

ხაეკლ. ხაბ.: დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 1, სარგის კაკაბაძის რედაქციით, 1920.

ხაისტ. მოამბე (II): „საისტორიო მოამბე, წიგნი" II, 1924.

ხახ. პოეზია: ძველ-ქართული სასულიერო პოეზია", წიგნი I, პ. ინგოროყვას რედაქციით; 1913.

ხაქმე მოციქ.: „საქმე მოციქულთა. ძველი ხელნაწერების მიხედვით", გამოსცა ილია აბულაძემ. შანიძის რედაქციით, 1950.

ხახისმიტყ.: „მკეცათათუს ხახისა სიტყუაჲ წიგნთაგან თქუმული წმიდისა ბასილი ებისკოპოსისა კესარიელისაჲ", ნ. მარის გამოცემა (Тексты и разыскания..., VI, 1904).

ს. გუგუნავა: ს. გუგუნავა, „თაძარიანი", პ. კეშელავას რედაქციით და შესავალი წერილით, 1936.

სიბრ. სიცრ.: სულხან-საბა ორბელიანი, —სიბრძნე-სიცრუისა", გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1935.

ს. მგალ. მოგონ.: სოფრ. მგალობლიშვილი, „მოგონებანი", 1935.

ფარსად.: ფარსადან გორგიჯანიძე: „საისტორიო მოამბე", II, 1925.

ქ:ართლ-კახეთის ხაბუთ.: ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების საბუთები, თედო ჟორდანიას გამოცემა, 1903.

ქილილ.: „ქილილა და დამანა", ილია ჭყონიას რედაქციით, 1886.

ქრესტომ.: „ძველი ქართულის ქრესტომათია". ა. შანიძისა, 1935.

ქრონიკ. (I, II): თედო ჟორდანია, „ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა...", I, II, 1892, 1897.

უაზბ.: აღ. უაზბეგი, „ელგუჯა", სახელგამი, 1937.

შარავანდ.: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, 1941.

შაქნ.: „შაქნამე", II, 1934.

შაქნავაზ.: „შაქნავაზიანი", გ. ლეონიძის და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, 1935.

შუშან.: იაკობ ცურტაველი: „მარტვილობაჲ შუშანიკისი", ილია აბულაძის გამოცემა (გამოკვლევით, ვარიანტებითა და ლექსიკონითურთ), 1938.

წარტყუენ.: „წარტყუენაჲ იერუსალემისაჲ". ნ. მარის გამოცემა (Тексты и разыскания..., IX, 1909).

პ.-ეტრ.: „პილ-ეტრატის იადგარი“, დამზადებული დასაბეჭდად ალ. ჯიმშივილისა და არ. მარტიროსოვის მიერ. ა. შანიძის რედაქტორობით.

პოლა (II): პოლა ლომთათიძე, „მოთხრობები“, II, 1925.

ხანმ.: ხანმეტი ტექსტები, გამოცემული ივ. ჯავახიშვილის მიერ: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922-23.

ხანმ. ლექც.: „ხანმეტი ლექციონარი“. ფოტოტიპური რეპროდუქცია. გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ (სერიაში: „ძველი ქართული ენის ძეგლები“ II, 1944).

ხანმ. მრავალთ.: „ხანმეტი მრავალთავი“, გამოცემულია ა. შანიძის მიერ: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1926.

ხანძთ.: გიორგი მერჩულის „შრომაჲ და მოღუაწებაჲ.... გრიგოლისი, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ...“, ნ. მარის გამოცემა (Тексты и разыскания..., VII, 1911).

ჯაემ.: ჯაემეტი ტექსტები, გამოცემული ა. შანიძის მიერ: ტფილისის უნივ. მოამბე, III, 1923.

გამოყენებული სპეციალური ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, 1885.

ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949.

ბერიძე ე.. ვეფხისტყაოსნის პროლოგის ერთი ნაწილის შედგენილობისათვის. თსუ შრომები, XXX-ა, 1947.

ბერიძე ე., „და" კავშირისათვის ვეფხისტყაოსანში: იბ.-კავკ. ენათმეცნიერება. IV, 1953.

დოდაშვილი ს., შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, 1830.

დონდუა კ., მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: ენიმიკის მოამბე, V—VI, 1940.

დონდუა კ., დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში: თსუ შრომები, ტ. 37. 1949.

ერთელიშვილი ფ., მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ წინადადებათა ჭვეწყობა ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 65, 1957.

თოფურია ვ., ქართული ენა, განაკვეთი III და IV, 1933.

თოფურია ვ., ძი ნაწილაკი ქართულში: ენიმიკის მოამბე, XVI, 1944.

თოფურია ვ., ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში იბ.-კავკ. ენათმეცნიერება. V, 1953.

იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957.

იოსელიანი პ., პირველ-დაწყებითი კანონნი ქართულის ღრამმატიკის, 1851.

კვაჭაძე ლ., რთული წინადადების სწავლების მეთოდიკა, 1950.

კვაჭაძე ლ., ქართული ენის სინტაქსი, 1956.

კვიცარიძე პ., ქართული სწორმეტყველება, 1888.

კიზირია ა., ვითარების გარემოება ძველ ქართულში: იბ.-კავკ. ენათმ. IX—X 1958.

ლომთათიძე ჭ., დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში: იბ.-კავკ. ენათმ., I, 1946.

ნიკოლაიშვილი ი., ქართული მოკლე გრამატიკა, 1912.

ჟორდანია თ., ქართული გრამატიკა, 1889.

ქღენტი ს., გურული კილო, 1936.

როგავა გ., ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქარიულში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, VIII, 1948.

ფანჩვიძე ვლ., „ინფინიტივის" ფორმათა წარმოება და მნიშვნელობა უდურ ენაში: სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილ. მოამბე, ტ. I, 1942.

ქუთათელაძე ა., პირველ-დაწყებითი ქართული გრამმატიკა. 1889.

ყაუხჩიშვილი ს., იოანე პეტრიწის ენა: იოანე პეტრიწის შრომები, I, 1940.

ყაუხჩიშვილი ს., ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები. 4. რომელი: თსუ შრ. XXX-a, 1947.
ყაუხჩიშვილი თ., ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში: იბ.-კავკ. ენათმ., 1946.
ყიფიანი დ., ახალი ქართული გრამმატიკა, 1882.
შანიძე ა., პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: თსუ შრ., I, 1936.
შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკა, 1941.
შანიძე ა., ძველი ქართული ენა: ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1935.
შანიძე ა., წინასიტყვაობა: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, 1945.
შანიძე ა., გიორგი მთაწმიდლის ენა: ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, 1946.
შანიძე ა., ქართული ენა. სინტაქსი, 1948.
შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, 1953.
შანშოვანი ზ., მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა..., გამოც. აღ. ცაგარელისაგან, 1881.
ჩიქობავა არნ., ჰანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, 1936.
ჩიქობავა არნ., დიალექტიზმის საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში: ენიმკის მოამბე, III, 1938.
ჩიქობავა არნ., ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938.
ჩიქობავა არნ., მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თსუ შრ., X, 1939.
ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942.
ჩიქობავა არნ., გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნის ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, V(4), 1944.
ჩიქობავა არნ., ზოგი სიტყვის განვითარებისათვის ძველს ქართულში (სიერცისა და დროის მომენტთა ურთიერთობის ასპექტში): ფსიქოლოგია, III, 1945.
ჩუბინოვი დ., ქართული ღრამმატიკა, 1887 (ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887).
ძიძიგური შ., კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძველესი ქართულის მესამე პირის სუბიექტური სუფიქსის პრობლემასთან დაკავშირებით: ენიმკის მოამბე, V—VI, 1940.
ძიძიგური შ., აღ. ყაზბეგის ლექსიკონი: აღ. ყაზბეგი, თხზულებანი, I, 1948.
ძიძიგური შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954.
ძიძიგური შ., ქართული დიალექტების კრესტომათია ლექსიკონითურთ, 1957
ძიძიგური შ., ცნება სინონიმური პარალელიზმისა: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, II, № 7, 1941.
ხუნდაძე სილ., ქართული გრამატიკა, 1897.
ჯანაშვილი მ., ქართული გრამატიკა, 1906.
ჯანაშია ს., სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები: ენიმკის მოამბე, XII, 1942.
Богородицкий В., Общий курс русской грамматики, 1935.
Виноградов В., Русский язык, 1947; Основные вопросы синтаксиса предложения (на материале русского языка): Вопросы грамматического строя, 1955.
Иогансон-Гегель Э. и Зиндер Л., Конъюнктив. Вопросы не-

мецкой грамматики в историческом освещении (Сборник статей под редакцией проф. В. М. Жирмунского), 1935.
Леви-Брюль Л., Первобытное мышление, 1930.
Марр Н., Древнегрузинские одописцы: ТР., IV, 1902.
Марр Н., Древнегрузинско-русский словарь к 1—2 главам евангелия Марка, 1913.
Марр Н., Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925.
Марр Н., «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустава, 1917.
Марр Н., Термины из абхазско-русских этнических связей: «Лошадь» и «Тризна»: Избр. работы, V.
Мейе А., Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, 1938.
Пешковский А., Русский синтаксис в научном освещении, 1938.
Рифтин А., О двух путях развития сложного предложения в аккадском языке: Советское языкознание, III, 1933.
Строева-Сокольская Т., Развитие сложноподчиненного предложения в немецком языке, 1940.
Шахматов А., Синтаксис русского языка, 1941.
Энгельс Ф., Диалектика природы, 1929.
Behaghel O., Entstehung der abhängigen Rede, 1877.
Brosset M., Èlements de la langue Gèorgienne, 1837.
Delbrück H., Vergleichende Syntax der indogermanischen Sprachen (Grdr. d. vgl. Gr. d. idg. Spr. III.). III.
Maggio F., Syntagmation Linguarum orientalium quae in Georgiae regionibus aubiuntur..., 1670.
Marr N., Brière M., La langue Georginne, 1931.
Paul H., Prinzipien der Sprachgeschichte, 1920.
Vogt H., Esquisse d'une grammaire du gèorgien moderne, 1936.
Wundt W., Völkerpsychologie, Did Sprache. Bd. II, 1904.

პირთა საძიებელი

აბელაძე, ილ. 413
ადელუნგი ი. 9,440
ანტონ I, 16, 416, 483
ახვლედიანი გ. 386,407

ბარამიძე ალ. 413
ბასილაია ნ. 361
ბერიძე ეუკ. 21, 418
ბეჰაგელი ო. 441
ბრიერი მ. 437
ბროსე მ. 17, 483

დელბრიუკი ბ. 441
დოდაშვილი ს. 17
დონდუა კ. 20, 460, 461, 483

ენგელსი ფ. 435
ერთელიშვილი ფ. 21, 453

ვუნდერლიხი 441
ვუნდტი ვ. 441

ზინდერი ლ. 375

თოფურია ე. 20, 398. 405, 418, 483

იმნაიშვილი გრ. 380, 392
იმნაიშვილი ივ. 228, 392
იოსელიანი კ. 28, 483
იოჰანსონ-პეგელი ე. 375

კახაძე მ. 44
კვაჭაძე ლ. 21, 451
კვიცარიძე ვ. 18, 483
კიზირია ა. 21, 394

ლევი-ბრიული ლ. 435
ლომთათიძე ქ. 449

მარი ნ. 20, 28, 29, 384, 385, 387, 389, 392, 393, 394, 397, 401, 410, 411. 416, 461. 421, 435, 437, 483,
მარტიროსოვი ა. 394, 404
მაჯო 16, 483
მეიე ა. 464, 465

ნაუმანი ი. 441
ნიკოლაიშვილი ი. 19. 483
ნუცუბიძე შ. 410

ორბელიანი ს.-ს. 416, 417

პაული ჰ. 441
პეშოვსკი ა. 360

შირმუნსკი ვ. 375
ქორდანია თ. 19, 483
ქლენტი ს. 418

რიფტინი ა. 441
როგავა გ. 21, 393. 411, 415, 416, 451, 483

სტროევა-სოკოლსკაია ტ. 439

ფანჩვიძე ვ. 468

ფოგტი ჰ. 418

ჭუთათელაძე ა. 19, 483

ცაცხჩიშვილი თ. 21
ცაცხჩიშვილი ს. 21, 410, 425, 483
ცაფიანი დ. 18, 483
ციფშიძე ი. 13, 461
ცუბანეიშვილი ს. 392, 409

შანიძე ა. 20, 384, 385, 399, 402, 405, 409, 413; 417, 418, 421, 422, 483
შანშოვანი ზ. 16, 483

ჩიქობავა არნ. 388, 390, 397, 398, 410, 416, 419, 421, 437, 450, 483, 538
ჩუბინაშვილი დ. 18, 416, 417, 483

ძიძიგური შ. 399, 407, 417, 449

წერეთელი გ. 11

ხუნდაძე ს. 18, 19, 483

ჯავახიშვილი ივ. 11
ჯანაშვილი მ. 19, 393, 448, 483
ჯანაშია ს. 420

ᲡᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

შესავალი 5

თავი პირველი. კავშირის საკითხი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში 15

თავი მეორე. მაერთებელი კავშირები 22
1. მაჯგუფებელი კავშირები 22
2. მაცალკევებელი კავშირები 36
3. მაპირისპირებელი კავშირები 46
4. მაიგივებელი კავშირები 53

თავი მესამე. მაქვემდებარებელი კავშირი 55
1. სივრცითი კავშირები 55
2. დროულობის კავშირები 65
3. მიზეზობითი კავშირებითი 95
4. მიზნითი კავშირები 107
5. პირობითი კავშირები 113
6. პირობით-შედეგობითი კავშირები 122
7. გამორიცხვითი კავშირები 127
8. ვითარებით-შედეგობითი კავშირები 140
9. ვითარებით-შედარებითი კავშირები 140

თავი მეოთხე. მაქვემდებარებელი კავშირები: ქვემდებარული, დამატებითი და განსაზღვრებითი კავშირები 170
1. ქვემდებარული კავშირები 171
2. დამატებითი კავშირები 177
3. განსაზღვრებითი კავშირები 216

თავი მეხუთე. კავშირები დიალექტებში 275

თავი მეექვსე. კორელაციის სისტემა 323
1. ქვემდებარული კავშირების კორელატები 323
2. დამატებითი კავშირების კორელატები 326
3. განსაზღვრებითი კავშირების კორელატები 331
4. სივრცით კავშირების კორელატები 333
5. დროულობის კავშირების კორელატები 336
6. მიზეზობითი კავშირების კორელატები 345
7. მიზნითი კავშირების კორელატები 347
8. ვითარებით-შედეგობითი კავშირების კორელატები 349
9. ვითარებით-შედარებითი კავშირების კორელატები 349

10. პირობითი კავშირების კორელატები 360
11. გამორიცხვითი კავშირების კორელატები 361
თავი მეშვიდე. კავშირისა და შემასმენლის თანამიმართება . . 366
თავი მერვე. კავშირთა და კორელატთა მორფოლოგიური ანალიზი . 383
A. კავშირთა მორფოლოგიური ანალიზი 383
a
ნაცვალსახელურ-ზმნიზედური წარმოშობის კავშირები . 383
b
ნაწილაკური წარმოშობის კავშირები 399
c
ზმნური წარმოშობის კავშირები 408
B. კორელატთა მორფოლოგიური ანალიზი 410
C. ნაწილაკებისა და თანდებულების მონაწილეობა კავშირთა და კორელატთა შედგენილობაში 413
თავი მეცხრე. კავშირთა სემანტიკურ-ფუნქციური თანამიმართება . 423
თავი მეათე. ქვეწყობის გენეზისის საკითხისათვის კავშირის ჩვენებათა მიხედვით 440
ტაბულები 472
რეზიუმე (რუსულ ენაზე) 479
გამოყენებული ენობრივი ძეგლები 479
გამოყენებული სპეციალური ლიტერატურა 484
პირთა საძიებელი 487

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4081

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ბათიაშვილი
მხატვარი ნ. ნარიმანიძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
გამომშვები ნ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 10.08.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.08.1988;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური;
პირობითი საბეჭდი თაბახი 31.00;
პირ. საღ. გატ 31.00; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 25.05;

ტირაჟი 1000 შეკვეთა № 2661

ფასი 5 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19